

644  
1973/3


98 35



# ԳԻՆԵՄԻ

11

1973



სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის კიროვის სახელობის  
დაზღაობმუნებელი ქარხნის ზეინკალი  
ზურაბ სარალიძე.

# სსსს

198

გამოცემის მენიუდები წელი

11

ნომერი

1973

თბილისი

საქ. კვ. ცვ-ის გამოცემა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონი

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

# შინაარსი

## პროზა, პოეზია

- 3. ჯანსუღ ჩარკვიანი. ჩარხი. ლექსი
- 4. ღვთის ბაჩხილაძე. მონღატარის ალსასრული. ბალადა.
- 9. გიორგი ბელაშვილი. გვიფარავს მრავალი შერი. რომანი, გაგრძელება
- 100. შოთა ხოლანელი. სურათი. ლექსი
- 100. მზია ხეთაბაძე. ლექსები
- 101. ბერეა ჯოჯუა. ლექსი
- 101. გიორგი მინდიაშვილი. ლექსები

## ქმედების სიმღერა

- 97. ივანე აბაშიანი. ქართველი ქალი ნენინას ბალადა. ლექსი. თარგმნა მირის ფოცხიშვილმა
- 97. მარტინ კორიუნი. ლექსები. თარგმნა ჯანსუღ ნიქაბაძემ
- 98. ნოვრუზ გიანჯალი. მისიზმრა... ლექსი. თარგმნა ეშვარ კვიციანიშვილმა
- 99. შოთა მასანი. კალაპი. ლექსი. თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანმა

## ნარკვევი

- 103. თენგიზ მორჩიანი. ყრილობის დოკუმენტი
- 100 — ევლოვინი — 100
- 110. ნიკო კვიციანი-ქოქაძე. ჯანსუღი კობე იროლიონ ევლოვინითან ერთად.
- 114. ვლადიმერ ფოფია. იროლიონ ევლოვინი რეპოლიტიკამდე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში
- 122. შოთა ბახმიძე. იროლიონ ევლოვინი და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

## მეცნიერება

- 131. სოსო სიგუა. „მეცნიერების მსოფლიო მარტივილიზაცია“ ავტორების საკითხისათვის

## მოგონებები

- 142. მისილ გობინიძე. მათი, რომელიც არ უფლება ზღოვანება

## ხელოვნება

- 158. ნაენი ინტერვიუ

მთავარი რედაქტორი  
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

- გურამ აბაშიანი,
- ბაბი ბაქრაძე,
- გივი გეგეჭორი,
- გურამ გვირგვინი,
- მერაბ ელითაშვილი,
- ბარლო ბალაძე,
- კონსტანტინე
- ლორთქიფანიძე,
- ოტია კახიანი,
- (მასუხისმგებელი მდიანი),
- ნუგზარ ფოცხიანი,
- ნოდარ წულუკიძე,
- ბარბელ ზანთური,
- ნარგი შილაძე,
- თამაზ შილაძე,
- ლავა ჯანაშია.

# ჩ ა რ ხ ი

საუბარი სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს დეპუტატ  
ზურაბ სარალიძესთან

არა ცეცხლი უმძაფრესი,  
არც ჭიკარაა ჰესი.  
არა მხოლოდ გულისყური,  
არა მხოლოდ პური.  
არცა ნავთი,  
    არცა ტალღა,  
არც ნაკადი გაზის,  
მთავარია, გადალახო  
სიახლეთა ხაზი.  
არცა გემი,  
    არც კაშხალი,  
არც ტურბინის წყალი,  
არცა მთვარე,  
    არცა მარსი,  
არცა მისი მსგავსი.  
ვით სამშობლოს მუდამ ეთჟის,  
ფიქრი მისი ხალხის,  
— ინდუსტრიის ფუნდამენტი  
არის მხოლოდ ჩარხი.  
არც სიახლე,  
    არც წილი,  
არცა ვარდის ბაღი,  
არც ეპოქის თანამგზავრი,  
არცა სკოლის ზარი.

ეს შაშხანა,  
    ეს ქარხანა,  
და ეს ოჯროს ხანა.  
და რაც ქვეყნად  
    წარმოების  
წარმოება გახლავთ,  
ყველაფერი,  
    ყველაფერი  
ჩარხმა გამოჩარხა.  
ვით სამშობლოს, მუდამ ეთქმის  
ფიქრი მისი ხალხის,  
— ინდუსტრიის ფუნდამენტი  
არის მხოლოდ ჩარხი.  
. . .  
გულს რა შეცვლის,  
ასე ესმის,  
შენს გულს  
    შენს სულს,  
    შენს ტენის,  
შენი ჩარხით მღერის ჰესი  
და მზის სხივებს ელტვის  
ჩვენი ცეცხლით ანანთები  
საქართველოს ქურა,  
გუგუნებენ ქალაქები,  
გუგუნებენ, ზურაბ!



საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. საბ. რესპუბ.

# ქონდაქარის აღსასრული

(ბალადა)

ამ ბალადას საფუძვლად უდევს ნამდვილი ამბავი ჩვენი წარსულიდან. შამ აბაზისგან აღწევებულ სამ-შობლოს მოღალატე შურდაის ძეს (გვარი შეცვლილია) შემთხვევით გზაზე შეხვედრია მარაბდის ვიწრო ხერხეულიძე და წალაპარაკების შემდეგ იგი მოუქლავს, მოკლულ მოღალატეს თურმე ხალხმა ქვა და ღორღი მიაყარა, ე. ი. საქოლავი აუგო. სოფრ. მგალობლიშვილის ცნობით („მოამბე“, 1899 წ. XII. გვ. 15-16) „ახლაც იმ ადგილზე უშველებელი ხროვია ქვისა შეყენებული და ყველა გამგლევი უსათუოდ ქვას მიაგდებს საქოლაფზედო“.

ერთ დაბურულ

ყრუ ადგილზე,  
ხევის ნაწისქვილართან,  
მოკლეს დარღა შურდაისძე,  
სულთმობრძავი გმინავდა.  
მკვლელმა თქვაო, —

ერთი მიკვირს,

ქვეყნის დარდიც ეს არი,  
ბევრჯერ მოვკლავ და მის სიკვდილს  
მაინც ვერ მოვესწარი.

ძველისძველი ამბავია,  
ვინღა დარჩა მნახელი!  
უხსოვრობას აბარია  
მოღალატის სახელი,  
ხოლო გვამი ქვების გროვას,  
გოდოლივით მალალსა.  
ზედ ბალახი არ ამოვა  
და ვერც ხავსმა დახავსა.  
ანდა ბალახს იქ რა უნდა,  
თუ ვინც გვერდით ჩაუვლის,  
უნდა დასცეს ქვა და გუნდა,  
ჯილდოდ დანაშაულის.  
ხევი იხმობს როგორც ქვევრი,  
ნისლი ბურავთ ლიხის მთებს  
და უფსკრულში მთის ჩანჩქერი,  
სმაგაბმული სითხითებს.

ძველისძველი ამბავია,  
იქნებ არც გასამხელი.  
უხსოვრობას აბარია  
მოღალატის სახელი.  
მაგრამ ზედ თუ შეაცოცდა  
აჟღერებულ ქამანჩას, —  
წარმოდგება ისე ცოცხლად,  
თითქო დრო-ჟამს გადარჩა...  
დაუბერავს სიზმრის ქარი,  
თანაც თუ საღამოა  
და გამცემი, ცხენზე მჯდარი,  
ხევის გზაზე გამოვია.  
გამოვა და რა გამოვა, —  
ბღენძი...

სახე თარსული,

ისპაჰანში — შაჰის მონა,  
ქართლში —

რისხვა სპარსული.

წვერი ჰინით ნაფერი აქვს...  
ქვეყნის დარდი,

ჭირლობა...

დარღას ფეხქვეშ განფენია  
ვარდ-ყვავილის ჭილოფად.  
მოდის დარღა შურდაისძე,  
მოაქროლებს ქურანსა,  
სევადიან უნავირზე  
შვენის სმალიც მურასა...  
და ჩადმრთში რომ ჩავიდა,

ხევში მოქპრის მხედარი,  
ჩამოფხატულ ჩაჩქანიდან  
გეზად გამომხედვარი.  
მარჯვნივ —

კლდეა თვალუწვდენი,  
მარცხნივ — ფლატე შეუული.  
ორი კაცი, ორი ცხენი  
გვერდიგვერდს ვერ შეუვლის.  
შურღაისძე მანძილს გათვლის,  
განს მიდევთ, — აჩვენა.  
მგზავრმაც თითქო სალმისათვის  
ზე ასწია მარჯვენა  
და რატომღაც შედგა,

შეცბა,

უარს ამბობს სალამზე...  
ჩაჩქანიდან ცივმა ცეცხლმა  
გამოჰკვესა აღმაცერ.  
მერმე დარლას წინ გადუღგა,  
სწრაფი როგორც ავაზა...  
და შეეკრა დარლას სუნთქვა,  
განა სულიც დარზა!  
გაასხენდა,—

ამ ყრუ ხევში

გიჟი დაქპრის ცხენითო.  
რა ქნას დარლამ თუ იმ შემლილს  
შეხვდა საავებდითოდ!  
დარლამ ბევრი წააქცია, —  
იცის ჩეხვა ჩქარ-ჩქარი,  
მაგრამ მგზავრიც ვაჟკაცია,  
თანაც ხურავს ჩაჩქანი.  
აქეთ კლდეა თვალუწვდენი,  
იქით ხრამი ბარდნალა.  
ორი კაცი,

ორ ცხენი,

ხევის გზაზე დამდგარა.

დარლამ რიხით შეუძახა, —  
— გზა,

გზა მომეც, ვაჟკაცო!

თუ გულში გაქვს ცუდი ზრახვა,  
მზად ვარ თავი გაგაცნო.  
ქართველი ვარ, თვითონ დარლა,  
შურღაისძეთ გვარისა...  
შეაქანა შუბი მგზავრმა  
და პასუხი გაისმა:  
— რა ქართველიც,

შენს ცხენს ჰკითხე,—

არეზს ბევრჯერ გასცურდა...

იქ ნიავექარს დააქვს კიდევ  
მოთქმა ქართველ ქალწულთა, —  
სპარსეთს ძალით წაყვანილთა  
შაჰის საპარამხანედ.

ქართველ ქალთა კდვმა წმინდა  
მტრის საძიძვანად გახადე.  
რომ წარსტაცო ქართველ დედას  
თვისივ მოდგმის დედობა, —  
ამას ღმერთიც თუ ვერ ბედავს,  
განა კაცს შეგენდობა!  
შურღაისძეც,

შენთვის ეს ცა

არამია არამზე.

და ჩაჩქანიდან რისხვის ცეცხლმა  
გამოჰკვესა აღმაცერ.

ჰო, გიჟია... ფიქრობს დარლა, —  
ზის გაოფლილ შავრაზე.  
მთების ჩრდილი იწვევს დაბლა,  
ალბათ მალე ჩავა მზე.  
სადღაც ნადირს მიჰკვივიან...  
დარლას ფერი ეცვლება.  
ხმალს მოიქნევ, —

სიკვდილია.

არ მოიქნევ, —

შერცხვენა.

— ხარკს ვუხდიდით, — ამბობს დარლა—

თუ შაჰს არ გაეახარებთ,  
თუ არ მივგვრით ზოგჯერ დავლად,  
ქართლის მზეთუნახავებს,  
თან მორჩილად თავს არ დავხრით,  
სოტბით არ შევაქეზებთ,  
ხომ წყალობა შაჰინშაჰის  
არ გადმოვა ქართველზე!  
— ეგ წყალობა იმ გზას ჰკითხე,

შავ გზას კახელ ხიზანთა...

და მანდარმა სამხრეთისკენ  
შუბი წვევრით მიმართა.

— შაჰის მაღლი ოხვრით ავსებს  
მანანდარს და ფერიას,

სოლო კახთა ნასახლარზე.

ეკალბარდად სწვრია.

შენც დევნილებს სდევდი შოლტით,  
რადგან შაჰი კახელდა...

„სპარსობანას“ თამაშობდი

ვაებაზე კახელთა.

დაჭკნენ,

ვითარ მცენარენი

უცხო, უწყლო ალაგზე..  
და ჩაჩქანში ცრემლნარევი  
ცეცხლი გაკრთა აღმასებრ.

დიდკაცობის შუქი შუბლზე  
შურღაისძეს ჩაუქრა.  
გაოგნებით მხედარს უმზერს,  
ზარი დასცა ჩაუქმა.  
რა განაფრთხობს შლევს და უბირს,  
ხევეში ქომავს ვინ მოპვერის?  
ოჰ, ეს მგზავრი ხელში შუბით  
რად ჰგავს წმინდა გიორგის?  
სადღაც ნადირს მიპკვიან...  
მიწა ფეხქვეშ ეცლება.  
ხმაღს მოიქნევ, —

სიკვდილია

არ მოიქნევ, —

შერცხვენა.

ძლივს აღმოთქვა:

— მეც იქ ვიყავ...

მტერს თუ არ ვეშველებით,  
შაჰ აბაზის ტახტის მიღმა  
დგანან სახარბოელები!  
გქნათ საქმენი სამარადო,  
ჩვენ ვინ მოგვცა ის ძალა!  
ან ყველაზე რომ თავი დავდოთ,  
ქართლი ხომ დაცალა!  
მეც სპარსელებს ვასლი გვერდით,  
მაგრამ იცის გამჩენმა,  
თუ შეთქმულებს უკან ვსდევდი,  
თქვენსავე გადასარჩენად.  
შეაქანა შუბი ისევ  
და მხედრის ხმა გაისმა, —  
— ეგ რა დაცდა შურღაისძევ.  
ძალღო შაჰ აბაზისა!  
მტრის შეწვევას საქმედ გვათვლი,  
და არც ფიქრობ ამაზე,  
რომ კახეთის იავარქმნით,  
ქართლის კერაც დაავსე...  
ტანთ მორიგე სპასალარის  
სამეუფო ხალათი,  
თვით შაჰისგან ნაქსოვარი,  
მშობელ ხალხის ღალატი.  
შურღაისძევ, დავავიწყდა  
ჟამი სულის ამოსვლის, —

ტანთ ჩაგვემის ქვა და მიწა,  
სამარადო სამოსი.

ეს რა მკადრა?.. მტვერს და ნაცარს  
შერთო ჩემი დიდება!  
სამეუფო სტაერის ნაცვლად,  
მიწის სამოსს მპირდება.  
ჩანს ბეწვევა დარლას ბედი  
და სიცოცხლევ დარლასი,  
აღარც მამულ-დედუღეთი...  
აღარც ციხე-დარბაზი!..  
დრო არ ითმენს ცდას და ლოდინს,  
— მოჰკალ! — ვიღაც დასძახის...  
მაგრამ ხმალი არ ამოდის,  
ადგილია ნაძრახი.  
ხევეში სუნთქვა ოხვრად ისმის,  
დაბრა პირჯვარს გადიწერს:  
— ხამს მოძმემან მოძმე თვისი,  
არ გასწიროს სამიწედ.  
ოჰ, მხედარო!

ერთი მცნება,

სიბრძნედ გასაგონია:  
სულდიდობით სათნობა,  
ზოგს სიმსდალე ჰგონია.  
— რა სათნოც ხარ,  
შენს ხმაღს ჰკითხე  
და სხვა მოწმე არ გინდა.  
რომ დახედავ,

სომ ჩანს კიდევ,

შანშე

როგორც სარკიდან.

ტანი ვგლო უძრავ ჩეროდ,  
თავი მირზას მიართვი,  
როგორც შაჰის საპირფერო,  
ერთგულების ზინათი.  
შურღაისძევ, გაიხსენე, —  
ხმა გუგუნებს ნადარად.  
განისვენე!.. განისვენე!..  
ხევემა გაღიხარხარა.  
— დაბზუოდა ბუზანკალი  
თავს მთარულ ლანგარზე,  
ხოლო შანშეს ეზო-კარი,  
თვითონ გაიდარბაზე.  
მთლად ეს ქართლი შენთვის არი,  
რომ გვაქციო ტილად...  
და მხედარმა შუბის ტარით,  
ფარი შეაფლრიალა.



— თურმე გამცეს. —

წახდა დარლა...

ყველაფერი სცოდნიათ.

ვერღა იხსნის ღმერთიც ალბათ

დარლას ქვეყნის ცოდვიანს.

სადღაც ცხედარს მიჰკვივიან, —

ცაც დაჰბერავს სიგრილით...

ხმლის მოქნევაც სიკვდილია,

არ მოქნევაც —

სიკვდილი.

თქვენ არ იცით,

ოჰ არ იცით,

დარლა, ქართლის მოსაგრე,

შეშით,

ხვანჯით,

ტყუილ სიბრძნით,

როგორ გააქონდაქრეს.

თორემ სად ვის გაუგია,

შურღაისძე ჯალათი?!

ეს ხომ გვარის აუგია

და მაცხოვრის დალატი!

პურს რომ გასტეხს

იმ ღღის შემდეგ,

თავს ადგანან ლანდებო:

— დარლავ, თვალში შემოგვხედე!

— დარლავ, როგორ ბრძანდები?..

ან რო მოხდის სარქველ-ბადიშ,

ჭურში სისხლი იმღვრევა...

საზანდარზე დარდიანი,

მოთქვამს დარლას სიმღერა.

აქეთ კლდეა თვალწუდენი,

იქით სრამი ბარდნალა..

ორი კაცი,

ორი ცხენი,

საბრძოლველად დამდგარა.

და უეცრად ცა აქშინდა,

გადიფრინა არწივმა.

შურღაისძემ ქარქაშიდან

ხმალი ამოაბრწყინა.

შეუძახა:

— ღმერთი განსჯის,

ვინ რა ცოდვაც დაიდო,

მე შილიფად,

შენ — ჩაჩქანში...

მაშ დამიდექ, რაინდო!

ზოუწონა სიტყვა მგზავრმა:

— მძავსო კაცნი ლაჩარნი, —

შუბი უფსკრულს გაავზავნა,

მოიხადა ჩაჩქანი.

— შურღაისძე, იქ მზე ჩადის,

აქ მიწაა სამარის.

ჩემი ხმლიდან შავეთამდის,

ჭეჭა-ელვის გზა არის.

შურღაისძეც მეღვრად დახვდა:

— ჰე, გამქცევი შეგირცხვეს!

თავს ევლებათ შუქი ხმალთა..

შესჭისვინებს ცხენი ცხენს.

და გაისმა:

შანშე! შანშე!

დარლას ამოდმუვლება...

ხმას იმადლებს მეჭამანზე,

რწევა იწყებს ღრუბლებმა.

დარლა შედრკა,

აცახცახდა,

ეს ხომ შანშეს სახეა?!

ვისი ტანიც ნატახტართან,

თავი სპარსეთს მარხია...

შანშეს ხმალი ელვად იქცა,

მოქნეული აბრუნდალ...

ცა დაბნულდა...

ფეხქვეშ მიწა

წისქვილივით დაბრუნდა.

გულღვიძლამდე რკინა ჩადის,

დარლამ თავი ჩაჰკიდა

და განვიდა შანშეს ლანდიც

ჩამქრალ ხსოვნის სარკიდან.

ალბათ შანშეს ორეული,

ანდა მისი ძმა იყო.

ამბავია შორეული,

ჯამთა სრბოლამ წაიღო.

მაშ ვინ მოჰკლა?

მკვლელის სული,

ახლაც ხევში მიმოქრის

ცხენზე,

შუბით გამოსული

ჰგავსო წიმნდა გიორგის.

ანბობს, ვებრძვი გველშაპსო

და თუ თვალში ეოცე,


შუბს დაგცემს და თვალთ აღაპყრობს  
ლოცვით საქართველოზე.

ძველისძველი ამბავია,  
იქნებ არც გასამხელი.  
უხსოვრობას აბარია,  
შურღაისძის სახელი.  
დე იქ დარჩეს.

ბილწს და უნდოს

ნუ აღვიძებთ ქამანჩით.  
საქოლავექვეშ გველი ბუდობს  
დარლას თავის ქალაში.

დგას გზის პირას საქოლავე,  
ძველ, დანგრეულ ციხეს ჰგავს,  
თუ არ დაეც ქვა მჭროლავე,  
გველი გამოიხედავს.  
მწუხრზე ხევის ახმოვნებით,  
ქვები გადაშავდება, —  
ზედ სხდებიან ყვავ-ყორნები  
დარლას შარავანდედად.  
ცის კიდვა ჩალისფერი,  
ნისლი ბურავთ ლიხის მთებს  
და ჩანჩქერი, მთის ჩანჩქერი,  
ხნაგაბმული სითხითებს.



## გვიფარავს მრავალი ჭერი

26

თვითონ ქეთევანმა აფიქრებინა ბადურს, რომ იგი დედისთვის გაეცნო. დედა და ქეთევანი კი ერთმანეთს თითქმის თავად გაეცნენ. ქეთევანი ბადურის ბინაზე იმჯერადაც შინაურულად ირჯებოდა, მაგრამ უცნობი, მაღალი, დარბაისელი ქალის გამოჩენაზე საშინლად დაიბნა. მაშინ ქალბატონი ცაგოზას ძველი ნაცნობივით მიუახლოვდა და დედაშვილური ღიმილით გაეცნო. მისთვის კი არც უკითხავს, ვინ იყო და აქ რას აკეთებდა.

ბადურს და ლეგას ამ დროს პატარა ოთახში სახელმძღვანელოები ჰქონდათ გადაშლილი და სტუმრის მოსვლა არც გაუგიათ. მაგრამ ბადურმა უცებ ყურადღება მიამჯდია, რომ ქეთევანის ფუსფუსის ნიშანიც კი აღარსაიდან ისწოდა და წყენით გაიფიქრა, ჩუმად წასულაო, ყოველშემთხვევისთვის, ის მაინც გავიდა შუშაბანდში, სადაც, რომ ვერც წარმოიდგენდა, ისეთი სასიამოვნო სურათი დახვდა. ტახტზე მხრებმიტყუპულნი ისხდნენ დედა და ქეთევანი და გულითადად საუბრობდნენ, თუმცა ქეთევანი მაინც მორცხვობდა. ბადური ქალებთან დარჩა და მათ ლეგასაც დაუძახეს. ლეგაც მაშინვე მათთან გაჩნდა.

გაგრძელება. დასაწყ. იხ. „ცისკარი“ № 10.

დედამ მაშინდა ფაქიზად და საიდუმლო ღიმილით გახსნა ბრტყელნაკრავი, რომელიც თვითონ მოეტანა, და გამოჩნდა ორი ლამაზი მუქი ცისფერი პერანგი, ლეგასი და ბადურის ტანისა. მათაც ნასიამოვნებმა ჩაიბარეს საჩუქარი და მადლობა იმით გამოხატეს, რომ ახალი პერანგები იქვე გადაიცვეს.

— წინასწარ ვიცოდი, რომ ძალიან მოგიხდებოდათ. — თქვა გულშეჯერებულმა დედამ. — შავგვრემანებს, საერთოდ, ცისფერი უხდებათ. თქვენც, ორივე ნარინჯოვანნი, უფრო მოშავგვრემანოთ მიეკუთვნებით, ვიდრე თეთროვანთ, თეთროვანი, აი, ქეთევანია. თეთროვან ქეთევანს მუქი წითელი კაბა მოუხდება. მუქი ლურჯიც, მგონი მეკაბის შეკერვასაც მოვახერხებ. თუმცა, ძნელია ქეთევანის სილამაზის ღირსი კაბის გაწყობა.

ბადურმა არ იცოდა ცალკე რა საუბარი ჰქონდათ დედას და ქეთევანს, მაგრამ არც კითხულობდა, რადგან მათი ურთიერთგაგება, რაც უმისოდ მომხდარიყო, ისედაც აშკარად ჩანდა.

დედამ წასვლა გამოაცხადა და ისე ადგა, რომ შვილისთვის არ შეუხედავს. ბადური კი სწორედ ამით მიხვდა დედას რა გაახარებდა.

— გაგაცილებთ, დედი.

— ძალიანაც მასიამოვნებთ, თუ სამივე მეახლებით.

დედას სხვა ჩანაფიქრიც ჰქონოდა. რაკილა თავი სახლამდე მიაცილებინა, ისინი სახლშიც შეიწვია, სადაც მათი სტუმრობა ნამდვილ მოვლენას გაუტოლდა.

ავთანდილისა და მაიას სართულნახევრიანი მოხდენილი სახლი, თავისი ფანატიურიანი მყუდრო ეზოთი, ღრმადღელის ერთ წყნარ ქუჩაზე იდგა, საიდანაც ქალაქის დიდი ნაწილი თვალსახარად მოსჩანდა.

უკვე გაზაფხული იყო. ქალაქის გარშემო ბუნება გაბედულად ჰყვოდა. თვით ქალაქში კი სიცოცხლე ბინებიდან აიგნებდა და ეზოებზე გამოსულიყო. უჩვეულოდ მოისიცოცხლა სტუმრების პატივსაცემად ღრმადღელი მასპინძლების ხეხილ-ყვავილნარიანმა ეზომაც.

გულმხურვალე მასპინძლებთან მადლიერი დამშვიდობების შემდეგ, როდესაც სტუმრები თავიანთ გრძელ გზას ფეხით გაუყვნენ, ქეთევანი მოხიბლული იყო და ნეტარ ღუმის მიეცა. ბაადური გრძობდა ქეთევანის ბედნიერ უსიტყვო ჩქროლვას და სიჩუმეს არ ურღვევდა. ლეგა კი ხეთა ჩრდილებს ეთამაშებოდა, ბაადურსა და ქეთევანს ხან ასწრებდა, ხან უკან რჩებოდა. მარჯანიშვილის ქუჩაზე ლეგა სახლში დარჩა.

ქუჩებში, ნაშუადამევის კვალობაზე, ხალხი ჩვეულებრივად აღარ ირეოდა, როდესაც ბაადურმა და ქეთევანმა როდენის ქუჩაზე ჩაუხვიეს. ქეთევანმა უკვე სახლის კარი გამოაღო და მაშინ მხურვალედ ჩასჩურჩულა ბაადურს ყურში!

— შენც ისევე შემოგვევლებიან თავს ვარინკა და ლექსია, როცა მათაც ვესტუმრებით, როგორც თქვენები დღეს მე შემომველენ.

კარზე მოდგა დროც, როცა ორიოდღე დღით ალექსი და ბაბაღე ლიაშვილების ეზოყურებზე მათ გამოჩენას აღა-

რაფერი ელოზებოდა, მაგრამ იდუმალში გამგზავრება მინც გადავადდა.

ლეგას მომდევნო სასკოლო და ქეთევანის პირველ სტუდენტურ საზაფხულო არდადეგებს ბაადურმა თავისი გასული წლის გამოუყენებელი და იმწლებიანდელი მორიგი შევებულებები შეუფარდა, და ორივეს გარკვეული მიმართულებით ფეხით მოგზაურობა შესთავაზა. ქეთევანი და ლეგა მხოლოდ იდუმალზედა ფიქრობდნენ, მაგრამ ბაადურს უსიტყვოდ დასთანხმდნენ.

ასეთი მოგზაურობა არც თვითონ ბაადურს ჰქონდა ადრევე გათვალისწინებული. ორი შევებულების შეტყუება სხვა მიზანს ისახავდა. ომის დამთავრებიდანვე იგი სამხედრო კომისარიატის, აგრეთვე სხვა დაწესებულებებისა და ცალკეული პირების მეშვეობით გულმოდგინედ ცდილობდა სოსო მოლოდინის დასაფლავების ადგილის დადგენას. ხოლო დაადგენდა თუ არა, კიდევ იქით გაემგზავრებოდა და ორმაგი შევებულების საკმარის დროს და საიმისოდ დაგროვილ ფულს მეგობრის საფლავის მოწყობას მოახმარდა.

მაგრამ ბაადური ამაოდ დაშვრა და მას რჩებოდა ეს მოგზაურობადა, რომელიც გულისგადასაყოლებლად მოიფიქრა.

გამგზავრების წინა საღამოს ბაადური და ქეთევანი სალაშქრო სამზადისში იყვნენ გართული, ხოლო ლეგა სადღაც ახლო-მახლო გარეთ ეგულებოდათ, როდესაც მათ მოკრძალებით ესტუმრნენ ტიტესა და გურის მშობლები. ოთხივე ერთად.

მასპინძლები და სტუმრები ერთმანეთს თავზიანად მიეგულთბილნენ და თავშეკაცებული ღიმილით შემოუსხდნენ მაგიდას, რომელზეც ქეთევანმა ხელათ ხილი და ტკბილეული გააჩინა. თუმცა არავის არაფრისთვის პირიც არ გაუკარებია. ორივე წყვილი — დეკანოზიშვილებიც და ჭილაძეებიც ერთხანს მორცხვად ყოყმანობდნენ. ქეთევანის პიროვნების ირგვლივ მათი ცნობისმოყვარეობა უკვე დაკმაყოფილებუ-



ლი იყო. მაშასადამე, გასჩენოდათ სხვა საგონებელი. ბოლოს ითამამეს ქალებმა, მადონამ და ნელიმ.

ითქვა, რომ მათ ვაჟებსა და ლეგას, სამთა ერთობლივი ცხოველი სურვილით, ამ საზაფხულო არდადეგების ერთად გატარება ეკუთვნოდათ. იმის გათვალისწინებით, რომ მერმის უკვე უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელი იქნებოდნენ, საგამოცდო ციებ-ციხელება დაუდგებოდათ და ვეღარ იიალალებდნენ. ერთი სიტყვით, უკანასკნელი სასკოლო არდადეგები ისე მოვუწყვით, რომ ერთად ისიამოვნონო. ანუ, ჰქენით სიკეთე და მოგზაურობაში, რომელიც ჩაგიფიქრიათ, ტიტე და გურიც წაიყოლიეთო.

მამები, გრიგოლი და მუხრანი, მეუღლეებს სიტყვას არ აწევდნენ (მადონა და ნელი ამას არც საჭიროებდნენ), მხოლოდ მორიდებული ღიმილით მათ თხოვნას უერთდებოდნენ.

მოგზაურობაზე გადავებულნი ბაადურნი, ჰაბუკობიდან მოყოლებული სადმე გამგზავრების არც ერთ მოხერხებულ შემთხვევას არ უშვებდა. თანამგზავრიც თუ არ გამოუჩნდებოდა, მარტოც ხალისით გაეშვებოდა ხოლმე, საითაც გული გაუწევდა. ხედავდა ბუნების სურათებსა და მოვლენებს, აკვირდებოდა და საუბარში იწვევდა ადამიანებს, და ამაში დიდ სიამოვნებას პოულობდა. თავისთავად გამოვიდა, რომ მისი მთავარი თანმხლები ასეთ მოგზაურობებში ლევა გახდა. მოგვიანებით კი მას მიეტმასნენ გური და ტიტეც. ისე რომ ბაადური მათგან მოსვენებული ქალაქგარეთაც ვეღარ იყო. ბაადური ამის გამო იჭმუხნებოდა და ბუზღუნებდა, მაგრამ ბიჭები რატომღაც დარწმუნებული იყვნენ, რომ მისი რისხვა გულიდან არ მოდიოდა. ბიჭები ამ ლაშქრობებში გაუხედნავი კვიცებივით ონავრობდნენ, ბუნებას ეთვისებოდნენ, თან ბაადურის ძალაუნებურ საგულისხმო საუბრებს ისმენდნენ. ზოგჯერ დროის ყაირათის აზრით ისინი დანიშნულ ადგილამდე მატარებელით ან ავტობუსით მიემგზავრებოდნენ.

ნენ, ქვეითად ლაშქრობას კი იწყებდნენ. იქიდან-თბილისამდე, იმ ანგარიშით, რომ მთელი ლაშქრობა ჩატეულიყო ერთი დღის ფარგლებში, რაკი მეტი თავისუფალი დღე არც ერთს არ ჰქონდა. კიდევ რომ ჰქონოდათ, ვთქვათ კვირა და უქმე დღე ერთად დამთხვევოდა, ბაადურს ნორჩებზე, პირველ რიგში გურისა და ტიტეზე ერთი დღის მეტი პასუხისმგებლობის აღებისა ეშინოდა. ახლა კი წინ იყო მრავალდღიანი, მომქანცველი ქვეითად მოგზაურობა თავისი მრავალი მოსალოდნელი მოულოდნელობებით. მაგრამ ბიჭებიც წამოზრდილი და უფრო საიმედო იყვნენ, მთავარი კი ის იყო, რომ მადონამ და ნელიმ ნამდვილი ანგარიშგასაწევი საბუთი წამოაყენეს.

— სიამოვნებით და სიხარულით! — გაიღიმა ბაადურმა. — მცოდნოდა რომ თქვენ მე შვილებს ამდენად მანდობდით, თვითონვე გთხოვდით წაყვანას.

— საყვარელი ადამიანი ხარ, ბაადურ! — ერთხმად გაიხარეს ქალებმა და ახალა მუჯღუგუნებით მადლობის სათქმელად მაინც გაახსენებინეს პირი პირში წყალაღუბებულ ქმრებს.

შუშაბანდში კი მოულოდნელად ერთსულოვანი ტაში დაიცა.

უჩუმრად შემოპარულ ბიჭებს თავისი ყურით მოესმინათ მათი შეთქმულების პასუხი და უფროსთა გონივრულ შეთანხმებას აღფრთოვანებული მიესალმებოდნენ.

ლაშქრობა არსებითად დაიწყო თბილისიდანვე, რადგან ბაადურის გარდა არავის დიდმის იქით ადგილები მოსინჯული არ ჰქონდა. მოგზაურები გზატკეცილის გვერდულზე დაწალიცდნენ და სავალს უმეტნაკლო ნაბიჯით გაუყვნენ. აკრძალული იყო ყოველგვარი აჩქარება და ცალკე საითმე გადახვევა, რომ ზედმეტად არ დაღლილიყვნენ და ხშირ-

გინოაზი ვალაშვილი  
გვიწარავს მრავალი ზიარი

რად შესვენება არ დასჭირვებოდათ. ხუთივეს მსუბუქად ეცვა და არც ტვირთით იყვნენ დამძიმებულნი. მარტო მხრებზე ზურგჩანთები ეკიდათ და ხელები სულაც თავისუფალი ჰქონდათ ან მხოლოდ ჭოკები ეჭირათ. ზურგჩანთებშიც ელაგათ მხოლოდ ერთი ხელი გამომაცვლელი ტანსაცმელი და წვრილმანი ნივთები, რომლებიც მოგზაურობაში მსხვილმანს უდრის. გურის დამატებით წამოღებული ჰქონდა ადამისდროინდელი ფოტოაპარატი, მაგრამ მისი წვალუბა ეზარებოდა და აპარატს გზადგზა და შესვენების დროს ტიტე აჩხაკუნებდა. ტიტე საკმაოდ ნიჭიერად ხატავდა კიდეც და ბუნების გამორჩეულ ნაწილებს, აგრეთვე მოგზაურულ შემთხვევებს ფანქრითაც ასურათებდა. სურსათი თან არ წაუღიათ და არც ამოცანას წარმოადგენდა. გზა უკაცრიელ ტრამალებზე არ ედოთ და ყოველთვის იშოვიდნენ.

კიდეც, სულ აღკვეთილი არა, მაგრამ ზღვრულად შეზღუდული იყო სიარულის დროს ლაპარაკი, რომ თანაბარი სუნთქვა არ დარღვეოდათ. თუმცა ბიჭები ამ კანონს ვერ იცავდნენ. მთელი გზა ერთმანეთში ჩურჩულებდნენ და ფრუტუნებდნენ. ეს არც ქილიკობა იყო, არც ვინმეს გაჭორვა. უბრალოდ, თავს ლაღად გრძობდნენ და სასაცილო რომ არც ხვდებოდათ, მაინც იცინოდნენ. ოღონდ ჩუმად, რომ ბაადური არ გასწყრომოდათ.

ბაადური როგორც რაზმის მეთაური, ამასთან ყველაზე მუხლმაგარი და გზების მცოდნე, თავში მიაბიჯებდა. მას ოდნავ ჩამორჩებოდა ქეთევანი, ხოლო მათი მიმყოლი ბიჭები ვერც მწყრივში თანმიმდევრობას იცავდნენ. ან ერთმანეთს ასწრებდნენ, ანდა როგორც ქალაქში ტროტუარზე, გვერდულზეც განად გადაებმებოდნენ ხოლმე.

ყველასთვის განსაკუთრებით სასიამოვნო ღია ცის ქვეშ დამის თევა იყო. ბანაკს შლიდნენ რომელიმე ქარუხვედრ ქალაქში ან ლამაზ ბუჩქებზე, გზა-

ტკეცილიდან დაცილებით, სამაგიეროდ, მდინარის ან წყაროს მახლობლად. კარავი, როგორც ასეთი, მათ არ გააჩნდათ, მაგრამ ჰქონდათ ზორბა მუშამბა, რომელიც ტვირთად მსუბუქი იყო და ზურგჩანთაშიც დიდ ადგილს არ იკავებდა. მათ კი მუშამბა, როდესაც მაღალ ჭოკებზე ან ბირდაპირ ხის ვაფარჩხულ ტოტებზე იჭიმებოდა, წვიმისა და მზისგან თავის შესაფარებლად სავსებით ყოფნიდათ.

დაბანაკებისთანავე ისინი უბირველესად სწორედ თავშესაფარს იწყობდნენ. შემდეგ იმარაგებდნენ ფიჩხს, წყალს, ტყეში კი კრეფდნენ სხვადასხვა გემირიელ ხილს. ხოლო როცა ქეთევანი ცეცხლთან დიასახლისობას იწყებდა, დანარჩენნი ბურთს დასდევდნენ ან მდინარეში ხორხოცებდნენ. ბინდისას ისინი ვახშმად სხდებოდნენ, მადინად შეექცეოდნენ. ნავახშმევს კი კოცონის გარშემო იკალათებდნენ და დიდხანს ხალისით საუბრობდნენ.

ყველას ყველაზე უფრო ბაადურას მოსმენა უყვარდა. ბაადურს, როგორც ბიჭებს ღრმად სჯეროდათ, ქვეყანაზე დაწერილი ყველა კარგი წიგნი ჰქონდა წაკითხული, და ბაადურიც ზედმიწევნით ცოცხლად და სასიამოვნოდ მოუთხრობდა უბირატესად სათავგადასავლო სამყაროდან.

ბაადურის გატაცება იყო ისტორიული ძეგლების საგულისგულოდ დათვალიერება და მოგზაურობასაც ძირითადად ეს აზრი მიეცა. მოგზაურებმა ყურადღებიდან არ გამოტოვეს არც ერთი უძველესი თუ მერმინდელი ნაგებობა და არც ხვესმოკიდებული ნანგრევი, რომელთაც მათი გეზი მოიცავდა. სამწუხაროდ, ერთ-ორგან უმოწყალოდ გაპარტახებული ძეგლების გამო ბაადურს მწვავე დავა მოუხდა ადგილობრივ მესვეურებთან.

მგზავრობის დროს იყო გზიდან გაუთვალისწინებელი გადახრაც.

— აქ სადღაც ელდარი ცხოვრობს. — თავისთვის ჩილიაპარაკა ერთ საღამო ხანს ბაადურმა, როდესაც მერყევად

შეჩერდა გზაგასაყარზე, ხოლო თანამგზავრები დაუყოვნებლივ მასთან შეკგუდნენ.

მათ წინ ვიწრო სამანქანო ხიდი იყო, მტკვრის ვაღმა გაშლილ ველზე კი ბუჩქებზეთ მოჩანდნენ პატარა სოფლები.

— სკოლაში მასწავლებლების ლაპარაკისთვის ყური მოგვიკრავს, რომ ელდარ ლუბრიძეს წერა უყვარსო. — თავისთვის ზიზღით ჩაბურტყუნა გურიმაც.

— რას ნიშნავს — წერა უყვარსო? — ყური მოჰკრა მის სიტყვებს ბაადურმა და მოიღუშა, მაგრამ გური არ შედრკა.

— რას და — ვინმეთა უსახელო წერილებით ლანძღვას. ჩვენმა ქართული ენის მასწავლებელმა ასეთ ნაჩხაპნებს გონჯი წერილები უწოდა.

ბაადურმა იცოდა, რომ ელდარი მთელ მოვლენად სთვლიდა მათ შორის დაზავებას და მას და მის თანმხლებთ მხურვალედ შეხედებოდა. თავის მხრივ ბაადურიც უნდა ცდილიყო უკვე კეთილი მიმართება ჰქონოდა ელდართან. ამიტომ დაებადა აზრი სწვეოდა სოფელში, როდესაც გაუეღვა, რომ ველზე გაფანტული სოფლებიდან ერთ-ერთი ელდარისა იყო. მაგრამ ბაადურს სასიამოვნო მოგონება არ შენახვოდა ელდარის მშობლებზე. ისედაც გულჩათხრობილი, ისინი ელდარის ყველა ამხანაგისადმი ყინულივით ცივი იყვნენ. ეს ყმაწვილებს აფიქრებინებდა, რომ იმათ თავიანთი ვაჟის გარდა არაფერ უღირდათ. ამავე დროს ყველას მიმართ მათი დადრეჯილობა გამოსატავდა უთქმელ გულნაკლულობას, რომ შვილი ვერ უმართლებდათ. თავისთავად ცხადია, თავის მხრივ არ სიამოვნებდათ მათი ჩამომტირალი სახის დანახვა ყმაწვილებს.

ელდარის მშობლებს ხნოვანებაში კიდევ მეტად გასჯდომოდათ უსასიათობა. ბაადურის მოულოდნელი სტუმრობა

ბით აღლევებულმა ელდარმა იგი თავიანთი უღიმღამო სახლის კიბეზე მუმიებივით გაქვავებულ მშობლებს მიჰგვარა, მაგრამ მათ სიცოცხლის ნიშანწყალიც არ გამოსცეს. შუბლი ოდნავაც არ გახსნეს, ყასიდათაც არ მოიკითხეს და ისევე ყოველივესადმი განურჩეველი დარჩნენ, როგორც მანამდე იყვნენ. აი, ამ უყმური ადამიანების ხელში შეიძლება მოხვედრილიყო ლევა, თუ თავის დროს უკეთურ ახირებას გაიტანდა ელდარი. თუმცა ელდარის დედა და მამა ახალგაზრდობაში იქნებ ძალიანაც კარგი ადამიანები იყვნენ, მაგრამ ვაღამეტებული ფოფინით მათ ჯერ შვილს დაუმახინჯეს სული, ხოლო შემდეგ უხეიროდ გაზრდილი ნაშიერის შემხედვარე ნი თვითონ მთელი გარემოს მიმართ გაბოროტსულდნენ.

მშობლების ცივ უდრტვინელობაზე ელდარს ბოღმა მოერია. ბაადურმა კი უხერხულობის გასაფანტავად ყურადღება გადაიტანა ცილა ეზოში გაწრიოკებულ ნარგავებზე და ბრაზისგან აცახცახებული ელდარი ხეხილებისკენ გაიყვანა. შემდეგ ისინი ეზოდანაც გავიდნენ და ელდარს ორღობეშილა მოუტრიალდა ენა.

— ჩემი დაფეხვილი სახლი შენი საყდრისი მაინც არ არის. მე შენ ჩემი ერთი გარებიძაშვილის ახალთახალ სახლში დაგაბინავებ.

— მე არცნაირი სახლი არ მინდა. ხუთი სული ვერც ერთ ოჯახს ვერ დავატყულებთ.

— ვინ ხუთი სული?

— თვითონ მე და ოთხივე ჩემი თანმხლები.

— ვინ არიან და სად არიან, ვინც გახლავან?

ბაადურმა აღარ უბასუხა, თუ ვინ იყვნენ და სად იყვნენ. წაიყვანა და ანახვა, ისინი, თუმცა სტუმრობას ეპირებოდნენ, ბაადურმა მაინც გულისთქმას დაუჯერა, რომ ყველაფერი შეიძლება, ისე მომხდარიყო, როგორც მოხდა.

და ბანაკი წინდახედულად სოფლის ბოლოში მდინარის ქოჩორა ნაპირზე გაშალა. ამრიგად, ელდარი, რომელმაც სოფელში ვერ იმასპინძლა, პირშურტ-ხვეწილი გამოდიოდა, რადგან ბანაკი მოწყობილი იყო წინასწარზე, და არა მისი სახლიდან ბაადურის გაწვილებული გამობრუნების შემდეგ იმართებოდა.

სამაგიეროდ, თავგამოდებით იმასპინძლა ელდარმა თვით ბანაკში. იმის შემდეგ, რაც მიეფერა თავის გუშინდელ მოწაფეებს და ფართიფურთით გაეცნო საოცარ ქეთევანს, ელდარი ისევ სოფლისკენ გავარდა და მოკლე ხანში სანოვავით და ხილით სავსე კალათებით დაბრუნდა. მიუხედავად ამისა, მან ვერავის გული ვერ მოინადირა. ბაადური ხედავდა, რომ ბიჭები ელდარისგან თავს შორს იჭერდნენ, ხოლო ქეთევანი მას თავდაპირველ ყურადღებას აქცევდა. კოცონთან საუბარიც ისე ვერ გააგრძელდა, როგორც იყო ხოლმე. ბიჭები და ქეთევანიც დასაძინებლად ჩვეულებრივზე ადრე აიშალნენ.

კოცონთან მარტო ორნი დარჩნენ და ელდარმა გულიანად მოიწადინა.

— მოდი, ჩვენ არ დავიძინოთ!

— შენ თუ სახლში არ გეჩქარება, მე ვარსკვლავების თვლა მაინც მეხალისება. თვლა კი არა, ყურება.

მოკრიალებულ ცაზეც უთვალავი ვარსკვლავი ერთად მხიარულობდა.

ელდარმა ლადარს ნუქრებით დახორკლილი მძიმე კუნძი მიუგორა, რომელიც დილაამდემდ იხრჩოლებდა.

— ჩემს უხალისო მოხუცებთან არ მიმეშურება.

— მოხუცებს თავისი მკმუნვარე ფიქრები უჩნდებათ და ხალისს ვერ მოსთხოვ.

— ჩემებს არც ახალგაზრდობაში ახასიათებდათ გულლიობა.

— იმ დროს კიდეც, ერთადერთ შვილზე ფიქრი არ ასვენებდათ და მაშინდელის გამოც არ გეთქმის სამღურავი.

— მან, ქვეყანაზე ყველა გაუციანარი ყოფილა, რაკი ადამიანებს ჯერ შვილის ბედი აფიქრებთ, შემდეგ კი თავის

ხანდაზმულობა. ჩემებს ერთი დიმილი მაინც გაემეტებინათ შენთვის!

— შენ ეგ ჩივილი იმათთანაც არ წამოგცდეს და გუნება სულ არ მოუწამლო. გესმის?

— არ წამომცდება. სიბრაღეულით ვერ ვეტყვი. ისე, კაცმა რომ თქვას, ჩემგან ყუყუნას წასვლიდან მათ სახეზე ღიმილი აღარც მინახავს.

— ისევ ყუყუნა ვახსენეთ! ყუყუნა კიდეც უფრო დამშვენებულია.

— შენ ნახე ყუყუნა? სად?

— ნუ შეგვემინდა! მე მასთან არ მივსულვარ. ის ჩემთან არ მოსულა. შემთხვევით ქუჩაში შევხვდით.

— მოგხიბლა?

— შენ კიდეც ძველს მოჰყევი! მეც ძველს გეტყვი — ყუყუნა ვის არ მოსწონდა, მაგრამ შენ გხვდა.

— ჩემ შემდეგ კი — სხვას.

— ქორს აპყობილხარ. თვითონ ყუყუნას სიტყვებით რომ ვთქვა, ქმარგაცილებულ ქალს ქორს ადვილად უგონებენ.

— არა, მართლა არ გათხოვილა?

— არც უფიქრია. ოღონდ, შენ თუ დაგიბრუნდება, არ ვიცი.

— სამაგიეროდ, ახლა უკვე მე ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე!

— როგორ უნდა მოიქცე?

— ყუყუნას მე თვითონ დავიბრუნებ! პატიებას ვთხოვ, ფეხებში ჩავუვარდები!

— მაგით ვერაფერს მოიგებ. ქალის წინაშე ვაჟკაცს რიანდულად მუხლის მოღრეკა შეენის. ფეხებში ჩავარდნით კი ის მხოლოდ თავის უბადრუტობას აჩვენებს. ასეთ ვითარებაში მომნანიებული მის თვალშიც კი გულისამრევი, ვისაც პატიებას სთხოვს.

— ფეხებში ჩავარდნა მე აღვზნებულმა ვთქვი. როგორმე კი მართლაც დავიბრუნებ და მარტო ჩვენ ორს — მე და ყუყუნას გვეცოდინება, რით მოვუგებ გულს. უკვე სამუდამოდ! შენც უკვე მეტოქედ აღარ მეგულები.

— მე ნაქმარეც ქალს არავის ვეცალები.



— ახლა ნამდვილად აღარ შეგეცინება. ახლა შენც შენი გყავს. ქეთევანი. თქვენ უკვე ხართ ცოლქმარი?

— არ ვართ. არც ვიცით, ვიქნებით თუ არა ცოლქმარი.

— იქნებით! ერთმანეთისთვის დაბადებულს ჰგავხართ.

— ვნახოთ. ყოველშემთხვევაში, შენი მადლიერი ვარ, რომ მე და ქეთევანი საერთმანეთოდ გვცანი. ვალში არც მე ვარ. საშენო ამბავი ჩამოგიტანე ყუყუნაზე. მე სწორედ მაგის სახარებლად გადმოუხვიე შენი სოფლისკენ. მიხედვით, მართლაც ყუყუნას, იქნებ გემგელოთ.

— იქნებ?

— ცხადია — იქნებ. დაბეჯითებით ვერაფერს გიწინასწარმეტყველებთ.

ორივეს ხელში ჩხირები ეკირათ და საუბრის დროს ნაკვეთჩხლის ქექვით ერთობოდნენ. როდესაც ჩხირებს მომწვარი ბოლოები უმოკლდებოდათ, მათ ცეცხლში ყრიდნენ და ახლებს იღებდნენ. ლაპარაკსა და ცეცხლის ჩხრეკაში შეუმჩნევლად დაათენდათ. ღამის მღვმარე რინდი რიჟრაჟის ძილღვიძილში შეიშმუშნა და ბანაკი აიშალა.

დაწითლებული თვალები ადასტურებდა, რომ ბაადურს მთელი ღამე არ ეძინა. თუმცა, ეს კვამლის ბრალიც იყო. სამაგიეროდ, მდინარეში ერთი ჩაყვინთვით შეცურვის შემდეგ ბაადური ნაპირზე სრულიად მოცოცხლებული გამოვიდა. უკვე მოასწრეს დაბანვა ბიჭებმა და ქეთევანმაც და ჯგუფმა ბარგი აიკრა.

ჩვეულებრივ წინ ბაადური და ქეთევანი მიდიოდნენ და ქეთევანი ხედავდა, რომ უძილობის მიუხედავად, ბაადური კარგ გუნებაზე იყო.

— მე წუხელ ხანდახან მეღვიძებოდა, თქვენი ლაპარაკი კი ყოველთვის მესმოდა. მაშასადამე, მთელი ღამე არ გძინებია. მაგრამ, თუმცა ღამე ელდარის გულისთვის გატეხე, მე მაინც გატყობ,

რომ ელდართან შენ მთლად გულგმულილი არა ხარ. მასთან სტუმრობაც დიდად არ გეხალისებოდა. ხოლო დავემწვიდობეთ თუ არა ელდარს, თითქოს მძიმე ტვირთი მოგხსნოდეს, ისე შევბა იგრძენი.

— ყველაფერი სწორედ შეგიმჩნევია. თორღ, ჩვენ აღრე უარესი ურთიერთობა გვქონდა. ახლახან მასი თაოსნობით თითქოსდა დავხავდით. ამიტომ მე უფლება აღარ მაქვს მას ანგარიში არ გავუწიო. თუ კაცს შენთან ყოფნა სიამოვნებს, შენც მას თავი არ უნდა დაამადლო. ეს ბედისას სიტყვებია. ელდართან დამწვიდობების შემდეგ უძილომაც კი იმიტომ მოვიხალისე, რომ ახლა უკვე ბედისასთან მივდივართ. ელდარი მაინც ბედია არ არის.

მოგზაურები უკვე ათიოდე დღე იყვნენ გზაში. კიდევ სამი დღეც და მაღალმთიანი ხატულა სოფლის გარეთ, ბაადურისთვის უკვე ნაცნობ რძესავით თეთრ და ქაფიან ჩანჩქერთან რაზმს სახეგაბრწყინებელი ბედია დახვდა. ბედია წინასწარ გაფრთხილებული იყო, რომ პატარა ლაშქარი ეწვეოდა და შეტყობინებებიდან ყოველ დღე მათ გამოჩენას სდარაჯობდა. ბედისას თავისი მოწაფეების დახმარებით ჩანჩქერის მახლობლად წყნარ ახოში სტუმრებისთვის ლაშათიანი ქოხი ჩაედგა და რიგიანადაც მოეწყო.

ქოხმა ყველა აღტაცებაში მოიყვანა, მხოლოდ თვითონ ბედია იყო უქმაყოფილო, რომ ყველაზე უფრო ძვირფას სტუმრებს, ვინც კი მას შეიძლება სწვეოდა, იგი ქოხში აბინავებდა.

— შენ იცი, რომ მე ყველაფერს გიჯერებ და ამიტომ ზოგჯერ ბოროტად იყენებ ჩემს ხათრიანობას. — ცალკე უსაყვედურა მან ბაადურს. — რა ახირებაა, ტყეში დავბინავდებითო, რომ შემომითვალე? როცა სახლიც გამაჩნია და კარიც. თუმცა საკუთარი არა, მაგრამ ისეთი, სადაც სტუმარს თავს ევ-

**გიორგი ბელაშვილი**  
პროფესორი, მწიგნობარი

ლებიან, რაც შენთვისაც უკვე ცნობილია.

— ეს ახირებო ან არის. — დაამშვიდა იგი ბაადურმა. — მე წერილშიც დავისაბუთე, რომ ამდენი ხალხის ერთად შესვლა ნებისმიერ ოჯახს შეაწუხებს. და კიდევ, არ მინდა ბიჭებმა გულში ჩაიხვიონ, რატომ გავაწიბლე ერთი მასპინძელი და არ გავაწიბლე მეორე. რაც არ უნდა იყოს, ელდარი მათი მასწავლებელი იყო.

ბედიამ იმას მინც მიიღწია, რომ ყველანი სოფელში ვადაიყვანა, სადაც დეიდა მარომ და ძია ექვთიმემ, მათმა ვაჟმა და რძალმა, ბედიას დედამ და ნანიმ სასიხარულო სტუმრებს დიდი ამბით უმასპინძლეს. ხოლო მეორე დღეს ბედიამ თვით მასპინძლები ახოში ბანაკს აწვია.

ერთმანეთს გადაებნენ ხალხიანი დასვენების დღეები და შეუქმნევლად გაეპარათ მთელი კვირა. ხოლო, როცა ბანაკი აიყარა, შემდგომი მიმართულებით რაზმთან დამგზავრება გამოაცხადა ბედიამ და რაზმი გამოუთქმელმა სიხარულმა მოიკვა. მათ სიამოვნებით გაყვებოდა ნანიც, მაგრამ ნანი უკვე დედა იყო, ბებბას მოსახელე ჯერ სულ თოთო მაკა კი არც სახლში დაიტოვებოდა და არც მოგზაურობაში წაიყვანებოდა.

ქალიანობის გამო ბედია იგივე უილაჯო მართლებას მიმართავდა, რასაც ყველა პირველშეძენილი ქალიშვილის ახალგაზრდა მამა.

— ვაჟაკებს პირველი ქალიშვილი უჩნდებათ.

ბედიას თანხლებით შემდგომ მოგზაურობას ხალხის მიემატა. თუმცა ამინდი თანდათან გაუარესდა. თუ მანამდე უღრუბლო წყნარი დღეები იდგა, ახლა ყოველ საღამოდან წმინდად ქინქვავდა და საერთოდ მოგზაურობა არც სულ შეუფერხებელი და უფათურაყო იყო. მაგრამ არავის დაუწუწუნია ან უნანია. მხნედ და შეუღრეკლად მიაბიჯებდნენ გზაზე და გზადაღლებითაც. წვიმიან ღამეებში სახელდახელო ქერქვეშ კოცონთან ჯდომასაც თავისი ეშხი აღმოაჩნდა.

როცა თბილისამდე ოციოდე კილომეტრიდა რჩებოდა, წინმიწავალი ბაადური უკანასკნელ გზაგასაყარზე შეჩერდა. დანარჩენნი მას ორივე მხრიდან გაუსწორდნენ.

— შევიდეთ ქალაქში, მოვინახულოთ ჩვენიანები და გზა მერე განვაგრძოთ თუ აუუქციოთ?

ბაადურმა შეკითხვა დააყენა ზოგადად, მაგრამ პასუხს იგი უცდიდა მხოლოდ ტიეტსა და გურისგან, რომელთა მშობლებმა საიმედო აღამიანს კი გააყოლეს შვილები, ოღონდ, ცხადია მათ გულიც თან გაატანეს.

— აუუქციოთ! ჩვენებს კი ჩვენი თავი მეტად მოვანატროთ, — ერთხმად და ულომბლად განაცხადეს ტიეტმ და გურიმ.

## ნაწილი მესამე

### I

მთელ იღუმალს საოცრად ეცვალა სახე და ხალხიანი სიცოცხლე ჩასდგომოდა. უკვე აგებულიყო ბევრი ახალი კოპწია და მკვიდრი სახლი, უფრო მეტი კი ახლა შენდებოდა. კარმიდამონი და ორღობეები, რუები და ბოგირები სანიმუშოდ მოწესრიგებულიყო. ზვრები და ხეხილის ბაღები მოცოცხლებულიყო. აღამიანები, საერთოდ, და

უფრო კი ბაღობა თვალსაცემად მომრავლებულიყო. სოფლის ახალგაზრდა და უფროსი თაობის აღამიანების უმეტესობას ბაადური და ბედია მათიანების ომისდროინდელი მოთქმით იცნობდნენ. ახალა გაეცვენენ პირადათაც, ვისაც შინ დაბრუნება ხვდამოდა. მაგრამ ისინი ძველი ნაცნობეებით მოკეთურად შეხვდნენ ერთმანეთს, და მას-

ბინძვებს შორის სტუმრებზე ნამდვი-  
ლი ცილობა გაიძარბა.

მათ ისევ სტუმარი, ბაადური აზავე-  
ბლა და აწყნარებდა.

— მე ნამდვილი შრომის ყადრი პირ-  
ველად ამ თქვენს სოფელში გავიგე. ასე-  
ვე ბედიამაც. ახლაც მკლავი გვერჩის და  
საქმეში მოგვსინჯეთ.

საქმე, სასოფლო და თავისიც, ყვე-  
ლაზე მეტი დათა მორბედაძეს აწვა და  
მისი გაშმაგებული წინააღმდეგობის მი-  
უხედავად ბაადურმა, ბედიამ და ბიჭებ-  
მაც მკლავები სწორედ თავმჯდომარის  
კარმიდამოზე აიკაბიწეს. სახლი მართ-  
ლაც დიდი წამოეწყო დათას, კედლები  
კი ზოზონით მაღლდებოდა, რადგან კო-  
ლმეურანობის საზრუნავით დაზურგულ  
დათას თვითონ სამისოდ მცირე დრო  
რჩებოდა. სხვას კი დათა იშვიათად იხ-  
მარდა.

დათამ ბევრი იჯიუტა.

— თქვენ აქ დამსვენებელ სტუმრე-  
ბად მოგელოდით და ვერგვეც უნდა შე-  
იფეროთ. სახლს კი დღეში თითო აგუ-  
რიც რომ მივუშატო მაინც დავამთავ-  
რებ. თითო აგურიც ხომ ნუცას წილია  
მისათვლელი!

— მაინც ძალზე ცოტაა. დღეში ორა  
აგურით შორს ვერ წახვალ. ჩვენ კა  
თავმჯდომარის მაღალი სახლის აივანი-  
დან გარემოთი თვალის ტკბობა გვეშუ-  
რება. — შეეხუმრა მას ბედიამ.

— შენ მხოლოდ ერთი ოსტატი მოგ-  
ვიჩინე, რომ კედლები აფრაკი არ გამო-  
გვივადეს. დანარჩენი ჩვენ ვიცით. —  
დაასკვნა ბაადურმა. — ბინად კი ისევ  
სკოლა!

— დიდებულია! — გაენარდა ბე-  
დიას.

— აი, ეგ უკვე მეტისმეტია! — შეი-  
ცხადა დათამ. — ახლა ჩვენს ყოველ  
მეკომურს თავისუფლად შეუძლია ერ-  
თი მუჭა სტუმრების მიღება. თქვენც  
ერთი მუჭა არა ხართ?

— ჩვენ მაინც სკოლა გვირჩევნია.  
— ძალზე მოეწონა ბაადურის აზრი ბე-  
დიას. — ლოგინადაც ისევ თივა.  
სურნელოვანი და ჩვილი თივა. სურ-

ნელოვნებას თივას მინდვრის დამჭენა-  
რი ყვავილები აძლევს. ასე ისურვებდ-  
ნენ ხოლმე ძველ დროში დიდგვაროვ-  
ნები. გავვიფინეთ ასეთი თივა და რომ  
ყველაფერი თავის ყადრში იყოს, ზე-  
ვიდან კიდევ ნაბლები დაგვაყარეთ.

დათას არც ერთი უარი გაუვიდა,  
არც მეორე.

იწყინეს და ითაკილეს სტუმრების  
სკოლაში გაჩერება გულრბილმა და  
ხელგაშლილმა ვარინკამ და ალექსი-  
ნაც.

— ეს ჩვენი მამაბაბური სახლი სიძ-  
ველით არ დაიწუნებოდა და ყველასაც  
დაიტევდა. როგორც იამებდნენ, ისე  
ყოფილიყვენ. გინდ ისინი ოთახში, მე  
და დედაკაცი კი გარეთ, გინდაც შებ-  
რუნებით. — დაინანა ალექსი ლიაშ-  
ვილმა და გულწკაულობა ეწერა სახე-  
ზე ვარინკასაც.

ალექსი ბედიამ გააჩუმა. იმით გა-  
აჩუმა, რომ უხსენა მისი ხელქმნილი ნა-  
ტიფი ფანდური, რომელიც არსად ისე  
ტკბილად არ ხშიანებს, როგორც თბი-  
ლისის ერთ იკანტელ მყუდრო ქუჩაზე  
მცხოვრები დობილების პატარა ოთახ-  
ში, და რომ ის ნარნარი ქღერა ყველას  
სწორედ საყვარელ სოფელ იღუმალს  
აგონებს ხოლმე.

მაგრამ არა თუ სტუმრები, თურმე  
ქეთევანიც თავისი სახლიდან ორ ნაბი-  
ჯზე, სკოლაში დაიდგა ბინას, რახან  
თვეზე მეტია ყოველგან ერთ თავშესა-  
ფარში ყოფილან და ასევე ეკუთვნო-  
დათ ახლაც. ვაჟების გვერდით ოთახში  
კი ქეთევანთან ერთად იქნებოდნენ მი-  
სი თაოსნობის სიამოვნებით ამყოლი  
ერთგული დობილები, საარდადეგოდ  
სოფელში მასზე აღრე ჩასული თებრთ  
და ნუცაც, დათას მეუღლე, ეს უკანას-  
კნელი თავისი პირველი აცნით. დათას  
და ნუცას ბიჭი ჰყავდათ და მას პაპისა  
და ბიძის პატივსაცემად შაქრია ერქვა.  
ომში დაღუპული მამა და შვილი სეხნი-  
ები იყვნენ.

ვიორგი ჯალაღვილი  
ბვიზარავს მრავალი მძრი

თუმცა ქეთევანი გულში ნაწყენიც იყო, რომ ბაილუსს საკუთარ სახლში ვერ მასპინძლობდა, როგორც ჯერე შეპირდა. სამაგიეროდ, თითქმის სკოლაში ვადმოსახლდა ვარინკაც და მთელი სოფლის სტუმრებს საკუთრობდა და მარიფათიანად პატრონობდა.

2

შენებლობაზე სოფლის სტუმრების მუშაობას წელში ორად მოკეცილი და დიდიხნის ქალარა, მაგრამ საოცრად მარჯვე ოსტატი ხელმძღვანელობდა. ვაყები უშუალოდ ხარაჩოებზე შრომობდნენ, ქალები კი მათ დაბლიდან ეხმარებოდნენ. ბედიას განსაზღვრით მუშაობა დღულდა და გადმოდიოდა.

დღისით მათ, როცა უხერხდებოდა, აქოშინებული დათა დახედავდა ხოლმე, და თან ჯავრობდა, თან ებოდიშებოდა. უკვე მთვარიანში კი, სხვა საქმეებიდან მოკლილი დათა ყველას გაფანტავდა ხოლმე და ხარაჩოებზე გაცხარებული მარტო ირჯებოდა. ასეთ დროს მას ქალაქლებიც ადვილად უთმობდნენ. დასვენებისა და გართობის უფლება მათ დამსახურებული ჰქონდათ, ამინდიც ისევ ხელს უწყობდათ და ისინი სოფელში და მის მიდამოებში ხალისიანი დასეირნობდნენ.

სოფელში უკვე ისევ აღორძინებულ იყო ომის დროს ჩამკვდარი ოდითგანის ლამაზი ჩვეულება — სადამოს ღზინი ცეკვა-თამაშითა და სიმღერებით, მოსწრებული ქილიგობით. ქალაქლებსაც ეს იზიდავდა. ბედიას კი სულაც ყველა გართობის შუაგულში ექცეოდა და მასზე ახალგაზრდებს შორის ნამდვილი ტაციობა და წეწვა-გლეჯა იყო ხოლმე.

ტიტემ, გურიმ და ლევამ კი აქაც თავიანთი კედლის გაზეთი გაიხსენეს და ზედმეიოლებით რამდენიმე საღალღობო ნომერი გამოუშვეს, რომლებიც უკვე არა მარტო საკუთარ წრეს, არამედ მთელი სოფლის ცხოვრებასაც მოიცავდა. ამიტომ კედლის გაზეთი იკიდებოდა იქ, სადაც ღზინი იმართებოდა, წყაროსთან სოფლის საკრებულო ტაფობზე, და

მას მკითხველი მუდამ ბლომად ეხვეოდა. მკერდგამოფატრული ბებერი კაკლის ხის ქვეშ მკითხველები სიცილისაგან იგუდებოდნენ, თან ერთი გაზეთის სამრედაქტორს ვაოცებული რიდით ხელახლა თავიდან ფეხებამდე ზომავდნენ.

ნაყოფიერ შრომასა და მხიარულ გართობაში დღეები სწრაფად გადიოდა. ხოლო, შვებულებაა თუ არდადეგები, მთელი კუთვნილი დასვენების დრო ისე არ უნდა გაილიოს, რომ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებულ კაცს სადგურთანვე სამსახურში ან სასწავლებელში გამოცხადება უწევდეს. როცა შეგნებულია, რომ მოვალეობის შესრულება მოუშვადებლად არ უნდა განახლდეს, მაშინ იგივე შვებულებას თუ არდადეგებს კრიჭამდე არ მიიყვანენ. მიზანშეწონილია ორიოდღე დღით ადრე დაბრუნება ადგილზე, სადაც პიროვნება მოღვაწეობს, და ვითარებანი, რომლებიც შეეხება, მოსინჯოს. კიდევ, ბინაა გასანიავებელი, ზოგი რამ ახალი შესაძენი, თავსაც ხელახლა ყოველდღიური ცხოვრების ღიანდში ჩაყენება უნდა. ისიც ნიშანდობლივია, რომ როგორცადაც თავისი გუნების კუთხეში არ უნდა იყოს წასული კაცი, მისი დატოვება ძლიერ არ დაენანება, თუ კი მშობლიურ ქალაქში მიეშურება.

ქალაქლებიც ასეთ თადარიგს ისახავდნენ. მაინც მეტნაკლებად ყველას ენანებოდა სოფელი იღუშალი. სამაგიეროდ, სოფლის ყველა მკვიდრს გულაძლიერ სწყუდებოდა, რომ ისინი სადაცაა გამოემშვიდობებოდნენ.

როცა მათი გამგზავრების დრო მოახლოვდა, უკვე შეუვალი ბრძანებით დათამ სტუმრებს ყოველგვარ სამუშაოზე ხელი ააღებინა და დარჩენილი დღეები სრულ განცხრომაში აძყოფა. გამგზავრების მთელი წინა დღე კი მთვარის დაბნავებამდე საყვარელი და დაუეწყარი წისკვილის ლამაზ ქალაში გაატარებინა.

დათა მადლიერი იყო, ვაოცებულიც და ცოტადღენ დაბნეულიც. სამივე განცდის მიზეზი კი ერთიდაიგივე ჰქონდა.

არ მოელოდა, რომ ქალაქლებს, მათ შორის მოზარდებს, აგრეთვე ქალებს, იმდენი შეეძლებოდათ, რამდენიც შეძლეს. მათი მეშვეობით სახლის ყველა კედელი თითქმის გასრულდა და გადახურვას წინ აღარაფერი ედგა. ხოლო გადახურვის შემდეგ, რაკი, როგორც ნათქვამია, თავზე ქული ექნებოდა, შინაგან მოწყვრიგებაზე დარშიც და აედარშიც მუშაობა ერთნაირად ხელშეუწყლელად შეეძლებოდა. ამას კი დათა მართლაც მარტოც აუვიდოდა.

ქალაში კი დარის წყალი მოშხუოდა და წისქვილის საარეკელა რეტრეტებდა.

სოფელში უკვე ლაპარაკობდნენ, ზოგი დანანებით, ზოგიც სიამაყით, რომ მალე მამაპაპურ წისქვილს მანქანური ფქვა შეენაცვლებათ. ამიტომ ეს ერთი დაბეჩავებული ბუქულაც საგანგაშო გამოყრუების წინ თავისი დაუფასებელი ღირსების თითქოსდა ერთხელ კიდევ გამოჩენას ეშურებოდა.

ნეტარი ღამეც გაილია და ქალაქელები თბილისში მატარებლით გაემგზავრნენ. ასე წინასწარ იყო დათქმული, რათა თავთავის საქმეს დასვენებული შესდგომოდნენ.

3

ბევრი ნანახი და განცდილი, რაც ყველა მოგზაურს უგროვდება, ისეა როგორც ზღარბის ნადავლი. თითქოსდა, რომ არც უნდა რაიმის მოპოება, მაგრამ მილოდავს მცენარეთა ძირებს შორის და ჩამოცვნილი ნაყოფიც და ფოთოლიც თავისთავად ეკვრება და ასე იტივრთება.

ბაადურსაც ასე დიდძალი ნადავლი — მრავალი საგულისხმო შთაბეჭდილება ჩაჰყვა სახლში. მოგზაურული შთაბეჭდილებანი კი ყველაზე სიტყვატუნწუ კაცსაც აალაპარაკებს. ბაადურმა უჩვეულო აღვზნებით გაუზიარა ამხანაგებს რედაქციაში, რაც ნახა და აღიქვა. მაგრამ მოსაყოლად ჩვეულებრივ უფრო ვარგობს გულისამფართხალებული

თავგადასაველები, რაც ბაადურს და მის რაზმს არ გადახდენიათ, ვადრე თუნდაც მეტად შთამბეჭდავი, ოღონდ უდრტვინველი სურათები აღამიანთა ყოფისა და ბუნებისა. სხვა ეშხი ექნებოდა თუ ეს შთაბეჭდილებები შევსებული და გამდიდრებული მხილველის პირადი მსჯელობით, სახალისო გადახვევებით, ქალაღლზე შემეცნებითი ხასიათის დოკუმენტურ მოთხრობად ჩამოყალიბდებოდა.

ბაადური მუყაითად ჩაუჯდა ჩანაფიქრის ხორცშესხმას და საქმემ გაუმართლა.

ფურცლები სწრაფად ივსებოდა ძალღუტანებელი ნოთხრობით და მრავალი ცხოვრებისეული სურათით, დაკავშირებული მოხდენილი გამონათქმევით.

ბაადური საჩოთიაროდ მიიჩნევდა, რომ მოთხრობაში საკუთარი თავი წარმოეჩინა. ხოლო, რაკი არ ჩანდა თვითონ, არ იყვნენ დასახელებული არც მისი თანამგზავრნი. მათთან ამისთვის ბოღიშის მოხდის მაგივრობას კი გასწევდა თვით ნაწარმოები, რომლიდანაც იხინი სიამოვნებით შეიცნობდნენ მთელ თავის ტკბილმოსაგონარ მოგზაურობას.

როდესაც მოთხრობა დაახლოებოდა ერთ თვეში დაამთავრა. ბაადურმა ის ყველა თავის თანამგზავრს ერთად წაუკითხა. ბაადურს საერთოდ არ ჰქონდა ჩვეულება ხელნაწერების ვინმესთვის წაკითხვა. ოღონდ, ეს არა ქედმაღლობით, მხოლოდ რიღით, რომ მომსმენი იძულებული არ გაეხადა შემეჩები შემფასებელი ყოფილიყო.

ამჯერად კი წესის დარღვევა თავისთავად მოითხოვებოდა.

თანამგზავრთ, მოსალოდნელი იყო, ივივე რაც ერთად იხილეს, განიცადეს, სხვა თვალთაც ჰქონდათ დანახული და აღქმული, და მათი შეხედულება ნაწერისადმი მოთხრობის დახვეწის ჯროს გამოადგებოდა.

**გიორგი ვალაშვილი**  
გვიფარავს მრავალი ზერი

ვინ და რაღა არ იყო საკმაოდ ვრცელ მოთხრობაში!

მოხუცი გზის ოსტატი და პატარა მწყემსი, გულღია შოფერი და გზაში-შლილი კენტი ტურისტები, სოფლის მალახის შეღაზიანდარებული გამგე-გამყიდველი და მორღვეული ტაქსის დახავსებელი მეთვალყურე, კოლმეფურნიობის ფიცხი ახალგაზრდა ბრიგადირი თავისი მარჯვე გოგო-ბიჭებით და გზისპირზე საქსოვით ჩაკუნტული დედაბრები, მეჭურჭლეები, მასწავლებლები, ფოსტალიონები, მეზვრე-მებაღეები, მეტყვევები, მონადირეები, უბრალოდ ფეხოსანი და ცხენოსანი მგზავრები, მრავალი სხვადასხვა მოსაქმეობისა და ხასიათის ადამიანები.

ადამიანების ირგვლივ კი — პური-სა და სიმინდის მოვასვასე ყანები, დანა ბღ-ბოსტნები, ყურძნით დახუნძლული ვენახები, პიტალო კლდეები და ლურჯ მთათა კუნწუხები, ვრცელი იალაღები და ნაირფერი მინდვრის კვავილები, ნამშეუმშრალი ტყეები და ტეგრში გაბლანდული იკლიბაკლო ბლიკები, კოპწია ყუჩი სოფლები და განმარტობული დუღუნა წისქვილები, შფოთიანი მდინარეები, კამკამა წყაროები, კიდევ მრავალი სხვა ბუნების ნამადლი და ადამიანის ნაღვაწი.

წვრილად იყო აღწერილი დამის თევანი და დამის სათფენი — მუშამბით მოწყობილი თავშესაფრის გარდა არაერთი ქოხი და ბუჭუნტო, მეტყვევისა და მონადირის სახლები, სხვა ჩალური თუ დარდაღინა ბინები, რომელთა ჰერიც იფარავდა მოგზაურებს. ისინი ძალზე ბევრი აღმოჩნდა და ახლა მოგზაურობის დაჯამებისას გოცებასაც იწვევდა, რომ ადამიანთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა დაახლოებით ორი თვის მანძილზე თურმე შეიძლება ამდენი დამის სათფენი მოინაცვლოს.

მდუმარედ და გატაცებით უსმენდა ბაადურს ქეთევანი. დროდადრო სკამზე კმაცოფილი ტოკავდა და კრუტუნებდა ბედი. ხოლო აღტაცებული ბიჭები ტაშითაც მიესალმებოდნენ ნაცნობი სუ-

რათების ზუსტ ასლს, რომელთაც მოთხრობა წარმოუდგენდა. თუმცა გურო ცოტას მაინც მზაკვრობდა, მან სუფრის ქვეშ ტიტეს ხელიდან გამოსტაცა მოგზაურობის დროს გადაღებული ფოტოსურათების დასტა და მოთხრობაში აღწერილი რომელი ადგილიც კი, ან შემთხვევა, გადაღებულიც იყო, ყველა ერთმანეთთან შეაჯერა.

კითხვის ჩათაგების შემდეგ ოთახში ერთხანს სრული სიჩუმე იდგა.

— ახლა, შენიშვნები! — მოსთხოვა ბაადურმა აშკარად ნასიამოვნებ მსმენელებს.

— ამ უდამაჯერებლესი მოთხრობის ირგვლივ შენიშვნები როგორ შეიძლება! — ყველას დაასწრო აღგზნებულმა გურიმ და სურათები მაგიდაზე დაყარა გური მუდამ თითქოს ფეთქებადი ნიეთიერებით იყო დატენილი და მისი წამოძახება ტყვიის გავარდნას ჰგავდა ხოლმე. — თქვენი აღწერილი სურათები ფოტოებზე უფრო სრულიც კია! და ეს არა იმიტომ, რომ ფოტოები ტიტეს გადაღებულია.

ბაადურმა კი მას ჩვეულებით ცხვირში წკიპურტი ჰკრა.

ასევე თავგამოდებით შეუქო ბაადურს ნაწარმოები ტიტემ, ზომიერად, მაგრამ გულწრფელად ბედიამ, უფრო თავშეკავებით და მორცხვად ქეთევანმა. გატრუნული ლეგას დამოკიდებულება კი მონასმენისადმი ის იყო, რომ თვლებში ცრემლი მოსვლოდა.

ალალი შექება ყველას სიამოვნებს. ეამა ბაადურსაც. მაგრამ ის გულნაკლულიც იყო, რომ მოთხრობამ ვრცელი მსჯელობა არ გამოიწვია. თუმცა, ტიტეს და გურის, როგორც საერთოდ მოზარდებს, რომელთაც რაიმის წაკითხვა ან მოსმენა აღგზნებამდე აღაფრთოვანებთ, ნაწარმოების მიმართ ზედმეტი ასოკრიკიტი მკრეხელობად მიიჩნდათ. უკვე სახლში მათი წასვლის დროც იყო და კიდევ რომ ტვინისთვის ძალა დაეტანებინათ, ნაწარმოების წვრილმანში ჩაღრმავებას ვერ მოასწრებდნენ.

ქეთევანმა და ბედიამ მოთხრობაზე

ვრცლად და სიამოვნებით იმსჯელეს ბიჭების გარეშე, უკვე ქუჩაში, როდესაც ბაადური და ბედია ქეთევანს სახლში მიაცილებდნენ. ცხოველ საუბარში კარგად დრო გავიდა და ქეთევანის მიცილებისთანავე ბედია ავტობუსში ავირდა, რომ სადგურში მატარებლისთვის მიესწრო. ბაადური კი სახლისკენ მარტო, ფეხით გაემართა. დინჯად მიდიოდა და ფიქრობდა მოთხრობის სასარგებლო დამატებებზე, რომლებიც ბედიამ და ქეთევანმა ფრთხილად უჩარნახეს. სახლში რომ შევიდა, უკვე შუალამე გადასული იყო და ლევას სინათლე არ ენათო. სინათლე ანთო ბაადურმა და დაინახა, რომ ლევას არ ეძინა. იწვა, მაგრამ თვალები ეხილა და ჭერს მისჩერებოდა. ბაადურმა მას ფიქრები არ დაურღვია, სინათლე ისევ ჩააქრო და ტანსაცმელი ისე გაიხადა.

— ძია ბაადურ! — უკვე ისიც ლოგინში იწვა, როცა ლევას ხმა მოესმა.

— ჰო, ლეგა.

— ძალიან ლამაზი მოთხრობაა.

— მეც ძალიან მიხარია, რომ მოგწონებოდა. სხვა რა? შენ მგონი, კიდევ სათქმელი გაქვს.

— ჰო, მაქვს.

ლევას რჩევები აღმოაჩინდა, არსებითი, საყურადღებო, მისაღები და ბაადურსაც ჭკუაში დაუჯდა, ისევე როგორც ბედიასა და ქეთევანის შენიშვნები. ვინა თქვა, რომ კაცს შენიშვნები ყოველთვის ეკალივით ესობაო? გააჩნია, როგორი გრძობით გამოითქმის ეს შენიშვნები! ბაადურს ყველა ამ შენიშვნაში მისი ნიჭის უფრო გასამღელი ბიძგის მეტი არაფერი დაუნახავს.

ბაადური კმაყოფილი და გაოცებულიც ლევას მოულოდნელი საზრიანობით, ჯერ ლოგინში წამოჯდა და ხელახლა ისე ჩაუკვირდა შენიშვნებს, რომ ლეგასაც ლეგამ უფროსისადმი კრძალულობით რჩევები უწოდა. საბოლოოდ ბაადურმა ის გააკეთა, რომ ლოგინიდან ადგომა არ დაიხარა, ლევასთან მივიდა. ბალიშიდან თავი აუწია და ლოყაზე აკოცა.

— მე ისევ პატარა მგონიხარ. სინამდვილეში კი შეუმჩნეველად დამბრძანებხარ.

ბაადურს საერთოდ აღერსი არ გამოუდიოდა, კოცნა ახლა მხოლოდ სიბნელეში გააბედვინა. კოცნაზე ლეგა სიამოყით გაინახა. მალე მას მშვიდილად ჩაეძინა.

ისევ დაწვა საადურიც. ლოგინში მას ახალი ფიქრები ეწვია. ლეგა მას თვალსა და ხელს შუა წამოეზარდა. იგი გონიერებას იჩენდა, გემოვნებას ამქლავებდა. ბაადური მას დარიგებებით არ ღლიდა, ჩიჩინით არ აბეზრებდა. უბრალოდ ცდილობდა პირადი ცხოვრებით მაგალითი ყოფილიყო მისთვის და ეს მასწავლებლების ამავთან ერთად ლეგაზე კეთილყოფელ გავლენას აშკარად ახდენდა. ლეგაზე და აგრეთვე ტიტესა და გურიზე.

— შენ მასწავლებლობას უგანე, მაგრამ მასწავლებლობა მთლად მაინც ვერ აგცდა. — ამიტომ შეეხუმრებოდა ხოლნე ბაადურს ბედიამ.

4

ახლა ლეგა და მისი მეგობრები უკვე ნამდვილად გარდამავალ ასაკში იყვნენ. ამ ასაკში ლევას არ დამჩნევია საგანგაშო ჩვევები. ანდა, ურჩობა. მაგრამ დასაყურადღებელი იყო მისი გონებრივი ზრდა, რომ გარემოს შეცნობის ირგვლივ საკუთარ თავთან მის მსჯელობას სახიფათო დასკვნები არ წაჰკერებოდა. ლეგა კვლავ სანიმუშოდ დამჯერიც იყო. ოღონდ ახლა დამჯერობა უნდა განეგრძო უკვე არა მხოლოდ უფროსისადმი უმცროსის საყოველთაო მორჩილების კანონით, არამედ მითითებათა სისწორის საკუთრადაც შეგნებით. ამიტომ აუცილებელი ხდებოდა ყმაწვილის ცხოვრებაში თანდათან უფრო ცხოველი ჩარევა. მასთან ერთგვარი გატოლებატრათა ფიქრებს, რაც ყველა ჩვილმეტი წლის ჭაბუკს ისე უმრავლდება, რომ

გიორგი ბალაშვილი  
გვიზარავს მრავალი ვერი



გორც გამოგზავნულ მცენარეს კვირტები, გამოსავალი, მამასადამე, უფროს მეგობართან ძალდაუტანებელ საუბარში გარკვევა მისცემოდა. მერე-და, ხომ სწორედ კვირტებივით ფეთქდებიან ყმაწვილკაცთა გონებაში ახალ-ახალი აზრები!

იგივე ჩვიდმეტი წლის ჭაბუკებს უჩნდებოდა პირველი ნამდვილი საიდუმლოებანიც, რომლებსაც ისინი არ უმხელენ ყველაზე ახლობელ უფროს ადამიანებსაც კი, მათ შორის მშობლებს, დებს, ძმებს. სამაგიეროდ, ანდობენ მეგობრებს. საიდუმლოს გაჩენას ვერცინ გარდუვა. ოღონდ, საიდუმლო უნდა ღირდეს იმად, რომ გულით ატარო. საიდუმლო არც მარტო ჩანადენის გულში ჩამარხვა არის. საიდუმლო ხშირად მიზანსაც წარმოადგენს. არ ინიშნებოდა, რომ ლევას, გურის და ტიტეს რაიმე თვითუღს ცალკე ან ყველას ერთად ჩადენილი ჰქონოდათ. მაგრამ აშკარა იყო გულისნადებს მხოლოდ ერთმანეთს უზიარებდნენ.

ბიჭები ამავე დროს კინოთეატრებისა და სტადიონების მემუღმივენი ვახდნენ. ხოლო მარჯანიშვილის თეატრში, რომელიც მათი სახლებიდან ორ ნაბიჯზე იყო, თითქმის შინაურები იყვნენ. მათ ხშირად გაეტირებოდა ხოლმე ლევაზე მუდამ გულშექანებული, თავისი ნასათუთევი ყვავილებივით ნარჩარა გოგო ციური და ლამის გულამოსკვნილი შეედავებოდა ხოლმე გურის და ტიტეს.

— სად მიგყავთ? რატომ მიგყავთ?

— შენი საქმე არ არის!

— ნუ წაიყვანთ, რა?

— შენ თუ ძალიან გენანება, შენც ჩვენთან წამოდი.

გოგონა სიხარულით ინთებოდა, მაგრამ უცებ იქუშებოდა ლევა.

— მოდი, ნულარ წავალთ, დავრჩეთ სახლში და ვიყოთ ჩვენთვის.

ამრიგად, ბიჭებს თავიანთი ცალკე სამყარო ჰქონდათ.

უფროსებს, მათ რიცხვში ბაადურს, ბიჭებისთვის საიდუმლოებანი არ უნდა დაეტყუებინათ. მაგრამ რაკი იგრძნო-

ბოდა, რომ მათი ხშირი ალტკინებულობა, ჩურჩული სახუკვარ მიზნებსაც შექნებოდა, გონივრული რჩევის მიწოდების აზრით ზედმეტი არ იქნებოდა უფროსებს ბიჭების ზოგი გულისნადები მინც სცილნოდათ. ისინი თუმცა შეგნებულნი, მაგრამ ჯერ კიდევ მოზარდები იყვნენ. მათ ყველა ვითარებაში მარტოდენ თავისი ვაგება არ ეყოფოდათ. ყოველშემთხვევაში, უფროსების აზრი მათ ფიქრებს მკაფიოს თუ გახდიდა, თორემ არაფერს ავნებდა.

ამ შეგნებით ბაადურმა მათთან, პირველ რიგში კი ლევასთან, მეტი გულახდილობა დიკანონა, რასაც მისი ფიქრით უმცროსებიც იგივე პირდაპირობით უპასუხებდნენ.

5

ყოველად მოულოდნელად ბაადურს სახლში ყუქუნა მოველინა და პირდაპირ იმას შეეხო, რამაც მოიყვანა.

— შენ მართლა გინდა, რომ ელდარს შევუბრუნდეთ?

ბაადური კარგ გუნებაზე იყო. ჟურნალმა სიამოვნებით მიიღო მეგობრების შენიშვნების მიხედვით რამდენადმე გადაშუშავებული მისი მოთხრობა და უკვე ბეჭდვაც დაიწყო გაგრძელებებით. ბაადურს სწორედ ჟურნალის ახალი ნომერი ედო წინ, რომელშიც მხატვრობითურთ დაიბეჭდა მოთხრობის პირველი ნაწილი. კითხვისას კი სიხარულთან ერთად განიცდიდა შიშსაც, ვინცო-ბაა გაპარული იყო კორექტურული შეცდომა. მაგრამ სტუმრის გამოჩენაზე მან დასთმო ისეთი სრულიად განსაკუთრებული სიამოვნებაც კი, როგორიც საკუთარი ნაწარმოების დასტამბული სახით ხილვია.

— რატომაც არ უნდა მინდოდეს! მაგრამ თქვენი შერიგება ჩემს სურვილზე არ არის.

— შენ რჩევა მომეცი. მე შენი მუდამ მჯეროდა და ახლა, რთულ ვითარებაშიც, მინდა ისევ შენ მითათბირო.

— მე ჩემი სურვილი გამოვთქვი და თავზე მეტს ვერაფერს ავიღებ.



— აზრიც მითხარი. საქმე შეეხება არა თავდაპირველ ამბავს — გათხოვებას. არამედ ყოფილი ცოლ-ქმრის შერიგებას. ამიტომ მიზანშეწონილია საქმეში მესამე, ჰკვიანი ადამიანის ჩარევაც, რომ ვინცთბაა შევრიგდეთ, შემდეგ ისევ არ გავიყაროთ. ერთხელ გაშორებაც სირცხვილია, მეორედ კი თავის მოჭრას უღრის.

— მე ასე ვხვდები, ჩემი და ელდარის ამწინანდელი საუბრის შემდეგ მის სოფელში, რომელიც უმთავრესად შენ შეგეხებოდა, თქვენ ერთმანეთს შეხვედრილხართ.

— თქვენ მის სოფელში არ ვისაუბრიათ. სოფლის გარეთ კოცონთან მჯდარხართ. სახლში მას შენი და შენი თანამგზავრები ვერ მიუღიხართ. მე და ელდარი კი მართლაც შეხვდით. ელდარმა სწორედ თქვენი საუბრის შემდეგ საგანგებოდ მინახულა.

- შევრიგდეთო?
- რაც მოხდა-მოხდა, დავივიწყოთო.
- შენ რა უპასუხე?
- მადროვე-მეთქი.

— ეს ერთგვარად უკვე დადებითი პასუხია. როდემდე უნდა გადროვოს?

— მე მოვითხოვე, სანამ ბაადურის აზრს ჩემი ყურით მეც არ მოვისმენ-მეთქი.

— შენ ჩემთვის გათხოვება არ გიკითხავს.

— გათხოვება ზოგჯერ აცეტებით ხდება. ქალი ქარაფშუტდება. მშობლებსაც კი არ ეკითხება.

— შენი ქარაფშუტობა მე არ მახსოვს.

— იმ ერთხელ ვიქარაფშუტე. ახლა უფრო კუყუადამჯდარი ვარ. კიდეც თუ მარტხი მომივიდა, ჩემს თავს აღარ ვაბატებ.

- ყური დამიგდე, ჟუჟუნა...
- გისმენ. მაგისთვის მოვედი...
- შენ ალბათ ვახსოვს, ჟუჟუნა, რომ მე და ელდარი ერთმანეთს გულს ვერ ვუჩვენებდით...

— მახსოვს. უფრო შენ მას ვერ უჩი-

ვენებდი გულს, ვიდრე ის — შენ. მართალი-შენ იყავი. ახლა შენ მართლა მოგიბრუნდა გული ელდარზე?

— როგორ ვითხრა...

— პირდაპირ უნდა მითხრა. შენ ამუღამ პირდაპირ ლაპარაკი იცოდი.

— პირდაპირ და — პირდაპირ იყოს. დიდი ხნის თითქმის უმძრახები ჩვენ ერთმანეთს უცებ გულში ვერ ჩავენუტებით.

— თუ დაეუბრუნდი, საბოლოოდ მე მოგარიგებთ. დაეუბრუნდე?

— დაბრუნება შენი საქმეა. ხოლო, რაკი ელდარს მე ვუბიძგე შენთან შერაგებისაკენ მე და შენი ამწინანდელი შემთხვევითი შეხვედრის შემდეგ, მამასადამე იგივეს გირჩევ შენც.

— შენ ძალიან ფრთხილად მსჯელობ, ბაადურ.

— სიფრთხილაც არის და სიფრთხილაც. მე იმიტომ კი არ ვფრთხილობ, რომ თავს ვიზღვევ. უბრალოდ, არ მინდა ტუტრუცანა ქველმოქმედი გამოვიდე; თანაც-იმ ვითარებაში, სადაც დამსახურება არ მიმიძღვის.

— რა ვითარებაზეა-ლაპარაკი?

— ლაპარაკია იმ ვითარებაზე, რომელშიც ჩემი რჩევა უკვე აშკარად ზედმეტია. ცალკე ვისაუბრეთ მე და ელდარმა თქვენი მომავლის თაობაზე და ცალკე გესაუბრები შენც. ამ საუბრებიდან ჩემთვის ცხადზე უცხადესია, რომ ირივეს შერიგება გინდათ.

— მე ამ ნაბიჯს კეთილგონიერულად ვდგამ. — ფიქრიანი ღიმილით გაამართლა თავისი გადაწყვეტილება ყუყუნამ. — ელდარმა ლამის-მონობა აღმოთქვა. თუმცა, სწორედ ეს არ არის მთავარი. რად მინდა მონა ქმარი? მეორედ მე არ გავთხოვდები. შეილი და ოჯახი კი მინდა-ოჯახის მეგობრებიც მინდა. მე ძალიან მიყვარს სტუმრებიც, რომელთა შორის ყველაზე მეტად შენი დანახვა გამეხარდება. მე იმიტომაც მოვედი შენთან და თითქმის გამოგაძლე შენი დამოკიდებუ-

ვიორგი ვალაუვილი  
გამყარავს-მრავალი მძრი



ლებმა მე და ელდარის შერიგებასთან. რაღა თქმა უნდა, გამაცნობ შენს ვინმე ქეთევანს და გვესტუმრები ხოლმე მასთან ერთად. ელდარმა შენი ქეთევანი ქებით ცაში აიყვანა. შენ მაინც ალბათ თავიდანვე ემიზნებოდი გულის ტოლი სადმე სხვაგან, მაგალითად, სოფელში გეპოვა. ვინც შენს გარშემო ვიყავით, თითქოს ვერც გვამჩნევდი.

— გულისტოლი მართლაც სხვაგან უნდა მეპოვნა (მოხდა, რომ სწორედ — სოფელში), რადგან ისე ძლიერ დაახლოებულუბთან, როგორც ჩემი კლასელები იყავით, გულის აღსარებას მაინც ვერ მოვახერხებდი. ისე კი, ყველას ვინმე მოგვწონდა. ხუმრობ, თერთმეტი ბიჭი და ოცდაცამეტი გოგო! მოსაწონები გვყოფნიდა!

ხსენებზე შეშაბანდის კარი ქეთევანმა შემოაღო. მაგრამ ქეთევანი შეცბა, დაიბნა უცნობი, ლამაზი, მეტად ლამაზი და ამაყი, ძვირფასად ჩაცმული ქალის დანახვაზე, რომელიც ბაადურთან ძლიერ ახლო იჯდა და თავისუფლად ემასლათებოდა. ქეთევანმა უცნობი ქალის თვალებში მაცდური კვესებაც დაინახა.

ბაადური ვახარებული წამოიღო და მიეგება ქეთევანს.

— რაღა შორს გადავდოთ! ახლაც ვაგაცნობ. — თან ქუქუნას მიმართა მან. — აი, ქეთევანი.

ქუქუნა ტახტიდან ცოტაზე წამოიწია და ისე გაუწოდა ხელთათმინიანი ხელი ქეთევანს. ამავე დროს ვითომც განურჩეველი, სინამდვილეში კი გაფაციცებული ყურადღებით, შარბანანდაც შეათვალიერა ბაადურის რჩეული, თუმცა ზადი ვერ უპოვა.

თუ სოფელი სადა და მიწიდანველი ქალიშვილი ქალაქური იერის უცებ შესაქენად ბეგერს ამაოდ წვალბოს, იგი სევდიან თანაგრძნობას იწვევს. ერთგვარად სპორტულად რომ ითქვას, გარეგნული შთაბეჭდილების მოხდენით გაცეცებული ის თითქმის განადღებულ ქულებს დაუდევრობით კარგავს. საბედნიეროდ, თბილისში დამკვიდრებულმა ქეთევანმა მხოლოდ აუცილებელი მოვლა და ძალზე მოკრძალებული კოსმეტეკა შეიხამა, რითაც მთელ შესახედობაში ხალასი ბუნებრიობა შეინარჩუნა. ჩამოიქნა დახვეწილი გემოვნების სათნო ახალგაზრდა ქალი, რომელშიც ერთად და ზომიერად იყო სოფლისა და ქალაქის სული და იერი.

ქეთევანი თავს ისევ უხერხულად გრძნობდა. ამიტომ ახალგაზრდობილ ქუქუნას მედიდურობა ვერ შეამჩნია.

— ლეგა სახლში არ არის? — დაბნეულად იკითხა ქეთევანმა.

— ლეგას ახლაც გამოგიყვან. — ოთახისკენ ფეხი გადაა ბაადურმა. მაგრამ ქეთევანმა ის შეშინებულივით შეაჩერა.

— შენ ნუ, ნუ, შენი ქირიმე! შენ დაცეკი, სტუმარს ნუ მიატოვებ. მეც მხოლოდ წერილს გადავცემ ლეგას და ახლაც წავალ.

— ეს კი ქუქუნა ვახლავს. ელდარის მეუღლე. — ახლა ქეთევანს სტუმარი დაუსახელა ბაადურმა.

ორმხრივი გაცნობის შემდეგლა მოეშვათ ქალებსაც გულზე.

ქუქუნას იმიტომ, რომ ელდარის ნაცოლარად კი არა, ისევ მეუღლედ გამოაცხადა ბაადურმა. ამგვარად, ქეთევანმა თუ არ იცოდა, არც გაიგო, რომ ქუქუნა ქმართან გაშორებული იყო. ქეთევანს კი იმიტომ, რომ უცნობი, მეტად ლამაზი ქალი ბაადურის ამხანაგის მეუღლე აღმოჩნდა და რა ეჭვიც აღეძრა, სწრაფადვე გაეფანტა.

6

თებრო უსოფლოდ ვერ სძლებდა და ხშირად ჩაირბენდა ხოლმე თითო დღით მაინც. თებრო ახლაც სოფელში ყოფილიყო, იქიდან კი ყველა სამშვიდობო ამბავთან ერთად ლეგასთვის დათას გამოტანებული წერილი ჩამოეტანა, რომელიც მას ქეთევანმა გადასცა.

ლეგა კი სოფლიდან მიღებულ ყველა წერილს ბაადურთან ერთად ხსნიდა და კითხულობდა, ეტყობოდა იმ აზრით, რომ ბაადურს არ ეფიქრნა, თითო-

ქონს ლეგა მას რამეს უმაღლავდა. წერი-  
ლთან ყოველთვის იყო ხოლმე ფულიც,  
რომელსაც ბაადური ჩუმად ისევ ლეგას  
უგროვებდა.

სანამ ბაადური და ლეგა პატარა  
ოთახში წერილს კითხულობდნენ, ქა-  
ლები შუშაბანდში მარტო იყვნენ. ქა-  
ლები საერთოდ აღვილად აბამენ ლაპა-  
რაკს, მათ კი საუბარი ვერ აეწყობო.

წერილში ჩვეულებრივი ამბები და  
მოკითხვები იყო, მაგრამ წერილი მაინც  
სიხარულია და ბაადური და ლეგაც შუ-  
შაბანდში ხალისიანი გავიდნენ.

ეუფუნამ პირველად ნახა და გაიცნო  
ლეგაც, რომელზეც აგრეთვე უკვე ჰქონ-  
და გაგონილი უფრო ადრე და მეტიც,  
ვიდრე ქეთევანზე. მაგრამ თუ მან მხო-  
ლოდ გულში აღიარა ქეთევანის ღირ-  
სება, სამაგიეროდ, აღტაცებულმა შეა-  
ქო ლეგა.

— რა ნათელი და გონიერი სახე აქვს!  
რა საყვარელი ყმაწვილი ჩანს! დიახაც  
მართალი ყოფილა ელდარი, როცა ლე-  
გა დამინახათა (ერთ დროს ელდარს,  
აღბათ, ამიტომაც უნდოდა ლეგას გა-  
დაბირება). წესრიგიანი და სამართლია-  
ნი ახალგაზრდა იზრდებაო. ბაადურს  
უჯერის და ბაძავს და იერშიც ემსგავ-  
სებაო. ბაადურის ნამდვილი ორეული  
დადგებაო. და მართლაც!

როდესაც რამდენიმე წლის წინ ბა-  
ადურმა პირველად გაიგო ელდარისა და  
ეუფუნას შეუღლება, მას პირკატა ეცა.  
გასაკვირი არ იყო, რომ ლამაზი და გო-  
ნიერი ეუფუნა ელდარს გულში ჩავარ-  
დნოდა. გაკვირვებას იწვევდა, როგორ  
გაყვა მას ეუფუნა, რომელსაც სკოლაში  
ყველაზე მეტად აღიზიანებდა ხოლმე  
ელდარის ღვარძლიანი გამოხდომები  
ამხანაგების მიმართ. სჩანს, მათ შორის  
კარგად შენიღბული მალული სიყვარუ-  
ლი იყო იმთავითვე, ანდა ეუფუნა ახ-  
ლა ცდილობდა გაემართლებინა დაუფა-  
ქრებლივ გადადგმული პირველი ნაბი-  
ჯა, მასთან კი უკვე მეორეც, რომელსაც  
ხადაცაა გადასდგამდა.

ეს, საუბარში ელდარის სიტყვების.

წარამირა მომარჯვებაც, ანუ მისი პრი-  
არება, სწორედ თავისი ამ ნაბიჯების,  
ჯერ ცოლად გაყოლის, გაშორების შემ-  
დეგ კი შერიგებაზე დათანხმების დაც-  
ვას ჰგავდა. კაცმა რომ თქვას, შეიძლე-  
ბა ეუფუნას ნამდვილად უყვარდა ელ-  
დარი. როგორც ამბობენ, სიყვარული  
ბრმაა. თუმცა ამ შემთხვევაში სიბრმა-  
ვე არაფერ შუაშია. თვალტანად ორივე  
ისეთია, რომ იტყვიან, თვალი მომცა  
და მაქცირიანო. ბოლოსდაბოლოს კი  
ხასიათებითაც შეეწყობიან.

— ლეგა, გენაცვალე, ქუჩაში გამეგ-  
ზავნე. თქვენი სახლის გვერდით პურის  
მალაზიასთან ნაცნობს ნახავ და აქ მო-  
მიყვანე. — ბიუს ლამაზ ქორჩორზე ხელი  
გადაუხვია ეუფუნამ.

ლეგა სწრაფად და უსიტყვოდ გავი-  
და გარეთ, უკან შუშაბანდში კი მას  
უცნაურად აცერცებებულმა ელდარმა  
შემოასწრო.

გაირკვა, რომ ეუფუნა და ელდარი  
პურის მალაზიამდე ერთად მოსულიყვ-  
ნენ. შემდეგ კი ეუფუნას ელდარისთვის  
ქუჩაში მოეცდევინებინა, ხოლო ბაა-  
დურს თვითონ მარტო გამოეცხადა, რა-  
თა, როგორც სურდა, მისი შეხედულება  
მათი შერიგების თაობაზე საკუთარი  
ყურით ცალკე მოესმინა. ამავე დროს,  
ეუფუნას ელდარისთვის დაეთქვა, რომ  
გარკვეული ხნის შემდეგ თუ სახლში  
მასაც მოუხმობდნენ, მაშასადამე, საუ-  
ბარი მის სასარგებლოდ წარიმართა. ბა-  
ადურს მთელი ეს კეკემალულობა არ  
მოეწონა. ვერ ეგუებოდა ის იმ სიყალ-  
ბესაც, რომ ეუფუნამ და ელდარმა  
ცხოვრების მოცემულ საფეხურზე თით-  
ქოსდა მათი ბედის გამგებლობა მას მი-  
ანდევს.

ამჩატებულმა ელდარმა კი ბაადურს  
მხურვალე მადლობა გადაუხადა, იქვე,  
მოურიღებლად გადაკოცნა ეუფუნა,  
შემდეგ მას-მაჯაში ხელი საიმედოდ  
ნასჭიდა და გაიტაცა.

**გიორგი ველაშვილი**  
გვიზარავს მრავალი გიჩი

ეუფუნასა და ელდარის ელვისებური დატიშვის შემდეგ შუშაბანდი ხშიერი სიცილით აივსო.

ბაადურს ადრე გაცვრით ჰქონდა ნათქვამი ქეთევანისათვის, რომ არსებობდა, ვინმე კარგი ეუფუნა, მოწაფეობაში მთელი სკოლის თვალი, რომელიც შემდგომ ელდარმა ვერ შეიშნოვა. ახლა ქეთევანი მიხვდა, რომ მათ თვალწინ ბედნიერება აღსდგა და ბაადურთან ერთად ეს მოვლენა მასაც უხაროდა. თუმცა ბაადურს ხელმეორედ შეერთებული წყვილის თვალთმაქცობაზე გულშიც ერეოდა. ლეგა კი იცინოდა, რომ ზრდადასრულებული ვაჟი და ქალი, რომელთაც ჰქუა მოეკითხებოდათ, უცებ ბავშვებივით ახუნდრუტდნენ და გარეთ კუნტრუშით გაცვივდნენ.

შემდეგ კი მოულოდნელად მოიწყინა ქეთევანმა და ამის მიზეზი ვერ გაიგო ლეგამ. ლეგას სამაგიეროდ თავისი თუმცადა ბუნდოვანი, ოღონდ ავიატებული ფიქრი ჰქონდა, რომ კარგი იქნებოდა თუ ორი ისეთი საყვარელი არსება, როგორც ქეთევანი და ბაადურა იყვნენ, სამუდამოდ ერთ ჰერქვეშაც დამკვიდრდებოდნენ.

ქეთევანმა ლეგას თანამგრობი გამოხედვა დაიჭირა, შიშით გაივლო, უნებლიე მოწყენა ბაადურმაც არ შემნიშნოსო და ძალდატანებით წაუღიღინა. ღიღინში ხელდახელ ბინა დაულაგა და მაშინვე კარისკენ იქარა. ქეთევანი თითქმის გაიქცა და ბაადურმა გასაცილებლად მომზადებაც კი ვერ მოასწრო.

სახტად დარჩენილმა ბაადურმა ლეგას გაურკვეველი ღიმილით შეხვდა.

— გავგებუტა?

— თითქოს.

— მაგრამ ჩვენ ქეთევანისთვის, მგონი, არ გვიწყენიებია... იქნებ შეუძლოდ იყო? თუმცა, თუ ადამიანს რავე აწუხებს და ამას ახლობელი ვერ მიუხედედა, მისთვის ესეც საწყენია.

მართლაც, ადამიანს ბევრი რამ სწყინს. ვინ გაიგებს — რამდენი რა!

თავმოყვარე ადამიანში წყენას ვერ შეიძლება საღ მის მიმართ უბოდიშო გრძობა. მეტი იწვევს. მაგრამ ადამიანს სულს უკაწრავს მისდამი ერთი შეხედვით უტოდველი დაუდევრობაც. მაგალითად, თუ ძვირფასი პიროვნება მას დარდსა და სიხარულს ვერ გაუგებს, ფიქრს ვერ მიუხედედა.

შეიძლება ასეთი „წვრილმანი“ დანაშაული მიუძღოდა ბაადურსაც ქეთევანთან, რაც მოულოდნელად ლეგამ ივარაუდა.

— იქნებ, თქვენ დეიდა ქეთევანს რაიმე თხოვნა ან დაპირება ვერ შეუხრულეთ?

ჯერ კიდევ შარშან, ამავე ჰერქვეშ, ბაადურმა თითქოს დააპირა ქეთევანს გადახვეოდა, მაგრამ წადილის ახდენა თვითონ ქეთევანმა გადაუვადა. ამას კი ბაადურის გზნების არა, მაგრამ გაბედულობის მოდუნება მოჰყვა. მათ, ლეგას, გურისა და ტიტეს, შემდეგ უკვე ბედის თანხლებითაც ხანგრძლივ ერთად იმოგზაურეს, სხვადასხვა ტყუილ თუ ნამდვილ ჰერქვეშ დამე ერთად ათიეს, შემდეგ არ უჭირდათ შეხვედრა თბილისშიც. ბაადურს კი ერთხელაც აღარ გახსენებია ოდესღაც გულაჩქროლებით გამოთქმული სურვილი, რასაც ქეთევანი შესაძლოა მოუთმენლად ელოდა. მთავარი მოხვევა და კოცნა არ იყო. მთავარი იყო ქალს თავისი ბედი გაერკვია. ქალმა დროზე უნდა გაიგოს მამაკაცისგან ის სიტყვა, რომელსაც მოელოს.

ოღონდ, აი, ნაალაბედვენი იყო ლეგას ვარაუდი თუ ის სინამდვილესაც მიხვედრილი იყო? ხოლო, თუ მის გვერდით მართლაცდა შედერებული ბიჭი უკვე ამდენს ხედებოდა, მაშინ იგი დაე იმასაც ჩასწვდომიყო, რომ გულში ნამდვილად ჩასახული ქალის წინაშე გულის მთლად გადაშლას ბაადური ლეგას მიზეზითაც აგვიანებდა. ვინცობაა, მათს ერთერთ ახსნას და ერთ ჰერქვეშ შეწყვილებას რომ ლეგაზე ზარუნვის შენელება არ მოჰყოლოდა.

რომ, ყოველშემთხვევაში, ასე არ მოს-  
ხევენებოდა თვითონ ლეგას.

8

მხატვრულ ნარკვევთან ერთად ბა-  
ადურმა დაწერა საქმიანი წერილი უმა-  
ღლესი საუწყებო დაწესებულების სა-  
ხელზე, რომელსაც კულტურის ძეგ-  
ლების დაცვა ეხებოდა. წერილში აღ-  
წერილი იყო მოგზაურობის დროს სა-  
კუთარი თვალთ ნანახი ძეგლების სა-  
ვალალო მდგომარეობა. ამასთანავე, გა-  
მოითქმოდა სამდურავი ადგილობრივ  
ხელმძღვანელებზე საშვილიშვილო საქ-  
მისადმი უმეტყველურობის გამო. წე-  
რილი შეიცავდა საყურადღებო რჩევებ-  
სა და მოსახრებებსაც, მაგრამ დაწერი-  
ლი იყო ადღეღებით და ამიტომ ყურს  
სჭრიდა.

ბაადურმა წერილი დანიშნულებისა-  
მებრ თავისი ხელით მიიტანა.

იმის შეგნებით, რომ მისი საშვებუ-  
ლებო მოგზაურობა მხოლოდ არხეინი  
გასეირნება არ იყო, არამედ მონაკვლე-  
ვის სადაც ჯერ არს განხილვა სარგებ-  
ლობას მოუტანდა კეთილშობილურ  
საქმეს, ბაადური გულში წინასწარ კმა-  
ყოფილებას განიცდიდა. მაგრამ უმად-  
ლეს საუწყებო დაწესებულებაში, რო-  
მელსაც, სხვათა შორის, ემორჩილე-  
ბოდა ბაადურის ჟურნალიც, მის მოქა-  
ლაქეობრივ ალტკინებას, ასე ვთქვათ,  
მეტიჩრობის მუხლი მიუყენეს.

ბაადური მარტო იყო, მას კი ჰკუთს  
უწყსრებებდა სამი უკვე არა ახალგაზ-  
რდა მამაკაცი, დაწესებულების ხელმძ-  
ღვანელი და ორიც ალბათ თანამშრო-  
მელი, მოცემულ ვითარებაში ქლესა  
მრჩეველი და ბოროტი წამქეზეველი.

ბრალდებას, რა თქმა უნდა, ხელმძღ-  
ვანელი შეაგონებდა.

— ჯერ ერთი, შენ ვინ გკითხავს სხვის  
საქმეში ჩარევას. — მას ეტყობა ენა  
ეფხანებოდა ეთქვა „ცხვირის ჩაყო-  
ფას“, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ  
სტკივა, მეტიჩარა მაცნე შეიძლება გა-  
მომდგარიყო ყიამყრალი კაციც, რომე-  
ლიც ასეთ მიმართვას თითზე დაიხვე-

და და ვინ იცის, სად უნიღლებდა. —  
ჩვენ საქმეს როგორმე უშენოდაც მო-  
ვევლით. საერთოდ, ყველამ თავის სა-  
ქმეს მოუაროს! მეორეც, შენ რას მოი-  
თხოვ? რაიონების ხელმძღვანელებმა  
მოსავალს ხელი უშვან და მთელი ხალ-  
ხი ეკლესიების აღდგენაზე გადაისრო-  
ლონ? რა დროში ცხოვრობ, შენ ამხანა-  
გო!

ბაადური ავღებული მიღებით და ლი-  
რფი პასუხით გაოცებული იყო, თან  
გრძნობდა, რომ ვრცელი კამათის გაბ-  
მა არ გამოადგებოდა, რადგან დაწესე-  
ბულების მესვეური და მისი ხელქვეით-  
ნი, ეტყობოდა, არც ერთი მოკვდავის  
აზრს სწორედ არ ასწონიდნენ.

ბაადურმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა და  
სინანულის ღიმილით აკრიფა მის მიერ  
გულმოდგინედ ნაკირიტები, ახლა და-  
რბიული ნობათივით ხელაკრული  
ფურცლები.

კაბინეტიდან უბრად ვასვლით ვინძ-  
ლო ბაადური თავს მოგებულად ჩასთვ-  
ლიდა, ამიტომ მას ეს ნაგულისხმევი  
უბრატესობაც არ შეარჩინეს. ისევ უფ-  
როსის მედიდური შეგონება მას უკვე  
კარში დაეწია.

— ისე კი, რაც უშუალოდ თქვენ გა-  
ვალიათ, იმას ნამდვილად მეტი ყურად-  
ღება სჭირდება.

— მხედველობაში ჩვენს ქურნალი  
გაქვთ? — გრძელი კაბინეტის ბოლო-  
დან ირიბულად გახედა მას ბაადურმა.  
— ქურნალის იერი და შინაარსი არ გაკ-  
მაყოფილებთ?

— არ ბრწყინავს და რთვორ დაგვაკ-  
მაყოფილებს!

— თქვენდა სამწუხაროდ, მე სხვა  
აზრისა ვარ. ჩვენს მრავალრიცხოვან  
მკითხველს ქურნალი მოსწონს. ამის  
მიუხედავად, რედაქციაში თვითქმაყო-  
ფილებას არ მივეციმივართ. გვესმის,  
რომ თვითეული ქურნალის, ისევე რო-  
გორც გზუთის, კიდევ გაუმჯობესება  
ყოველთვის შეიძლება.

გიორგი ბალაშვილი  
ზვიადარაშვილი მრავალი ჰინდი

— მაგრამ შეიძლება ჟურნალის იგ-  
რისა და შინაარსის, როგორც შენ ბრძა-  
ნე, ვაუქობებსების დაჩქარებაც, ზოგა-  
ერთი აუცილებელი ღონისძიების გატა-  
რებით. მაგალითად, რედაქციის თანამ-  
შრომელთა გადახალისებით.

— ეგ უკვე თქვენი ნება და უფლე-  
ბაა.

— ამიტომაც, ამაზე თანხმობას შენ  
არ გკითხავ.

ბაადურმა ისევ მხრები შეატოკა და  
კარი გამოაღო.

მისაღებ ოთახში ბაადურმა თავისი  
წმინდად ნაწერი ფურცლები სამაგრით  
შეკრა და ქროდათვალემა, თავაზიან  
მდივან გოგონას ჩააბარა.

— ეს არზა შენ შეინახე და თუ ოდე-  
სმე ახალ უფროსს დაგინიშნავენ, იმას  
წააკითხე.

გოგონა ცოტა დააბნია დავალებამ,  
მაგრამ ის კარგად იცნობდა და პა-  
ტივს სცემდა ბაადურს და წერილის  
საფულისგულოდ შესანახავად აწრია-  
ლდა.

— ნურც ძალიან ღრმად შეინახავ.  
— ორზაროვნად დაუბარა მას ბა-  
ადურმა წასვლისას.

გოგონამ კი დარიგება პირდაპირი  
აზრით ვაიგო. თავისი პაწაწინა საწერი  
მაგიდის ქვედა უჯრაში ის იყო ჩაბინა-  
ვებული წერილი ისევ ამოაფრინა და  
ზედა შუა უჯრაში ჩაკეტა.

ქუჩაში გასულმა ბაადურმა გულდაწ-  
ყვეტით გაიფიქრა საერთოდ უგვანო  
ხელმძღვანელებზე. მან იცოდა, რომ  
ერთმა ასეთმა ხელმძღვანელმა ბრიყ-  
ვული განაჩენი გამოუტანა აბელ-ზუ-  
რამ-ემზარის კეთილშობილურ და უან-  
გარო წამოწყებას. საქმე ის იყო, რომ  
მუსიკით ბავშვობიდანვე გატაცებულმა  
ახალგაზრდა ინჟინრებმა სამშენებლო  
ტრესტთან, რომელშიც სამივე შედიო-  
და, საესტრადო ტრიო ჩამოაყალიბეს.  
ეს ტრესტის თანამშრომლებისათვის  
ძალზე სასიხარულო მოვლენა იყო. მით  
უფრო, რომ ტრიო მთელ თავის მრავალ-  
ფეროვან პროგრამას დახვეწილი  
შესრულებით წარმოადგენდა. ტრეს-

ტის ხელმძღვანელმა კი მათ ეს  
ლოდნელად მკაცრად აღუკვეთა, რო-  
გორც წონადი დაწესებულების პასუ-  
ხისმგებელი მუშაკებისთვის შეუფე-  
რებელი ტინჯიცობა. აბელ-ზურამ-ემ-  
ზარის უზენაეს ხელმძღვანელისა და  
უშანგი ჭენიძის შეგნებას შორის, რო-  
მელმაც ეს წუთია გააქაქა ბაადური,  
იგი საერთო ნიშნებს ხედავდა. ორივე  
შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ადამიანის  
გულწრფელი მოქალაქეობრივი თაოს-  
ნობის ჩახშობას.

9

მამაკაცს ქალური საქმეც შეგნის თუ  
ის ვაჟკაცურად ირჯება. ქალაჩუნა კაცი  
რომ ძლიერ ქალურად აკეთებს რამეს,  
თან გოგამანშიც მას ბაძავს, აი ეს კი სა-  
ხამუშო საყურებელია. ასეთის დამნა-  
ხავი სირცხვილისგან სხვა წითლდება.  
სამაგიეროდ, სასიამოვნო საცქერია ვა-  
ჟის მოუხეშავი და შეუპოვარი შრომა,  
როდესაც ის, მაგალითად, სარეცხს სი-  
ქას აცლის, წურვისას მანუელივით  
გრეხს, უთოს ქვეშ კი მაგიდას საბედის-  
წეროდ ახანხალებს.

ხომალდის გემბანი მხოლოდ მეზღვა-  
ურთა ხელით იღვრიჭება. თითქოსდა  
უქალობის გამო, მათ საკეთებელს ვაჟ-  
კაცები ასრულებენ. მაგრამ ისინი თავი-  
სი მოუქნელი ხერხებით გაშმაგებულა  
ირჯებიან და ჩერებით ხელშიც ისევ ვა-  
ჟკაცებად ჩანან.

ბაადურს და ლევას ხან ბაადურის დე-  
და, ხან ქეთევანი, ხანაც ტასია ეხმარე-  
ბოდნენ ხოლმე საოჯახო საქმეებში. მა-  
გრამ ძირითადი შრომა მაინც თვითონ  
ბინის მფლობელებს აწვიათ, ბაადურს და  
ლევას, მამაკაცებს. ისინი ამ ხვედრს არ  
თაკილობდნენ. თან ყველაფერს ისე  
აკეთებდნენ, რომ მამაკაცური ღირსე-  
ბა არ შელახვოდათ.

უთოს განსაკუთრებულად ლევა მარ-  
ჯობდა.

უთო უბირატესად ქალის იარაღია.  
მაგრამ ქალები ხშირად ჯდომელაც აუ-  
თოებენ. ზოგი სიზარმაცის გამო, ზოგი  
— უილაჯობის. ლევა მხოლოდ ზეზეულა



აუთოებდა და ხვითქში ცურავდა ხოლ-  
მე.

ლევა შუშაბანდში სწორედ საუთოე-  
ბელს დასტრიალებდა, როცა ბაადურმა  
კარი შემოაღო და პალტო უგუნებოდ  
გაიხადა.

— დილას სამსახურში დავავიანე და  
შენიშენა მივიღე.

ეს ბაადურის ერთი ნაბიჯი იყო ლე-  
ვას მიმართ ჩათქმული გულახდილობი-  
საკენ. ლევამ კი უთოსთან ჯაჯგური შე-  
წყვიტა და კინალამ პერანგი დაწვა.  
როცა ეს ივრძნო, გაჯაგრებულმა უთო  
სადგარზე დაახეთქა.

— როგორ თუ შენიშენა! თქვენ სახ-  
ლშიც კი სამსახურის საქმეებს აკე-  
თებთ ხოლმე და. მაინც შენიშენა მოგ-  
ცეს?

— სახლში სამსახურის საქმეების კე-  
თებას არაფერს გვავალებს. რომ გვევა-  
ლებოდეს კიდევ, ეგ შეღავათს არ იძლე-  
ვა. სამსახურში, როგორც სკოლაში,  
დროზე გამოცხადება ყველასთვის კა-  
ნონია.

— მაგრამ ჩვენ დილით ჩვეულებრივ  
ერთად ვავედიოთ სახლიდან და ჩემი ან-  
გარიშით არ უნდა დავგვიანებოდეთ. მე  
სკოლაში არ დამიგვიანია.

— მე სამსახური და სკოლა გადაკრუ-  
ლი აზრით არ მიხსენებია. დავასახელე  
ეს ორი მხოლოდ იმიტომ, რომ სახლში  
მოსამსახურე და მოწაფე ვართ. ჩვენ-  
თან რომ ყოფილიყო მუშაც, მაგალი-  
თად, გივი ლუტიძე, მაშინ ვიტყვიდი,  
რომ არ უნდა დაიგვიანოს სამუშაოზე  
მუშამაც. შენ რომ საერთოდ არ იგვი-  
ანებ სკოლაში და არც ვაკვეთილებს აც-  
დენ, ისედაც ვიცი.

— საიდან იცი? მაპოწმებთ?

— საბაბი არ მოგიცია და არ გამოწ-  
მებ. არც შენს მასწავლებლებს გამოწ-  
თქვამთ საყვედური. ეს ჩემი დასკვნაა.  
რომ იგვიანებდენ ან აცდენდენ, თვითონ-  
ვე არ დამიძალადენ. როგორც წესი,  
მეც სამსახურში არ ვიგვიანებ. დილას  
კი ქუჩაში დიდი ხნის უნახავი კარგი  
ნაცნობი შემხვდა. ჩვენ საუბარს შეგ-  
ყვეით. დრო კი, როგორც იცი, აღვილ-

ზე არ დგას. მაგრამ ზოგი ჭირი მა-  
ლაღ მარგებელია. ჩემი განყოფილების  
ლიტერატურული მუშაკი ჯანო ვარსიმა-  
შვილი დილით ყოველთვის დროზე ვერ  
იღვიძებს. ამერიიდან კი ისიც ჭკუას ის-  
წავლის.

— ჭკუა პირდაპირ მისთვის უნდა ეს-  
წავლებინათ უფროსებს. თქვენი ერ-  
თადერთი დავგიანებისთვის კი ყურად-  
ღებაც არ უნდა მიექციათ.

— მე ჩემი მომიზღეს და სხვას გაც-  
ვეთილად გამოადგება.

— უთუოდ უფრო სხვის გამოსაფხი-  
ზლებლად დაუსჯიხართ. აი, ხომ ხედავთ  
ერთ-ერთ ყველაზე სანიმუშო თანამშ-  
რომელსაც კი არ მოვერიდეთ და სხვას  
მით უმეტეს არ დავზოგავთო.

— ასეა თუ ისე, მე რაც მეკუთვნო-  
და, ის მივიღე. შენ კი საიდან აიღე, ვი-  
თომ მე სამავალითო თანამშრომელი  
ვარ?

— საკუთარი დაკვირვებიდან ავიღე.  
ბევრჯერ ვყოფილვართ თქვენთან სამსა-  
ხურში მე, ტიტე და გური და გვინა-  
ხავს, როგორ დიდ პატივს გცემენ. იგი-  
ვე, ჩვენთვისაც კარგად ცნობილი, ჯანო  
ვარსიმაშვილი კი პირდაპირ გაღმერ-  
თებთ. ჯანო ხომ წმინდა კაცია?

— ჯანო უადრესად წესიერი კაცია.  
მაგრამ მას ზოგჯერ თანამდებობით უფ-  
როსისადმი მამამებლობა ახასიათებს. მა-  
გალითად, იმის გამო, რომ წინასწარ ვი-  
ცი ჯანო ყველა ნაწერს შემიქვებს, მე მას  
დაბეჭდვამდე არაფერს ვუკითხავე. შენ  
უფრო ანგარიშგასაწევი მსმენელი გა-  
მომაღეკი.

— მე რა მოსატანი ვარ!

— მე შენ, რა თქმა უნდა, არ გეთ-  
ვალთმაქცები. უკვე დავრწმუნდი, რომ  
საკუთარი სინდისის წინააღმდეგ არ წახ-  
ვალ და ყოველთვის იმას შეტყვი, რასაც  
ფიქრობ.

— ჯანო კი ყალბია?

— ჯანო სიყვითით სავსეა, მაგრამ თუ  
ვინმეს შეეთვისა, მისი ბრმა თაყვანის-  
მცემელი ხდება.

**გიორგი ზელაუზილი**  
**გმიზარაგს მრავალი ზიარი**

— ელდარი როგორია?

— ეს რა, ჩემთან დაახლოებულ ყველა პიროვნებას ვიხილავთ? ელდარი თავისებურია.

— ყველა ადამიანი თავისებურია. დამატებით — ელდარი ყალბია. ჩემი მხრიდან, რა თქმა უნდა, თავხედობაა მეგობრებს რომ გიფასებთ, მაგრამ ელდარი, მგონი, არც არის თქვენი მეგობარი. არც პირადად თქვენი. არც ბედია-სი. აი, ახლა ბედია რომ აქ იყოს, თქვენ ყველაზე უფრო გულს მასთან გადააყოლებდით, თუ წერას არ აპირებთ.

— არ ვაპირებ. მე ამ საღამოს გულს ვერაფერს დავუღებ.

— სწორედ ამ საღამოს თქვენ მეტად დაფიქრებული ხართ, როგორც ხართ ხოლმე საერთოდ, როცა წერას აპირებთ.

— ეს, ჯერ ერთი, დილანდელი შენიშვნის ბრალია. მეორეც, იმისა, რომ დღესვე მე ერთ დაწესებულებაში პეტიჩარა კაცად მომნათლეს იმისთვის, რომ წერილობითი მოხსენება წარვუდგინე ჩვენი მოგზაურობის დროს ნანახი ისტორიული ძეგლების სავალალო მდგომარეობის შესახებ. ამიტომ, არა თუ დაფიქრებული, მგონი, დაბნეულიც ვარ. ამიტომ, მართლაც მომიხდება გულის გადაყოლება.

— გულის გადასაყოლებლად ჰაერზე გადიან ხოლმე. მე თქვენ ადვილას როდენის ქუჩისკენ გავივლიდი.

— მართლაც, როდენის ქუჩისკენ გავივლი. შენ მაინც კიდევ ბევრი საუთოებელი გაქვს.

ბააღურმა ისევ პალტოში გაუყარა მკლავები და სინანულით გამოთვალა ბარემ თვენახევარი, რაც ქეთევანი უკანასკნელად ესტუმრა. მას შემდეგ ქეთევანი საერთოდ აღარ ენახა.

მაშინ კი ხალხს პალტოები ახლად ჯერ არ ჩაეცვა.

10

როდენის ქუჩაზე ნაცნობი პატარა სარკმლიდან შუქი არ გამოდიოდა. ბააღურმა მაინც დააკაუნა. გვერდით

სარკმლიდან დაქმუქვნილმა მონუქმა დასასხლისმა გამოიხედა და ჩივილით აუწყა, ქეთევანი და თებრო თეატრში წავიდნენო.

რომელ თეატრში? ეს ბააღურს დასახლისსათვის არ უკითხავს. თუ მარჯანიშვილისაში, რომელიც ბააღურის სახლის მეზობლად იყო, ხოლო ქეთევანმა დობილითურთ თეატრში შესვლამდე მასთან წუთითაც არ შეიხედა, სჩანდა, ის თავს იფასებდა. მთავარი კი ის იყო, რომ ეტყობა, ქეთევანი დიდად არ განიცდიდა ბააღურის უნახველობას, თუ არხენად თეატრში წასულიყო და შეიძლება არც პირველად მათი უკანასკნელი შეხვედრიდან. ეტყობა, ქეთევანი მის გარეშეც ლაღად გრძნობდა თავს. თეატრში ნაღვლიანი ხალხი არ დადიან.

ბააღური დილიდანვე დაითარსა. ჯერ სამსახურში მთავარი რედაქტორიანგან შენიშვნა მიიღო დაგვიანებისთვის. რედაქციაში მუშაობის მანძილზე ერთადერთი დაგვიანებისთვის. შემდეგ თავი მასხარად აავდებინა აყვია უშანგი ჯენიძეს. ბოლოს, აღთქმული აღმზრდელით თავისი ეს ორივე მარცხი ლეგას გაანდო. ლეგამ კი მას მხოლოდ უთანაგრძნო და თითქმის ჭკუა დაარიგა. ყოველშემთხვევაში, მისი შეგონებით გასწია ბააღურმა ქეთევანისკენ. ის კი, როგორც ბედნიერი ადამიანი, ამ დროს სანახაობით სტკებობდა. თანაც, თუ თეატრში კომედია იყო, ალბათ უღარდელადაც იცინოდა.

ბააღურმა უცებ უსიამოვნო სიგრილე იგრძნო და თავი უნივერსიტეტის ბაღში აღმოაჩინა. ირგვლივ შავი სიბნელე იყო. ის კი მთელ ბაღში მარტო იჯდა ცივ მერხზე და თვითონაც ვერ იტყოდა, რას ელოდა. არაფერს ელოდა. უნივერსიტეტის ლამაზი ბაღი მას ძალიან უყვარდა, მაგრამ ახლა გაცრეცილი და გაყინული, პირქუშად გამოიყურებოდა და ძველ სიამოვნებას ვერ აღძრავდა.

ბაღიდან ის სინანულის ღიმილით გავიდა.





ბადურის სიჭაბუქის წლებში ისე გაი-  
 არა, რომ არც ერთ ვოკონას მო-  
 ლოდინში დარსა თუ ავდარში გულად-  
 გერებული არ მდგარა სადმე ქუჩის  
 კუთხეში ან ფანჯრის პირდაპირ. იგი  
 ფიქრით კი ფიქრობდა, რომ ოდესმე  
 შეხვდებოდა მისი გუნების ქალიშვი-  
 ლი, ოღონდ მათი ტრფობა განვითარდებო-  
 ბოდა უწვალებლად, ყოველგვარი ექ-  
 ვიანობისა და ძილის გატეხის გარეშე.  
 მაგრამ ყველა სიყვარული თუმცა ერთ-  
 მანეთისაგან განსხვავებულია, ოღონდ  
 ორმხრივი სრული თანხმებების დრო-  
 საც კი მაწუხარა განცდებისგან თავი-  
 სუფალი არ არის. ბადურს ის, რაც  
 სიჭაბუქეში ასცდა, სჩანდა უნდა ეწე-  
 ნია ახლა, როდესაც უკვე ლამის ოც-  
 დაათ წელს უახლოვდებოდა. თანაც მ-  
 სა და ქეთევანს შორის ჯერ მკაფიოდ  
 არაფერი თქმულიყო და ბადურს სა-  
 ფიქრებელი მით უფრო ემატებოდა.  
 მან ერთხანს ისევ დობილების ჩაბნე-  
 ლებულ სარკმელთან იბორიალა, ბო-  
 ლოს ვადასწყვიტა, რომ როგორი გრძ-  
 ნობითაც არ უნდა ყოფილიყო შეპყ-  
 რობილი, თექვსმეტი წლის ბიჭივით სა-  
 ტრფოსთვის თვალის მოსაკრავად ქუ-  
 ჩაში ტორიალი არ შეეფერებოდა, და  
 ხელი ჩაიქნია.

როდესაც ის ელბაქიდის ხიდზე შედ-  
 გა, თეატრიდან გამოსვლის დრო იყო.

ქეთევანი და თებრო საეხებით შესაძ-  
 ლებელია, მართლაც მარჯანიშვილის  
 თეატრში ყოფილიყვნენ. ასეთ შემთხ-  
 ვევაში სახლისკენ მიმავალი ისინი ხილს  
 ვერ ასცდებოდნენ. ბადურს პალტოს  
 მაღალი საყელო წამოწეული ჰქონდა  
 და სახე ნახევარზე უჩანდა. ბადური  
 მოაჯირის ბოლო მალს იდაყვებით და-  
 ყურდნო და გვიანი შემოდგომის პირო-  
 ბაზე მეტად შეთხლებულ მტკვარს და-  
 აჩერდა. ლამპიონების გრძელი მთრთო-  
 ლავი სხივებით დასერილი მდინარის ზე-  
 დაპირი ცივად ლაპლაპებდა.

ბადურს დღისით და ღამითაც მდი-  
 ნარის ლივილის ცქერა უყვარდა, რო-  
 ცა ახლო არაფერ იყო და მას ობროდად  
 არ ჩათვლიდნენ. ახლა კი ბადურს მე-

ტი გულისყური მარჯანიშვილის ქა-  
 მხრიდან ხიდზე მივალი ხალხისკენ ექი-  
 რა.

ქეთევანმა და თებრომ რამდენიმე  
 ახალგაზრდასთან ერთად ერთ-ერთმა  
 უკანასკნელებმა გაიარეს ხიდზე, ისე  
 რომ მოაჯირზე გადაკიდული მარტო კა-  
 ცისკენ არ გაუხედავთ.

ბადურმა ერთ ღამეს უკვე მეორედ  
 ჩაიქნია ხელი და ისევ მდინარეს ჩახე-  
 და. ხიდზე კი მალე ახლა მარტოდ მოჩ-  
 ქარე ქალის ფეხის ხმა გაისმა საპირის-  
 პირო მხრიდან და ხმაური მის ზურგს  
 უკან შეწყდა.

— ბადურ!

— დაბრუნდი ქეთევან?

— ბადურ, ისე ჩავიარეთ, რომ არ  
 შემომჩნევიახარ. ჩვენი ჯგუფიდან კი  
 ერთ ვაჟს უცვნიხარ და იმან მომახედა,  
 როცა უკვე გაგცილდით. ნასვამი ხომ არ  
 ხარ, ბადურ?

— ნასვამი არა ვარ. თუმცა შეიძლე-  
 ბა ვყოფილიყავი. ზოგი დარდიანზე  
 სვამს ხოლმე. ვინ არიან ეგ შენი თან-  
 ხლები ვაჟები?

— ჩემთან ქალიშვილებიც არიან.

— მე ვაჟებს ვკითხულობ.

— ვაჟებიც და ქალიშვილებიც ჩემი  
 თანაკურსელები არიან. თანაც მე, რო-  
 გორც დაგვიანებული სტუდენტი, ყვე-  
 ლა იმ ვაჟზე უფროსი ვარ. ამდენად,  
 თუ მე იმას მივალწი, რომ შენ ექვიანი  
 გაგხადე, შეგიძლია დამშვიდებული  
 იყო. შენ რა დარდი გაწევს?

— შენზე ვდარდობ, ქეთევან.

— ნეტავი თუ მართლა!

— მართლა ქეთევან. შენ ჩემსა ფეხი  
 რატომღაც აიკვეთე და მოვიწყინე.

— შენსა ფეხი ჩემი სურვილის წი-  
 ნააღმდეგ ავიკვეთე. მეგონა, თავი შეგა-  
 ბეზრე ხშირი სტუმრობით. მერე, თვი-  
 თონაც რომ აღარ მინახულე, ვცდილო-  
 ბდი გადაგჩვევოდი.

— მაგრამ იცი, რატომ არ გინახუ-  
 ლე?

გიორგი ზელაშვილი  
 გვიწარგას მრავალი მინი

— არ ვიცი. ვერ მივხვდი.

— რა მიხვედრა უნდოდა! ვაი თუ მომეტაცნე, შენ კი მოტაცება ვეთაყილნა.

— შენ მართლა ნასვამი ხომ არ ხარ, ბაადურ?

— ნასვამი არა, ისე კი მთვრალივით ვარ. მე შემძლია ახლაც მოგიტაცო.

— ნუ მომიტაცებ. მოტაცება მართლაც არ ივარგებს. ერთ რომელიმე ჩვეულებრივ დღეს ვატყობ, მე თვითონ მოვალ შენთან.

— კარგი ქალი ხარ, ქეთევან, და სიტყვაც კარგი გამოგივიდა. ჩემი კარგი სიტყვაც გაიგე, ქეთევან. მე ამ დამეს აქ შენი ჩაბნელებული სარკმლის წინ ყურყურის შემდეგ მოვეხეტე და ალაღბელზე შენ გელოდებოდი. იქ იმედი ვამიცრუვდა, აქ კი წინაგრძობამ ბედნიერად მიმართლა.

ბედნიერებამ უცებ ქეთევანი ააჩქროლა. ქეთევანმა ნეტარებით თვალები დახუჭა და მისმა მსურვალე მკლავებმა უხილავადაც იპოვეს ბაადურის ყელი და მხრები. ეს, პირველს, ბაადურს უნდა გაებედნა, გაბედა კი ქეთევანმა. სამაგიეროდ, ბაადურმა იგი გრძობით მიიზიდა.

ბედად ზიდზე არავინ იყო.

11

განწყობილების შენიღბვა ხშირად ფუჭი წვალებია.

ბაადურს დასამალი არც ჰქონდა, რომ ქეთევანთან ზიდზე შეხვედრის დამე მონი ცხოვრების ნიშანსვეტი უნდა გამზდარიყო. მაგრამ ერიდებოდა, რომ ლევას მისი ამჩატება არ დაენახა და თავს ეჭერდა. თუმცა, რიდე საიმედო ვერ იყო და ლევაც არ ტყუედებოდა. ლევას ამავე დროს ემაყებოდა, რომ ისიც იყო მიზეზი იმისა, რაც ბაადურს ახარებდა. თავის მხრივ, ბაადურიც გრძობდა, რასაც მიხვედრილი იყო ლევა და მას თვალს თამამად ვეღარ უსწორებდა. მაგრამ ამით ის უმცროსს უფროსის მიმართ რადიკალად ვერ უპირატესობას უთმობდა, რაც ლევას ჯერ არ ეკუთვნო-

და. ამიტომ მიზანშეწონილი იყო უმცროსის მიერ უმცროსისთვის თავისი უფროსობის დროდადრო შესხენება.

— ასაკით მონიჭებული ყველა უფლებით სარგებლობა საუკუნეებზე უფრო არის. — ამ თვალსაზრისით ჩაუკრა სიტყვა ერთ საღამოს ბაადურმა ლევას, როცა მაგიდაზე დახვედრილ, უცხოური სიგარეტის ჩანახევრებულ კოლფეს ეჭვით დახედა. — მაგალითად, იქნებ წლოვანება აღარ გიკრძალავს მოწვევას, მაგრამ შენ მაინც არ უნდა დაეშურო პირში სიგარეტის თუ პაპიროსის განრას.

— რაზე მედავებით, ძია ბაადურ? ეგ ძვირფასი სიგარეტი, სულ ერთადერთი კოლოფი, შემთხვევით ჩავარდნოდა გურის მამას. ძია მუხრანმაც სიგარეტები თქვენ ძმურად გაგიყოთ და ჩემი ხელით გაახლათ. — მშვიდად უპასუხა ლევამ. — მე არ ვწევ. როდისმე შეიძლება დავიწყო. ისიც თქვენი ეშხით. თქვენ გასახსენებლად. თქვენ ისე სიამოვნებით წევთ ხოლმე, როცა წერთ.

ბაადურს ლევას უცოდველობაც ესიამოვნა და გულახდილობაც. მაგრამ შეგონება მაინც არ შესწყვიტა.

— მე კი მოხარული ვიქნებოდი, თუ ჩემგან მხოლოდ სასარგებლოს გადაიღებდი.

— მე, ძია ბაადურ, რაც ვარ, მხოლოდ თქვენიით. თუ ცხოვრებაში ვივარგე, ისიც, უპირველესად, თქვენი წყალობით იქნება.

— ნურც სულ სხვის იმედზე იმყოფებ თავს. საკუთარი თავის მეტი იმედი უნდა გქონდეს ცხოვრებაში.

— მე თქვენი იმედი მაინც მუდამ მექნება. თუმცა, ახლა იმედი არც მქონია მხედველობაში. მე თქვენ ამავე მოგახსენეთ.

— შეეშვი მაგ ჩემს ამაგსა და ქებას!

— არც გაქებთ. ვერ გაქებთ. ვერც სიტყვით, ვერც საქმით ვერ შევძლებ მე თქვენი ღირსების დაფასებას.

— საერთოდაც, რახან ქებას და ღირსებას შეგეხეთ, იცოდე — კაცის მთავარი ღირსება ისიც არის, თუ თავს არ



შეიქმებს, ხოლო სხვას არ აძაგებს. ხელაღებით ქებას და ძაგებას ვგულისხმობ, თორემ ვისაც რა ეკუთვნის, მას ის ზომიერად უნდა მიეზღას.

— მეც თქვენ მხოლოდ ზომიერად მოგიზღევით.

— მე თავი დამანებე.

— ჩვენ — მე, გურის და ტიტეს ზოგი მასწავლებელი თავდავიწყებით გვიყვარს. ზოგი ნაკლებად. სიძულვილით კი არავინ გვძულს.

— თქვენ და მე ძირითადად ერთიდაიგივე მასწავლებლები. გვყავს. ყველა ისინი თანაბრად არც მე და ბედიას, აგრეთვე სხვა თანაკლასელებს გვიყვარდა. ადამიანებს ადამიანთა შორის რომელიმეთა განსაკუთრებული პატივისცემით გამოჩნევა გვახასიათებს. ეს ცოდვა არ არის. ცოდვა სხვა რომელიმეთა უმიზეზოდ ათვალწუნებაა.

— ჩვენ — გურის, ტიტეს და მე, როგორც თქვენ, გვიყვარს კიდევ ბევრი გამოჩენილი მსახიობი, ფეხბურთელა. აღარაფერს ვამბობ მწერლებზე და მხატვრებზე.

— თქვენ — გური, ტიტე და შენ, უკვე დროა ფიქრობდეთ უმაღლესი სასწავლებლის არჩევაზე.

— ვფიქრობთ კიდევ, დრო მოვა და გადაწყვეტილებასაც გეტყვით.

— პაპიროსის წევას კი თუ ოდესმე დაიწყებ, თურმე ჩემი ეშხით. ჩემს გასახსენებლად. მაგრამ ცოცხლებს შორის იხსენებენ მას, ვისთანაც ახლო აღარ არიან. ჩვენ განა ვშორდებით?

— როდისმე, გვინდა — არ გვინდა, დავშორდებით.

— ჭერით, რა თქმა უნდა.

— რა თქმა უნდა! მაშ გულით? როდისმე მე თქვენ ფიქრიდან ამოიხვეალთ?

— უშენობასაც ამთავითვე მაჩვენე?

— მე ჩემს თავს უთქვენობას ვაჩვენე. საუბარი ნაღვლიანად გაწყდა.

ოთახში ბნელოდა. ისინი ფანჯარასთან ისხდნენ და ქუჩას გასტკეპროდნენ. ბაადური მოძღვნილ სიგარეტს ღრმა

ჩასუნთქვით ეწეოდა. ორივე სდუმდა. მაგრამ ერთმანეთის ფიქრი არ ეშლებოდათ. თითქოს უსიტყვოდ საუბრობდნენ. თუმცა სინამდვილეში ერთად ფიქრიც თავისებური საუბარია.

გარეთ წმინდად, თითქმის შეუშინებლად სტრიდა და მძაფრად ციოდა. წვიმა მაინც ხმაურობდა. ფანჯრის გარე რაფის თუნუქზე თითქოს მრავალი დამშეული ბელურა ერთად იკენკებოდა. უამინდობის გამო ქუჩაში აღარც კაციშვილი ჩანდა და აღარც მანქანები. გზაჯვარედინზე დაკიდული შუქნიშანი კი თავის მოვალეობას კვლავ გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად ასრულებდა. განუწყვეტლივ ქრებოდა და ინთებოდა.

12

ბაადურის ყველა საწყენი ლეგას გულთან მიჰქონდა. შემდეგ კი ამას უკვე ლეგასგან გეზულობდნენ გური და ტიტე და ისინიც ღონდებოდნენ.

და, აი, კროლათვალემა მდივანი გოგონა კართან თავაზიანად გადაელობა სამ უცნობ პირტიტველ ყმაწვილს, მაგრამ მათ კაბინეტში მაინც შეაღწიეს.

არამილების საათებში მასთან გარეშე პირთა შეჭრაზე უშანგი ჯენიძე წარბეჭეტილი აიფხორა.

ლეგა, გური და ტიტე კი ოდნავაც არ შეცბნენ და საწერი მაგიდის მარცხნივ, მარჯვნივ და პირდაპირ თავისუფლად განლაგდნენ.

— ჩვენ თქვენთან შეკითხვით მოვედით. შეიძლება, რომ თეთრი შავად გამოვაცხადოთ, წითელი კი ლურჯად და ასე შემდეგ? ცხადია, არ შეიძლება. ასეთივე შეუსაბამობაა ყოვლად თავმდაბალი ბაადურ ამირიძის მეტიჩარა კაცად გამოყვანა. რატომ ჰკადრეთ?

— კაცი, რომელიც სხვის საქმეში დაუკითხავად ერევა, ასეთ შეფასებას სავსებით იმსახურებს.

— სცდებით. საზოგადოებრივი საქმე, რომელშიც ბაადურ ამირიძე გუ-

ვიორგი გელაშვილი  
გვირგვინის მრავალი ზიარი



ლისტიკივლით ჩაერია, სხვის საქმეში ჩარევას არ ნიშნავს.

— ეს, თქვენ გესმით ეგრე. მე კი საკუთარი თავით ვმუშაობ.

— ყველა საკუთარი თავით მუშაობს, ოღონდ სხვის აზრსაც ანგარიშს უწევს. თქვენ, საერთოდ, არავის უგდებთ ყურს?

— ბოდიში, მაგრამ რამდენადაც ვხვდები, თქვენ ცენტრალური კომიტეტიდან არ ხართ. საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს კი მე ანგარიშს არ ვაბარებ.

— ჩვენ მოკლემარვლიანებს ვგავართ? მაგრამ, გინდ აკენის ჩვილებად ჩავვთვალეთ, სამავიეროდ, ჩვენ სწორედ ვმსჯელობთ.

— ეგ თქვენ გგონიათ, რომ სწორედ მსჯელობთ. ზოგი სხვასაც ჰკითხეთ!

— სხვასაც ვკითხოთ! დაუძახეთ თქვენს იმ თანამშრომლებს, რომლებიც თქვენი მლიქვნელები არ არიან და იმათ ვკითხოთ.

სამი გამკითხავი ჩვეულებრივ ერთმანეთს სიტყვებში ეცილებოდა, ერთადერთი მობასუხე კი ბრაზისგან ცახცახებდა.

— არავის დაძახება მე არ მჭირდება. რაშიც თვითონ დარწმუნებული ვარ, იმაზე სხვის აზრს არ ვკითხულობ.

— დასაანანია თუ მართლაც არავის არაფრად ავღებთ. პირადად ბაადურ ამირიძისგან კი ყველამ შეიძლება ბევრა ისწავლოს.

— და მაინც მე მას მასწავლებლად არ დავიყენებ. თქვენ კი მართლაც ძიძა გჭირდებათ.

— ჯერ ძიძა და შემდეგ მასწავლებელი ყველას სჭირდება. მასწავლებელი ანუ გონიერი მრჩეველი სჭირდება მასაც კი, ვინც უკვე აღარც მოწაფეა და აღარც სტუდენტი. ჩვენ ბაადურ ამირიძე ასეთ დამრიგებლად მიგვაჩნია და ასეთი არის სინამდვილეშიც.

— ამიტომაც არავინ გტაცებთ მას. თქვენ თვითონ კარგად მოუფრთხილდით ბაადურ ამირიძეს.

— ისედაც ვუფრთხილდებით და იმიტომაც ვითავეთ მისი ღირსების დაცვა.

თუმცა მას ჩვენი ქომაგი არ სჭირდება ჩვენდათავად მხოლოდ გული მოვიოხეთ თქვენი უსამართლობის მხილებით. ამავე დროს, ჩვენ თუმცა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები არ ვართ, მაგრამ ცენტრალური კომიტეტის გზა ვიცით.

ცენტრალური კომიტეტით დამუქრებამ უშანგი ჩენიძე შეაზანზარა.

ეს ძალიან მოეწონათ ყვინჩილა ყმაწვილებს და რაკი საუბარიც თავიანთ სასარგებლოდ დამთავრებულად ჩათვალეს, შეშინებული ხნოვანი კაცის კაბინეტიდან ყელშეღერებული გავიდნენ.

არანაკლებ შეშინებული დახვდა მათ მისაღებში კროლათვალეზა მდივანი გოგონა, რომელსაც კაბინეტში მათი შესვებისათვის უფროსისაგან შეიძლება რისხვა მოელოდა. გურამ მას კოხტად დავარტყნილ, სწორ თმაზე მფარველურად ხელი გადაუსვა და თვალებში ღიმილით ჩახვდა.

— შენი სახელი — თინიკო თუ ნინიკო?

— არც ერთი, არც მეორე. ნელი.

— დედაჩემის მოსახლე ყოფილხარ. ამიტომ, მე — გური ჰილდაძე და შენ ერთმანეთს კარგად შეგვეწყობით. მაგრამ, რაკი მე და შენ მეგობრები ვიქნებით, შენ უნდა გახდე ჩემი მეგობრების მეგობარიც. მე ახლავე გააზლებ ჩვენს ტელეფონებსა და სახლის მისამართებსაც. რამეთუ ჩვენი მიზეზით უსამოვნება შეგემთხვა, სასწრაფოდ გვიხმე და ჩვენ მაშინვე შენთან გავჩნდებით. ასე ზღაპრებში ხდება. მაგრამ ჩვენ ისეთი ბიჭები ვართ, რომ ზღაპრებს სინამდვილედ ვაქცევთ. მე და ტიტე დეკანოზიშვილს საერთო ტელეფონი გვაქვს, ლეგა მორბედაძეს კი ცალკე. მოხარული ვიქნებით თუ გაჭირვების გარეშეც შეგვიხმიათ. შენ მე თითქმის მომწონხარ.

გრძელი დარიგებით გაოგნებულ ნელიკოს გურამ მაგიდის კალენდრის ფურცელზე დაუწერა თავიანთი ტელეფონის ნომრები და მისამართები და ბიჭები მას მხიარულად დაემშვიდობნენ.

უშანგი ჯენიძემ პირადი მდივნისთვის სუსხის მიცემით თავი არ დაიმცირა, სამავიეროდ, ტელეფონით დაურეკა ჟურნალის მთავარ რედაქტორს, რომელმაც თავის მხრივ, გამოუძახა ბაადურ ამირიძეს.

კაბინეტში ბაადურს მთავარი რედაქტორი მარტო დახვდა.

სილოვან კირთაძე თავის დროს ბაადურის ქართული ენის მასწავლებელი იყო და მათ ერთმანეთი უყვარდათ. ამიტომ, როდესაც რამდენიმე წლის წინ იგი, როგორც ბრწყინვალე ლიტერატორი, გადაიყვანეს ჟურნალის მთავარ რედაქტორად, ბაადურის რედაქციაში დახვედრა მას ძალზე გაეხარდა. იგივე სკოლაში კი, სადაც ის აღრე მოღვაწეობდა, ლეგას ქართულ ენას ასწავლიდა სხვა გამოცდილი მასწავლებელი, რომელიც უსახელო წერილს ზიზღით „გონჯ წერილს“ უწოდებდა და რომელსაც ბაადური მარტო ამ სიძულვილისთვისაც უცნობლადაც პატივს სცემდა.

სილოვან კირთაძე, სანდომიანი სახის ჭადრა, მაგრამ ისევ თმაშირი და მხარბეკიანი, შუახანს გადაცილებული კაცი, საქმისადმი გულმოდგინების გარდა სიღინჯით და გულისხმიერებითაც გამოირჩეოდა და ფასობდა. თვითონ თანამშრომლებთან პირდაპირი იყო და ეს ავალებდა თანამშრომლებს, რომ არც მათ ემრუდნათ. მაგრამ თანამშრომელთაგან ხანდახან ადგილი ჰქონდა ანბანური ქცევიდან ზოგიერთ გადახვევას. ასე რომ არ უნდა გაეკეთებინათ, მათ არ ესწავლებოდათ. ასეთ შემთხვევაში შენიშვნის მიცემაც უხერხული ხდებოდა და სილოვანი მათ თავისთვის გულში ეღაეებოდა. უკმაყოფილოდ შუბლს შეიკრავდა და ფიქრებში ჩაიძირებოდა ხოლმე. თუ ვინმეს მაინც ხვდებოდა მისგან, ყველაზე მეტი ბაადურს, ალბათ იმ აზრით, რომ ყოფილ საყვარელ მოწაფისადმი ლმობიერება არ დაუწამნათ.

საგარძელში ღრმად ჩამჯდარი და გა-

რინდული სილოვანი ბაადურს შეტევა უგუნებო ეჩვენა. შეფიქრებულმა ბაადურმა გულში ჩაიხედა, თუ რამე ბრალი მიუძღოდა იმის მოსაჩხრეკად, მაგრამ თავი ტყუილად იმტვრია. მაინც დამაინც მისით უკმაყოფილებას თითქოს არც გამოხატავდა მთავარი რედაქტორიც. ის თვალსაც ვერ უსწორებდა თანამშრომელს, რომელიც არხენინად არ იდგა მის წინ და ყურადღებას ელოდა. ბაადურს ეპვი არ ეპარებოდა მხოლოდ იმაში, რომ ის, რასაც განიცდიდა და ბოლოსდაბოლოს იტყოდა სილოვანი, უშუალოდ მას შეეხებოდა.

— შენ და უშანგი ჯენიძეს შელაპარაკება მოგსვლიათ. — ხმადაბლა, რბილად, თუმცა შუბლგაუხსნელად თქვა სილოვანმა, როდესაც ბაადურს სკამზე ანიშნა და ისიც დაჯდა.

ბაადურს მაღალი თანამდებობის პირის წვრილმანურ ენატანობასა და ღვარძლიანობაზე გული აემღვრა. მაგრამ მან თავი შეიკავა და როგორც შეეძლო მშვიდად გადასცა მისი და უშანგი ჯენიძის მთელი საუბარი.

— მეტი არაფერი?  
— მეტი ის, რომ ბოლოს შემპირდა რედაქციის გადახალისებას, რაშიც, ცხადია, სამსახურიდან ჩემ მოშორებას გულისხმობს. თქვენ ეს უკვე დაგავალათ?

— მაგდენი არ გაუბედავს, მაგრამ შევატყვე, რომ კმაყოფილი იქნება თუ ასე გავაკეთებ.

— ხოლო თუ ასე არ გააკეთებთ, მაშინ ის უკმაყოფილო იქნება თქვენი. მე კი როგორ ვიზამ, რომ თქვენ ჩემი მიზეზით უსიამოვნება შეგხვდეთ!

— მაშ რას იზამ?

— განცხადებას დაწერდი და ისე წავიდოდი. მაგრამ თქვენთვის სჯობს, რომ რედაქციიდან ჩემს წასვლას მართლაც მოშორების სახე მისცეთ.

— შენ მე ასეთ საზიზღარ გარიგებაზე მიგყავარ?

გიორგი ველაშვილი  
გვიფარავს მრავალი შირი

— მიწა გამისკდეს თუ ვთვალთმაქცობდეს! მომხსენით გინდ ამწინანდელი დაგვიანებისთვის, გინდ სამდივნოში სუსტი წერილების ჩაბარებისთვის. მაშინ უშანგი ჯენიძეც მოისვენებს. ყოველ შემთხვევაში, თქვენ მოგასვენებთ.

— შენ საქმის ვითარებას ნუ აზვიადებ და ართულებ. იჯექი შენთვის და იმუშავე. სანამ მე რედაქციაში ვარ, შენ ხელს უსამართლოდ ვერ გახლებენ.

— მე მაინც ჩემს კალაპოტში ველარ ვიქნები, რადგან შიში არ მომასვენებს, რომ ჩემი გულისთვის თქვენ არ გაგლანძღონ.

— ამაზე მოვრჩეთ.

— მე შემოძლია წავიდე?

— როგორ წახვალ! ჩვენ ჯერ ამბის გაგრძელებას არ შეგხვებივართ.

— ამბავი მე სრულად მოგახსენეთ. სხვა არაფერი ვიცი.

— ვიცი, რომ არ იცი. გაგრძელება მე ვიცი. დაახლოებით ერთი საათის წინ უშანგი ჯენიძეს კაბინეტში შენი ბიჭები მიხტომიან.

ბადაღურს მოულოდნელობისგან ელდა ეცა.

— როგორ თუ მიხტომიან?

— დაუდიათ თავი და მიხტომიან. შავი დღეც დაუყრიათ, შენ ჩვენი ბადაღური როგორ თუ გვიწყენიეო.

— ღმერთო, ეს რა მესმის! ეს ვინ მეურვეები გამოჩენია უმწეო ბავშვს!

— შენს ერთგულ ბიჭებს, ცხადია, კეთილშობილური ზრახვა ამოძრავებდათ. მე მაინც მიჭირს მათი მეტად თამამი საქციელისთვის ზუსტი შეფასების მიცემა.

— შეფასებას მე მიცემ! მე მათ ვუჩვენებ, როგორ უნდა მიხტომი!

მთავარი რედაქტორისგან ბადაღური გაბრუნებული გავიდა და მთელი დღე ვერ დაცხრა. ის ირგვლივ რისხვას არ აფრქვევდა, მაგრამ მისი სიბრაზისგან ანთებული სახე შიშს იწვევდა და ისედაც უნო ჯანო ვარსიმაშვილი თავის

საწერ მაგიდასთან მთლად მუშობდა.

ბადაღური განუწყვეტილად საათზე იხედებოდა და როგორც კი სამუშაო დღის უკანასკნელი წუთიც მიიწურა, სახლისკენ აღელვებული გაეშურა. სახლში მისვლისთანავე მან, უპირველესად, ბიჭები შეყარა და თავის წინ დივანზე ჩამაშკრივა.

ბიჭები აქაც სამივენი ერთად ლაპარაკობდნენ, ოღონდ უკვე ისინი იყვნენ მოპასუხენი, გამკითხავი კი — ბადაღური, რომელსაც მაინცდამაინც ვერ აუყირავდებოდნენ.

— თქვენ ეს თვითნებობა როგორ გაბედეთ?

— თვითონ მან თქვენ როგორ გაგიბედათ, რაც გკადრათ?

— თქვენ მე შეკითხვებს ნუ მიბრუნებთ. რატომ მიჰქარეთ?

— მე, ტიტეს და გურის, იმის გაგებაზე, რომ თქვენ აბუჩად აგიგდეს, გული გვეტყინა.

— მე, გურიმ და ლეგამ ამით ის დავასვენით, რომ იქ, სადაც თქვენ დაციანეს, თქვენი ნამდვილი ფასი არ იციან.

— მე, ლეგამ და ტიტემ ამიტომაც აუცალუბლად ჩავთვალეთ მათთვის თქვენი ღირსება დაგვენახვებინა.

— მერე — ლამაზია ეგ? დასაშვებია, კაცს, სადაც ჯერ არს, ქომაგად გარეშე ჰირები მოეგლინონ?

— ჩვენ თქვენთვის გარეშეები ვართ?

— გარეშეები ხართ მათთვის, ვისაც თქვენ მიუცვივდით.

— ჩვენ იქ არავითარი აღრზაური არ აგვიტეხია. უბრალოდ, კაცს შეევსმინეთ ის, რაც არ იცოდა. აგრეთვე ჩვენი მოსაზრებები გამოვთქვით მის შეცდომებზე. ვაგრძნობინეთ, რომ თუ ჩვენ კიდევ ბავშვებად გვთვლიან, ავისა და კარგის ერთმანეთისგან გარჩევა მაინც უკვე შეგვიძლია.

— თქვენ ან თავი უტოდველი კრავები გგონიათ ან მე მასულებებო. ეს რა ბრტყელი ლაპარაკი გამიბიო! ვთქვით და, მე მართლაც ცოტა იმაზე მეტი მით-

რეს, ვიდრე მეკუთვნოდა. იქნებ კაცო აღელვებული იყო და ჯოხი ჩემზე აპიტომ გადატყდა! ყოველშემთხვევაში, თქვენ უფროს კაცთან ენა როგორ წაივლეთ? თავს ნება როგორ მიეცით? აი, ეგ ენები უნდა დაგაგლიჯოთ ახლა თქვენ კაცმა, კარგი პატრონი რომ გყავდეთ!

ამხანაგური ცხარე კამათის დროს ვინმეს შესწრება პირდაპირ შვებია იმ მოდავე მხარისთვის, რომელსაც თავის დაცვა უხდებოდა. ასეთი მსხნელი გამოდგა ბიჭებისათვის დაუთ ნარგაძე, როდესაც ბაადურის ჯერ ისევე დატყინებულ შეტევებს ისინი მთლად მედგრად ვეღარ იგერიებდნენ.

ნაადრევად გაქალაქაობებული, თვალფიქრიანი და ენატკბილი დაუთ ნარგაძე ბაადურის სკოლისგარე მეგობარი იყო. ისინი ზუსტად მოპირდაპირედ ცხოვრობდნენ ქუჩაზე და მათი ფანჯრები ერთმანეთს უყურებდა. ვაცნობაც, ჯერ კიდევ ბავშვობაში ფანჯრებიდან მოხდა და იქიდან დაიწყო მეგობრობაც. დაუთს ქუჩაზე ზედმეტ სახელსაც უძახდნენ „ბებიკოს“. ეს იმიტომ, რომ ადრე დაობლებული ბიჭი ბებიის ანაბარა დარჩა და მისი საფიცარი მხოლოდ ბებია იყო. დაუთს მშობლები არც ახსოვდა, ბებია ქვეყანაზე ყველას ერჩია და შერქმეული სახელი არც სწყინდა. რამდენიმე წელია გარდაიცვალა ბებიაც და დაუთის ბინა უმეტესად გამოკეტილი იყო, რადგან იგი გეოლოგი გახდა და თვეობით საველე სამუშაოებზე იმყოფებოდა. ბაადურთან მისმა ადრიდანვე დაახლოებამ ის მოიყოლია, რომ იმთავითვე დაუახლოვდა ბაადურის ყველა მეგობარსაც, უფრო კი ბედიას.

მართალია, დაუთის გამოჩენაზე ბაადური მთლად არ დაუტკბა ბიჭებს, მაგრამ საგრძნობლად მოუღბა. შემდეგ შეეშვა კიდევ. უკვე ერთმანეთს ვერ ეთავსებოდა ერთდროულად ერთ მწარეს დანატრებული მეგობრისკენ ღმილის კმევა, მეორე მხარეს კი დატუქსული ყმაწვილებისკენ თვალების ბრიალი.

— ჩვენ — მე, ლეგას და ტიტუს თქვენთან შეკითხვები არ გვაქვს. — თვალთმაქცურად უპასუხა გურამ ბაადურს მიუცემელ შეკითხვაზე, რადგან გაიფიქრა, რომ აჩემებული „ჩემთან შეკითხვები გაქვთ?“, მას ახლაც ენაზე ეღდა.

ბაადურმა მისკენ თავი მუქარით გადააქანა, საუბარი კი გადავიდა სხვა არხში, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა უშანგი ჯენიძის კაბინეტში ბიჭების შექრასთან.

ბიჭები დაუთ ნარგაძეს შორიდან იცნობდნენ. მაგრამ ახლა უცებ დაუახლოვდნენ. მათ კაცად კაციც მოეწონათ და არც ის დაავიწყდებოდათ, რომ მან მარტო გამოჩენითაც ისინი გაქირვებიდან გამოიყვანა.

დაუთი გრძნობამორეული იყო და სიყვარულით იგონებდა ბავშვობის წლებს, რომლებიც „ისე სწრაფად დაიკარგნენ ხედვიდან, როგორც ჩიტი გაფრენილი ხელიდან“. ეს ბედიას ზეპირი შემოქმედებიდან ნასესხები გამოთქმა იყო. დაუთს ტკბილად გაახსენდა ბაადურის ბუხართან გატარებული ძვირფასი საღამოებიც გუნდად შეკრებილი ტოლ-ამხანაგების სულმოუთქმელი საუბრებითა და ყველასადმი თანაბრად ყურადღებიანი დეიდა ცაცოს ხელით დანხავებული, სრულიად განსაკუთრებული, გემრიელი ბლინებით, რომელსაც ბიჭები თეთრი ბლის მურაბას ახვევდნენ.

დაუთს ეტყობოდა, რომ თუნდაც ერთი ლამის განმეორება მისთვის ნამდვილი ნეტარება იქნებოდა.

ჩუმი და სანუკვარი ნატვრა დაუთს ბაადურმა ორ დღეში აუხდინა. ამაში მათი გულისთქმა ერთმანეთს ზუსტად ემთხვეოდა. ძველებური მეგობრული თავმეყრა სწყუროდა თვითონ ბაადურსაც. მით უფრო, რომ რაც ის თავის შე-

---

გიორგი გელაშვილი  
გიორგი გელაშვილი გიორგი გელაშვილი

გირდებზე (ასე კეთილი ღიმილით უხსენებდნენ ხოლმე ბაადურს ნაცნობები მის ლეგას, გურის და ტიტეს), პასუხისმგებლობით ხელფეხშეკრულივით იყო, მეგობრებს და ამხანაგებს სურვილისამებრ ველარ ხვდებოდა.

ჩაფიქრებული შეხვედრა დაახლოებით ის იყო, რაც ბავშვობისდროინდელი საყვარელი ფილმის და წიგნის მოწიფულ ასაკში ხელახლა ნახვა და წაკითხვა.

ყველას, ვისაც იწვევდნენ, ბაადურმა თვითონ ჩამოუარა, ხოლო ბედის სოფელში ავტობუსის მძღოლის პირით შეუთვალა. ცალ-ცალკე მონახულებულმა ყოფილმა ფრონტელებმა ბაადურს მოლაპარაკებულებივით შესთავაზეს საერთო ვახშმის მოსაწყობად თავისწილ ფულის გაღება. ბაადურს კი ეს არ სჭირდებოდა. საჭმელზე თავისი ფულიც თავისუფლად გასწვდებოდა, ხოლო სახლში დათას გამოგზავნილი ღვინო ეგულებოდა. დიდძალი, გიგამ და რამინმა ასევე ერთნაირად, თითქოს სხვათაშორის იკითხეს, თუ იქნებოდა ვახშამზე ელდარიც. თვითფულს ეტყობოდა, რომ ელდართან შეხვედრა არ ეხასიათებოდა, მაგრამ ბაადურს ელდარი უკვე გაფრთხილებული ჰყავდა. ელდარი თითქოს სოფელში გადაირგა, მაგრამ უმეტესად ისევ თბილისში იყო ხოლმე და მეგობრების მოსაწყვევად გასული ბაადურიც პარველად მას გადაეყარა შემთხვევით.

შეიკრიბნენ მხოლოდ ვაჟები. ერთი პირობა გამოითქვა ქალიშვილების მოწვევის აზრით, მაგრამ მათ შორის გათხოვილები მოსალოდნელი იყო მოიყვანდნენ ქმრებსაც, რომელთაც ამხანაგები არ იცნობდნენ და სასურველი შინაურობაც მათ გამო დიირღვეოდა. ამიტომ თვითონვე უარყვეს ქალიშვილები. ლეგას კი დაერთო უფროსთა მეგობრულ შეხვედრაზე ესტუმრებინა ტიტე და გური, რასაც ისინი გულისფანცქალით მოელოდნენ, თუმცა ჯერ არც ერთი არ ჩანდა.

თუ ბაადურმა ვახშმისთვის არავის ფულადი ხელშეწყობა არ გაიკარა, სამაგი-

ეროდ, მის უკითხავად დიდძალი სოფლური ხორაგი დაახვავა სუფრაზე ბედია, რომელმაც ყველა სტუმარს მოასწრო და ქეთევანთან ერთად მასპინძლის ღირსებით გამოსაჩინად მუყაითად იჯაფა. მრგვალ მაგიდას რამდენიმე ფიცარი ჩამატა და ბოლო ლეგას ოთახამდე გაუწვდა.

ვახშამზე ერთადერთი ქალი იქნებოდა, ქეთევანი. მას დიასახლისობა ევალებოდა, მაგრამ თავისთვის გადაწყვეტილი ჰქონდა სუფრასთან არ დამჯდარიყო, რომ სტუმრები არ შეეზღუდა. ხოლო თუ ბაადურს ძალიან არ ეწყინებოდა, როცა სუფრას ქალის ხელო აღარ დასჭირდებოდა, წასულიყო კიდევ.

მაგრამ სტუმრები, ვისაც ქეთევანი დასავით უყვარდა, და ისიც, ვინც დიასახლისისმავიერი ახლა გაიცნო და მისი სათნოებითა და უბრალოებით ასევე მოიხიბლა, მას ერთსულოვნად შეეხვეწნენ არ წასულიყო. დარჩენილიყო და სუფრასთან ყოფილიყო. მოსატანსა და წასაღებს კი სტუმრებიც აუვიდოდნენ. თხოვნა ვედრებას ჰგავდა და ქეთევანიც დარჩა. სტუმრები ის წუთი იყო შემოუსხდნენ მაგიდას, როცა გამოჩნდნენ ლევა, გური და ტიტე. სამივეს ხელში სითბოს შესანახავად ტილოებით შემოგრაგნილი თითო მაღალი ქვაბი ეჭირა და საიდუმლოდ ეღიმებოდა.

ღეიდა ცავოს საიდანლაც გაეგო მეგობრების წვეულების შესახებ და აწუკვე ქალიშვილის სახლიდან გამოეგზავნა ვაჟისთვის სასიამოვნო, მოულოდნელი ნობათი — სრულიად განსაკუთრებული მაღალი ხარისხის ბლინები და თეთრი ბლის მურაბაც, რომელიც, გუშინ არა — გუშინწინდელ უღარდელ მოწაფეებს მათს შეუმჩნევლად გაფრენილ ბავშვობას გაახსენებდა.

ყველა სწორედ ბავშვობინდელ ამხანაგებს და ამბებს იგონებდა.

სუფრის თავში ბაადური იჯდა. მან პირველი სადღეგრძელო მათს გულა-



თად შეხვედრას მიუძღვნა და სურვილი გამოთქვა, კვლავაც ხშირად შეხვედრილიყვნენ, რასაც ყველამ მხარი დაუჭირა. მეორე სადღეგრძელოთი კი ომში დაღუპული მეგობრები და ამხანაგები მოიხსენია, რომელთაც უსიტყვოდ ფეხზე ადგომით პატივი სცეს. სადღეგრძელო ნაღვლიანად შეისვია. არც ფეხზე ადგომის განკარგულება გაცემულა და არც ხანგრძლივ დუმილისა, რომელიც სადღეგრძელოს შემდეგ დაჰკვიდრდა.

— რაც მოხდა — მოხდა! ჩვენ ვერ გავაცოცხლებთ, ვინც დაიღუპა. ჩვენ მოვილხინოთ! — ამზრუნვად გაკვეთა სევდიანი სიჩუმე ელდარის როყიო მოწოდებამ და ყველას ტანში უსიამოდ გასცრა.

იმდენად უხამსად გაისმა მისი წამონაროში, რომ მას სამდღურაგითაც ვერაფერ შეხედა. მისკენ კი არა, თვალი ყველამ ბაადურისკენ გააპარა. საბედნიეროდ, ეს ბაადურისადმი უთქმელ საყვედურს არ ნიშნავდა წინააღმდეგ ყველას სურვილისა ელდარის მოყვანისთვის. ეს მასპინძლისადმი იმ თანაგრძნობის გამოხატვა იყო, როგორსაც აისახავს ერთის ვარდა ყველა სტუმარი, როცა ის ერთი თავისი უხამსობით მასპინძელს დანარჩენებთან თავს სჭრის.

ხელმეორედ ჩამოვარდნილი დაძაბული სიჩუმე უნდა გაქარწყლებულიყო და ესეც მასპინძელს ევალებოდა.

— მართლაც, არც სულ ოხვრა და ვიწვევი ვარგა! მოვილხინოთ. აბა, ბიჭებო! თორემ ბედია დაგასწრებთ. — ძალდატანებით გაიღიმა ბაადურმა და ერთად ჩამწკრივებულ აღიარებულ მომღერლებს — ზურაბს, აბელს და ემზარს გადახედა. ისინიც თხოვნის გაუმეორებლივ მოეთათბირნენ ერთმანეთს, თუ რომელი სიმღერით დაეწყოთ, დაასწრო კი მათ არა ბედიამ, არამედ ელდარმა.

მართალია, ბაადურს სანღში არანაირი საკრავი არ გააჩნდა, მაგრამ ელდარს საკრავი არც სჭირდებოდა. მან ბოთლის ყელზე ხან დანა, ხან ჩანგალი ყურისწამლებად ააწკარუნა, ქუჩური ლირფი სიმღერებიც ამობილწა და მარტომ სა-

ერთოდაც ბევრი და ულაზათოდ იხმურა. ელდარმა არც სასმელი მოიკლო, ღვინოს რიგგარეშეც უმარგვა, უკბილოდ, ღიზლად იოხუნჯა და სწრაფად გამომთვრალმა ყველა გააუგვემურა. მიუხედავად ამისა, ბაადურმა მას ხუმრობის კილოზეც წესრიგისკენ არ მოუწოდა. შენიშვნა მას უფრო გაახელებდა. სჯობდა მოთმენა, სანამ ის თვითონ მოწყდებოდა. მოწყდა კიდეც და უნათო ბლლარქნით და ბარბაცით შეეშვა ღრეობას. იგი საბედისწეროდ ვატორტმანდა კარისკენ და ადგილებიდან მარად წამოცვნილმა ლეგამ და ტიტემ უშველეს, რომ არ წაქცეულიყო. ბაადურმაც მათეე ანიშნა ელდარი სახლში გაეცილებინათ. ბრძანება არ გავრცელებულა გურიზე, მაგრამ მეგობრებს ისიც გაჰყვა, თუმცა უხალისოდ. ელდარს ის დასანახავადაც ვეღარ იტანდა.

უელდაროდ სუფრასთან სანატრელი მყუდროება დამყარდა, მაგრამ ბაადურმა მასზე არავის სიტყვა არ ამოალებინა.

— სტუმარს არ სძრახავენ.

დარჩენილმა სტუმრებმაც დაუჯერეს, რომ ელდარზე ენის მოფხანა მართლაც არ ღირდა. უკვე სასურველი მშვიდი გარემო ჰქონდათ და შეეძლოთ ნადიმი თავის გუნებაზე წაეყვანათ. მათ მალე ისეც შემოემატნენ ბიჭები, რომელთაც ეტყობოდა, ჭირვეულ მთვრალთან მთელი გზა ეჯაჯგურნათ.

სადღეგრძელოები დიდი დაყოვნებით წარმოითქმოდა. მეტწილად კი ვაცხოველებით მუსაიფობდნენ. ხანჩაგდებით კი წყნარად და ლამაზად მღეროდნენ და შეხმატკბილებულ მომღერალთა მწყობრ ხმას ბედიას ოღროჩოღრო მოძახილიც გაჰქონდა. ჯანოც თხოვნით და უთხოვნელადაც საკუთარ ლექსებს ამბობდა. სულით პოეტს, როგორი მორცხვი ადამიანიც ის არ უნდა იყოს, ლექსების თქმავზე ხევენა არ სჭირდება. ჯანოც სწორედ სულითხორცამდე პოეტი იყო. როდესაც ლექსებს წარმოსთქვა-

გიორგი ვალაშვილი

გიორგი ვალაშვილი

და, თითქოს სხვას სიამოვნებით უსმენდა, ისე მოწადინებული დაუყურადღებოდა ხოლმე თავისავე ხმას.

ნამდვილად მხოლოდ სხვას უსმენდა დაუთი. მას თავდავიწყებული აღმაფრენით უყვარდა იალღად ყოფნა, რასაც გეოლოგობა კიდევ აკისრებდა, მაგრამ აკლდა ხოლმე თბილისური თბილი შეხვედრები და როცა ასეთი შემთხვევა ეძლეოდა, დანატრებულ სიამოვნებას სხვების მოსმენაში ბოულობდა.

მაგიდის ირგვლივ კი ლევა, გური და ტიტე ტრიალებდნენ მორიგეობით. მათ იმის გარდა არაფერი უნდოდათ თუ ბაადურსა და მის მეგობრებს ასიამოვნებდნენ. მათ ქეთევანის თვალში მოგებაც უნდოდათ და იგი მაგიდასთან დედოფალივით ამყოფეს.

ბაადურისა და ქეთევანის მეტი ყველა საუბრობდა, მღეროდა ან ფაცაფუცობდა, თუ არ ჩაითვლებოდა იგივე დაუთი, რომელსაც ნეტარ უშფოთველობას არავინ ურღვევდა. სუფრის თავში ბაადური და სუფრის ბოლოში კი ქეთევანი, როცა ბაადური სადღეგრძელოს არ ამბობდა, მხოლოდ უსიტყვოდ იღიმებოდნენ. ღიმილითაც ფარავდნენ მღელვარებას, რასაც მასპინძლობის მოვალეობა იწვევდა.

შექეიფიანებულმა ბედიამ ერთი სიმღერაც ჩაათვა და ქეთევანის სადღეგრძელო მოითხოვა. ქეთევანის სადღეგრძელო უკვე ნათქვამი იყო. მაგრამ ბედიამ იმ ერთს არ დაეკმაყოფილებინა. ბედიამ განმეორებით სადღეგრძელოში მთელი ეშხი ჩააქსოვა და მეტიც ითამაშა, ბაადურის ჭერქვეშ მალე სრულუფლებიანი დიასახლისობა უსურვა და საიმპროოდ უფრო ომახიან სიმღერას დაბირდა.

იგივე მხურვალედ უსურვა უცებ წამონთებულ ქეთევანს ყველა დანარჩენმაც.

თავისთავად გამოვიდა, რომ ამხანაგური წვეულების მეორე დღეს მას მასპინძლის სახლში შეფასება მიეცა. ეს

მეორე დღე, კვირა იყო. ბედიამ წინ ეს თავისუფალი დღე ჰქონდა, ძველი ჩვეულებით ბაადურთან ეძინა. დილით კი მოვიდა ქეთევანი. მოცვიდნენ გური და ტიტეც და დაიწყო ბინის საერთო ძალებით დალაგება. ბიჭები ჰურქელს რეცხავდნენ, ქეთევანი იატაკს ხეხავდა, ბაადური და ბედიამ კი ხან მაგიდას ისევ ამოკლებდნენ, ხანაც ქეთევანს სხვა მძიმე ავეჯისგან ჩვრის მოსასმელად გილს უთავისუფლებდნენ.

ყველა ცოცხლად მუშაობდა, რადგან საქმე მიინც მათი გასაკეთებელი იყო, ერთად კი ადვილად კეთდებოდა, აგრეთვე იმიტომ, რომ გატარებული დამით კმაყოფილი იყვნენ.

საერთო განწყობილება მოულოდნელად ბედიასგან აიშლერა. ბედიას ეს შეგნებულად არ გაუკეთებია, არც იფიქრებდა, თუ ასეთი კუდი გამოებმეოდა მის შენიშვნას, როცა ბაადურს ალაღად გადაულაპარაკა:

— ყველაფერი ძალიან კარგი იყო. მხოლოდ, მე შენ ადგილზე, ელდარს მიინც არ დავუძახებდი.

ბაადურმა კი უცებ კოპები შეყარა.

— დაუძახებდი. მე მეუბნები ასე, თორემ შენთან რომ შევკრებილიყავით, შენც მოიყვანდი.

— არ მოვიყვანდი.

— მოიყვანდი. სიყვარულით არა, მაგრამ რიდით მოიყვანდი.

— რის რიდით?

— იმის რიდით, რომ როცა გაიგებდა ცოცხალი თანაკლასელი ბიჭებიდან მარტო ის გამოტოვებ, ყველა დანარჩენზე გულში ძვირს ჩაიხვევდა.

— შენ მაგის შიშით ისტუმრე?

— მე იმიტომ ვისტუმრე, რომ ელდარი ჩვენთან ძველი ამბების გამო თითქოს ცოდვეს ინანიებს. მეცოდება კიდევ, რომ ასე მარტოა. არ დავიმალო, იმასაც მოვერიდე, რომ თუ არ დავბატიყებდი, ზურგს უკან არ გაველანძნე.

— დაბატიყებდი თუ არ დაბატიყებდი, ელდარი ჩვენზე კარგს არასდროს



იტყვის! არა სჯობს, ჩვენთან არ იყოს და ისე გვლანძლოს, ვიდრე ჩვენთან იყოს და მაინც გვლანძლოს?

— მე აღარ მჯერა, რომ ელდარა ჩვენ კიდევ გვლანძლავდეს.

— როდის აქეთ აღარ გჯერა? მას მე-რე, რაც ისა და ყუყუნა შენ შეარიგე?

— მე არავის მაჭანკალი არ ვყოფილვარ.

— მეც შენთვის მაჭანკალი არ მიწოდებია. მე პირდაპირ ის ვთქვი, რაც იყო.

— არც მითლად ისე იყო, როგორც შენ ფიქრობ. ისინი უჩემოდაც უკვე თითქმის შერიგებული იყვნენ. მე მხოლოდ წითელი კოჭი გამიგორეს, რომ ასეთი ვითომცდა დანათლიმამობით ყოველშემთხვევისათვის გულმოგებულნი ვყოლოდი.

— აი, ავაშენა ღმერთმა ამ სიპართლისთვის! მოდი და ენდე ამის შემდეგ ასეთ ქლესა ადამიანებს! მე მხოლოდ ელდარს ვგულისხმობ. მაგრამ მარტო ქლესა რომ იყოს, რა უჭირს! გინდა გათხრა, რატომ ემხრობი შენ ახლა ელდარს?

— ეგ მეტად საყურადღებო გულთამხილაობა იქნება!

— მე მგონი იქნება. იმიტომ ემხრობი, რომ ასე შენი აშკარა შეცდომა წინასწარ ჩაფიქრებულ კეთილგონივრულ ნაბიჯად დახატო. ისეთ ნაბიჯად, რომელიც გარკვეული მსხვერპლის გაღების ფასად თითქოსდა ადამიანის გარდაქმნას ისახავდა.

— აი, მე კი რომ მაგ სიტყვებზე ის პასუხი გაგცე, რაც გეკუთვნის, ჩვენ, რბილად რომ ვთქვა, შეიძლება წავკინკლავდეთ.

— რაც არის — არის, წავკინკლავდეთ! ჩვენც ხომ როდისმე უნდა წავკინკლავდეთ? ნებისმიერ ორ ადამიანს შორის ხდება წავკინკლავება. ჰო, მითხარი ის პასუხი, რაც ჩემ სიტყვებს ეკუთვნის.

— პასუხი ძალიან მოკლეა. რომაე!

— გმადლობთ. თუმცა უარსიც მე-

კუთვნის შენგან, ყურმოჭრილ მარტოა ვით რომ გადაგექეცი.

— მონობა შენთვის მე არ დამიძალე-ბია. ალბათ ეგეთი ბუნების ხარ.

— ახალა არკვევ, რა ბუნებისაც ვარ? სამაგიეროდ, ელდარი ხომ კარგად შესწავლილი გყავს? ვნახავ, რა სიკეთესაც დაგაყარის.

— დამაყაროს და დამაყაროს! გატყობ, შენც ეგ გინდა, თუ ვინმე ცუდს მიზამს.

ქეთევანმა და ბიჭებმა უკვე რამდენიმე წუთი იყო ყველა საქმე მოითავეს და ახლა აღარ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. დარჩენილიყვნენ ორ ანგარიშიშუტემლად ერთერთ პირში შებმულ მეგობართან თუ გასულიყვნენ, რომ თანდათან გამწვავებულ კამათზე ზედმეტი ხალხის დასწრებას მათთვის ცუქლი უფრო არ მოეციდებინა. ბიჭები ქეთევანისკენ აცეცებდნენ შეწუხებულ თვალებს, შეშინებული ქეთევანი კი მათ სახეზე ეძებდა მდგომარეობიდან გამოსვლის კარნახს.

მდგომარეობიდან ყველა ბედია მამოიყვანა. მოკრიბა თავისი ჩანთები და ჭურჭელი, რითაც წინაღღეს ამხანაგურ ზეიმზე სანოვავე ჩამოიტანა და კარი უსიტყვოდ გამოაღო.

18

მას შემდეგ ბაადურის სახლში ბედისას სახელი აღარ წარმოთქმულა და არც ქეთევანმა, არც ბიჭებმა არ იცოდნენ, წარმოითქმებოდა ის საერთოდ როდისმე თუ არა. სამაგიეროდ, ისინი გრძნობდნენ, რომ ბაადური მეგობართან გათიშვას ჩუმად განიცდიდა. ბიჭებზე ამავე დროს ისე მძიმედ იმოქმედა მათი სამაგალითო, განუყრელი უფროსი მეგობრების წაკიდებამ, რომ ისინი ამაზე ერთმანეთსაც ვერ ელაპარაკებოდნენ. თვითონ ბაადური გარეგნულად ჩვეულებრივ მშვიდი ჩანდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ერთთავად ფიქრებში იყო.

**გიორგი ველაუზილი**  
გმიზარავს მრავალი მერი

ბადურს გულმავიწყობა ჯერ არ შეეფერებოდა, მაგრამ როდესაც ერთ უახლოეს დღეს სილოვან კირთაძემ კვლავ გამოუძახა, მოაგონდა, რომ მთავარი რედაქტორისთვის არ მოეხსენებინა, რაც აწია ბიჭებს უშანგი ჭინიძესთან მიხტომისათვის. სილოვანი თანამშრომლებს თათბირებით ხშირად არ აწუხებდა, რადგან მუშაობას აცლიდა. ხოლო როცა თანამშრომელს ცალკე უძახდა, მამასადამე, იყო საგანგებო მოსალაპარაკებელი. თავისი სამუშაო ოთახიდან მთავარი რედაქტორის კაბინეტამდე მოკლე დერეფანში ბადურმა გაიხსენა, რაც სილოვანისთვის ჯერ კიდევ რამდენიმე დღით ადრე უნდა მოეხსენებინა და დაგვიანებით, მაგრამ შესვლისთანავე მოახსენა.

— მე მაგას არ გეკითხები. ბიჭები შენიძლება მეტადაც კი დატუქსე, ვიდრე ეკუთვნოდათ. შენ ახლა ეს მითხარი, ელდარ ლურიძე გახსოვს?

— ძალიან კარგად მახსოვს. ვხვდებით კიდევ.

სილოვანმა თავის ღრმა სავარძელში ერთხანს ტყუილად იფუთფუთა, შემდეგლა გაოცებით შეხედა ბადურს, მაგრამ ჰკითხა არა ის, რაზეც ფიქრობდა.

— განყოფილებაში საქმეები როგორ გაქვს?

— მგონი, არა უშავს.

ბადურს ელდარის მოულოდნელ გახსენებაზე გულში ცივად გაჰკრა. ეტყობოდა, რომ იგი ერთა რაღაც ხათაბალაში, რასაც სილოვანი აედევლებინა.

— ელდარ ლურიძე რატომ მკითხეთ, ბატონო სილოვან?

— თვითონაც არ ვიცი, რატომ გკითხე. არც ის ვიცი, რაზე გამახსენდება ხოლმე ჩემი რომელიმე ყოფილი მოწაფე.

— სულ უმიზეზოდ მაინც არ გაგახსენდებოდათ, ბატონო სილოვან.

— მიზეზი, ცხადია, იქნებოდა. მაგრამ, ალბათ ისეთი უმნიშვნელო, რომ ვეღარ ვიხსენებ. თუ გავიხსენე, დაგიძახებ.

ბადური ხუთი წუთის გასულიც არ

იყო მთავარი რედაქტორის კაბინეტში, რომ სილოვანმა მას მეორედ გამოუძახა. ახლა სილოვანი ფანჯარასთან იდგა, მაგრამ დაძაბული ფიქრობდა და ქუჩის ყოფას ვერ აღიქვამდა.

— ერთი უხერხული შეკითხვა უნდა მოგცე და არ იწყინო, ბადურ.

ეწყინებოდა თუ არ ეწყინებოდა ეს სხვა იყო, ისე კი ბადურს მკერდი აებერა.

— გისმენთ, ბატონო სილოვან.

სილოვანმა ფანჯარას თვალი მოაცილა და ბადურს ყურადღებით შეხედა.

— შენ შენი რა ცოდვა იცი?

შეკითხვიდან გასაგები იყო, რომ სილოვანისთვის ან ეჭვი ჩაეწვეთებინათ, ან ხელთ მიეცათ საბუთი, რომელიც მას, როგორც დაწესებულების ხელმძღვანელს, ბადურის წარსულის მოჩხრეკას ავალბებდა. მამასადამე, ეს მისი მხრიდან გამოდაგება არ იყო და ბადურსაც სალუძველი არ ჰქონდა მას ნაწყენ კილოზე შესიტყვებოდა.

— თუ მიმახვედრებთ რა გაქვთ მხედველობაში, უფრო ადვილად გიპასუხებთ. იქნებ მე ბევრი ცოდვაც მაქვს, მაგრამ თვითონ ცოდვად არ ვთვლი.

— მხედველობაში მაქვს ერთი ალბათ ბოროტი ენის მონაჭორი, რომ თითქოს შენ როდისღაც რაღაც დანაშაულზე მილიციას დაუკავებინარ.

— ეგ მთლად ჭორი არ არის. მეცხრე კლასში ვიყავი, როცა პლენანოვის პროსპექტზე ჩემისთანა ლაწირაკების ერთ ცემატყებაში ყვირილასავით ჩაეება, რისთვისაც ყველანი მილიციაში მიგვრეკეს. ოღონდ მილიციაში მხოლოდ იმდენი ხანი გაგვაჩერეს, რამდენიც საკმარისი იყო ჩვენთვის ყურების ასაწევად. მე და მილიციის ის მორიგე, რომელმაც მამლაყინწა წვრილფეხობას მაშინ სუსხი მოგვცა, ახლა ძველი მეგობრებზევით ვესალმებით ხოლმე ერთმანეთს. სულაც ნამდვილი მეგობრობა მაქვს იმათთან, ვისთანაც ვიჩხუბე. მეტი მე მილიციაში, როგორც წესრიგის ან კანონიერების დამრღვევი, არასდროს ვყოფილვარ.

— მე მილიციის მორიგეს მოწმედ, რა თქმა უნდა, არ მოგაყვანინებ. მე შენი ისედაც მჯერა. წინასწარ ვხვდებოდი იმასაც, რომ ადამიანი, რომელმაც შენზე ჩამასმინა, თვითონ წმინდა წყლისა არ არის.

— ელდარ ლურიძე?

— ელდარ ლურიძემ ეს რამდენიმე დღეა რედაქციამ რაიმე სამუშაოზე მიღება მთხოვა, მე კი უარი ვუთხარი, რადგან თავისუფალი ადგილი არ მქონდა. ამაზე მან ნიშნი მომიგო, რომ სამსახურში ვაჩერებ მილიციაში დანაშაულისთვის ნაყურყურებ ადამიანს, მაშინ როცა გზას ვუხშობ პატიოსან კაცს, რომელსაც უკანასკნელ ხანს დიდი შემოქმედებითი წვა უგრძვნია.

— ელდარმა იქნებ იხუმრა, ბატონო სილოვანი!

— პირველად მეც ასე მინდოდა მოგეტყუებინა თავი, რომ ხუმრობდა. მაგრამ მალე იმის შემდეგ, რაც ჩემთან იყო, მან მეორედაც გიმუხანათა. იცო, სად მოღვაწეობს ამჟამად ელდარ ლურიძე?

— ზუსტად ვერ გეტყვით, რამდენიმე ხანია აღარ შევხვედრივართ. მხოლოდ ყური მოგკარი, რომ მოწყობილა თბილისის რომელიღაც გამომცემლობაში ფიზკულტურის განხრით.

— დიად, გამომცემლობაში მოწყობილა. ეს კი ის გამომცემლობაა, სადაც დირექტორის მოადგილედ დაწინაურებას შენ გიპირებდნენ.

— თვითონ ეს ამბავი პირველად მესმის.

— სამაგიეროდ, შენზე ადრე გაუგია ელდარ ლურიძეს. აი, მისი მუხანათობაც, რაც ზუსტად ვიცი თვით გამომცემლობის დირექტორისგან. ვერ გეტყვი, საიდან მოუხვედდი თვალში ნიკოლოზ ბარიშვილს, ის კია, ჯერ კიდევ ორიოდე თვის წინ ჩამიკრა სიტყვა, რომ უნდოდა გამომცემლობაში წაეყვანე. არც ის ვიცი, როგორ გავიდა ეს ხმა გარეთ. ოღონდ მალე ჩვენი საუბრის შემდეგ დირექტორის სახელზე შესულა უსახელო წერილი, რომელშიც შენ ტალახში

ხარ ნათრევი. ნიკოლოზმა წერილსავე რიც არ ათხოვა, მე კი ტელეფონით შემატყობინა, ბადურის საქმე თითქმის გადაწყვეტილიაო. მაგრამ მთავარი ჩვენი მოლაპარაკება არ არის. მთავარი ისაა, რომ ჩვენი მოლაპარაკება არ გამოპარვია იმას, ვისაც შენი დაწინაურება არ ესიაოვნებოდა. რაკი უსახელო წერილმა ვერ გასჭრა, ელდარ ლურიძე დირექტორთან პირადად შესულა. მას შენ სიტყვიერად ისე ხელაღებით აღარ გაუთათხიხარ, როგორც წერილში, თუმცა მაინც საკმაოდ ნიშნული გამოჩენილა მსგავსება ორივე სახის დასმენათა შორის. ცხადი ხდება, რომ დირექტორთან შენზე სიტყვიერი აცილებათ შესვლა ელდარ ლურიძის ვირემშაკული ხრიკი იყო. თუ ვინიცობაა ექვა დაიბადებოდა უსახელო წერილი მისი ნაჯღანბნაო, გაიხსენებდნენ რა მის პირად განცხადებას, ბრალდებას თვითონვე უარყოფდნენ, პირადად განმცხადებელი უსახელო განცხადებას არ დასწერდო. თანაც, მოგავიწყებ, ერთ მას შენ მთლად აღარ მოუსპიხარ. ძირითადად, მძიმე ხასიათების კაცად დაუხატიხარ, რომელსაც თანამშრომლებთან საერთო ენის დამყარება და მამასადამე, მუშაობაც გაუძნელდებო. ეს, ქურდს ქუდი ეწვისო, რომ იტყვიან, ისე გამოსულა. თორემ, რალა იმაზე უნდა აედლოთ ექვი, მით უმეტეს, რომ ის თავს შენ მოკეთედ აცხადებდა და ყველას ასეც სჯეროდა. მაგრამ მე არ ვიცოდი, თუ თქვენ ხვდებოდით კიდევ. იმიტომაც გკითხე პირველად, ელდარ ლურიძე თუ გახსოვს-მეთქი.

— კი. ვხვდებოდით. თუმცა, ვატყობდი, ეს არ მოსწონდათ ჩვენს ბიჭებს, ბედიას, დიდიმს, რამინს, გიგის. მე და ბედიას ამის გამო უსიამოვნო ლაპარაკიც ნოგვივიდა.

— მე ასე ვხვდები. შენ გრძნობდი, რომ ლურიძე თქვენთან წმინდა გულით არ იყო, მაგრამ შენ მაინც იცავდი. ახ-

გიორგი ბელაშვილი  
გიორგი ბელაშვილი

ლაც, გეტყობა, არ გინდა დაიჯერო მისი ორპირობა. რას იზამ. ასეც ხდება ხოლმე, და მიუხედავად იმისა, რომ თავს აშკარად იტყუებ, მე სულგრძელობას მაინც გიწონებ, ეს იმის პირობაცაა, რომ როდესაც ლურიძის ავკაცობაში ბოლოს მაინც დარწმუნდები, შურისგებაზე არც კი იფიქრებ. შენს წინაშე პასუხისგებას ის, რა თქმა უნდა, იმსახურებს. მაგრამ უღირსის დასამცირებლად აზავება საკუთარი თავის დამცირება უფროა. შენი და ბედიას წალაპარაკება კი, რაღა დაგიმალო და, არ მომწონს.

სილოვანი ბოლო დანაწილებით ბაადურს აშკარად უბიძგებდა ბედიასთან შერგებას. ბაადურმა კი თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერ გაუგო.

19

მეგობრების წაქიდების ამბავი ხელათ ვრცელდება და კუდებსაც იბამს. თვითონ წაქიდებულებს კი ადრინდელზე მეტად ენატრებათ ერთმანეთი, მაგრამ თავთავისი სიჯიუტე ვეღარ დაუძლევეათ. არადა, ამით ახარებენ იმას, ვინც, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ იმისთვის მიეტმანსა ორივეს, რომ შურით ყელამდე საესე მათი მეგობრობის მოღამფალებასაც ისახავდა.

ელდარიც ხარობდა და ბაადურსა და ბედიას მეგობრობას, რომელიც დრომდე სიამგალითოდ მოიტანებოდა ხოლმე, ნაცნობთან და უცნობთან ღვარძლიანად აქიაქებდა, აქაოდა მათი ძმაცაცობა სინამდვილეში ფუყე გამოდგაო. მათი უმძრახობის საბუთად ის ხელზე იხვევდა ბაადურის ბოლოდროინდელ უგუნებობას. თვითონ ელდარი ბაადურს ვეღარ ხედავდა, მაგრამ თავის გასახარ ცნობებს სხვების ნალაპარაკებიდან ჩამჩავდა. იმის ბაიბურში კი არ იყო, რომ მისი თითქოსდა ნაწუმათევი ხრიკები არ დაიმალა და რომ ბაადურს ეს ბოლმაც აწვა. ამ ხრიკების შესახებ ბაადურს არავისთვის არ უთქვამს. ამიტომ მან გულჩათხრობილობას ყველა, ვინც ბაადურს ახლო იცნობდა, ბედიასთან დამძრახებას მიაწერდა.

ასე ფიქრობდნენ, კერძოდ, ქეთევანი და ბიჭები — ლეგა, ტიტე და გური.

ბიჭებს, მათთვის ყოველგვარი თვითნებობის ერთხელ უკვე მკაცრი აკრძალვის მიუხედავად, გუნებაში მოსდიოდათ მეორე კეთილშობილური თვითნებობის ჩადენა. სახელდობრ, ბედიასთან ჩუმიდ გაპარვა, მისი თბილისში რაიმე მიზეზით ჩამოყვანა და ბაადურთან ისეთ ვითარებაში შეჩეხება, რომ თავისთავად და უბრალოდ მომხდარიყო მათი შერიგება.

მაგრამ ბიჭები ყოველად მოუტლელი იყვნენ. წინ იყო გამოსაშვები გამოცდების ციებ-ციხელება და ისინიც წიგნებს თავს აკლავდნენ. სკოლას სრულხუთოსნებად ვერ დაამთავრებდნენ, სამაგიეროდ, ბოლოხნის გულმოდგინება დაეხმარებოდა ზედწადევნებული მეორე ციებ-ციხელების — უმადლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების დროს.

იქამდეც შორს აღარ იყო, მაგრამ მთლად გარკვეული არ იყო ბიჭების არჩევანი.

ამიტომ კიდევ ერთხელ, ამჯერად გამოსაშვები გამოცდების წინ, შეიკრიბნენ ტიტესა და გურის მშობლები, მადონა და გრიგოლ დეკანოზიშვილები და ნელი და მუხრან ჭილაძეები ბაადურთან და მათ კვლავ შეესწრო ქეთევანიც. ახლა ოჯახურ თათბირზე დაშვებული იყვნენ თვითონ ისინიც, ვისი გულისთვისაც უფროსებმა თავი შეიყარეს — ლეგა, გური და ტიტე, უკვე შეღერებული, ხმადაბოხებული და უღვაშდამჩნეული ჭაბუკები.

სიტყვაც მათ ეკუთვნოდათ. მათაც რიგრიგობით თქვეს და უფროსები გააოცეს. განუყრელი მეგობრების არჩევანი სულ სხვადასხვა იყო.

— მე ფიზკულტურის ინსტიტუტში წავალ. — გამოაცხადა გური. — ყოველმიზეზ გარეშე რომ მოვხვდები, ამას ლაპარაკიც არ უნდა. ფიზკულტურის ინსტიტუტზე იმიტომ შევჩერდი, რომ ჩემი დაუღვგარი ბუნება სულერთთავად მოძრაობას მოითხოვს. დედას და

მამას კარგად ვიცი გუნებაში რაც აქვთ, მაგრამ ერთ ოჯახში სამი სული იყოს და სამივე ექიმი, მეტისმეტი ერთფეროვნება გამოვა.

— მე საშინაო კედლის გაზეთში ცოტაოდენი ხატვა ვისწავლე. მაგრამ იმდენი მხატვარი მაინც არ ვარ, რომ ვინმე ხატვისთვის დაბადებულს სამხატვრო აკადემიაში აღვიღებ შევეცილო. — განსაჯა ტიტემ. — მხატვრობა საგანგებო ნიჭით დაჯილდოებულითა ხვედრია. მაგრამ მხატვართან ერთად შემოქმედითა მშენებელი ინჟინერიც. მე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო ფაკულტეტზე ვცდი ბედს. მით უმეტეს, რომ მშენებელი ინჟინრები არიან ისეთი საყვარელი ადამიანები, როგორც ემზარი, ზურაბი და აბელი.

— მე სხვა გზა არ მაქვს, ისტორიკოსი უნდა გამოვიდე. ჩემი სოფლის სკოლას მუდამ ისტორიის მასწავლებლები უჭირდა. — ყველაზე მოკლედ ამცნო თავისი გადაწყვეტილება ლეგამ.

იგივე ისტორიის ფაკულტეტზე რომელსაც ის ირჩევდა, ჯერ მხოლოდ ნახევარი გზა ჰქონდა გავლილი მასზე მთელი ათი წლით უფროს ქეთევანს. ისტორიის ფაკულტეტის არჩევასაც ლეგა გულში ქეთევანის სახელს უკავშირებდა და თავისთვის ასე ხსნიდა: მე მაინც უფრო სოფლისა ვარ. ძირი იქ მაქვს. სოფლის წინაშე კი ვალი მაქვს. ჩემს სოფელს ისტორიის მასწავლებელი მართლაც ყოველთვის არ ჰყავდა. ნაკლი ამ მხრივ იქნებ ქეთევანსაც ვერ შეავსოს. ქალია, გათხოვდება. შესაძლოა, გათხოვდეს ქალაქში.

საერთოდ კი ქეთევანი ბაადურთან ერთად ლეგას საფიცარი ხატი იყო. ბოლო დროს ის მათ სახლშიც და გარეთაც აღრინდებოდა ხშირად ხედავდა ერთად და თანდათან ერიდებოდა მყუდროება არ დაერღვია. ის თითქმის ხვდებოდა, ერთხელაც ჩვეულებრივ მოვიდოდა მათთან ქეთევანი და უკვე ღამეც დარჩებოდა. სამუდამოდ დარჩებოდა. ლეგას ნატვრაც ეს იყო, მაგრამ თვითონვე ლეგადა კიდევ. დარდობდა, რომ მაშინ

მისი სათაყვანებელი ადამიანებისთვის მათს ჭერქვეშ ზედმეტი გახდებოდა.

ბიჭების აზრი უფროსებმა ყურადღებით მოისმინეს. ისინი თვითეულის არჩევანს თითქოსდა არ სწუნობდნენ, ოღონდ ვერ ეგუებოდნენ იმას, რომ მათი გზები რამდენადმე იყრებოდა. სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებელი მათ ცოტად თუ ბევრად დააშორებდა. უფროსებმა კი საკუთარი გამოცდილებით კარგად იცოდნენ ძველი მეგობრის სამუდამოდ ახლო შენარჩუნების ფასი. ამავ დროს, მშობლებს და მეურვეებსაც, როგორც არ უნდა დაუეკაცადნენ შეილება და აღსაზრდელები, მათზე ფიქრი არ სცილდებოდა. ხოლო თუ ისინი კვლავ ძველ და საიმედო მეგობრებში იტრიალებდნენ, უფროსებსაც გული საგულეს ექნებოდა. მაგრამ უფროსებს კარგად ესმოდათ ისიც, რომ თუ მათი სამზარეულო უმცროსები ერთმანეთს თვითონ ელეოდნენ, ისინი ერთმანეთისათვის ძალით აღარ უნდა მიეტმასნებინათ. ზეგარდმო ნებასურვილითა და შეგონებით შენარჩუნებული მეგობრობა მყარი მაინც არ იქნებოდა.

ბაადური ბიჭებს სათითაოდ აკვირდებოდა და სინანულით ფიქრობდა, რომ ვისაც არ უნდა მოენდომებინა მათი დაქაქვა, ისე მაინც ვერ მოუხერხებდა, როგორც ისინი თვითონ იფანტებოდნენ. ან იქნებ, მათი ასე დანაწილება რომ იძულება ყოფილიყო, მაშინ სწორედ ერთ არჩევანზე დადგებოდნენ ჭაბუკური სიჯიუტით.

გამოსაშვები გამოცდების შედეგების მიხედვით გური ქილაძეზე ტიტე დეკანოზიშვილზე, ლეგა მორბედაძეზე სკოლაში ერთხმად აღინიშნა: მათ რომ აღრევათ ასე ებეჯითანთ, ნამდვილი ხუთოსნები იქნებოდნენო. ამაზე ბიჭებს ახალადინდულ უღვაშებში ეცინებოდათ, აგონდებოდათ რა ბაადურის წლე-

გიორგი ბელაშვილი  
გვიფარავს მრავალი ზიარი



ბის წინანდელი ნათქვამი, რომ თავის დროს იგივე აფიქრებინა თავის მასწავლებლებს ბაადურმაც. მართლაცდა, თავგადადებით ნამეცადინევი ბიჭები იმედია იყვნენ აწ უკვე მისაღები გამოცდების წინაშეც.

ჯერჯერობით კი ისინი მთელ კლასთან ერთად ერთ-ერთი ფართობინიანი მოწაფის სახლში სკოლის დამთავრების აღსანიშნავი გამოსათხოვარი ფსონური შეხვედრის მოსაწყობად ემზადებოდნენ. იდგა გაცხოველებული ფუსფუსი და დათქმული იყო დამის გათენება.

დანიშნულ საღამოს საბოლოო მოსაკობტავებლად და შეხვედრაზე ერთად წასასვლელად ლეგასთან, ტიტესა და გურის გარდა, რვა თუ ცხრა სხვა ბიჭიც მოცივდა. მათ საიდანაც მოიტანეს მთელი კონა ნაირფერი პალსტუხები, რომელიც ერთ სკოლას ეყოფოდა, და დაიწყეს არჩევა და მორგება. მთელი ბინა ცხარე ფაცაფუცმა და გნისმა მოიცვა. იყო სავარცხლებისა და ჯაგრისების ხელიდან ტაცება, სარკესთან ცილობა, ჩამოგრძელებული კიკინების მაკრატლით კორტნა. ბოლოს ყველაფერი უცებ შეწყდა. ჩაკოსტუმებელი ბიჭები შუშაბანდში ბაადურის წინ სანახაობითად გამწკრივდნენ და ბაადურს კინადამ ცრემლი მოერია.

ყველა გალადებული იყო, მაგრამ შემჩნეოდა, რომ თვითიული ცოტა თავისთავსაც დასცინოდა შეუჩვეველი მოკაზმულობის გამო, რაც კიდეც ეხამუშებოდათ.

შემდეგ ბაადური მთელი დამე ქუჩაში იყო და მოთმინებით ბოლთას სცემდა სახლის წინ, სადაც ეზოს სიღრმეში რომელიღაც სართულზე ერთ-ერთი თანაკლასელი გოგონას ბინაზე მთელა კლასი ერთად უკანასკნელად ხვდებოდა. იქ, მასპინძელი მშობლების სიფრთხილის მიუხედავად, ალბათ ცოტა მაინც დაილეოდა ღვინო. ბიჭებს კი ორიოდვე წვეთიც საესებით ეყოფოდა და ბაადურიც იმას შიშობდა, რომ ღვინოს რაიმე უსიამოვნება არ მოყოლოდა.

საბედნიეროდ, ბაადურს შიში ნაწი-

ლობრივაც არ აუხდა. ცისკრისხვედრის ლი გოგო-ბიჭები ერთ გუნდათ ყვილი-ხივლით გამოიშალა ქუჩაში და საითკენლაც დაიძრა. ბაადური დროზე ამოეფარა მოპირდაპირე სახლის ჭიშკარს და ის არავის შეუშინებია.

გუნდი კი გზადაგზა თანდათან თხელდებოდა, რომელიმე გოგონა და მისი გამცილებელი ვაჟი ცალკე წყვილდებოდა და სხვა ქუჩაზე უხვევდა.

ლეგას, გურის და ტიტეს მალე მოეხანდათ თავისი რაინდული ვალი და შეხვედრა მარჯანიშვილის მოედანზე დაეთქვათ. ჯერ ისევ ძალიან ადრე იყო, ქუჩაში თითო-ოროლა გამვლელი თუ ჩანდა, მათ კი თავისი სახლის წინ ბაადური დახვდათ. ბაადურს ბოლომდე სიფრთხილე ჩაეფიქრნა, შეხვედრამ კი ჩაიარა მშვიდობიანად, მაგრამ აწ უკვე ქუჩაში არ გადაეყარონ ბიჭები დავადარობასო. ამიტომ თუ მთელი დამე სხვა ქუჩაზე, ახლა უკვე მარჯანიშვილის ქუჩის თავის მოკლე მონაკვეთზე სცემდა ბოლთას.

— დილა მშვიდობისა, ძია ბაადურ!— მწყობრად და მხიარულად მიესალმნენ მას ბიჭები.

ბაადურმა კი სამივეს კეფაში მსუბუქად წაუთაქა და სახლებში შეყარა.

## 21

პირველივე მისაღები გამოცდის დღეს ლეგამ ჯერ უნივერსიტეტის ბაღში, შემდეგ კი დერეფანშიც თვალი მოჰკრა ციური პაპიძეს. რამდენჯერმე იქვე დალანდა მომდევნო გამოცდების დღეებშიც. შეამჩნია თუ არა ის თავის მხრივ ციურიმ, ამაზე ლეგა ვერაფერს იტყოდა. ყოველშემთხვევაში, ისინი პირისპირ არ შეხვედრილან.

ჩარიცხულთა სიების გამოკვრის დღეს კი, როცა სიებთან ნამდვილი ხოცვა-ქლეტა იყო და გახვითქული, მაგრამ ბედნიერი ლეგა ძლივს გამოძვრა ზედახორიდან, მის წინ სახეგაბრწყინებული ციური გაჩნდა.

— მოგილოცავ! ჩვენ სკოლაში ვერ





ვიყავით ერთად, სამაგიეროდ, ერთად ვიქნებოდა უნივერსიტეტში.

ლევამ თვითონაც არ იცოდა, რატომ გაურბოდა და უბღვერდა, საერთოდ, რას ემართლებოდა ციურის, მაგრამ მას ეს უკვე ჩვეულებაში ჰქონდა და წარბი შეეკრა ახლაც.

— შენც უნივერსიტეტში? ნამდვილად?

— სრულიად ნამდვილად. გიხარია?

— მეტი რომ არ შეიძლება, ისე. ხოლო თუ შენც ისტორიის ფაკულტეტზე ხარ, სიხარულისგან გადავირევი.

— ამაში კი უნდა გაგაწბილო. მე ისტორიის ფაკულტეტზე არ ვარ. ერთი გამოშვების ორი ისტორიის მასწავლებელი ბევრი იქნება შენი პატარა სოფლისთვის.

ლევამ მოულოდნელმა პასუხმა დააბნია და იგი გაოცებული შეაჩერდა უცებ სახეანთებულ და თითქოს შიშით ათრთოლებულ ღამას მეზობელ ქალაშვილს, რომელიც თავის სითამამეს თვითონვე დაეფეთებინა. ლევამ მას პირველად გაუღიმა გულთბილად და ისინი მორცხვი და მიამიტი საუბრით სახლისკენ ერთად წავიდნენ, სადაც თურა ამბავს მიიტანდნენ აბიტურიენტებში, მთელი ეზო მოუთმენლად მოელოდა. ზედ სახლის წინ ციურის ლევა ხელიდან გამოსტაცეს საზიზღარმა გურიმ და ტიტემ და საითყენლაც გააქროლეს. ისინიც თავთავის ინსტიტუტში მოხვედრილიყვნენ. ჩარიცხვასთან ერთად კი გაგიჟებულებიყვნენ. მთლად გაგიჟებულებიყვნენ. და ეს იყო უბედურება, თორემ ციური მათ ჰქვიან ბავშვებად არასდროს თვლიდა.

გახარებულმა შინაურებმა ბიჭები ზღვაზე დასვენების საგზურებით დაასაჩუქრეს. ეს მათი ხანგრძლივ თავისუფლად პირველი განავარდნა იყო. მათ ცოტ-ცოტა სახარჯო ფულიც ჰქონდათ ჯიბეზე და სიხანდა სიამოვნება არ მოეკლოთ. თბილისში, აგარაკის შემდეგ, ისინი შეფრთვნილი და ხალისიანი, დაბრუნდნენ.

ბიჭებმა უკანასკნელი კედლის გაზე-

თი გამდღუშვეს. თუმცა, ჯერ თვითონვე არ იცოდნენ, თუ ეს მართლაც უკანასკნელი იქნებოდა. მაგრამ გაზეთს უკვე დაჰკრავდა მკითხველებთან გამოსათხოვარი იერი, ლექსად იყო დაჯამებული წლების მანძილზე გაწეული საგაზეთო ფუსფუსი, აგრეთვე პირადი სასაცილო თავგადასავლები, დასურათებული ავტოშარყებითა და მეგობრული შარყებით.

უმაღლეს სასწავლებელში უკვე სტუდენტის უფლებით ფეხის შედგმას ისინი მოუსვენარი ჩქროლვით მოელოდნენ. დადგა ეს მღელვარე დღე, გაიფრინა კვირამაც, მთელმა თვემაც, ბიჭები კი მოტყუებულებივით იყვნენ. იგრძნობოდა, რომ უცხო გარემოში მეცადინეობის პირველივე დღეები მათ ძალიან ემწარათ. ისინი სკოლასთან შედარებით მეტ თავისუფლებას მოელოდნენ. სინამდვილეში კი ხელფეხშეკოჭილი იყვნენ. დაიბნენ, აიწეწნენ, აფორიაქდნენ. მათ თავიდანვე იმდენი საწერი და სახაზი, იმდენი ძველი კონსპექტი და წიგნი საძებარი გაუხდათ, რომ მოცლა თითქმის არ ჰქონდათ, დრო ერთმანეთთან ენის მოსაქავებლადაც აღარ ჰყოფნიდათ. ჯერხნობით მაინც ხმამაღლა არ ჩიოდნენ და საკუთარ წვეწში იხარებოდნენ.

22

— ეს სწავლა კი არა, ჯოჯოხეთია! — ბოლოს პირველი გური აჯანყდა. — ასეთი ჩამწარებული არც განათლება მინდა, არც ოქროს კოშკი!

ისინი კვირა საღამოს სანაპიროს ქვას მოაჯირზე მოწყენილი ეყუდნენ. ცა შუქიანი იყო. ჭადრები ოდნავ როკავდნენ. დაწმენდილი მტკვარი სასიამოვნოდ ლივლივებდა. ბევრი ახალგაზრდა ტყებოდა კიდევ ამ საოცნებო საღამოს ეშხით. სამ უიღბლო მეგობარს კი გარეთ დიდხანს დარჩენა არ შეეძლო, რადგან სახლში უამრავი სამეცადინო ელოდა.

გიორგი ბალაშვილი

გვიფარავს მრავალი მერი

ზრდაში მეტი მოთმინებით აღჭურვილმა ტიტემ, რომელსაც ასევე არ უღბინდა, რაც სტუდენტობა დაეწყო, თავისი გასაჭირის მიუხედავად, გურის დაშოშმინება სცადა. ჩამოთვალა გამოჩენილი ადამიანები, რომელთაც განათლება მეტი ტანჯვის ფასად მიიღეს. მაგრამ მისმა მშვიდმა შეგონებამ გური უფრო გააცეცხლა.

— ეგ შენ ამოგიყენია სხვადასხვა წიგნებიდან და შენთვისე შეინახე! მემათ სიმაღლეს არ ვეპოტინები.

— მაშ როგორ მოიქცევი? — ყოველგვარი მზაკვრობის გარეშე კვლავ აუღელვებლად ჰკითხა ტიტემ.

გურიმ ჯერ ბრაზით კბილები გაახრჭიალა, შემდეგ გაალო პირი მკვახე პასუხისათვის, მაგრამ ლეგამ მას საჩქაროდ ტუჩებზე ხელი დააფარა.

— ხმა არ ამოიღო! რასაც ახლა ცხელ გულზე წამოისროდი, უაზრობა იქნებოდა. მერედა, ვაი თუ წამოგცდენოდა, რას ვიზამდი, და ინსტიტუტს თავს დავანებებო.

გურიმ, როცა უცებ წამოპილპილდებოდა, მართლაც უმწიფარი პასუხის გამოცხობა იცოდა. ახლაც ენიდან იმას წამოაფრენდა, რაც ლეგამ გამოიცნო. წამოაფრენდა და თავს უხერხულობაში ჩაიყენებდა, რადგან ანგარიშმოუცემლად განცხადებულ უკიდურეს განზრახვას მშობლების პატივისცემით ვერ განახორციელებდა. მაგრამ ამ საბუთით გურისთვის ნიშნის მოგება მას ზედმეტად გააანჩხლებდა და ლეგამ დაძაბული საუბარი მდორე დინებაში გადაიყვანა, სულათსულ ახლო წარსული, სკოლაში გატარებული დღეები სიამოვნებით მოიგონა.

— ერთადაც თითქმის ველარ ვართ. — ტკბილმა მოგონებამ მით უფრო მკაფიოდ დაანახვა გურის აწინდელი დუხჭირი ყოფა, მაგრამ მან უკვე თვინიერად დაიჩვილა.

— მუდამ ასე გაწამაწამია არ ვიქნებით. — დაიმიედა ის ლეგამ. — ეს ალბათ პირველი დღეები და საერთოდ პირველი კურსია ასეთი მოუსვენარი

და საერთოდ გადატვირთული. თან ჩვენც შევეჩვიეთ. დავხელოვნდებით საგნების ათვისებაში და თავისუფალი დროც ისევ გავგიჩნდება.

— რაღაც არ მჯერა, რომ ეგრე მოხდეს. მაინც, შენ პირს შექარი. — უიმედოდ ჩაილაპარაკა გურიმ. ტიტეს კი ლეგას ვარაუდი მოეწონა.

— ნამდვილად ეს პირველხანების ფეთიანობაა. შემდეგ ჩვენც სულს მოვითქვამთ და თავისუფლად ამოვისუნთქავთ.

მომავლისთვის შევებას ვარაუდობდნენ ბიჭები. ამ წუთს კი მათ არ ეთმობოდათ ცავარსკვლავიანი ლამაზი საღამო. საღამო ისეთი დალოცვილი იყო, როდესაც კაცს თავი ნებიერი ძილისთვისაც არ ემეტება და მუხლის ჩამოწყვეტამდე ქუჩებში ხეტიალი ეგუნებება. მათ კი სახლში ათობით უცხო სახელმძღვანელო და სხვადასხვა საკირკიტო ეგროვათ და გარეთ კიდევ დაცოვენება ხელს არ მისცემდათ.

„— ეს ფიზკულტურის ინსტიტუტი მაინც რამ გააგიჟა! — გულშიდა იკლავდა ჯავრს გური. — ჯერ თვალით ბურთიც არ დაუნახებიათ, წიგნებში კი უკვე ყელამდე ვზივართ.“

სახლისკენ უხალისოდ მიმავალმა ბიჭებმა ქუჩაში ჟრამულით მოსეირნე ხალხს შენატრეს. არა შურით. საკუთარი საწამებლის შეპირისპირებით და განცდით. გურის გავებით, თუ ადამიანი სხვასავით ბედნიერებას თავის თავსაც უსურვებს, ეს შური არ არის.

გურის მარტო წუწუნი არ ეკმარნა იმაზე, რომ მეგობრები ერთად ყოფნით გულს ველარ იჭერებდნენ. მას მთელი თვეები ემტვრია თავი და ბედნიერი აზრიც ეპოვა. აზრი მას ქათინაურების თანხლებით მშობლებისათვის ისე ლამაზად გადაეცა, რომ ისინი თავის ჰკუთნე წაეყვანა. ამ აზრზე დამყარებული მუხრან ჭილაძე ზამთრის საღამოჟამს სრულიად მოულოდნელი და უცნაური წინადადებით გამოეცხადა

სამსახურიდან სახლში ის იყო დაბრუნებულ ბაადურს.

ბაადურს ზამთარში მუქი და გამძლე ტანსაცმელი, განსაკუთრებით ხორკლიანი ბუკლეს პიჯაკები და მაღალყელიანი სვიტრები უყვარდა. ზაფხულში კი არამყვირალა უჭარულა ხალათები, ხოლო შარვლები ყოველთვის შავი ან ლურჯი უქანა ჯიბეებითაც. ჯიბეების სიმრავლე საერთოდ თვალსაცემი იყო მის ჩაცმულობაში, რადგან ყველა აუცილებელ წვრილმან საგანთან ერთად, რომლებიც მუდამ ახლავს მამაკაცს, ბაადური ატარებდა აგრეთვე უბის წიგნაკს, ჯაყვას, პორტსივარს, რამდენიმე აეტოკალამს, ხშირად კი მცირე მოცულობის საკითხავ წიგნს და სხვადასხვა ცნობარსაც.

მას ახლაც თავის გემოვნებით ეცვა და შავრუხი ბუკლეს პიჯაკისა და შარვლის ყველა ჯიბეც ჩვეულებრივ დაკავებული ჰქონდა.

მუხრან ჭილაძეს ბაადური სახლში მარტო დახვდა. ბაადური ფეხზე იყო და ტანსაცმლის გამოცვლამდე ჯიბეების შიგთავსს ინახლებდა. ბაადურმა სტუმარი სიხარულით მიიღო და სასაღილო მაგიდასთან მიიწვია. ისინი ერთმანეთის პირდაპირ კი დასხდნენ, მაგრამ უცნაური იყო, რომ მუხრანი მასპინძელს თვალს ვერ უსწორებდა. ბაადურს უცებ გული შეუქანდა. იქნებ ფათერაკი იყო ლეგას თავს, რომელსაც ჯერ გურის მამამდე მიეღწია.

— ჩვენი ბიჭები უერთმანეთოდ ავადმყოფებივით არიან და მოდი, ჩემო ბაადურ, მათ ერთი ჭერი მივუჩინოთ. — დროზე დაილაპარაკა მაგიდასთან გვერდულად ჩამომჯდარმა მუხრანმა, თორემ ბაადურს მოთმინება აღარც ეყოფოდა სტუმარი რომ წამიც კიდევ დარჩენილიყო საიდუმლოებით მოცული და გატრუნული. — მივუჩინოთ, სახელდობრ, დედაჩემის ბინა. დედას აქამდეც ჩემთან ვიბირებდი, მაგრამ ის თავის კუთხეს ვერ ელეოდა. ახლა კი ძლიერ დამიბერდა და მარტო აღარ დაიტოვება. ძლივს დავითანხმე და გადმომყავს.

ბიჭები კი შეველენ მის ბინაში ხორვებენ, ასე ვთქვათ, დამოუკიდებლად. სინამ უმალღესს დაამთავრებენ და გზას დაადგებიან. დედაჩემის ბინა ჩვენივე ქუჩის ბოლოშია და ბიჭებს თვალისა და დავიშორებთ. ხან მამაკაცები, მე, გრიგოლი და თქვენ დახვდებით ხოლმე. უფრო ხშირად კი ალბათ ქალები, ნელი, მადონა და იქნებ ქალბატონი ქეთევანიც. მე და ნელიმ ეს დიდი ჰოქმანის შემდეგ გადავწყვიტეთ. გაუძნელდათ თანხმობის თქმა დეკანოზის შიშვითაც, მაგრამ ბოლოს მაინც გაახარეს ტიტე. ახლა თქვენზეა, რომ დასტურს მიიღოს ლეგამაც.

ბაადური დამშვიდდა, შიში რომ არ აუხდა, მაგრამ არ ეამა მუხრან ჭილაძის მოსვლის ნამდვილი მიზეზის გაგება. პირველად მოხდა, რომ ამ თავაზიან და მორიდებულ კაცს ბაადურმა ცივად შეხედა.

— მაგრამ დასტურს ან უარს ადამიანი მაშინ ამბობს, როდესაც მას რაიმეს სთხოვენ, ეკითხებიან მაინც. ჩემთვის ლეგას არაფერი უთხოვია. არც უკითხავს. თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ლეგას ნამდვილად უნდა ჩემგან წასვლა?

— საკითხი ასე არ დგას — თქვენგან წასვლა. საკითხი ასე დგას — შესაძლებლობა მოგვეცა და ერთად ვიძვორებთო. ყმაწვილთა ცნობაში ვის არ იხილავს მეგობრებთან ერთად ერთ ჭერქვეშ ცხოვრება! თქვენც არ უნდა დაუშალოთ ლეგას. მით უმეტეს, რომ მე და ნელი, აგრეთვე გრიგოლი და მადონა ღვიქლ შვილებს ვიცოლებთ სახლიდან.

— თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ რაკი ლეგა ჩემი სისხლით მკვიდრი არ არის, მე ის უფრო უმტკივნეულოდ უნდა მეთმობოდეს, ვიდრე თქვენ ღვიქლი შვილები? მაგრამ ჩემი მხრივ, მინდა გაგარკვიოთ, რომ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ლეგაზე სწორედ იმიტომ ვგრძნობ, რომ ჩემი მკვიდრი არ

გიორგი გელაშვილი  
გვიფარავს მრავალი ჰერი

არის და მისი მეურვეობა ჩემით ვიკის-  
რე-

— ღმერთო კი მომკალი! მე თქვენ გა-  
წყენინეთ?

— კამათში რომელიმე მხარეს ეწყი-  
ნება. ეს არა უშავს. დასანანი ის არის,  
რომ თქვენ ლეგასა და ჩემ დამოკიდე-  
ბულეობაზე ნათელი წარმოდგენა არ  
გქონიათ. მე ლეგა სახლში გამართობად  
ან მსახურად არ მყავს, რომ ვერ დავ-  
თმო. დათობა კი მაინც მიჭირს, ვინა-  
ცობაა ჯერ ძალზე ახალგაზრდად უფრო-  
სის გარეშე ყველაფერი სწორედ ვერ  
გაიკვლიოს. ვაი თუ ცუდში ვერ გა-  
ერკვეს და შეტობოს. დამერწმუნეთ,  
რომ ჩემი გულის კანკალი ჩემი არა-  
ვიძლი ძმის ბედობაზე, ღვიძლი შვი-  
ლისთვის მშობლის განცდებს არ ჩამო-  
უვარდება. მიუხედავად ამისა, თუ ლე-  
გას სხვაგან გადასვლა ენატრება, არ  
დავუშლი.

— არ დაუშალოთ, გთხოვთ. მოიგო-  
ნეთ, რომ თავის დროს, როდესაც უფ-  
როსები უმადლესი სასწავლებლის თაო-  
ბაზე მათ სხვადასხვა არჩევანს ვისმენ-  
დით, გულში სინანულს ვგრძნობდით,  
რადგან გვეგონა, დაშორდებოდნენ 'რო-  
გორც მეგობრებიც. საბედნიეროდ, მათ  
მეგობრობა არა თუ არ დარღვეულა,  
უფრო გაღრმავებულა. ამიტომ, შევეუ-  
წყოთ ხელი. იცხოვრონ ერთ ჭერქვეშ  
და ისწავლონ ცხოვრება.

— ვნახოთ. მე ჯერ ლეგას უნდა მო-  
ველაპარაკო.

— ოღონდ, არ დატუქსოთ. გთხოვთ.

— არ დავტუქსავ. ვისაც სად სია-  
მოგნებს, იქ იცხოვროს.

— მაშასადამე, თქვენი დასტურიც  
იქნება! მე კი ერთგვარად სულელურ  
მდგომარეობაში ვარ, როდესაც ვციდი-  
ლობ იმაზე დაგითანხმობთ ლეგას მი-  
მართ, რაზეც პირველად სასტიკ უარს  
ვეუბნებოდი გურის.

— ეს გურის წამოწყებაა?

— ეს, გურის სიტყვებით რომ ვთქვა,  
მისი ბედნიერი აზრია, დაბადებულა  
წყალობით იმისა, რომ ყური შეასწრო

ჩემი და ნელს საუბარს დედაჩემის  
ჩვენს ბინაში გადმოყვანის შესახებ.

მუხრან ჭილაძე დამნაშავე კაცის  
უმეწო ღიმილით წამოდგა და კარისკენ  
დაბნეული ღიმილით გაემართა. ქუდიც  
კი რჩებოდა მაგიდაზე, მაგრამ ბაადურ-  
მა დააწია. იქნებ დარჩენოდა პალტოც,  
მაგრამ პალტო მას არ გაუხდია.

24

უნივერსიტეტში ლექციები საღამო-  
თიც იკითხებოდა და ლეგა შინ მოგ-  
ვიანებით დაბრუნდა. ბაადურმა მას სუ-  
ლის მოთქმა და დანაყრება აცალა.

ლეგამ უკვე მოასწრო ბაადურისთვის  
მალულად თვალის შეცვლა და იგრძ-  
ნო, რომ იგი აღელვებული იყო. იგრ-  
ძნო ისიც, რომ ბაადურის ფიქრები მას  
შეეხებოდა. ბაადური ფანჯარასთან იდ-  
გა და ქუჩაში ნაძალადევი ყურადღე-  
ბით იცქირებოდა. ლეგამ უკანასკნელი  
ლუქმა ზეზეურად გადასანსლა და ჩა-  
ახველა.

— გისმენთ, ძია ბაადურ.

— სათქმელი, მგონი, შენ გაქვს და  
არა მე.

— რას გულისხმობთ?

— ცხადა იმას, რაც შუამავლის პი-  
რით შემომითვალე.

— მიგვხდი! უკვე ყოფილა თქვენთან  
მუხრან ჭილაძე. მაგრამ შუამავლად  
ის მე არ მომიგზავნია. თავისით ითა-  
ვა ჩვენი — გურის, ტიტესი და ჩემი მო-  
წადინების თქვენთან შეთანხმება. მეც  
არ დაუშალე. მე მაინც მიჭირდა თქვე-  
ნთვის ჩემი გადაწყვეტილების თქმა.

— ეს უკვე გადაწყვეტილებაა?

— უკვე.

— ნება შენია. თუმცა უხერხულია და  
გაუმართლებელიც, რომ უსახლკარო არ  
ხარ და მაინც სხვა ბინა შეგიგულვებია.

— მხოლოდ უმადურად ნუ ჩამთუ-  
ლით. გაითვალისწინეთ ისიც, რომ გუ-  
ჩი და ტიტე მშობლებს სტოვებენ.

— შენ კი სტოვებ გარეშე ადამიანს...  
ეს უკვე მყარი საბუთია, რომელიც მე  
მხედველობიდან გამომრჩა.

— სინდისზე მაყენებთ?

— რაც შენ შემახსენე და მეც დამა-  
ჭერებლად ვცანი, იმას აღვნიშნავ.

— ჩვენ — ტიტე, გური და მე საერ-  
თო სახლში პატიოსნად ვიცხოვრებთ.  
თქვენ არ შეგარცხვენთ.

— თქვენ თქვენი თავი არ შეირცხვი-  
ნოთ.

— ჩვენი შერცხვენა თქვენი შერცხ-  
ვენაც იქნება. თქვენ არ შეგარცხვენთ.

— თითქოს მიფიცებ.

— ვერ გიფიცებთ. ვერ ვბედავ. მე  
საფიცარი ბევრი გამაჩნია. დედისა და  
მამის ხსოვნა. ჩემი შაქრიას ხსოვნა.  
სოსო მოლოდინის ხსოვნა, რომელიც  
არც მინახავს. ჩემი დათა! დეიდა ქეთე-  
ვანი! გური და ტიტე ერთად. პირველი  
კი თქვენ! თქვენა და დათა ისე მწამ-  
ხართ, რომ თქვენი სახელის დაფიცები-  
საც მეშინია. ვაი თუ, ფიცისას ჩემი სა-  
მართლე თვითონაც არ ვიცი და უმეცა-  
რი ტყვილის ნატამალითაც კი, თქვენ  
ზიანი გხედეთ. თუ დაფიცებაა, მე უპირ-  
ველესად ჭერს დავიფიცებ! ჩვენ ჭერ-  
სა და მრავალ სხვასაც, დროებითს და  
მუდმივ ჭერს, რომლებიც გვიფარავენ.  
ჭერი განსაკუთრებით აახლოებს ადამი-  
ანებს. მაპატიოს ჭერმაც, თუ ფი-  
ცილის დროს უცოდნელად მასაც შეე-  
ცოდო. გაუძლოს კიდევ! რადგან ჭერი  
ადამიანის ხელებს შეუქმნია და მას სა-  
მადლობლოდ ადამიანებისთვის ისედაც  
ბევრი უპატიებია. ჭერის უსისხლბორ-  
ცობის გამო, შეგნებულ ტყვილს შინც  
არც მის მიმართ ვეპირებო.

— ჭერი საფიცრად ნამდვილად  
ღირს. ჭერი მართლაც განსაკუთრებით  
აახლოებს ადამიანებს. ჩვენ ჩვენი ჭერი  
გვიფარავდა და არაერთი სხვაც. ცხო-  
ვრება ასეა. კიდევ სხვა ჭერქვეშათაც  
აღმოვჩნდებით. აგერ, შენ გულმა მო-  
გთხოვა და კიდევ ერთხელ იცვლი  
ჭერს.

რასაც საუბარი შეეხება, მოსაუბრე-  
თა თვალსაც ის იპყრობს. მით უფრო  
თუ სასაუბრო საგანი შეენაცვლა სა-  
კითხს, რომლისადმი ხელახლა დაბ-  
რუნება დადონებას იწვევს. უნებურად  
ჭერს ახედეს ბაადურმა და ლეგამაც,

თუმცა ჭერს გადატანილი აზრითაც  
სენებდნენ. ჭერი წერილი ზხარებით  
დაქსელილიყო, ნესტით დალაქავებუ-  
ლიყო, და ადამიანის ხელებისგან, რომ-  
ლებმაც ის შექმნეს, ახლა მოწესრიგე-  
ბასაც მოითხოვდა.

თითქოს აქ წლების განმავლობაში  
არ იცხოვრა და არც უფროსი მეგო-  
ბარი ღარჩა. სხვაგან გადასვლიდანვე  
ისე უცებ დაივიწყა ლეგამ ძველი სახ-  
ლის გზა. მართალია, ამ წლების მან-  
ძილზე ბაადურსა და ლეგას ყოველთვის  
ენაწყლიანი საუბარი არ ჰქონდათ და  
არც მოლხენა ეხერხებოდათ, სამაგი-  
ეროდ, ერთმანეთის ყველაფერი ესმო-  
დათ.

ლეგამ თან მხოლოდ ტანსაცმელი და  
წიგნები წაიღო. სხვა მისი კუთვნილე-  
ბა კი ალბათ თავის დროს დასჭირდე-  
ბოდნათ ბაადურის შეილებს. ასე ფიქ-  
რობდა უკვე საკმაოდ შორსგახედული  
ლეგა. მაგრამ შორს დანახულამდე ჭერ  
ისევე შორიც იყო. მართალია, ქეთე-  
ვანს დროდადრო შემოჰქონდა ბაადუ-  
რის სახლში სანატრელი ქალური სით-  
ბო, მაგრამ საბოლოოდ ჭერ არ რჩებო-  
და. ქეთევანი ვადად უნივერსიტეტის  
დამთავრებას ვარაუდობდა და ბაადუ-  
რიც არ უხიზდებოდა.

თვალში დააკლდათ ლეგა მეზობლებ-  
საც, ტასიას იქამინდელ მდგუმარ სტუ-  
დენტებსაც.

თავისებურად გამოხატავდა თავის  
გულწაკლულობას ბესო-პაპა.

— თითო სართულს ყველა სახლი  
დაიდგამს! ჩვენი ღრმასაძირკვლიანი და  
სართულნახევრიანი სახლი, მით უმე-  
ტეს! დაიდგამს დაუთის სახლიც. დაუ-  
თის სახლი ჩვენისა თითქოს ტყულის  
ცალია. აი, ნებას რომ მოგვცემდნენ,  
დავაშენებდით ან ჩვენზე, ან დაუთის  
სახლზე ერთ სართულს და აქვე დავა-  
სახლებდით ლეგასა და მის ამქარს. ბი-

გიორგი ბელაშვილი  
გვიფარავს მრავალი ზერი

ქიც ისევ ახლო ვეყობებოდა და მისი ძმაბიჭებიც.

ერთი შეხედვით გასაკვირი იყო, რომ ლევას გადასვლას ეზოში ყველაზე ნაკლებად განიცდიდა მისი ოდესღაც თავდავიწყებული თავყვანისმცემელი ციური ბაბიძე, თავად მშვენიერი ქალიშვილი, მაგრამ ეს მინც არ იყო განსაკუთრებული მოკლენა გათვალისწინებით იმისა, რომ ტოლს ტოლზე უჭირავს თვალი დრომდე, სანამ ისინი ერთ გარემოში არიან. როცა ეს ტოლნი გარემოში ორნი არიან, მათგან ერთ-ერთს მეორისკენ სწრაფვა იმიტომაც დასწამდებოდა, რომ მოცემულ გარემოში მათი ტოლი სხვა არავინ იყო.

ბაადური სთვლიდა, რომ ბინის გამოცვლის შემდეგ პირველს ლევას ევალეებოდა მასთან მისვლა, როგორც უმცროსს, და არა ბაადურს უმცროსის კარის მიკაკუნება. მაგრამ ლევა არ მოდიოდა და ბაადურიც მას ფარულ ქიშპში ედგა.

რალა თქმა უნდა, აღარ ჩანდნენ გური და ტიტეც. ყოფილმა დამჯერე შეგირდებმა, თითქოს უცებ მოიძულეს ბაადური და მას ამის გამო მეზობლებისა და ნაცნობებისა რცხვენოდა. მეორე მხრივ, მისი ზედამხედველობიდან ბიჭების გასვლით ბაადურს ხელ-ფეხი ეხსნებოდა პირად ცხოვრებაში. შეეძლო ისე გაენაწილებინა თავისუფალი დრო, როგორც უნდოდა. კერძოდ, სახლში მტკიცედ დაეცვა საწერად შემოღებული განრიგი, აგრეთვე ხშირად ყოფილიყო ხოლმე ამხანაგების წრეში. მაგრამ მართო ჩაფიქრება საქმეს არ შეელოდა.

საქმე იმაშიც იყო, რომ ბაადური მინც გადაიყვანეს გამოცემლობის დირექტორის მოადგილედ, თუმცა მან ბევრი იუარა. მიზეზად მოიტანა, რომ იქნებ მართლაც მძიმე ხასიათებისა იყო და თანამშრომლებიც ვერ იგუებდნენ. მით უმეტეს, რომ ყურმოწაკრავით ასეთად შესაძლოა ისედაც უკვე სთვლიდნენ. ამიტომ, მოსალოდნელია მასში

მხოლოდ უარყოფითის დანახვას ეცდებოდნენ. ბაადურს ეს ნამდვილად აფიქრებდა, მთავარი კი ის იყო, რომ ძალიან ენანებოდა ჟურნალის რედაქცია. ენანებოდა, მაგრამ მისთვის პარტიულობისა და შეგნებულობის შეხსენებით მაინც დაათმობინეს. უნდა იმუშაო იქ, სადაც უფრო საჭირო ხარო.

სამსახურებრივი დაწინაურება ბაადურს საფუძველს აძლევდა ეამყნა, რომ შეამჩნიეს და პასუხსაგები თანამდებობა ანდეს. მაგრამ მოცემულ ვითარებაში ბაადურს მოელოდა დაქიშული საქმიანი ურთიერთობა ელდართან. თან კი ბაადურს ახალ სამსახურში ნდობა უნდა გაემართლებინა, რაც ბევრ მუშაობას მოითხოვდა. ამის მიუხედავად, ბაადურს წერისთვისაც რჩებოდა დრო და ამხანაგებისთვისაც. მაგრამ, როცა ეცალა მას, მაშინ იყო ხოლმე დაკავებული ერთი ან მეორე ამხანაგი. ანდა რამდენიმე ერთად და სასურველი წრე ვეღარ შეიკრა.

ამავე დროს ბაადური თავს იტყუებდა, თითქოს სულ არ ეცალა ყოფილი შეგირდებისთვის, სინამდვილეში კი ეს ისევ ლევასადმი ფარული ქიშპობა იყო. აი, ამ ქიშპობას კი შეიძლება მწარე შედეგი მოჰყოლოდა. თავის ნებაზე მიშვებულ ბიჭებს იქნებ სასმელებისკენ პირი წაეცდინათ, საერთოდ, გართობისთვის მიეყვით ხელი, სწავლაზე კი გული აეყარნათ. მაშინ ბაადურს წყალში გადაეყრებოდა ლევაზე გაწეული მთელი ამავი. გამოვიდოდა, რომ მან კი იტვირთა კეთილშობილური მეურვეობა. მაგრამ ტვირთი ბოლომდე ვერ ზიდა, ჩამოიხსნა და უპატრონოდ მიაგდო. პატრონი კი ლევას მეტად სჭირდებოდა ახლა, როდესაც მან პირველად მოიპოვა თავისუფლება, რასაც მის ასაკში ყველა სწორედ ვერ იყენებს. ხოლო თუ ლევას მრუდე ნაბიჯი მოუვიდოდა, ეს ბაადურს ხომ დასწყევტდა გულს და აღარც დაათასა და მთელი სოფლის შესახედი პირი ექნებოდა.

მოუსვენარი ჩუმი შიში ბიჭებზე ბა-  
აღურს ვინმე სარდიონმა და მიტრომ  
უფრო გაულტრებულს.

უბანში, რომელიც მოიცავდა მარჯა-  
ნიშვილის ქუჩის ბოლო, აღმართიან ნა-  
წილს ერისთავისა და ახალციხის ქუჩე-  
ბითურთ, ვაკევეთი საბჭოს ქუჩიდან  
რკინიგზის ვაკისამდე, თავის თაობის  
ახალგაზრდებს შორის ყველაზე  
ჭკუასაკითხავი ვაკევეთი სარდიონი და  
მიტრო იყვნენ, თითქმის ბაადურის  
ტოლები, თავისი უბნის თავგამოდებუ-  
ლი ქომბაგები. წინათ სარდიონი და მიტ-  
რო უბნის ღირსებას მუშტიითაც იცავე-  
დნენ, ახლა კი მხოლოდ გონიერებით.

ბაადური მათ შორიდან იცნობდა  
და ასევე იცნობდნენ ისინიც მას. მათ  
ბევრჯერ მიუქცევიათ ერთმანეთისთვის  
ყურადღება ქუჩაში, უფრო მეტი კი გა-  
გებული ჰქონდათ.

სარდიონსა და მიტროს უნდოდათ  
თავი ისე დაეჭირათ, თითქოს შემთხვე-  
ვით დასცირობდნენ ბაადურის სახლის  
წინ, მაგრამ ბაადურს უცებ გულმა ქო-  
ტოთით უთხრა, რომ ისინი მას ელო-  
დებოდნენ.

— ბაადურს გაუმარჯოს! — ერთხ-  
მად თქვეს სალამი ძმაკაცებმა.

— გამარჯობათ, სარდიონ და მიტრო!

— სასაცილო არ არის, რომ ამდენი  
წელიწადია ვიცნობთ ერთმანეთს, აი,  
სალამით კი დღემდე არ ვიყავით. —  
ემათ თავიანთი სახელების გაგება სარ-  
დიონს და მიტროს. — აი, შენ ჯეელ მე-  
გობრებთან კი, რაც ჩვენ უბანში გად-  
მოვიდნენ, იმ დღიდანვე სალამითა  
ვართ. კარგი ბიჭები არიან და ჩვენც  
პატივსა ვცემთ.

— ურიგოც ხომ არაფერი შეგიმჩნე-  
ვიათ? — დაიძაბა ბაადური.

— ურიგო თითქოს არაფერი. მაგრამ  
შენ მაინც სულ ნუ აიღებ ხელს.

— თქვენ მგონი რაღაც იცით და მი-  
მაღავთ....

სარდიონმა და მიტრომ არც „პო“  
თქვეს, არც „არა“.

— ერთი სიტყვით, ხანდახან დახედე

ხოლმე. თუ არ ვცდებით, ახლაც სახლში  
ში დაგხვდებიან.

ეს, ბაადურის სახლთან სარდიონისა  
და მიტროს ვითომცდა შემთხვევით მო-  
ხვედრა და მათი გადაკრული სიტყვე-  
ბიც იმას ნიშნავდა, რომ მიზანშეწონა-  
ლი იქნებოდა, თუ ბაადური ბიჭებს ამ  
სალამოსვე დაადგებოდა თავს.

ბაადურმა აღლეგებისაგან თვითონაც  
ვერ გაუწია ანგარიში სარდიონსა და  
მიტროს მადლობა გადაუხადა თუ ბო-  
დიში მოუხადა, და სახლში შეუსვლე-  
ლად პირდაპირ ზემოუბანს მიაშურა.

ბიჭები ქუჩის იმ ბოლო უხმაურო  
და უხალხმრავლო ნაწილში ცხოვრობდ-  
ნენ, სადაც ტროტუარზეც და ქვაფე-  
ნილზეც გაზაფხულობით ბლუჯად ბალა-  
ხი ამოყოფდა ხოლმე თავს. ეზო კი  
უთანატოლოდ ნაგები და ერთმანეთზე  
მიჯიფთული ხუხულებივით ცალკე ბი-  
ნებისგან შესდგებოდა. ბიჭების ბედნი-  
ერების სავანე უსწორმასწორო ეზოს  
სიღრმეში დაბალ სათავსოებზე დასკუ-  
ბული, ერთადერთი უყველაფრო ოთა-  
ხი იყო, რომელსაც ხილურივით ვიწრო  
და აივნით განგრძობილი ხის დანჯღ-  
რეული კიბე ერთვოდა.

კარის კაქუნზე ოთახიდან დაგვიანე-  
ბული და დაუდევარი მიბატიყება მო-  
ისმა. ბაადურმა ხმა ვერ იცნო. თითქ-  
მის ვერ იცნო მან ბინის მფლობელნიც,  
როდესაც კარი შეაღო და შევიდა. მი-  
სი ყოველმხრივ შეცნობილი და საყვა-  
რელი ბიჭები სრულიად სახეშეცვლი-  
ლი იყვნენ.

მაგიდას სამივე დაძაბული და აღრე-  
ნილი უჯდა. გური ტუჩებს გამეტებით  
იკნეტდა და სკამზე მძაფრად ტოკავდა.  
თან ბუზღუნებდა. მჭიდროდ მოკუმუ-  
ლი ტუჩებიდან ასევე გაურკვეველ ბგე-  
რებს გამოსცემდა, ხოლო თვალებს უმ-  
წიოდ აციცებდა ტიტე. ლეგას კი სახე  
გაპყინვოდა, არც ერთი ნაკეთი არ ეძე-  
როდა.

გიორგი ბელაშვილი

გიორგი ბელაშვილი



სამივეს ხელში კარტი ებღუჯათ და ეტყობოდათ, საქმე კარგად არ ჰქონდათ. თამაშის მეოთხე მონაწილე ელდარი იყო. იგი პირიდან გამოუღებლად ახარხოლებდა ნერწყვისგან დამბალ სივარეტს და დაუდევრად ისროდა კარტს უსუფრო მაგიდაზე. მაგიდის შუაში კი დაქმუჭვნილი ქაღალდის ფულის გროვა იდგა. მაგიდაზე იყო ორი ბოთლი კონიაკიც, როგორც თამაშის შემხურებელი საშუალება. იყო ოთხი ჭიქაც. ხოლო ოთახში კვამლის სქელი ნაფლეთები დალოდავდნენ. სჩანდა, რომ სვამდა და ეწეოდა არა მარტო ელდარი.

საოცრად ნიშანდობლივ აქვს გადმოცემული სხვადასხვა გამოჩენილ მხატვარს აზარტული თამაშის მთელი უწესრიგო ვარემო და მონაწილეთა ამღვრეული სახეები. ამ სურათების ასაკობრივი უთანატოლობის მიუხედავად, მათ შორის საერთო ბევრია. ეს, ალბათ იმიტომ, რომ აზარტული თამაშების დროს ადამიანთა ნებისმიერი სამყოფელი ყველა საუკუნეში ჰკარგავდა ელფერს და ერთნაირადვე უმახინჯდებოდათ სახეები მოთამაშეებს.

ბადურის წინაშე ცოცხალი სურათი იყო. მაინც იგი ჰგავდა კარავაჯოს ნახატსაც, ვალენტინისასაც.

ბადურის შემოსწრებაზე ბიჭები უცებ გონს მოვიდნენ, შედრკნენ კიდევ, თუმცა ძალიან არ აფორიაქდნენ. მათ თავი უხურდათ და წანაგების დაბრუნების ეჩინა ამოქმედებდათ. ელდარს მათ თავაგდებულად თამაშის განახლება ანიშნეს. ბადურის დანახვაზე პირველად ყველაზე მეტად დაფეთებულმა ელდარმა მათი შეგულიანებით თავი დაიარხინა და კარტის ხელახლა ჩამორიგების წინ თითები სიამოვნებით დაიტკაცუნა. ბადურისთვის ეს ტკაცუნი წკიპურტს უღრიდა. ოთახში მას თითქოს ველარცვინ ამჩნევდა, მაგრამ სინამდვილეში ყველას ცეცხლივით სწევდა მისი მოჭუტული თვალები.

თამაში ნერვიულად განახლდა.

ბადურს ისევ კარის სახელურზე ედო ხელი და ბიჭებს ალბათ შვება მიეცე-

მოდათ, თუ ის კარს ბარემ გამოეღებდა კიდევ და წავიდოდა.

— თქვენ ვითომც გინდათ მაგრძობინოთ, რომ მე აღარაფრად მაგდებთ? — მათ საყურადღებოდ ცივად ჩაილაპარაკა ბადურმა. — მეტი დარდი ნუ მომცა! მაგრამ, სანამ რაღაც ეშმაკისგან თქვენი თავი მშაბრია, არ შემიძლია ცოტა ყურადღება არ მოვაქციოთ. თორემ, ერთი კი მოვიშოროთ და, მერე ჯანდაბას თქვენი თავი!

— ჩათვალეთ, რომ თქვენ უკვე აღარ გაბარიათ ჩვენი თავი. — კვამლის საფარვლიდან მოულოდნელი პასუხი მოესმა ბადურს. — ჩვენ უკვე თვითონ ვართ ჩვენი თავის პატრონი!

ბადურმა უცებ ყურს არ დაუჭერა, მაგრამ ეს აშკარად ლეგას ხმა იყო. გაიფანტა კვამლიც და ბადურმა დაინახა ლეგას დაბინდული თვალები, რომლებიც მას უგონოდ მიშტერებოდა. იმავე წამს ლეგას თავი მაგიდაზე დაუვარდა და მხრები აუცახცახდა. ბადურს დიდი ხანია აღარ ენახა ლეგას ტირილი. და თუ არა მისი ასეთი განცდა და სინანული დაუფიქრებელი პასუხის გამო, ბადური უსიტყვოდ გატრიალდებოდა და გულში მწარედ ნაჩხვლეტი ბიჭებს შეიძლება საშუადამოდ დამშვიდობებოდა.

ახლა საბოლოოდ ჩავარდნენ გონში ტიტე და გურიც, რომლებმაც კარტი ზიზღით დაყარეს. ელდარმა კი იგრძნო, რომ ძალზე დროული იქნებოდა თუ უდავიდარაბოდ გაიძურწებოდა. მას მხოლოდ თვალი მოგებულ ფულზე რჩებოდა. ფულთან ბადური მივიდა. მან მთელი გროვა მოხვეტა და ელდარს თავისი ხელით ჯიბეებში ჩაუტენა. შემდეგ მას კარიც გაუღო და ელდარი გარეთ გახარებული გასხლტა. ბადურმა კარი დია დასტოვა, რომ ჰაერიც გაწმენდილიყო.

ვითარებაში ჩაკვირვებიდან ცხადი ხდებოდა, რომ ელდარი პირველად არ იყო გამოუცდელი ბიჭების სტუმარი და გულმოდგინედ ეწეოდა თავის გუნებაზე მათ წვრთნას. ადვილი მისახვედრი





იყო ისიც, რომ ელდარი მათ თავიდან მზრუნველ მომკითხველ მოეცლინებოდა, მცირე ყურადღებით გულს მოუვებდა, შენდევ კიდევ არა ერთხელ შეაღებდა მათი ოთახის კარს და შეუშინებლად გაუშინაურდებოდა. როგორღაც, თავისუფალ დროს კარტით გართობას შესთავაზებდა. თამაშს რომ მეტი აზრი მისცემოდა, ახლა ბანკში კაპიკების გასვლას შეაპარებდა. კაპიკების განზრახვაგებით კი მიაბიტ ბიჭებს მოგების მადლს გაუღვიძებდა. ხოლო კაპიკებს მოჰყვებოდა მანეთები, მანეთებს — თუმენები. გაზრდილ თანხაზე ბიჭებს უკვე ხელი ვეღარ მიუწვდებოდათ, რადგან ელდარი მათ ასწავლიდა მხოლოდ იმდენს, რომ მოეგოთ კაპიკები და წაეგოთ თუმენები.

ელდარი კარტში მაგრა იყო დახელოვნებული. კარტს ის ისე ესიყვარულებოდა, როგორც მოყვასი კაცი მეგობრების სურათების დასტას. რაც მთავარი, ფლობდა მრავალ თამაშს და ყველას სრულყოფილად. ამის მიუხედავად, მას მოთამაშის სახელი არ ჰქონდა გავარდნილი. ბევრს ვერც წარმოედგინა თუ იგი კარტს ხელში აიღებდა. ელდარი თამაშობდა მალულად, მხოლოდ ისეთ წრეში, საიდანაც ხმა არ გავიდოდა, მოგება კი ნაღდი ჰქონდა. ასეთ კრავებად გაეხალა მას ლეგაც თავისი ნგობრებით, მაშინ როდესაც ბაადური მათ შორიდან ბავშვურ ჯიბრში ედგა.

ელდარის ეს მუზმუზელობა ღიად არ ჩანდა და ზოგი ნაცნობის ზერელე შთაბეჭდილებით იგი „კი ბიკი“ იყო. ისინი შეცდომაში შეყავდა მის გულისამრევად მოწინებულ სალამს და მოკლე საუბარში უადვილოდ ჩართულ დაშაქრულ სიტყვებს.

ბაადურს ვერც წარმოედგინა, როგორი ლაპარაკი გამოუვიდოდა ელდართან მოძველში. მან დანამდვილებით იცოდა მხოლოდ, რომ ელდარი გაკვირვებულ სახეს მიიღებდა და ენას წაუჩლიქავდა. „რა მოხდა, კაცი მოკალი?“, „რა მოხდა, კაცი ხომ არ მომიკლავს?“, წამოაყენებდა ან ერთ ან მეორე, არსე-

ბითად ერთდღივივე ღირფულ შექმნებას, რომლებიც ყველა ვითარებაში ვის სამართლებლად აკვიატებული ჰქონდა. თითქოსდა, ქვეყანაზე ბოროტება მხოლოდ უზენაესი დანაშაული — მკვლელობა იყო, ყველა სხვა უმსგავსობა კი არაფრად ჩასაგდებო.

ელდარზე ჯავრი ბაადურს თანდათან ემატებოდა, ბიჭების ახლანდელი მდგომარეობა კი გულს უღრღნიდა.

ბაადური ისევ ზეზე დარჩა. აქ ახლა ლაპარაკი არ გამოვიდოდა. ბოთლებიდან ჩანდა, რომ ბიჭებს ბევრი არ დაეღლიათ, მაგრამ თვითუფლი ნირწამხდარი იყო და ბაადურს თვალს ვერ უსწორებდა. მაშასადამე, საღად ვერ იმსჯელებდნენ, ტყვილად ცეცხლს წაიკიდებდნენ. ბაადურს ბიჭების ასე გასაცოლაკებული დატოვება მაინც არ უნდოდა, მაგრამ აღარც გული ჰქონდა, რომ დაეყვავებინა. ბაადურმა სამივეს ერთხელაც სევდიანად შეხედა.

— კარგი და, ამ სურათზე, რომ თქვენ — გური და ტიტე — მშობლები, შენ კი ლევა, დათა შემოგსწრებოდათ, აი, მათ ხომ მთლად გულებს გადაუბრუნებდით!

ბიჭებმა სურათის ბაადურისეული ნახატი შეძრწუნებით წარმოიდგინეს და ხმა ვერ ამოიღეს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, მათ ხსენებულ სურათზე უკვე შეესწროთ ადამიანი, რომლისაც სამივეს რიდი ჰქონდა და ემინოდა კიდევ. სხვა დროს მათ თვით ბაადურის სახელით დაშინება ყველაზე მეტად ააფორიაქებდა, ახლა კი მხოლოდ იმან შეარიგა თავიანთ სირცხვილთან, რომ ისინი ბაადურისგან დანაშაულზე დაჭერილი იყვნენ.

ბაადურის წასვლის შემდეგ მათ კარტზე ხელის შეხება ჰის ასაკრებადაც კა შეეზარათ. მაგრამ კარტის გროვაზე ზემოდან იდო შემნახელი სალაროს ნაცრისფერი წიგნაკი და ბიჭების გაოცებულა ყურადღება ამ მოულოდ-

**გიორგი ველაშვილი**  
გმიფარავს მრავალი შიხი

ნელობამ მიიქცია. პირველი, რაც მათ გაიფიქრეს ის იყო, რომ წიგნაკის დასაბრუნებლად დასწეოდნენ ბაადურს. მაგრამ წიგნაკის მფლობელი აღმოჩნდა მათ შორის ერთ-ერთი, რომელმაც ეს თვითონაც არ იცოდა.

წიგნაკის მონაცემების თანახმად, მისი სრულუფლებიანი მფლობელის ლევა ზაქარიას ძე მორბედაძის სახელზე იმხელა თანხა ირიცხებოდა, რომ მეგობრებმა თავლებს ძლივს დაუჭერეს. ანგარიშის გახსნის თარიღი კი იყო საკმაოდ ძველი, დაახლოებით იმდროინდელი, როდესაც ბაადურს და ლევას დათამ პირველად წაახმარა სახარჯო ვუ-

28

სარდიონი და მიტრო ბაადურს აქაც ქუჩაში დახვდნენ. თავიანთი კუთხის სახლის გარე ქვის საფეხურზე ისხდნენ და ღინჯად ეწეოდნენ.

— კარგად ვიფრენია ის წყეული! — სარდიონი და მიტრო ამყარა იყო ელდარს გულისხმობდნენ. — იმან ჩვენ კულამოძუებულმა ჩავგიჩაყჩაყა. იმისათვის ჭკუის სწავლება ჩვენც შეგვექლო. ისე, რომ შენ არც შეგვეწუხებინე. მაგრამ ჩვენ ორ ცეცხლში ვიყავით. აქეთ, ბიჭებთან მისი ცბიერი შემოჩვევა არ მოგვეწონდა. როგორც მშვიტი მგელი ბატკნებში, ისე იყო! იქით კიდევ, გაგონილი გვექონდა ბაადურს ეამხანაგებო და იმიტომ არ ვასროლინეთ კუდით ქვა. თუმცა ჩვენ უკვე აღარ შეგვეფერება მუშტი-კრივი. ისე კი ახლა ეზოდან რომ გამოძუნძულდა, ერთი სული გვექონდა სიბნელეში ფეხი გამოგვეშალა და გემრიელი ზღართან გაგვედინებინა.

ბაადური მადლიერების გამოსახატვად მათთან ცოტა ხანს ჩამოჯდომას აპირებდა, მაგრამ უკვე დრო აღარ ჰქონდათ სარდიონს და მიტროს. ისინი ორთქლმავალთ-შემეკეთებელ ქარხანაში მუშაობდნენ და ახლა ღამის ცვლაში გასასვლელი იყვნენ.

— ჩვენ უკვე გაქცევაზე ვიყავით —

ხომ იცი, ქარხანაში დაგვიანებდა, ისე ხელია. მაგრამ ამბის უცნობლობა მოგვეკლავდა! შენ, ბიჭებს ძალიან ხომ არ გაუჭაერდი? ჩვენგან არ გესწავლება, ასეთ დროს კაცმა ჭეილებთან სიტყვა თუ ვერ მოზომე, ისინი უფრო გამიზნებდებიან და ჭიბრზე მეტ უჭკუობას ჩაიდენენ.

— არ გავჯავრებვიარ. ისე მოულოდნელი იყო, რაც იქ ვნახე, რომ ენა თათქმის დამება.

— კარგად მომხდარა! უფრო სინდისზე შედგებთან. თანაც, მაგათ ასაკში მამა აბრამის ბატკნები არც ჩვენ ვიყავით იმ გაგებით, რომ თუ თავს ცოტა მეტ ნებას ვაძლევდით, გულშიაც კი ცული არ გვედო! ოღონდ, ამ კაი ბიჭებს შენი ყურადღება მაინც სჭირდება. თუ არ ითავილებ, ჩვენც შორიდან თვალი გვეჭირება. ახლა, მართლაც გავიქეციოთ! სადაცაა საყვირი დაიძახებს. ისე კი, ხანდახან შევხვდეთ ხოლმე. რა დაშავდება!

ორ უბრალო და ალალ ძმაკაცთან საუბრის შემდეგ ბაადურს გული ცოტა დაეწმინდა. მას ახლალა მოაგონდა, რომ მთელი დღის უქმელი იყო, მაგრამ გადატანილი ღელვის შემდეგ აღარ შიოდა. თუმცა, რომ შეებოდა კიდევ, სულისმოსაბრუნებელსაც ვერაფერს იშოვიდა. ღამის თორმეტ საათს აღარაფერი აკლდა და ყველა სასურსათო მალაზია დაკეტილი იყო.

ბაადურს ღამით სადმე ბაღში ჯდომა უყვარდა და გულმა ძველი ჩვეულებით ჯაფარიძის სახელობის პატარა ბაღისკენ გააწევიანა. ბაღში შესვლამდე ბაადურმა ჯანოს დაძახება დააპირა. ჯანო ბაღთან ახლო ცხოვრობდა, მაგრამ ასე გვიან კაცის ოჯახიდან გამოყვანა უხერხული იყო და გადაიფიქრა.

სუსტად განათებულ ბაღში არავინ ჩანდა, მაგრამ როგორც კი ბაადურმა მერხი აირჩია, ერთ-ერთ სხვა მოპირდაპირე მერხზე, რომელიც სრულიად ბნელში იდგა, ვიღაც ამოძრავდა, თითქმის უჩინარი კაცი მარტო იყო, მაგრამ დაუოკებლად საზარლად ხითხითე-

ბდა და ბაადურს მთელ ტანში გასცრა. მაინც, ბაადურმა შეშინებულოვით უმალ წამოდგომა და გაცლა ითაკილა და სიგარეტი მოუკიდა.

— ხომ არ მომაწვევინებთ? — მოესმა მას სიბნელიდან და ბაადურმა ის იყო ჭიბეში ჩაშვებული კოლოფი ისევ ამოიღო.

— ინებეთ. ოღონდ მე მოგართავთ. თუ თვითონ მობრძანდებით?

— მე მოვალ. თქვენ მარტო ჩეკმა დანახვამაც კი შეგაკართოთ და აქ სიბნელეში რომ მომიახლოვდეთ, სულაც ელეთ-მელეთი მოგივათ.

სიბნელიდან ელდარი გამოიკვეთა და ბაადურს ყელში ბოღმა მოაწვა.

— აჰა, მთელი კოლოფი აიღე, მოგცემ ასანთსაც, ოღონდ მომშორდი. ან არადა, მოდი, რაც ჩვენ ასაკში აღარ შეგვეფერება, ის ვიკადროთ, რაკილა მოწმე არ გვეყოლება და ასეთი ხელსაყრელი შემთხვევაც მუდამ არ მოგვეცემა.

— გავარტყათ? არა ჩემო კარგო. იქნებ მე ვაჯობო, მაგრამ ისეთ გამარჯვებას, რომელსაც სხვა არ დამიმოწმებს, ზემოთის აზრი არ აქვს. მე ტყვილად სასწორზე თავს არ ვღებ. სხვათაშორის, მე აქ შენ ვიცდიდი. ვიცოდი, რომ აწეწილ გუნებაზე სადმე განმარტოვდებოდი. მაგალითად, მოხვიდოდი აჩემებულ ჯფარიძის ბაღში, და ასეც მოხდა. ვგრძნობდი, რომ შემომთავაზებდი იმასაც, რაც შემომთავაზე. ოღონდ, წინასწარ მჭონდა მოფიქრებული, რომ გაწვევა არ მიმელო. მუშტს რა ძალა აქვს? მე შენ უმუშტოდ უნდა გავამწარო მთელი ღლე და მოსწრება. რომც ვერაფერი დაგაკლო, მარტო ამ დაქანებითაც სულ შიშის ზარში მეყოლები და მაინც მოგებული მე ვიქნები. მე არასდროს ვაპატიებ იმას, რომ ყუყუნას ჩემზე მეტად შენ უყვარხარ. როცა პირადად შენთან ვერაფერს გავხედები, გავამწარებ შემოვლით, ასე გიხრწნი შენს ბიჭებსაც. ასე არ გავახარებ ბედიასაც და ყველა სხვასაც, ვინც შენს გარშე-

ბაღში ცივი ნიაფი ხეებს და ბუჩქებს

აწვალებდა და მათაც თმებს უწეწავდა. ელდარმა ნიაფ-ნიაფში სიგარეტის მოკილება ვერ მოახერხა და გაჯავრებულმა გადაავლო, თან გადააფურთხა. ბაადურმა სიგარეტი მეორედ აღარ მიაწოდა.

— რა სულის კაციც ხარ, სიტყვებიც ის ამოგდის. მაინც, ასე პირში ლაპაპარიკი უფრო ვაქაცობაა, ვიდრე გონჯი წერილების წერა.

— ხომ არ მიბრძანებთ, გონჯი წერილები რა არის?

— გონჯი წერილები იგივე უსახელო წერილებია. ასე უწოდებდა თურმე ხელმოუწერელ ცილისწამებებს ჩემი ბიჭების ქართული ენის მასწავლებელი, რომელმაც ჩვენს სკოლაში სილოვან კირთაძე შეცვალა.

— მერედა, რა კავშირში ვართ ერთმანეთთან მე და გონჯი წერილები?

— შენ და გონჯი წერილები ერთმანეთთან უშუალო კავშირში ხართ. მიიგონე ჩემზე შეთითხნილი ასეთი წერილი, რომელიც ნიკოლოზ ბარიშვილს მიუგდე.

— ვაი, როგორ გეშლება! წერილი რაში მჭირდებოდა, როცა ნიკოლოზ ბარიშვილს მე სიტყვიერად განუუცხადე შენზე აცილება.

— მე ეგვეც ვიცი. მაგრამ ეგ მხოლოდ ხრიკი იყო, რომ ვინიცობაა, ეჭვი შენზე აეღოთ, სიტყვიერი განცხადება უტოვდევლობის საბუთად დაგესახელებინა, როგორც ეს არის ახლა გააკეთე კიდეც.

— ზღაპარი მოგიგონია, რათა სამსახურში წყალი ამიმღვრიო. მაგრამ შენ მე სამსახურიდან აღვილად ვერ დამხარავ.

ელდარმა კისერი მხრებში ჩაიგდო, ბაადურს კი უდიერად გვერდი გაჰკრა და ბაღიდან ფართოდ გაალაჯა.

29

ძველი, თავისი გუნების სამსახური კაცს სხვაგან გადასვლის შემდეგაც კი-

ბიორგი ბელაშვილი  
გვიზარავს მრავალი ზიმი



დევ თავისკენ იტყუებს. ისეც ხდება, რომ თავს მოულოდნელად იმ შენობასთან აღმოაჩენს, რომელთანაც წლების მანძილზე საკუთარი სახლივით შეჩვეული იყო. შესასვლელშიღა სინანულით გაახსენდება, რომ მას იქ აღაფერი ეკითხება და სინანულით გაეცლება.

პირველ ხანებში ასე მოსდიოდა ბაადურსაც. რამდენჯერმე დილით ფეხიც კი შეუტდა რედაქციის სადარბაზოში, მაგრამ უმალ ბოქლომდადებული კარის წინ შემცბარი დაუპატიჟებელი სტუმარივით უკან გაბრუნდა. ისე კი, ცდუნება დიდი იყო და დროდადრო მაინც შეივლიდა ხოლმე რედაქციაში, სადაც მას სხარულით ხვდებოდნენ. მისი ყოველი გამოჩენა განსაკუთრებით ჯანოს ახარებდა. ბაადურმა იცოდა, რომ მისი გადაყვანის შემდეგ განყოფილების გამგეობა პირველად ჯანოსთვის შეეთავაზებინათ. ჯანოს ამასთან დაკავშირებით ეკითხნა „ჩემი მუშაობით უკმაყოფილო ხომ არ ხართ?“. „არაო, — ეპასუხნათ, — არც ბაადური გემღუროდა და არც ჩვენ გემღუროთო“. „მაშ, ისეც ჩემს ადგილზე დავრჩებიო. — აეხირობინა ჯანოს, — ბაადურის შემდეგ რიგთან გამგედ ვერ გამოვჩნდებიო. რიგითს საქმეს კი კვლავ მთელ ძალას შევალევ, უფროსად ვინც არ უნდა დამინიშნოთო“. უფროსად რედაქციიდანვე ყოჩაღი ახალგაზრდა ქალი დანიშნეს და ჯანოც ახალი განყოფილების გამგის ერთგული გახდა.

ერთხელაც შევლისას ბაადურს ეჩვენა, რომ რედაქციაში მას დროს ზრდილობის გულისთვის უთმობდნენ და ის ყოფილ თანამოსაქმეებს საქმისგან აცდენდა. მათ შორის ჯანოსაც.

შემდეგ თვითონ ბაადურიც მუშაობაში უფრო ღრმად ჩაიფლა. გამომცემლობაში მისი პირადი გულმოდგინეობა, საქმის ალღო და უბრალოება ჯეროვნად შეაფასეს. ბაადურს ახალი სამუშაო ეგუხნება და შეუყვარდა. ახლისებდა დირექტორისა და თანამშრომლების გულღია განწყობაც.

დირექტორი, ხნიერი, მაგრამ მარადი, საქმის ზედმიწევნით მცოდნე და თავდავიწყებით მოყვარული, ამასთან მუდამ ფაქიზი გემოვნებით ჩაცმული პირხმელი, მაღალი კაცი ნიკოლოზ ბარიშვილი, ყოველმხრივ სანიმუშო ხელმძღვანელის განსახიერება იყო. მათ უფრო სამაყო მიღწევა იყო ბაადურისთვის მის გვერდით მოკლე დროში პატიოსნების მოპოვება. ასეთ გარემოში აზრს ჰკარგავდა თუ როგორ დაპოვიდებულედაში იქნებოდა მისდამი ელდარ ლურიძე.

შუალამაზე ბაადურს უცნაური შეხვედრის მეორე დღესვე ელდარი ბაადურთან კაბინეტში აფხორილი შევიდა. შეხვედეს მათ ერთმანეთს არც ცივად, არც ხელოვნური ღიმილით, მხოლოდ გამომცდელად, როგორც უცნობებსა, რომელთაც ერთერთ სულში. ჩახედვა გარემოებამ მოსთხოვა. ბაადურმა ელდარს სკამი შესთავაზა, მაგრამ ის არ დაჯდა.

- მე განცხადება დაწერო?
- რის შესახებ?
- ცხადია, საკუთარი სურვილით სამსახურიდან წასვლის შესახებ.
- თუ ასეთი სურვილი შენ მართლაც გაქვს, მე არ დავშლი.
- მე ეს აზრი იმიტომ მომივიდა, რომ შენ მაინც ისედაც გუნებაში ვექნება ჩემი მოშორება. განცხადების დაწერით კი ხლავორთს თვითონ გავიადვილებ.
- მაგ აზრით არ შეწუხდე. განცხადების დაწერინებას მე არ ვეშრობა. მოსაცილებელი თანამშრომელი ისე უნდა მოიცილო, რომ ცნობილი გახდეს, რის ღირსიც სინამდვილეში არის.
- ანუ მოიხსნას? მაგრამ შენ მე მოსახსნელ მიზეზს ვერ მიბოვი.
- მე მიზეზებს ჩხრეკას არც დავიწყებ. მოგთხოვ მხოლოდ იმას, რაც შევალება რომ მოგთხოვო.
- ჩემს მიმართ სავარაუდოა მინც არ იქნები.
- დამთმობი არ ვიქნები. თანაც, შენ ძალზე უსუსურ ილეთს იყენებ. თავს

ისლევებ, რომ თუ მუშაობაში ხელი მოგეცარა, ხმაც ვერ გაგცე.

— ყოველ წვრილმანზე ასოჯიკატს მპირდები? ეს ავივია, რაც მუქარა. მუქარა პასუხად ჩემი წუხანდელი შეპირებისა, რომ მთელი დღე და მოსწრება უნდა გაგამწარო-მეთქი. მაგრამ შენ არც კი გიფიქრია, რომ ეს ყველაფერი ხუნრობა იყო?

— არ გავიფიქრე. იმიტომ აა მომივიდა ეგ აზრი, რომ წუხელ შენ ნამდვილად გულწრფელი იყავი. თუმცა, შენი შეპირებისა არ შემშინებია.

— თუ არ შემშინებია, რატომ წუხელე ეგრე არ მიპასუხე? ახლა კაბინეტში მოგეცა გული?

— წუხელ თვითონ შენ რაღაცისა შეგეშინდა და ბალიდან უცებ დაიტიშე.

— წუხელ მართლა ვიხუმრე. შენ კი სინამდვილედ მივილია. ამიტომაც არ შევეცდარვარ სამსახურიდან ჩემით გაცლა რომ ვიფიქრე. უსამსახურობა ძნელია მშრომელი ადამიანისათვის, მაგრამ სხვა რა ჩარა მაქვს! სულერთია არ გამახარებ. უფროსთან უმცროსი უნდა დამარცხდეს. გუშინ იმიტომ მიგვიბომოვებებ, რომ ასე იყო საჭირო. შენ ჩემზე ალესილი იყავი ბიჭებთან კარტით თავს რომ ვიქცევდი იმის გამო. მე კი შენ იერში დაგასწარი და რაზეც უნდა გამომდაეებოდე, ოსტატურად გადაგავიწყე. სიმართლე თუ გინდა, ეს არის.

— მე, რა თქმა უნდა, არ მჯერა შენი. ისევე, როგორც არასდროს დამაფი-

წყდება, რა წუმპისკენაც გადადგმუნენ ნაბიჯი ბიჭებს. გონებაში ერთად ვერ თავსდება ერთიდაიგივე კაცის ორსახეობა. ამისთანა კაცს მე ერთ საგულსისხმო რჩევას მივცემდი, რომელიც ჩვენზე გამოცდილი ადამიანებისაგან გამიგია: ასეთი კაცი ჯობს საჯაროდ ბოროტ სულად დარჩეს, რითაც თავისი ხასიათის მქონე პიროვნებად მაინც მიიჩნევა, ვიდრე გულისამრევ თვალთმაქცობამდე დაენიღეს.

— მე თვალთმაქცი ვარ?

— ჩემი აზრი კანონი არ არის. ეს, მე მგონია ასე.

— ძალა შენს მხარეზეა და როგორც მოისურვებ, ისე მომნათლავ. შენ ისიც სავეებით მკაფიოდ მიმახვედრე, რომ თანამშრომლად არ გინდივარ.

— თანამშრომლებს მე არ ვსაკუთრობ. თანამშრომლები დაწესებულები-საა.

— გასაგებია! — კამათის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და დამაბოლოებელი გაურკვეველი დასკვნა კბილებში ბოროტი ღიმილით გამოსცრა ელდარმა. შემდეგ ის ქუსლებზე მკვეთრად შეტრიალდა და კარისკენ გაგული-სებულები გაქანდა.

— კარი ფრთხილად გაიხურე, მოსაცდელში მგონი თანამშრომლები არიან და გაჯახუნება მათ თვალში გმირობად არ ჩაგვეთვლება! — მშვიდად დაადევნა მას დარიგება ბააღურმა.

ელდარმა კარი არც ფრთხილად გაიხურა, არც გაიჯახუნა. კარი მას ზურვს უკან ღია დარჩა.

### ნაწილი მეოთხე

1

მარტოკაცი თუ იცინის, იტყვიან სულელიათ. მარტოკაცი თუ მღერის, თანაც ბუნებაში და რივიანადაც, სიამოვნებით გაიტრუნებია. ნიშანდობლივი კია, რომ თავისთვის სიცილით და სიმღერითაც მუდამ მძაფრ განცდებს აძლევს ამოსავალს ადამიანი. ბააღურს

არც ეცინებოდა, არც ემღერებოდა. მარტომყოფი კაცის ყველაზე ახირებუ-ლი თანმხლები ფიქრია. ბოლო დროს ბააღური სახლში უმეტესად მარტო იყო

გიორგი ბელაშვილი  
გიორგი ბელაშვილი



ხოლო და მასაც ფიქრები აბრუებდნენ. ხოლო როცა დაწვებოდა და თუ ძილსაც მოიკიდებდა, მაშინ ახლა აბეზარი სიზმრები ესეოდნენ. ასე რომ, საღამო ხანს ფიქრები, ღამე კი სიზმრები არ ასვენებდნენ.

იყო ხოლმე წუთები, როდესაც ფიქრების მოძალებით ბაადურის წინააღმდეგობებში ვარდებოდა.

უკვე დრო იყო, რომ ის ლევას ცხოვრებას გამოსთიშვოდა, რათა მის ყოფილ აღსაზრდელს სრული დამოუკიდებლობა ეგრძნო და საკუთარი თავის მეტი იმედი მისცემოდა. ეს სავსებით კანონზომიერი იქნებოდა, რადგან ლეგა დიდი ხანია ბავშვი აღარ იყო და ცხოვრებას საღი თვალთ უყურებდა. ბაადური მაინც სთვლიდა, რომ ლეგაზე თვალყური კიდევ უნდა სჭეროდა. ლევას უმწიფრობით აღარ, მაგრამ უკვე თავმოყვარეობის წამოფეთქებით შეიძლება გადაედგა მოუფიქრებელი ნაბიჯი.

სარდიონისა და მიტროს თქმისა არ იყოს, ჭაბუკობაში მამა აბრამის ბატონები ანუ უცოდველნი არც სხვები ყოფილან. თვითონ ბაადური, მაგალითად, პაპიროსს უფრო ადრეულ ასაკში დაეჩვია, ვიდრე ახლა ლეგა და მისი მეგობრები იყვნენ, და იმთავითვე ჯიბეში მთელი კოლოფი არ გამოუღვევია. ოღონდ, უფროსს თავისი ადრინდელი შეცდომის გამართლებაც ახასიათებს. უმცროსის იგივე ცოდვა კი მას აჯავრებს. თუმცა, ეს წრფელი კეთილმდომლობაც არის, როცა კაცს არ სურს მისი ახალგაზრდული შეცდომა გაიმეოროს უმცროსმა, ვიხეც მას გავლენის მოხდენა მართებს. ბაადური ლევას და მასთან ერთად გურის და ტიტეს ბევრ ადრინდელ სტლწასულობას მძიმე დანაშაულად არ უთვლიდა. მაგრამ სხვა იყო ელდარის ცდუნებით მათი საზარელი გარდასახვა, როცა დამბულ გუთარებს შეუტანებლად მოეთხოვა პაპიროსი და კონიაიცი.

ყოველ წარმოდგენაზე მოულოდნელი სურათისა, რომელიც ბაადურს ბი-

ჭების ოთახში დახვდა, მას თავებუნი ვეოდა. არ ეჯერებოდა თუ ის სურათი მართლა ნახა. ცდილობდა მეხსიერებიდან ამოეგდო თვითელი მათგანის სახე ისეთი, როგორც იყო კარტის თამაშის დროს — დაღმევილი, შექრწუნებული, მიწისფერი, თითქმის უცხო და უცნობი. ყურში კი ერთთავად უწივოდა ლევას უკმეხი ანჩხლობა.

მას კი გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ ბიჭები ხელში ჰყავდა, უკვე ყოველმხრივ საიმედონი იყვნენ და გულში მათზე გაწეული თავისი ამაგიც ეამაყებოდა.

ახლა ბაადური უფრო მიახმტ კაცად ჩანდა და თავს შეურაცხყოფილადც გრძნობდა. გავიდა რამდენიმე დღე იმ საღამოს შემდეგ, ბიჭები კი არსებობის ნიშანწყალსაც არ იძლეოდნენ. თუმცა, ბაადური მათგან ბოდისის მოხდას და ცოდვის მონანიებას არც მოელოდა. რაკი ერთხელ ხმა აიმაღლეს, აღარც მოიდრიკებოდნენ. კაცმა რომ თქვას, მათ თან მომავალი შეხვედრა, რომელიც ადრე თუ გვიან მაინც მოხდებოდა, ბაადურს სიამოვნებას აღარ მოჰგვრიდა. თან თავსაც უწყურებოდა, რომ ასეთი გრძნობა აეკვიტა მის თვალწინ შედერებულ საყვარელ ბიჭებზე. ცოდვა გატეხილი სჯობს! უბირველესად, სწყინდა, რა თქმა უნდა, ბიჭების კარტობა და სმა. მაგრამ ისევ ყველაზე მწარედ სჩხვლეტდა ლევასაგან უდიერად სიტყვის შებრუნება.

ბაადურთან ერთი ხანია აღარ ჩანდა ქეთევანიც. ქეთევანი ამის მიზეზად აუარებელ სამეცადინოს და საზოგადოებრივ დავალებებს ასახელებდა. რაც შეეხება ბედას, რომელიც აგრეთვე აღარ დანახვებია, ბაადური თვითონვე დაბეჯითებით ვერ იტყოდა, ნამდვილად უმძრახად იყვნენ ისინი თუ არა.

ბაადური ყველას, ვინც მას აღარ ნახულობდა, გულში ებუტებოდა, ხოლო რაკი სახლში მარტობას ვეღარ იტანდა, მას შემოქმედებითი მივლინებით მოგზაურობის აზრი ებედნიერა, რახეც ნიკოლოზ ბარნიშვილმა უარი არ



უთხრა. პირველ მივლინებაში ის უკვე მეორე დღეს მიემგზავრებოდა და ჩალაგებული იყო პატარა სამგზავრო ჩემოდანში.

ბაადური შუშაბანდში პირით ეზოსკენ იჯდა და მივლინებაზე ფიქრს მიეცა. ფიქრობდა და თან ხედავდა მარტის რეტიანი ქარი როგორ დარეოდა თუთის ხის ახლად დაბუსტულ კვირტებს.

ბაადური ბავშვობაში ამ თუთისგან იყო ნათათერაკალი. ეზოში გაჭიმულ სუფრაზე მეზობლებს თუთა რომ დაუჩხია, თვითონ ტოტებზე სახიფათო ჯამბაზობას მოჰყვებოდა. ერთი გაბედული ხტომი კი მარცხიანი გამოდგა, ნაყოფის ნასრესით ვასლიკინებულმა ტოტმა ფეხი აიციურა და ბიჭი მოკირწყლულზე ქვასავით ჩამოეწარცხა. ვარდის სიმალლე ძალიან დიდი არ იყო, მაგრამ ძირს ბზრიალით სწრაფისას ბაადურმა პირსახის დაცვის აზრით წინ ხელეზი წაყარა, ხელეზმა კი სხეულის სიმძიმეს ვერ გაუძლო და ორივე მკლავმა ლაწინი გაიღო. ბაადური შეკოწიწებული მკლავებით დარჩა, მაგრამ გულში მას თუთაზე სიძულვილი არ ჩაუდვია. მიაშიტად ფიქრობდა, რომ თუთამ ის მისი აბუჩად აგდებისთვის დასაჯა. ბაადურმა მამინე კი შეხედა თუთას გულწაყლულად, სამღურავითაც, როცა ომში მიმავალ ტოლებს გამოაკლდა. ტოლებს, რომელთაგან ბევრი უკან აღარ დაბრუნდა. დედას კი თუთის წინაშე ციკად გააქრკოლებდა ხოლმე ამაზრზენი ფიქრით, რომ თუ არა თუთის სიმუხთლე, იქნებ სხვა ბედმწარე დედებზე თუ ისიც ვედარასდროს იხილავდა თავის ვაჟს.

თუთა ისევ ჯანსაღად იდგა, კროლა ნაყოფს იძლეოდა და გასულ გაზაფხულამდე შენაცვლებით უკვე ლეგა და ციური ურხევდნენ ხოლმე მეზობლებს. ახლა, როცა თუთის დარხევის დრო ისევ დადგება, ხეზე ალბათ აღარ ავა შეუმჩნეველად დაქალიშვილებული ციურიც. იუხერხულებს. მით უმეტეს აღარ გააკეთებს ამას ლეგა, რომელიც ძველი ეზოს ყოველდღიურ ყოფას უდარდელად გამოეთიშა. მაშასადამე,

ეზოს წამოზრდილთა სანაცვლოდ ახლად მოვლენილი ბავშვი სჭირდებოდა, რომელიც მოჩიტიდებოდა და მეზობლებს არა მხოლოდ დაუჩხევდა თუთას, არამედ მაცოცხლებლად ააფორიაქებდა.

მეზობლები ამ იმედით ბაადურს შესცქეროდნენ, ხოლო ქეთევანს სულში ისევამდნენ.

2

თუთის ქვეშ თუთიდან ჩამომხტარით გაჩნდა ბედი. ბედიას დონიჯი შემოეყარა და ეცინებოდა, რომ ფიქრებში წასული ბაადური მას ვერ ამჩნევდა. ბედიამ ამიტომ ჩაახველა და ბაადურს უცებ სახე გაუნათდა. ბედიას სახეზე წყენის კვალიც არ ეტყობოდა, მით უმეტეს არ ექნებოდა ჩახვეული გულში. ბედიას მადლიერმა ბაადურმა თავისთვის აღიარა, რომ თვითონ ის ასე ბუნებრივად შერიგებას ვერ მოახერხებდა, თუმცა არ იცოდა მათ შორის რომელი უფრო იყო მტყუანი. ბედიამ კი უკვე მის გვერდით იჯდა და სხაპასხუპით ჰყვებოდა მთელი თავისი სოფლის ამბებს. თხრობა მან მოულოდნელად შეწყვიტა და ბაადურს გვერდულად შეხედა.

— ბიჭებს რა სჭირთ?

— მგონი არაფერი. რაზე რომ შემთხვევოდით, გავიგებდი. ალბათ კარგად არიან.

— თვითონ კი იქნებ კარგად მყოფად თელიან თავს, მაგრამ შენ დაულონებობარ.

— ვინ გითხრა?

— მე ვინმეს კარნახი მჭირდება, რომ შენს ფიქრებს მივხვდე? დედა კარგად გყავს, დაც, დისშვილებიც, სიძეც. მეც ჩემიანებით კარგად გყავარ. დარჩნენ მხოლოდ ბიჭები ლეგას მეთაურობით. რა არის ბიჭების თავს?

ბედიამ მოუსვენრად მოისმინა ბაადურის ნათხრობი ბიჭების ცდუნების შესახებ და ყელში ბოღმა მოეხჩინა. ბე-

**გიორგი ჯალაღვილი**  
გიორგის მრავალი შიშვილი

ღია გახელებული წამოვარდა ადგილი-  
დან და ერთხანს შუშაბანდიდან ოთახ-  
ში და პირუტყუ გაშმაგებით დაძრწოდა.  
ბოლოს ცოტათოდენ დაწყნარებული ბა-  
ადურს ზურგიდან დაადგა. ბედიამ ბა-  
ადურს იღლიებში ხელები ამოუყარა და  
ადგომა ავრძნობინა.

ბაადური პირველად მაინც არ გაინძ-  
რა. მან დინჯად მოუყიდა სიგარეტს და  
კვამლის პირველი ბოლქვი პირიდან  
რგოლებად გამოუშვა. ისევ გვერდით  
მოუჯდა მას ბედიაც. ბედიამ სიგარეტი  
გაცეცხლებით იტაკა პირში და კვამლის  
ბული უცებ დააყენა. სამაგიეროდ, წა-  
ნააღმდეგ ჩვეულებისა, ახლა ის სიგა-  
რეტს ფრთხილად ბერტყავდა საფერფ-  
ლეში. სხვა დროს ბაადური მას ფერფ-  
ლის დაუდევრად ფანტისთვის ყასიდათ  
წაუბუზღუნებდა, ახლა კი მოსალოდ-  
ნელი იყო ბაადური ნამდვილად აფეთ-  
ქებულიყო, რადგან ძალზე ძარღვებდა-  
ქიმული გამოიყურებოდა.

ბედიას სკამიდან ხელმეორედ წამო-  
ვარდა.

— მოდი, ამ კვამლიდან ჰაერზე გა-  
ვიდეთ. გარეთ საძაგელი ქარი კია, მაგ-  
რამ მით უფრო მოგვაცოცხლებს.

ბედიას მეტი მოცოცხლება არ სჭირ-  
დებოდა. იგი ცეცხლივით ენთო. ბაადუ-  
რი მაინც აპყვავა.

თბილისში ყოველ ჩამოსვლაზე, თუ  
საქმეების მოთავეებისთანავე უკან გა-  
სამგზავრებელი არ იყო, ბედიას ბა-  
ადურთან ერთად თეატრში შესვლა უყ-  
ვარდა, ისინი ახლაც უკვე თეატრში  
იქნებოდნენ ბაადური რომ ძალზე მო-  
ღუშული არ დახვედროდა. ახლა თეატ-  
რი გვერდზე რჩებოდა. თუმცა, ბაადუ-  
რი ხედებოდა, ისინი არც ქუჩებში იხე-  
ტიალებდნენ, რასაც თითქოს სთავაზობ-  
და და გულისხმობდა ბედიას.

— შენ ბიჭებთან შევლა გაქვს გუნე-  
ბაში და არა უბრალოდ გარეთ ხეტია-  
ლი. მართლაც წავიდეთ ბიჭებთან. თუმ-  
ცა გული არ მიმიწევს. მაგრამ შერი-  
გებისკენ პირველი ნაბიჯის გადადგმაც

ჩემს კისერზეა. მათთვის უფრო ძველად  
ჩემი კარის შემოღება, ვიდრე ჩემს  
მათთან მისვლა. მისვლა კი შენთან ერ-  
თად მეადვილება.

ბაადურს და ბედიას სამივე სახლში  
დახვდათ. ოღონდ, ისინი უჩვეულოდ  
მოშვებულნი და ცხვირპირჩამომტირა-  
ლნი იყვნენ და თითქოს ერთმანეთსაც  
ემღუროდნენ. საერთოდ, ბიჭებს საშინ-  
აო საშოსშიც კობტაობა უყვარდათ,  
ახლა კი აფლაშნულად ეცვათ. სახეზე  
დინდლის ჩამოპარსვა დაზარებოდათ და  
კიკინებიც ჩამოგრძელებოდათ. თავის  
მოვლა რომ დავიწყებოდათ, მით უფრო  
ბინისთვის ყურადღება ვეღარ მიექციათ.  
ოთახში ნამდვილი დომხალი იყო.

სტუმრების დანახვაზე ბიჭებს უცებ  
თვალეები გაუბრწყინდათ, მაგრამ უმაღ-  
ვე ჩაუქრათ.

— აქ მთელი შაბათობაა საჭირო და  
მარჯვე დალაქიც. — სინანულით აღნი-  
შნა ბედიამ, როცა ბიჭებიც შეათვალიე-  
რა და მათი სამყოფელიც. — შაბათო-  
ბა მე და შენ უნდა ჩავუტაროთ. რატო-  
მაც არა! ეს დავიდარაბა არ გვირჩევენ  
თეატრში ჯდომას?

ბედიამ და ბაადურმა მართლაც და-  
აპირეს ხელის განძრევა, მაგრამ მაშინ  
გამოფხიზლდნენ ბიჭებიც. მოცოცხლდ-  
ნენ, სწრაფად დატრიალდნენ. ოთახი  
ხელდახელ მოარიგინეს და თვითონაც  
რამდენადმე მოილამაზეს თავი.

შემდეგ სტუმრები და მასპინძლები  
მაგიდასთან ერთმანეთის პირდაპირ და-  
სხდნენ. ბედიამ ახლა მეტი დაკვირვე-  
ბით შეხედა საოცრად შეფერთხილ ბა-  
ჭებს და მათი დაბნეული, უმწეო სახე-  
ები არ იტყუნებია.

— ერიპა! სხვა სიკეთეს ვინ ჩივის,  
ესენი მშვიდრებიც არიან!

დარცხვენილმა ბიჭებმა თავები მაგი-  
დაზე ჩაიკიდეს და ვინ თითები იმჩხე-  
რია, ვინ ტუჩები იკვნიტა.

ბედიამ აღარაფერი არ თქვა და სა-  
კიდრიდან ლაბადა ჩამოხსნა.



ბედის დაბრუნებამდე დაკვირვებებს ახდენდა და დასკვნებს აკეთებდა ბაადურის.

მეტად უბრალო მოწყობილობის მიუხედავად, ოთახის სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა. ეს, ახალაა, რა თქმა უნდა, როცა დალაგდა. პირველად ყოფნისას კი ბაადურს ოთახი არც აღუქვამს. ოთახში ყველა ნივთი საღი იყო, ხოლო კედლები და ქერი ახლადაც თეთრიბული, კარი და ფანჯრის ჩარჩო კი — ცისფრად შეღებილი. კედლებზე ეკიდა რამდენიმე ფოტოგრაფირებული პეიზაჟი და ქალაქის ხედი. ბიჭები, ეტყობოდა, შეყვარებული იყვნენ საყუთარი ხელებით მორიგიანებულ ოთახზე.

ოთახში სამ სულზე საწოლად ორა ტახტი ედგათ, რადგან მცირე ფართობი სხვა აუცილებელი ნივთების — მაგიდის, ტაბურეტებისა და კარადის გარდა ვერაფერს დაიტევდა. მესამე მორიგობით მაგიდაზე ან მაგიდის ქვეშ იძინებდა.

ახლა ბიჭები ერთ ტახტზე იყვნენ ჩამწყკრივებულნი, ბაადური კი მეორეზე მარტო იჯდა.

ბაადურისთვის აშკარა იყო, რომ ელდარს, ბიჭები ცარიელზე დაეტოვებინა: სტიპენდიაც ჯერ არ იქნებოდა, ამიტომ ალბათ სანახევროდ შიმშილობდნენ. კუდაბზიკობით კი თავს ისე იჭერდნენ, თითქოს არაფერი უჭირდათ. თუ თავმოუვლელნი იყვნენ იმიტომ, რომ მეცადინეობას გადაყოლილებს, კონტაობისთვის არ სცხელოდათ. თუ სახლში საშუალო არ მოეძებებოდათ იმიტომ, რომ სანოვავე არ დასძველებოდათ. უჯერებდნენ თუ არა ამ ყურით მოთრეულ განმარტებებს ქალბატონი ნელი და ქალბატონი მადონა თავიანთ ვაჟებს, ამაზე ბაადური ვერაფერს იტყოდა. ცხადი იყო მხოლოდ, რომ ძალიანაც მოყვარული დედები მათთვის საგულისგულად ვერ იცლიდნენ. ნელი სამსახურის, მადონა კი ოჯახის გამო. მადონას უფროსი ვაჟი უკვე თითქმის გზაზე ეყე-

ნა და მისი მთელი თვალყური მომდევნოებს, ტიტეს უმცროს დასა და ძმას სჭირდებოდა. რაც შეეხება მუხრანსა და გრიგოლს, ისინი კიდეც უფრო შორს იდგნენ ვაჟებზე ზრუნვისაგან. ორივე, როგორც საერთოდ მამებს ახასიათებთ, ამ მხრივ მთლიანად მეუღლეების იმედზე იყო.

ბაადური თავს ნებას არ აძლევდა განესაჯა ტიტესა და გურის მშობლები იმისთვის, რომ ისინი ცალკე დასახლებულ შეილებს ხშირად ვერ აკითხავდნენ. მით უმეტეს, რომ ამას შეიძლება ჰპატიობდნენ თავს ბაადურის თვალყურის იმედით. მით უმეტეს, რომ ჰქონდათ ქეთევანის იმედიც. მართლაც, ქეთევანი თებროსთან ერთად ან მარტო, ხანჩავდებით შეურბენდა ხოლმე ბიჭებს და ყველაფერს მარჯვედ უწესრიგებდა.

ბიჭებს კი ქეთევანის მხოლოდ დანახვაც მეტად ახარებდა, ვიდრე ის, რასაც იგი მათ უვკარებდა.

ბიჭებს ბაადურის შიშიც და რიდიც ისევე ჰქონდათ. ახლაც მის წინაშე სირცხვილი სწევდათ, მაგრამ გული არ უცემდათ. დარწმუნებული იყვნენ, რომ ბაადურის პირიდან მათიანები მათ მრუდე ნაბიჯზე ვერაფერს გაიგებდნენ. მასადამე, ვერ გაიგებდნენ ვერავისგანაც, რადგან თავისთავად ცხადი იყო, თვითონ ელდარი თავის არამზადობას არავის გაუმხელდა. ეს ბაადურისგან შეიძლება იცოდნა ერთადერთმა ბედამ, მაგრამ თითქმის ასეც უნდა ყოფილიყო ბაადური და ბედია ერთმანეთს არაფერს უმალავდნენ, სამაგიეროდ, ერთ-ერთ განაღობს სამარესაყვით საიმედოდ ინახავდნენ.

ნაირი კონსერვებითა და წერილმანი შეკრულებით დატვირთული ბედია კარში ძლივს შემოეტია. ბედიამ ლიღინითა და ხელების ფშვნეკით მაგიდაც

**გიორგი ველაშვილი**  
გვიზარავს მრავალი ჰერი



თვითონვე გააწყო. შემდეგ ისევ ბაადურის გვერდით დაჯდა და საჭმელს პირველი ეკვითა, თუმცა ისე შშიერი არ იყო, როგორც თავი აჩვენა. შიმშილით არც ბაადურს უწყობდა გული, მაგრამ ისიც ბედიანს წაებადა, რათა მათი წამხედვარი საჭმელს დასცხრომოდნენ ისინი, ვისაც შიმშილისგან ნამდვილად სული უკაწყაწყებდა. ბიჭებს ნერწყვი მოსდიოდათ, მაგრამ ჭაბუკური თავმოყვარეობა ზღუდავდა.

— ჭამეთ! — თევზიდან თავაუღებლივ შეუყვია მათ ბედიამ და ისინიც ვერ თითქოს სტუმრების ხათრით გაეთამაშნენ საჭმელს, შემდეგ კი უცებ დახარბდნენ.

როცა მათ სული მოითქვეს, თავის სულწასულობაზე შერცხვით და ისევ თავი ჩაქინდრეს.

ასე თავჩაქინდრულებმა დაუციტხავად თავათვე აღიარეს თავიანთი ბედოვლათობა, რომ ელდარს თავი გააბრიყვებინეს. რომ ელდარმა მათ ერთხელ და ორჯერ კი არ მოაკითხა, იარა მანამდე, სანამ ისინი მთლად არ გაფცქვნა. ბაადურის შესწრებით კი ელდარის სტუმრობები გათავებულყო. საბედნიეროდ, ბიჭებს ჯავრად ის არ ჩარჩენოდათ, რომ ელდარს მოგება გაატანეს. მათ სტანჯავდა და თავისთვის ვერ ეპატიებინათ, რომ მოტყუვდნენ და ჭკუა წაავეს.

ბიჭებმა გული სიმწრით გადაშალეს.

სამთა მონანიება გურამ დაასრულა.

— თქვენ ძალიან კარგი ადამიანი ხართ. — ენის ბოძიკით მიმართა მან ბაადურს. — ჩვენ — მე, ტატე და ლევა, ვგულისხმობთ იმას, რომ საძრახნი სურათის შემდეგ, რომელიც ამ ოთახში ნახეთ, მინც მოხვედით ჩვენთან. ჩვენ ალბათ ვერ მოვიდოდით თქვენთან. ან სირცხვილით, ან გლახა ამპარტავნობით, ხოლო თუ არ მოხვიდოდით თქვენ, იქნებ სამუდამოდ დავკარგავდით ერთმანეთს. ვგულისხმობთ იმასაც, რომ თქვენ ჩვენი ცოდვა არ გაახშურეთ.

— ყური დამიგდე, გური, — დაფიქ-

რებით მიუგო მას ბაადურმა. — ბათ არ არის ქვეყანაზე ადამიანი, რომელიც ქება არ სიამოვნებდეს. ეს არის მხოლოდ, რომ ქება უხერხული მოსასმენია. ამიტომ ზოგს პირში ქება არ უყვარს. მე კი შენს სიტყვებზე გულიც მერევა, რადგან შენი გულწრფელობა აღარ მჯერა.

— ჩემი? — უცებ აიღეწა და ისე დაიძვრა გური, თითქოს შეურაცხყოფას ყელში უნდა სცემოდა.

— შენი, ანუ სამივესი. — ცივად დაუღასტურა ბაადურმა, — რაკილა თვითუღი თქვენგანი ყოველთვის სამთა სერთო აზრს გამოხატავს. თქვენ ჩემი არადრთი გულუბრყვილო, ძალად თავს მოხვეული დარიგება სულგანაბული მოგისმენიათ, საქმით კი შემდეგ საწინააღმდეგო გაეკეთებიათ. მე თქვენთვის, სახელდობრ, კარტის თამაში არ ამიკრძალავს, რადგან ფიქრადც არ მომივიდოდა, რომ როდისმე ამას იკადრებდით. მაგრამ, რაც კეთილშობილებსკენ მომიწოდებია, ისიც თავისთავად ნიშნავდა, რომ ლაფში ფეხი არ უნდა წაგეკრათ. ახლა კი მოდექი და ჭრელ კოქს მიგორებ! კარგი ხარო, მარწმუნებ. კარგი მაშინ ექნებოდი, რომ, როცა საჭირო იყო ხოლმე, თქვენთვის ყურები ამეწია.

გური და მასთან ერთად ლევა და ტატე ჭირის ოფლში ცურავდნენ და პირს ველარ ხსნიდნენ. თავის კალაპოტში ველარ იყო ბაადურის უჩვეულო სიმკაცრით გაკვირვებული ბედიაც.

— თქვენ ალბათ თავს ვაქცავებდით სთვლით. — არ შერბილდა ბაადური. — მართლაცდა, როგორ არ არის ვაქცავობა სპირტით თავის გათბობა და ფულის გროვაზე ნერწყვის ყლაპვით თვალეზას ბრეცვა! აი, რომ მოგეგოთ, მაშინ სულაც გმირები იქნებოდით. თუმცა, ხელის კანკალი დაგჩემდებოდათ. ასე ემართება ყველას, ვინც ფულის ხარბია, თავის კუთვნილს ღებულობს თუ თვითონ უხდის, ხელი დალატობს და ცახცახს უწყებს. ჩემი კაიკაცობა თქვენ ორი გარემოებით შეაფასეთ. ერთი —



რომ თქვენგან გალანძღული თქვენთან  
ძინც თვითონ მოვედი, მეორე კი —  
რომ თქვენი ცოდვა არ გავახმაურე. მა-  
გრამ იცოდეთ, რომ არც ერთი გამიკე-  
თებია კეთილშობილებით და არც მეო-  
რე. მოვედი იმიტომ, რომ ბედისა უნ-  
დოდა თქვენი ნახვა და მეც ხათრი არ  
გავუტეხე. არ გავახმაურე იმიტომ, რომ  
თქვენი უსაქციელობის გამხელით თავი  
მე უფრო მომეჭრებოდა, როგორც დო-  
ყლაპია მეურვეს. ჩემთან შეკითხვება  
გაქვთ?

წავიდა ის დრო, როცა ბაადური ამ  
შეკითხვას ნახევრად ხუმრობით აყენე-  
ბდა ხოლმე და ბიჭებსაც გულს უთბო-  
ბდა. ახლა ეს საყვარელი შეკითხვა მუ-  
ქარას ჰგავდა და ბიჭები კიდევ შეტად  
გაითანგნენ.

ბოლოს ისევ გურიმ ითამამა.  
— ვალს დაბრუნება უნდა! ჩვენც  
ახლავე მოგართმევთ, რამდენსაც ვიპო-  
ვთ. ეს საკმარისი არ იქნება, მაგრამ  
თანდათან დანარჩენსაც ავინაზღაუ-  
რებთ.

— რა ვალზე და ფულზეა ლაბარაკი?  
მე, რაღაც ვერ ვიგონებ, რომ თქვენთ-  
ვის ფული მერიგებინოს.

— ხელში მართლაც მგონი არ მოგა-  
ციათ. მაგრამ სხვადასხვა დროს ბევრ-  
ჯერ დავიხარჯავთ ჩვენზე და იმის დაბ-  
რუნებაზე მოგახსენებთ. რაკი ასე ხე-  
ლადებით მოგვიძულეთ, ჩვენთვის უკ-  
ვე სათაჯილოა თქვენი ვალი გვქონდეს.

— მე კიდევ აი ეს მწვავს ხელის გუ-  
ლებს. — მაგიდაზე შემნახველი სალა-  
როს წიგნაკი თითქმის ზიზღით დააგდო  
ლეგამ, ხოლო გურიმ მას მართლაც მი-  
უერთა ალბათ უკიდურესი ყაირათით  
საშავდღეოდ გადანახული და არარსე-  
ბულად გამოცხადებული სამთა საერთო  
დანაზოგი ფული. ბაადურმაც მაშინვე  
უყოყმანოდ გაიშვირა ხელი, მაგრამ  
არა ფულის და წიგნაკის ასაღებად, იმი-  
სთვის, რომ ხელში მიეწოდებინათ ერ-  
თიც და მეორეც.

— გგონიათ არ მივიღებ? რატომაც  
არა, თუ კი რომელიმე თქვენგანი თა-  
ვისა ხელით ხელში ჩამიღებს...

ბაადური თავიდანვე აღეღებულად  
იყო, მაგრამ გარეგნულად ამ წუთამდე  
სიმშვიდეს ინარჩუნებდა. ახლა კი მას  
სახის ძარღვები დაებერა და ნიკაპი აუ-  
ცახცახდა, ხოლო თვალებში საშინელო  
ცეცხლი ჩაუდგა. ბაადური ფულსა და  
წიგნაკს მხოლოდ ხელიდან ხელში მო-  
ითხოვდა, მათ კი ვერც ერთმა ხელიც  
ვერ შეახო.

5

შეხვედრა ყოვლად დროული იყო,  
თუმცა ბაადურს წინაგრძნობა ჰქონდა,  
რომ ბიჭებსა და მას შორის ძველებუ-  
რი ძალდაუტანებლობა ვეღარ აღდგებო-  
და. აკი გაუმართლდა კიდევ!

ბოლმიანი კაცი შეუმჩნევლად უნდა  
გაართოთ. ისე, რომ მან თვითონ არც  
იგრძნოს თუ საგანგებოდ ესათუთებით.  
ხოლო თუ იგრძნობს, ვერ იაზროს, რა-  
ტომ უტკებებით. უფრო აჯობებს თუ  
ნამდვილი გულისხმიერების საფარქვეშ  
თითქოსდა დაუდევრად მოეპყრობით.  
რომ ცოტა გაუჭყარდეთ კიდევ. ამგვა-  
რად მისი გონება სხვა ფიქრით დააბან-  
დავთ. ანუ, ცეცხლი თქვენზე გადაიტა-  
ნოთ, ოღონდ კი მისი გულისყური თავს  
აქით გარემომაც დაიპყრას.

ბედია ვერ იქნებოდა ბედია თუ ასე  
ვერ მოუხერხებდა ბაადურს, როდესაც  
ისინი ბიჭების ჩაბნელებულ ეზოდან  
ქუჩაში გავიდნენ. ბედია კარგად გრძ-  
ნობდა ბაადურს რა ბოლმაც უტრია-  
ლებდა, მაგრამ მან მინც დაუდევარი  
კილო აირჩია.

- გაგივლის.
- გამივლის. ყველაფერი გაივლის.
- მე უბრალო სინამდვილეს გეუბნე-  
ვი. აბელ-ზურაბ-ემზარივთ ტვისს კი არ  
ვიტყულებავ. შენ მაგ ფიქრებს, მაგალი-  
თად, ცოტა ხნით გარემოს გამოცვლა  
გაგიფანტავს.
- ბედად მეც უკვე ხვალ მივიღინე-  
ბით მივემგზავრები.
- მივხვდი, რომ მიემგზავრები. ვნა-

გიორგი ჯღალაშვილი  
გვიზარაგს მრავალი მძირი

ბე მე წელან შენთან სამგზავროდ კვიცივით ოთხზე დაყენებული ფინისავით მორჩილი ერთი ციდა ჩემოდანი, რომელმაც თავის დროს იღუმალიც მოიარა. მე მხედველობაში მაქვს გარემოს სხვაგვარადაც გამოცვლა. დამებადა ბრწყინვალე აზრი, რომლის განხორციელება ადვილია, ჩვენ კი შედეგად ხშირად ერთად ბუნებაში ვიქნებით. აზრი უკვე ერთი ხანია შთამავონა არა შენმა სულიერმა ქოთქოთმა, რის შესახებ მე დღემდე არაფერი ვიცოდი, არამედ რთულმა ვითარებამ, რომელშიც მე აღმოვჩნდი. საქმე ისაა, რომ ჩემი სოფელი უჩემოდ ვეღარ სძლებს, ამდენად სოფლიდან თავის გამოღწევა ყოველთვის არ შემიძლია. ამავე დროს არ შემიძლია უშენოდაც, თუმცა ხშირად აუტანელი ხარ. ბევრი საერთოანეთო თავისუფალი დრო გეკარგება შენც. როდესაც ჩემი სოფლის საძაგელი გზებით შიგ სოფელში ამოსვლა გიხდება. შენი სტუმრობა ჩემთვის როგორი სიხარულიცაა. ეს თვითონვე კარგად იცი, მაგრამ მე ამასთანავე გულის მეთანადრება ხოლმე, როცა შენ ჩემი გულისთვის მთავარიანზე ნაბლოტიანს გხედავ. ამ გასაჭირზე თავის მტკრევებში აღმოცენდა ბრწყინვალე აზრიც. ჩვენ შეზღვედრებისთვის ვიპოვებთ დაახლოებით შუა წერტილს ჩემს სოფელსა და თბილისს შორის, რომ ყოველთვის სოფელში ამოსვლაზე აღარ იწვალა, თვითონ მე კი საჭიროების შემთხვევაში სოფელთან ახლო ვიყო. ასეთ წერტილად, მე, მაგალითად წარმოდგენილი მაქვს წყნარი და ქოჩორა კუკნა კუნძული ჩრდილით, მდელით, წყართით და ყოველშემთხვევისთვის ქოხითაც. უკვე თითქოს ვხედავ კიდევ, რაც აღწერიე. თუმცა, როგორ არ ვხედავ, როცა მე უკვე აღმოვაჩინე და დავიპყარი სწორედ ასეთი კუნძული მცხეთის ბებრისციხის დაბლა ვაფანტულ არაგვის კალაპოტში! იქ, ჩვენ და ჩვენთან ერთად ვინც გვეგუნებება ისინიც, შევხედვებით ხოლმე შაბათ საღამოს და დავიშლებით კვირა საღამოს. თბილისე-

ლები მცხეთამდე მატარებლით ჩამოსვლას ყოველთვის მოიხერხებთ. ჩამოსვლაზე დარჩენილ რაღაც ხუთიოდე კილომეტრს კი ფეხითაც სიამოვნებით დაფარავთ. ხოლო ჩემთვის სოფლიდან იქ ჩამორბენა არაფერია. ამრიგად, ყველაფერი მოფიქრებული და გათვალისწინებულია. კუნძულის აღმოჩენით მე დავამტკიცე, რომ გეოგრაფი ტყვილად არ ვარ, მაგრამ ჩემ სახელს უკვე თითქმის ატარებს მახლობელი სოფელი და თავმდაბლობით უარს ვიტყვი, რომ კუნძულსაც მისი პირველდამპყრობის სახელი ეწოდოს. სამაგიეროდ, თუ ის შენც მოგეწონება, მას დაერქმევა ბადურის კუნძული, სახელი აგრეთვე გეოგრაფისა, რომელიც ერთ-ერთი პირველი დაადგამს ფეხს დასახელებულ კუნძულზე, ანუ იქნება მისი აღმომჩენის, ასე ვთქვათ, თანაღმომჩენი.

ბადური ბედიას ყბელობას დაბნეული ღიმილით ისმენდა და ხმას არ იღებდა. გულში კი მხარს უჭერდა ბედიას აზრს და თუ ამას ის თავსაც მოაბამდა, მართლაც კარგი იქნებოდა.

ისინი რკინიგზის სადგურისკენ მიაბიჯებდნენ. ბედია იმავე დამით თავისი გზის პირველ მონაკვეთს ჯერ თვითონ დაფარავდა იმ საშუალებით, რომლითაც აღთქმული კუნძულისკენ მომავალი მგზავრობა ბადურს დაუთქვა.

მატარებლის დაძვრამდე ბედიამ ვაგონის საფეხურიდანაც წაიყბედა.

— შენ რომ სოფელში სახლის კიბე და კარი ამიტალახე, მე დღეს საგანგებოდ იმის სამადლობლოდ გეახლე. კუნძულიც იმიტომ მოვიფიქრე, რომ მართლაც სიქა არ გაგძვრეს ჩვენს ოღრო-ჩოლორებზე წარამარა წოწიალით.

ბედიამ წელანაც ხუმრობაში გაატარა თავისი გულნაკლულობა და ახლაც. ბადური ათასში ერთხელ თუ ახერხებდა ბედიას სოფელში ასვლას და ბედია მას ამაზე ქარაგმულად საყვედურობდა.

მეორე საღამოს კი უკვე თვითონ ბადური გაემგზავრა მატარებლით. ხო-

ლო პირველ მივლინებას ზედიზედ მიჰყვა რამდენიმე, თუმცა ხანმოკლე, მაგრამ საკმაოდ გულდაგულ მოვლა საქართველოს სხვადასხვა მხარისა.

საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ერთად აღებული ხუთი კვირიდან ბაიდუარი ოთხი მივლინებაში იყო და თბილისში საშუალებო ჩამოსვლაზე სამსახურში მხოლოდ ახალი დავალების მისაღებად და სამივლინებო საბუთების მოსაგვარებლად შერბენას ასწრებდა.

დაუცხრომელ თაოსან ნიკოლოზ ბარიშვილს აზრი მოუვიდა გამოეცა მოზრდილი კრებული, რომლის ფურცლებიდან საქართველოს სხვადასხვა რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავენი თავის გამოცდილებას გაუზიარებდნენ თანამოსაქმეებს და ბაიდუარის დავალებაც ამ საქმისთვის თავის მობმა იყო. ბაიდუარი ამავე დროს აკეთებდა ჩანაწერებს თავისთვისაც.

მივლინებებში ყოფნისას ბაიდუარის მოულოდნელი და სასიამოვნო აღმოჩენა იყო, რომ მის სახელსა და გვარს მკითხველები იცნობდნენ. ბაიდურ ამირიძე დახსომებოდათ მის ყოფილ და ორიოდე სხვა ყურნალში გამოქვეყნებული მოკრძალებული ნაწარმოებებით. ბაიდურმა გაიგო, რომ სწერდა თურმე სადად, გამართულად და სახიერად. რომ მისი ნაწარმოებები ხალხით იკითხებოდა და მათ გამოჩინას ყურნალში მოელოდნენ კიდევ.

ყურნალისტს რაიონში საერთოდ პატივს სცემენ. ბაიდურისადმი ყურადღებას კი აძლიერებდა მისი ერთგვარი აღიარებაც. ყურადღება უპირველესად იმაში გამოიხატებოდა, რომ რაიონის ფარგლებში მიმოსვლისათვის მას უთხოვნელად სთავაზობდნენ ტრანსპორტის ყველა შესაძლებელ სახეობას. ბაიდურს კი, თუ მანძილი მეტად შორი ან გზა ძალზე ერთფეროვანი არ იყო, სოფლიდან სოფლამდე მხოლოდ ფეხით სიარული ეგუხნებებოდა. ასე მეტს ხედავდა და აღიქვამდა, ფიქრობდა და გზადვე ჰქმნიდა მომავალი ნარკვევის თუ მოთხრობის თავებს.

ზოგ რაიონში ხელმძღვანელებმა ზველად იჩითირეს მისი ეს უცნაურობა, მაგრამ ბაიდურმა ისინი დაარწმუნა, როგორც ყურნალისტს ქვეითად რატომ ერჩინა. შემდეგ, როგორღაც ხდებოდა, რომ მისი ახირებული ჩვეულების შესახებ უკვე იცოდნენ სხვა რაიონებშიც, სადაც ის ჩადიოდა, და ტრანსპორტს თავს აღარ ახვევდნენ. ისიც ბეჯითად და დაუღალავად მწიროვით მარტო ლევდა სოფლის გზებსა და ბილიკებს, ეცნობოდა მრავალ ადამიანსა და ადგილს, რომელთაც შემდეგ მთელი კრებული დაეთმობოდა. ხოლო მანამდე საკუთრივ ბაიდურის მივლინებისეული გულწრფელი ნაწერები, მცირე მოცულობის ჩანახატების სახით უკვე დაიბეჭდა დედაქალაქის რამდენიმე ყურნალსა და გაზეთში. მათ ახალი, სრულიად საკუთარი სურნელი ახლდათ და მკითხველთა გულისყური მიიპყრეს.

საწერის უმეტეს ნაწილს ბაიდური მივლინებაში ყოფნის დროსვე აყალიბებდა. წერდა ყველგან, სადაც კი მოკლე ხანს ისვენებდა ან ღამე რჩებოდა. ბაიდურს ძველი გატაცებით იზიდავდა მიტოვებულ ქოხეში, სხვა გამოუყენებელ სადგომებში ღამის თევა, მამუქის ჰომარჯვება და შთაბეჭდილებათა ცხელ კვალზე წერა. მერე სურნელოვან თივაზე მივდებდა და დაღლილი თვალების მილულვა. უხერხდებოდა კიდევ ეს, მაგრამ ყოველთვის ვერა. რაიონის ხელმძღვანელები უტრანსპორტოდ კი უშვებდნენ, როგორც თვითონ იწადინებდა. მაგრამ თვალიდან არ კარგავდნენ. რომ რაიონის სტუმარი მთელი დღე ფეხით სიარულის შემდეგ, ახლა ღამით სადმე ძალღუმადურად გდებულიყო, ამას ისინი უკვე ვერ ურიგდებოდნენ. აქ ბაიდურის განმარტებანი ვეღარ სჭირდა. ახირებაც მთელი რაიონის უპატივცემლობა იქნებოდა. ბაიდურს იმის რიდიც ჰქონდა, რომ სადმე შუა გზაზე თავისი მოგუხნებებით დაბანაკე-

ვიგორგი ზალაზილი  
გვიფარავს მრავალი ხერი



ბოს, მაშასადამე, დათქმულ დასახლებამდე მიუსვლელობის შემთხვევაში, რაიონული ცენტრი განვაშს ატეხდა.

ამიტომ ბაადური მეტწილად ღამე ოჯახებში რჩებოდა, სადაც მას პირადად არ იცნობდნენ, მაგრამ გულთბორად მასპინძლობდნენ. ისმენდნენ მის საუბარს, უზიარებდნენ თავის ფიქრებს, ხოლო როცა დამწვიდობების დილა დგებოდა, თავს უკვე მოკეთებდად გრძობდნენ.

7

სხვის დაბეჯითებასაც ყურის მიხედვით უნდა! ხომ უწინასწარმეტყველა ბაადურს ბედიამ, შენ მთელ საქართველოს დაივლიო. ხომ დაუდგანა ლეგამ, გვიფარავს მრავალი ჭერიო.

ბაადური მთელ საქართველოში დადიოდა და მას მრავალი ჭერი იფარავდა.

მას მივლინებები იმიტომაც უხაროდა, რომ ფიქრობდა ასე თავს მოანატრებდა ქეთევანს, რომელსაც როცა ბაადური ქალაქში ეგულებოდა, მისთვის ხშირად ვეღარ ეცალა ხოლმე. ეს ყველა ნაწყენი ადამიანის თავისებური შურისძიებაა, დროებით თვითონაც განერიდოს ახლობელ პიროვნებას, რომელიც მისთვის დროს ვეღარ პოულობს.

ბაადურის მივლინებათა წყების გასრულება და თბილისში დაბრუნება შაბათ საღამოს დაემთხვა. კვირა დილიდან კი ის დიდხანს ხან იდგა, ხან იჯდა შუშაბანდის ღია ფანჯრებთან, რათა ყველა მეზობელს დაენახა, იმ ანგარიშით, რომ თუ ვინმემ მის არყოფნაში მოიკითხა, მეზობლები მაშინვე ჩაუყენებდნენ.

მაგრამ ბაადურმა შენიშნა, რომ მეზობლები მას დამღურებულებივით თვალს არიდებდნენ და ვერ იაზრა, რა იყო ამის მიზეზი. გადაუხდელი არ ჰქონდა არც ბინის ქირა და არც წყლისა და სინათლის ფული, რის გამოც საერთოდ, ცხვირს უბზუებენ ხოლმე ერთმანეთს მეზობლები.

— რა დაგიშვეთ, ხალხო? — შინ იყვნენ თუ გარეთ, პატარა ეზოში ყვე-

ლას მისწვდა მისი ხმა და ვინც ეხსენებოდა, ან იყო, ახლა ისიც გამოჩნდებოდა.

— კიდევ ჩვენ გვეკითხები? — ყველას მაგიერ შეკითხვა შეუბრუნა ბესო-პაპამ.

— მიწა გამისკდეს თუ ვხვდებოდე, რაზე გამბუტვებართ!

— ეკ კიდევ უარესი, რომ რაც ჩაიღინე იმას ანგარიშს არ აძლევ.

— რა სული დამალევიანეთ, ხალხო! აღარ იტყვით, რა ჩავიდინე?

— ჩვენ არ ვესუმრობთ, შვილო ბაადურ.

— არც მე ვესუმრობ, ბესო-პაპა.

— რა ჩაიღინე გეთაყვა და, აი, ისა, რომ სახლიდან მთელი თვით გაიჭერი, სიტყვა კი არც ერთს დაგვიგდე სად იქნებოდი. საერთოდ, ჩვენ ისიც არ ვიცოდით, გაემგზავრე სადმე თუ უკვლოდ ჩაიყლაბე, და ვიყავით ერთ საგონებელში.

— მივლინებაში ვიყავი, ბესო-პაპა.

— არც მე ვამბობ, რომ ყაჩაღად გახვედი-მეთქი. მაგრამა ჩვენ, ხნიანი ადამიანები თუ აღარად ჩავგავდევ, იმად მაინც დაგეტოვებინა ამბავი, რომ ვინც ვიკითხავდა, იმათთანაც ბრწყინებდა არ გამოვჩენილიყავით. სწორედ ასეთად კი გამოვჩნდით. ამდროულმა კაცმა ტყვილის თქმაც კი ვიკისრე. თუმცა, მართო დედაშენთან მივიკბ-მოვიკბე რაღაცა, რომ ქალს გული არ გახეთქვოდა. სხვებთან კი, ისიც სულ ჭეველებთან შევირდივით ენაჩაყლაპული ვიდექი. არადა, თვითონ ისინი მერგებიან შევირდებად.

— სხვა ვინ მიკითხა, ბესო-პაპა?

— ვიღამ არ მიკითხა! მომსვლელი თითქოს არასდროს გკლებია, მაგრამ შენი კარი რომ გამოკეტილი იყო, მაშინ უფრო ბევრი მეჩვენენ. ქეთევანი და თებრო. ჩვენი ლეგა თავისი ამქრით. დაუთი მხოლოდ ერთი დღით ჩამოვიდა და მთელი ის დღე ამ ჩვენი თუთის ქვეშ გელოდებოდა. ომში რომ იყვნენ ის ბიჭებიც გეახლნენ. სოფელში რომ სიმინდს თოხნიდით, ის ყმაწვილებიც. ჯანოც იყო. თანაც, ჯანოს ისე შევატ-



ყვე, რომ რაღაც უჭირდა. იმას შენ სამ-  
სახურშიც ეკითხნენ და იმისგან გავი-  
გეთ, რომ მივლინებაში ყოფილხარ.

- ჯანოს რა უნდა გასკვირვებოდა?
- აბა მე რა ვიცი?
- სხვებს რა შეატყვე?
- რა უნდა შემეტყო?
- სხვებსაც ხომ არ უჭირდათ?

— შენა გგონია, რომ ჯანოც მარტო  
იმიტომ მოვიდა, რომ უჭირდა? საერ-  
თოდაც, ასე გგონია, რომ ვისაც უჭირს,  
შენს იქით გზა არა აქვს? ჯანოც და  
სხვებიც მოვიდნენ მხოლოდ შენი სიყ-  
ვარულით. ასეთ დროს განა მიზეზს კი-  
თხულობენ?

— მეკუთვნის ეგ დატუქსვა, ბესო-  
პაპა. მაგრამ მე დაულაგებელი შეკით-  
ხვა იმიტომ გამომივიდა, რომ ვიჩქარე  
გამეგო, ვინ როგორ არის.

მათ კამათს უსმენდნენ სოფიოც, პა-  
პიძეებიც, ტასიაც, მაგრამ ლაპარაკში  
არაფერს ერეოდა. მაინც, საუბარი რომ  
არ გამწვავებულყო, ფაშფაშა სოფიო  
ეზოში ჩამოგოგმანდა და ქმარს მკლავ-  
ში წაეჭაჭურა.

— წამო, წამო, სახლში ი ტანტი გა-  
დამაადგილებინე... დღეს შენ რაღაც  
მეტმეტები მოგდის...

ბესო-პაპა მეუღლეს არც გაუწყრა.  
არც გაუძლიანდა. ოღონდ, კიბეზე  
რომ ასდევდა, კიდევ ლაპარაკობდა.

— ხელს ეგრე უდიერად ნუ მკიდებ,  
გეთაყვა. ეგ ჩემი საყვარელი ხელი ძვე-  
ლებურად ტბილად მომხვიე. მე ხომ  
ნასვამი არა ვარ! შენ ხომ იცი მე დათ-  
რობამდე არც დამილევია. ან, იქნებ და-  
მილევია იმ ზომამდეც, მაგრამ სხვას  
რომ ათრობს, ის მე ვერ მერევა. ცხოვ-  
რებამ კი დამაბრძენა. ბევრი ცუდიც  
მინახავს და კარგიც, თანაც ყველაფე-  
რი ისე განმიცდია, რომ ღამეები არ  
მიძინებია, უძილო ღამეები კი მუშა კა-  
ცისთვის უხელობაა, უქაფრობაა, ჩემო  
თავითბოლომდე გამტანო, ვაქცაცო ქა-  
ლო. ჩემს ბაადურს თუ ცოტა დავარი-  
გე, არ უნდა ეწყინოს. ღმერთმა იცის  
და სოფიომ იცის, რომ ბაადური შეილი-  
ვით მიყვარს. აი, იმ დალოცვილ

ღმერთს რომ ჩვენთვის ბიჭიც მოეცა,  
მხოლოდ მაგისთანას ვინატრებდი. ყვე-  
ლა კარგმა კაცმა — მე ხომ კარგი ვარ,  
დედაკაცო? — აბა, სამოცდათხუთმეტს  
გადააბიჯოს და ნახავს, როგორი ბავშ-  
ვური გულისა ვახდება. ყველა მშვეკურ-  
თხეულმა სულ ცოტა ჩემხნობამდე მა-  
ინც იცოცხლოს! მაგრამ რაც ჯერ არ  
იცის, რაც ვერც კი წარმოუდგენია,  
ვთქვათ ოცი წლის ბიჭს, ის ხომ ჩემთ-  
ვის გარკვეულზე გარკვეულია. ქვეყნი-  
ერებაზე როგორი კეთილდღეობაც არ  
უნდა იყოს, ჩემი ხნის კაცისთვის ასა-  
კით უკვე გამოწერილია საბედისწერო  
განაჩენი. ღმერთმა არიდოს, მაგრამ  
შეიძლება მოკვდეს ოცი წლის ბიჭიც.  
ოღონდ, ეს უღმერთობა და საზარელა  
ყისმათი იქნება. სამოცდათხუთმეტა  
წლის კაცმა კი უკვე დაბეჭითებით  
იცის, რომ თუ ხვალ არა, ზვალზევით  
მაინც ნამდვილად წაიქცევა. იცის და  
ჩუმად დარდობს. აი, ბაადურმა უკვე  
ანგარიშშიც აღარ ჩამავდო და მეც  
დარდი გულში იმიტომ ვეღარ დავტიე.

8

სოფიომ და ბესო-პაპამ სახლში  
შესვლისთანავე ტანტი აარახრახეს, ბა-  
ადურს კი გულის მოსაფონად ციური  
შეესტუმრა.

— მართლა მთელი ეზო დაგვაფქრა,  
ძია ბაადურ, დიდი ხანი რომ აღარ ჩან-  
დი.

— იმიტომაც კარგი მიყო ბესო-პაპამ,  
რომ შემაჩვენა. მართლაც, რა მიშლიდა  
მეთქვა ვინმესთვის, რომ მივემგზავ-  
რებოდი. თანაც ეს რამდენიმე კვირა  
გადაბმული კი არ ვიყავი წასული. რამ-  
დენჯერმე ჩამოვედი, მაგრამ ახლა სხვა-  
გან მაშინვე გამგზავნეს და თქვენ თვა-  
ლიც ვერ შემასწარით. მე კი, თუ პირ-  
ველად ვერ მომიხერხდა, შემდეგ მაინც  
შემემძლო დამებარებინა წასვლა. თქვე-  
ნისთანა უებარი მეზობლები ყველას  
კი არ ჰყავს!

გიორგი გელაფვილი  
გმიზარაპს მრავალი ზირი



— ლეგა კი იცით როგორი იყო როცა მოვიდა?

— როგორი იყო?

— როგორიც არასდროს მინახავს.

— მაინც?

— ძალიან უცნაური მეჩვენა. მაგალითად, რომ ვკითხე როგორა ხარ-მეთქი, მან უკუნებოდ გაიღიმა და ხელი ჩაიქნია.

— ეპეე, მე ლეგას ვერ ვცნობ! ნეტავი ახლა თუ იქნება სახლში?

— შეიძლება იყოს.

— წამოხვალ?

— რატომაც არ წამოვალ?

— ჩვენ მალე დავბრუნდებით! ყოველშემთხვევაში, პირადად მე დღეს აღარსად მივემგზავრები! — უკვე ეზოში ყველას გასაგონად ხმამაღლა გამოაცხადა ბაადურმა, ვიღრე ის და ციური ჭიშკრისკენ მიუხვევდნენ.

ჭიშკარში ბაადურმა პირველი ციური გაატარა, თავისთვის კი ჩუმად გაიციინა, რომ მის თვალწინ შეუმჩნეველად დაქალიშვილებულ გუშინდელ ცქრიალა გოგონას უკვე ასეთი პატივი ეკუთვნოდა.

ბაადურს ციური პატარა დასავით უყვარდა და ფიქრობდა, რომ ლეგას გულისხმიერ მეგობრად გამოადგებოდა. მან კარგად იცოდა ციურის სინაზე და აღერსიანობა, რასაც ის ყველა ამხანაგისა და მეზობლისადმი იჩენდა. ბაადურს ციურის ღრმა მგრძნობიარობის საბუთად ყოფნიდა მათ პატარა ეზოში დიდი ხნის წინათ თვალმოკრული ამაღლევებელი სურათი. მაშინ გოგონა ჯერ მხოლოდ მეექვსე თუ მეშვიდე კლასში იყო. ქალაქს საშინელმა ქართველიმა გადაუარა და მუსრი გავლო მათ პაწაწინა ყვავილნარსაც. ციურიმ ის თავისი ერთი ციციქნა სამოთხე ვერ გადაარჩინა, მაგრამ ბუნების მძვინვარება მთლად არ დამცხრალიყო, რომ პირდაპირ ტბორში სასოებით მუხლი მოიყარა და სეტყვისგან ულმობლად დახოცილი ყვავილები სათითაოდ ცხარე ცრემლით დაიტირა.

ახლა ბაადურს ეამაყებოდა, რომ ეს

სათუთი სულის, კალმით ნახატის შვილი მის გვერდით მიაბიჯებდა და თავახიანად და გონივრულად ესაუბრებოდა.

სახლში მათ მარტო ტიტე დახვდათ, თუმცა ეტყობოდა, რომ მაგიდაზე გაფანტული გადაშლილი წიგნები, რვეულები, გრაგნილები, ნაჯღაბნი ქაღალდები და საჯღაბნი საშუალებანი მხოლოდ მას არ ეკუთვნოდა.

— დავიწყეთ ლეგათი. — სტუმრების შეკითხვის გარეშე უპასუხა მათ ტიტემ. — ლეგა თვითონაც არ ვიცი, სად არის. ბოლო დროს ის თითქმის ყოველ კვირა დღეს დილიდანვე სადღაც გვეპარება და გვიან საღამოსა ბრუნდება ხოლმე. რაკი თვითონ არ ამბობს სად დადის, ჩვენც არ ვეკითხებით. ალბათ ჯერჯერობით ასეა საჭირო. როდისმე კი გვეტყვის. ვიღრე მოვასხენებდეთ გურიზეც, მანამდე ერთ შეკითხვას თქვენ მოგცემთ, ძია ბაადურ. გახსოვთ, თქვენ უშანგი ჯენიძის პირადი მდივანი გოგონა, ჭროღათვალემა ნელიკო?

— ვიცნობ მე იმ ჭროღათვალემა და საერთოდ კონტა ნელიკოს. სხვათაშორის, ძალიან ზრდილი და ჭკვიანი გოგონაა.

— აი, ძალიან ზრდილი და ჭკვიანი და თანაც კონტა გოგონა რომაა, იმიტომაც ერთი ხანია მთელი კვირა დღეები მასთან იკარგება გურიც. ახლაც ნელიკოსთან გახლავთ. ან კინოში იქნებიან, ან პარკში. ასე რომ, მარტო მე დავრჩი წესიერი. ამის მიუხედავად, ჩვენ დაქსაქსული მაინც არა ვართ. ერთად შემოვიარეთ თქვენც, რამდენიმე დღის წინ, მაგრამ თქვენ, თურმე მივლინებაში იყავით.

— მითხრეს რომ ყოფილხართ. რა ამბავი იყო?

— ამბავი აღარაფერი მომხდარა. უბრალოდ, ჩვენ თქვენთვის ცნობილი ცოცხა გვაწუხებდა და იმის მოსანანებლად მოვედი.

— ჩათვალეთ, რომ კიდევ გაქვთ მონანიებულნი. რაკი მოსულხართ, ეს უკვე



არის მონანიება. დაგხვდით თუ არ დაგხვდით სახლში, ამას არსებითი მნიშვნელობა აღარა აქვს. ასევე გადაეცი ლეგას და გურის.

— სიხარულით გადავცემ! ჩემით კი დაუშობა, რომ ძია ბაადურს ჩვენივე საერთოდ გული მობრუნებია-თქო.

— ისე, არც შენ ხარ გურიზე ნაკლები ჭინკა! აი, კარგი იქნება თუ მაგ გონიერებას უფრო სასარგებლოდ გამოიყენებთ. თორემ, მე ვიცი თქვენი! თქვენ ჩემი ნამდვილი ვაბრაზება ჯერ არ გინახავთ.

— ღმერთმა ნურც გვაჩვენოს!

— ამიტომ ჭკუით იყავით.

— უკვე ჭკუით ვართ. მე, ლეგამ და გურამ პირობა დავდეთ, რომ თქვენი საყვედური აღარასდროს დავიმსახუროთ.

— შენ, ლეგა და გური ჩემ ხათრზე ნუ ივლით. უკვე დროა შეიგნოთ, რომ ცხოვრება სადაცაა თქვენც მოგთხოვთ მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებას. ახლა, ნახვამდის. შენ, მგონი, სამივეს წილად მეცადინეობ და ხელს აღარ შეგვიშლით.

9

ციური სავსებით გონივრულად მოიქცა, რომ არაფერი ჰკითხა ბაადურს, რა მოხდა ბიჭებსა და მას შორის და ამის გამო ეს არის ახლა რა გადაკრული ლაპარაკი ჰქონდა სამთა წარმომადგენელთან.

— ახლა ქეთევანიც რომ მოვინახულოთ, რას იტყვი? — უკვე ქუჩაში ჰკითხა ბაადურმა ციურის.

— ვიტყვი იმას, რომ ქეთევანი მე ძალიან მიყვარს. მასთანამე, სიხარულით წამოგყვებით.

ქეთევანსა და თებროს სახლში ყველაფერი თავდაყირა დაეყენებინათ და საგულსიგულო ლაგება ჰქონდათ. თან სარცხი უდღუღდათ. თვითონ ფეხშიშველანი და თავშალწაკრულნი იყვნენ და გაცხარებული ირჯებოდნენ. ოთახში მეტი ფეხის დასადგმელი ადგილიც არ იყო. ბაადურმა და ციურიმაც ყველა-

ფერი ეს ფანჯრიდან დაინახეს და დობილების წრიალს ერთხანს თვალი ჩუმად ადევნეს. თან ეცინებოდათ. ქეთევანმა და თებრომ ბოლოს იგრძნეს სიცილი და ფანჯარას ორივე შეწუხებული მოაწყდა.

თებრომ მაინც იხტიბარი არ ვაიტეხა.

— შენ რომ ვერ მიგიღებთ, არ მადარდებს. — ბაადურს მიაცხრა ის, — არცა ხარ ღირსი, რომ მიგიღოთ ჩვენი უმიზეზოდ შემომწყრალი. აი, ციურისთან კი ბოღიშს ვიხდით.

თებრომ ბაადურს გაბუტული სახეც უჩვენა და მარტოდა ციურის გაუბა გურგული. ამით კი ისარგებლა ქეთევანმა, სწრაფად ფეხები ჩუსტებში წაყო. ხოლო თავშალი მოიგლიჯა და ქუჩაში გაირბინა, ქეთევანს თებროსი და ციურისა ერიღებოდა, მაგრამ გული ისე აუჩქროლდა ბაადურის დანახვაზე, რომ თავდაჭერა დააიწყდა. მათ წუთით განმარტოებას ხელი შეუწყეს თვითონ თებრომ და ციურამ, რომლებმაც ფანჯარაში საუბარი განგებ უფრო გააცხოველეს.

— შემოგველე ბაადურ, — სიხარულისგან ხმა კარგად ვერ ემორჩილებოდა ქეთევანს, — ხომ არ მემდურნი? არ დამემდურნი! ჩემი ბრალი არ არის ერთი პირობა რომ ვეღარ ვნახულობდი. უნივერსიტეტში დაეალებები რომ არ ვაკეთო, იქნებ ვინმემ გულში გამკენწვლოს, ეს ქალი მხოლოდ სოფელში ვარგებულაო. დამნაშავე მაინც ვარ. შენ როცა ლეგაც აღარ გყავს სახლში, მაშინ მეტად გჭირდება მომკითხავი. სამაგიეროდ, ახლა უკვე ისე მოვები საქმეებს თავი, რომ მეცლება ხოლმე. ხომ გამიგე. ბაადურ, შემოგველე...

ბაადურმა ღიმილით თავი დაუქნია და ქეთევანიც ისევე ოთახში შექანდა. ბაადურმა ციური ფანჯარას მოაცილა და უკვე თვითონ თებრო გამოაჯაგრა.

— წავიდეთ, ციური. სადაც არ გვლე-

---

გიორგი ვალაშვილი  
გვიფარავს მრავალი გვირი



ბულობენ, იქ რა გვინდა! თანაც, ეზოში ხომ დავიბარეთ, მალე დავბრუნდები-თო.

ციური გრძნობდა, რომ ბაადურის მათი დღევანდელი სტუმრობებით კმაყოფილი იყო და მასაც უხაროდა, რომ კარგი ფეხისა გამოადგა.

ეზოში მათ ახალი ამბავი არაფერი დახვდათ. მხოლოდ ის იყო, რომ ბესო-პაპას უკვე დიდი ხანია გაეძლო მიწა რწყვით, მაგრამ ონკანზე აცმული რეზინის მილიდან კიდევ გულმოდგინედ აქიებდა მთელ ეზოს. ბესო-პაპას თავისი ანგარიში ჰქონოდა. ბაადურის შემოსვლა არ უნდა გამოპარვოდა. და აი, ბინდ-ბუნდზე შემოვიდნენ თუ არა ეზოში ბაადური და ციური, მან ხამაძლა იკითხა:

— რა იყო, შეილო, დილას რომ საქვეყნოდ გამოაცხადე ამაღამ მივლინებაში არ მივდივართ? მე ხომ არ დამციენე?

— ვიხუმრე, ჩემო ბესო-პაპა! მაგრამ მე რომ ხუმრობებში ვერ ვარგივარ, ალბათ უხეიროდ გამოამივიდა.

— მე კი მთელი დღე ვერ მოვისვენე და ალბათ ღამეც არ დამეძინებოდა. შენ ვაიხარე, რომ ეჭვი მომამოორე. შენ ხომ ტყვილს არ იტყვი! დასაცინი რომ ვიყო, მაინც არ დამცინო, ბიჭო!

ბესო-პაპამ პირთან ხელი გაუსავსავა ბაადურს, მეტი აღარაფერი მითხრაო. შემდეგ კი რეზინის მილი აახვია და კიბეზე კმაყოფილი ახუსხუსდა.

10

ძღომამდე მორწყული ეზო კი სასიამოვნოდ სუნთქავდა. ბაადური გვიანობამდე იჯდა შუშაბანდში. მას სინათლე გამორთული ჰქონდა, პატარა მაგიდა და სკამი კი ღია ფანჯრებთან ედგა, მაგიდაზე ეწყო სუფთა ქაღალდები და ფანქრები და თუ რამე აზრი გამოეკვირტებოდა, მის ჩასანიშნავად მთვარის შუქიც ეყოფოდა. მაგიდაზე ელაგა სიგარეტებიც და დინჯად და ნეტარებით თითქმის უწყვეტლავ ეწეოდა.

ძველებურმა კედლის საათმა ოთახში

თორმეტი ჩამოთვალა. ეს საათი დღერთი ძვირფასი ნივთი იყო, რომელიც ბაადურის მამას, ბაკურ ამირიძეს თავის ჰერქვეშ მეუღლისათვის დაეხვედრებინა, თვითონ ბაკურს ის ღელამისგან მიეღო. სამაგიეროდ, ბაკურ ამირიძეს თუ სახლში მეტნაკლებად ღირებული სხვა არაფერი ებადა, იმ სახლში ხელმოწერიდან გამოქროლებული მეუღლე ხელში აყვანილი შეენარჩუნებინა. მერე კი ყველა სხვა მთავარი ნივთი ერთად ყაიხათით შეეძინათ. ბაკურ ამირიძე ერთი ალალი მუშა, ოღონდ ცოტა დარდიმანდი კაცი ყოფილიყო. მაგრამ ცოლის შერთვიდან დარდიმანდობისთვის ჯვარი გადაესვა და კარგი მეოჯახეობა გამოეჩინა. აი, სწორედ მაშინ აღარ დასცლოდა სიცოცხლე და ცხოვრებიდან სულ ახალგაზრდა კაცი წასულა. ყველაფერი ეს გუშინდელივით ახსოვდათ სოფიოს და ბესო-პაპას და იმ სულგაშლილი კაცის ყოველ ხსენებაზე თვალზე ცრემლი ეკიდათ.

ბაადურის დედას სიძის ოჯახში არაფერი აკლდა. მაგრამ უფრო ძველი სახლი უყვარდა, ხოლო კედლის საათს პირდაპირ ეთაყვანებოდა. გულში ის სწყინდა მხოლოდ, რომ ბაადურს რაკი მაჯის საათი ეკეთა, კედლის საათის მართვა ზოგჯერ ავიწყებოდა. დედა ყოველ მოსვლაზე სკამზე სკამს შეიდგამდა და თვითონ ააწყობდა ხოლმე საყვარელ საათს, რომლის დამუნჯებას ვერ ეგუებოდა.

საათის უღერა მორჩა თუ არა, ბაადურმა კარ-ფანჯარა ჩაკეტა და ლოგინს სიამოვნებით მიაშურა, რადგან წინაღამის ნამგზავრი და დაბეგვილი კარგად გამოძინებული ვერ იყო. მან ის იყო პერანგის ღილები ჩაიხსნა და ღამის ჩუსტები მოძებნა, რომ კარზე ფრთხილად დააკაუნეს. ბაადური ისევ შუშაბანდში ვავიდა.

- ვინ არის?
  - მე, ძია ბაადური.
  - ლევა?
  - ლევა ვარ!
- ბაადურმა ერთდროულად აანთო სი-

ნათლე და გამობლთ კარი, ლეგა კი ყუ-  
რადლებით შეათვალიერა. დადლილი  
და გამხდარი ეჩვენა, თანაც, თუშცა რი-  
გიანად ეცვა, მაგრამ მთელი სამოსი  
მოსთელვოდა.

- მე ახლავე წავალ.
- ეგ რომელი სიტყვის პასუხია?
- თქვენ, მგონი, დაძინებას აპირებ-  
დით.

— როდის იყო, რომ ძილზე თავს ვი-  
კლავდი! რაც გვიან დაეწვები, მით უფ-  
რო კარვად დამეძინება.

— თქვენ დღეს ჩვენსა ყოფილხართ.

— ციური და მე ვიყავით. რამდენიმე  
დღის წინ ჩემთან ყოფილხართ შენ, გუ-  
რი და ტიტე. მაშინ მე არ დაგხვდით  
სახლში, დღეს კი სახლში ჩვენ არ დაგ-  
ხვდით შენ. ასე რომ, შეიძლება ითქვას  
მე და შენ ბარიბარში ვართ.

— თქვენ დღეს ისე უბრალოდ შე-  
მოიარეთ ჩვენსა?

— შემოვიარეთ სწორედ ისე, უბრა-  
ლოდ. მე და ციურის სიტყვა შენზე ჩა-  
მოგვივარდა და დაგვებადა აზრი, ბარემ  
გვენახე კიდეც. სხვა რა მიზეზი უნდა  
გვექონოდა?

— მე პირადად თქვენზე გეკითხებით,  
ძია ბაადურ. თქვენ კი ყოველ სიტყვა-  
ზე ციურისაც მიხსენებთ, თითქოს მის  
სახელს განსაკუთრებული მნიშვნელო-  
ბა ჰქონდეს.

— ყოველშემთხვევაში, მე ამისთვის  
არაფერი მნიშვნელობა მიმიცია. ვახსე-  
ნებ იმიტომ, რომ ჩემთან ერთად თქვენ-  
სა ისიც იყო. როგორ ვთქვა მარტო ვი-  
ყავიქმეთქი, როცა ორნი ვიყავით! შენ,  
სჩაწს, სახლში გვიან დაბრუნებულხარ.

— ნახევარი საათიც არ არის, რაც  
დავბრუნდი.

— ეს კი, თურმე, პირველი კვირა  
დღე არ არის, როცა შენ სახლიდან დი-  
ლაადრიან ვაღიხარ და გვიან საღამოთი  
ბრუნდები.

— ტიტეს ზუსტად მოუხსენებია.

— ხოლო, სად დადიხარ და რას აკე-  
თებ, ეს მე, რა თქმა უნდა, არ მეკით-  
ხება.

— მაშ ვის ეკითხება! მაგრამ მე

ვთხოვთ, რომ არ მკითხოთ. დროს  
და თვითონ გეტყვით. ცუდი კი აღარა-  
ფერი იფიქროთ, ამ ნახევარ საათის წინ  
სახლში ფეხი შევდგი თუ არა, ტიტემ  
უპირველესად თქვენი ყოფნა მახარა. მე  
კი შეშინებული მაშინვე თქვენთან გა-  
მოვიქცევი.

— შესაშინებელი რა იყო?

— შესაშინებელი ის იყო, რომ თქვენ  
შეიძლება ტიტემდეც იცოდით კვირა-  
დღეობით ჩემი საიდუმლო გაუჩინარე-  
ბის შესახებ და საფუძველი გქონდათ  
ამაში საეჭვო დაგენახათ, რაკი ერთხელ  
სახელგატეხილი ვარ. მე უცებ ისიც გა-  
ვიფიქრე, რომ თქვენ ჩემ სამხილებ-  
ლად შეიარეთ ჩვენსა. მეც სახლში არ  
დაგხვდით. ტიტესგან კი ბუნდოვანი  
პასუხი მიგიღიათ. ცხადია, უფრო შე-  
ფიქრიანდებოდით. ამიტომაც შეუღამე-  
ზე ეჭვის გასაფანტავად მოგიხტით. თუ  
დამიჯერებთ, არ შესცდებით.

— საბედნიეროდ, მე არაფერში და-  
ჯერება არ მჭირდება. ბურუსი არ მა-  
წუხებს. არც აუცილებელია, მე შენი  
ყოველი ნაბიჯი ვიცოდე. მე და ციური  
მხოლოდ იმიტომ ვიყავით თქვენსა, რომ  
გავიგე თქვენ მე გეკითხვართ. მერე-  
და მივხვდი, რომ თქვენ ჩემთან ძველი  
ჩვეულებით შემოგვივლიათ და ეს ძა-  
ლიან სასიამოვნოა. რაც შეეხება ისევ  
შენს საიდუმლოს, რომელიც, როგორც  
თვითონ ამბობ, ცუდს არაფერს შეი-  
ცავს, ეგ უკვე ორივეს სასიამოვნო  
ტვირთია. შენთვის იმიტომ, რომ შენია  
და კეთილგონიერული გგონია. ჩემთვის  
იმიტომ, რომ მის გაგებაზე სულ ნე-  
ტარ მოლოდინში ვიქნები. ამდენად,  
რაც უფრო გვიან გავიგებ, ის აჯობებს.  
ახლა, თუ შემოხვალ, ჩაის აგიდუღებ.  
თუ ღამე ჩემთან დარჩები, ფუმფულა  
ლოგინში დაგაძინებ.

— აუჰ, როგორ მომენატრა ჩემი ძვე-  
ლი, საყვარელი ოთახი! მაგრამ უნდა  
წავიდე. სახვლიოდ ტანსაცმლის მო-  
წესრიგება უნდა მოვასწრო. ისე კი,

გიორგი ველაშვილი

გორჯაბაძე მრავალი ხერი

მე თქვენთან იმისთვისაც გამოვეშურე ამ ღამეს, რომ თუმცა თქვენ ჩემთვის ცოდვა შეგინდვიათ, როგორც ტიტემ მე და გურის გადმოგვცა, მაგრამ მე მინც მინდოდა მომენანიებინა პირისპირაც.

ისინი კარის ზღურბლზე საუბრობდნენ და იქვე დაემშვიდობნენ.

11

აუცილებელი იყო ჯანოს ნახვაც, რადგან როგორც ბესო-პაპას ბაადურის საკითხავად მოსული მისი ყოფილი თანამშრომელისთვის შეეტყო, მას თითქოს რაღაც უჭირდა.

ბაადური ჯანოს ორშაბათ დილითვე ტელეფონით დაუკავშირდა და საღამოს სამსახურის შემდეგ ქუჩაში წინასწარ დათქმულ ადგილზე შეხვდა.

ჯანო მართლაც ყურებჩამოყრილი იყო. ყოჩად ახალგაზრდა ქალს, რომელიც ჯანოს განყოფილების გამგედ დაუნიშნეს, თავისი ლიტერატურული მუშაკი თანდათან აეთვალწუნებინა და ბოლოს მისთვის დონდლო, ლობიო და დაბღური ეწოდებინა. ბუნებით რბილი ჯანო კი მისთვის შეურაცხყოფის პასუხხადაც ვერ ხდებოდა თავმოყვარეობის მებრძოლი დამცველი. მას მხოლოდ მოესაზრა, რომ რედაქციაში აღარ დაედგომებოდა, ხოლო სხვაგან მოწყობაში თუ ვინმე დაეხმარებოდა, ისევ მარტო ბაადური. ოღონდ ჯანოს თხოვნა პირიდან არ ამოსცდენია, ბაადური ამას თვითონ მიუხვდა.

ბედრადც, ბაადურის გამომცემლობას იმ ხანად აკლდა ერთი გამომშვეები და ნიკოლოზ ბარიშვილი, რომელსაც ბაადურმა მეორე დღესვე მიმართა თხოვნით, უყოყმანოდ დაეთანხმა ამ სამუშაოზე ჯანო ვარსიამაშვილის მიღებაზე. ხოლო იმის გამო, რომ გამომცემლობა ფართობის მხრივ დიდ სივრცის გვეს განიცდიდა და სხვა ოთახებში თანამშრომლები ისედაც ძლივს ეტეოდნენ, ჯანო ბაადურს კაბინეტში დაუსვენეს. თუმცა გამომშვეები მოვალეობით უმეტესად სტამბაში იყო ხოლმე. დღის

ბოლოს თითო ან ორი საათი კი, როცა ის ბაადურის კაბინეტში მისადგმელ მაგიდაზე გაშლილ თავის ანაბეჭდ ფურცლებს უჯდა, თუ ბაადური არ გამოელაპარაკებოდა, თვითონ ისე კრინტსაც არ სძრავდა. მის მდგომარეობაში შესვლისა და ახალ საქმასურში გადაყვანის უდავიდარაბოდ მოგვარებისთვის ჯანო ბაადურისა და მთელი დაწესებულების მხეს ფიცულობდა. ამავე დროს თავგამოდებით ცდილობდა, რომ თავი არ შეერცხვინა. მას ყოველმხრივ ხელს უწყობდა ბაადური, რადგან ხედავდა, რომ ჯანო საკმარის ფხას ვერ იჩენდა და იტანჯებოდა.

გულჩვილ და მგრძნობიარე ჯანოს ყველაფერი გულთან ახლო მიჰქონდა, მაგრამ ფიქრების გამოტქმა უძნელდებოდა. უპირველესად, ის ფიქრობდა ცოლ-შვილის კეთილდღეობაზე, აგრეთვე მშობლიურ სოფელზე, რომელიც მუდამ ენატრებოდა, მოხუც მშობლებზე, და-ძმაზე, სხვა ახლობლებზე, რომლებიც იქ ჰყავდა და თავდავიწყებით უყვარდა. ჯანოს იმდენად უყვარდა იქაურობა და იქაურები, რომ სოფელში ცხოვრება და მუშაობა ერჩია. დაუყოვნებლივ აისრულებდა კიდევ გულისნადებს, მაგრამ თვით იქაურების დაცინვისა ეშინოდა. ვინძლო პირთუკან გაკენწლავდნენ, თბილისში ვერ ივარგა და სოფელს იმიტომ დაუბრუნდაო. თბილისის ყალიბის კაცი არ ყოფილაო. თბილისს, შვილოსანს, მაგაზე უფრო განსწავლული ხალხი სჭირდებაო.

ფიქრებში ღრმად ჩაძირული ჯანო არც თუ იშვიათად ყოველივედან გამოითიშებოდა და აღარაფერს აცეთებდა ხოლმე. ხოლო როცა ფიქრებიდან გამოერკვევოდა, ფაცაფუციტ ქალაღღების ფურცვლას იწყებდა, თან მალევე ბაადურს უთვალთვალებდა. შუა ფურცვლაში კი უცებ ახლა კალამს დასწვდებოდა და სუფთა ფურცელზე ნაჩქარევ სტრიქონებს ამწკრივებდა.

ჯანოს ლექსებიც ისევ აწვალებდა. ბაადურს საქმეები სამუშაო საათების შემდეგაც აჩერებდა გამომცემლობაში.

ჯანო კი ამ დროს უკვე წასული იყო ხოლმე. ხოლო, ბოლოს როცა კითხვას და სწორებას შესწყვეტდა დალილი ბაადურცი, მას ყოველთვის თვალში ხვდებოდა უწყესრიგობა მისადგმელ მაგიდაზე, სადაც ჯანო მუშაობდა. კაბინეტიდან გასვლის წინ ბაადური საწერ მაგიდასთან ერთად აღაგებდა მისადგმელ მაგიდასაც, ჯანოს ერთი ამოსუნთქვით და ზემოდან დარჩენილ ლექსებს კი თავისთვის ინახავდა. ლექსებს, რომლებსაც მეორე დილით გამწარებული ჯანო ამოდ ეძებდა და ბოლოს გულდაწყვეტილი ურიგდებოდა აზრს, რომ მის ნაღვაწს დაუდევარი დამლაგებელი ქალი ნაგავს გააყოლებდა.

ასე იყო რედაქციაში და ასე ხდებოდა გამომცემლობაშიც.

12

შეპირებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, ერთ შაბათს, მზის ჩასვლის ხანს, ბაადურს ქუჩიდან ბედიამ შეუძახა.

ბაადურს სახლში ჯანო ჰყავდა. ისინი სამსახურიდან ახალმოსული იყვნენ და ტაფაზე ძეხვს აშიშხინებდნენ, ცხელი საჭმლის დამზადებამდე კი ზეზეურად სულს ყველითა და პურიით იბრუნებდნენ.

— სდექ! არც ერთი ლუკმა მეტი! — უკიჟინა მათ ბედიამ. — გაუქელით შიშვილს მხოლოდ ერთი საათი. გავიჭრათ ჩემგან ადრევე შემოთავაზებულ ბუნებაში. ამინდი მგონი არ გვიმუხთლებს. დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ.

— კარგი ერთი, თუ ძმა ხარ! — ცას უნდობლად ახედა ფანჯარასთან მოსულმა ბაადურმა. — დიდი ხანია ვიცნობ აპრილს და ვეღარ მომატყუებს.

ჯანოს კი ბაადურის თითქოსდა ყოყმანზე შიშისგან ცახცახი დააწყებინა. მეგობრებისგან როგორცაღ ვარიყულ და ერთთავად ცოლ-შვილზე მზრუნავ ჯანოს ძალზე იშვიათად ეძლეოდა ქაღალდიდან თავის გუნებაზე გასვლია, ბუნებისა და სოფლის სურათებით გულის მოოხების საშუალება. ამიტომ ის

აუწერელი სიხარულით აღაგზნებულ მსოფლიო გამგზავრებამ და მთელმა უცნაურმა მომხიბლავმა გარემომ, რომელსაც ალტაცებული მოინადირებდა.

კიდევ კარგი, რომ ბაადური თურმე მხოლოდ აპრილის დამახასიათებელ ცვალებადობას შეეხუმრა, ისე კი წასავლელად უყოყმანოდ მზად იყო. მარტო ჯანოს დასჭირდებოდა წუთით სახლში არბენა ამბის დასატოვებლად, რომ ღამეს საღდაც სხვაგან გაათევდა. მან ეს კიდევ მოასწრო და ბაადურსა და ბედიას აქოშინებული რკინიგზის ბაქანზე მატარებლის გასვლის წამისწამ შეუერთდა.

ბედიას გულმოდგინე დაკვირვებით და გამოანგარიშებით სწორედ ერთ საათზე ცოტა მეტ დროში ისინი უკვე იქნებოდნენ არაგვის ხალვათ კალაპოტში შეგულბულ კუნძულზე, რომელსაც წალკოტად მოიხსენიებდა.

მართლაც, ნახევარი საათი მატარებით მგზავრობა და ნახევარი საათიც ქვეითად სიარული და კუნძული მათ ფერხითი იყო.

ოღონდ უკვე ბნელოდა, მდინარის მალისმალად ფრიალო ნაპირებს შორის მაინც ნამეტნავად, ამიტომ კუნძულის ნარგაობას და მოხაზულობას მკაფიოდ ვერ არჩევდნენ. ხედავდნენ მხოლოდ ირგვლივ შემოვლებული არაგვის ცივ ლივილეს. მაგრამ მჭიდროდ მიჯრილ ხეთა ზროებს შორის მათ შენიშნეს ჩანახული მნათი წერტილებიც, რომელიც მხოლოდ დადარი შეიძლება ყოფილიყო. ცეცხლის ღველფთან კი კაცი ჩაცუტქულიყო და ქვის სახელდახელო ზედადგარზე შედგმულ ქვაბს ურევდა.

დიდი მიხვედრა არ უნდოდა, რომ ბედიას ოინი მოემზადებინა, მაგრამ ეს მაინც ოინი იყო და სასიამოვნოც. ვახშმის განმგებელი კი დაუთი აღმოჩნდა და ბაადურსა და ჯანოს გაცეებისა და სიხარულისგან თვალეები გაუდიდდათ.

გიორგი ბალაშვილი  
გიორგარაგს მრავალი ჰერი

— ეს საიდანა და როგორაო! — მანც თვალებს თითოქს არ დაუჯერა ბადურმა.

— ეს, ჩემი სოფლის შემოგარენზე ბედათ დაბანაკებული პარტიიდან ჩემს მიერ დროებით მოპარული გეოლოგიაო. — მის ხმაზე მიუფო ბადურს ბედიამ.

ბედიას გატაცება იყო სასიხარულო მოულოდნელი შეხვედრების მოწყობა და ერთი ასეთი შეხვედრის ბედიამდ მისცემოდა ბადურის ჩამოსაყვანად თბილისში გამგზავრების წინ. ასეთი ორმხრივ სამეზღვრე ჩაფიქრებული მეგობართა შეფეთება თვითონ ბედიას არა ნაკლებს სიამოვნებდა. იმიდან კი, რომ დღეს მას მაინცდამაინც დაუთო გამოუტყვრა, ბედია სარგებელსაც გამოჩა. მის აზროვნებაში დაუთო, როგორც გეოლოგი, ნამდვილი მომთაბარე კაცი იყო, რომელიც თავისთავს თვითონ უვლის, მაშასადამე, დახელოვნებული უნდა ყოფილიყო კერძების კეთებაშიც. ამრიგად, მარტო ბადური იქნებოდა თუ მასთან ერთად სხვაც, ვისაც ბედია თბილისიდან დამშეულს ჩამოიყვანდა, დაუთოს იმედით საკადრის მასპინძლობას გაუწევდა.

დაუთს მართლაც ევარგნა. ქვაბიდან გაზაფხულის მწვანილითა და თეთრი ღვინით შეზავებული ბატკნის ხორცის მადისაღმძვრელი ოსშივარი სცემდა. ამასთანავე, მოლზე უკვე გაფენილი პატარა ფოჩებიანი სუფრა საესე იყო მშრალი საჭმელით, პირველი შენაყრების შემდეგ კი შამფურებად გასხებილ თხილის თეთრ წველებზე აიგებოდა მწვადები.

ღამით ბუნებაში ცეცხლთან ჯდომა ბადურს პირველად არ რგებია. ბადურის წყალობით იცოდა მისი გემო ბედიამაც. ხოლო დაუთისთვის ეს თითქმის ხვედრი იყო. ამას ყველაზე მეტად დანატრებული იყო სოფელში დაბადებული და გაზრდილი ჯანო. სანამ ჯანო სოფელში ცხოვრობდა, სოფელურ სიამოვნებას თაქილობდა, უკვე გაქალაქებუ-

ლი კი ამ აბუჩად აგდებულ ნეტარს სიზმარშილა განიცდიდა.

ღამე, კუნძული და კოცონი ჯანოსთვის ახდენილი სიზმარი იყო, და იგი, რასაც ირგვლივ ხედავდა, თუმცა მხოლოდ ბუნდოვნად არჩევდა, ბედნიერი შეპხაროდა.

დანარჩენებს ეგონათ, რომ ჯანო სიხარულისგან ატირდებოდა კიდევ.

ბედიამ მას მხარზე ხელი დაჰკრა.

— ასე ხშირად უნდა გამოვიჭრათ ხოლმე ბუნებაში. პოეტისთვის, მავალითად, აუცილებელიც არის წარბეცვი გარემო ლექსად აღქმის თვალსაზრისით მოინადიროს.

— პოეტად მე არავის ვუცნივარ. — გულისტკივილით ჩაილაპარაკა ჯანო, მაგრამ ბედია ფიცხად აუხიროდა.

— რომ არ გაქებენ, იმაზე წუხარ?

— როგორ ვითხრა... მე უფრო იმას ვჩივი, რომ იქნებ ლექსი არ არის ჩემი მოწოდება. იქნებ მე და ლექსი ერთმანეთს ტყვილად ვაწვალებთ. უფრო ზუსტად, ლექსი მე მაწვალებს და მეც ვედარ ვეშვები.

— გაწვალოს! შენი ჯგირიც დადგება. სჯობს ლექსთან ჭიდილში გაწამდე, ვიდრე იმის განცდაში, რომ ჯერ არ უცვნიხართ. როდისმე შენს უტყუარ ნიჭთან ერთად სიბეჯითე აღიარებას მოგიტანს. მე თუ მკითხავ, მე უკვე ახლა მომწონს შენი ზოგიერთი სტრიქონები.

— ბედიამ უცებ შუბლზე თითი მიიბჯინა და სხაპასხუპით წარმოთქვა რამდენიმე მოკლე ლექსი. შემდეგ კი ხელი მეორედაც შეახო ჯანოს მხარს. — შეიძლება აქ სადმე რითმა მოიკოტლებს, შეიძლება განწყობილება უფრო ბუნებრივი უნდა იყოს. სამაგიეროდ, ისეთები კია, რომ კაცს ახსომდება. პოეტის მთავარი გამარჯვებაც ის არის, თუ მის ლექსებს ერთი წაქითხვით იხსომებენ.

პოეტს ქება სწყურია და სიამოვნებს, ოღონდ მეხოტბისა ყოველთვის არ სჯერა. პოეტის ნიჭის ნამდვილი აღიარება მკითხველის მიერ მისი ლექსების თავის გუნებით დაზეპირება და

ეს ყოველგვარ მაღალფარდოვან შემკობაზე სანდოა. ასეთი მაღალი პატივი ზედა ნაკითხი და ჭკუასაკითხავი მასწავლებლისგან მოულოდნელად ჯანოსაც და მას ზეალმატებული ბედნიერებისგან უკვე ნამდვილი ცრემლები მოერია. სხვებმა მას საჩქაროდ ყურადღება აარიდეს, რომ ვული მეტად არ ასწვილებოდა. კერძოდ, ბედიამ ცეცხლის გაძლიერება, მისთვის კი ღვინის მირთმევა მოითხოვა. დავალებანი ბაადურმა და დაუთმა შეუსრულეს. თუ დაღევა იყო, ბედია ყოველგვარ ამინდში მხოლოდ ცივ ღვინოს სწყალობდა.

არაგვის ხეობაში ჯერ ისევ გვარია-ნად გრილობდა, თვით არაგვი კი ყინულივით ცივი მოდიოდა, მაგრამ დოქი მაინც მდინარეში იყო ჩაყიდული. დოქი დაუთმა მოიტანა და ქიქებიც მანვე შეავსო. პირველმა ქიქა ბედიამ აიღო.

— თამადა, რა თქმა უნდა, მე ვარ.

13

ცეცხლი ხან ლაღობდა, ხან ჭირვეულობდა, ზოგჯერ თითქმის სულსაც დაფედა, მაგრამ თითქოსდა ნავლიდა რომ რჩებოდა, მაშინაც ახალი აღძვრის ფართულ ძალას ინარჩუნებდა.

ოთხი ტყეური ახალგაზრდა კაცი კოცონის გარშემო გვიან ღამემდე იჯდა. ენამზეობდა კი უმეტესად ერთი, ბედია. დანარჩენნი მას სიამოვნებით უსმენდნენ. ხანდახან მარტო ბაადური ღიმილით გადაუტრავდა ხოლმე სიტყვას, რომ ბედიას ბაქიობაში არ შეეტოვნა.

ძილმა პირველი ჯანო წააქცია. ბედიას შექებით გაბრუებული ჯანო დიდხანს იყო ზეცაში და ნებიერ განსვენებას ფრენისგან დადლილი მიეცა. შემდეგ ძილმა სძლია ნამდვილი შრომით, ცეცხლთან ტრიალით და მზარეულობით დახვითქულ დაუთს.

ბედიას ყველასთვის ქვეშვასაგებად ჭილოფების თადარიგიც დაეჭირა, ხოლო ზემოდან დასახურად თვითეულს თავისი ლაბადა ჰქონდა.

ბედიამ ბოლო სადღეგრძელო ბუნების დიდებას მიუძღვნა და დოქს დასტამალი დაუტო. დალია ბაადურმაც და ორივე მუხლის გასაშლელად წამოდგა. საითაც არ უნდა წასულიყვნენ, ათიოდე ნაბიჯის შემდეგ მდინარესთან გავიდოდნენ, და მათაც ნაპირზე ჩამოჯდომა ეგუვნებათ.

— ხომ კარგია? — ბედია, რალა თქმა უნდა, თავის ამორჩეული კუნძულის ღირსებაზე ეკითხებოდა.

— კარგი ჩანს. ყოველშემთხვევაში, ხვალ უფრო ზუსტად გეტყვი, როცა დღის სინათლეზე დავინახავ.

— დღისით უფრო მოგეწონება. ნამდვილი სამოთხეა. აი, მთები რომ არ გვიშლიდნენ, თბილისის ციმციმსაც დავინახავდით. რა მაგის პასუხიდა, ახლახან კინაღამ მეც ისევ თბილისელი გავხდი. ვადაყვადით რომელიდაც საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ.

— პირველად მესმის! მერე?

— მერე და მერე. აღარ გადავყავართ.

— გადაყვანა განათლების სამინისტრომ მოიწადინა და თავიც თვითონვე შეიკავა?

— სამინისტრო ამბის წამოწყებისთანავე ისეთ უხერხულობაში აღმოჩნდა, რომ იძულებული გახდა ასე მოქცეულიყო. რაკი მე და შენ, ორნი, თითქმის ერთი ვართ, ეგრეთწოდებული გონჯი წერილი შენი ხათრით არც მე დამამადლეს და ყველაფერი იმან ჩაშალა. მე, თურმე, უმწიფარი პედაგოგი ვყოფილვარ და მოწაფეების პატივისცემა არა ცოდნით, არამედ მათთან ძმაბჭურ დამოკიდებულებით მომიპოვებია. აი, ხვალ მე აქ რამდენიმე ჩემი მოწაფე ხაბაკის წასადებად ჩამომეშველება და ალბათ იმასაც დამიწერენ, ბავშვებს ექსპლოატაციას უწევსო.

ბაადურს ბევრი არ ჰქონდა დაღეული, მაგრამ ღვინო მაინც ღვინოა და

ცოტა ბურუსი ეხვეოდა. ბედიას ნაამბობზე კი საღი აზროვნება უცებ დაუბრუნდა.

— შენ მართალს ამბობ თუ შენებურად ხუმრობ?

— არ ვხუმრობ. ოღონდ, გული მხოლოდ იმან დამწყვიტა, რომ ვიღაცას ეს სისაძაგლე ჩაუდენია. იმას კი, რომ აღარ გადავყავართ, არც ვნადვლობ. რომ ვთქვა, თბილისი უკვე გულიდან ამოვიგდე-მეთქი, ვინ დამიჯერებს! ან ასეთი მტყნარი სიცრუე რაში მჭირდება! მაგრამ ის ზომ ნამდვილია, რომ სოფელი ძალიან შემიყვარდა და თითქმის ვედარ მეთმობა.

— მე თავში ისევ გონჯი წერილი მიზის! უსახელო წერილი შენზე, კაცო? შენ მტერი გყოლია?

— ისევე, როგორც შენ, მეც ლაჩარი მტერი მყოლია. არც ღირს მისი ვინაობის დადგენაზე თავის მტერევა. შენიღბული ავისმდომლები სულმდალობით, ოინბაზობით თუ წინდაუხედაობით როდისმე თვითონვე გამჟღავნდებიან. ასეთი ფართული მტრები გულმოდგინედ ცდილობენ მიზანში ამოდებულ პიროვნებას სული გაუმწარონ, მაგრამ ამავე დროს იმისთვისაც სულსწრაფვით იღწვიან, რომ ვისაც ტკივილი მიაყენეს, მის წინაშე მაინც პირნათელი გამოჩნდნენ. და აი, ამ მეტისმეტი მცდელობისას თავისთავს შეუმჩნევლად თითოეით აშიშვლებენ. მაგრამ მე მაშინაც არ მინდა მათი ცნობა.

ბედიას და ბაადურსაც თავი ისე ეჭირათ, თითქოს ეჭვიც არავიზე ჰქონდათ. არადა ორივემ ისედაც დაბეჯითებით იცოდა, ვინც იყო უხილავი ლაჩარი მტერი, მაგრამ მისი სახელის წარმოთქმა ეზარებოდათ.

— ახლა ჩვენც დავიძინოთ. — წამოდგა ბედია.

— შენ წადი. მე უნდა ისე მოვახერხო, რომ არ დამეძინოს, მინდა კუნძული ახალი დაბადებიდან ანუ გათენებლდანვე აღვიქვა.

— მაცდური აზრია, მაგრამ მე ძილი მირჩევნია. შენ კი ჭილოფს მოვიტან.

— შენ მე არც მინდისხარ. — ლოფი მინდა. წამიტყუებს და ვედარ ვიფხიზლებ. მთავარი ის არის, რომ მაქვს სიგარეტი და ასანთი.

ბედიას სიბნელეში ხელების ცეცებით ჩაფერფლილი კოცონისაკენ წავიდა, ბაადური კი ნაპირზე მარტო დარჩა.

14

ფერმკრთალი დილის ათინათში კუნძული ნამდვილ სულში ჩასაკრავ წალკოტად წარმოისახა.

კუნძულის შუაგულში დიდრონი რცხილები და თელევი იდგა, მათ კი გარშემო ნაპირის გაყოლებაზე მოხშირებული კენკროვანი ბუჩქების ვალანი ერტყმოდა. იყო თხილიც და შეინდიც, კუნელიც, კვინჩხიც, ასკილიც, იყო თიმბჩამოშლილი ტირიფების წყებაც და ფერადი ყვავილებიც, იყო ჩუმად მყოფი ნავი ყურყურა წყაროც და თხილნარის ტევრში ჩამალული ლასტური ქოხიც. ხოლო მთელ ფართობს მოსდებოდა ხასხასა ბუნსარი, რომელიც ფეხის დასაბიჯებლად ადვილად არ გაიმეტებოდა. თითქმის ყოველ ხეზე კი რომელიმე ფრანველი ბუდობდა და მათი მრავალხმიანი ლაღი გალობა ლურჯად მოლივლივე არაგვის ჩუხჩუხს ერთვოდა.

ბაადურმა მთელი კუნძული უკვე საგულისგულოდ მოჩხრიკა, დანარჩენი მობანაკენი კი ისევ ტბილ ძილში იყვნენ. ბაადურს ღამე თვალი არ დაუხუჰავს და მოცოცხლება სჭირდებოდა. ადამიანის მოცოცხლება კი ცივ და კამკამა მდინარეზე უკეთ რას შეუძლია! ბაადური წყალში თავიდანვე გაწოლილი შეგორდა, რადგან თხელი, მაგრამ ხესწრაფი მდინარის ლიბი ლოდებით მოფენილი ფსკერი ფეხს ვერ იკიდებდა, და ასე ბრუნ-ბრუნვით გავიდა ხრიატ ნაპირზე. გავიდა ქვებზე დაჟეილი და სიცივისაგან აძაგძაგებული, რადგან წყალი ნამდვილი ყინული იყო. ბაადურმა ვერ მშრალ რიყზე გასახურებლად ირბინა, შემდეგ ფრიალოზე გამოჩრილი ჯაგები იშველა, იცოცა, იცოცა და მალე მალალ კბოდედან ფე-



ხები დაბლა ჩაკიდა. მიზანი იყო ის, რომ კუნძულს მანძილიდანაც დაჰკვირვებოდა.

შორიდან მრგვალი და ღიანჭველური კუნძული წყალში გრილად შესანახავად ჩადგმულ, მწვანელიერულით თავმოებულ ხახალს ჰგავდა და თითქოსდა ნანაობდა კიდევ მდინარის ზვირთებზე მოტივტივებული.

მისგან ორასიოდე მკლავის მოსმაზე კი, დინების ქვემოთ იყო რამდენიმე კიდევ უფრო ნამცეცა კუნძული — მთელი სასაცილო არქიპელაგი.

ბაადური უკვე მოცოცხლებულიც იყო, გახურებულცი და საერთოდ თავს შესანიშნავად გრძნობდა ჯანსაღი ბუნების ახალ გავლიძებაში. ადამიანს დიდი ვმირობა საქვეყნოდ აჩენს, მაგრამ თავისთვის სიამოვნებს პატარა ვმირობაც, რომელსაც ვერავინ დინახავს და გაიგებს. ასეთი ჩუმი ვმირობის ჩადენა მოეხასიათა ბაადურსაც, გორვით თუ ცურვით მისჩოჩებოდა სასაცილო არქიპელაგს, რომელიც თავისი მოკრძალებულობით იყო ანგარიშგასაწევი. იქიდან კი აპყვებოდა თავის კუნძულამდე, სადაც ცხადია, უკვე გავლიძებული დახვდებოდნენ მეგობრები. მანამდე კი მას ძალიან მოუხდებოდა სიგარეტის გაბოლება, მაგრამ ტრუსის ამარა კაცს თან არაფერი ჰქონდა.

— მოწიე, ძმობილო! — მოულოდნელად თითქოს გულისპასუხმა დაიძახა საიდანაც.

ხმაზე ბაადური ისე შეკრთა, როგორც ზღაპრის მსმენელ ბავშვს თბრობის უცაბედი შემზარავი შეტრიალება შეაძრწუნებს.

მისგან ათიოდე ნაბიჯზე მორღვეული ნაპირის ნაოჭში უცნაური კაცი იჯდა, ძალზე გრძელი და გვერდზე გადაღრეცილი თავით და უთანაზომოდ მოკლე, არა თუ გამხდარი, თითქმის გამხმარი ოკრობოკრო სხეულით. ბედი ალბათ მეტად ვერ დახვლანჯავდა ადამიანს. ადვილად ვერ გაიარკვევოდა, სად თქო თუ კიდური ეწყებოდა, ან კისერი რაზე ება, სახეც ცარიელი ძვალი და ტყა-

ვი და მეჩხერად დაღინდლული და. მის სიმახინჯეზე თვალი არ ჩერდებოდა, მაგრამ ბაადურმა მანძილ უცებ არ მოარიდა, რომ კაცს ზიზღი არ ეგრძნო და გული არ დაჰკოდვოდა.

— შენ რა იცი, რომ მე მოწევა ვინატრე?

— დილაბინდიდანვე ვხედავდი აი იმ კუნძულზე, რომ ვილაც გამუდმებით ეწეოდა. მერე კი, გათენებასთან ერთად შენც გათენდი და გაგარჩიე. მაგარი მწეველი ყოფილხარ. მდინარეში ბანაობის შემდეგ კი, არა თუ მაგარ მწეველს, აი, ხილად რომ ეწევა ისეთ კაცსაც უცებ მოენატრება ხოლმე თამბაქო, როგორც ხედავ, დიდი გულთმისნობა არ გამომიჩენია.

მახინჯმა კაცმა მთელ სიგარტზე ჩახსნილი ფარფარა ხალათის ვეება ჩიბიდან, რომელშიც რაღაც-რაღაცეები უწკარუნებდა, იაფფასიანი სიგარეტის ახალგახსნილი კოლოფი ამოიღო და ისე მარჯვდ ისროლა ბაადურისკენ, რომ პირდაპირ ხელზეში მიუვიდა. ასევე ზუსტად ესროლა უცნობმა ასანთიც და ბაადურმა ის უკვე კმაყოფილებით შეათვალიერა.

ძნელად გასარკვევი იყო უცნობის ასაკიც. შეიძლება მისცემოდა ორმოცდაათი, შეიძლება კი სამოცი წელიც. იგი ანკესით თევზაობდა, მაგრამ ჩქარი დინებით შორს გათრეულ ტივტივას სხვა მეთევზეებით თვალმოუცილებლად არ დასჩერებოდა. უფრო სივრცეს გასცქეროდა და ახლადგავლიძებულ ბუნებას ესიყვარულებოდა. ბაადურს ესეც მოეწონა.

— კარგი მიზანი გცოდნია. — შეაქო მან უცნობი, როცა სიგარტიც და ასანთიც თავისი ხელით მიუტანა.

უცნობს სახეზე მწარე ღიმილი გაუკრთა.

— ყოვლად დაფეხვილს თვალი მართლაც მივარგა. შენც იმიტომ საიდანაც მეცნობი.

**გიორგი გელაშვილი**  
გვიზარავს მრავალი ზერი

— ვითომც?

— მე, მგონი, თვითონ შენ ალბათ არ დაგინახივარ, თორემ ჩემისთანა თარგის კაცი დაგახსომდებოდა. სამაგიეროდ, ვიგონებ, რომ დამინახივხარ მე.

— საღ? როდის?

— ჯერ მეც ვერა ვარ გაგებაში. მაგრამ ჩვენ, შეიძლება, როდისმე კიდევ შევხვდეთ ამავე მიდამოზე, რადგან გეტყობა აქაურობა შენც მოგეწონა. მე კი, დიდიხანია ამ არემარის მკვიდრი ვარ. მამსადამე, როცა არ უნდა გამოჩნდეს, მე აქ დაგხვდები. ხოლო თუ საიდან მეცნობი, უკვე გახსენებული მექნება.

— კეთილი. შემდეგ ჩამოსვლაზე მე საგულისგულოდ მოგნახავ.

— ბევრი ძებნა არ დაგვირდება. მე ყოველ დღით ამ ჩაკეცილ ნაპირზე მიწისფერთან საუჩინროდ შეხამებული ვიზიარ ხოლმე, რომ ვარეშე ადამიანს ჩემი დანახვით გული არ აერიოს.

— თევზაობის თვალსაზრისით კი, მგონი, მთლად ხელსაყრელი ადგილი ვერ ავარჩევია. — უცნობის გულსაყლაკმა აღიარებამ საუბარი შეაცვლევიანა ბაადურს.

— ეგ არაფერი. — მსუბუქად ამოიხზრა უცნობმა. — ერთადერთ თევზს აქ კი არა გუბეშიც დაეიქერ. მე ერთი თევზი მყოფნის. ამიტომ ერთზე მეტს არც ვიჭერ ხოლმე. ესლა კი, ბედნიერ ცურვას გისურვებ! გახედე, უკვე მეგობრები გიხმობენ.

კუნძულის ნაპირზე მართლაც იდგნენ და მას ხელეზს უქნევდნენ ბედია, ჯანო. და დაუთი და ბაადურმა არქიბელაგის დალაშქვრა გადაიფიქრა.

უცნაურ კაცთან შეხვედრის შესახებ, რომელიც შორიდან მართლაც უჩინარი იყო, ბაადურმა მეგობრებს არაფერი უამბო. ისე კი, სამივე ატყობდა, რომ მას რაღაც ფიქრი დაეუფლა და აღელვებდა. თუმცა ისინი გრძნობდნენ იმასაც რომ ეს წუხილი არ იყო, ამიტომაც არ ეძიებოდნენ. ბაადური კი უც-

ნობთან შეხვედრას საიდუმლოდ იმეტომ ინახავდა, რომ ჯერ თვითონვე ბურუსში იყო.

რაც შეეხება სასაცილო არქიბელაგს, იგი ოთხივემ ერთად დალაშქრა და ისევე მოიწონა, როგორც მთავარი კუნძული. შემდეგ ყველა ბანაკში დაბრუნდა და დღე ხალისიან საუბრებსა და გართობაში შეუშინველად გაიწურა. ბედია ამავობდა, რომ კუნძულმა სტუმრები მოხიზლა და ამიერიდან ალბათ ხშირად ეწვეოდნენ. ბედიას დანიშნულ დროს სოფლიდან მართლაც ჩამოუვიდა რამდენიმე მოწაფე ბიჭი და ყველამ ერთად ისე მოწმინდა ნაბანაკარი, რომ ხიწვაც არსად დარჩა.

შემდეგ ყველამ ხევ-ხევ აღმა იარა, სანამ გზატკეცილს მარჯვედ მიუდგებოდნენ. გზატკეცილზე კი ჯგუფი ორად გაიყო. დაუთი და ბედია მოწაფეებით გზას სოფლისკენ გაუყვენენ, ხოლო ბაადური და ჯანო მცხეთის რკინიგზის სადგურისკენ გაეშურნენ.

კუნძულზე გატარებული დრო ყველას სასიამოვნო მოგონებად წაპყვა, მაგრამ მიინც განსაკუთრებით ჯანოს, რომელიც განებივრებული არ იყო ასეთი არიფანებით.

ორშაბათს ის სამსახურში ერთ-ერთი პირველი და გაბადრული გამოცხადდა და ვინც კი მას სალამი მისცა, მან პასუხად ყველას ბედნიერ შაბათ-კვირაზე უამბო. ჯანო ბაადურთანაც ჩვეულებრივ გასუსული აღარ იქნა და მალე მალე გასული ორი დღის რომელიმე წვრილმანს ახსენებდა აღტაცებით.

ნაშუადღევს მათი ოთახის კარი ელდარმა შეაღო.

— მობრძანდი. — შეიპატიე ის ბაადურმა, მაგრამ ელდარი არ შევიდა.

— ხელს არ შეგიშლით. მერე შემოვალ.

— თუ კიდევ შემოიხედავს, შენ ცოტა ხანს გადი. — უთხრა ბაადურმა ჯანოს, როცა ელდარმა კარი გაიხურა. — ალბათ ჩემთან ცალკე ლაპარაკი უნდა. ელდარმა სამსახურიდან განთავისუფლებაზე განცხადება არ დაწერა. სამა-

გიეროდ, თავის ნაპუტში ჩაიკეტა. თავი უსამართლოდ შერისხული კაცის მედი-  
დურობით დაიჭირა. ამით ფიჭრობდა  
თანამგარძნობი ყურადღების გამოძალ-  
ვას და ღირსების მოპოვებას. მის მცდე-  
დულობას კი არავინ ამჩნევდა და კაცი  
ბოლმას გულში იკლავდა. ბოლოს ნე-  
ბისყოფამ უმტყუნა. დასაწყლდა. თანამ-  
შრომელთა ყურადღება მაინც ვერ მი-  
იქცია. კაცს თუ ვინმე თანამგარძნობას  
გაუწევს, მისი მადლიერება მართებს.  
თვითონ რომ მოსთხოვოს კი, უფლება  
არ აქვს. თუ რომელიმე წრეში კაცს გა-  
მუდმებით ექიშებებიან, თუნდაც ქირდა-  
ვენ, ეს მას საბრძოლოდ განაწყობს  
და ფხიზლად ამყოფებს. ამიტომ არც  
დაძაბუნდება. ცხვარს როცა მგელი  
აღარ ერჩის, ყურადღება უღღუნდება,  
ხოლო ასე განებიერებულს, თურმე,  
ხორცის ხარისხიც უქვეითდება და მა-  
ტყლისაც, ელდარს არავინ აწუხებდა.  
მაგრამ ამით ის განცხრომაში არ იყო.  
როცა კაცს საერთოდ აღარ ამჩნევენ  
და არა თუ მისდამი კეთილგანწყობა,  
ისიც კი სანატრელი უნდება, რომ ვი-  
ნმემ გააკენწლოს, ეს უკვე აუტანელია.  
მისდამი ასეთი სრული განურჩევლო-  
ბის გარემოში ელდარს სული ეხუთე-  
ბოდა.

ელდარი სამსახურის საათების დამ-  
თავრების შემდეგდა შევიდა ბაადუ-  
რთან, როცა მისი კაბინეტიდან სქელ  
საქადაღდეებიანი უკანასკნელი თანამ-  
შრომელი გავიდა და უკვე წასული იყო  
ჯანოც.

ბაადურმა მაგიდაზე გაშლილი ნაბეჭ-  
დი ფურცლები დინჯად დახარისხა, თან  
სივარეტს მოუყიდა. დაღვრემილი ელ-  
დარი კი მას საწერი მაგიდის გვერდ-  
იდან მიუჯდა.

— უკვე სრული ოთხი თვეა ერთად  
ვმუშაობთ. — თვალი ფანჯარას მიაჩე-  
რა მან. გამომცემლობა შენობის ბოლო,  
მეოთხე სართულზე იყო, წინ არაფერი  
ეფარებოდა და ფანჯრიდან უმეტესად  
შორეული, მთების კალთებზე შეფენა-  
ლი პატარა სახლები მოჩანდა.

ბაადურმა დასახელებული დრო გო-

ნებაში შეამოწმა და გაკვირვებულმა  
დაუდასტურა.

— მართლაც ოთხი თვე გასულა. მე  
ახალმა სამუშაომ ისე გამიტაცა, რომ  
არც კი შემომჩნევია რა ძალი დრო გაფ-  
რენილა.

— ნამდვილად ძალიან გაგიტაცა. ისე  
ძალიან, რომ მე ამ ოთხი თვის მანძი-  
ლზე ერთხელაც არ მოგვინებია. არ  
დაგიძახნივარ.

— არ დამიძახნიხარ, მართალია. მაგ-  
რამ ჩემთან ყველა დამახებით არც შე-  
მოდის.

— მე რიგითი თანამშრომელი ვარ.  
ამავე დროს, შენი ასე თუ ისე ახლო-  
ბელი. ამიტომ დაუძახებელიც შემოსვლა  
ზოგ-ზოგს სალაპარაკოს მისცემდა.

— მე კი შენ შეგნებულად არ ვიძახე-  
ბდი, რომ, სწორედ ასე თუ ისე ახლობ-  
ლისგან, ჩემგან, შენს მიმართ სამსახუ-  
რებრივი უფლების გამოყენება არ გე-  
თაკილნა.

— სამსახურში შინაურის და გარეუ-  
ლის გარჩევა არ უნდა იყოს!

— არ უნდა იყოს, თუ საქმეს ვნებს.  
მაგრამ მე შენი გამოუძახებლობით სა-  
ქმე არ ჩამომრჩენია. დავალებებს ვაძ-  
ლევედი და შესრულებას ვთხოვდი შენი  
განყოფილების გამგეს, რომელიც თა-  
ვის მხრივ, გავალებდა და შესრულებას  
გთხოვდა შენ.

— მაგრამ, დამეთანხმე, რომ თუ არა  
ჩვენს შორის მომხდარი გაუგებრობა,  
შენ მე დროდადრო მაინც დამიძახებ-  
დი.

— რა თქმა უნდა! ოღონდ, დამეთანხ-  
მე შენც, რომ თვითონვე დაუძახებლა-  
დაც შემოხვიდოდი ხოლმე ჩემთან,  
პირშერცხვენილი თუ არ იქნებოდი.

— გეთანხმები. ასე პირდაპირ ლაპარა-  
კიც მომწონს. ნამდვილად პირშერცხვე-  
ნილი ვარ შენთან. რაც გიმტრე კი, უკ-  
ვე იცი, რატომაც. ყუყუნას გამო.

— ხოლო შემდეგ, ჩემი მტრობით

---

გიორგი გელაშვილი  
გიორგარას მრავალი მირი

გონჯი წერილი გამოაცხე ბელიაზეც,  
როგორც დამპირდი.

— უკვე გცოდნია! დაგპირდი და  
ავასრულე. მერე კი, ორივე წერილზე  
ვინანე.

— სინდისს იწმენდ?

— გული მინდა მოგიგო, რომ თხოვ-  
ნა შემისრულო. რაც ჩვენს შორის მო-  
ხდა, ყუყუნამ არ გაიგოს.

— ვინძლო მე ლაყბობას ვაპირებ?

— ლაყბობა შენ არ გიყვარს. მაგრამ  
რას იზამ! შიშს დიდი თვალეზი აქვს.  
სიფრთხილესაც თავი არ სტკივია. რომე-  
ლი ერთი გითხრა! მე მინდა თავი და-  
ვიმედლო, რომ იგივე ჩემი უგუნურობის  
გამო სირცხვილის წგნევა ყუყუნასთან-  
ნაც არ მომეღის. ყუყუნამ რომ ჩემი  
უსახელო წერილებს ამბავი გაიგოს,  
იქნებ შემიძლოს. ამიტომ თუ ანგა-  
რის აღარ გამიწევ მე, ყუყუნას მაინც  
გაუფრთხილდი, რომ ოჯახის ხელმოე-  
რედ დანგრევამდე არ მივიდეს და სა-  
ბოლოოდ არ გაუბედურდეს.

— ერთმანეთს თვითონ თქვენ მოუ-  
ფრთხილდით! საერთოდაც, ერთერთ-  
მოფრთხილება ადამიანების კეთილშო-  
ბილური ვალია.

— ალბათ. ოღონდ, შენ ეგ მცნება,  
ცხადია, განაზოვადე იმის შესახსენებ-  
ლად, რომ პირადად მე შენ არა თუ არ  
მოგიფრთხილდი, პირიქით, გიმტრე,  
ალბათ ცოდვამაც მიწია.

— რა მოგივიდა?

— რაღა არა! — ღრმად ამოიოხრა  
ელდარმა. — ერთ კვირაში მამაც დავა-  
საფლავე და დედაც.

ბაადურს მოულოდნელობისგან პირში  
ენა ველარ მოუტრიალდა.

— ეგ რა მოგვცლია, — ხმადაბლა  
თქვა მან ბოლოს, — სინდისს გეციცი-  
ბი, არ გამიფია.

— ვიცი, რომ არ გაგიფია. შენ იმ ხა-  
ნებში მივლინებაში იყავი თვითონაც  
ჩემ მწუხარებაზე ქვეყანა არ შემეყრია.  
ბოლოსდაბოლოს, უჩვეულო არაფერი  
მოხდა. აღსრულდა ბუნების კანონი.

ელდარის უკანასკნელ სიტყვებზე ბა-  
ადურს ცივად გააყრყოლა.

— ეგ რა წამობოდე!

— მაშ იმათზე აღრე მე ხომ არ უნ-  
და მოგმკვდარიყავი? თუმცა, აი, ყუყუ-  
ნამ რომ მე და შენი შუღლის მიზეზი  
გაიგოს, მაშინ შეიძლება თავი მოვიყ-  
ლა.

ელდარს არ უნდა ჰპატიებოდა გარ-  
დაცვლილი დედ-მამის უდიერად ხსე-  
ნება, რაც ყველა მშობლის შეურაცხ-  
ყოფასავით გაისმა. ბაადურმაც ამიტომ  
მკვახედ მოუჭრა.

— არ მოიკლავ. ვინც თავს იკლავს,  
ის ამის შესახებ წინასწარ არავის აფრ-  
თხილებს.

ისინი ისევე დაუზავებელი დაშორდ-  
ნენ.

16

სახლში კი ბაადურს ყუყუნა დახვ-  
და მეუღლის კვალად მასაც ბაადურ-  
თან გასარკვევი გარემოება შეჰქმნო-  
და.

უფრო აღრე სახლში მისულიყო ქე-  
თევანი. როდენის ქუჩაზე ბოლო შეხ-  
ვედრისას, როდესაც ადევლებული ქე-  
თევანი და ბაადური თებროსა და ციუ-  
რისგან წუთით განცალკევდნენ, ბაადუ-  
რმა ქეთევანს მისი მხურვალე სიტყვე-  
ბის პასუხად კაბის ჯიბეში თავისი ბი-  
ნის გასაღები ჩაუვდო, რაც იმას ნიშ-  
ნავდა, რომ ბაადურის სახლი უკვე მა-  
საც ეკუთვნოდა. ქეთევანს როცა მო-  
ცალეობა ჰქონდა და ბაადურის სახლს  
აჩქროლებული აღებდა, ბაადური ხან  
ხვდებოდა, ხან არა. მთავარი ის იყო,  
რომ მას აღარ აფიქრებდა, რა პასუხი  
უნდა გაცეა თავისი ვინაობის შესახებ  
იმათთვის, ვინც ბაადურს ბაადურის არ  
ყოფნის დროს მოიკითხავდა. აი, მას და  
ყუყუნას კი, ეტყობოდა, შეხვედრა ლა-  
ლი ვერ გამოვლოდათ.

ყუყუნა უგუნებო ჩანდა. თან დედა-  
და. ქეთევანს ის დაბნეული ემუსაიფე-  
ბოდა და მასთან ერთად ბაადურის მო-  
ლოდინში დროს წვალეებით კლავდა. ქე-  
თევანი და ყუყუნა უცხოებებით შო-  
რიშორ ისხდნენ. ორივემ შვება მხო-  
ლოდ ბაადურის გამოჩენაზე იგრძნო.

მაგრამ სანამ ბაადური ლაბადას იხდიდა და ჰკიდებდა, ყუყუნამ უბოდიშოდ ანიშნა ქეთევანს, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა თუ იგი ბაადურთან მის საუბარს არ დაესწრებოდა.

ქეთევანი უჩუმრად შესაბანდში გავიდა.

ბაადურმა პირველადვე შეამჩნია, რომ ქეთევანი ნაწყენივით იყო, მაგრამ სტუმართან არაფერი ჰკითხა. ბაადურმა არ გამოხატა სიხარულიც, რასაც ყუყუნასთან შეხვედრა, ჰვერიდა ხოლმე. არა მარტო იმიტომ, რომ მიხვდა მასთან სასიამოვნო საუბარი არ მოელოდა. უფრო იმიტომ, რომ ელდარის გულისამრევი ეჭვების გამო მათზე, მას ყუყუნასთვის ძველინდელი სიტბოს გამჟღავნების სურვილი გაუქრა.

ყუყუნას ბაადურის გულცივიობა არ გამოეპარა და ამრეზილი წამოიდა.

— დადლილი ხარ და ჩემთან ლაპარაკის თავი არ გაქვს?

— არა. რატომ?

— შენ თუ გინდა სადღილი მოითხოვე. თან შეეჭვი და კიდევ ვილაპარაკოთ.

— სადღის ქეთევანი მოგვიტანს და სამივე ერთად შევჭვკეთ.

— გმადლობთ, მე ნასადილევი ვარ.

— შიმშილისგან არც მე ვიქცევი.

— მაშ, ქეთევანმა და შენ ჩემი წასვლის შემდეგ ისადილეთ და იღუღუნეთ. მანამდე კი, ალბათ შეიძლება დავჯდეთ.

— ეს რა ქარაგმული სიტყვებია?

— რა ვიცი! თითქოსდა გეწყინა შენს სახლში ჩემი დახვედრა. საერთოდ. დანახვა.

— აბა, რას ამბობ!

— რა ვიცი! დარდიან ადამიანს ყველა სხვა უდარდელი უნდა ეჩვენებოდეს. მე კი, თვითონ მოწყენილს, მაინც შენი უხალისობა მეცა თვალში.

— მეც ალბათ შენმა მოწყენილობამ დაიპოვნა.

— იცი, მე რა მაწუხებს? — იკითხა ყუყუნამ, როცა ისევ თავისი ადგილი დაიკავა, ხოლო ბაადური ქეთევანის სკამზე დაჯდა.

ბაადურმა თავი გააქნია.

— არ ვიცი.

— ელდარის ბოლოდროინდელი საშინელი ამღვრეულობა მაფიქრებს. მაპატიე თუ მოვლენები ასე დავამთხვიე, მაგრამ ელდარი იქიდან არის გუნება-წყამხდარი, რაც შენ გამომცემლობაში მუშაობა დაიწყე. რაც ხანი ერთად მუშაობთ. ამიტომ, იქნებ შენ იცი, რა დაემართა.

— თვითონ არ უთქვამს?

— არაფერი! თუ თქმა იქნებოდა კი, რას მეტყობა?

— მაგალითად, იმას, რომ მე ვაწყენინე. მე მალალი თანამდებობა შევიფერე და მას ზემოდან გადმოვხედე. იყო შემთხვევა, რომ უმიზეზოდაც შევახურე.

— ნუთუ, მართლა?

— მართლა.

— მერედა, შენ რომ გორიზი კაცი არ იყავი! როგორ მოგივიდა?

— მომივიდა. თანამდებობა ზოგს აგვიქვს.

— დასანანი. მე უფრო მალალი წარმოდგენა მქონდა შენზე.

— მეც — ჩემზე.

— თურმე კი, ორივე შევმცდარვართ?

— ორივე სასტიკად შევმცდარვართ.

— სიმართლე გითხრა, მეწყინა შენა ამბავი. მაგრამ შენთან საუბრით, შენი გულახდილობით, საბოლოო ჯამში კი საქმის არსის გაგებით, ემაყოფილი ვარ. ელდარი მტყუანი არაფერში ყოფილა და მხოლოდ სხვისი უდიერობის გამო იტანჯება! იტანჯება, მაგრამ მე მაინც ბედნიერი ვარ, რომ თვითონ ჩემი ქმარი სხვას ორმოს არ უთხრის! წავალ კიდევ, რაკი გული დავიშოშმინე.

— თუ გინდა გაგაცილებ?

— თუ მინდა? ასეთ შემთხვევაში ქალს სურვილს კი არ ეკითხებიან, ნებას გამოსთხოვენ.

გიორგი ველაშვილი  
გვიზარას მრავალი ზერი

— შენს მოსაზრებას კანონად ვერ დავიდებ. ნების მოპოვებასთან სურვილის გაგებას თავისი უპირატესობა აქვს. ქალის ნებართვით მისი გაცილება შეიძლება მოწყობება იყოს. სურვილით კი — სიამოვნება.

— ნუ გამაცილებ. დარჩი. მოგეხსენება, შორს არ ვცხოვრობ. თბილ სიტყვას ჩემთვის გარეთაც არ გაიმეტებ. კიდევ რომ ინებო, მოკლე გზაზე ვერ მოასწრებ, შენი დიდი წინდახედულობა, დაკვირვებულობა, სიფრთხილე რომ ვიცი! თანაც, შენ გშოა. თანაც, ქეთევანს ალბათ ერთი სული აქვს, ხანამ დავიმარტოვებს, რომ თვალეზში შემოგვციცინოს. შენც, ვგრძნობ, ქეთევანის ლაციცს უფრო ეშურები, ვიდრე ჩემს გაცილებას. მაგრამ ქეთევანზე დიდხინით აღრე ხომ მე გიყვარდი!

— მთლად ეგრე არ არის. მე შენზე შეყვარებული არ ვყოფილვარ. ისე კი, მომწონდი. მაგრამ შენ მოსწონდი მთელ სკოლასაც. მათ შორის ბევრს უყვარდა.

— შენ კი ნამდვილად არ გიყვარდი?

— მე მგონი, რომ არა.

— მაგრამ თავმჯდომარე რომ მაინც ჩემზე ეჭვიანობს?

თითქმის დავიწყებას მიეცა როდის იყო ქეთევანი თავმჯდომარე, იმდენი ხანი გავიდა მას შემდეგ. ჟუჟუნა კი, რომელსაც რატომღაც მოსწონდა ქეთევანის გაკენწლვა, დროდადრო ცხოვრების სათაკილო ფურცელივით გადაუშლიდა ხოლმე მას ზურგთუკან კოლმეურნეობის თავმჯდომარეობას. ჟუჟუნა წინათ ასეთი გესლიანი არ ყოფილა, ახლა კი ეს ალბათ ქმრის გავლენა იყო, თუმცა იგრძნობოდა, რომ ელდარს ის თვალეზში არ შეჭყურებდა.

ახლა ჟუჟუნას გაცილება თვითონ რომ ეთხოვა, ბაადურს მამაკაცის მოვალეობითა თუ გაპყვებოდა. საბედნიეროდ, ჟუჟუნა არ აუხიარდა. ჟუჟუნამ უცებ უცნაურად მოიხალისა და წასვლის წინ ქეთევანი მხურვალედ ჩაკოცნა.

მეტად მიაპიტინი იქნებოდნენ ბაადური და ქეთევანი თუ ვერ მიხვდებოდნენ, რომ ჟუჟუნას მომხიარულება სტუმრობის ბოლო წუთის ნაძალადევი და მოჩვენებითი იყო.

— აწყენიე? — ბაადურს დაკვირვებით შეხედა ქეთევანმა, როცა მარტო დარჩნენ.

— პირიქით, გავახარე. შემომჩვილა, ელდარი ბოლო დროს სულ ამღვრეულიაო. მეც ავიღე და ვუთხარი, ეგ ჩემი ბრალია-მეთქი.

— შენ ელდარს მართლა რამე დაუშავე?

— ბეწვისოდენაც არაფერი. ტყვილი მოვიგონე. არ შემეძლო ქალისთვის მისი ქმრის სისაძაგლე დამენახებინა.

— იქნებ კარგიც გიქნია. თუმცა, გული მწყდება, რომ თავი გავილანძლავა.

— თავი მიწასთან არ გამისწორებია. სამსახურში გავყოყოჩიდი და შენს ქმართანაც თავი მაღლა მიჭირავს-მეთქი. ელდარიც ამას განიცდის-მეთქი.

— მისმინე და, ეგ პატარა თვითბრალდებაა?

— ყოველშემთხვევაში, მაინც მხოლოდ თვითბრალდებაა.

— ჟუჟუნამ კი დაიჯერა?

— ყოველშემთხვევაში, ჩემს სიტყვებს ხელად ჩაუჭიდა. მეც კმაყოფილი ვარ, რომ მან ტყუილი მართლად მიიღო. სინამდვილე რომ გავეგო, ვაი თუ ქმარს ისევე გაქცეოდა. მეორედ გაქცევა კი იქნებ საბოლოო გაქცევა გამოსულიყო.

— ჰო, სწორედ მოქცეულხარ. თანაც, რაც ელდარმა ჩაიდინა, იქნებ მხოლოდ უგნურობით მოუვიდა.

— იქნებ ვარაუდში ყველაფრის დაშვება შეიძლება. ისე კი, უგნურობა მან მეორედაც მოახერხა. ანუ, ის, რაც გამოიქვითა მე, გაუკეთა ბედისაც.

— როგორ ბაადურ?

— აი ასე, ჩემო კარგო. ბედისას თბილისში დაწინაურებით გადმოყვანას უპირებდნენ, ელდარის უსახელო წერილმა კი ყველაფერი ჩაშალა. მაგრამ მთელი ეს ამბავი საკაცობრიო მნიშვნე-

ლობის მოვლენა არ არის. მოვლენა ის უფროა, რომ ბედიამ კუნძული აღმოაჩინა.

— რა კუნძული, ბაბლურ?

— ნამდვილ აღმოჩენაზე არ ვლაპარაკობ. ბედიამ არაგვის კალაპოტში თვალი დაადგა ერთ ნამცეცა და ლამაზ კუნძულს. ბედიამ ის კუნძული მეგობრებს მოგვასაკუთრა, რომ შაბათ საღამოდან კვირა საღამომდე იქ ჩვენ გუნებაზე დავისვენოთ ხოლმე. პირველი სიამოვნება კუნძულზე უკვე კიდევ მივიღეთ გუშინწინ და გუშინ მე, დაუთმა, ჯანომ და თავათ ბედიამ.

— ყოჩაღ, თქვენ! ეგ რა კარგი რაღაც მოგიფიქრებიათ!

— საქმე რომ იყო, შემდეგისთვის შენც ხომ არ შეგვიამხანაგდები?

— შენ გინდა ეგრე? შენ ხომ იცი, შენ ერთი კი ხელი დამიქნე და ყველგან ფრენით წამოგყვები. თებროც წამოვიყვანო?

— თებრომ თან ფანდურიც იქონიოს. გინდა, თებრო და დაუთმა ერთმანეთს გაუფრთხოთ?

— მე და შენ მაჭანკლებად ვერ გამოვდგებით. ვნახოთა, იქნებ თვითონ მოეწონოთ ერთმანეთი. მართლა წაგვიყვანო?

— ბავშვივით არ მეკითხები? მადლობელიც ვიქნებით თუ წამოხვალთ. როგორც ცნობილია, ქალები ყველა საზოგადოებას ამშვენებენ.

— ახლა შენ რომ მშიერი ხარ, მე კი ვერაფერი დაგახვედრე? ყუყუნასთან უხერხული იყო მე ჩამქურტული მექლარუნებინა, ის კი მარტო მჭდარიყო.

— სამაგიეროდ, მე ჩვეულებით ძეხვი მოვიყოლიე და ორივე ამაზე გადავიღეთ.

— ძეხვი მეც ძალიან მიყვარს. ხომ იცი, სოფლელებს საერთოდ ქალაქური ნამზადი გვიყვარს.

— აღარ უნდა შეეშვა, ქეთევან, შენს სოფლელობას?

— სოფლელობა საძრახისია, ბაბლურ?

— მე იმ აზრით არ მითქვამს, გორც შენ გაიგე.

— ვიცი, ვიცი. შენ იმას გულისხმობ, რომ მე უკვე ქალაქელი ქალის შთაბეჭდილებას ვახდენ თითქოსდა.

— თითქოსდა კი არა, ნამდვილად.

— გამოდის, რომ სოფელში მაინც გეხამეშება. ისევე სოფელს რომ ვგავდე, ახლოსაც არ გამიკარებ.

— შენ მე გაგიცანი სოფელში, სადაც ნამდვილი სოფლის მოქალაქე იყავი. უკვე იქიდან კი ჩემი მეგონე. მაშასადამე, მთავარი ის არ ყოფილა მიიღებდი თუ არა შენ ქალაქურ იერს.

— აი, ახლა კი უკვე ნამდვილად შენი ვარ? რა თქმა უნდა, შენი ვარ! ეს იმ შემთხვევაში, თუ შენ შენი გადაწყვეტილება მართლა გწამს. მაგრამ მერე რომ ინანო? ვაი თუ მერეღა მიბოვო საზოგადოებისთვის საჩოთირო ხარვეზები, დაუხვეწავი გემოვნება! მაშინ რაღა წყალში ჩავვარდე? იქნებ აჯობოს, რომ სანამ გვიან არ არის, ავდგეთ და გაქვრეთ ერთმანეთის ცხოვრებიდან? შენ ჩემთვის მაინც მუდამ ხატი დარჩები.

— ქეთევან, ხატი მე უფრო ქალი წარმომიდგენია და ხატი შენა ხარ ჩემი. სულთ სოფლისა ხარ და ქალაქში სამუდამოდ ვერ დარჩები? როგორც გულმა გიკარნახოს, ისე გადასკერო დედაც უნივერსიტეტს დაამთავრებ. თუ სოფელი გადაგწონის, მეც ქალაქს შეველევი. კაბის კალთაზე, რა თქმა უნდა, ვერ გამოგებმევი, მაგრამ შენთან ერთად სოფელშიც ბედნიერი ვიქნები.

მაგიდაზე უკვე ეწყო ძეხვიც, პურიც, ყველიც, იყო ჩირი და მურაბაც, მაგრამ არც ერთს პირი არაფრისთვის დაუკარებია.

უცებ, თითქოს ცამ დაიგრვინა და იმან შეაკრთო, ქეთევანი უცნაურად აფორიაქდა და საკიდარზე ლაბადასა და ჩანთას მისწვდა.

**გიორგი ვალაშვილი**

გვიშარავს მრავალი მერი

— უნდა წავიდე, ბაადურ, შენი ჰირი-  
მე!

— ვხედავ, რომ მირბიხარ, მაგრამ  
ვერ მივხვედრივარ, რა მოხდა!

— იმიტომ მივრბივარ, რომ თუ თავს  
არ ვაჯობე, იქნებ ამალამვე შენთან და-  
ვრჩე... ასე კი არ ივარჯებს... აი, იმ  
კუნძულზე თუ ტყეში, გინდაც წყალში  
თუ ცეცხლში კი, არ დაგავიწყდე და  
წამიყვანე.

ბაადურმა ქეთევანს ლაბადის ჩაცმა  
უშველა, დააპირა მოხვევოდა კიდეც,  
მაგრამ ქეთევანი ხელიდან შეშინებუ-  
ლი გაუსხლტა.

### 18

ქალიშვილების მიწვევა კუნძულზე  
ვაქებმა ბაადურს ბედნიერ აზრად ჩაუ-  
თვალეს.

კუნძული ხელახლა მომდევნოვე შა-  
ბათ საღამოს ახმაურდა და გვიან ღამე-  
მდე არ შეწყვეტილა საერთო ფუსფუსი  
და ჟრიაპული. იგივე ოთხი ვაჟი ორი  
ქალიშვილის პატივისცემაში ერთმან-  
ეთს ეცილებოდა. ქეთევანი ამის გამო-  
მორცხვობდა და ცდილობდა ვაჟებს  
ოვითონ მომსახურებოდა. სამაგიეროდ,  
პატივისცემა ღირსებით შეიფერა თებ-  
რომ. თებრო ამავ დროს განუწყვეტ-  
ლივ ევაჟებოდა ბედიას, შიგადაშიგ  
კი დასცინოდა მოუხერხებელ ჯანოს.  
ბედიასა და თებროს ენაწყლანობაში  
შეჯიბრი და ერთუთ პირში შებმა ჯერ  
კიდევ იდუმალიდან მოსდევდა ჩვეუ-  
ლებად და მათი სიტყვაპოსწრებულ  
დავა სახალისო მოსასმენი იყო.

თებრომ ენა გაუხსნა უენო ჯანოსაც  
და რაც კი მას საკუთარი ლექსი ახსო-  
ვდა, ყველა ზებირად ათქმევინა. ერთი  
მათგანი კი დაიხსომა თებრომაც და მა-  
შინვე თავის განუყრელ ხატულა ფან-  
დურზე დაამღერა, რაც აღიარებას მო-  
წყურებულმა პოეტმა უდიდეს პატივად  
მიიღო.

ბოლოს თებრომ მოულოდნელად  
მთელი ყურადღება დაუთოვ გადაიტა-  
ნა.

დაბანაკებიდან დაწყებული მთელი  
დრო დაუთო ყველაზე მეტს შინაგანად  
და ყველაფერსაც ასწრებდა. შესასაც  
ის ზიდავდა, წყალსაც, ცეცხლთან ქვაბ-  
სა და შამფურებსაც დასტრიალებდა და  
როცა ვახშმად დასხდნენ, სუფრასაც  
ისევ იგი არაფერს აკლებდა. ამ სანიმუ-  
შოდ ზრდილ და დახვეწილი გარეგნო-  
ბის ვაჟში თებროს მისი ეს მუყაითობა  
მოსწონებოდა.

— ეს რა კარგი ყმაწვილი ყოფილა,  
ხალხო! — ხმაძალა თქვა მან და სუფ-  
რასთან ახალშემწვარი მწვადით მოსულ  
დაუთს ცბიერად შეხედა. — რომ შე-  
გიყვარო, მომივლი? მიპატრონებ?

— ხელის გულზე გატარებს! — და-  
უთის მაგიერ სიტყვა ბედიამ ესროლა  
თებროს, რადგან ქალიშვილივით ნაზი  
და მოკრძალებული დაუთი სირცხვი-  
ლისგან ლამის ადგილზე დადნა და თვი-  
თონ პასუხს მაინც ვერ გასცემდა.

მათი სულახლანდელი ხუმრობანა-  
რევი ვარაუდის ერთგვარი ახდენით გა-  
ოცებულმა ქეთევანმა და ბაადურმა კი  
ერთმანეთს სწრაფად შეხედეს და ორი-  
ვეს სიცილი აუვარდა.

— რომ იცინით, რას იცინით! — წარ-  
ბები აყარა თებრომ და დედოფლის მე-  
დიდურებით აზებუურდა, რომ დაუთ-  
თან ერთად ერთ არეზე გამოჩენილიყო  
ცეცხლის ნათებაში. — ვითომც არა  
ვართ ერთმანეთის შესაფერი?

— ხართ და მე რე როგორ! — ისევ  
ყველას დაასწრო ბედიამ. — თვალი  
მომცა და მაცქერინაო, რომ იტყვიან,  
სწორედ ისეთი წყვილი ხართ. ფერი  
ფერსა და მადლი ღმერთსაო, ესეც  
თქვენზეა ნათქვამი. მაგრამ აქ მართო  
ერთმხრივი აღტაცება არ სწყვეტს ყვე-  
ლაფერს. არსებითი მნიშვნელობა აქვს  
იმასაც, თავის მხრივ, მოსწონს თუ არა  
თებრო დაუთს.

— დაუთმა გული შენი შუამავლო-  
ბით უნდა გადამიშალოს? — დასცინა  
მას თებრომ და ყელი მეტად შეიღერა.  
— დაუთი მე თავის გულისპასუხს ცა-  
ლვე გამანდობს.



მწელი გასარკვევი იყო, ხუმრობდა თუ უტყბ ჩასახულ ნამდვილ გრძობას ამქლავნებდა თებრო. ან რას ნიშნავდა დაუთის დაბნეული ღიმილი. სხვები კი, მათ მართლაცდა შეწყვილებაში განგების ზემართებული ბედნიერ განაჩენს დაინახავდნენ. ხოლო, თუ ამ კეთილ აზრს ახდენა ნამდვილად ეწერა, მაშინ მის ირგვლივ ხუმრობა და სიცილი უკვე აღარ გამოდგებოდა. მათაც ამიტომ ხუმრობა და სიცილი მრავალ სხვადასხვა საგანზე გადაიტანეს და სანამ გვიანდამ თვითონ არ დაიძინეს, არც ფრინველი დააძინეს.

ვატებმა ქეთევანი და თებრო საგულისგულოდ დათბილებულ ლასტურ ქოხში სქლად დაგებულ თივაზე მოასვენეს, თვითონ კი, როგორც წინაზე, ჩანელებული კოცონის გარშემო დაეყარნენ.

საერთო მხიარულებაში, რომელიც მანამდე კუნძულზე სუფევდა, ყველას თანაბრად მონაწილეობდა ბაადურისც. მაგრამ მას ამავე დროს წუთითაც არ შორდებოდა ფიქრი ამაღლელებელ შეხედრახზე, რომელიც დილით მოელოდა.

უცნაური კაცი ისე იჯდა იგივე ადგილზე, თითქოს გასული კვირიდან არც კი განძრეულაო, იგი თავის იაფფასიან სიგარეტს ეწეოდა და მოთმინებით უცდიდა ანკესზე ერთადერთი თევზის წამოგებას. ბაადურმა ამჯერად თავზე დამაგრებული ტანისამოსის ბოხჩა გაიტანა გაღმა და ნაპირზევე ჩაიცვა.

კბოდებზე მისი ასვლა და უცნობის მიერ წყლიდან თევზის ამოგდება ერთი იყო. საქმაოდ მოზრდილი წითელწინწკლებიანი კალმახი გამოდგა. უცნაურმა კაცმა ნადავლი ფარფარა ხალათის ვეება ჯიბეში ჩაიგდო და წამოდგა.

— თუ ძალიან არ გეზიზღები, ერთად ვისაუზნოთ. თევზი იმხელაა, რომ ორივეს გვეყოფა.

— მხოლოდ მოკლე ხნით დაგეწვევი. კუნძულზე ამხანაგები მყავს და არ მინდა ვალოდინო.

— სწორს ამბობ. მაშ, მარტო ჩემ სახლს გასწავლი ყოველშემთხვევისათვის. დაწვევით კი სულაც ნუ დამეწვევი.

თითქმის კბოდებანვე იწყებოდა ფერღობებზე შეფენილი თხელი ტყე, რომელიც მალლა და მალლა თანდათან ხშირდებოდა. უცნობმაც იჩქად გამონაპირა ბარდებში შეყვინთა და ბაადურიც ხერგელივით გაწვრილებულ და დაბურულ ბუნებრივ ხეივანში ჩამალულ რბილ ბილიკზე გაიყვანა.

უცნაური კაცი ხტუნვით და რყევით მიჩაქჩაქებდა, უკან გაშლილი ნაბიჯით მიმყოლი ბაადური კი მისი სხეულის საზარელ სიმახინჯეს ახლა უფრო ცხად-ლივ ხედავდა. იღუმალი ბილიკის მცენარეული ჭერი სწორედ უცნობის სიმალღეზე იყო და მას არაფერი აფერხებდა. ბაადურს კი ხან დაღუნვა, ხანაც ტოტების გაწევე-გამოწევა სჭირდებოდა და ჭერჭერობით გამოკითხვისთვისაც არ ეცალა.

ბოლოს ბილიკი ისევე მოულოდნელად გაძვრა ტყიდან, როგორც დაიწყო, და ბაადურის წინ გაიხსნა მრგვალი და ღლანა პატარა მოედანი, რომელზეც ზეციდან თოკით ჩამოტვირთულივით იდგა ერთადერთი, ნამდვილი გულშემატკივარი ოსტატის ხელით აგებული კოშჩია სახლი. სახლის კედლები ძირიდან ნახევრამდე ამოყვანილი იყო ლამაზად ჩაწიკწიკებული წვრილი რიყის ქვით, შემდეგ კი სახურავამდე მალღღებოდა ჩარხში გატარებულივით ერთი ყალიბის გლუვი ძელების მჭიდრო წყობილით. ნაჯაფარი იყო სახლის მოჩუქურთმებული ყრუ კარი და სარკმლის ჩარჩოებიც, აგრეთვე სახურავი, რომელიც ნაკუწი ნაჭრებისგან შეკერილი საბანივით შედგენილი იყო სხვადასხვა ხის ქერქისაგან და საიმედოდ ემაგრა კოჭკებზე. სახლს არც კიბე ჰქონდა და არც ღირე, თითქოს აიღებდი და სადაც მოისურვებდი იქ გადასდგამდი.

ვიორგი ველაშვილი  
გვიფარავს მრავალი ჰმი



სახლის წინ მისთვის სივრცე-სადგანის  
ბოსტანი ხასხასებდა, რომელსაც ხის  
წვრილი ღარით მოყვანილი წყაროს წყა-  
ლი ჩუმად ალბობდა.

თავისთვის მყუდროდ მიყუყუელი,  
ტყის გარედან სრულიად უხილავი კარ-  
მიდამოს სილამაზემ და მოვლილობამ  
ბაადური ალტაცებაში მოიყვანა. იგი მი-  
ხვდა, რომ მთელი ეს შრომა გაწეული  
იყო მარტო ერთი, ბუნებებისაგან ესო-  
დენ დაჩაგრული ადამიანის მიერ, მაგ-  
რამ გააცოცა ამ კაცის მოულოდნელმა  
დაღვრემილობამ. სხვა მის ადგილზე  
თავისი ასეთივე ნახელავი კარმიდამო-  
თი თავს მოიწონებდა. უცნაური კაცი  
კი ოდნავაც სიხარულს არ ამტკიცებდა,  
გაბუტული ბავშვივით მიწას დასცქე-  
როდა და ანკესის ჯოხით ჩიჩქნიდა.

— ხომ ნახე, სადაც ვცხოვრობ. ახლა  
მეტს ნულა ვაცდები. — ტირილის ხმა-  
ზე ჩაიდუღუნა მან. ბაადური ახლალა  
მიხვდა იმასაც, რაზეც იყო იგი ნაწყუ-  
ნა.

— მე ისე არ მეჩქარება, რომ თევზის  
შეწვა ვერ მოვასწროთ. შენ რომ წყლი-  
დან თევზი ამოაფართხალე, იმაში ხომ  
მეც თითქმის წილი მაქვს, რაკი ზედ იმ  
დროს შევასწარი.

ძალდაუტანებელი პასუხის გაგება-  
ზე გახარებული მასპინძელი უცებ და-  
ტრიალდა და ორიოდვე წუთში ეზოში  
უკვე იდგა დაბალი ტაბლა წყვილი სამ-  
ფეხს სკამით, ხოლო პაწია მაყალზე  
კალმახი შიშინებდა.

20

უკვე იყო დრო ბაადურსა და უცნა-  
ურ კაცს ერთმანეთის ვინაობა გაერკ-  
ვიათ. მათ ხელდახელ წაიხემსეს და ბა-  
ადურმა მასპინძელს სიგარტი მიაწო-  
და

— გაიხსენე, საიდან გეცნობი?

— კაცმა რომ თქვას, მე შენ პირველ  
შეხვედრაზევე ვიცანი. მაგრამ შენმა  
დანახვამ ძალიან ამაღლე და გრძნო-  
ბების დაწყნარება მჭირდებოდა. იმი-  
ტომაც მაშინვე ვერ გაგემხილე.

— შენ თითქოს ახლოც ყოყმანობ.

— არ ყოყმანობ, მაგრამ ფიქრად  
რომ ძალიან სანუკვარიცაა, რაც გულში  
მაქვს, თქმით ვი თუ უძარღვო გამოიმი-  
ვიდეს და შენც ღრმად ვერ გამიგო.

— მე მთელი გულისყურით მოგთხ-  
მენ.

— შენ კი მომისმენ, მაგრამ მე თუ  
აბდაუბდა ვილაპარაკე, რას მიმიხვდე-  
ბი! მე დიდი ხანია იშვიათადლა ვხვდები  
ადამიანებს და აზრების მკაფიოდ გა-  
მოთქმას ვეღარ ვახერხებ. თუმცა ენამ-  
ქვერი არც ადრე ვყოფილვარ.

— სული ნუ დამალევიანე, კეთილთ  
ადამიანო!

— სულმობარებულთა დაბრუნებამდე  
არაფერი გტყენოდეს! ისე კი, მართლაც  
გულისყურით მომისმინე და გზადგაზა  
შეკითხვებიც მომეცი, რომ ბოლოში  
ჩემსავით ხეიბარი აღსარება არ გამო-  
მივიდეს.

— მე უკვე სმენადა ვარ.

— მეც უკვე თითქმის დავიწყე. აღ-  
სარება შემთხვევით არ ვახსენე. ნეტარ  
გახსენებთაა გაზიარებაც თავისებური  
აღსარებაა. სწორედ ერთ ასეთ ძველ  
ამბავს გეტყვი. მაშინ შენ თექვსმეტ-  
ჩეიღმეტი წლის ბიჭი იქნებოდი, მე კი  
უკვე ოცდაათზე მეტის კაცი, როცა  
თბილისში ფანჯრიდან ჩემს ქუჩაზე  
გხვდავდი ხოლმე ერთ-ერთ მეგობარ-  
თან. ის შენი მეგობარი ჩემიც ახლობე-  
ლი ადამიანი იყო და მის გვერდით ყუ-  
რადღებას იმიტომ გაქცევდი. სახით და  
სახელითაც კი, ჩემო ბაადურ, შენი და-  
სხომება იმის წყალობაა, რომ თავათ  
სტულებრივ მახინჯი ადამიანი, ყოვე-  
ლივე საღისადმი ყურადღებას მუდამ  
ვამახვილებდი. შენა და შენი მეგობარ-  
იც სულით საღი და იმ მეგობრობით  
ლამაზი იყავით. მაგრამ ეს მაინც ჩემი  
მეხსიერების გამოჩინებად შეიძლება  
ჩანდეს. საერთოდ კი, მე ჩემს სხეულზე-  
რივ სიმახინჯეზე, რითაც კი შემოძლია  
შურს ვძიობ. მაგალითად, მე, მარტოკა-  
ცმა ავაშენე აი ეს სახლი, რომელიც  
ზოგს შეიძლება რალაც ხუხულად ერ-  
ეხოს.

— მე ეს სახლი ხუხულად არ შეჩვე-  
ნებია. მაგრამ ბოლოსდაბოლოს არ მე-  
ტყვი, ვინ არის ჩვენი საერთო მეგობ-  
ბარი, რომელიც არ დაასახელე?

— ის მართლაცდა ორივეს მეგობარი  
ახლა აღარ არის. ის შენთვის სხვაგვარი  
ანუ ნამდვილი მეგობარი იყო, როგორც  
ტოლი. ჩემთვის კი — მეორეგვარი,  
როგორც მგრძნობიარე ქაბუკი, რომე-  
ლიც მასზე ბევრად უფროსს, უსახურ  
და უილაჯო, უთვისტომო მეზობელ  
კაცს გულთბილად მექცეოდა.

— შენ სოსო მოლოდინზე ლაპარა-  
კობ? — ხმა აუცახცახდა და თვალები  
გაუღიღდა ბაადურს, მასპინძელს კი  
ისედაც დაგვერდებული თავი უფრო  
მოეღრიადა, ხოლო ჩამქკნარ დაწვებზე  
ცრემლები გადმოეკიდა.

უცებ კი მან ორივე ხელი მოტიტე-  
ლებულ თავზე წაიჭირა და ყრუდ ამო-  
იგმინა.

— რაღაც უცნაური მოვლენები მე-  
ცემიან და თავი აუილის მიწყებს ხოლ-  
მე. — დაიწვილა უცნობმა, როცა ტკივი-  
ლი დაიბაძა. — სოსო მოლოდინზე გე-  
ლაპარაკები. შენ ის ჩემ ორ-სამ გიტყ-  
ვაზევე იმიტომ იცანი, რომ მისი ხელი  
ორივეს კარგად გვეცოდნია. ამრიგად,  
მე და მოლოდინები კარის მეზობლები  
ვიყავით. მათაც ვერაფერი ბინა ჰქონ-  
დათ, მაგრამ მე ნამდვილ სოროში ვი-  
დექი. მთელ ეზოში კი მარტო სოსოს  
არ ვეზიზღებოდი. ეს ამ გავებით, რომ  
ჯაერებით იქნებ არც სხვას ვეჯაერე-  
ბოდი, ოდონდ ჩემი სახის დანახვა არა-  
ვის სიამოვნებდა. სახეში მხოლოდ სო-  
სო მიყურებდა და სოსო ჩემთვის ყვე-  
ლაფერი იყო. სოსო სიკვდილის შემდე-  
გაც ჩემი მფარველი სული დარჩენილა.  
ყოველშემთხვევაში, ასე გავიფიქრე მე,  
შენთან მოულოდნელ შეხვედრაზე, რო-  
ცა სიხარულისგან გული ამიქოთქოთდა:  
როგორც შთამომავლობიდან შთამომავ-  
ლობაში, იქნებ მეგობრიდან მეგობარ-  
შიც გადადის აღამიანური ნიშან-თვისე-  
ბები და აი, შეიძლება სოსოს მეგობარიც  
ისეთივე გულთბილი იყოს ჩემთან, რო-  
გორც თვითონ სოსო იყო. ეს არის და

ეს, რაც შენთვის მინდოდა მეტყვა. და-  
ნარჩენს ორივეს დრო გვეტყვის. ახლ-  
შენი კუნძულელი მეგობრები მართლაც  
შეფიქრიანდებოდნენ შენზე, სად ჩაგ-  
ვეყლაპაო, რამე ხომ არ შეემთხვაო, და  
იჩქარე. ისე კი, თუ კიდევ შევხვდით, სა-  
ლაპარაკო კიდევ გამოგვიჩინდება.

— კიდევ შევხვდებით და კიდევ ვი-  
საუბრებთ.

— შენ პირს შაქარი!

— თუ ისეთი დრო იქნა, რომ მდი-  
ნარზე არ დამხვდის, მაქვს უფლება  
სახლში მოგაკითხო?

— ჩემი სახლი სწორედ მაგიტომ  
გასწავლე. ამ სახლს გიტოს სახლი  
ჰქვია. თუ სახლშიაც არ დაგხვდის, კა-  
რი მაინც ღია იქნება. როცა სახლიდან  
გაეღვივარ, კარს მაშინაც არ ვკეტავ,  
რომ თუ ვინმეს ტყეში წვიმამ მოუსწ-  
რო, თავი შეაფაროს. ხოლო ავაზაკმა  
კარი არ შემომტყვიოს და სახლი არ  
დამიზიანოს, ვინიცობაა სახლში განძი  
ევონოს. სახლში მე მხოლოდ ჩემი  
ჩრები და ათიოდე წიგნი მაქვს, რომ-  
ლებსაც ავაზაკი ხელსაც არ მოჰკიდებს.  
თუ ავაზაკი ვნახოთდა მწიგნობარი აღ-  
მოჩნდა და წიგნები ხელს გააყოლა,  
იმაზეც თავს არ მოვიკლაფ. ის ათიოდე  
წიგნი ზეპირად ვიცო.

რაკი განდგილი გიტო ხალხისგან  
საგულისგულოდ მალავდა თავს, ეს თა-  
ვისთავად ნიშნავდა, რომ ბაადურსაც  
მეგობრებისთვის ჯერ არ უნდა გაემზო-  
ლნა, სად და ვისთან იყო. თუმცა მათაც  
ფიქრადაც არ უნდა მოსვლოდათ, რომ  
ბაადურს აქ მაიღუმლო გაუჩინებოდა.  
ყველამ იცოდა, რომ ბაადურს ტყე-ღრე  
ხეტიალი მარტოც უყვარდა და მისი დი-  
ლისეული გაუჩინრება მართლაც ამგვარ  
ჰაერზე გავლად შეერაცხათ.

როდესაც ბაადური მათ შეუერთდა,  
ისინი მდელოზე წრედ ფეხმორთხმუ-

ვიოჯი ველაჟილი  
გმიფარავს მბაველი მბი



ლი ისხდნენ და არკვევდნენ, ვის როგორ ეძინა. კმაყოფილი იყო ყველა, ხოლო ქალები მადლიერებასაც გამოხატავდნენ.

ბედია კი თავისებურად ჭკუას ძალას ატანდა.

— ბევრი ონკანი სცოდავს. კრიჭამდე რომ არის მოჭერილი, წყალი როგორღაც მაინც მოწვეთავს და გულს აწვრილებს. მეც ხშირად მამბებრებდა ონკანი თბილისშიც, შემდეგ ჩემს სოფელშიც და ღამე ძილს არ მაძლევდა. არადა, ძილი ადამიანისთვის ნამდვილი ცხოვებაა. თანაც, ბადურის ვადაკიდეს, სადმე ბუნების წიაღში ღამით, თავისთვის მოდუღუნე მდინარის პირას ძილი მეც მეგუნებებოდა. ამიტომ, მე ჩემს შეგრძნებაში ონკანის წანწყარა და მდინარის დუღუნი გავიგივე და იმდღიდან ყველგან კარგად მეძინება.

— შენ ერთი კი თავი სადმე მიგედო და წარღვნაშიაც ყოველთვის კარგად გეძინებოდა. — ჩაუნისკარტა მას ბადურმა, რომ ან თვითონ ბედია ანდა რომელიმე სხვა იქეთ არ გასდევებოდა უთენიაზე ტყედ გავარდნისათვის.

ყველაფერმა კი იმაზე ვაღიარა, რომ ბადურს კუნძულის მცხოვრები მთელი საზოგადოების წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის საღამომდე სამყოფი შეშის შეგროვება მიუსაჯეს.

ეს ყველაზე მეტად აიხირა ალქაჯმა თებრომ, რომ ისედაც დამაშვრალ დაუთს ჯაფა შემსუბუქებოდა. თებრო დაუთთან კატათავგობანას თამაშს განაგრძობდა.

ბადურს დავალება ესიამოვნა კიდევ, კუნძულის სიღრმეში ფიჩხი და შეშა, ხოლო მის ზრიატ ნაპირებზე იმდენი ნარიყი მოაგროვა, რომ მომავალ ჩამოსვლაზეც ეყოფოდათ.

მომავალ ჯგუფურ ჩამოსვლამდე კი ამ მიდამოზე ცალკე ბადური გამოჩნდა, ოღონდ კუნძულს არც გაჰკარებია და პირდაპირ გიტოს სახლისაკენ გაემართა.

გიტო სახლის ზღურბლზე იჯდა და ცაზე ვარსკვლავებს ან ცის არეზე მალ

ლალ ხეთა ვარჯების მჭრქალ ჯიშაში ლობას გარინდული მიშტერებოდა. მის უკან ოთახში კი ჭრქის მბეუტავი შუქი თრთოდა.

კარმიდამოზე ლანდის გამოჩენამ და დაჯერებთ მოახლოებამ გიტო უცებ შეაერთო, მაგრამ იგი ადგილიდან გაუნძრევლად დაელოდა გამკითხავს. გიტო შეიძლება იმან დააცხრო, რომ ლანდის ხელში ტვირთი შენიშნა და თავისთავად, ცხადია, იცოდა ავისმზრახველი მსხვერპლთან ხელდამშვენებული არ მოვიდოდა.

— როგორ არ ვიფიცო სოსოს მზე და მთვარე, როცა მკვდარიც მართლაც ისევე მპატრონობს! — მაღლა რაღაცას, რასაც აქამდე უყურებდა, ხელაპყრობით შეღალადა გიტომ, როცა ლანდში ბადური იცნო და გახარებული წამოხტა. — ვის, თუ არა სწორედ სოსოს მეგობარს მოვავონდებოდი ცხოვრებისთვის ერთი ზედმეტი კაცი, ისიც ასეთ მრუშეში!

გიტო სწრაფად ოთახში შეხტუნდა და წამში ისევე გამოჩნდა ნაცნობი ტაბლითა და სამეფხა სკამებით, რომლებიც ბადურს გამოაწოდა. გიტო ოთახში მეორედაც შებრუნებას აპირებდა, მაგრამ ბადურმა შეაჩერა.

— საჭმელზე კი ნუ შეწუხდები. ცოტა რამ დასანაყრებელი მე ჩამოვიტანე.

— მე იმ დღეს რომ ღარიბულად დავხვდი, იმიტომ მარცხვენ?

— შენ იმ დღეს როგორც მდგომარეობას შეეფერებოდა, ისე დამხვდი. მე კი ნამდვილად ღარიბული პურ-მარინი წამომყვა. სამსახურიდან სადგურში გამოქანებულიმა გზად მეტი ვერაფერი ვიშოვე.

ბადურმა ქაღალდის უშველეგელი პარკიდან სხვადასხვა მშრალ საჭმელთან ერთად, რომელშიც თევზიც ვრია, ოთხი ბოთლი ღვინოც გამოაჩინა.

— ჩვენ თითო ბოთლი დავლიოთ. თითო კი, თუ ცეცხლი გავვიჩნდა, ცეცხლის ჩასაქრობად ვიქონიოთ.

— შენ კი მეორედაც მარცხვენ, იმ

დღეს რომ სასმელი არაფერი ჩამოვდ-  
გი. ახიცი არის ჩემზე! მერედა, განა არ  
მქონდა! ვიფიქრე, უზმოზე არ ვარგა-  
მეთქი და იმიტომ ვერ შემოგბედე.

— სწორედაც გააკეთე. დილით  
რომ მომკლა წვეთსაც ვერ გავეკარები.  
საღამოს მერე კი, კარგ ადამიანთან  
ცოტა წრუტვა მეხალისება ხოლმე. ახ-  
ლა თუ გინდა ოთხივე ბოთლი ცეცხ-  
ლის ჩასაქრობად გადავიწახოთ.

— არა. დავლიოთ. ვინ დამიჯერებს,  
რომ ბედისგან დაჩაგრულმა კაცმა ღვი-  
ნოზე უარი ვთქვა! თანაც, შენ მეც კარ-  
გი ადამიანი გამომიყვანე, როცა ეს არის  
ახლა თქვი, რომ საღამოს მერე კარგ  
ადამიანთან ცოტა წრუტვა მეხალისებაო.  
შენ ჩემი ნუ შეგეშინდება. მე, საერთოდ,  
ზომიერი სპა ვიცი. ისღა მაკლია, რომ  
გარეგნულად ისედაც მაჩინჯს, ახლა  
სიმთვრალეც დამემატოს!

ტაბლა გაიწყო და პირველი სადღე-  
რძელოს მეუფება, როგორც მასპინ-  
ძელს, გიტოს ეკუთვნა.

— მე წელან შენს დანახვაზე გახა-  
რებულმა რომ სიტყვები ამოვროშე,  
იქ აღელვებისგან დიდი შეცდომა დავუ-  
შვი. მე კი არ უნდა ვფიცულობდე სო-  
სოს მზესა და მთვარეს, ის უნდა იყოს  
ცოცხალი და ყველა სიკეთეს ლოცავ-  
დეს, ჩემსას კი, თუ მოვაგონდებოდი,  
სულის გასანათლებელს ამბობდეს. ის  
მკვდარი უნდა იყოს და მე ცოცხალი!  
სადა ღმერთის სამართალი! ეეპ, პოდა,  
მოდი სოსოსა და ყველა იმით გაუმარ-  
ჯოთ, ვისაც ერთი ოცდაორიანი კი არა,  
ხუთი ასოცდაორწლიანი სიცოცხლე  
ეკუთვნოდათ!

— სწორედაც კარგი სიტყვა მასმინე!  
გაუმარჯოთ და ხსოვნაში დიდხანს გვე-  
ცოცხლებინოს! შენობით რომ მოგმარ-  
თავ, ხომ არ გწყინს, გიტო?

— აბა რას მეუბნები! მე მრავლობი-  
თობა უფრო უხერხულობაში მაყენებს.  
სოსოც ვგრევე უბრალოდ მომმართავდა  
ხოლმე.

— ჩემი ერთი სურვილიც არ გეწყი-  
ნოს, გიტო...

— შენ რამე ისურვე და მე იმისთვის  
ცეცხლში ჩავდგები!

— გიტო, მე შენს შესახებ უფრო მე-  
ტი მინდა ვიცოდე, ვიდრე ვიცი.

გიტომ დიმიორცხვა, გაცილილი ქალა-  
ღის პარკი ხან კმუქნა, ხან ასწორა,  
ბოლოს ხელის გულით თითქოსდა გა-  
აუთოვა და ასე გატკიცინებული მუხლე-  
ბზე დაიდო.

— ეგ უკვე სულ სხვა საქმეა. მაგრამ  
მანც შენი სურვილია და ვერსაით წა-  
გივალ. ოღონდ, ჯერ ერთიც დავლიოთ,  
რომ შევეძლო ჩემი უღიმღამო ცხოვრე-  
ბა როგორადმე ყურადღების ღირსად  
მოგაჩვენო.

მეორე სადღეგრძელო მათ გულში  
ისევე პირველს მიაკუთვნეს და ქიქები  
უსიტყვოდ გამოცალეს. შემდეგ კი,  
როგორც მაშველი საშუალება, სწრაფად  
სიგარეტებს მოუყიდეს.

— შენ მატარებელზე არ დაგაგვიან-  
დება? — ვიდრე თხრობას დიწყებდა  
იკითხა გიტომ, ვინიცობაა სიტყვა გაუ-  
გრძელდებოდა.

— მე იქნებ ამაღამ შენთან დარჩე-  
ნას ვაპირებ, შენ კი მაგდებ? — ღიმი-  
ლით მიუგო ბაადურმა, მაგრამ შეატყო,  
რომ გიტო მის შენიშვნაზე მიხვდა თა-  
ვის დაუკვირვებლობას, და საჩქაროდ  
დაამშვიდა, — ვიხუმრე. მართლაც სი-  
მოვნებით დავრჩებოდი ამ წარმტაცი  
ბუნებით გარემოსილ კოხტა სახლში.  
მით უმეტეს, რომ თავისებურად მიტა-  
ციებს სხვადასხვა ქერქვეშ თევა და ეს  
უცხოც არ არის ჩემთვის. მაგრამ ჩემი  
ამღამითვე წაუსვლელობაც არ შეიძ-  
ლება. ერთი ხანია, თუ ღამე შინ არ  
უნდა ვიყო, ამის შესახებ ჩემს კეთილ  
მეზობლებს წინასწარ ვაფრთხილებ,  
რომ არ იწუხონ. დღეს კი არავინ გა-  
მიფრთხილებია.

გიტომ გულმოშვებით დააჯერა, რომ  
ბაადური. სიმართლეს ამბობდა. თავგა-

ვიორკი ვალაშვილი  
გვიზარავს მრავალი ჰიმი



დასავლის თხრობაც აღარ ვააჯანჯლა, რომ ბაადურს მისი მიზეზით მატარებელზე არ დაეგვიანა.

— აი, ასეთი რომ ვარ, ეს ჩემთვის ასე ბევრშეობაში ექმნებაშემს საყმაწვილო უმკურნალოა. ხოლო რაკი ასე დავმანჭულვარ, თავიდან მოუცილებფართ და უპატრონო ჩვილ ბავშვთა თავშესაფარში აღმოვჩენილვარ, რომელსაც, როცა წამოვიჩიტებულვარ (ვაი, ასეთ წამოჩიტებას), ბავშვთა სახლსთვის ვადაუცივარ. იქიდან მოყოლებული კი უკვე თვითონაც მახსოვს ჩემი მთელი შემდგომი ცხოვრება. ბავშვთა სახლში მასთანვე არსებული საშუალო სკოლის დამთავრებამდე ვიყავი. შემდეგ კი, რაკი ვასაგები მიზეზის გამო ფართო ხაზოვადობებაში თავის გამოყოფა ვერ გავბედე, უნივერსიტეტში შესვლა გადავიფიქრე და ინვალიდთა არტელს ჩავბარდი. მაგრამ მე ინვალიდთა შორისაც ყველაზე სახიჩარი გამოვჩნდი და თავთ ხეიბარნიც კი აბუჩად მივღებდნენ. ასეთ აუტანელ გარემოს რამდენიმე წელი მაინც გავუძელი, მერე ნებისძალა აღარ მეყო. შეფაფურთხე ეშმაკს და ყოვლად უმწყო ახალგაზრდა კაცი ჩემს გზას ალაღბებდნე ვეწიე. თუმცა არტელიდან წამოსვლით ვკარგავდი თავშესაფარსაც მის ქონჩაბ საერთო საცხოვრებელში, რომელიც ჩემთვის ნამდვილ საითხბეს უდრიდა, რაკი საკუთარი სახლი და კარი სიხმარშიც არ მენახა უკან მაინც აღარ მივბრუნდი და არაერთი დღე უპატრონო ძაღლივით მიუსაფარი დავტანტალობდი ქალაქში. ბოლოს, სიარული რომ ვეღარ შევძელი, სადაც ძალა გამომელია, იქვე ყრუ ქუჩაზე, ჭიშკრის წინ ჩავიკეციე. როცა ისევ გონს მოვეგე და თვალი გავახილე, დავინახე თავს ეზოდან გამოცვენილი რამდენიმე ქალი დამტრიალებდა და წყალს მასხურებდა. შემდეგ მათვე დამაპურე კიდევ. ის დამე, როგორც წინა დამეებიც, სადგურში გავათიე, დილაადრიან კი პირდაპირ ნაცნობ ეზოში გავჩნდი. იყო თუ არა ასე, არ ვიცი, მე კი მომეჩვენა, რომ ქალღმამ თანაგრძნობით გამიღი-

მეს. მეც მეტი რა მინდოდა! <sup>მსუღბრე</sup> უკვე დავალბებული ვიყავი იმ ქალღმამს, მითმა ახალმა ყურადღებამ კი მათი მორჩილი ძაღლი გამხადა. დავტრიალდი და ჯერ ეზო მოვურწყე და დავუგავე, შემდეგ ვის ნავივი ვადავუყარე და ვის ნარეცხი წყალი ვადავუღვარე, ვის კიდევ ფარდაგ-ჯეჯიმი ვავუბერტყე. ასე განმეორდა რამდენიმე დღე. ამასობაში უკვე უკლებლივ ყველა მეზობელმა გამიცნო და გაიგო ჩემი ღუხჭირი. ერთ დღესაც, როცა მე ყველას ყველაფერი ვავუკეთე და უკვე მივდიოდი, მათ ეზოდან აღარ გამიშვეს და ორ კიბეს შორის მომწყვდეული, ხარახურისგან ახალგაცილი ვიწრო ხულას კარი გამიღეს. მივხვდი, რომ თუ არ ვითაკილებდი, ხულას ამიერიდან მე მაკუთვნებდნენ, და მე ბედნიერებისაგან მიწაზე დავეცი. აი, ასე გავხდი მოლოდინების ოჯახის კარის მეზობელი. კეთილი მეზობლები ამაზეც არ გაჩერდნენ. მათი მეცადინეობით მომაკითხეს სხვა ინვალიდთა არტელის წარმომადგენლებმა და გამომიცხადეს, რომ იმ დღიდან ვირიცხებოდი მათდამი რწმუნებული არტელის შინამომუშავე წევრად. მეც დავჯექი და დიდი ხალსით დავიწყე ქალღმამის პარკების კეთება. და მაინც ჩემი ყველაზე დიდი ბედნიერება სოსოს მეგობრობა იყო, რომელიც თავიდანვე შემეჩვია, გულითადი თანამოსაუბრე გამიხდა და საქმეშიც ხელს მიმართავდა. სოსო უკვე წამოიზარდა, ისედაც ბრგე ყმაწვილი ჯანღონით აივსო, რომ მოენღონა არა თუ მე, ნაფოტს, ნებისმეერ თავის ტოლს ცალი ხელითაც საითაც სურდა მოისრიალებდა, ის კი ისევ მე საათობით მეჯდა ხოლმე გვერდით და ქალღმამს ზომაზე მიჭირდა. ის ჭრიდა, მე ვაწებებდი. აი, სწორედ როცა წამოიზარდა, სოსოს გული უკვე ყველაზე მეტად შენსკენ მოუწევდა. ხოლო თუ თქვენ ჩვენს ქუჩაზე დასიორნობდით, მე საშუალება მქონდა თქვენთვის მალულად თვალი მედევნებინა და ორივეს ერთად კიდევ შემოგხაროდით ხოლმე. იღბლად ჩემ სენაკს სარკმელი



ჰქონდა და ის ერთადერთი თვალის კუ-  
ჩაში იხედებოდა! მაგრამ, აი ხანი გამო-  
ხდა და მე ჩემი სენაკიდან ქურდულად  
გავიპარე და გავუჩინარდი. უკვე ომი  
იყო... ხალხი ბლომად იღუპებოდა. ქა-  
ლაქი ჭირისუფლებით აივსო. ჩემს და-  
ნახვაზე კი მათ არ შეიძლება გულში  
მწარედ არ გაეტარებინათ: ეს საფრთ-  
ხოებელა მიწაზე უნდა დადიოდეს, ის  
შოლტივით ბიჭები კი მიწაში იწვნე-  
ნო? ჰოდა, მეც გამოვერიდე ქალაქს და  
საერთოდ ხალხსაც. ამ მიდამოზეც ისე-  
ვე ალაღბედზე აღმოჩნდი, როგორც  
თავის დროს დიდუბეში ეზოს წინ, რთ-  
მელმაც მზრუნველად შემიფარა. და  
აქაც ისევე ბედმა გამიღიმა. შიშლით  
კუჭი მეწვოდა, და ახლა რომ სათევზაო  
ადგილი მაქვს აჩემებელი, მაშინ იქ  
პირველად ჩავკიდე ანკესი, როცა თავს  
ვიღაც წარმოსადგვი კაცი დამაღვა. იმ  
კაცმა ადვილად გაარკვია, რომ მე არც  
მტრის ჩაშუში ვიყავი, არც შინაური  
არამზადა, ამავე დროს გულთან მიიტა-  
ნა ჩემი ვარაზი და აქვე ნორჩი ტყის  
მეთვალყურეობა დამავალა, რისთვისაც  
ჯამაგირი დამენიშნებოდა. ვახარებულ-  
მა ჯამაგირზე უარი ვუთხარი, რადგან  
სამამისოდ პარკებში აღებული ფუ-  
ლიც მეყოფოდა (ახლა ხომ მიხვდი, ასე  
რატომ ვეფერები ამ ქალაქის პარკს),  
სამაგიეროდ, ნორჩი ტყის მახლობლად  
ქოხის ჩადგმის უფლება ვთხოვე. მან  
კი მოულოდნელად ხელი ჩაიქნია და  
თავის გზით გააღაჯა. ასევე მოულოდ-  
ნელად იმ ჩემმა კეთილმყოფელმა ათი-  
ოდე დღის შემდეგ უკვე ტყეში მიპო-  
ვა, როცა ნორჩ ნერგებს ვსხლავდი, და  
პირველადვე ქოხი მომიკითხა, მაგრამ  
რაც ამეწებოდა არ მქონდა, რას ვაჩვენ-  
ებდლი!

„— მე შენ ნებართვა არ მოგეცია“  
„— ღმერთმანი, არ მოგიციათ, ბატო-  
ნო. თქვენ ხელიც კი ჩაიქნით“.  
„— მერე, ეგ ნებართვა არ იყო! შენ  
რომ მიამიტი რამე მთხოვე, მე ხელის  
ჩაქნევის მეტი ვერაფერი მოვახერ-  
ხე. მაშინაც უნდა გაგეგო, რაც ვიფიქ-  
რე და ახლა სიტყვივითაც გეუბნები: მაშ,  
ხის ქვეშ ხომ არ იცხოვრებ, შე ოჯახ-  
ქორო!“

მეც ხომ ეს მინდოდა! წავიდა თუ  
არა ის ოჯახაშენებული, ხელათ ჩაღუ-  
რი ბუნავი მოვიწყე. შემდეგ კი წამოვი-  
წყე ეს სახლი და ნელ-ნელა რამდენი-  
მე წელი ვაშენე. ეს წერილი ქვა სულ  
ჯიბეებით მაქვს ამოზიდული რიყიდან.  
სალამობით კი ძელებს ვჩორკნიდი  
ხოლმე. ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან  
გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვაო  
— მგონი, მე და ჩემ სახლზეა ნათქვა-  
მი.

ბაადურმა შეამჩნია, რომ გიტოს  
მცდელობა ჰქონდა ყოველი მათი საუ-  
ბარი, რომელიც უნდოდა თუ არა, მის  
პირად ჭირვარაშს ეხებოდა, ბოლოში  
როგორმე გაემხიარულებინა ხოლმე.  
თუმცა, საერთოდ, ყველა საუბრის თ-  
ვიც და ბოლოც არის იქ, სადაც ის იწ-  
ყება და სრულდება, მაგრამ შეიძლება  
წარიმართოს სხვანაირადაც, სხვადასხ-  
ვანაირადაც. ბაადურმა იქიდან დაასკვნა  
საუბრის დასასრული, რომ გიტომ ხუმ-  
რობა სცადა. თვითონ გიტომ კი ხუმ-  
რობა იმიტომ იმარჯვა, რომ იცოდა ბა-  
ადურს დრო არ ჰქონდა, თორემ მასთან  
ჯდომა დილაამდე არ მოზეზრდებოდა.  
ბაადურმა მისი ამდამითვე წაუსვლელო-  
ბა ისეთი საბუთით გამოიციხა, რასაც  
გიტო ვერაფერს დაუპირისპირებდა. გი-  
ტოს ძალზე მართალი შეხედულება ჰქო-  
ნდა საერთოდ მეზობლებზე, რომელ-  
თაც ბაადური ესოდენ ანგარიშს უწყე-  
და. ოღონდ გიტოს შიში აეკვიატა, რომ  
წავიდოდა ახლა ბაადური თავის გზით  
და თვალიდან სამუდამოდ დაეკარგე-  
ბოდა, რადგან აღამიანთაგან ვანაპირე-

„— ვერ შესძელი?“  
„— როგორ ვერ შევძლებდი, მაგრამ  
ხელიც არ გამიძრავს.“  
„— მაშ უფლება რათა მთხოვე?“  
„— იმიტომ, რომ ამეშენებინა.“  
„— მერე, რატომ არ ააშენე?“  
„— უნებართვოდ როგორ გავებდაე-  
დი, ბატონო?“

გიორგი ბელაშვილი  
კვიციანი



ბული საზარელი ხეობარი მისთვის გამოცანას აღარ წარმოადგენდა. ისე კი, ჯანდონით სავსე თვალტანადი ახალგაზრდა კაცი მისი დაღმეჭილი სახის ყურებას რადღა მოისურვებდა.

23

აჩემებულ კუნძულზე მომსვლელთა რიცხვი ხან მატულობდა, ხან კლებულობდა, მაგრამ ჯგუფში მუდამ იყო ბაადური. ამასთანავე, იგი ხშირად ახერხებდა გიტოსთან გასნლტომას, მაღლიერი გიტო კი მას ლამის ფეხებში უვარდებოდა. ბაადურმა ეს ერთხელ უკვე ველარ მოითმინა და უტია.

— მეზარება, გიტო, კაცი რომ თავს მიწასთან ისწორებს. არც ის თავის გვემა მომწონს, როგორც შენ შენს პიროვნებას უსწორდები — უსახურიო, სახიჩარიო, საფრთხობელიო, საზარელი ხეობარიო. აღარ გამაგონო!

გიტოს შეეშინდა, რომ ბაადურს ამ მიზეზით არ აეყარა მასზე გული და იმ დღიდან უკლო ტალახში თავის თრევას.

იყო დღეები, როცა ბაადურს კუნძულიდან ფეხის გადადგმა ვერ უხერხდებოდა და დამნაშავესავით გახედავდა ხოლმე გაღმა მიწისფერთან შეხამებულ მუჭისოდენა ძვალტყავ კაცს, რომელსაც მის გარდა ვერავინ ამჩნევდა. ასეთ დროს ბაადური მას რაიმე შეფარული მოძრაობით ანიშნებდა, რომ ხედავდა და არ ავიწყდებოდა, და ისიც თავისი ერთადერთი თევზით ბედნიერი გაჩაქნადებოდა ხოლმე სახლისკენ.

კუნძულზე ყოველი ახალი პირის წაყვანა ხდებოდა მკაცრი შერჩევით და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამაზე სრული ერთსულოვნება იყო ჯგუფის ძველ წევრთა შორის, რათა არ დარღვეოდათ ესოდენ გულითადი და ძალდაუტანებელი გარემო.

მაგრამ როგორღაც ჯერ ვერ მოხვედრილიყვნენ კუნძულზე ლეგა, ტიტე და გური, რომლებს წაყვანაზე წინასწარ შეთანხმება არავისთვის საჭირო არ იყო. ბაადურმა არ იცოდა, ბიჭებს გავო-

ნილი ჰქონდათ თუ არა უფროსების ამ გატაცებაზე. გამოირკვა, რომ გავოხილი ჰქონდათ და ნაწყენიც იყვნენ ასეთი მიმზიდველი ღონისძიებებიდან მათი გამოტოვებისათვის, რაც ბაადურს ლეგას საშუალებით გადაეცა.

ლეგამ ბაადურს დღის ბოლოს სამსახურში გაუარა და ისინი სახლისკენ ერთად წავიდნენ.

ბაადურმა შეატყო, რომ ლეგა გაბუტულივით იყო.

— ხომ მშვიდობაა?

— მშვიდობაა. ოღონდ, მე, ტიტე და გური ახლა გიცხადებთ ომს უფროსებს.

— უფროსებიც უკან არ დავიხვეთ. თუმცა არ ვიცით, ომს რის გამო გვიტეხთ.

— ომი ხომ სახელმწიფოთა შორის საზღვრების მოუგვარებლობის ნიადაგზე იწყება?

— ომის გამოსაცხადებლად სახელმწიფოები სხვადასხვა საბაზს იგონებენ. იწყებენ შენს მიერ დასახელებული მიზეზითაც, როგორც ნახევრად უკვე ისტორიკოსმა ეგ ამბები შენ უკეთ იცი.

— ამ შემთხვევაში სახელმწიფოები შევეცვალოთ უფროსებით და უმცროსებით, ხოლო სასაზღვრო დავის საბაზს დავარქვათ უფროსთა მიერ თავიანთ ბოლოდროინდელ ლაშქრობებში უმცროსთა მონაწილეობის უგულვებელყოფა. თქვენ არაგვში ერთი ხატოვანი კუნძული დაგისაკუთრებით!

— თითქმის დავისაკუთრეთ. ოღონდ არც მე, არც დანარჩენებმა, ვინც იქ ვიკრიბებით ხოლმე, არ ვიცოდით თუ კუნძულზე გასეირნებას ისურვებდით თქვენც — შენ, ტიტე და გური.

— დანარჩენებში ელდარიც ურევია?

— ჯერჯერობით არ ურევია. ჩვენ ახლა ხუმრობით ომი ვახსენეთ. ელდარს კი ნამდვილი უსამართლო ომის წამომწყებებით ის მოუვიდა, რაც უნდა მოსვლოდა. თავისი ვერაგობით თვითონვე დამარცხდა. ოღონდ განსხვავება მთლად ნამდვილი ომის წამოწყებასა და ელდარის გაიძვერობას შორის ის იყო, რომ დამარცხების შემდეგ მას სასამართლო



არავინ მოუწყო, რაკი მისი ავკაცობა საკაცობრიო მნიშვნელობისა არ იყო. მაგრამ ელდარისთვის უკვე ისიც სასაჩელია, რომ მისი პიროვნების ირგვლივ საგანგებო მსჯელობის გარეშეც შეიქმნა საზოგადოებრივი აზრი. ელდარმა საკმარისი შხამი დაანთხია. შეიძლება დაცალა კიდევ შხამისაგან და დასანთხევი აღარც დარჩა.

— თავს ტყვილად იმიედებთ. თუ არ დარჩა, ახალს ჩაიგუბებებს და იმას დაანთხევს.

— შეიძლება მართლაც ევრ მოიშალოს. ისე კი, ამისთვის უნდა აილაგმოს არა მარტო ელდარი. მხედველობაში მაქვს ის დამაფიქრებელი გარემოება, რომ უსახელო წერილებს მხოლოდ ელდარი არ იყენებს მტრობის იარაღად. ეს იარაღი არც მარტო ჩემი და ბედიას წიწაღმდეგ მომართულა.

— ეს უკვე სენია?

— ეს დიდი ხნის სენია და შორეული წარსულიდან მოკიდებული სხვადასხვა სახით ვლინდება. მაგალითად, ანონიმური იყო ყველა პამფლეტი და ეპიგრამა მიმართული რომის იმპერატორების წინააღმდეგ, რომლებიც ამხილებდნენ ტაბერიოსის, კალიგულას, ნერონისა და სხვა დესპოტების საშინელ სისასტიკეს და სიხარბეს. ანონიმური პოლიტიკური პამფლეტები ბატონობდა მეტექსმეტე საუკუნის საფრანგეთშიც, კერძოდ, კათოლიკეთა და პროტესტანტთა რწმენის მიმდევრებს შორის წარმოებული უმკაცრესი ბრძოლის დროს. ეს პამფლეტები ჰუგენოტების პასუხი იყო ბართლომეს დამის ქლევებაზე და წარმოადგენდა ეკატერინე მედიჩის ოჯახის ყველა წევრისა და, პირველ ყოვლისა, მისი ვაჟის კარლოს მეცხრის აურაცხელ სისაძაგლეთა მხილებას. შენ, როგორც მომავალ ისტორიკოსს, ეს მაგალითები არ გამოგრჩებოდა.

— ნამდვილად ვიცნობ დასახელებულ მაგალითებს. მაგრამ მათ ჩემში აღშფოთება არ გამოუწვევიათ, რადგან ძველი რომისა და მეტექსმეტე საუკუნის საფრანგეთის ანონიმები თავიანთი პამფ-

ლეტებითა და ეპიგრამებით ბოროტებას ებრძოდნენ, მათ კი ამისთვის, როგორც გვაუწყებს ტაციტი და გვაუწყებენ საფრანგეთის მემოტიანენიც, სატუსალოებში ხუთავდნენ. მაშინ, როცა ჩვენს სინამდვილეში საქმე გვაქვს ერთეულ გარეწართა მიერ სპეტაკ ადამიანებისთვის ჩირქის მოცხებასთან. პასუხს კი ამაზე არავის თხოვენ.

— მაგამი მართალი ხარ. უსახელო გზავნილობას მთლად ეპიდემიას ვერ გავუტოლებ, მაგრამ მაინც საშიში სენია. ხოლო სენი განსაკუთრებით მაშინ ვრცელდება, როცა მის წინააღმდეგ მკაცრ ზომებს არ ღებულობენ. მხედველობაში მყვანან ისინი, ვინც უსახელო წერილებს ყურადღებას უთმობენ და მსვლელობას აძლევენ, სამსახურებრივი უფროსები იმ პირთა, ვიზეც ასეთი წერილები იწერება. ისინი რომ გონჯ წერილებს ყურადღებას არ უთმობდნენ, ეს საძაგელი მთხველობა ადვილად გადაშენდებოდა. თანაც, დასანანია არა მხოლოდ ის, რომ ანონიმები ადამიანებს ტკივილს აყენებენ, არამედ ისიც, რომ თავათ ასე სამარცხვინოდ კნინდებიან. მე თავიდან ომი არ ამომსვლია. საერთოდაც, არ დამავიწყდება. და აი, ყველა ცხოვრებისეული სისაძაგლის შესაპირისპირებლად ომის საშინელებანი განსაკუთრებით მძაფრად წარმოიდგება ხოლმე. ჩვენმა ხალხმა იომა. უმძიმესი სიძნელენი გადაიტანა. ზეადამიანური გმირობა ჩაიღინა. უცებ კი, ჩვენს შორის ჩნდებიან ნაძირალები, რომლებიც თავისი ვენებების დასაოკებლად, სხვებს ცხოვრებას უწამლავენ. ეს ამაზრზენია. ამიტომ ვიმსჯელებ ამდენი მათ სისაზიზღრეზე. მაინც ეს ლაპარაკი ზედმეტად არ მიმაჩნია. ისტორიაც კი მოვიგონეთ. ისტორიას იმიტომ გადავწვდი, რომ თუ ჩვენს მიერ მოტანილ მაგალითებში დევნილი იყვნენ სიმართლისთვის მებრძოლი ანონიმები, მათ უმეტეს საზოგადოებრივი აზრი უნდა

**გიორგი ბელაშვილი**  
ზვიფარავს მრავალი ჰერო

შეიქმნას საზოგადოებისათვის მავნე ანონიმების მიმართ.

— მეც ასე ვფიქრობ. ეს საუბარი სიფრთხილეს შეგვაგონებს.

— სიფრთხილე ყველაფერში არ არის საჭირო. სიფრთხილეს გარემოება გვიკარნახებს. სიფრთხილის კანონად აღება ყველასადმი უნდობლობას ჩაგვისახავს. თითო-ორი სულით მახინჯის ქუჩი უმწიკვლო ადამიანებს არ უნდა შევახოცოთ. სულით მახინჯებს კუთვნილი უნდა მიეზღათ. სულით მახინჯები, რომლებიც უსახელო წერილებს სთითხნიან, ლაჩრებიც არიან. მაგრამ თავიანთ მიზანს მაინც აღწევენ — პატიოსან ადამიანებს წონასწორობას აკარგვინებენ, თვითონ კი ბოროტი კმაყოფილებით ხელებს იფშვინებენ. ხოლო თუ ისინი გამოუაშკარავებელი, და მამასადამე, დაუსჯელნი რჩებიან, მაშინ მეტ უსინდისობას ბედავენ ანუ უფრო ბევრ პატიოსან ადამიანს ამწარებენ. ამიტომ აუცილებელია მათი უენებელყოფა და პასუხისგების წინაშე დაყენება. თუმცა, ისიც არის, რომ ბოროტი კაცი ხშირად თავისივე დროშის ქვეშ თავისი თავით მარცხდება.

— მე კი მგონია, რომ კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს.

— კუზიანს რას ვერჩით! საერთოდ, რატომ ვაყენებთ შეურაცხყოფას კუზიანს? ადამიანის სხეულებრივი მანკი დანაშაული არ არის. მე იმას ვამბობ, რომ სულით მახინჯი ადამიანები კიდევ

რომ შეეშვან უმსგავსობას, საზოგადოებაში ნდობას ვეღარ დაიმკვიდრებენ. მაგრამ ჩვენ საუბარი ერთ საფაზე დავიწყეთ და მეორეზე გადავხტით. შენს მიერ გამოთქმული სამღურობა საესეებით მართებულია. უფროსებსაც საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს თუ კუნძულზე სამივე გვეწვევით. ჩვენი კუნძული სულ ადვილი საპოჯნია.

— კუნძულის პოვნა არ გაგვიკირდება. მაგრამ, აი, თქვენი მიპატიება ცალკბად მომეჩვენა.

— მთელი გულით ვპატივებთ. ოღონდ არ გაცივდებით. წინათ სხვა იყო. ახლა კი, თქვენ იქნებ სხვა საზოგადოება უფრო გიტაცებთ, ჩვენს წრეში ყოფნას თავზე ძალად ვერ მოგახვევთ. ახლა მე და შენ ასე მოვიტყუეთ. მაღაზიაში ძეხვი და რამე ვიყიდოთ და ჩემთან ვივასშმოთ.

— მაგას არაფერი აჯობებდა, მაგრამ გური და ტიტე უჩემოდ არ სჭამენ ხოლმე და ახლაც ალბათ მშვივრები მელოდებიან...

— ჰოო, აი ეგ კი მხედველობიდან გამომჩინა... აბა, კუნძულზე შეხვედრამდე!

— კუნძულზე შეხვედრამდე, ძია ბაადურ!

ისინი ზედ ბაადურის ჭიშკართან დაშორდნენ. ლევა ისე გაეშვა ქუჩის ბოლოსკენ, რომ ძველ ეზოში ცალი თვალითაც არ შეუხედავს. ბაადურს კი ამაზე ნაღვლიანად გაეღიმა.

დასასრული იქნება



# ქეობის სიეჭერა

ოვანეს ქარაიანი  
სომხეთი

## ქართული ქალი ნანინას ბაღობს

როცა შენ მდერი, ოცნებად გაშლილ  
განთიადს ჰგავხარ, როგორც სურვილი,  
და ჩემი სულის მწყურვალე ბაღში  
ხმა შენი მორბის ნაკადულივით.

მაგრამ როდესაც ბაეშვის აკვანთან  
უნაზესი ხმით ნანინას გალობ,  
მე ვგრძნობ, ასეთი სიმღერა მართლაც  
არ შეუქმნია არავის, ქალო.

მგონია იწვის სანთელი — ცრემლი,  
და ბაეშვის გულში შუქად იღვრება,  
გასაგები და ნათელი ენით  
ყველა ბაეშვისთვის თქმული სიმღერა.

და მაგონდება ბაეშვობა ჩემი  
და როგორც წვიმა, თავდება სველა,  
ვარდებს დაჰხარის ბულბული სტვენით,  
თუ გულში უზის ბულბული დედას?!

არ მასხოვს, მაგრამ ნანინა ტკბილი  
არ იყო მაშინ ნანინა მხოლოდ,

ის, როგორც წყარო, საოცრად გრილი  
ჩემს სულს შუქივით შემორჩა ბოლოს.

მღეროდი დედა და ხელებს ვხვევდი  
იისფერ მთას და ცისთვალა იას,  
აკვანზე მეჯდა იმედის მტრედი,  
რომელსაც ბაეშვის ოცნება ჰქვია.

ასლა, ო, ასლა თოვლივით თეთრი  
მე შენს ნანინას ბაღლივით ვისმენ  
და მეჩვენება, მამულის მკერდი  
დედის მკერდივით ინთება ისევ,

თითქოსდა დედა კვლავ მღერის ნანას,  
შუქით ივსება მზისთვალა კალო  
და შინდა ყველა დედების დარად,  
კვლავაც მღეროდნენ, ქართული ქალო!

როცა შენ მდერი, ოცნებად გაშლილ  
განთიადს ჰგავხარ, როგორც სურვილი  
და ჩემი სულის მწყურვალე ბაღში  
ხმა შენი მორბის ნაკადულივით.

თარგმანა ზორის ფიცხიშვილმა.

მკარგი ქორიანი

## ბაბუა და უილიუვილი

ბადიშმა უთხრა ბაბუას:  
— სიზმარი ვნახე ასეთი,  
ჩემს სიბრძნე-ვაჟკაცობაზე  
წერდა სუყველა გაზეთი.

რჩევას მე მეკითხებოდა  
ასალგაზრდა თუ ხნიერი,  
ვიყავ ლამაზი,  
მდიდარი,

განათლებული,  
ძლიერი.  
ასლა რა წყალში ჩავეარდე,  
რა მემუველება ნეტავი?  
ალარც ბრძენი ვარ,  
არც გმირი,  
ბალდი ვარ გაუბედავი.  
ბაბუა ბადისს ამგვარად

მიეხმატკბილა მღიმარი:  
— აი, რა, ჩემო პატარავ,  
ცხადად რომ გექცეს სიზმარი...  
რომ იყო მართლა ვაჟკაცი,  
რომ მტერმა არ გაიცინოს  
ეცადე ბევრი იშრომო,  
ძილით კი ცოტა იძინო!

## გედი და ღრუზუნა

ერთხელ შენიშნა ღრუტუნამ  
გედი, მცურავი ნებივრად.  
— ასეთი უშნო ვინა ხარ?  
ნეტავი გამაგებინა?!

თავს მოვიკლავდი შენ გგავდე,  
ასე მახინჯს და ბრაზიანს! —  
როგორც ჩანს სილამაზეზე  
ღორებსაც თავის აზრი აქვთ.

თარგმან ჯანსუღ ნიჭაბაძემ

## ნოვრუზ გიანჯალი

აზერბაიჯანი

## მ ე ს ი გ მ რ ა...

სიზმარი ვნახე,  
სიზმარი ვნახე,  
თავს მადგა შენი ძვირფასი ლანდი,  
სისხლში მოთხვრილი მისურდა სახე  
წყალს მასმევედი და ჭრილობებს მბანდი.

ჩემი ხელები თეთრ მკერდზე გეწყო, —  
რა უცნაური იყო სურათი,  
შენ ჩემი სისხლი კაბაზე გეცხო,  
მე — ნატყვიარი — სისხლში ვცურავდი.

თავი დახარე. ჩურჩული მესმის.  
ამბობ: „სად არის შენი სიმარდე,  
ნუთუ ხესავით დაგაჭრეს ფესვი?!  
ფესზე დადექი,  
წამოიმართე!..“

მერე მიწაში ჩამიშვეს თოკით,  
ის წამი ასლაც მაშინებს მღვიძარს,  
ზოგი ტიროდა და დუმდა ზოგი  
და გაზაფხულის მაყრიდნენ მიწას.  
მერე გამწკრივდნენ ჯარისკაცები,

თოფებმა ერთად დაიგრიალეს, —  
ეს ალბათ ნიშნად ჩემი დაცემის,  
დარჩა სამარე...  
ველი ტიალი.

წავიდა ყველა,  
სამარე დარჩა...  
ზედ აბიზინდა მწვანე ჯეჯილი,  
მთაზე შემდგარი მზე ჰგავდა მარჯანს,  
ალერსიანი,  
თმაგაჩეჩილი.

დრომ ჩემი კვალი როდი წამალა,  
სისხლი მივეცი ოქროსფერ თავთავს.  
ერთ დღეს მოვიდა გოგო შავთვალა,  
რომელიც თავთავს გვირგვინად წნავდა.

ჩემი თავთავიც გაბრწყინდა თმაში,  
მიაცილებდა ხეების რიგი,  
და ბედნიერი ვიყავი მაშინ,  
რომ გავახარე გოგონა იგი.

თარგმან ემზარ აპიტაიშვილმა

## კ ა ლ ა მ ი

შენი ნახვა გამიხარდა,  
გამარჯობა, კალამო.  
ვისთვის თაფლო, ვისთვის შხამო,  
ვისთვის სულის მალამო.

შენგან ჩემი აზრი წვეთავს  
განა მარტო მელანი,  
ზოგჯერ ლხინი, ზოგჯერ სევდა,  
ზოგჯერ მზერა ელამი.

პირდაპირთ ხანჯალივით,  
მხოლოდ წაღმა იარე,  
არა, ფუჭად არ ჩაივლის  
დილა პირმომცინარე.

ამ ურთულეს საუკუნის  
იყავ ცეცხლის მთოველი,  
რომ სიმართლეს მსახურებდეს  
მელნის წვეთი ყოველი.

მხოლოდ საქმის, მხოლოდ საქმის,  
არა სიტყვის გჯეროდეს,  
პატიოსან სიტყვის აღქმას  
შენი ემხი შევნოდეს.

როცა იტყვი მხოლოდ მართალს —  
მტერმაც ვერ გიღალატოს,  
რაც არ იყო, იგი არ თქვა,  
იგი არ თქვა არასდროს.

თარგმნა ჯანსუღ ჩარაქვიანმა



## შოთა სოღაშენალი

### ს უ რ ა თ ი

ბატარა ოთახს დუმილი ავსებს,  
ვზივარ სკამზე და ვკითხულობ ჩუმიად  
და რაღაც დიდი სიცოცხლით სავსე  
აზრი აწვალებს ფიქრსა და გუმანს.

როცა ფანჯრებში შემოდის მწუხრი,  
კედელზე კრძალვით შევხედავ ლენინს  
ვეცემა ოთახს სიცოცხლის შუქი  
და სისარულით ნათღებ ჭერი.

## მზია ხათაგური

### ა ნ ა ფ რ ა ნ კ ს

ანას დღიური, ანა ფრანკის  
მღელვარე წლები.  
უკანასკნელი გვერდი დარჩა,  
სანთელი იწვის.

ნორჩი სიცოცხლე ცისკენ მსწრაფი  
გამსდარი მხრებით  
და შეწყვეტილი, ორი სიტყვა  
„ძვირფასო კიწი!“

### ს კ ა მ ი

დარბაზში ვხედავ,  
ვხედავ სავარძელს,  
მომძვრალ საზურგეს  
მოუჩანს პირი.  
შევეყურებ მას და  
ნაღველი მაწვეს.  
სიცარიელე დარბაზში ყვირის,  
აქ სხვა სკამებიც  
თავსა და ბოლოს  
დგანან უძრავად

თეატრში ღამით.  
თავისუფალი ერთი მხოლოდ, —  
ის ერთადერთი  
უზურგო სკამი.  
შეგხვდება ზოგჯერ ადამიანი,  
ვერ მიეყრდნობი,  
არ უჩანს პირი.  
შევეყურებ ასე  
და ნაღველიანი  
სიცარიელე დარბაზში ყვირის.

მე დავიკარგე ერთხელ ქალაქში,  
ჩემი ბატარა ქალაქის მკვიდრი.  
ჩაფიქრებული მივყვებოდი უთოვლო ქუჩებს.  
გამომამფხიზლა ვეება მინდვრის  
უცნობმა სუნმა.  
და გამაკვირვა  
თავლით ავსილი ორმოების დამორჩილებამ

იანვრის ბედთან...

აქ სამთრისათვის ჩვეული თოვლი  
მიუწვდომელი არავისთვის ყოფილა თურმე.  
რა სიდიადე დაუკარგავს უთოვლო ქალაქს,  
უთოვლო ხეებს, სახურავებს,  
უთოვლო ქუჩებს...  
მიიღე ჩემი მთრთოლვარე მხრები  
და დამიმძიმე, შენდა ლოცვად, ზეცაო, მარად!  
მიიღე ჩემი ქათქათა მკერდი  
და ჩამოყარე იანვარში თოვლის გუნდებად!  
— მომეცი ძალა, დავინახო სიკეთე შენი,  
ცოდვა ჩემი, ნათელი ჩემი —  
რათა მიპოვნონ დაკარგული დაკარგულებმა.

## მ ა ტ ა რ ე ბ ე ლ შ ი

მწვანე მინდორი გარბის და გარბის,  
თვალეები წყვილებს ითვლიან სწრაფად.  
შორს მოჩანს ელვა წითელი კაბის,  
ყაყაჩოსავით წითელი კაბა.

მზემ ჩაიმუხლა. განათდა მტკვარი,  
განათდა გული — ფიქრების გროვა,  
ცას დაევიდა ამაყი ჯვარი.  
მოვა, არ მოვა...

გ ა რ ე ზ ა ჯ ო ჯ ე ა

აქ გრიგალობდა  
გრიგალთა მეფე,  
ქარიშხლის გზებზე  
ქარიშხალივით,  
იმ გზებზე ახლა  
ყვავილებს კრეფენ,  
გზებზე ყვირილი  
ისმის ხარირმის.

ცხრამთის გადაღმა  
გასტაცეს სატრფო,  
თვალზე მაინც არ  
უნდა ცრემლები,  
იდგა დაღლილი,  
ის იდგა მარტო  
და შორს მიჰქროდნენ  
ლურჯა ცხენები.

გ ი ო რ გ ი მ ი ნ დ ი კ ა უ რ ი

## დ ე ღ ა შ ვ ი ლ ო ბ ა

მე ვიორგი ვარ,  
ძმას კი ჩემსას ჰქვია არაგვი.  
რად გეცინებათ,  
პროსპექტზე თუ მერვა ფეხი,

ზვავის გრიალი თუ ამშვიდებს სულს დაობებულს.  
შენ კვლავ მთებში ხარ და მიჰყვები კვლავ მათაა გრეხილს,  
მე დამ-დამობით მტკვარს ჩავყურებ და მენატრები.  
გაზაფხულია,

დაიწყება თოვლების დნობა  
და შენს სიმღერას ვერ დაიტევს მათაა კალთები;  
ნაპირთან მოსულს ცხენს და მხედარს არ ძალუძს ნდობა,  
რადგან შხეფებით იგრილებენ ცხელ გულმკერდს მთები.  
ჩემი წილხვედრი, განგებებით, უფრო მარცხია,  
აღბათ იმიტომ, რომ სუსტი მაქვს მუხლი, თითები.  
გული კი მერჩის,  
ბრძოლის ჟინიც შენი მაცხია,  
ძმავ არაგვო,  
მეც მწყურია დღე ადიდების!

## ვერ მოშლის

იქნებ შოთაის შემდეგ, ანდა ვაჟაის შემდეგ,  
იქნებ აკაკის შემდეგ  
აღარც კი ღირდა წერა.  
გონი მკარანახობს:

შესდეგ!  
გული კი კვნესის:  
ვერა!

ბარათაშვილის შემდეგ,  
გალაკტიონის შემდეგ,  
ჭეჭა-ჭუხილის შემდეგ გაიგონება ტაში?  
სულო, წინ მაინც,  
მშემდეგ,  
ცას შევახეთქოთ რაში.

იქნებ ამ მუხლებს დაღლილს,  
ან გზებს მოვწყინდე ვერანს.  
სული წვას,  
გული ძახილს —  
ვერც ერთს ვერ მოშლის,  
ვერა!





# ნ ე რ კ ვ ე ვ ი

## თენგიზ მორჩიაული

### ყრილოზის დელაგატი

მატარებლის გაჩერებასთან აუარება ხალხს მოეყარა თავი. ერთმანეთში ირეოდნენ მგზავრები და გამცილებლები. ვალერიან ბახტურიძის პალტოს საყელო წამოეწია და ვაგონის ცისფერ, პატარა სარკმლიდან გასცქეროდა ტროტუარზე მდგარ მეუღლეს.

მარტის სუსხიანი საღამო იყო. ქარი თოვლის ფანტელებს გზიდან ზეცავდა და ლიანდაგზე შემდგარ მატარებლის ბორბლებს აყრიდა. ნანას ხელთათმანები წაეძრო და მოსკოვისკენ მიმავალ ქმარს ხელს უქნევდა. ის იყო მატარებელმა შეჰკივლა, უნდა დაძრულიყო, რომ ვალერიანს რაღაც გაახსენდა, სწრაფად წამოდგა და ვაგონის კარისაკენ გაემართა.

— ნანა! — შესძახა და ვაგონის კართან მიიჭრა.

— რა მოხდა, ვალერიან, ხომ არაფერი დავაგვიწყდა! — გული გადაუტრიალდა ქალს.

— ჰო, რეცეპტი დამავიწყდა, გიორგის რეცეპტი! — თქვა და პიჯაკის ჯიბიდან ოთხადღიანი ჭაღალის ნაგლევი ამოიღო.

— რომ დაბრუნდე, შეიარე აფთიაქში. ეთერი ექიმმა თქვა, ხველების უებარი წამალიაო, აბა შენ იცო, სანამ ჩამოვალ, გიორგი ფეხზე უნდა დამახვედრო! — ვალერიანი ერთხელ კიდევ გამოემშვიდობა მეუღლეს და ვაგონში ავიდა. სანამ თავის ადგილს მოქებნიდა, მატარებელიც დაძრა.

ნუკრიანელმა ჰაბუქმა მეზობელ კუბეში ზემო მახანაელი თავმჯდომარე ნიკოლოზ მამაიაშვილი შენიშნა. გაუხარდა, ამოდენა უცხო ხალხში ერთი ნაცნობი რომ დაინახა. გულმა აღარ მოუთმინა და მეზობლებს ეახლა:

— გამარჯობა, ძია ნიკო! — ვალერიანმა ხელი გაუწოდა.

ნიკო უცებ შემოტრიალდა და... იცნო კახეთში ცნობილი ეს მარჯვენადლოცვილი მექანიკოსი.

— ვალერიანს გაუმარჯოს, ვალერიანს! — სახე გაეხადრა კვლაროსან თავმჯდომარეს.

— საით მიბრძანდებით, ძია ნიკო?  
— მოსკოვში, ყრილობაზე! თქვენა?  
— მეც!  
— აბა, ერთი გზა გვექონია — ნიკოლოზმა მხარზე ხელი დაკრა ვალერიანს და შიგნით შეიპატიჟა.

ბიჭებს უკვე სუფრა გაეშალათ და სამშობლოს საღვთობის სუფრაზე სუფრაზე სუფრაზე, ერთმანეთს შეხებდნენ. მობრძანდითო, ერთმანეთს შეხებდნენ და მოსკოვს სკამები შესთავაზეს.

— ახლა ამ სუფრას ჩემი „რქაწითელი“ არ მოუხდება? — გაიფიქრა ვალერიანმა და „საფერავით“ საესე კიკია შეატრიალა ხელში. მამული, მშობლიური კარ-მიდამო მანაც აღდევრძელა და კიკია გამოცალა.

— ერთი წუთითო! — თხოვა ბიჭებს და კარო გამოიხურა. ვაგონის ქანდაკაზე შედებული ჩემოდანი ჩამოიღო, გახსნა და იქიდან ვახუთში გახვეული, ცივადმოსარული დედალი და ათლიტრიანი საესე ტიკორა ამოიღო, მეზობლებს ვახლავარო შეეხმინა და შევიდა.

— ლეინო ხომ არ დაგვიწუხე, ქიზიყელი! — ღიმილით შესძახეს აქეთ-იქიდან.

— როგორ გეკადრებათ, მაგრამ ჩემი ტრაქტორით ვაღაბრუნებულ მიწაზე მოყვანილი ყურძნის წვნიანი მანაც სულ სხვა გემოსია, აბა ნახეთ!

ჰაბუხე დაყენებული „რქაწითელი“ ყველას მოეწონა. ვალერიანს შეუქცეს მარჯვენა, კარგი ლეინო დაგიყენებიაო.

მატარებელი გამალეზით მიჰქროდა რუსეთის ვაშლილ, თოვლიან ტრამალეზზე.

\* \* \*

1943 წლის გაზაფხული იდგა. აბრია გვიან ღამით დაბრუნდა შინ. ურემი ეზოში შემოიტანა, უღლიდან კამეჩები გამოხსნა და იქვე, ბოსელში შეყარა. ცოტა ხანს სახლის დირეზე ჩამოჯდა, მთვარეს შეხედა, მე-



რე გიბიდან ქისა ამოიღო, თამბაქო გავხეთის ქალღმერთს სავსედავად გავაბოლა. პაპიროსის ცისფერი ბოლი მსხლის მწვანე ფოთლებს შეერია და გაუჩინარდა.

ბაბალე დიდხანს ელოდა მეუღლეს. რომ არ მოელოდა, ჩაიკმულს მაგიდაზე თავჩამოდებულის, მისძინებდა. აბრია ფრთხილად შევიდა ოთახში, ტახტზე ჩამოჯდა. ძველ, შემქმნარტულ კედლებს მოავლო თვალი. კერზე ჩამოკიდებული ლამაზი საცოდავად ბეუტავდა და ოთახს მკრთალად ანათებდა. ირგვლივ ღამის უსიამო სიმყურად იდგა. ღრმად ამოიხსრა და ქალამენტის დახდას შეუღდა.

— მოხვედრი?! — თავი აიღო ბაბალემ.  
— ჰო, მოვედი!  
— რად დაიგვიანე?!  
— საუბრე ბევრი იყო და დამავიანდა... წვედინენ ბიჭები?

— დილას, მეღამის მატარებელს ვაპყენენ! აბრია იხე ამოიხსრა და პატარა, ოთხკუთხა სარკმლიდან გაიხედა. აგვისტოს ბრილა მთვარე ოქროსფერად სანთლავდა ლურჯად ჩამუქებულ სოდაბუნებს. საღაც ნაგავი ხეთა მოქანავე ჩრდილებს თუ უყუფდა და მიდამოს აფხიზლებდა, ხან კი კავკასიონის მხრიდან ყუმბარის აფეთქების ხმა შესძრავდა არემარეს და კვლავ სიწუმეში ჩაიძირებოდა ყველაფერი.

— გოიანთ ანიკო! დილას დეპეშა მიიღო ფრონტიდან! — თქვა ბაბალემ და ცრემლიანი თვალი თავსაფრის ბოლოთი მოიწმინდა.

— როგორ, ლევანი დაიღუპა?! — გველნაკებნივით შემოტრიალდა აბრია.

ბაბალემ სახეზე ხელები აიფარა და მოთქმას მოაკყვა.

აბრიას ლევანისთანა მეურვე მეორე მთელ სოფელში არ ეგულებოდა. ფრონტზე რომ მიდიოდა, როგორ ეხეწებოდა, ემუდარებოდა: ძია აბრია, აბა შენ იცი, როგორ შეინახავ და გაუფრთხილებდი ჩემს ხარკამებს, ფრონტიდან რომ დაებრუნდები, მე იცი, როგორც გადაგიბრძოლებ პატრიარქსს!

— ეჰ, რა ვაქციო იყო! მის გონებაში უცებ ამოტივტივდა თავლისფერთვალე, ულვაშმეღერებული ბიჭი, სახეზე მუდამ კეთილი ღიმილი რომ დასთამაშებდა. მერე თავისი ტყუბი ვაქციები გაასენდა. ტანში უსიამო ყრუანტელმა დაუბრძინა, ფეხზე წამოიღდა.

სერგოს და ტარიელს კოლმეურნეობაში საუკეთესო მექანიზატორებად იცნობდნენ, უყვარდათ სოფელში, როგორც მშრომელი და მუყაითი ახალგაზრდები. ისინი სიმღერითა და ცეკვა-თამაშით წვედინენ ფრონტზე. ტყუბმა ძმებმა წასვლის წინ მამა ვერ მოინახულეს და სანანებლად დარჩათ ეს. ჩქარობდა აბრია. ერთი ორმა დაუთმო კიდევ, მაგრამ მაინც ვერ მოუსწრო, ბიჭების ბოღმა აბრიაობდა. იქნებ

რა ჰქონდათ სათქმელი, იქნებ... ოქროსფერი მამის თავში, — სწრაფი ნაბიჯით გავიდა გარეთ.

აივანზე ვალერიანს ტკბილად ეძინა. აბრია საბანი ვადახდა და ოქროსფერ თმაზე ხელი გადაუსვა.

— მოხვედი, მამა! — ბიჭმა თვალი გაახილა.  
— ხომ არაფერი დაუბარებიათ სერგოს და ტარიელს?!

— არაფერი, ტარიელმა დილას ტრაქტორი ვადამაბარა და წაიქცა!

— მამა წაიქცა, არა?! — ისევ დრუბლებში მოკუბრავ მთვარეს შეხედა, რაღაც წაიხურჩხულა და მძიმე, დაღლილი ნაბიჯით შევიდა შინ.

\* \* \*

აბრია მშინ დილას სიცოცხლე და ხალისი შემოეტანა სოფელში. დიდი და პატარა საყოლმეურნეო მინდვრებში მიეშურებოდა. ალუბლებსა და ვაშლის ხეებით დარჩილილ ორღობებს ურემებს გახმული ქრიალი და „პამოპოს“ ძახილი აფხიზლებდა.

ტარიელი ჩქარა ნაბიჯით შევიდა ეზოში და თავის უმცროს ძმას შესძახა:

— ვალერიან, ხომ არ დაგეძინა, რა იქნენ?!

— მოვდივარ, ტარიელ, მოვდივარ! ბიჭმა სწრაფად ჩაიბრძინა კიბეები. ჭრელი ხურჩინი ცხენს გადაკიდა და ძმას გვერდში ამოუღდა. ტარიელი და ვალერიანი სულ რაღაც ორიოდე საათში სატაბარუკოს შავლაგადახმულ მინდორში იყვნენ. აქ უკვე მოსულიყვნენ ბრევიდირი შალვა კრაწაშვილი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლადო შაიშვილი.

თავმჯდომარემ ვალერიანს თავზე ხელი მოუთათუნა და ღიმილით უთხრა ტარიელს:

— ამ თითხსხელა ბაღმა რა უნდა გავიკეთოს, ტრაქტორზე მუშაობა ამას „ჩილიკობა“ ხომ არ ჰგონია?!

— რა ვიცი, ძალიან კი მოიწადინა, მიმბეგლავ წამიყვანე, არ შეგარცხენო!

ვალერიანი ვაწილდა. ვანა ისეთი რა მძიმე საქმე იყო გასაკეთებელი, რომ 14 წლის ბიჭი ვერ შესძლებდა. მამა ოთხდღეა ხარკამებს მთელ თვეს ანდომებდა, ესენი კი ტრაქტორისთვის თანამეწმენდაც უარს ეუბნებოდნენ, პატარააო.

ბიუს პირველად მართლაც გაუქცოდა. მტვრემა და უძილობამ ისე შეაწუხა, ღამის შინ გაქცეულიყო, მაგრამ ვერ იცისრა. ძმის ყოველგვარ დავლებას უყოყმანოდ ასრულებდა. იცდა ოთხთვალა ტრაქტორს გამომზღო გუთანზე და მიწის შვე ბელტებს ჩასუქებოდა.

დილით, სანამ ხგნას დაიწყებდნენ, ვალერიანი საუვლდავად ამზადებდა ტრაქტორს. წმენდა მტრისაგან, საბურავებს ტლახს იცილიდა, საწვავ-საცხს უმარჯვებდა. მერე კი

თავის გუთანს მიუბრუნდებოდა. ტარიელს, თუ-  
მცა არ იმჩნევდა, გულში უხაროდა, რომ თა-  
ვისი უმცროსი ძმა დიდ ინტერესს იჩენდა  
ტრაქტორისადმი. ხანდახან რომელიმე ნაწილი  
რომ გატყდებოდა, თუ როგორ შეიძლებოდა  
მისი მკურნალობა, ამის შესახებ საკუთარ მო-  
საზრებასაც კი გამოთქამდა და ეს აოცებდა.  
ვალერიანს მალე შეეჩვია ტრაქტორს, უმო-  
კლეს დროში სრულყოფილად დაეუფლა მექა-  
ნიზატორის რთულ, მაგრამ საინტერესო პრო-  
ფესიას.

ერთ დღეს ტარიელი შეუძლოდ იყო. შეწუ-  
ხდა ვალერიანი, მაინც არ წამოსცდენია, მე  
მოგხნავ, საუკესთან მე დამსვიო, სანამ თვი-  
თონ უფროსმა ძმამ არ გასუცხადა:

— ვალერიან, შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ,  
თავისუფლად შეგიძლია მართო ტრაქტორი,  
ნებას გრთავ, დღეს საუკეს შენ მიუჯდე!

ბიჭი ისე აღელდა, გული ლამის ამოვარდნო-  
და ბუდლიდა. მუხლებშიც რაღაც სისუსტე ივ-  
რძნო. ვალერიანი გულნიდან გადმოვიდა და  
ტრაქტორის საუკეს მიუჯდა. პირველი კვალი რომ  
გაავლო, თავისუფლად ამოსისუნთქა. გულიც ჩა-  
უდგა საგულეს და დონეც დაუბრუნდა.

ტარიელი განაპირას იდგა და დიმილით შეს-  
ცქეროდა საუკესთან წამოსკუპებულ თითისხელა  
ბიჭს.

როცა თავმჯდომარე მეორედ ეახლათ და  
ხენახე ვალერიანი შენიშნა, თვალს არ დაუ-  
ჭვრა.

— უყურე შენ, ეს რა ყოჩაღი ბიჭი ყოფი-  
ლა!

— ვგრძა, ძია ლადო, საქმის სიყვარულმა და  
მონდომებამ ასე იცის, ვალერი ტრაქტორის-  
ტად არის დაბადებული!

და როცა ომი დაიწყო და ძმები ჯარში გაი-  
წვიეს, კოლმეურნეობაში იმედოდ ვალერიანი  
დატოვეს. ახლაც კარგად ახსოვს ფრონტზე  
წასვლის წინ უფროსი ძმების დარიგება.

— ამ ტრაქტორს შენ გაბარებთ, თვითგულ ნა-  
წილს უნდა თვალისჩინივით გაუფრთხილდე,  
ბიჭებს არ ჩაუვლო და არ დაამტვრევინო. აბა  
შენ იცი და შენმა ვაჟაკობამ!

ვალერიანს თვალბი აუწყვლიდა. ყელში რა-  
ღაც ვარინა და ვერ გადაეყვალა.

— ფრონტიდან ხომ მალე დაბრუნდებით, ტა-  
რიელ!

— ჰო, მალე დაბრუნდებით. სანამ მოსა-  
ვლას აიღებთ, მე და სერგო აქ ვიქნებით!

ვალერიანი წერილს წერილზე სწვრდა, ძმებს  
ამჩნევდა, ჩვენ კარგად ვართ, ტრაქტორს  
არაფერი უკირს, გამართულად მუშაობს.

თავმჯდომარე იმ დროს გწვია ვალერიანს, რო-  
ცა სამოკეტატორიან მიწის ხენას ამთავრებდა.  
ვალერიანმა თვალი გადააგლო კუბრის ზღვად  
ქცეულ მინდორს და აღტაცება ვერ დამა-  
ლვა.

— შენ მართლა ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ! შე-  
გონა, ამ ნაკვეთს მთელი თვე მოუნდებოდი, ის  
კი არა, ერთ კვირაში გამოუყვანე „წირვა“.  
ვხედავ, რომ შრომაში ბაღალი არ ვყავს, სწა-  
ვლაში როგორაა საქმე?

— ესწავლობ, როგორც შემძლია!

— სკოლაში როდისღა დადიხარ?

— საღამოდ, ავერ მაქვს წიგნები, შესვენე-  
ბისას ვმეცადინებო!

— უნდა ისწავლო, ბიჭო, ჩვენს ქვეყანას  
მცოდნე, განათლებული მექანიკოსები სჭირ-  
დება! — დააიბა თავმჯდომარემ და ფარდუ-  
ლისავენი მიმავალ ვიწრო ბილიც გაუყვა.

ვალერიანმა თვალი გააყოლა ძია ვლადიმერს  
და უცებ მოისაზრა, რომ რაც არ უნდა ვას-  
ქირებებოდა, სწავლისთვის თავი არ ვაგენებში-  
ნა, დაენახებინა ამხანაგებისათვის, რომ მას  
მამაციური შრომაც შეუძლია და კარგად სწა-  
ვლაც. დღისით ხნავდა, საკოლმეურნეო მინდუ-  
რებს ელფერს უცვლიდა, საღამოს კი თავის  
ქურაან ცხენს მოაჯდებოდა და სკოლისავენი  
მიჰქროდა სოფელში.

ვალერიანმა საშუალო სკოლა რომ დაამთა-  
ვრა, სერგო და ტარიელიც დაბრუნდნენ. ტა-  
რიელმა თავისი ტრაქტორი ჩაიხარა და კვლავ  
მინდორს მიაშურა, ხოლო სერგომ ვენახში მუ-  
შაობა არჩია.

თავმჯდომარემ დაიხარა ვალერიანი და უთხ-  
რა:

— შეაგროვე საბუთები და ხეალ ველისციხის  
მექანიზაციის ტექნიკუმში უნდა წახვიდე, სა-  
სწავლებლად, ჩვენ დაგეხმარებით, ხელს შეგი-  
წყობთ!

ვალერიანის სიხარულს საზღვარი არ ჰქონ-  
და. აღარ იცოდა, მადლობა როგორ გადაეხადა.  
იმავე წუთს შეუდგა საბუთების შეგროვებას.  
მეორე დღეს კი ველისციხის სასწავლებელს მი-  
ამშურა.

ნუკრიანელმა კაბუქმა სამი წელი დაჰყო ტე-  
ქნიკუმში. მისი დამთავრების შემდეგ საბჭოთა  
არმიის რიგებში გაიწვიეს. 1952 წლის ვაზფხუ-  
ლზე დაუბრუნდა იგი მშობლიურ კოლმეურნეო-  
ბას და იმ პრივადამი დაიწყო ტრაქტორისტად  
მუშაობა, რომელსაც მისი უფროსი ძმა ტარიე-  
ლი ხელმძღვანელობდა:

ტარიელი უკვე ცნობილი მექანიზატორი იყო  
რაიონში. კოლმეურნეობის თავკაცები პატივს  
სცემდნენ, როგორც მცოდნე და საკუთების  
სპეციალისტს. ვალერიანიც მას ზაძავდა. მის  
კვლას მაჰყვებოდა. როცა ტარიელს რესპუბ-  
ლიკის დამსახურებული მექანიზატორის საპა-  
ტიო წოდება მიანიჭეს, პირველმა მან მიულო-  
ცა ეს დიდი გამარჯვება.

— შრომის ფრონტზე შენც მალე შენახე გა-

თენიანი მორჩიანული  
პრილოზის დელიბატი



მარჯველიო! — ესვეოდა ტარიელი ძმის და მეგრადმი იყავდა.

დღეები დღეებს მისდევდა, წლები — წლებს. თანდათან იზრდებოდა ვალერიანის ავტორიტეტი კოლმეურნეობაში. ხალხში მითქმა-მოთქმაც კი დიარხა, უმცროსმა უფროსს აჯობაო. თუმცა ამ აზრებს შიშობდა ყურამდეც მიიღწია, მაგრამ არც ერთს არ სწყენია, პირიქით, ამ ფარულ შეჭიბვლებს მუდამ სასურველი შედეგი მოჰქონდა. მინდვრად, ხვნის თუ თესვის დროს, ზმირად ერთიმეორის გვერდზე ტრიალებდნენ. ტრაქტორებს, გუთნებს და კულტივატორებს ერთად არემონტებდნენ. საერთო საქმე წინ მიიღოდა და მათაც ეს უნდოდათ.

ვალერიანს ბახტურიძემ ყველაზე მაღალ შრომითს შედეგებს მერვე ხუთწლედის დამაგვირგვინებელ წელს მიიღწია. მან ნაცვლად 820 პირობითი ჰექტარისა, სამინდვრე სამუშაოები 1600 ჰექტარზე ჩაატარა და დაჯილდოვდა 1400 კილოგრამი საწვავი. პარტიამ და მთავრობამ სახელოვანი მექანიზატორის შრომა დიდსულოდ დააფასეს, იგი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით. ვალერიანის ეს ყილღო მარტო მან კი არა, მთელმა სოფელმა იხილა.

ახლა უფრო მეტი საზრუნავი გაუჩნდა ნუკრიანელ მექანიზატორს. მთავრობის ეს მაღალი კილდო უკურო მეტს ავალეზდა. სოფლისა და ხალხის საკეთილდღეოდ საჭირო იყო თავდადებული შრომა, შრომა და კიდეც შრომა. მან სახნავი ტრაქტორის გვერდით ექსკავატორიც გაიპირივნა. როგორც კი დროს გამოჩნახავდა, სასოფლო და საუბნო გზების კეთილმოწყობაზე მუშაობდა. მშენებლობაში ეხმარებოდა თანასოფლელებს. მერე კი კვლავ საკოლმეურნეო მინდვრებს მიაშურებდა. მისი ძირითადი სამოღვაწეო ასპარეზი ზომ იქ იყო. ხნავდა, თესავდა, ნიადაგში სასუქები შეჰქონდა, საგაზაფხულო კულტურებში კულტივაციას ატარებდა, ვენახებს შაბიამის ხსნარს ასხურებდა. სადაც და რასაც კი მისწევდებოდა სახელოვანი მექანიზატორის მაღლიან ხელი, ყველაფერს საგულდაგულოდ აკეთებდა.

გაქირვების ტალკეისაო, ზმირად იტყოდნენ ხოლმე მასზე კოლმეურნეობაში და მართალიც არის.

ერთ საღამოს პარტიული კრება მიმდინარეობდა. საკითხი ეხებოდა იმას, რომ შუა ზამთარში საკვები შემოაქვდა პირტუყვს. თიისა და ნაძვის ზენები კი მეცხოველეობის ბინებიდან ყარვა მანძილზე იყო მოშორებული. ბინებთან მისასვლელი გზა საშინლად ატალახებულიყო და სატვირთო ავტომანქანები შიგ ეფუნდებოდა. საჭირო შეიქმნა ტრაქტორებით თივისა და ნაძვის გაღაზილება, მაგრამ ამ საქმეს არავინ თობდა.

ვალერიანი ფეხზე წამოიგდო და განაცხადა:

— ხვალ მთელ დღეს ჩემი ტრაქტორით მო-

ვემსახურები მეცხოველებს, თიისმანძილში მისი ზეანებს მივზიდავ ფერმებში!

თავმჯდომარეს გაეღიმა, ხოლო მექროხეობის ფერმის გამგეს მაღლობის მეტი არაფერი ეთქმოდა.

მეორე დღეს ვალერიანმა კრებაზე ნათქვამი სიტყვა პირითაღად შეასრულა. უხეში საკვებით მთლიანად უზრუნველყო საკოლმეურნეო პირტუყვი.

ვენახების რესპუბლიკური დათვალეობების დღე ახლოვდებოდა. ერთი ბრიგადის ნაკვეთში ვაზი მოუვლელი იყო, სარეველა მომძლავრებულიყო, კოლმეურნეობის მექანიზატორები კულტივაციას აგვიანებდნენ. ვალერიანმა სათესი აგრეგატი დროებით თავის უფროს ბიჭს გელას გადააბარა. სატრაქტორო პარკიდან გუთან-კულტვატორი გამოიტანა და ორ დღეში ვენახის მთლიან ფართობზე ისე საგულდაგულად ჩაატარა კულტივაცია, რითაშრომისგებში ერბო აიკრიფებოდა.

რესპუბლიკისა და რაიონის ხელმძღვანელები ამ ბრიგადის ვენახების ნახვით დიდად კმაყოფილი დარჩნენ.

ვალერიანს კოლმეურნეობაში ბევრი მიმდევარი გაუჩნდა. თუ აქამდე თავისი ძმის შეგირდად ითვლებოდა, ახლა თვითონ აიყვანა მოწაფეები და მანქანის მართვის საიდუმლოებას ასწავლიდა.

გოგლა შარშიაშვილი 15 წლის ბიჭი იყო, ვალერიანს ტრაქტორის მიმბმულად რომ გააყუვა მინდორში. მისმა ტუბმა სიტყვამ, ცოდნამ და გამოცდილებამ საუკეთესო ტრაქტორისტად აქცია. ახლა გოგლას კოლმეურნეობაში მაღალი არ ჰყავს, თავისი მასწავლებლის ნიჭი და უნარი გამოიტანა.

მას, ვისაც შრომა ეზარებოდა, უნებისყოფობას იჩენდა და არ უყვარდა ტექნიკა, სახელოვანი მექანიზატორი თავის გვერდზე არ გააჩერებდა. ურჩევდა მას, თავი მიენებებინა ტრაქტორისათვის და სხვა საქმისათვის მოეკიდა ხელი.

შოთა ნადირაშვილი მუქდღაღ მუშაობდა კოლმეურნეობის სახელოსნოში. ერთ დილას ვენახში ეახლა ვალერიანს და თხოვა:

— სურვილი მაქვს ტრაქტორისტობა ვისწავლო!

— ძალიან კარგია, ჩემო შოთა, მაგრამ სურვილთან ერთად, მთავარია მონდომება, ტრაქტორისტობა ფაფის ჰემა არ არის. რომ იყო სრულფასოვანი მექანიზატორი, უნდა გაგაჩნდეს საამისო უნარი, უნდა იყო საყოფართო თავისადმი მომთხოვნი. ზოგიერთს ტრაქტორი რომ გაუფუძვლება, არ შეუძლია დაკვირვებით ჩახედოს მას, თუ დროზე ვერ გაუგო დაზიანების მიზეზი, ტრიალ მინდორზე მიაგდებს და სატრაქტორო პარკისკენ გარბის, მიშვევლეთ, დამეხმარეთო. ცოდნა და ნებისყოფა — ორივე ერთად ისევე საჭიროა მემანქანისათვის, რო-



გორც წყალი და საწვავი ტრაქტორისათვის. შოთამ მაინც იხტიბარი არ გაიტეხა, ერთი კვირა აპყვა მას. დარწმუნდა, რომ ტრაქტორისტობა მისი საქმე არ იყო, კვლავ კოლმეურნეობის სახელისნოს დაუბრუნდა.

ვალერიანს დიდად ემადლიერებდა თავის აღზრდილებს ნიკოლოზ მაზიაშვილს, თემურ ფირაშვილს და ბექან კრაწაშვილს. ახლა ისინი კოლმეურნეობაში წამყვანი მექანიზატორები არიან.

— „მასწავლებელს“ პატივი მცეს და: ამაგი დამიფასესო! — იტყვის ხოლმე სიცილით ვალერიანი. მათი მარჯვენით კეთდება კოლმეურნეობაში ყველაფერი. თუმცა ისინი შრომის სხვადასხვა უბანზე მონაწილეობენ, მაგრამ ერთ საერთო საქმეს ემსახურებიან — ზრიან მშობლიური კოლმეურნეობის ზევსა და ბარაკას, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ტემპს, იბრძვიან მშობლიური სოფლის აყვავებისა და აღორძინებისათვის.

\* \* \*

ვალერიან ბახტურიძე აღფრთოვანებული დაბრუნდა მოსკოვიდან, დაბრუნდა ღრმა, ყოვლისმძლვე იდეებით შთაგონებული; თავის თანასოფლელებს გატაცებით უყვებოდა იმ დიდ ამოცანებზე, რომელიც პარტიის XXIV ყრილობამ დაუსახა საბჭოთა მშრომელებს.

— მე და ჩემი მეგობრები კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებით მე-9 ხუთწლედში გაწარმოებთ უხე პროდუქციას ნაყლები დანახარჯებით! — ასეთი გადაწყვეტილებით წარსულმა იგი საქართველოს კ XXIV ყრილობაზე, როგორც დელეგატი სიღნაღის რაიონიდან, ხოლო სულ ცოტა ხნის შემდეგ ისევე ამ გადაწყვეტილებით შეაღო კრემლის ყრილობათა სასახლის კარი, როგორც დელეგატმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციიდან.

მოსკოვიდან ჩამოსვლის მეორე დღესვე გაიმართა ნუკრეანელ მშრომელთა საერთო კრება, სადაც მექანიზატორებმა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ახალი გადღებული ვალდებულებები იკისრეს. ნუკრეანელებმა მე-9 ხუთწლედში უნდა აწარმოონ 97.109 ცენტნერი მარცვალი. მათ შორის 63.307 ცენტნერი ხორბალი, 20.451 ცენტნერი ქერი, 7.103 ცენტნერი მზესუმზირა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ამ ვალდებულებათა შესრულება ძირითადად კომპლექსური მექანიზაციის გამოყენების ხარჯზე მოხდება. მექანიზატორებს ამკრად დიდი და საპატიო ამოცანა აკისრიათ. თავდაუზოგავი შრომით, საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა წარმოებაში სრულყოფილად დანერგვით მოიყვანონ გვეგიორგ მეტი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი.

დაიწყო თუ არა მეცხრე ხუთწლედის მეცხრე ვადამწყვეტი წელი, კოლმეურნეობაში უპრობლემოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. განსაკუთრებით კი მექანიზატორებმა გამოიღეს თავი. თვითელმა ხენა-თესვის გადღებული ვალდებულება აიღო და ჩაება მისი შესრულებისათვის ბრძოლაში.

პირადად, ვ. ბახტურიძემ ივალდებულა, რომ ნაცვლად გვიგვით გათვალისწინებული 890 ჰექტარისა, მიხვანდა 1600 ჰექტარს და დაზოგავდა 1500-მდე კილოგრამ საწვავს. როცა შეჯამდა შრომათა შედეგები, გამოირკვა, რომ სახელოვანმა მექანიზატორმა ვალდებულების ზევით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ჩაატარა 570 ჰექტარზე და დაზოგა 420 კილოგრამი საწვავი, ე. ი. ხენა-თესვის გეგმა ორმაგად შეასრულა. სოციალისტურ შეჯიბრებაში ასეთი დიდი გამარჯვებისათვის ბრიგადას, სადაც ვალერიანი შრომობს, კომუნისტური შრომის დამკვირვლის საპატიო წოდება მიენიჭა, თვითონ საქართველოს კ სიღნაღის რაიონისა და რაისაბჭოს აღმასკომის მიერ დაჭილდოვდა სიგელით და ფასიანი საჩუქრით.

ასეთი მაღალი წარმატება მიწოდებლი საქმიანობი დიდმა პასუხისმგებლობამ და ჭეშმარიტმა სიყვარულმა განაპირობა. ნუკრეანელი მექანიზატორები ბევრით შრომით ხორცს ასხამენ პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. როცა ტრაქტორის საქვს უზის, თათქოს ახლაც ყურში ჩაესმის სკვპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრევენევის ღრმშინაარსიანი სიტყვები.

„სოფლის მეურნეობის აღმავლობა დამოკიდებულია არა მარტო სოფლის მშრომელებზე, არამედ ბევრად დამოკიდებულია მრეწველობის მუშაკთა, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეთა მეცადინეობაზეც. პარტია მოუწოდებს მათ ღირსეული წვლილი შეიტანონ ამ დიდ, ჭეშმარიტად საერთო-სახელმწიფო, საერთო სახალხო საქმეში.“

საქიროა, რომ ჩვენი საგვემო და სამეურნეო ორგანოები, მთელი პარტიული კადრები დიდად ზრუნავდნენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა დაჩქარებისათვის. ამ საკითხის მნიშვნელოვან განსაზღვრავენ როგორც ჩვენი დღევანდელი სამეურნეო პრაქტიკის საარსებო მოთხოვნილებანი, ისე ხელონდელი ღღის მოხონებაც.“

ვალერიანს გულს უხარებს ის, რომ მეცხრე ხუთწლედში საგრიზობლად გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო მექანიზატორების რაოდენობა, მოძველებული გზას დაუთმობს ახალს, პროგრესულს.

სახელოვანმა მექანიზატორმა კარგად იცის,

თენგიზ მორჩილაშვილი  
ჟრილიანის დაღმბაძი



რომ საქმე მართო მანქანების რაოდენობა კი არ არის, არამედ მისი ხარისხია. თუ როგორ გამოიყენებენ ტექნიკას წარმოებაში, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. არ ავიწყდება ისიც, რომ უდაბიანოდ ტექნიკა მკვდარია. აღამიანს უნდა შეეძლოს მისი კარგად მართვა და საგულდაგულად უფრთხილდებოდეს „რკინის ხარს“.

მექანიზატორთა მაღალკვალიფიციური კადრები ყველა მეურნეობაში საქმაოდ უნდა იყოს. კადრების აღზრდა, მათი ლაოსტატება მცოდნე და გამოცდილმა მექანიზატორებმა უნდა იყოს. ხარ სოფელში? უნდა შეეძლოს მანქანის მართვა. — ასეთია ცხოვრების სადღესო მოთხოვნა.

\* \* \*

მექანიზატორებს აკაცებობს ჩრდილში პურ-მარლიო გაეშალათ და მდიანად შეექცეოდნენ. მათ შორიასლოს კი რიგში ჩამწკრივებული ტრაქტორები რიტმულად გუგუნებდნენ.

— კარგი სადილი მოგიზადებია, ძია პეტო! — თქვა ვალერიანმა და პურის ნატეხს წამოაგლო ხელი.

ბერიკაცს კმაყოფილებით გაეღიმა, სადილი რომ შეუქვს.

— ახლა ამის გაკეთებული ტოლმა გაჩვენათ, როგორია! — დაუმატა თენგიზ მანჯათარაშვილმა.

ბიჭებს ტოლმის სხენებაზე ნერწყვი მოადგათ პირზე.

— ავთანდილ, მთელი საქართველო ფეხით შემოგვივლო, შენი მზესუმზირის ზეთით მორწყულია ქვეყანა, მართალი გვითხარი, ამ სუბს რამე შეედრება?! — თქვა ზაურ მკვდლიშვილმა და სუბით პირთამდე სავსე ჭამი ტურთან მიიტანა.

ბიჭებმა გულთანად გადაიხარხარეს, მხოლოდ ავთანდილს არ გასცინებია. იქდა თავიანდუნული, ყურებამდე გაიფთლებული და მოკეცილი მუხლებში ჩადებულ ჭამს ერთთავად ჩასტკეროდა.

ავთანდილი ორ წელზე მეტი იყო, კოლმეურნეობას არ გაჰკარებია. ეს ჯანდონით სავსე ვაჟიკი ხან მზესუმზირით ვაჭრობდა, ხან კარტფილით. ზეთით სავსე ბალონები ბათუმში მიჰქონდა, იქიდან კი დაფნის ფოთლი ჩამოჭონდა და ბოდბისხევის ზაზარში მამისისხლად ყიდდა. კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა რამდენჯერმე ვაფრთხილეს, სპეკულანტობას მოეშვიო, მოდი კოლმეურნეობაში, კეთილსინდისიერად იმუშაე, სამაგისო რა გვირსო, მაგრამ ავთანდილმა არავის გაუგონა. ფულმა ისე „წაახალისა“ — რესპუბლიკის გარეთაც კი დაიწყო ვაჭრობა.

ერთხელაც კოკა წყალზე გატყდა, დაიკირეს და ორი წლით ციხეში მიაპრძინეს. ციხიდან რომ გაათავისუფლეს, სახლში ჩაიკეტა და გა-

რეთ აღარ გამოდიოდა. მეზობლებისა რეზინისა და, ვრიდებოდა, სახეზე ვერავის უყურებდა.

ერთ საღამოს ვალერიანი სახლში ესტუმრა. ავთანდილს ხელი ჩამოართვა, მოიკითხა:

— როდემდე უნდა იქდე შენ, სამუშაოდ რატომ არ გამოდიხარ?

— ნაირიანი ვის რაში ვჭირდები?! — მხრები იიჩეჩა ავთანდილმა და ღრმად ამოიხარა.

— აბა, შენს ცოლშვილს რჩენა ხომ უნდა?

— კი, მაგრამ როგორ მოვიქცე?! — ავთანდილი ნერვიულობამ აიტანა.

— თამგჯლომარგს მე მოვიდაპარაკები, ისევე შენს ძველ პროფესიას უნდა დაუბრუნდე, ჩემეულ ტრაქტორს ჩაგაბარებ!

ავთანდილმა გულში რაღაც შეება ივრძნო. მოთენილ სხეულშიც რაღაც სიამისმოამგვრელი სითბო ჩაელვარა.

— მოხერხდება ვითომ?! —

— ეგ ჩემზე იყო, შენ ოღონდ გამოდი!

ვალერიანი წამოდგა და კარისაკენ გაემართა. თვალი გააყოლა სიყრმის მეგობარს და გაახსენდა მასთან გატარებული ბავშვობის წლები. მათ ხომ ერთად დაამთავრეს ვილისციხის მექანიზაციის ტექნიკუმი, მერე ვალერიანი ჯარში წავიდა. ავთანდილი კი ტარიელის ბრიგადაში დარჩა სამუშაოდ. ძველი, გამოცდილი ტრაქტორისტები დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე. ვალერიანიც ჩამოვიდა და მათ შორის უფრო მეტი ხალისი, შინაარსი მიეცა. საკოლმეურნეო მინდვრებში მათი მარჯვნივთ გაკეთებული საქმე მუდამ სამაგალითო იყო.

მერე ავთანდილმა რატომღაც გული აიკრუა, ვაჭრობას მიჰყო ხელი. სიყრმის მეგობარმა ბერი უჩჩია, ტრაქტორს წუ მიატოვებ, ასე არა სჭობიაო, მაგრამ არ შიშინა.

ახლა კვლავ ვალერიანის გვერდითაა, ერთად ხნავენ და თესვენ, ერთად მკიან და ლეწავენ, საღამოობით ერთად მიდიან შინ.

ავთანდილი მუდამ მაღლიერებით სავსე თვალებით შესტკერის ვალერიანს როგორც იმედს, მის დამცველსა და მოსარჩელს.

ნუკრიანელი მექანიზატორები, მესამე დღეა, რავთაშორისებს ამუშავებდნენ. ჯერ კიდევ 1972 წლის შემოდგომაზე, როცა რთველი ჩამთავრდა, მევენახე ტრაქტორისტებმა სოკოლისტურ შეჯამრებაში გამოიწვიეს ამავე სოფლის მეორე კოლმეურნეობის მექანიზატორები. შეჯამრების პირობები ასეთი იყო: ვინ უკეთ დაამუშავებდა ვაზს, ჩაატარებდა მწვანე ოპერაციებს და ყურძნის უხვ მოსავალს მოიყვანდა.

ვალერიან ბახტურიძე ამ შეჯამრების ერთპიროვნულ ლიდერი გახდა. 256 ჰექტარი ვენახის ერთი მესამედი მართო მან დაამუშავა და საკოლმეურნეო გარდამავალი წითელი დროშა დაისაკუთრა.

ტრაქტორის მომზადებული გუთან-კულტივატორი წინ მიიწვედა და მსხვილიერ ვაზს ძირებს უფხვიერებდა. ვალერიანი ხანდახან ავთანდილს გადახედავდა, რომელიც მის შორიანლოს მართავდა ტრაქტორს, თბილად გაუღიმებდა სიყრმის მეგობარს და წაილიინებდა.

ვაზს კარგად ესხა, ამიტომ დიდი სიფრთხილე იყო საჭირო იმისათვის, რომ ტრაქტორი არ მოსდებოდა და რქა არ მოემტვრია. ბიჭები ამაში დასტურებულები იყვნენ. მათ ნამუშევარს წუნს ვერ დასდებდა კაცი. ამ ორ დღეში კულტივაციას მორჩებოდნენ და მერე მესამე წამლობაც დაიწყებოდა. ამ ოპერაციის ჩატარებას ვალერიანი თავის უმცირეს კოლეგებს თემურ ფირაშვილსა და თენგიზ კრაწაშვილს მიანდებდა. თვითონ კი „ლტ-54“ მარკის ტრაქტორის საქვის მიუჭვდებოდა და ხელისგულივით გადაშლილ ველს ეახლებოდა სახნავად.

\* \* \*

გელა გუშინ უნდა ჩამოსულიყო თბილისიდან და არ ჩამოვიდა. ნეტავ ხომ არაფერი შეემთხვა, რაშია საქმე? გამოცდები კარგად ჩააბარა... იქნებ ქულები არ ეყო? — ვალერიანმა ღრმად ამოისუნთქა, სახნავი ტრაქტორი უცებ დაამუხრუჭა და ძირს ჩამოხტა, ტრაქტორის წინ დაგდებულ რკინის ვეგება ნაჭერი აიღო და შორს მოისროლა.

— ეს ამხელა ქართი სად დაუგდიათ, კარგია, შეგნიშნე, თორემ გუთანს დამიმტვრევდა! — ის იყო საქმე მიუჭდა, რომ ხმა შემოესმა. ვალერიანმა თავი გამოიყო და უკან გაიხტა.

ქიტვსა ბრავადირი ხელს უქნევდა, მოიკადღო!

— ნეტავ რა უნდა, ახლა ვაცდენის დროა, კაცი! — აბუღუნდა ვალერიანი.

ბრავადირი გაღიმებული მოვიდა და ხელი გაუწოდა.

— სამახარობლო რა იქნება, ჩემო ვალერიანი! ტრაქტორისტი მოდლილი, უშილო თვალეებით მიჩერდა სახეზე, გულმა ბავაბუგი დაუწყო. მუხლებში ისეთი სისუსტე იგრძნო, კარგია იქნა, თორემ ფეხზე რომ მშვადარიყო, ალბათ ჩაიკეცებოდა. ცოტა ხანს ხმა ვერ დასწრა, შუბლად ეხსენებოდა და თვალეებში თანდათან ღიმილის შუქი ეფინებოდა.

— მითხარი, თუ რამე იცი, ნუ დამლიე კაცი!

— გელა უნივერსიტეტში ჩაირიცხა, ავერ იქ არის. გიცდის! — ქიტვსამ ხელი გაიშვირა შიფერით გადახურული ვრამელი შენობასაკენ. ვალერიანი ტრაქტორიდან გადმოხტა და ბრავადირს მზისაგან გაშვებულ, დაუფრთხილი მკლავები შემოაქლო.

— შენი პატივისცემა ჩემზე იყოს, მართლაც კარგი მახარობელი ყოფილხარ!

გელა ბოძს მიყრდნობოდა და კუბრის ზღვიდ-ქცულ მინდორს ათვალიერებდა. მამა რომ დაინახა, ღიმილით წამოვიდა მისკენ. მერე მკლავები გაშალა და მოეხვია.

— ყოჩაღ, რომ მასახელე შევიღო, ყოჩაღ! — მარჯვენამაღლიან მექანიზატორს სიხარულითა და ბედნიერებით სავსე გული მვერდში აღარ ეტეოდა.

— დედა იცი?

— კი, იცი. გუშინ საღამოს ჩამოვედი ქალაქიდან!

— ხომ გაუხარდა?

— დედას კი გაუხარდა, მაგრამ ბებუას ეწყინა!

— მაშ არ მოსწონს, შვილიშვილი გეოლოგი რომ ეყოლება?

— აქეთ რომ მოვდიოდი, ბებუამ მომამახა: ექიმობა არ ინდომე არა, წადი ეხლა და მამაშენივით მიწა ჩიჩქნეო!

ვალერიანმა გულიანად გადაიხარხარა.

— გლუხაცს მიწა უნდა უყვარდეს. მისი ფასი და ყიდრი ბევრმა არ იცი. იმას მნიშვნელობა არა აქვს, შენ გეოლოგი იქნები თუ არქიტექტორი, ჩვენ ყველა მიწის შვილები ვართ და უნდა გვეყვარდეს! — თქვა ვალერიანმა და მზის სხივებით აელვარებულ ველ-მინდორებს მიმოავლიო თვალი. მერე ქიტვსას მიუბრუნდა:

— მოლოცოკლეტი წაიყვანე გელა და „ბასკოლიანში“ დამხედლი. ორიოდე შემოვალა დამარჩა, მოვათავებ და მეც ახლავე ამოვალ!

ვალერიანი კი არ მიდიოდა, მიფრინავდა ტრაქტორისაკენ, პატარა ბიჭივით შეხტა და თითქოს იგრძნო პატრონის დიდი სიხარული და მანაც მძლავრად გასწია.

შავი ნიყორი ბელტები რიგში ეწყობოდა, გუთანი ღრმა კვალს ტოვებდა, ვალერიანი ხანდახან გამოიხედავდა უკან, მიწაში ჩამსვებულ, მოცახცახე გუთანს კმაყოფილებით გაუღიმებდა და კვლავ მის გაღმა-გამოღმა მეტოქეთა მოგუგუნე ტრაქტორებს ომანიანად შეუძახებდა:

— აბა, ჰე, რომელი აჯობებთ ჩემს „ლაბა ხარს“... ტყუილად ცდილობთ, ეს პატარა, წითელი დროშა ჩვენია და სამუდამოდ ჩვენთან დარჩება.

ავგიტოს სიცხე ჩამდგარიყო „სატამარეუს“ გაშლილ ველზე. ცისარტყელასავით ერთო პორიზონტის ცისფერი ზოლი. შუადღე თვლემდა ზაფხულის კანდამსკდარ მხრებზე. სამარისებურ სიწყურდროვეს მხოლოდ ტრაქტორების გაბმული გუგუნე არღვევდა.

ორდენოსანი მექანიზატორი დაკუნთული მკლავებით ჩაფრებოდა ტრაქტორის საქვს და სახეგავითქული სრულიადაც ვერ გრძნობდა სიცხე-პაპანიქებას. ხნავდა შეუსვენებლივ, ხნავდა და წინ ეწყოდა რაღაც დაუოკებელი ძალა, სურვილი და შემართება, მუდამ გამარჯვების მტკიცე რწმენას რომ უნერგავდა მას.



ნიკო ქვეზირაძე-ქოხაძე

## გაფხულის კომედიონი მოდოხვილთან ერთად

(ნოზონება)

სტუდენტობისას ზაფხულის არდადეგებს მუდამ დაბა მანგლისში, მამიდაჩემის ნატალია ბარათაშვილის ავარაკზე ვატარებდი.

მამიდაჩემი ნატალია (1854—1919 წწ.), ლევან ბარათაშვილის მეუღლე, ახალგაზრდა დაქვრივდა (1877 წ.), უშვილო დარჩა და მთელი თავისი მშობლიური მზრუნველობა და სიყვარული, ჩვენზე, თავის მძისწულეებზე ვადმოიტანა, მეტად კეთილი, მოსიყვარულე და ქველმოქმედი ადამიანი გახლდათ.

ფიქვანარში ჩამირული მისი ავარაკი ზაფხულობით ყოველთვის ღია იყო დამსვენებლების — უმთავრესად ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებისათვის. სტუმართა შორის ხშირად იყვნენ ქართველი მეცნიერები, მწერლები, ლიტერატორები, მუსიკოსები. ეწყობოდა ექსკურსიები მანგლისის სანახებში თვალსაჩინო ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად, იმართებოდა შეკრებები, სხვადასხვა გასართობები და ა. შ.

მეხსიერებაში განსაკუთრებით აღმებეჭდა 1912 წლის ზაფხული. იმხანად მანგლისში ისვენებდა გადსახლებიდან ახლად დაბრუნებული, მეფის ხელისუფალთაგან დევნილ-ტანჯული სახელოვანი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე იროდიონ ევდოშვილი.

რამდენიმე სიტყვა იროდიონ ევდოშვილის მასპინძლის — მამიდაჩემის ნატალიას და მისი ქმრის ლევან დიმიტრის ძე ბარათაშვილის (1830—1877 წწ.) ოჯახზე. ვფიქრობთ, ეს ერთგვარად საინტერესო იქნება ქართული საზოგადოებრიობისათვის.

ლევანის მამა დიმიტრი გიორგის ძე ქვემო ქართლის მემამულე ბარათაშვილთა ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელი იყო. მას ჰყავდა ქალ-

ვები: სოფიო და ლევანი. ეს უკანასკნელი ბავშვობაში დაობლდნენ. მიუხედავად ამისა, სათანადო განათლება მიიღეს. თავისუფლად ფლობდნენ ქართულ და რუსულ ენებს. როგორც იმხანად საქართველოში წესად იყო მიღებული, სოფიომ სწავლა-განათლება ოჯახში მიიღო. ლევანს კი დაუმთავრებია ერევნის სახელობის ცნობილ ლეგიონთან არსებული ახალგაზრდობის სკოლა.

1849 წელს 19 წლის ლევანს სამსახური დაუწყია ამიერკავკასიის საკარანტინო-საბაჟო სამმართველოში თარჯიმნის თანამდებობაზე. ამ სამმართველოს 1847 წლიდან მეთაურობდა გენერალ-ლეიტენანტი მიხეილ ივანეს ძე ევრებცოვი, რომელიც 1842 წლიდან იმყოფებოდა თბილის-იმერეთის გუბერნატორის თანამდებობაზე და იმავე დროს ითვლებოდა ამიერკავკასიის მთავარ სამმართველოს საბჭოს წევრად. საბაჟოების უფროსად ყოფნისას მას გაუცნია თავისი ზელქვეითის, ლევან ბარათაშვილის და სოფიო, რომელიც მალე ცოლად შეურთავს.

მ. ი. ევრებცოვი 1853 წელს გადაყვანილ იქნა რუსეთში სრულიად რუსეთის სენატორად, ინფანტერიის გენერლის წოდებით. თავისი ოჯახი ჩაუყვანია ჯერ პეტერბურგში, ხოლო შემდეგ, როცა სენატის მოსკოვის დეპარტამენტის სენატორად დაინიშნა — მოსკოვში.

აღნიშნულ ამბებთან დაკავშირებით ლევან ბარათაშვილს თავი დაუნებებია თბილისის საბაჟოების სამმართველოში სამსახურისათვის, თან გააყოლია თავის დას — სოფიოს და სიძეს მ. ი. ევრებცოვის. რუსეთში იგი 1853—1874 წლებში მსახურობდა სხვადასხვა სამხედრო შენაერთებში, მათ შორის 1854—1856 წლებში მონაწილეობდა სევესტოპოლის დაცვაში.



როგორც ჩანს, ლევან ბარათაშვილი თანამო-  
სამსახურეთა შორის ყველაზე განათლებული  
და განვითარებული ოფიცერი ყოფილა. მას  
შეუღღვენა ჯარისკაცთა საერთო სარგებლობის  
ცნობარო:

«Русская азбука для полковых, батальон-  
ных, ротных, эскадронных и сельских школ.  
Составил 18 пехотного резервного батальона,  
штабс-капитан Л. Д. Баратов. Москва,  
1871 г.»

ამ სამოცდათექვსმეტგვერდიანი ნაშრომის დე-  
დანი დაუტოლა მის საბუთებში. გაურკვეველია,  
დაიბეჭდა თუ არა იგი იმ დროს, თუშეკა აქვს  
საქნუსურო კომიტეტის ნებართვის გრიფი —  
„1871 წ. მაისი“.

1874 წელს ლევან ბარათაშვილი საქართვე-  
ლოშია. აქ განაგრძობს სამხედრო სამსახურს.  
1874 წლის ღვინობისთვეში დაქორწინდა თბი-  
ლისის მკვიდრი მოქალაქის, ხელოსან-ქურჭჩის  
ნიკა კეზერელი-კობახის ქალიშვილ — ნატა-  
ლიაზე.

1876 წელს ლევანი გავიდა არმიის თადარიგ-  
ში კაპიტნის წოდებით და დასახლდა თბილის-  
ში სიმამრის ბინაში. მაგრამ დიდი ხანი არ  
უტოცხლა, გარდაიკვალა ჯერ კიდევ ახალგა-  
ზრდა — 47 წლისა (1877 წ.). დაკრძალულია  
მანგლისის ძველი ტაძრის ვალავანში. მისი მე-  
უღლე — ნატალია, რომელიც 23 წლის ასაკში  
დაქვრებდა, არ გათხოვდა, დროგამოშვებით  
ცხოვრობდა ხან მანგლისში, ხან კი თბილის-  
ში — ძმის ივანეს ოჯახში.

მისი მული სოფიო — სენატორ ს. ი. ყერეზ-  
ცოვის მეუღლე საბოლოოდ დარჩა რუსეთში,  
მოსკოვში, მაგრამ ფიქრითა და გონივრით მე-  
დამ მშობლიურ საქართველოში იმყოფებოდა.  
იგი თბილისიდან იწერდა იმ დროის ერთადერთ  
ქართულ ჟურნალს, ი. ყერეზელის „ცის-  
კარს“ ამ ჟურნალის 1861 წლის მარტის ნო-  
მერში (№ 3), 472 გვერდზე მოთავსებულია  
ჟურნალის ხელისმომწერთა სია, სადაც აღნიშ-  
ნულია, რომ 1861 წელს ჟურნალი ეგზავნე-  
ბოდათ პეტერბურგში: სოფიო ყერეზცოვას,  
დავით ბაქრაძეს, დიმიტრი მაკაევიანს, უნივერ-  
სიტეტის ბიბლიოთეკას. საქართველოს ამ  
მხურვალედ მოსიყვარულე შვილმა მასთან და-  
გროვილი ჟურნალ „ცისკარის“ 1861—1862  
წლების კომპლექტები გადმოგზავნა თბილისში  
თავის რძალ ნატალიასთან, როგორც ძვირფა-  
სი განძი. ამჟამად ისინი დაუტოლა ჩემს საო-  
ჯახო ბიბლიოთეკაში.

რუსეთში ცხოვრების მიუხედავად, სოფიო  
ბარათაშვილს არ დაუეწყია ქართული ენა, ქა-  
რთული წერა-კითხვა. რძალ ნატალიასთან მი-  
მოწერას ქართულ ენაზე აწარმოებდა. უნდა  
ითქვას ისიც, რომ სოფიომ თავისი წილი საგ-  
ვარეულო მამულებსა უსასყიდლოდ გადასცა  
რძალს.

სოფიოს შეეძინა მხოლოდ ერთი შვილი —

ნინო. იგი გათხოვდა სახამებლის და სარჯის  
ფაბრიკანტ ვლადიმერ სმოლიანინოვზე. მე-  
უღლე უღირსი აღმოჩნდა, განუწყვეტლივ ქე-  
ფში მთლიანად გაანიავა დიდძალი ქონება.  
თავისი ორი ქალიშვილი ანა და ნინო კი უპა-  
რონოდ და უსახსროდ დატოვა. დედის სიკვ-  
დილის შემდეგ ამ გაუთხოვრად დარჩენილ ქა-  
ლოშვილებს მზრუნველობა გაუწია მამიდაჩემმა  
ნატალიამ. პირველი იმპერიალისტური ომის წინ  
ისინი საცხოვრებლად ჩამოვიდნენ საქართვე-  
ლოში, ნატალიას ოჯახში, მაგრამ ვერ შეეგუენ  
აქურობას და, დაიწყო თუ არა ომი, გაემარ-  
თნენ კავკასიის ფრონტზე მოწყალეების დებდ.  
შემდეგში უკან აღარ დაბრუნებულან.

მიუხედავად ამისა, რომ ბარათაშვილთა საგ-  
ვარეულოში ლევანი ყველაზე მცირე ქონების  
პატრონი იყო, მისმა ქვრივმა ნატალიამ თავისი  
ძმის ივანეს დახმარებით შეძლო დაბა მანგლის-  
ში აეშენებინა ქეთიკირის სახლი-ავარაკი, სა-  
დაც 1912 წლის ზღვებულში გვეწვია პოეტრი  
იროდიონ ველოშვილი და რომელიც ამჟამად  
მოთავსებულია მანგლისის 1 საბავშვო სანატო-  
რიუმში.

მაშინ მანგლისში ისვენებდნენ აგრეთვე ცნო-  
ბილი პროფესორ-ქიმიკოსის პეტრე მელიქიშ-  
ვილის და-ძმა: გავთ „დროების“ ყოფილ რე-  
დაქტორის სერგეი მესხის ქვრივი — ექვე მეს-  
ხი და ლიტერატორი და საზოგადო მოღვაწე  
სოსო მელიქიშვილი, რომელიც ამავე დროს  
კარგ მონადირედ ითვლებოდა.

მოელ დღეებს ვკვარებდით კულტურულ და  
პატრიოტულ სულისკეთებით დამუხტულ გა-  
რემოში. აქ ჰყვებოდნენ ქართველ სახელოვან  
მწერლებზე, საზოგადო მოღვაწეებზე, მათს  
ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. სჯაბაასის  
სულსა და გულს წარმოადგენდა იროდიონ  
ველოშვილი. ამასთან იგი ჰყვებოდა იმ ტანჯა-  
წვალებაზე, რის გადატანაც უხდებოდა გადა-  
სახლებაში ყოფნისას, რამაც დააუძლურა, მიძი-  
მე განუტურნებელი სენით დაავადა იგი.

აქტიური თანამოსაუბრებთან იყო სოსო  
მელიქიშვილიც. იგი გვიამბობდა თავის შეხვე-  
დრებზე გამოჩენილ ქართველ მწერლებთან და  
მოღვაწეებთან. ეს შეხვედრები კი საკმარ  
ხშირი იყო, რაშიც დიდმნიშვნელოვან როლს  
ასრულებდა ის გარემოება, რომ სოსო მქმს-  
თან — სტეფანესთან ერთად თბილისის ჰქონ-  
და კერძო სტაბა, სადაც იბჭებებოდა იმ დრო-  
ის ქართველ მწერალთა ნაწარმოებები. სოსოს  
უსასრულოდ შეეძლო ლაპარაკი თავისი დრო-  
ის თითქმის ყველა მწერალზე. განსაკუთრებით  
ილიასა და აკაკის, ვაჟასა და ყაზბეგზე, იაკობ  
გოგებაშვილსა და სხვ., რომლებსაც ხშირად  
შეხვედრიდა. გარდა ამისა, სოსო მელიქიშვილი

ნიკო კვამჩარაძე-კოპპაძე  
ზაფხული კომატ იროდიონ ველოშვილთან  
ერთად

ბევრ საინტერესო ამბავს ყვებოდა ნადირობის თუშაზე ნანახს, გაგონილს, უშუალოდ ვანც-დილს... მის ცნობილ მონადირეებთან ერთად მოგლილი ჰქონდა არა მარტო თავისი სამშობლო, არამედ სხვა ქვეყნების შესანიშნავი სამონადირეო ადგილებიც. ამიტომ მის სამონადირეო „რეპერტუარში“ დიდი ადგილი ეკებოდა საინტერესო თავგადასავლებს და სხვ. სინაღდვილის გავზიადებას, ფანტასტიკურის ნამდვილ ამბავად გამოხატვასაც არ თაკილობდა ხოლმე. მაგრამ იცოდა ზომიერება, ლამაზად და მოხერხებულად გამოსდიოდა, რაც ჩვენც და იროდიონ ევდოშვილსაც დიდ სიამოვნებას გვანიჭებდა, გვაზიარებდა, გვაინებდა. მისი სახელგანთქანი ძმა პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, რომელიც ზამთრობით ჩვენი ოჯახის წევრი სტუმარი იყო, როცა სოსო მონადირეობის ამბების თხრობის ექსტაზში შევიდოდა, დიმილით იტყოდა ხოლმე: იცნობდეთ, ბატონებო, ეს ქართველი ტარტარენ ტარაკონელი ვახლავთო. მუსკუბრეთა შორის იყო კიდევ ერთი ცნობილი მონადირე, შესანიშნავი მსროლელი, მე-თვეზე და მეფუტკრე, მანგლისელი ივანე ჩიტაძე, ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის დიდი ტრფიალი.

მასპინძლობდა მამანემი ივანე კვენცერელი-კობაძე, სახელმძღვანელო ქართველი მრეწველის დავით სარაჯიშვილის გამობრძლი ხელოვანი — არყისა და კონიაკის წარმოების კარგი სპეციალისტი, ამასთან, ცნობილი მონადირე.

თანადროული პოლიტიკური ცხოვრების, მწერლობისა და იმ დროის სხვა საკვირბაროტო საყიბებზე საუბარში ხშირად ისობდა ხუმრობა, მახვილიტყეობა. ამ მხრივ ყველაზე უფრო გამორჩეოდნენ იროდიონ ევდოშვილი და სოსო მელიქიშვილი. ცხარე კამათის შემდეგ იწყებოდა ნარდის თამაში. სადილობისას სუფევდა საერთო სიმხიარული, სიცილი, ოხუნჯობა, ღვინის ზომიერი სმა. იროდიონი ყველას ხიბლავდა თავისი ლამაზი მეტყველებით, საკუთარი ლექსების კითხვითა და სიმღერებით.

ასეთი სურათები ხშირად მეორდებოდა ბუნების წილში, განსაკუთრებით დიქვენარის ქვეშე ნაწილში, სადაც მამიდაჩემმა ნატალიამ ორი ათეული წლის წინათ ცივ ანკარა წყაროს მიიკვლია და აღგეთის თლილი ქვით ლამაზი აუზი ააგებინა. მაშინ მანგლისში ისვენებდა ცნობილი ქართველი ლიტერატორი პეტრე უმიკაშვილი. მან ნატალას თხოვნით შეიტხა წყაროს აუზის ზემოთა ქვაზე ამოსაკეთი წარწერის ტექსტი: „მომიხარაინ წყურეილის მოკვლა, სიკეთის წყურვილს განა მოიკლავ?“ წარწერის ქვემოთ აღნიშნული იყო მშენებლის სახელი, გვარი და აუზის აგების წელი — 1892.

შემდეგში, წყაროს მახლობლად საავარაკო მშენებლობის გაცხოველებასთან დაკავშირებით, კერძო ავარაკების მფლობელებმა დაანგრეს ამ საერთო სარგებლობის წყაროს მშენებრივ

ნაგებობა და დიტაცეს მისი კვება. წყაროს წყალი კი ერთ-ერთმა მოავარაკემ მიღებით თავის ეზოში შეიყვანა.

ადგილობრივი მოსახლეობა და ზაფხულობით ჩამოსული მოავარაკენი ამ წყაროს „ზარათაშვილის წყაროს“ ეძახდნენ. არსებობს მისი ფოტოგრაფია.

ამ ნამდვილი ქართული დარბაისლური დროსტარების სულისჩამდგმელი იყო ენამოსწრებული იროდიონი. ახალგაზრდები, რუსეთიდან ახლად ჩამოსული სტუდენტები, დიდი აღტაცებით და ხალხით შეეცქეროდით ამ დარბაისელ ქართველთა დროსტარებას და მათგან ესწავლობდნენ სამშობლოს სიყვარულსა და პატივისცემას.

ჩვენ გვიხაროდა, როცა მძიმე სენით შეპყრობილ მგოსანს ვხედავდით ასე მხიარულს. გამოცოცხლებულს, ოპტიმისტურად განწყობილს და უნებლიეთ გვეხაღებოდა იმედს მისი განკურნებისა.

15 აგვისტოს საოჯახო ღღესასწაული გვექონდა, სადილზე თავი მოიყარა დიდმა საზოგადოებამ. სუფრას თამადად „აკუთრებს“ სოსო მელიქიშვილი, რომელიც დიდის ხელოვნებით უძღვებოდა ამ მოვლევას, ლექსებითა და მახვილსიტყვიერებით ამშვენებდა ათეულზე სადღეგრძელოს. დიასახლისის დღეგრძელობის ჯერი რომ დადგა, თამადამ სიტყვა იროდიონს შესთავაზა.

ქართული წესისამებრ, იროდიონმა წაუთავაზარა, სადღეგრძელო ძველთაძველი ღრმად ემოციური თქმულებით დაიწყო (მოგვყავს იმ დროის ჩანაწერიდან): „იყო ერთი ქაბუკი, რომელსაც გაიფებით უყვარდა მეტად ლამაზი ქალიშვილი, ვაჟს ძლიერ უყვარდა მშობელი დედაც, მაგრამ იგი რატომღაც ათფაღლუნა რძალმა. ქაბუკი ოცნებობდა ბედნიერ ოჯახურ ცხოვრებაზე ღედის ქერქვეშ. მაგრამ ცალი მთლიანად ეწინააღმდეგებოდა ქმრის ამ მისწრაფებას, ბოლოს იმდენად გაიფუტდა, რომ მისთხოვა, თუ ნამდვილად გიყვარებარ, დედაშენი მოკალ და მისი გული მომიტანო, ვაჟი დიდხანს ეწინააღმდეგებოდა ქალის ამ ველურ მოთხოვნას, მაგრამ ბოლოს, ღმერთი გაუწყრა, ცოლისადმი სიყვარულმა სძლია და შეასრულა მისი მოთხოვნა: მოკლა დედა, ამოიღო მისი გული და გაეშურა ცოლისაყენ. ზად კიბზე წაბოროტდა და კინლამ დავარდა. ამ დროს შემოესმა მის ხელზე მფეთქავი ღედის გულის ხმა: „შვილო ჩემო, ხომ არ დამავლი, რაიმე ხომ არ გეტკინოა“. შემდეგ იროდიონმა დასძინა, შეუდარებელი და უძლეველია ღედის სიყვარული, რომ ამ სიყვარულს იგი გრძნობს როგორც შვილი და ამასვე ხედავს თავის შვილებში.

პოეტის მხატვრულმა ლამაზმა თხრობამ, უღრმესი გრძნობით წარმოთქმულმა ღედის საღიღებელმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა

მსმენელებზე და ხანგრძლივი დუმილი გამოიწვია.

საიღლებ დამსწრე მონადირეები შეთანხმდნენ, მეორე დღეს წასულიყვნენ გოხნარში (წალკასთან) მწყერებზე სანადიროდ. იროდიონმაც გამოთქვა ნადირობაში მონაწილეობის სურვილი. ყველანი წინააღმდეგნენ მის ამ მისწრაფებას, ზრუნავდნენ რა მის ჯანმრთელობაზე. მაგრამ იროდიონი იმგვარად ეხვეწებოდა მეგობრებს, რომ უარი ვერ უთხრეს, ოღონდ პირობა დაადებინეს, რომ თბილად ჩაიცვამდა.

ის ღამე მონადირეებმა ჩვენთან გაათიეს. შუალამისას 2 საათზე წამოიშალნენ და გლეხური ცხენის ფორანით გაემგზავრნენ. აბრე-მარეს მთავარის შუქი მოჰფენოდა. მყუდრო ღამე იდგა. მდინარე ალვეთის გადაღახვის შემდეგ შეუდგნენ ტყით დაბურულ დიდ აღმართს. ნაბდებში გახვეული, მღუშარე, ჩაფიქრებული ხუთი მონადირე მთავარის შუქზე — დაუფიქვარ, მომხიბლავ სურათად აღიბეჭდა ჩემს, მესხიერებებში. ნადირობისა არაფერი გამეგებოდა, მაგრამ ცხენზე აშხედრებული მიედევდი მათ, რათა მონაწილეობა მიმეღო გამოჩენილ მონადირეთა ხალხიან დროსტარებში. ვათენებისას მივალწიეთ სანადირო ადგილს — გოხნარს.

ტრიალ მინდორზე განთიადის სიგრილემ აიდგა ფეხი. ნამშობებელი ბალახი ქაშრამდე გვევდებოდა. მონადირეები მიმოიფანტნენ. მე კი ნაბადში გავეხვიე და ფორანზე წამოვიწე. ყოველი მხრიდან მესმოდა მონადირეთა თოფების სროლის ხმა.

მონადირეები უკან დაბინდებისას დაბრუნდნენ. უკმაყოფილონი იყვნენ, ცოტა მოვიწინადირეთ.

იროდიონ ევდომეილს მოეკლა ათი მწყერი, ხოსო მელიქიშვილს — თოთხმეტი მწყერი,

ივანე ჩიტაძემ — ოცდაექვსი მწყერი, მამაშვილი კვეზერღებმა — ოცდარო მწყერი.

მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად იროდიონმა იმ ზაფხულს შესანიშნავად დაისვენა. მოუხდა მანგლისი ფიჭვნარში, მეგობრებთან ერთად დროსტარება. თბილისში წასვლის დროისათვის საგრძნობლად შეეტყო გამოოცხლება. 22 აგვისტოს გამოემგზავრა თბილისში. მეგობრებმა და პატივისმცემლებმა დიდი სიყვარულით გააცილეს იგი ფოსტის სადგურთან.

იმ ზაფხულს იროდიონ ევდომეილის ირგვლივ მყოფი მთელი ახალგაზრდობა აღგვაფრთოვანა და მოგვიხიბლა მისმა ბრწყინვალე პოეტურმა ნიჭმა, ღაბაშვილობამ, უბრალოებამ, ღრმა პატრიოტიზმმა.

და რას წარმოვიდგენდით, რომ ოთხი წელიც არ გავიდოდა და ეს დიდებული მამულიშვილი, ქართველი ხალხის მოკირნახულე, მგზნებარე პოეტი ჩვენგან წავიდოდა.

ნატალია ბარათაშვილისამ თავისი ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი შესწირა ქართული კულტურის სხვადასხვა ორგანიზაციებს — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, თბილისის ჰრა-ყვრის ქალთა სკოლას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობისათვის მიწის ნაკვეთის შექმნის ფონდს და სხვ.

ლევან ბარათაშვილის მეუღლე — მამიდაჩემი ნატალია ჭარბაიცივალი 1919 წელს და დაჯრძალულია მანგლისის ძველი ტაძრის გალავანში, თავისი ქმრისა და ჩვილის, ერთი წლის ვაჟიშვილის მიმიკოს გვერდით.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგი მასალები და ხსენებულ პირთა ფოტოსურათები დაცულია ჩემს ოჯახში.



## პლაღიერ ნონალი

# იროდიონ ევლოპვილი რევოლუციამდე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში

სამრევლო აღმავლობამ — კაპიტალისტური განვითარებით გამოწვეულმა სოციალ-ეკონომიურმა ცვლილებებმა, მუშათა კლასის ზრდამ, მუშათა და გლეხთა მოძრაობამ თავისი გამოხატულება პოვა მხატვრულ ლიტერატურაში. ქართულ პროზასა და პოეზიაში მკვეთრად იჩინა თავი რევოლუციურ-დემოკრატიულმა მოტივებმა, რამაც დიდი როლი შეასრულა ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში.

დემოკრატიის მომხადება ჩვენში იწყებოდა ოთხმოცდაათიანი წლებიდან, — წერდა ივ. გომართელი, — დემოკრატიული აზროვნება დემოკრატიული საფუარი იყო მანამდეც ჩვენს ხალხში, მაგრამ საჭირო იყო ხალხის დარაზმვა, შეკავშირება ახალი აზრების შესაგნებლად. იმ ამან გამოიწვია ოთხმოცდაათიანი წლების შემდეგ სასტიკი ზრძოლა მამებსა და და შეილებს შორის. შეილებმა მესამე დასის მეთაურობით გაიმარჯვეს... ისტორია ჩვენი დემოკრატიისა იწყება მესამე დასის ისტორიიდან.

შემდეგ დაიწყო დაუღალავი და მედგარი მუშაობა ჩვენი მუშათა ხალხის გაცნობიერებისა და ამ მუშაობაში თავისი წვლილი შეიტანა ჩვენმა პოეზიამაც.

ბატონყმობის გადაყრდნას თან მოჰყვა ძლიერი ხალხოსნური ტალღა ჩვენს პოეზიაში, მაგრამ ეს ტალღა იყო გარედან შემოტანილი, ის დაიბადა დიდაკურ წრეში.

ხალხთან ის ახლოს არ იყო, ამიტომ ვერც ახდენდა შესაფერ გაქვლენას.

წარსული საუკუნის ბოლოში დემოკრატიამ თვითონ წარმოშვა თავისი პოეტები, რომლებმაც ხელი შეუწვეეს თავისი პოეზიით დემოკრატიის ზრდასა და დევეკაცებას<sup>1</sup>.

ზემოთ მოტანილი სტრიქონების ავტორისაგან დიდად დავალებულნი ქართული დემოკ-

რატიული მწერლობა. ივ. გომართელმა პირველმა ამცნო ქართველ საზოგადოებრიობას ქართული დემოკრატიული მწერლობის ჩასახვა-განვითარება და დიდ იმედებს ამყარებდა მასზე.

ირ. ევლოპვილი თავისი იდეური შეხედულებებში იყო რევოლუციონერ-დემოკრატი. მისი შემოქმედება ობიექტურად ხელს უწყობდა მშრომელი მასების რევოლუციურ მოძრაობის გაღვივებას. ამიტომაც მისი სახელი და ლიტერატურული მოღვაწეობა მკვიდროდ არის შეკავშირებული პირველი რევოლუციის წინა ხანასთან და თვით ამ დიად ისტორიულ მოვლენებთანაც.

„პირველი რევოლუციის განთიადზე ჩვენი მგოსნის მრავალი ლექსი პირდაპირ სახალხოდ იყო გადაქცეული. მუშები, მოსწავლე ახალგაზრდობა, რევოლუციური ინტელიგენცია, — ყველა აღტაცებით იმეორებდა ევლოპვილის პროტესტით საესე ლექსებს“<sup>2</sup> — წერდა ვ. ზურთმიძე.

თავის ლექსებმა და მოთხრობებში, პოემებში, ფელეტონებში ირ. ევლოპვილი ბევრის თქმა მოახერხა. მის ნაწარმოებებში გამოსახულება პოვა მშრომელი ხალხის მიმე და აღტანელმა ცხოვრებამ, გლეხობის და მუშათა კლასის გაჭირვებამ და უუფლებობამ.

ირ. ევლოპვილი ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლობის ბურჟოაგანია. მისგან მომდინარეობს ქართველი რევოლუციური პოეზიის საწყისები. ალბათ მწერლის ასეთი დამსახურება ჰქონდა მხედველობაში ივ. გომართელს, როდესაც მის დასაფლავების დღეს წარმოთქვა: „ჩვენი დემოკრატიის განვითარობიერება მკვიდროდ არის დეკავშირებული იროდიონის პოეზიასთან და პირვენებასთან. იროდიონი დემოკრატიის ერთი საუკეთესო მედროშეა, მისი იდეალების ერთი საუკე-



თესო გამოშხატველი, მისი გზის მედგარი გომავფელია».

ქართველ კრიტიკოსთა შორის როგორც ე. ნინოშვილის, ასევე ირ. ევლოშვილის შემოქმედებას პირველად ივ. გომართელმა მიაქცია ყურადღება.

ისმის კითხვა: ივ. გომართელმა რატომ მაინცდამაინც ირ. ევლოშვილზე გააძახებდა თავის ყურადღება და არა რომელიმე სხვა პოეტზე? ამიტომ, რომ მის შემოქმედებაში ივ. გომართელმა განსჭვრიტა ისეთი მიზნები, რაც თვითონ გვიხადა თავის მოღვაწეობის სამოქმედო პროგრამად.

ირ. ევლოშვილის შემოქმედება გამოხატავდა თანამედროვე ცხოვრების დამახასიათებელ მხარეებს, შვიდროდ იყო დაკავშირებული მშრომელი ხალხის ჭირ-ვარამთან, ამიტომ იგი სხვა პოეტებზე უფრო ეხმაურებოდა საზოგადოებას «ღრთის მოთხოვნების შეგნებაში» და ამით ხელს უწყობდა მშრომელი მასების გათვითცნობიერებას და არსებული სინამდვილის სწორად გაგებას.

ევლოშვილის პოეზიის ამ თვისებას შესანიშნავად ახასიათებს ივ. გომართელის შემდეგი სიტყვები:

„ჯერ კიდევ ნორჩი, ბრძოლის ქარცეცხლში გამოქმედი მორბალებით, მორიდებით ვიდექ ცხოვრების საიდუმლოების წინაშე.

გაუბედაობით, ყოყმანით, გამოუცნობის შიშით შეყარობილი სულიერ ობლობას განვიცდიდი, იმედს უიმედობა ებრძოდა, სიხარულს სედა სძლედა... ამ დროს მომეჩანა:

წინ, წინ, მედგრად შევებრძოლოთ ჩარხუქულმართ ამ ჩვენ დროსა, ჭირის ოფლში გავატაროთ სიმართლის და ძმობის დროსა,

უიმედობა დაიკარგა, სედა გაიფანტა, გულმხურვალი, იმედებით ვარდაქმნილი ყურს ვუგდებდი სამო ხმებს, რომლებიც შევბის, ნეტარების სხივებად ეშვებოდნენ ჩემს გულში, — ჩემს ოცნებას საინტერესო სურათს უხატავდნენ და შორს, შორს მიტაცებდნენ.

მე ის არ მენახა, მე მას არ ვიცნობდი. მაგრამ მისმა სიმღერამ გამაძნო, დამახალგაუცნობი, უხილავი შემოყვარდა. ეს იყო იროდიონი. და როდესაც მე ის პირველად ვიხილუ, ისე შევხვდი, როგორც დიდხნის ნაცნობს, დიდხნიდან მეგობარს, ძვირფასს, საყვარელ მეგობარს და ეს სიყვარული აღარ გაწყვეტილა: მან თან ჩაიტანა ჩემი სიყვარული. მეც თან ჩავიტანე იროდიონის სიყვარულს.

შეიძლება იროდიონი ვერც ილიას ამოუყვანოთ გვერდში, ვერც აჯავის, ვერც ვეჯას; მაგრამ ის მუდამ საყვარელი, მუდამ მიმზიდველი, მუდამ მომჭალოებელი იქნება მისთვის, ვინც იბრძვის. ვინც წინ მიისწრაფვის, იქ...

„სად ქარიშხალი დაძმების უფსკრულს იროდიონი, მზიარული და სეველიანი, მზიარული და ტკბილი, ხან გაფითრებული, ნაღველი და ბრაზიანი სავსე, იროდიონი მუდამ ღიმილიანი და ცრემლიანი, იროდიონი, რომელსაც ერთი ხელით იმედი მოაქვს და მეორეთი მომავლის დროსა, იროდიონი, რომლის პატიოსანი კეთილშობილი გული სიკვდილის კართანაც ტანჯული მოძმისათვის ძებდა — ეს ხომ სულია დღევანდელი საქართველოსი, ტანჯული, წამებული და წამებაში კიდევ უფრო მშვენიერი, უფრო ლამაზი სული!

საქართველოც ხომ იროდიონივით იბრძვის და უკეთეს მომავალს ეძებს!...

იროდიონი ნაპერწყალი იყო; ის ზოგსა სწევდა, ზოგს აზობდა, ზოგსა ჰკლავდა, ზოგს აცოცლებდა, ზოგს გულს უგმირავდა, ზოგს კი იმედის სხივებით ეფინებოდა.

იროდიონის მოსუვენარი, მეგრძოლი სული მუდამ ეძებდა... ეძებდა სიმართლეს, ეძებდა შემართებას, ეძებდა ტანჯულთა და ტვირთმძიმეთა აღთქმის ქვეყანას.

კიდევ ეძებდა — თავის სამშობლოს...“

დაიხ, ი. ევლოშვილი გახლდათ მ. გორკის სიტყვებით, რომ ვთქვათ „მხატვარი“ თავისი ქვეყნის, თავისი კლასის გრძნობების გამოშხატველი, მისი ყური, თვალი და გული; იგი თავისი ეპოქის ხმა იყო.

ირ. ევლოშვილი სიყრმიდანვე მკიდროდ დაუკავშირდა რევოლუციურ მოძრაობას პრაქტიკულად, შემდეგ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. და ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ იგი გახდა რევოლუციური პროლეტარიატის მომღერალი პოეტი.

ირ. ევლოშვილმა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე თავის შემოქმედების მუხად გვიხადა მშრომელი ხალხის მიმე და აუტანელი ცხოვრება: რაც გამოწვეულია ცხოვრების ცვალებადობით — კაპიტალისტური ურთიერთობის სიმკაცრით, სადაც ადგილი აქვს კლასთა დაყოფას — მდიდარი და ღარიბი, ღანჯარული და დამჩაგვრელი, ტანჯული და მტანჯველი. ამიტომ მწერლის მთლიან ყურადღებას ცხოვრების სისაძველე, გაუტანლობა, შეუზღარებლობა, ფულს ბატონობა, ღარიბების ტანჯვა და წვალება იპყრობს. ხედავს, რომ ყველა — მდიდარი და ღარიბიც არსებობისათვის იბრძვის.

ივ. გომართელის შეხედულებით, კამიტალისტური ურთიერთობის დაუნდობლობამ ირ. ევლოშვილის და შ. არაგვისპირელის ამ პერი-

**ვლადიმერ ფოფელი**  
ირიფიონ ევლოშვიდი რევოლუციონარული ჰარმონულ სალიტერატურო კრიტიკაში



ოღის შემოქმედებში იდეური ნათესაობა პოვა, ორივე ამ მწერლის შემოქმედება სევდიან და უნუგეშობით არის გამსჭვალული.

რაღ ტანჯავს ევდოშვილს, თვით ტანჯავს არაგვისპირელსაც; არაგვისპირელიც ცხოვრებას ემდურება და მის უსამართლობას.<sup>5</sup>

ი. ევდოშვილის ამ სევდის გამოწვევებში შეხედ იე. გომართელი თვლის ამ გარემოებას, რომ პოეტს ნათლად ვერ გამოუტყვევია და ვერ შეუგნია ის „რაღაც ძალა“, რომელიც ასე უღმობელად „ცვლის ცხოვრებას და ბედებს მრავალ უთანხმოებას“. მას სწორედ ეს მისი უძლურება, უსუსურობა ტანჯავს, ტანჯავს ის, რომ ამ ძალასთან არ შეუძლია შებეა.

იე. გომართელი განმარტავს, რომ ირ. ევდოშვილის და შ. არაგვისპირელის უნუგეშობის და სასოწარკვეთილების წარმოშობის მიზეზები მათი კერძო, პირადი პირობების შედეგად კი არ არის გამოწვეული, არამედ თავისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრების მიზეზია. ამ ორ მწერალს თავიანთ ნაწერებში „ავტობიოგრაფიული ძალიან ცოტა აქვთ, ისინი საზოგადოებრივ-პირობებს უწვიან, საზოგადო სეველ-ფარას გამოთქვამენ. აშკარაა, მათი ფიზიონომიის ახსნა ისევე ცხოვრებაში უნდა ვეძიოთ, ამგვარი მწერლები, როგორც ევდოშვილი, არაგვისპირელი, მარტო ჩვენში კი არა, რუსეთში და დასავლეთ ევროპაშიც გამრავლდნენ“<sup>6</sup>

და აქვე იე. გომართელს მაგალითისათვის მოჰყავს რუსეთის პოეტი ბალმონტი, და — ამბობს, რომ — მისი პოეზიის მოტივი — ავი-ვეა, რაც ევდოშვილისა.<sup>7</sup>

ჩვენ ამ მოსაზრებას არ ვიზიარებთ. მართალია, ირ. ევდოშვილმა ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო კ. ბალმონტის ეპოქაში, მაგრამ მათ შორის განსხვავება დიდია. ირ. ევდოშვილის ლიტერატურული იდეოლოგია სოციალური მძლეობის, ბრძოლის ეინის და ცხოვრების სიყვარულის ქადაგებაა! იმედებით და მტკიცე რწმენით არის სავსე ევდოშვილის ლექსები: მის ლექსებში თითქმის ყველგან ისმის ხმა ცხოვრების წყურვილისა და ბრძოლის — ძლიერი, მტკიცე, ურყევი ხმა უშიშარი ადამიანის. ამავე დროს პოეტს არასოდეს არ ავიწყდება ჩავრულება ბედის:

მე ჩემს გარშემო მომესმის კენესა,  
მამვრალი ხალხი ტვირთ-ქვეშა გმინავს,  
მათი ვაება, უსამართლობა,  
ვთა ისარი, გულსა მივმორავს.

ბალმონტის პირველსავე ლექსებში კი იგრძნობთ ცხოვრებიდან განდგომას, ყოველგვარ მიწიერთან დაშორებას, გულგრილობას ადამიანის მწუხარებისადმი, პოეტს გვერდს უხვლის ცხოვრების ტანჯვა-წამებას, უყურადღებოდ სტოვებს და არცა ცდილობს ჩასწვლეს

და გიორგის ამ ცხოვრების წყვილიც  
თვით ბალმონტიც არ მაღვას:

Людей родных мне далеко страданья,  
Чужда мне вся земля с борьбой своей.<sup>8</sup>

ირ. ევდოშვილი კი სექსს თავისი მწუხარე სოციალური შინაარსის ლექსებით და ხდება 90-იანი წლების ქართული კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი თვალსაზრისი წარმომადგენელი და სოციალისტური რეალიზმის დამწევე-თავანი საქართველოში. მან პირველმა უმღერა კავკასიის პროლეტარიატს, მოუწოდა სოციალური უსამართლობისა და ნაციონალურ-კოლონიური ხელისუფლების დასაშინობად.

რამ წარმოშვა ევროპაში და ჩვენში ასეთი მწერლები? კითხულობს იე. გომართელი და თან არცევეს მათი წარმოშობის გენეზისს, რასაც „საუკუნის ბოლოში“ ეძიებთ. რა არის ეს საუკუნის ბოლო? — სვამს კითხვას იე. გომართელი და თვითონვე პასუხობს — აი, რა: კაპიტალისტურმა წყობილებამ დასავლეთ ევროპაში თავის კულმინაციურ წერტილს მი-აღწია, რადგან იქ მძლავრად განვითარდა მწარმოებელი ძალა, ამან კი წარმოშვა სხვადასხვა მრავალი უთანხმოება, ამიტომ კაპიტალიზმს ასეთი გზით დიდხანს სიარული აღარ შეუძლია, რადგან თავის შიგნით უთანხმოება უფრო და უფრო იზრდება. მისი მოსობა კი თვით კაპიტალიზმს არ ძალუძს, რადგან მან წარმოშვა და მანვე გაზარდა ეს უთანხმოება. ამიტომ პირველ ყოვლისა, თვით კაპიტალიზმს უნდა მოედოს ბოლო, რადგან მუშათა მოძრაობა და სოციალიზმმა უკვე დარეკა მისი აღსასრული. ამიტომ დღეს ევროპა გარდაშავალ ხანშია.

საქართველოში, — ამბობს იე. გომართელი, — როგორც დაკვირვება და ლიტერატურა გვიმტკიცებს, უკვე იჩინეს თავი იმ ელემენტებმა, რომლებმაც დასავლეთ ევროპაში კაპიტალიზმი წარმოშვეს, ცხოვრება შეირყა წოდებრივი საზღვრები წაიშალა, ფული გაბატონდა: ფულის პატრონი ხდება ის, ვისაც საკუთარი მოზრუნება და ცხოვრება ხელს უწყობს, და ამიტომ დღეს ჩვენში შეილება სასწავლებელში ზრდიან, მაშინ, როდესაც თავიდან-აზნაურების შევლება სიღარიბის გამო ხშირად უსწავლელი რჩებიან, — ამ ფაქტმა ჩვენს ბელეტრისტიკაში იჩინა თავი. ცხოვრება აიშლავს, განდენენ ჩარჩები, მეფხსეები, — ყველა ესენი ხომ კაპიტალიზმის წინამორბედნი არიან. აშკარაა ჩვენი ცხოვრების რყევა ნიდავს უშმადებს იმგვარ ცვლილებას, როგორც უკვე განვითარდა დასავლეთ ევროპაში. მაშასადამე, ჩვენი ცხოვრებაც გარდაშავალ ხანას წარმოადგენს. რასაკვირველია, ვერაობის გარდაშავალი ხანა სულ სხვა არის, ვიდრე ჩვენი; მან კაპიტალიზმი განვითარა და მარტ-

სის მიერ ნაჩვენებ მიზანს უახლოვდება. ჩვენს კი ახლა შევადრთ კაბიტალიზმის კარი; მაგრამ გარდამავალი ხანა, რანაირად უნდა იყოს, ხალხს ძალიან შიშვე ტვირთად აწვევდა. ყველა გრძნობს, რომ ცხოვრებაში რაღაც ცვლილება ხდება, ვის რა მოელის, არ იციან, ამ მომავლისა ყველას ეშინია: ამგვარ ხანაში მრავლდება პუბლიცისტები, უბედურებები და ყოველგვარი პუბლიცისტი გრძნობს საზოგადოებაში სუსტდება: შინ რომ ბავშვებს შიოდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო, ნათქვამია, — როცა აღამიანს თავისი გზა ვერ გუარკვევია, მაშინ არც სხვის გაკვირვებაზე ფიქრობს. პოეტს უფრო მგრძობიარე გული აქვს, ვიდრე სხვისა: ის მეტს ხედავს და უფრო არჩევს ცხოვრებაში ყოველივეს; ამიტომ ყოველი გარდამავალი ხანის პოეტს უფრო იტანჯება, მეტ უსუვეშობას და სევდას ეძლევა, ვიდრე უბრალო ადამიანი. ევლო შვილი, არაგვისპირელი ... თუ საზოგადოებრივი — ვერაძე გვიგვითითებენ და თავის უსუვეშობას გვიცხადებენ გასაკვირვებელი კი არა, ასეც უნდა იყოს: ისინი გარდამავალი ხანის შვილები არიან და არ შეუძლიათ, არ იტანჯონ, რაც მეტი ნიჭი აქვს მწერალს, მით უფრო საუკეთესო გამოშვებულია თანამედროვე ცხოვრებისა" (დაყოფა ჩემია — ვ. წ.)

ივ. გომართელი თავის წერილის დასასრულს აფრთხილებს ირ. ევლოშვილს, რომ პოეზიის გაფურჩქნასთან ერთად მისდა შეუძინველად პოეტი უფრო გულჩაბნობილი ხდება და შიშობს, რომ ამ ხალხის ფარულად, მითორებით, სიყვარულის სურვილმა მწერალი სულ არ მოწყვეტოს დედაშიწის და სიმბოლიზმის მორგევი არ შეატყროს, რის ნიმუშადაც ასახელებს მის უკანასკნელ ლექსს „გედის სიმღერა“-ს.

ივ. გომართელმა ირ. ევლოშვილის დასაფლავების დროს წარმოთქმულ თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბარათაშვილიდან მოყოლებული სევდა ჩვენს პოეზიას თან სდევს. ი. ევლოშვილის პოეზიაც სევდიანია, მაგრამ მისი სევდა არის სევდა განახლებული, გლვიცემული საქართველოსი: „უახტანგ ორბელიანის სევდაში აჯაი წერეთელმა იმედის სხვი შეიტანა, იროლიონმა კი ბრძოლის წყურვილი და ძლიერი სურვილი ბრწყინვალე მომავლის მოახლოვებისა" (დაყოფა ჩემია — ვ. წ.)

გამოქვეყნდა თუ არა ივ. გომართელის უკვე მოხსენიებული წერილი „ქართული სიტყვათაშუალებელი ლიტერატურა 1898 წელს“, რომელიც ირ. ევლოშვილის და შ. არაგვისპირელის შემოქმედებას ეხებოდა, იმავე 1899 წლის

სსვე „ყოველის თეორი კრებულში“ (იქმნა წიგნი) ლელმა შოთაფსა სტატია დ. კლდიაშვილის შემოქმედებაზე. ამჯერადაც პირველ ყოვლისა, ავტორია ცდილობს ივ. გომართელის გამოქმეული მოსაზრებების გაბათილებას. ხომლეო იქამდეც კი მივიდა, რომ ირ. ევლოშვილი და შ. არაგვისპირელი დეკადენტ მწერლებად გამოიხატა. „ამჟამად ქართულ ლიტერატურაში არსებობდნენ... ასე ვასინჯეთ, დეკადენტები (შ. არაგვისპირელი უკანასკნელ მოთხრობებში და ეკლექტიკოსი-კრიტიკოსის გომართელის ბიორონი—„საყვარელი და სიმპათიური პოეტი“ ირ. ევლოშვილი... (სინამატიური პოეტი“ ივ. გომართელმა უწოლო ირ. ევლოშვილს — ვ. წ.) ამ ბოლო დროს ჩვენს მწერლობაში შემოპარულ დეკადენტობას უნდა შეუპოვრად ვებრძოლოთ... ან დეკადენტებს თავისი მოსაზრებანიც გაუჩნდათ. ეს განსაზღვრავს გომართელი, მათი კრიტიკისი, რომელიც ცრუ გზაზე დაყენებას უპირებს ჩვენს რეალურ მიმართულებას“ 11.

ირ. ევლოშვილი რომ გარდაიცვალა, ხომლეულმა თავის ყურნალ „ცხოვრებაში“ პირველი გვერდი შავ არშიამემოვლელად სპეციალური მოწინავე მიუძღვნა სათაურით „იროლიონ ევლოშვილი“, სადაც ავტორი თავის აწინდელ შეხედულებების საწინააღმდეგობს წერს და ფიქვმის ძირითადში ივ. გომართელის დებულებებს იმეორებს.

„...იროლიონი იყო პირდაპირ ხალხის წრიდან გამოსული ემიგრაციული დემოკრატი... მარქსიზმს იზიარებდა... მარქსიზმი მის დემოკრატიულ ბუნებას და ხასიათს შეეხორცა და მას გულით უნდოდა თავისი მშობელი ერის საზღვრებში განხორციელებულიყო — იგი... ლარია ირ. ევლოშვილისა არ არი მრავალგვარი და მრავალფეროვანი... პოეტი არ იყო დანახუქმებული დიდი ცოცხალი ტრემპერამენტით და მღელვარე მხატვრულ შემოქმედებებს ტალინტით, მაგრამ მისი ენერგიული ლექსება იქცედა ძალუნებურად ჩვენ ყურადღებას, რადგან ახალი ჯგუფის გამოსვლის ჩვენში იგი გულწრფელად უმღეროდა და მას სურვალებს და იმედებს მთელი თავისი წმინდა არსებით შეტრფოდა და შენატროდა. ამ წრეში იგი ერთადერთი, პირველი მებრძოლი პოეტი იყო...“

იროლიონ ევლოშვილის ლექსები მოუწოდებდა ქართველ დემოკრატას შეერთებისა და შეჯავშინებისაკენ, უთითებდა მას უსამართლობისა და სოციალურ უსწორი-მასწორობის შესაბრძოლებად 12.

ღრმე გამოავლინა კემმარტიტება, ხომლეული

ვლადიმერ ფოფხილია  
იროლიონ ნილოშვილი რემოლუსიციამდე  
ძარბაზულ სალიბრატორი კრიტიკაში

არ აღმოჩნდა მართალი და საკვირველი ის არის, რომ იმ დროის პროგრესულად განწყობილმა კრიტიკოსმა ადრე ისეთი წინდაუხედილობა და უსუსურობა გამოიჩინა ე. ნინოშვილის და ე. ვედოშვილის შემოქმედების შეფასებაში.

ი. ვედოშვილის სიციხეებში ივ. გომართელი კიდევ ორჯერ შეეხო მწერლის შემოქმედებას. 1901 წელს რუსულ გაზეთ „ნოვოეობოზრენიეში“ (№5856, 5859) დაიბეჭდა მისი სტატია „კრიტიკული შენიშვნები“, „(ი. ვედოშვილის და გრ. აბაშიძის ლექსები)“. ავტორი თავის რეცენზიაში არჩევს და ერთმანეთს უპირისპირებს ირ. ვედოშვილის და გრ. აბაშიძის ახლად გამოსულ კრებულებში მოთავსებულ ლექსების შინაარსს და მათ თავისებურებას.

ავტორი ჯერ მოკლედ იხილავს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის უმთავრეს მომენტებს, აღნიშნავს არისტოკრატიული და დემოკრატიული ლიტერატურის ნიშანდობლივ თავისებებს და შემდეგ უშუალოდ გადადის ირ. ვედოშვილის, როგორც დემოკრატიულის და გრ. აბაშიძის როგორც არისტოკრატიული პოეზიის წარმომადგენლების დეტალურ გარჩევაზე.

ირ. ვედოშვილის მეორედ ივ. გომართელი გაეკრით შეეხო 1902 წელს თავის მიმოხილვაში „სიტყვაკაზმული მწერლობა 1901 წელს“, რომელიც „კვალში“ დაიბეჭდა<sup>13</sup>, სადაც ძირითადი იგივე აზრია ვატარებული, რაც ზემოხსენებულ რუსულ წერილში აქვს გამოთქმული.

ივ. გომართელს მიერ რუსულად დაწერილი სტატია ირ. ვედოშვილზე საერთოდ, პირველი ცალკე ვრცელი კრიტიკული წერილი იყო მის შემოქმედებაზე. ავტორი ირ. ვედოშვილის შემოქმედებას იხილავს იშხანად გვერცელებულ დემოკრატიული კრიტიკის თვალსაზრისით — მწერალს და მწერლის ნიჟს აფასებს იმის მიხედვით, თუ მის ნაწერებში რამდენად სასარგებლოა ის თანამედროვე საზოგადოებისათვის, რამდენად ცდილობს მწერალი აწყმოს ელემენტებში ამოიციოს მომავალი, ამიტომ ამ წერილმა გამოქვეყნებისთანავე ქართული საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და პრესაში ზ. კვიციანიემ „სანაქებო“ კრიტიკულ წერილად მოიხსენია.

რადგან ივ. გომართელის ეს წერილი ნაკლებად ცნობილია ქართველი საზოგადოებისათვის, ამიტომ მასზე მეტი ყურადღების გამახვილება გვსურს.

„დემოკრატიულმა პოეზიამ შეცვალა რომანტიზმი — ამბობს ივ. გომართელი, — ქალის და ღვინის ქება — ღიღების მაგიერ ყურადღება ნქცევა თანამედროვე ცხოვრების ყოველდღიურ საკვირბოროტო საკითხებს, წარსულ-

ზედ წუწუნის ნაცვლად მკითხველს გადაუშალეს და ნათლად დაანახვეს თანამედროვეობა, თორია „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ უკუაგდეს და აღიარეს „ხელოვნება ცხოვრებისათვის“.

ქართული დემოკრატიული მწერლობის წარმომადგენლად მკვლევარმა აღიარა ი. ვედოშვილი, რომლის ლირიკა ძირითადად საზოგადოებრივია, სოციალური, რომლის ლირიკის საგანი თანამედროვე საზოგადოებაა. არავის ეჭვი არ ეპარება, — განაგრძობს ივ. გომართელი, — რომ ა. წერეთლის და ი. ჭავჭავაძის ლირიკა საზოგადოებრივია, მაგრამ ქართული პოეზიის ამ კორიფეებს თქვენ ვერ უნახავთ ისე მკვეთრად გამოხატულ მიმართულებას, რომელიც იმავეითვე თვალში გვხვდებათ ვედოშვილის კითხვის დროს. ევლოშვილის პოეზიის საგანი სრულიად ახალია და ორიგინალური ქართულ ლიტერატურაში, ასეთი მიმართულების პოეზია შეეძლო მისცლა მხოლოდ კლასთა ურთიერთობისა და შეჯახების გარკვეულ ვითარებაში. ევლოშვილი თანამედროვე საზოგადოების მშრომელთა მასების მომღერალია“ (დაყოფა ჩემია — ვ. წ.).

ლიტერატორთა შორის დაკვიდრდა აზრი, რომ ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი საგანგებოდ ხაზგასმული სტრიქონების ავტორია ალ. ხახანაშვილი. ასევე ვარაუდობს მკვლევარი ლევან ასათიანი თავის 1954 წელს გამოცემულ წიგნში „სტალინი და ქართული ლიტერატურის საკითხები“ (გვ. 243), როდესაც ირ. ვედოშვილის შემოქმედებას ეხება და თავის მოსაზრებების დამადასტურებლად ალ. ხახანაშვილის 1906 წელს მოსკოვში გამოცემულ Очерки по истории грузинской словесности-ს მეოთხე წიგნიდან (გვ. 448) მოაქვს სტრიქონები.

საყოველთაოდ ცნობილია ალ. ხახანაშვილის დამახატრება ქართული ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიისა და, კერძოდ, ლიტერატურის წინაშე. მისი ობსტრომანი რუსულად დაწერილი კაპიტალური შრომა „ნარკვევები ქართული სიტყვიერების ისტორიიდან“ იმ დროისათვის ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისათვის დიდ შენამატს შეადგენდა. ძირითადად მსოფლიომ ამ წიგნების დახმარებით გაიცნო ქართული ლიტერატურული მდიდარი მკვლევარი და საერთოდ ქართული კულტურა და ლიტერატურა. მეოთხე წიგნის დაწერას, როგორც წინასიტყვაობაში აღნიშნავს ავტორი, მან 12 წელი მოანდომა, რადგან სათანადო მასალები არც ქართულად და, მით უმეტეს რუსულად, მას არ მოეპოვებოდა და თუ ქართულს იშოვიდა, უნდა რუსულად ეთარგმნა. ამიტომ, თუ კი სადმე რუსულად დაწერილ



რაიმე მასალას წააწყდებოდა ქართველი მწერ-  
ლების შესახებ, პირველ რიგში მას იყენებდა  
და, მით უმეტეს, თუ ის შეეხებოდა თანამედ-  
როვე მწერლებს, რადგან «Писатели, высту-  
пившие в последнее двадцатилетие, не на-  
шли достаточного освещения с одной сто-  
роны, благодаря отсутствию нужных об-  
них сведений, с другой ввиду того, что они  
еще являются нашими современниками, не  
завершили круга своего развития, не сдела-  
лись достоянием истории».

სწორედ ხახანაშვილის ამ გაკირვების ქმს  
გახვთ „ნოვოე ობოზრენიეში“ და ქურნალ  
„კავკასსკი ვესტნიკი“ ივ. გომართელმა  
რუსულად გამოაქვეყნა კრიტიკული წერილები  
ისეთ ქართველ მწერლებზე, რომელთა შესა-  
ხებ ცნობების უქონლობას უჩიოდა ხახანაშვი-  
ლი.

რა თქმა უნდა, რომ ივ. გომართელის ეს  
კრიტიკული წერილები ალ. ხახანაშვილმა  
უყურადღებოდ არ დატოვა და სათანადოდაც  
გამოიყენა თავის წიგნში, როგორც ამას ქვე-  
მოთ დავინახავთ.

ალ. ხახანაშვილი ჯერ კიდევ სტუდენტობის  
პერიოდთან იცნობდა ივ. გომართელს, მის  
ლიტერატურულ ნიჭს და მახვილ კრიტიკულ  
აღლოს, აფასებდა იმპრომატ, რომ მან დიდა  
წნობა და ფართო პოპულარობა მოიპოვა სა-  
ზოგადოებაში, როგორც მკურნალმა მწერალმა,  
საზოგადო მოღვაწემ «Социал-демократиче-  
ского направления... Он один из плодотвор-  
нейших молодых публицистов... В области  
критики он стоит на точке зрения утилитар-  
ной и отрицает значение чистого искус-  
ства. В публицистических статьях он раз-  
деляет взгляды социал-демократов» (стр.  
445).

ალ. ხახანაშვილმა თავის წიგნში ივ. გომა-  
რთელს მიუძღვნა მთელი თავი, ხშირად იხ-  
სენიებს მას, იყენებს მის მიერ გამოთქმულ  
მოსაზრებებს ამა თუ იმ მწერლის შემოქმედე-  
ბის გარჩენისას, ან გასული საუკუნის ჩვენი  
ცხოვრების რომელიმე პერიოდის სოციალ-პო-  
ლიტიკური მოვლენის შესაფასებლად.

ალ. ხახანაშვილმა თავის წიგნში ირ. ვედო-  
შვილის ცხოვრებას და შემოქმედებას დაუთ-  
მო 8 გვერდი (447-755). აქედან გვ. 448-451  
ჩათვლით და 452 გვერდის დასაწყისის სამი  
სტრიქონი (ე. ი. გამოკვლევის ნახევარზე მეტი)  
სიტყვა-სიტყვით ივ. გომართელის კალამს  
გაუთვინის.

როდესაც ანდრია დეკანოზაშვილის ნოველა  
„სხვისია, სხვისია!“ გამოქვეყნდა რუსულად,  
1901 წელის ქურნ. „არგონავტი“ (№10), და-  
იბეჭდა ვინმე „სტარი ზნაჰომის“ უხამსი რე-  
ცენზია, სადაც ავტორი წერდა, რომ ეს ნოვე-  
ლა არამც და არამც ქართველის დაწერილი არ

უნდა იყოს, რადგან შიგ ადგილობრივი ქართ-  
ული ცხოვრებიდან არაფერი არ არის აღებუ-  
ლი. და ამიტომ ეს ნოველა უნდა ყოფილიყო  
თარგმნილი ავტორის დაუსახებლად ან იტა-  
ლიურიდან, ან ესპანურიდან და იქნებ ფრან-  
გულიდანაცო. ამ ვაი რეკენუნტეს ივ. გომა-  
რთელმა 1901 წელს „ნოვოე ობოზრენიეში“  
(№ 5772) საკმაოდ მწვავე პასუხი გასცა.<sup>14</sup>

ივ. გომართელმა ძალიან კეთილშობილურ  
და საკირო საქმეს მოჰკიდა ხელი — რუს  
საზოგადოებას დროდარო აცნობდა ქართულ  
ლიტერატურას და ქართველი მწერლების შე-  
მოქმედებას. 1900 წელს გამოვიდა შ. არაგვის-  
პირელის თხზულებათა პირველი ტომი, რომ-  
ლის შესახებაც 1901 წელს „ნოვოე ობოზრე-  
ნიეში“ (№5791) მოათავსა კრიტიკული წერი-  
ლი, სადაც გაკვირით მიმოიხილავეა ქართული  
ლიტერატურის განვითარების ეტაპებს დაწვე-  
ბული თამარ მეფიდან 1900 წლამდე. ალ. ხა-  
ხანაშვილმა ეს წერილიც გამოიყენა. აქ უნდა  
აღინიშნოს, რომ მასალის ნაწილის გამოყენე-  
ბისას (გვ. 489,490)წ ალ. ხახანაშვილი მიუთი-  
თებს ივ. გომართელზე, როგორც პირველ  
წყაროზე. ნაწილი კი (გვ. 491 ბოლო აბზაცი,  
გვ. 492 თითქმის მთლიანად, გვ. 493 1 და  
ბოლო აბზაციები) გამოყენებულია წყაროს  
დაუსახებლად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ალ. ხახანაშვილი ასე  
თამამად რომ სარგებლობდა ივ. გომართელის  
წერილებით და უმეტეს შემთხვევაში არ ასა-  
ხელებდა ავტორს, ეს ხდებოდა ავტორთან შე-  
თანხმებით.

ირ. ვედოშვილი — წერს ივ. გომართელი,  
— საზოგადოებრივ წუხილს და ჰირ-ვარამს  
უფრო მალა აყენებს და მეტ ადგილს უთ-  
მობს თავის შემოქმედებაში, ვინემ პირადს,  
კერძოს, რადგან საერთო, საზოგადოებრივ  
ბედნიერებას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს,  
ვინემ კერძო, პირად ფუფუნებით ცხოვრებას.  
ამიტომ პოეტი პირველყოლისა მოგვიწოდებს,  
რომ საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ვიზრ-  
უნოთ. და ამიტომ ყველა ადამიანისაგან საზო-  
გადოებისადმი უმწიკვლო სამსახურს მოითხ-  
ოვს.

არც ირ. ვედოშვილი უარყოფს სამშობ-  
ლოს და მის წარსულის დიდებას, მაგრამ მის-  
თვის აწმყო უფრო ძვირფასია და ამიტომ ყო-  
ველ ადამიანისაგან ითხოვს აწმყოს პირნათ-  
ლად ემსახუროს. ირ. ვედოშვილისათვის, — ამ-  
ბობს ივ. გომართელი, — უცხოა ცრუ პატრი-  
ოტიზმი, რაც მხოლოდ და მხოლოდ წარსულის  
ქება-დიდებაში გამოიხატება. მას სხვაგვარად

**ვლადიმერ ნოვოვილი**  
იროდიონ ევდოშვილი რევოლუციონარულ  
მარტულ სალინიზატორო კრიტიკაზე

ესმის პატრიოტიზმი, ცდილობს ჩაწვდეს არსებულ სინამდვილეს, კარგად შეისწავლოს აწმყო, გადამწავლოს მკითხველს იმ საზოგადოების წყალუბები, სადაც მას უხდება ცხოვრება; სიტყვით და საქმით ბრძოლა გამოუცხადოს სოციალურ უსამართლობას. პოეტის იდეალი — განავრცობს იგი. გომართელი — წარსულში კი არ არის, არამედ მომავალშია.

იგი გომართელი აღნიშნავს, რომ ირ. ევდოშვილის პოეზია თვალნათლივ გვაჩვენებს არსებულ ცხოვრების სურათებს — ყველაფერი დაემორჩილა უხეშ მატერიალურ ძალას, ყოველივე იდეალური და ამბულბული განდევნილია, გვატონებულობა — სიცრუე, პირფერობა მდიდრის ძალა — უფლება და ეგოიზმი. საზოგადოება გაყოფილა ორ ნაწილად, ერთნი წელბზე ფეხს იდგამენ, შრომობენ, მეორენი კი მათი ნაოფლარ-ნამაფარით ძლებიან. პოეტის იდეალი კი ისეთი საზოგადოებრივი წყობილებია, რომლის საფუძველიც სიყვარული, თანასწორობა და სამართლიანობა უნდა იყოს. ირ. ევდოშვილი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ახლო მომავალში ყოველივე ბოროტებას და ძალმობრებას, უსამართლობას ბოლო მოეღება, და რომ ეს ასე მოხდება, საქაროა ბრძოლა, დაუცბრომელი ბრძოლა, მიგრამ ეს ბრძოლა, პოეტის აზრით, არ უნდა გამოიდიოდეს სამართლიანობის ფარგლებიდან.

დასასრულ ერთ საჯულისხმო მომენტს უნდა მივაქციოთ ყურადღება. იგი გომართელმა რატომღაც ირ. ევდოშვილის შემოქმედება მიივიწყა და მის სიყვილიამდე არაფერი დაუწერია. ირ. ევდოშვილის შემოქმედება ხომ 1901 წლის შემდეგ და განსაყუთრებით 1905-1907 წლამდე თავისი პირდაპირობით და შეუპოვრობით უფრო მეტბოლი და აქტიური იყო და განსაყუთრებით გამოვიინდა შეურბებელი რევოლუციონერი პოეტის ნიკი.

იგი გომართელის პირადი მეგობრობა, პატივისცემა და სიყვარული ირ. ევდოშვილისადმი მთელი სიცოცხლის მანძილზე ვრცელდებოდა.

ირ. ევდოშვილის დაკრძალვის დღეს 1916 წლის 8 მაისს, კვირას, ქაშვეთის ეკლესიის გილაფანში გადმოსვენებულ მწერალს გრძნობით საესე სიტყვებით პირველი გამოეთხოვა მისი პირველივე მკვლევარი და დამფასებელი — იგი გომართელი. აი, ამ სიტყვის დასასრული: „იროდიონის სწავს დემოკრატია მხოლოდ

ეროვნულს ნიადაგზე გამაფრძელებელს! უკნეს სტნელი აზრას ქალაგებისათვის მას ეკლის გვირგვინი დაადგეს თავზე. ამიტომ არის საყვარელი ის ქართველი ხალხისათვის და რაც დრო გავა, უფრო გიზრდება ქართველი ხალხისათვის ცნობიერება. მით უფრო იმატებს იროდიონისადმი სიყვარული. ქართველი ხალხის წინმსუღელობას ვერაფრითარი ძალა ვერ შეაფერზებს და ის მოიაზრებს იმ ბრწყინვალე მომავალს, რომელსაც ასე სეველიანდ და ასე ტბილად უვალბდა იროდიონის ჩანაქა.<sup>15</sup>

საჯულისხმოა, რომ თბილისის საგარეუბნო ქანდარბთა სამმართველოს უფროსს წინასწარ გამაფრთხილებელი ზომები მიუღია, რომ ირ. ევდოშვილის დაკრძალვის პოლიტიკური ხასიათი არ მიეღო და დემონსტრაციად არ გადაქცეულიყო. ამიტომ ქანდარმერიას საიდუმლო აგენტების საშუალებით წინდაწინვე უკვე გავგოთ, თუ ამ დღეს ვინ გამოვიდოდა სიტყვებით და რა ღონისძიებები ჩატარდებოდა. თბილისის საგუბერნიო ქანდარბთა სამმართველოს უფროსი, სასწრაფოდ და საიდუმლოდ თბილისის გუბერნატორის იტყობინებდა: „მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ მიღებულ ცნობების მიხედვით, დღეს, 8 მაისს ქართველი პოეტის იროდიონ ევდოშვილის დასაფლავებაზე სიტყვებს წარმოსთქვიამენ: ექიმი გომართელი... საფლავზე იქნება მხოლოდ ერთი გვირგვინი შემდეგი წარწერით: „მშრომელია მომღერალს ქართველ ხალხისაგან.“<sup>16</sup>

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ირ. ევდოშვილი იყო პირველი ქართველი რევოლუციონერ-დემოკრატი პოეტი, რომლის შემოქმედებაში პირველად გაისმა გულწრფელი ხმა მშრომელი ხალხის ჰირ-ვიარაზე და რომელმაც თავისი ჩანგი კლასობრივ ჰანგზე აიქღერა. ირ. ევდოშვილი პოეტებს შორის იყო პირველი, რომელიც გვერდში ამოუდგა მესამე დასს და მის ორგანოში, „ეკლის“ რედაქციაში თავგამოდებით მუშაობდა 1903 წლის აგვისტომდე.

და თუ დიდმა დოსტოვესკიმ გასული საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთის კრიტიკული რეალიზმის მწერლებზე თქვა: „ჩვენ ყველანი გოგოლის „შინელიდან“ ვართ გამოსულნი“—ო, მით უმეტეს ქართველ რევოლუციონერ-დემოკრატ პოეტებს წარმომადგენლებს თამამად შეუძლიათ თქვან: „ჩვენ კი გამოვედით ირ. ევდოშვილის ლექსიდან „მეგობრებო წინ... წინ გასწით“—ო.

შენიშვნები:

- 1 ივ. გომართელი, რჩეული თხზ., ტ. 2, 185-186 გვ. ლზე, გაზ. „სამშობლო“, 1916 წ. №352.
- 2 ვ. ხუროძე, ქართული ლიტერატურის თე-  
მატიურად განხილვა, 1927 წ. გვ. 133. 11 ხომლედი, რჩეული ნაწერები, 1963 წ.  
გვ. 399.
- 3 ივ. გომართელის სიტყვა, ირ. ევდოშვი-  
ლი, გაზ. „სამშობლო“, 1961 წ. №352. 12 ეურნ. „ცხოვრება“, 1916, №9, I მაისი.
- 4 ივ. გომართელი, იროდიონი, ეურნ. „თე-  
ატრი და ცხოვრება“, 1916 წ. №19, 8 მაისი. 13 ივ. გომართელი, რჩეული, თხზ., ტ. I,  
გვ. 293.
- 5 ივ. გომართელი, რჩ. თხზ., ტ. I, გვ. 126. 14 იხ. ჩვენს მიერ შედგენილი კრებული  
„მოთხრობები“, „საბჭოთა საქართველო“, 1965  
წ. გვ. 172-173 შესავალი წერილი ან. დეკანო-  
ზიშვილი.
- 6 ივ. გომართელი, რჩ. თხზ., ტ. I, გვ. 163. 15 გაზ. „სამშობლო“, 1916 წ. №352, ივ.  
გომართელის სიტყვა. ირ. ევდოშვილი. იხ.  
აგრეთვე იხ. ვართაგავა, კრიტიკული წერილე-  
ბი, ტ. I, გვ. 333.
- 7 იქვე 16 ციტატი ამოღებულია შ. გოზალიშვილის  
წიგნიდან „ირ. ევდოშვილი“ 1961 წ. გვ. 139.
- 8 К. Бальмонт, Собрание стихов, т. I,  
1905 г. стр. 7, «Лунный свет».
- 9 ივ. გომართელი, რჩეული თხზ., ტ. I, გვ.  
163-164.
- 10 ივ. გომართელის სიტყვა, ირ. ევდოშვი-



## იროდირი ევდოშვილი და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

იროდირი ევდოშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესასწავლად არ არის საკმარისი მარტო ლირიკის გაცნობა, საჭიროა წავიკითხოთ მისი ბელეტრისტული თხზულებები. მოთხრობები, ნოველები, ეტიუდები და მინიატურები, ჩაეხედოთ მის მდიდარ სატირულ პუბლიცისტიკასა და დრამატურგიულ საქმიანობას, მაგრამ არც მისი თარგმანები უნდა დავივიწყოთ.

ირ. ევდოშვილი იყო პროფესიონალი მთარგმნელი და უმთავრესად ისეთი მწერლები თხზულებები თარგმნიდა, რომლებიც იდეურ-პოლიტიკური განწყობილებებით ახლოს იდგა მასთან, მსოფლმხედველობით ენათესავებოდა მას. მისი, როგორც ორიგინალური თხზულებები, ისე თარგმანები იდგა რევოლუციის სამსახურში. ამიტომ სათარგმნი მასალაც აქტუალური იყო და დროის მოთხოვნებით განისაზღვრებოდა.

ირ. ევდოშვილმა რუსული ტექსტებიდან თარგმნა რუსეთის, უკრაინის, საფრანკეთის, გერმანიის, იტალიის, ავსტრიის, პოლონეთის, ინგლისისა და ამერიკის საქვეყნოდ ცნობილი მწერლების ლირიკული, პროზაული და დრამატურგიული თხზულებები.

შეიძლება ითქვას, რომ უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიას არა ჰყავს მეორე მწერალი, რომელსაც თარგმანზე მუშაობისას ესოდენ დიდი ნებისყოფა და მხატვრული ერთგულია გამოეჩინოს. ამ კეთილშობილური წამოწყებით ირ. ევდოშვილმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა როგორც ხალხთა ლიტერატურული დაახლოებისა და მეგობრობის საქმეს, ისე სხვადასხვა ერისა და ქვეყნის შვილთა ურთიერთაპირიკითხვას, გაეცნობას, დაეკავშირებას, ერთის სიტყვით, ირ. ევდოშვილმა 90-იანი და 900-იანი წლების ქართული მწერლობის ბაღში დარგო ინტერნაციონალური სიყვარულის უკვნობი ხე, რომელიც კიდევ უფრო გაიფურჩქნა და აუვავდა საბჭოთა ეპოქაში.

იროდირი ევდოშვილი ორიგინალურ მხატვრულ თხზულებებს რუსულადაც ქმნიდა. ამას ადასტურებს როგორც მწერლის ხელნაწერთა ფონდში არსებული ჭერ კიდევ დაუბეჭდავი ნათარგმნი თხზულებები და თხზულებათა ფრაგმენტები, კორესპონდენციები, ისე გამოქვეყნებული მასალები. ავრეთვე ის ფაქტიც, რომ ირ. ევდოშვილი იყო გაზეთ „ნოვოე თბოზრენის“ თანამშრომელი.

ირ. ევდოშვილს რუსულად დაუწერია ორიგინალური თხზულებები: «Старый преступник», «Маленький человек», «В пивной», «Белый дом», «Фонтан» (из Балаханской жизни). საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ირ. ევდოშვილის ხელნაწერთა ფონდში ინახება უცნობი თარგმნილი პიესის ნაწყვეტი, დაუმთავრებელი მოთხრობა, «Сыны отечества за мною» და კორესპონდენცია «Сигнахский уезд»... პიესის ლექსი „წინასწარმეტყველ ითანეს“ რუსულად დაწერილი პროზაული ლექსი და სხვა.

აღსანიშნავია ავრეთვე ი. ჭავჭავაძის ვერაგულ მკვლელობასთან დაკავშირებით ირ. ევდოშვილის რუსულად დაწერილი ესკიზი «Плач Кавказских гор» (Посвящается И. Г. Чавчавадзе, რითაც ზიზი და საუკუნო შეჩვენება შეუთვალა ავტორმა ქართველი ხალხის დიდი შეილის ი. ჭავჭავაძის მკვლელებს.

საყურადღებოა ავრეთვე ი. ევდოშვილის ხელნაწერთა ფონდში არსებული და დღემდე დაუბეჭდავი დრამატურგიული თარგმანები. ვიქტორ რიკოვის ოთხმოქმედებიანი კომედია „გამოვლენი“, ოსკარ უილდის (1856-1900) ერთმოქმედებიანი დრამა „სალომე“, ე. რისტანის ლექსად თარგმნილი სამოქმედებიანი კომედია „რომანტიკოსები“.

კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული ხასიათის სტატია გამოქვეყნებული გაზეთ „ნოვოე თბოზ-

რენიეში»: «На грузинском книжном рынке» და სხვ.

ი.რ. ევდოშვილი იყო კაპიტალისტური ეპოქის დიდი მამხილებელი. თავისი რევოლუციური შემოქმედებით მზის სინათლეზე გამოიტანა სოციალური უსამართლობის სისასტიკე და სიბნელე.

პირველი რევოლუციის მომზადებისა და შეტევის ბერიოდში განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა ი.რ. ევდოშვილის ლირიკულ ლექსთა თარგმანებს, რომლებიც ასრულებდა ტყეის, ყუბმარის, შაშხანის როლს, ლექსებს, რომლებსაც მასევე წარმოთქვამდნენ კრებებზე, დემონსტრაციებზე, მანიფესტაციებზე და მღეროდნენ სამგლოვიარო თუ საზეიმო შეკრების დროს.

ი.რ. ევდოშვილიმ რუსულიდან ვადმოთარგმნა რევოლუციური სულით მგრავინაევი, მუშათა კლასის გამარჯვების ძლიერი პათოსით სავსე ლირიკული ლექსების ციკლი „მოუწვეველ სტუმარს“ (მაკედონელ კარაგეოზის სიმღერებიდან), „სიმღერა განახლებულ რუსეთის მუშებისა“, „პირველი მისი“, „ჩამოვლილი“, „გრავინაევი!“, „მუშის სიმღერა“, „წინა!“, „მაკედონელ სტილიან კარაგეოზის სიმღერებიდან“, „სასოვრად 48 წლის თბილისის დღეებისა“, „პალმაშევის უკანასკნელი სიტყვა სისამართლოში“, „ტუსსალ“, „სიმღერა“ (პოლონურიდან), „შორს ჩვენგან ევგო!“, „რვა საათი“, „ტყვეობაში წამებულს“, „ქმებო დროშა გათმალა“, „ანდერძი“, „ცენზორს“, „დაწყებული საქმეს“, „ვეფლენი ცოცხალ და მიცვალებულთ“, „რეაქტია რას დაგვაკლებს“, „მორჩა, გათვდა, ჩაქრა ქუხილი!“, იოჰან შერის „სიმღერა ერთგული ამხანაგზე“ და სხვ.

ზემოჩამოთვლილ ლექსებს გარდა ი.რ. ევდოშვილს კიდევ აქვს თარგმნილი ისეთი ლექსები, რომელთა ავტორები ჭრჭერობით დაუდგენელია. თავისი რევოლუციური პათოსით, იდეურ-პოლიტიკური სიმახვილით, აქტუალობითა და პროლეტარიატის საბრძოლო სულისკვეთებით, ეს ლექსები ასრულებდნენ თვითმპყრობელობის ტანტისაკენ გასროლილი ყუმბარების მავიჯობას. ამ ლექსების უმეტესი ნაწილი აკრძალული იყო მეფის შაჰინაშულის ცენზურის მიერ, მათი ავტორები არალეგალურად მუშაობდნენ, ხოლო ზოგიერთი მათგანი რეპრესირებულიც იყო. ამიტომ მთარგმნელი — ი.რ. ევდოშვილი ხელისუფლების შიშით სიფრთხილეს იჩენდა და თარგმნისას ავტორის გვარს ლექსებს არ აწერდა. იგი მხოლოდ ბუნდოვან მისამართს, გაურკვეველ გზას უჩვენებდა. ზოგჯერ სრულიად არ აწერდა, რომ თარგმნილი იყო სხვა ენიდან, ან სათაურის მავიჯრ სიმ ვარსკვლავს უკეთებდა ლექსს და აწერდა, „რუსულიდან“, „თარგმანი რუსულიდან“, „პოლონურიდან“ და ა. შ. ეს იყო ერთგვარი ხერხი, ნიღაბი, რომ ზელისუფლების საწინააღმდე-

გო ლექსები ამოთარებოდა ცენზურის თვალს. ლექსში „მოუწვეველ სტუმარს“ დახატულია ოსმალების მონობისა და ნაციონალიზმის მძიმე უღელქვეშ მყოფი ბულგარელი მებრძოლი რევოლუციონერისა და პრინციპული მწერლის სახე, რომელიც მოხერხებულად, კონსპირაციულად მუშაობს მტრის წინააღმდეგ. მის საქმიანობას ვერ ამჩნევს ოსმალების გამოყვეჩებული ეანდარმერია. ლექსის ლირიკული გმირი გაბედულად აცხადებს: „თქვენი საკბილო რვეულ-წიგნები აქ აღარ არი, ვფიცავ სინდისსა, რაც მეტი იყო, ეუჩვენე გზები, შეგყურე მთ თქვენი მოლოდინისა!“. ლექსში „სიმღერა განახლებულ რუსეთის მუშებისა“ ავტორი გმობს იმ სეგდისმოგვრულ ჰანგებს, სადაც კვენესას ბანს ბორიკლები აღეუდნენ, აქ ელერს ხამალაი საბრძოლო მოწოდება განახლებული რევოლუციური რუსეთის მუშებისა, რომ ამერიიდან არ დაემორჩილებიან შევბედს, საკუთარი ბრძოლებით გამოისნნან თავს მონობის მძიმე უღლისაგან, რომ ძველი სეგდინი სიმღერები მათ გულბში ვერ ჩაქლავს დიდი მომავლის იმედებს: „მაშ, შორს ჩვენგან, ცრემლო-კვენესავ, კავი არის ჩვენი გული და ბრძოლისთვის გამოწვრთნილი მკლავები გვაქვს ამართული“.

საერთაშორისო პროლეტარიატის საბრძოლო ძალების დათვლიერების დღე პირველი მისი განსაკუთრებული გრძნობით არის დახატული რუსულიდან თარგმნილი ლექსში „პირველი მისი“.

პირველ მისის უნდა დიქუხოს დედამისის ზურგზე პროლეტარიატის ხმამ და შეწყვეტოს გლოვისა და მწუხარების ზარი, დაიმხნერეს ციხის კარები და მწყვეტს მუშაობა ქარხნებში. ავტორი ზიზღსა და სიძულვილს უცხადებს შტრეიკბრებერებს, რომლებიც ქარხნის მოურავმა მცირე გროშებით მოხბლა და სორთში შეიტყუა და ჭარიც მოიყვანა მოწინააღმდეგე მუშების ასალავმავდ, მაგარ მპოეტე მუშებს მტკიცედ ათქმევენებს: „აბა, მძებო, მხარი-მხარსა, ჩარაზულნი დავდგეთ ერთად, მივუმატოთ ძალი ძალსა მტრის ბანაკის გასაკვეთად!“. ამ ლექსმა უდიდესი რევოლუციური-აღმზრდელიობით როლი შეასრულა საქართველოს პროლეტარიატის მჭერ ოჯახში.

სოციალური და ეროვნული იდეებით არის განათებული ლექსი — „ჩამოვლილი“, რომელიც პოეტე მძაფრი შეძახილით ემუქრება ძველ, გარყენილ და ძირმომალ ცხოვრებას, რომ გზა დაუთმოს ახალი დროის შეიღებს, რომლებიც მონობაში დაიბანდნენ, ტანჯვის ცრემლით გაიზარდნენ და ახლა კი მათ ბრძოლის ველი ეძახის. ამ გმირებმა უნდა დაღონ თავი ახალი

**შოთა ბარამიძე**  
იროდიონ ევლოშვილი და მსოფლიო  
ლიტერატურის კლასიკოსები

ცხოვრების ინტერესებისათვის, ხამშობლოს ჯალაღებებს სსკედლის სულარა ჩააცვან, კუბოში ჩაქედონ და ციხეებში შექმნილი სიმღერებით საფლავამდე მიაცილონ.

1905 წელს თარგმნილ ლექსში „გრგვინავდემ“ რევოლუციონერი-პრობავანდისტის მისია ნათლად არის გამოკვეთილი. სადაც არ უნდა იყო, ამბობს პოეტი, მედგარი ბრძოლით, დღე-ღამეაღად ყველგან უნდა გრგვინავდე. „გრგვინე სიტყვით, გრგვინე კალმითა“. შენი გესლით ავილი სიტყვა უნდა ქუზღეს და თუ ჯალათმა შეგინუთა სულ და სიტყვას ვედარ წარმოთქვამ ქვეა-ქუხნით, მაშინ ჯალათს სახეში შეფუტრთხე... პირდაპირ გულში ჩამწვდომია ეს სიტყვენი, დიდია მისი იდეური სიღრმე და სინათლე.

ლექსებში „წინა“, და „სახსოვრად 48 წლის თიბათვის დღეებისა“, ესმის მოწოდება ბრძოლის ველისაკენ, ბარიკადებისაკენ: „ძმებო, ძმებო, სომართლისთვის გადავიდეთ ბარიკადზე!“. ბარიკადებზე უნდა გადაწყდეს მშრომელთა ბედი, იქ უნდა ამოვიდეს გამარჯვების ცისკარი და ამიტომ პოეტიც ეძახის მებრძოლ გმირებს, რომ ხვალ, განთიადისას, ყველა უშიშრად გამოცხადდეს ამ სალოცავ იდეალზე წითელ დროშის კალთებქვეშ დარახველი და იქ მოუღოს ბოლო ტანჯვას და წამებას: „ან ტყვია გულში, ან ლუკმა პური, ბარიკადებზე ხვალ გადაწყდება“.

პირველი რევოლუციის წინა დღეებში ირ. ევლოშვილი ფეხდაფეხ მისდევდა რა ბოლშევიკების მიერ გადაღებულ რევოლუციურ ნაბიჯებს, მხატვრული თარგმანებით პასუხს სცემდა, ენაპურებოდა მუშათა კლასის დღის წესრიგში დამდგარ იქტუალურ საკითხებს. ამის საუკეთესო ნიმუშია რუსულიდან თარგმნილი ლექსი „რვა საათი“, სადაც მხატვრულად არის წარმოდგენილი მუშათა კლასის მოთხოვნები რვა საათიანი სამუშაო დღის შესახებ. პოეტს ლექსში გაკაყვს კონტრასტული პარალელები, ისმის უმეცარესი სოციალური წყევლა-კრულვა. დასაბუთებულია, რომ პირტყევი, ფრინველი, ტყის ნაღობი უფრო ბედნიერია, ვიდრე მუშა. ამიტომ მოითხოვს, რომ მუშებმა ერთმანეთს პირი მისცენ და ყველგან — მალაჩოვებში, ქარნენებში, ფაბრიკებში იბრძოლონ სამუშაო დღის შემცირებისათვის.

ირ. ევლოშვილმა, როგორც ირიგინალურ რევოლუციურ ლირიკასა და პროზაში, ისე თარგმნილ რევოლუციურ ლექსებსა და სიმღერებში განსაკუთრებული სიყვარულით დახატა თავისუფლებისათვის მსხვერპლშეწირულია სახეები. მათი დიდი დამსახურება და ბიძქურ თანამედროვეობასთან შეტაკება ლამაზად არის ასახული. ერთი იდეითა და პოლიტიკური მიზანდასახულებით არის გაიზარდნებული ლექსები „ტუსის“, „ბალმაშევის უკანასკნელი სიტყვა სსამართლოში“, „მაკედონელ სტილიან

კარაგეოზის სიმღერებიდან“ და „ტყვეობაში წამებულს“. ამ ლექსებში მკვეთრად და ამადლეველად სულაღმუღოა მეფის ხელისუფლების მიერ პოლიტიკურ მებრძოლთა და დასჯილთა გალერვა.

პირველ ლექსში სსკედლისმსჯილი ლირიკული გმირი უშიშარი და გაუტეხელია, იგი არ კანკალებს სასჯელის წინაშე, რომელიც სსსრულეში უნდა მოიყვანონ. შეწუხებულია იმით, რომ მისი ხალხი, მისი სამშობლო კვასაგით ცოცავს მტარავალის ფეხებთან. ამიტომ განზრახული აქვს, როცა სახრჩობელაზე ამაყად ფეხს შეადგამს, სამშობლოს ვადმოსძახოს, ხელებს ნუ უღოკავს „ბატონ მტარავალებს“ და მოიშორას მონობის ტვირთი, თვითონ კი ქედს არ მოახრის ჯალათის წინაშე, გმირულად შეეწირება სამშობლოს დახსნის საქმეს: „მოკვდევი, მაგრამ სხნარულია ჳაბუკისათვის ასეთი ბედი და ნუ გგონიათ, რო ჳალათის წინ ძირს დაიხაროს ამაყი ქედი“.

ლექსში „ტყვეობაში წამებულს“ მეტად ამადლეველი სურათია დახატული. ამხანაგებმა დასასფლავეს ბატონობაში განაწამებე მებრძოლი გმირი და ფიცი დიდეს, რომ იმათაც „ციხეებში ამოუეთა სული და იქ დალპებთან, მაგრამ ძელედიდან აღდგებთან უფრო მამაცნი და მტერს მტრულად, სამავიერის მიუხლავენ. რუსულიდან თარგმნილი ლექსი „ძმებო, დროშა გაიშალა“ მძლავრი საბრძოლო სტიმულის მიმცემია. იგი მოუწოდებს ძმურად და იდეურად შედუღებულ, შეკავშირებულ მებრძოლებს წითელი დროშის ქვეშ დაიარაზონ, ხელისუფლად გადადებული, კრიმინალური გაემართონ მტერს ბანაკისაკენ და დასცენ სასიკედლო ყოყინა, ხალხს ახარონ, რომ ამოდის გამარჯვების შზე, რომ განითიად წითლად აუღერდება და მონა ტრენიზნზე ავა, ხოლო ბატონები გლოვის ზარით შეპყრობილნი დეციკმან.

რუსულიდან გადმოქართულებული ლექსი „ანდრძი“ ეხება დაბატონებულ მებრძოლთა რაზმებს, რომლებმაც იციან, რომ ჳალათის ხელით დასრულდება მათი სიცოცხლე, მაგრამ სითხოვენ ამხანაგებს, რომ მტერს სმაივიერო გადაუხადონ, შური იძიონ, ერთმანეთა შეიყვარონ და როცა გამარჯვების ბედნიერი წუთი დადგება, გაისხენონ მათი სახელები.

1905 წელს, როცა პირველი რევოლუციის სსხლიანი ბრძოლები ზენიტს აღწევდა, ირ. ევლოშვილმა ეყენ პოტიედან არკოე კოცის მიერ რუსულად თარგმნილი მსოფლიო პროლეტარიატის ჳიშნი „ინტერნაციონალი“ გადმოქართულია სამ ვარიანტად — და თარგმანს ირიგინალური სტილიკონებიე ჩაუმატა. ეს საქვეყნური ცნობილი ჳიშნი, მსოფლიო რევოლუციური პოეზიის უბრწყინველესი მარგალიტი თარგმნა აგრეთვე აკაკი წერეთელმა და გაზეთ „პატარა ვაზეთის“ 1906 წლის სახალწლო ნომერში დაბეჭდა, რის გამოც პასუხისგებაში



მისცეს გაზეთის რედაქტორი — კოტე მესხი და მთარგმნელი. „ინტერნაციონალი“ ისე რთვორც სხვა ქვეყნის მშრომელებისათვის, რუსეთსა და საქართველოში გახდა აივარული ხალხის შემავიჯნირებელი, სპირო იყო „ინტერნაციონალი“ თარგმნილიყო ქართულ ენაზე ისე, რომ სიტყვას თუ მარცვალს ჰქონოდა მუსიკალური ელერადობა, რომ შესაძლებელა ყოფილიყო მისი საგუნდო ნოტებზე შესრულება. ეს საიეთი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დააყენეს ს. ორჯონიძემ და ფ. მახარაძემ ჰიმნის თარგმანზე გამოცხადდა კონკურსი და შეიქმნა ეთერი. კონკურსში წარმოდგენილი იყო ხუთა თარგმანი, რომელთა შორის გამარჯვებულები ბოტე ს. ფაშალიშვილის მიერ შესრულებულმა თარგმანმა და დღეს „ინტერნაციონალის“ ტექსტო, რომელსაც მღერიან საქართველოს მშრომელები ქართულად ს. ფაშალიშვილისეული თარგმანითა.

ა. ვედოშვილმა 1902 წელს თარგმნა აგრეთვე რევოლუციური ხასიათის ლექსი „ძმებო, ვადიდო ბრძოლისა ველზე!“. ეს იყო მომწოდებელი, მორგანიზებელი ლექსი. მანვე თარგმნა მსოფლიო რევოლუციური პოეზიის საუკეთესო ნიმუშები „ვიარშულა“ და „მარსელითხა“. ქართველი მუშა-მებრძოლები ამ ლექსებს წარმოთქვამდნენ და მიგრდნენ კრებებზე, დემონსტრაციებზე, ყრობებზე. დიდი იყო მათი პოპულარობა და დამრახმავი როლი. ათასობით ბეჭდვდნენ და პროკლამაციებად აგრელებდნენ ხალხში. 1904 წლის 13 ოქტომბერს ვიორჯი ერისთავისადმი მიძღვნილ სადამოწვე ორკესტრმა შესარულა „მარსელითხა“.

იროლიონ ვედოშვილმა მაღალ დონეზე თარგმნა აგრეთვე ბოლონელი რევოლუციონერის ბოლესლავ ჩერვინცკის რევოლუციური ხასიათის ლექსი „წითელა დროში“, რომელიც ბუტრიყის ციხეში ჯდომის დღის რუსულად ჰქონდა თარგმნილი ლენინის მეგობრის გულე მამსილიანეს ძე კრეიფანოვსკის, ლონიდ რადინის შემტევი ხასიათის ლექსი — „ძმებო, გმირულად“, და არკადი კოცის „პროლეტართა მისდერა“. ამ ლექსებში ისმის მძლავრი, ოპტიმისტური ხმა, რომელიც ანგრეებს დაბავსებულ ცხოვრების ციხე-სიმაგრეს, ასამარებს ქვეყნად არსებულ ბოროტებს და იძლევა გამარჯვების მზით გაცისკროვნებული დღის პერსპექტივას. ლექსში „ძმებო, გმირულად, მყრდილი მივაწვიო!“ მოცემულია საბრძოლო ამოცანა და დიდი ვანწყობა ბრძოლის საბოლოო შედეგებისადმი. მისი ყოველი სტრიქონი გაუღნითლია საერთო საქმის სიყვარულითა და თავგანწირვით.

არკადი კოცის „პროლეტართა სიმღერის“ კურნალი მაღამოდ ვედობოდა რუსეთის პირველი რევოლუციის დროს აღმუთებულ მებრძოლ მასებს. იგი მოწოდების ზარად გაისმოდა და შურისძიებით ამხარევედა ბურჟუაზიის ბატონობის ჩაკეტილ კარებს. დიდებისა და ვიქციური გამარჯვების ჰიმნად გაისმოდა მუშათა წრეებში.

ქრება სიბნელე, ილევა მწუხარე დამის წყვლიადი, წინ, მეგობრებო, ვეიდგება წუთი საერთო დიადი!

ირ. ვედოშვილმა 1906 წელს დიდი სიყვარულითა და მაღალი პოეტური შთაგონებით თარგმნა იტალიელი პოეტის ლუიჯი მერკანტინის გამათავისუფლებელი ბრძოლის სულისკვეთებით გამსჭვალული ლექსი „გარიბოლის სიმღერა“. თავისი მძაფრი საბრძოლო შინაარსით, რევოლუციური თემატიკითა და მხატვრული გამოსახვის დიდი კულტურით ლექსი მოუწოდებს ხალხს ბრძოლის ველისაკენ, საბოლოო შეტეგების, სოციალური ანგარიშსწორებისაკენ, რათა ერთხელ და სამუდამოდ დაეშვას ძირს ჯალათის ხელი და აღიმართოს გალომებული ხალხის წინაშე განთიადის ცხრათვალა მზე. ლექსი როგორც გარიბოლდელებზე, ისე კავასიელ რევოლუციონერებზე მდიდარ შთაბეჭდილებას სტოვებს. ჩვენ თითქმის გვემის ვმირული შერკინება, იარაღის ცღერა, ბრძოლის ველზე გამართული სისიკვდილო აგონია.

„ძმებო, ავსწიოთ წითელი დროში!

აჰა, გვეძახის ბრძოლისა ველი! — მძლავრად ჰქუთხა ლირიკული გმირის ეს სიტყვები და მოუწოდებს მებრძოლ რახმებს ერთიანობისაკენ, საყვდრო-სისიკოცხლო შეტეგისაკენ. პოეტური აქსესუარების მტკიცე დაცვით და მხატვრული კომპონენტების შენარჩუნებით არის ირ. ვედოშვილის მიერ „ბარბიდან“ გადმოქართულებული მებრძოლი სულისკვეთების გამომხატველი ლექსი. იგი წარმოადგენს პოეტურ საყვირს, მიმართულს მეფის ტახტის დასამხოზად. ამიტომ მეფის ცენზურის მიერ დიდხანს იყო დენილი როგორც ამ ლექსის ორიგინალი, ისე მისი თარგმანები. პოეტმა იგი მათავსა 1906 წელს არალეგალურად გამოცემულ „ნათარგმნი და ორიგინალური ლექსებისა და სიმღერების კრებულში — წინ“.

1906 წელს ირ. ვედოშვილმა გადმოთარგმნა ფრანგული ლიტერატურის დიდი კლასიკოსის ვიქტორ ჰიუგოს ლექსი „განთიადის წინ“, აგრეთვე ფრანგული დემოკრატული მწერლო-

მუშებო, აღვშდგეთ და მტარვალეხა ჩვენ ჩამოუკრათ ბრძოლისა ზარი! ის გავამეფოთ, ვინც ოდღს იწურავს და ქვეყანასა მიცეო ხალხადი.

შრომა ბარბიშიმ  
ირიდიონ ევლოგიელი და მსოფლიო  
ლიტერატურის კლასიკოსები



ბის სახელმწიფოებრილი პოეტის ბერანყეს ლექსების ციკლი „საფრანგეთის მომავალი“, „ბარბანაი“, „დეპუტატის ანგარიში“ და „ახალ-ვაზრდებს“ თარგმნილია რევოლუციის აღმავლობის ხანაში. ლექსი „საფრანგეთის მომავალი“ სასტიკად იყო დევნილი ცენზურის მიერ და მისი გამოქვეყნება მხოლოდ ორი წლის შემდეგ მოხერხდა. აქ ნიღაბი აქვს ჩამოხდილი ბურბონების დინასტიის, დახატულია მისი დახვეწებულობა და კონსერვატულობა. ბერანყეს ლექსებში სუნთქავს დემოკრატიული პრინციპებით, თანამედროვე ცხოვრების სატირული კრიტიკით. ეს არის მეგრძოლი მასების სულიერი ევოლუციის გამოხატელობა წმინდა პოეტური სტილიზაციებით, რომლებიც დაღვინებულ სისხლიანი ბრძოლებსა თუ საბარბაქოდო შეტაკებათა შესახებ.

ირ. ევდოშვილმა ამ პერიოდში გადმოთარგმნა აგრეთვე მსოფლიო რევოლუციური პოეზიის ლექსები და სიმღერები: შელის „სიმღერა ინგლისელებს“, და „ოზიმანდა“, „ინგლისი 1819 წელს“, ტომის პუდის „სიმღერა მკერვალი ქალისა“, ირლანდიური სიმღერა ოკონორისა — „უცხოეთში“, ფრ. კოპეს „მადიარა“, მანუელის „ბრძენ ებრაელის ახალ სოფლაზე“.

ლექსების ამ ციკლში დახატულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამეფებული უსამართლობა, ამღვლელები პატრიოტიზმის გრძნობა, მშრომელი ხალხისა და საერთოდ შრომის საშფოს დიდი სიყვარული, დიადი მომავლის მტკიცე რწმენა და მოწოდება იმისა, რომ თავისუფლების გვირგვინისათვის დილა თავისით არ მოვა, რომ იგი ბრძოლითა და სისხლისღვრით უნდა მოიპოვოს დაკორუმბულმა ხელეებმა.

განუზომელია ის უდიდესი სიყვარული, რომელიც აკავშირებდა ირ. ევდოშვილს რუსული ლიტერატურის კორიფეებთან. რუსული ლიტერატურის ღრმად ცოდნამ, პროგრესულმა იდეებმა და ნათელმა აზრებმა აფიქრებინეს ირ. ევდოშვილს ეთარგმნა ეპოქის მოთხოვნებთან და აქტუალურ თემებთან ახლოს მღვამი თხზულებები.

თარგმანთა შორის ყურადღებას იქცევს ჩეხვისა და ნეკრასოვის თხზულებები. შეიძლება ითქვას, რომ ამ ორი მწერლის იდეურ-მხატვრული კვალი ატყვია ირ. ევდოშვილის ორიგინალურ შემოქმედებასაც, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ირ. ევდოშვილის შემოქმედება კარგადეს თავისთავადობას. პირობით, იგი ამით უფრო ამალდა და მიუახლოვდა ეპოქის მაქსიმუმს.

რუსულია და მის იმპერიაში შემავალი პროგრესული მწერლები და მოაზროვნეები დიდად აფასებდნენ რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების დედაბოძს — დობროლიუბოს. მისი გარდაცვალების გამო ნ. ნეკრასო-

მა დაწერა ლექსი „დობროლიუბოვის სხვადასხვა სახეობის ბრწყინვალედ არის დახატული და გადმოცემული ის დიდი დამსახურება, რომელიც მიუძღვის დობროლიუბოს რუსული კულტურის, მისი წინსვლისა და ხალხთა გათავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში.“

ირ. ევდოშვილმა გადმოთარგმნა ეს ლექსი და პირველად 1901 წელს „კვალში“ გამოაქვეყნა. ამის შემდეგ ამ ნიჭიერად დაწერილი ლექსის თარგმანი სამეგრეო დაიბეჭდა.

ირ. ევდოშვილმა გადმოთარგმნა აგრეთვე ნ. ნეკრასოვის მეორე ლექსი „ბავშვების ტირილი“, რომელიც თვით ჰქონდა ნეკრასოს შესრულებული თავისუფალი თარგმანის სახით ინგლისელი პოეტი ჯალის ელიზაბეტ ბარეტ ბროუნინგიდან.

ლექსში ღრმად არის გაშუქებული ბავშვთა შრომის ექსპლოატაცია ინგლისში. პოეტი ილაშქრებს ნორჩი თაობის დამღუბელი შრომის უღელში შებმის წინააღმდეგ, რაც საფრთხეს უქმნის კაპობრიობის განვითარებას.

ირ. ევდოშვილმა 1914 წელს, როცა იგი ავადმყოფობამ ლოვიწზე მიაჭაქვა და სიკვდილს ებრძოდა, თარგმნა და პრესაში გამოაქვეყნა დიდი რუსი პოეტის კ. ბალმონტის ლექსები: „შენ გსურს?“ და „ჩემი ადგილი“.

რუსულიდან თარგმნა აგრეთვე რევოლუციური შინაარსის ლექსები: „მეჭლის ბალტა-ზარისა“, „სიმღერა სიძულვილისა“, და „ახალი ციხე“, რომელთა ავტორები დაუდგენელია. ამ ლექსებში მძფარი სოციალური სიძულვილია დახატული მწავგრელობა მიმართ. პოეტი ნიღაბს ზღის ძველ სამყაროს, დამალ-დახვეწებულ სისწამდეილეს, ამსხვრევს რაჯობითური ცხოვრების ბნელითმოცულ კარებს. ლექსთა ლირიკული ვმირები უფარვისი აწყოოს წინააღმდეგ იდეურად შეიარაღებულნი, ამხედრებულნი მიდიან ბრძოლის ველისაკენ. მათ სიყვარულიც ესმით და სიძულვილიც. ბრძოლის უმას კი ივიწყებენ სიყვარულს და მათს გულში მხოლოდ სიძულვილის გრძნობაა გამეფებული. ისინი არიან უდიდესი პროტესტანტები, კაპიტალისტური ცხოვრების დაუქინებელი მტრები. ლექსების რევოლუციური რიტმი შეთანხმებულია თანამედროვეობასთან, იგი პასუხობს დროისა და სიტუაციის მოთხოვნებს და სწორედ ამ მიზნით თარგმნა ირ. ევდოშვილმა და ცენზურის შიშით ავტორები არ უჩვენა.

1908 წელს ირ. ევდოშვილმა თარგმნა ტარნოვის ივავარაკული სტილით დაწერილი ლექსი — პაროდია „ვირი და ბუღბული“, რომელსაც სათაურის ქვემოთ ფრჩხილებში მიწერილი აქვს: „ვეუძღვნი მწერლობის თავისუფლებას“.

ამ ლექსით როგორც ავტორი, ისე მთარგმნელი ქარავმული სიტყვებით, ალგორითულად ებრძვის მეფის ჭალათურ ცენზურას, თავისუფალი აზრის მკვლელებს და ყაჩაღებს. მითით-





ხოვს, მწერალი ვათავისუფლდეს ყოველგვარი შემოქმედებისაგან, მიენიჭოს მას აზრის გამოხატვის თავისუფლება.

1914 წელს ირ. ევდოშვილმა თარგმნა დიდი იტალიელი პოეტის დ. ლეონარდოს ორი ლექსი: „იტალიისადმი“ და „ჩემს გულს“, პირველი დაწერილია პატრიოტიზმის მაღალი შთაგონებით. მასში შეიძლება ითქვას, სიტყვის უმშვენიერესი სამკაულებით გაბრწყინებულია სამშობლოს სიყვარულის გრძნობა. ავტორი უსაზღვრო ერთგულებასა და ჰუმანისტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს იტალიისა და იტალიელი ხალხისადმი. იგი ჰკიცხავს თავის სამშობლოს შეიღებს, რომლებსაც მიუტოვებიათ მშობლიური კერა და სხვისთვის, სხვის ქვეყანაში იბრძვიან. ამის გამო მიმართეს სამშობლოს:

ზიხარ და თავი ჩავიგვია მუხლებში... სტირი.  
 იტირე, ჩემო იტალიავ, ჰოი, იტირე,  
 როგორც შეგშვენიის.  
 ოპ, იტალიავ, ჩემო წმინდავ, ჩემო  
 დვთაბავ,  
 მომე სიცოცხლე და მას ახლა შენვე  
 ვიბრუნებ, აპა, წაიდე!

გარდა ზემოდასახელებული ლექსებისა 1905 წელს ირ. ევდოშვილმა გადმოაქცია რუსული ხალხური რევოლუციური იდეის მატარებელი ლექსი - „ღუბინუშკა“, რომელსაც უწოდა „ღუბინუშკას მაგიერ“. აღნიშნულ ლექსს გამათავისუფლებელი მოძრაობის ხანაში დიდი პოპულარობა ჰქონდა, რადგან ის წარმოადგენდა მოწოდებას პროლეტარული ძალების მიწოდების, შემკიდროებისათვის:

პროლეტარებო, შემოკრებით ერთად ძმურად!  
 წავიდეთ წინა წითელი დროში.  
 პროლეტარებო, მტერს დაუზუხვეთ  
 ერთგულად  
 და გზა შევადგოთ სისხლით და ოფლით!

ეს მოწოდება ისეთი მახლობელი იყო მეტროპოლი მასებისათვის, რომ მაშინ ამ ლექსს იწერდნენ, იზებირებდნენ. ავტორმა პირველად ეს ლექსი დაბეჭდა 1906 წელს კრებულში — „წინა“.

ირ. ევდოშვილმა თარგმნა აგრეთვე ცნობილი პოეტების პაინეს, ლერმონტოვის, პერკვირის და სხვათა ლირიკული ლექსები, რომლებიც ავტორის თხზულებათა კრებულებში დღემდე არ შესულა და პერიოდული პრესის ფურცლებზეა გაფანტული.

ამრიგად, ირ. ევდოშვილის თარგმნილი რევოლუციური ლირიკა ავტორებთან და მთარგმნელებთან ერთად იბრძოდა მუშათა კლასის სამართლიანი საქმის, კაბიტალისტური ეპოქის მოსაპობისა და ვანადგურებისათვის. გარდა მსოფლიო რევოლუციური პოეზიის კლასიკური ნიმუშებისა, ირ. ევდოშვილმა უხედა თარ-

გმნა რუსული და უცხოური მწერლების ნაშრომი და დრამატურული თხზულებები, რომათ დიდი ლიტერატურული ამაგი დასლო ქართველ საზოგადოებას.

ირ. ევდოშვილის იდეური კონცეფცია მკიდროდ იყო გადაჯავღული მ. გორკის რევოლუციური რომანტიზმთან. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მხატვრული ინტელიგენციიდან იროდიონი ყველაზე ადრე დარწმუნდა გორკის იდეურ სიღიადეში. ამან განსაზღვრა ის ფაქტი, რომ იგი ქართულ ენაზე ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი ვახდა მაქსიმ გორკის. მან თარგმნა მ. გორკის „შევიარდენი“, „სიმღერა ქარიშხალ მახარობელზე“, „მაწანწალა“, „ზაზუბრინა“, ლექსი „მზე ამოდის და მზე ჩაიღს“.

ირ. ევდოშვილმა რუსულიდან თარგმნა და „კვალში“ დაბეჭდა ივანე ფრანკოს მოთხრობები: „კარგი ხელფასი“ და „მირონა“. მესამე მოთხრობა „ორი მეგობარი“, რომელიც „კვალის“ რედაქციასაც ცალ გვერდზე ამოუბეჭდავს და კავკასიის საცენსურო კომიტეტში წარუდგენია დაბეჭდვის ნებართვისათვის, ცენტურას დაუკავებია.

იროდიონის მიერ ქართულად თარგმნილი ი. ფრანკოს მოთხრობაში „კარგი ხელფასი“ რეალისტურად არის დახატული გალიციელი უმიწაყულო გლეხის გაჭირვებული ცხოვრება. მის საარსებო საშუალებას ხის ტოტებისაგან დამზადებული ცოცხებით ვაჭრობა წარმოადგენს, საიდანაც იგი კაპიკებს ღებულობს, შეიღები მოჭამაირებებად დაუყენებია, ხოლო მისი ავლადილება ერთი პატარა ქობია. მოთხრობაში ნაჩვენებია თუ „ცოცხით“ ვაჭრობისათვის როგორ დაბეჭდვის, ხოლო გადასახდის გადაუხდელობის გამო როგორ გაუყიდვს ქობი და ქუჩაში გამოავდეს.

ივ. ფრანკოს მეორე მოთხრობა, რომელიც ი. ევდოშვილმა თარგმნა, არის „მირონა“. მისი პერსონაჟი ზუთი წლის მირონა ბუნებაზეა შეყვარებული. იგი აკვირდება როგორც ციურ პლანეტებს, ისე ღვდამიწის სხეულებს. თუ მას ეყოლება კარგი პატრონი, მისგან შეიძლება გამოვიდეს სიმართლის შეუპოვარი მქადაგებელი, რომელიც ნათელ ხევის შეიტანის ბნელთ მოცულ ხალხში, საიდანაც თვით გამოვიდა. თუ არადა, მოკვდება სიღატაკეში ცხოვრებისაგან გათელილი...

ივ. ფრანკოსთვის ისე, როგორც იროდიონისათვის, დამახასიათებელია მახვილი და ძარღვიანი ფრაზები, ზუსტის და ლაკონური გამოთქმები.

საქართველოს გ. ლენინის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში ინახება

**შოთა ბარამიძე**  
 იროდიონ ევდოშვილი და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსებზე



ირ. ევდომვილის მიერ შესრულებული ნიჭოვის მოთხრობების ქართული თარგმანები. ეს თარგმანები სხვადასხვა მიზეზების გამო თავის დროზე არ დაბეჭდილა და მკითხველი საზოგადოებისათვის უცნობი იყო. აქედან თორმეტი მოთხრობა 1957 წელს ცალკე წიგნად გამოცა შ. გოზალიშვილმა.

ეს მოთხრობებია: „ჩინოენიას სიკვდილი“, „ცნობა“, „სქელ-სქელი და თხელ-თხელი“, „ორდენი“, „ქაშელკონი“, „ცუდი გუნებაზე“, „ქარიანი ზომები“, „შვედური ასანთი“, „ვაიუქმეს“, „ფილოსოფოსი“, „ოქსტაფონი კოლეჯი რეგისტრატორის ნააზობი“, „წინამძღოლის ქვრივისას“, „ვეჭილის დაძინება“, „სადვისი პარკში“.

1901 წელს „იელს“ ხელმოწერით ირ. ევდომვილმა ვაზეთ „კვალში“ გამოაქვეყნა ა. ფრანსის მოთხრობა „შავი პურების“ საკუთარი თარგმანი.

ა. ფრანსი იყო (1844-1924) ფრანგული კრიტიკული რეალისმის ბუმბერაზი წარმომადგენელი, რომელმაც თავის მდიდარ მხატვრულ შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი დაუთმო ცხოვრების მეჯლისიდან გაძევებულ ადამიანის ცხოვრების ასახვას. გამოამკლავა საშინელი სიძულვილი უფარვის სახელმწიფო კანონმდებლობისა და უსამართლობის მიმართ. თანაუგრძნო და სიყვარული გამოუცხადა სოციალური ბოროტებთა გათვლილ ადამიანებს.

ა. ფრანსის მეორე მოთხრობა „ჯაქსი“, რომელიც ირ. ევდომვილმა თარგმნა, აღამაინთა ბოროტების წინააღმდეგ არის მიმართული.

ირ. ევდომვილმა თარგმნა ლ. ბერნეს მოთხრობა „როგორ იბუტებიან ცოლები“, ეს მოთხრობა კომიკურ-სატირული ხასიათისაა. აქ ბურჟუაზიული მეშინაზის სატირული იდეალიზაცია რეალისტურ ასპექტშია გადმოცემული. მოთხრობაში ვარკვეულად ისმის კაპიტალისტური ეპოქის სუნთქვა. ქალაქელი მეშინაი ქალის ვილგელმინას სახეს ავტორი ხატავს ქალთა საზოგადოების ზნეობრივ გათასირებას, ოჯახური შენობის დეგრადაციას და ნგრევას.

ლ. ბერნეს მეორე მოთხრობაში „გონეტუს“, რომელიც თარგმნილია იროდიონის მიერ არასრულდ, კაცობრიობის სიკეთისათვის ბრძოლის იდეა გადმოცემული. სამი ნიშნის სახით: „ცოდნა“, „სიმდიდრე“, და „სიძლიერე“, ავტორი უპირატესობას „ცოდნას“ ანიჭებს. მოთხრობის უპერსონაჟები, მოთხოვარი მოხუცი და ახალგაზრდა შვედი მხატვარი ოსკარი მოგზაურობენ დედამიწაზე, რომ დაიცვან ადამიანი და მისი ღირსება. ცხოვრებაში დანერგონ ჰუმანიზმი, სიკეთე და სათნოება.

1902 წელს ირ. ევდომვილმა თარგმნა რუსი მწერლის სტეფანე გაბრიელის ძე სკიტალევის (პეტროვის) (1869-1941) მოთხრობები. მოთხრობა „წირვაზე“ „ი-ელი“-ს ხელმოწერით და-

ბეჭდა „კვალში“. თარგმნა ავრეთვენიკიანი ტორი“ და „ციხის კედლებს შუა“.

ლ. ანდრეევი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა რუსეთისა და მისი განაპირა ქვეყნების ხალხთა რევოლუციურ წრებში. ირ. ევდომვილმა ლიტერატურული სიმპათიები და იდეური თანაგრძნობა გამოუცხადა ლ. ანდრეევს. ეურნალ „ნიშადურში“ მოათავსა მისი სურათი, ხოლო 1902 წელს გადმოთარგმნა ორი მოთხრობა „სიცილი“ და „სარდაფში“. „ი-ელი“-ს ხელმოწერით დაბეჭდილი ეს თარგმანები მეტად ახლო იროდიონის ზოგადი მოთხრობისა და ლექსთან, რომლებშიც მან დეკლარატიული და ქუჩის შვილთა ცხოვრება დაასურათა.

ირ. ევდომვილმა თარგმნა გამოჩენილი რუსი პოეტის იაკობ პოლონსკის (1819-1898) ლექსი „კაზიმირ დიდი“.

„კაზიმირ დიდი“ სოციალურად და ეკონომიურად დაჩაგრული პოლონელი ხალხის ცხოვრების ერთი მომენტის მხატვრული დასურათებაა. იგი ეხება იმ დროს, როცა გამანადგურებელი შიმშილის აწრილი დაჰქროდა პოლონელთა დაბალი წარის ოჯახებზე და ანადგურებდა მათ. ამ ფაქტს კი ოფიციალური ხელისუფლება ინდიფერენტულად უცქეროდა, ლექსი ერთი მამხილებელი დოკუმენტადაცაა ნია პოლონელი პანებისა, რომლებიც შექმნილ მომენტს საკუთარი გამდიდრების წყაროდ იყენებდნენ. ლექსის დედანთან შედარებისას გამოირკვა, რომ იგი შესრულებულია თავისუფალი თარგმანით და სრულად გადმოცემს დედნის შინაარსს.

ირ. ევდომვილის მიერ ამ ლექსის გადმოთარგმნის მიზეზად პროფ. ვ. შალბას საყენებლად სწორი მეცნიერულ მოსაზრებას იყენებს, რაც უსათუოდ ვასაზარებელია: „შემთხვევითი არ არის, რომ ი. ევდომვილმა პოლონსკის თხულებებიდან გადმოსათარგმნა სწორედ „კაზიმირ დიდი“ აიჩნია. ქართველი პოეტიკისათვის ისევე, როგორც საერთოდ მისი ხალხისათვის, ახლო და ვასავები იყო ის ჰუმანური იდეა, ჩაგრული პოლონელი ხალხისადმი გულწრფელი თანაგრძნობა, რომლითაც გამსჭვალულია რუსი პოეტის ეს ლექსი“.

ამგვარად, „კაზიმირ დიდის“ ევდომვილისეულ თარგმანში მოჩანს მთარგმნლობითი ხელოვნების მკლადი კულტურა, მთარგმნელის ღრმა სიყვარული და თანაგრძნობა როგორც მისი ავტორის ი. პოლონსკის, ისე რუსი და პოლონელი ხალხების ლიტერატურისადმი, მათი ისტორიისადმი. თარგმანის გამოუქვეყნებლობის მიზეზი კი ცენზურა უნდა იყოს.

1909 წელს ირ. ევდომვილმა თარგმნა მსოფლიო ლიტერატურის გამოჩენილი კლასიკოსის, ცნობილი ამერიკელი პოეტის ედგარ პოს (1809-1849) მოთხრობა „სიიუმე“, რომელშიც

აღწერულია ადამიანის საშინელი წამება, გამოწვეული გარშემო გაიფხვებული მღვდლებით.

1907 წელს ირ. ევლოშვილმა დაბეჭდა რუსი მწერლის ვეგენი ჩირიკოვის მოთხრობის თარგმანი „ძაღლის მოედანი“.

1908 წელს იროდიონმა თარგმნა და კიდევ დაბეჭდა მსოფლიოში დიდად გახმაურებული, ცნობილი პოლონელი რომანისტის პენრახ სენკევიჩის (1846-1914) ეგვიპტური თქმულება „ოზირისის სამსჯავრო“.

ირ. ევლოშვილი თავისი მოდერაწეობის მანძილზე საკმაოდ ზრუნავდა ქართული თეატრის რეპერტუარის გამდიდრებისათვის. თარგმნა რუსი და უცხოელი დრამატურგების პიესები. მათ შორის აღსანიშნავია ავსტრიელი მწერალი ფილიპ ლანგმანი. ცნობილია მისი თხზულებების კრებულები: „მუშათა ცხოვრება“, „რეალისტური მოთხრობები“, „1895 წლის ახალგაზრდა კაცი“ და სხვა ნოველები. დრამები: „ბარტელ ტურაზერი“, „გერტრუდა ანტლესი“ და „კაპრალი შტერი“ ანუ „ახალი ძალა“.

ირ. ევლოშვილს უთარგმნია გერმანელი დრამატურგის გ. ჰოფმანსტალის პიესა „ზომეიდას ქორწინება“. თარგმანის ავტორისეული ხელნაწერი ინახება იროდიონის ხელნაწერთა ფონდში.

იროდიონის მიერ თარგმნილ ამ პიესაზე თავის მოგონებაში ბაბილინა შემდეგს გადმოგვცემს: „იროდიონ ევლოშვილს უთარგმნია ქართული თეატრის შეკვეთით რუსი პოეტი ქალის ჩიუმიანას დრამატული პოემა „ზომეიდას ქორწინება“, რომელიც მართ მდევნის ბენეფისში დაიდვა. ეს იყო 1907-1909 წლებში“.

ბაბილინა ხოსიტაშვილი კიდევ უბრუნდება რა ამ პიესას, თავის წიგნში „შემდეგ სარწმუნო ცნობებს გადმოგვცემს: „ზემოხსენებულ პიესაზე (ჩიუმიანას „ზომეიდას ქორწინება“ შ. ბ.) იროდიონი დღედაღამ მუშაობდა, ვეიქრობ, იმიტომ, რომ განსაზღვრული დროისთვის დასადგმელად მოესწრო. თარგმანში უშეკველია პონორარს დაპირებდობდნენ. ამ დროს პოეტს სხვა შემოსავალი ოჯახის სარჩენად არ გააჩნდა...“

ზემოხსენებული პიესა, რომლის თარგმანზე იროდიონი მუშაობდა, დრამატული პოემა იყო, როგორც მასსოვს, რუსი პოეტი ქალის ჩიუმიანას ნაწარმოები. პიესას ეწოდებოდა „ზომეიდას ქორწინება“. ბაბილინა ხოსიტაშვილი თავის მოგონებაში შეცდომით ასახელებს ჩიუმიანას. სინამდვილეში პიესა გერმანელ დრამატურგ გ. ჰოფმანსტალს ეკუთვნის. წარმოდგენაზე იროდიონმა მე და თავისი მეუღლე წაგვიყვანა. პიესა გვიჩვენებდა ბურჟუაზიული ოჯახის გაბრწყინებას და აღვირახსნილობას. ოჯახის ახალნაქორწინევი რძალი ზომეიდა, უზნეობაში გადავირდნის თავიდან ასაცილებლად სსახლის კოშკის ფანჯრიდან იჩეხებოდა და თავს იკლავდა.

განსაკუთრებით საყურადღებოა პ. კრეკელიძის წიგნი „პური და თავისუფლება“, რომლის თარგმანა საბედისწერო გახდა ირ. ევლოშვილისათვის.

1909 წლის 20 ოქტომბერს ქანდარმერის მიერ თბილისში მხეცურად მოკლულ მიხაკობრებიძეს ჯიბეში აღმოაჩნდა ირ. ევლოშვილის ბინის მისამართი; ტფილისის პირველი უბნის ბოქაულის თანამემყემ გუკასოვმა 21 ოქტომბერს გაჩხრია ირ. ევლოშვილის ბინა. ქანდარმთა როტმისტრ როზალიონ სოშალსკის მიერ შედგენულ ოქმს დართული აქვს იმავე როტმისტრ როზალიონ-სოშალსკის მიერვე შედგენილი დადგენილება № 3 დასახელებული ბროშურის, როგორც ნივთიერი დამამტაცებელი საბუთის, გამოძიებისათვის დართვის შესახებ“.

„მიუხედავად იმისა, რომ დაკითხვის დროს ირ. ევლოშვილმა უჩვენა, თითქოს მხოლოდ პონორარისათვის თარგმნა „პური და თავისუფლება“, იროდიონი კარგად ხედებოდა იმ წიგნის რევოლუციურ ღირსებას, ქანდარმერის თვალების ასახვევად და თავის დასადგმელ საჭირო იყო ასეთი ჩვენების მიცემა“.

მიუხედავად იმ აუროდიული მოხერხებულობისა, რაც ირ. ევლოშვილმა გამოიჩინა ძიების პროცესში, „პური და თავისუფლების“ თარგმანსთან დაკავშირებულ დანაშაულს დაუმატეს მისი რევოლუციური მუშაობა და სამი წლით გადაასახლეს ვოლოდის გუბერნიაში.

1906 წელს ირ. ევლოშვილმა რუსულიდან თარგმნა აკრძალული ბროშურა „რა უნდა პროლეტარიატს და მშრომელ გლეხობას“.

ამ წითელკუდიან ბროშურას, რომელიც 61 გვერდისგან შედგება, ვერტიკალურად მიწერილი აქვს: „სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის პროგრამის მდამბურად გადმოცემა“. ყდის პირველ გვერდზე შავი მელნით არის წარწერილი ცენზორის მიერ: «Издан нелегально, 3/ХІІ/07 г. Хелმოшвѣра. Печевено дѣлѣнѣтѣ მიწერილია: «Запрещено».

ბროშურა დაყოფილია ცხრამეტ თავად: „გლეხის საფიქრებელი“, „გლეხთა და მუშათა უფლებების დამცველი პარტია“, „როგორ მოვიპოვოთ ბედნიერება“ და სხვ.

როგორც წარწერა და მისი შინაარსი გვიჩვენებს, იგი წარმოადგენს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის პროგრამას.

ირ. ევლოშვილის მთარგმნელობით დამსახურებას მიეწერება აგრეთვე ქართული თეატრის ხელშეწყობა და დაგეგმვით დ. გარინის ერთ-ერთი თქმულებიანი ვოდევილის „დიდ როლს ვთამაშობ“ რუსულიდან თარგმნა. თარგმანი ჩაწერილია 33 ფურცლიან საერთო რვეულში ავ-

**შოთა ბარამიძე**  
იროდიონ ევლოშვილი და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები



ტორის ხელით. ნაწერი თეთრია. ყდის შიგნით ცენზორის წითელი მელნით წააწერია: Дозволено цензурой, 22/IX, 99 г. г. Тифлисе ცენზორ ქიშიშიშოვს ყველა გვერდი წითელი მელნით აღენიშნავს და ბოლოს ხელს აწერს თეთრად:

ქართული თეატრის მესვეურთა დავალებით ირ. ევდოშვილს, გარდა ზემოჩამოთვლილი პიესებისა, უთარგმნია რუსულიდან ოსტროვსკის თხზილქმედებისანი კომედია «Трудовой хлеб» («შრომის ლუქმა»). თარგმანის ხელნაწერი არ აღმოჩნდა არქივთსაცავებში, მაგრამ იგი შეტანილია წიგნში: «Библиотека тифлисского комитета печати». აქ ჩამოწერილია თარგმნილი პიესები და მათ შორის წერია: «Трудовой хлеб, ком. в 4 д. Соч. Островского И. Евдосвилия.

პიესაში მხატვრულად არის აღწერილი პატარა ადამიანების ცხოვრება, მათი შრომა-საქმიანობა ყოველდღიური ლუქმაპუტრის მოთხვევების პროცესში. „შრომის ლუქმა“ რომ ნამდვილად უთარგმნია იროდიონის, ამას ადასტურებს აგრეთვე იოსებ არიმათიელი (იმედოშვილი) ირ. ევდოშვილის გარდაცვალების გამო გამოქვეყნებულ სამგლოვიარო სტატიაში: „წამებულთა წამებული იროდიონ ევდოშვილი“. იგი წერს: „ლექსებისა და პოემების გარდა დაწერილი აქვს (ირ. ევდოშვილს შ. ბ.) საყმაწვილო და სხვა მოთხრობები. უმთავრესად ღარიბ-ღატაკთა ცხოვრებიდან, ერთი პიესა „ჭრელი სუფრა“, ვადმოთარგმნილი „შრომის ლუქმა“ და სხვა.

ირ. ევდოშვილის მთარგმნელობითი მუშაობის დასახასიათებლად მის მიერ ქართულად შესრულებული თარგმანები დედნებს შევადარეთ და საჭირო დასკვნები გამოვიტანეთ. თუ რამდენად შეძლო მთარგმნელმა დედნიდან მხატვრული სურათის გადმოტანა და მისი კოლორიტის შენარჩუნება, ამას გვიჩვენებს შ. ბ. ჩეხოვის მოთხრობების თარგმანების დედნთან შედარების ანალიზი.

მსვავსი მავალითები შეგვეძლო კიდევ მრავლად მოგვეჩხო, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმაოა და მათი ანალიზიდანაც შეიძლება ირ. ევდოშვილის თარგმნილ პროდუქციასე ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ: მთარგმნელი დაინტერესებულია შეინარჩუნოს დედნის სტილი, ჩეხოვის თხზულებებისათვის დამახასიათებელი იუმორი, ემოციური აღქმა. იგი ქართული ენის ლექსიკურ არსენალში ეძებს დედნის შინაარსის გადმოსაცემად ტოლფასოვან სიტყვებს. ერთმანეთს უხამებს ფორმისა და შინაარსის ერთიანობას.


თარგმანში გვხვდება სიტყვების ჩამატებისა და გამოკლების თუ გამოტოვების შემთხვევებიც. ზოგჯერ სავნის სახელები, უცხო სიტყვები, ბარბაროზებები და რელიგიური შინაარსის

მქონე სიტყვები უცვლელად არის გაცხადებული. თუმცა ისეთი წინადადებებიც გვხვდება, რომლებშიც ზუსტი ქართული ექვივალენტი არ ემთხვევა დედანს. თარგმანებს შენარჩუნებული აქვს რუსული ეროვნული კოლორიტი, ეპოქის მაჯისცემა და ეპიქსალ რუსულ ხალხურ მეტყველებასთან კავშირი. ზოგჯერ წინადადება სიტყვა-სიტყვით არის თარგმნილი, სადაც ეს მოსახერხებელია და წინადადების ჩამოყალიბების სინტაქსური მხარე ამის საშუალებას იძლევა, მაგრამ წინადადება რომ ვაუტეხარი არ იქნეს, არ დაზარალდეს მისი აზრობრივი და მხატვრული შინაარსი, მთარგმნელი ხშირად დედანს თავისუფლად ექცევა. თავისუფალი თარგმანი დაზღვეულია სიტყვასიტყვით, ფორმალისტური თარგმნის დამახასიათებელი შეცდომებისაგან. მთარგმნელი მთელი სიღრმით წვდება დედნის იდეურ მხარეს და კავშირს არ წყვეტს მასთან. სრულყოფილად ვადმოცემს პერსონაჟის ფსიქოლოგიურ სამყაროს. თარგმნილ პროდუქციას ახასიათებს ჩეხოვისებური თხრობის სპეციფიკა, მოვლენათა და მოქმედებათა ცხოველყოფილი სიტუაციები, დედნის სტილი და ძალდაუტანებელი თხრობა. თარგმანებში შენარჩუნებულია მხატვრულ-ფიგურალური გამოთქმები, კონტრასტები და ის მდიდარი მხატვრული კომპონენტები, რომლებიც ჩეხოვს აქვს გამოყენებული.

გვხვდება წინადადებათა შეკუმშული, ლაკონური თარგმნის შემთხვევებიც. მაგრამ დედნისადმი ერთგულება და შინაარსის გადმოცემის სიზუსტე მკაცრად არის დაცული. თარგმანის ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად ირ. ევდოშვილი უხვად სარგებლობს ქართული სინონიმებით. იგი დაეძებს და კიდევ პოულობს ზუსტ შესატყვისებს, ნიუანსებს დედნის შინაარსის ამოწურავად ვადმოცემისათვის. წინადადებები საკმაოდ მოკლე, სხარტი და ვაუჭიანურებელია. დედნის აზრის გადმოსაცემად მთარგმნელი მიმართავს სიტყვების გადსმას და საჭიროების შემთხვევაში კიდევ უმატებს მაკავშირებელ თუ სხვა დამხმარე სიტყვებს, ზომიერად იყენებს ნაცვალსახელებს და საჭიროების შემთხვევაში უნაცვლებს მათ არსებით სახელებს. ასე რომ, მთელი მთარგმნელობითი მუშაობა დაქვემდებარებულია შემოქმედებით პროცესთან.

ამრიგად, ირ. ევდოშვილის შემოქმედება მდიდარი და ნაყოფიერია თარგმანებით. მისი თარგმანები გამოირჩევა შინაარსის სისადავით, ორიგინალთან სიახლოვით, ავტორის საკუთარი სტილის შენარჩუნებით, აზრის სრულყოფილად გადმოცემით და მუსიკალური ძეგრობით. იშვიათად შეიძლება იყოს მწერალი, რომელსაც ასეთი დიდი ნებისყოფა გამოეჩინოს რამე ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე აღდენი რამის გაცეობა მოესწროს.

# გეგმვა



სოსო სიგუა

## „ეკსტატი მცხეთელის გარტვილოვის“ ავტორის საკითხისათვის

საკითხის ისტორიიდან<sup>1</sup>

„ეკსტატი მცხეთელის მარტვილობა“ ჩვენს დრომდე მოღწეულია ანონიმური სახით. სპეციალურად ავტორის ვინაობის საკითხი არ უკვლევიათ. გამოთქმულია მხოლოდ ფრაგმენტული და ზოგადი შეხედულებანი. ა. ჰარნაკმა ავტორად მიიჩნია გაქრისტიანებული სპარსელი, რაც აფიქრებინა იმ ვარაუდებამ, რომ „თარგუმების“ გამომცემის დასაწყისში ნათქვამია: „წინააზრის სპარსთა რჩული იყო“ და შემდეგ გამოჩნდებიან პტრიანი. მკვლევარი ვარაუდობდა, რომ სპარსთა რჩულის (მაზდეანობის) დასახევა იუდაიზმის წინამორბედად, უფრო სპარსელის თვალსაზრისის გამომხატველი უნდა ყოფილიყო. ამავე აზრისა იყო ი. ჭავჭავაძე. მაგრამ კ. კეკელიძემ დაამტკიცა, რომ ეს ფაქტი გამოძახილია უკვე აღნიშნულ ავტორების — „ნებროთის წიგნისა“; გარდა ამისა, „ბიბლიაში ბაბილონის ქვეყანას ქალდეველთა ქვეყანაც ეწოდება, ხოლო ხშირად ორივენი გაიგივებული არიან სპარსეთთან“ („ქართული ლიტერატურის ისტორია“, I, თბ., 1960, გვ. 512-513). ამათთან ერთად კ. კეკელიძე მიუთითებდა თხზულების ენასა და ავტორის პატრიოტულ გრძნობებზე. ს. ყუბანეიშვილმა („ნარკვევი მეექვსე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან — „ეკსტატი მცხეთელი“, გვ. 76. საკანდიდატო დისერტაცია,

დაცულია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში) ავტორად მიიჩნია უცნობი ორთოდოქსი ქრისტიანი. შ. ნუცუბიძემ ანონიმი ავტორი იგულისხმებდა ასურელ მოღვაწეთა შორის („კრიტიკული ნარკვევები. ფილოსოფია და კულტურა“, თბ., 1965, გვ. 359). მან ეს აზრი შემთხვევით, სხვა საკითხთან დაკავშირებით გამოთქვა. ამიტომ ჰაპოთეზის დამტკიცებას არ ცდილა, თუმცა საპირისპირო წინამძღვრები მოამზადა.

### 1. არეოვაგინიკა და „ეკსტატი მცხეთელის მარტვილობა“

#### ა) ღვთაების ატრიბუტები

„ეკსტატი მცხეთელის მარტვილობა“ გვაწვდის ღვთაების განმსაზღვრელ რამდენიმე პრედიკატს. უნივერსის როგორც ნეგატიური (აპოფატისტური), ისე პოზიტიური (კატაფატისტური) ფორმულირებიდან ჩვენთვის ყველაზე მეტად საეკლესიოა „ღმერთი დაუსაბამო“. იგი არის მიღმური ძალა, რომელსაც დასაწყისი არ გააჩნია. ამდენად მოკლებულია დასასრულსაც და გაიგება, როგორც განუსაზღვრელი ცნება, რამდენადაც მისი პიროვნული შემეცნება აღმართება ინდივიდის შესაძლებლობას; იგი თვით არის ამ შესაძლებლობის შემქმნელი და დასაზღვრებელი და ამ პირველმიზეზის (უმიზეზო მიზეზის) სიტყვებში მოქცევა ვერ ხერხდება. ჩვენი ცოდნა ღვთაების ბუნებაზე არცოდნით ამოიწურება (მეტრე იბერიელი—ფსევდო დიო-

<sup>1</sup> წინამდებარე წერილი არის მოკლე ვარიანტი ჩვენი სადიპლომო შრომისა (ხელმძღვანელი პროფ. ლ. მენაბდე).



ნისე არეობაგელი), შრომები, გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ს. ენუქაშვილი, თბ., 1961, გვ. 7-14, 68-73). სივრცისა და დროის მიღმა არსებული ღმერთის გამოხატულებად იქმნება ნეგატიური პრედიკატები — „გამოუთქმეული“, „უსახელო“, „უცნალო“ და სხვ., რომლებიც უსევდო-დიონისეს მემკვიდრეობით გადაეცა.

უსევდო-დიონისესთან ღმერთის ფორმულირება იწყება მისი, როგორც დასაბამისა და მიზეზის აღნიშვნით. აქედან გამომდინარე — თვითღმერთებმა დაუსაბამო და უმიზეზო, რამდენადაც შეუქმნილი შექმნილია და მალა დასაბამისის მიერ შექმნილზე. დაუსაბამოა ნეკაციის დასაწყისი, რომელზეც აიგება უყოფიერითი ღმრთისმეტყველება — აპოფატია. ეს ტერმინი, როგორც ცნება, არეობაგიტულ სპეციფიკად უნდა ჩაითვალოს. შემდეგში იგი ფართოდ გავრცელდება და გახდება ღმერთების უპირველესი ატირებულთაგანი ქრისტიანულ მწერლობაში. საერთოა დაკავშირებით საინტერესოა მიქაელ მოდრეცილის კრებულში (978-988 წ.წ.) მოთავსებული დიონისესადმი მიძღვნილი სავალობელი (19 დეკემბრის ქვეშ).

**ბ) უნეშოაეხი სიკეთის ვაშლი**

„ეესტათის მცხეთელის მარტილობაში“ აირველა უსევდო-დიონისეს ბოროტის და კეთილის თეორია, როგორც კონცეფცია. ბიბლიაში სიმბოლურად გაშლილია ბოროტისა და კეთილის ბრძოლის სურათი. ღმერთი და კაცობრიობა ვაიარებენ, როგორც ორი მოპირისპირე სუბსტანციური საწყისი. ღმერთი აბსოლუტური სიკეთე და სინათლეა, ხოლო ადამიანი — ბოროტი, რომელიც ეურჩება შემოქმედის ნებას. მათ შორის უკომპრომისო და განუწყვეტელი ბრძოლაა, რა დროსაც თანაბარი ძალები ეჯახებიან ერთმანეთს. „ეესტათის მარტილობის“ ბიბლიურ ნაწილს კი ლიტმორტივად გასდევს ღმერთბრძოლი სიკეთის სინათლე, რომელიც ეფინება ქვეყანასა და ადამიანებს. ბოროტ ძალებს ავტორი თვლის მეორეულ მოვლენად, რამდენადაც მათი მოქმედება ეფემერულია, მოკლებულია პერსპექტივას და თითქოს უნებლიე გამოხდომას უფრო ჰგავს, ვიდრე ვაზარებულ ბრძოლას. მთელი თხზულება სასევა გამარჯვების პათოსით. წამების სიხარული აორკეცებს ქრისტესმიერი ნათელის სიძვირფასეს. ყოველი უნებღმრთება გაიგება როგორც წარმავალი. ბოროტ არსებობა ხასიათში გახსნილია შემთხვევითი ვესლი, რომლის სიკეთედ გადაქცევა პოტენციურად შესაძლოა, ვინაიდან ბოროტს მიზეზი არ გახანია. აქ დუალიზმის პრინციპი მოხსნილია.

უსევდო-დიონისეს აზრით, ყოველივე სათავეს იღებს სიკეთიდან და მასვე დაუბრუნდება.

აბსოლუტური სიკეთე (ღმერთებმა) აძლევს სახიერ დასაბამს. ბოროტება უსრული სიკეთეა — ამდენად — წარმავალი: სიკეთე ერთია და არის ორობის დასაბამი (პეტრე იბერიელი, შრომები, გვ. 43-58). სიკეთის, როგორც ერთადერთი არსის, თეოლოგიური ათვისება და მხატვრული გაშლა შემდეგში ერთგვარ ტრადიციულად გადაეჭრა ქრისტიანულ მწერლობას მას მანამდეც ეძლეოდა უპირატესი შინაარსი, მაგრამ ბოროტი ძალა გამოდიოდა ბოროტების განმსაზღვრელად (მაგ., „შუშანიის მარტილობაში“).

**გ) იერარქიული კობე**

„ეესტათის მარტილობაში“ ჩართულია ასეთი პასაჟი: „ღმერთმან, რომელმან ქმნა ცა და ქვეყანა, მზე და მთოვარე და ვარსკვლავნი, ზღუა და ხეული, მდინარენი და შესაკრებელნი წყალთანი, მთანი და ბორცენი, ველნი და ტყენი, შუშა და ცეცხლი, თონფერხნი პირუტყუნნი და მხეცნი, ქვეწარმავალნი და მფრინველნი და მერმე კაცი შექმნა ღმერთმან... ეს ადგილი, როგორც ვაარკვია კ. კეკელიძემ, აღებულია II საუკუნის აპოლოგეტის მარკანე არისტიდეს „აპოლოგიდან“. რუსული თარგმანი ასეთია: «Я, о царь, созданный божественным провидением, вступил в этот мир и, видя небеса и землю и море, солнце и звезды и все твари, восхищенный удивился строю века сего» (Переводы и статьи Н. О. Эмина, «Отрывки из аполлогии Аристиды, христианского аполгета», М., 1897, гв. 252).

საანალიზო ციტატის ქართულ ტექსტში საყურადღებოა უფრო ფორმა, ვიდრე შინაარსი: ყველაფერი სათავეს იღებს ღმერთისგან, რომელიც საფუძვლებზე იმონაცვლებოთ, მადლიდან დაბლისაკენ, რაც მოქმედების აუცილებლობით მოტივირებული მიმართულებაა, მიდის ადამიანთან. ეს ორი ფენომენი დასახულია, როგორც სამყაროს პირველი და ბოლო მიზეზი, დასაწყისი და დასასრული, რომელთა შორის გარკვეული საფეხურებია ვასაველი, რათა ღმერთის მიზანშეწონილი სწრაფვა დავიდეს ადამიანამდე და ან პირიქით. საკულისხმოა, რომ რუსული თარგმანი მოკლებულია თანამედვერულ წესრიგს. აქ მიწიერა და ზეციერი საენების განლაგება დაქრვეულია.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, თითქოს მოტანილი ციტატა შეიცავს არეობაგიტულ იდეას, ან გამოთქმას: ლაპარაკი შეეხება იერარქიული თანმიმდევრულობის პრინციპის ანალოგიით წარმოსახულ დაღმავალ სურათს ღმერთიდან ადამიანამდე, რა დროსაც ავტორი ცდილობს გარკვეული თვალსაზრისის ინერციულ და მექანიკურ გადატანას ყველაფრის მიმართ როგორც უნივერსალური კანონისა. ამ დროს ის-პოზა არის, მაგრამ რჩება ცვალი მისი წარმავლობისა.



**დ) აღმსარებლობის საკითხი.**

კ. კეკელიძეს ანონიმი ავტორი მიაჩნდა მონოფიზიტად. იგი ემყარებოდა ერთადერთ ფრანსას: „საშობადაგან წმიდისა გარეშად და ღმრთებებად ხორცითა დაიფარა. უკუთუშეცა ღმრთებებად ხორცითა არა დაეფარა, კაციმცა ვერ მიეხალა ღმერთთა“. კ. კეკელიძე ფიქრობდა, რომ აქ ხორცი მხოლოდ სამოსელია, გარეგნული, შესანიშნავი საშუალებაა არისა; ამდენად არ არის ნამდვილი ხორცი. ეს საკითხი სპეციალურად შეისწავლა თ. ჭყონიამ („იყო თუ არა მონოფიტიზმი ექსტატი მცხეთელის მარტივობის“ ავტორი?“, მრავალთავი, I. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, თბ., 1971, გვ. 186-192). დიდძალი მასალის ანალიზის საფუძველზე მან უარყო კ. კეკელიძის საბუთი, როგორც მონოფიზიტური აღმსარებლობის დამამტკიცებელი არგუმენტი. მაშასადამე, კონკრეტულად ვერ ხერხდება ჩვენება — ანონიმი ქალკედონისტი იყო თუ ანტიქალკედონისტი. ეს მოტივი აძლევდა საბაბს შ. ნუცუბიძეს, ევაჩაუდა, რომ აქ დაცულია არეოპაგიტული ნეიტრალური პოზიცია („ქართული ფილოსოფიის ისტორია“, I, თბ., 1956, გვ. 278). მონოფიზიტების ლიდერის პეტრე იბერიის (ფსევდოდონისეს) მოძღვრება კი, ცნობილია, რომ იკითხება ორივე უკიდურესობის დაშვებით, იგი საერთოდ დღემს ქრისტეს როგორც ერთ, ისე ორ ბუნებოვნებაზე.

ამრიგად, ჩვენ ვთვლით, რომ „ექსტატი მცხეთელის მარტივობა“ არის არეოპაგიტულ იდეებს ნაზიარები თხზულება.

**2. ბრძოლაში მონაწილე მხარეები**

ა) ასურელ მოღვაწეთა სალიტერატურო მემკვიდრეობა.

ასურელ მოღვაწეთა ბრძოლვაში მონაწილე საკითხთა მთელ წრეს, რომლის საბოლოო ამოხსნა მომავალში თუ მოხერხდება. ამჟერად ჩვენ ემყარებით კ. კეკელიძის თეზის მათი ქართველობის შესახებ. ასურელი მამების „ცხოვრებათა“ ტექსტები გვაძლევენ ცნობებს, რომელთა მიხედვით ისინი გულგრილი არ ყოფილან მწერლობისადმი.

1. შოი მღვიმელს ტრადიციით მიეწერება ორი ჰიმნი — „ოხითაჲ“. მასვე დაუწერია 160 თავისაგან შემდგარი ასეტიკურ-მისტიკური ხასიათის ნაშრომი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. მაგრამ მასზე წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ „შოსისა და ევაგრეს ცხოვრებაში“ მორტიანილი მოძღვრებით, „რომელიც ალბათ ანარქულია მისი წერილობითი შრომისა“ (კ. კეკელიძე).

2. აბიბოს ნეკრესელს, როგორც ჰაგიოგრაფი გვაუწყებს, მიმოწერა ჰქონია სვიმონ საკვირველმოქმედთან („წიგნითა და მოციქულითა იყო მათ შორის შესწავებაჲ“). სპეციალური

დაკვირვება ნათელყოფს, რომ „აბიბოს ნეკრესელის წამებაში“ შემონახული ანტიმონოფიზიტური პოლემიკის შემცველი პასაჟი არის ექსცერპტი მისი ერთ-ერთი თხზულებიდან (შ. ნუცუბიძე, „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, I. გვ. 263-279; შ. ხიდაშელი, „ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან“, თბ., 1954, გვ. 50-57).

3. დავით გარეჯელი არის მწერლობასთან დაკავშირებული მესამე პირი, რომელიც კვლევებიდან მიკვლეული (შ. ნუცუბიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 272-274; შ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51-52).

**ბ) მსოფლმხედველობრივი საკითხებიდან.**

ორი ასურელის — დავით გარეჯელისა და აბიბოს ნეკრესელის ნააზრევში შეინიშნება ფილოსოფიური ელემენტები, რაც გამოიყენება ამა თუ იმ თეოლოგიურ ღვთის დასასაბუთებლად. საამისოდ ორივე ავტორი იშველიებს ანტიკურ ფილოსოფიას. მაგრამ, ზოგჯერ, იგი შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო წინა პერიოდის ცნობილ თეოლოგთა მემკვიდრეობით, თუმცა არც ის აზრია მოსახსენილ, რომ ისინი პარალელურად პირველწყაროებშიც იხედებოდნენ, ვინაიდან მათი მოღვაწეობა თითქმის დამთავრდა ნეოპლატონიზმის დასის.

1. დავით გარეჯელთან დაძვინილია ისეთი სპეციფიკური გამოთქმები, რომლებიც ავლენენ მას რამდენადმე დამოუკიდებელ მოაზროვნედ (შ. ნუცუბიძე, შ. ხიდაშელი...). იგი იცავს ღვთაების განუსაზღვრელობის იდეას, რომელიც ნეგატიური თეოლოგიის შინაარსია, საიდანაც გამოდიოდა ქვეყნის მარადიული არსებობა. „გვთავისი მარადიულობიდან ქვეყნის მარადიულობა გამოჰყავდა, კერძოდ, ფსევდო-არეოპაგიტისაჲც“ (შ. ნუცუბიძე, „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, I. გვ. 272). შ. ნუცუბიძე მიმოიხილავს დავით გარეჯელის პლატონურ იდეალიზმს და მასთან დაცულ არეოპაგიტულ დებულებებს, თუმცა, მასალის სიმცირის გამო, „დიდის გაჭირებით“.

2. აბიბოს ნეკრესელის ფილოსოფიურ შეხედულებებზე ლაპარაკი შეიძლება მისი მარტივობის ტექსტში ჩართული ექსცერპტის მიხედვით. აბიბოსის მიზანია, რომ მკვლევარნი რელიგიის ღმერთი — ცეცხლი გაიგოს არა როგორც სუბსტანციური ძალა, არამედ როგორც მთლიანი ბუნების ერთი მცირედი ნაწილი. ცეცხლის მატერიალურობის ნათელყოფით ნაწვევდება მისი დაქვემდებარებული შინაარსი. მასზე ზემოქმედებს წყალი და სპობს, რაც შეუძლებელია, რომ უნივერსს მოსვლიდა. აქ ამოსავლად მიჩნეულია ღვთაების ნეგატიური

**სოსო სიბუა**

„მხატვარი მხედველის მარტივობისა“  
აბორიგინის საბრძოლველად

არსი, რომელიც ვერ იგუებებს უზენაისს ხილვადობას. ფილოსოფიურად მტკიცდება ცეცხლის არალთავებრიობა ოთხელემენტოვანი სისტემის მოშვებულებით (ჰაერი, მიწა, ცეცხლი, წყალი).

რამდენადაც ცეცხლი არ მართლად ბუნებას, იგი არსებობს ბუნების კანონების თანახმად, აუცილებლობის პრინციპით, „რაც ღმერთის მიმართ არარსებობას უდრის“ (შ. ნუტუბიძე). ეს აზრი არეოპაგიტული იდეების არსენალიდანაა წამოღებული. „ამავე დროს აბიზოს ნეკრესელის ნააზრევში, თუ, მაგალითად, მხედველობაში ვიქონიებთ მის წარმოდგენას მსოფლიოს წყობის და ამ მსოფლიოში ერთგვარი მიზანშეწონილობის განხორციელების შესახებ, რაც მის საფუძვლებზე წყობაში ხორციელდება, შეიძლება დავასკვნათ, რომ აბიზოს ნეკრესელს ემჩნევა არეოპაგისტულ იდეათა და წარმოდგენათა გველენა“ (შ. ნუტუბიძე, „კრიტიკული ნარკვევები. ფილოსოფია და კულტურა“, გვ. 352-353). დანარჩენი ასურელი მოღვაწენი ამგვარ მიდრეკილებას არ ამტკიცებენ.

### ვ) არეოპაგიტის შემოხვლა საქართველოში.

როცა საციხის ეპოქის რეტეებზე და ვიკლევეთ, თუ როგორ უნდა შემოპრილიყო VI საუკუნის საქართველოში არეოპაგიტული ნაკადი, მხედველობაში მიიღება სამი გზა: 1. კოლხეთის რიტორიკული სკოლა (IV-VI სს.); 2. მეზობელი ქრისტიანული ქვეყნების მწერლობანი; 3. ასურელი მოღვაწეები. უნდა გავითვალისწინოთ, რომ კოლხეთის რიტორიკული სკოლა, ვითარცა წარმართული, არ მიიღობდა ამ ფილოსოფიურ ნაერთს. თანაც, 529 წელს, იუსტინიანეს ედიქტით ყველა წარმართული სკოლა დაიხურა ბიზანტიაში. ხოლო არეოპაგიტული კორპუსი ვახაშტურა 531-532 წლებში. როცა მეზობელი ქვეყნების მწერლობაზე გვიხდება ლაპარაკი, იგი სირიასთან მიგვიყვანს. ამ ენაზე ყველაზე აღრე გადაითარგმნა არეოპაგიტული ტრაქტატები პეტრე იბერის მოწაფის სერგიოს რეზინელის მიერ (+536). სომხური მწერლობა სხვათა მეშვეობით ეზიარა ამ ნააზრევს. შეიძლება დავგვეშვა, რომ ბერძნული ენა იყო შუამავალი. მაგრამ ეს ბერძნული გზა ქართველთათვის მაინც ასურელების მიერ არის გაშუალებული: ეს ორი გზა ერთიანდება ასურელი მოღვაწეთა სახით.

ანგარიშვასაწევია შემდეგი გარემოებანი: პეტრე იბერი, „მთელ მსოფლიოში საკვირველად განთქმული კაცი“ (ზაქარია რიტორი) მოღვაწეობდა სირიაში, ღაზისა და მაიუმის მიდამოებში. მახლობელ ზონებში ბინადრობდნენ ასურელი მოღვაწენი (მისაგები ჩანს გ. ვოხალიშვილის თეზისი, რომ ისინი იყვნენ კაბადოკიელი ქართველები). ისინი მოწმენი იყვნენ სარწმუნოებრივი ღვევისა. თუნდაც არ ცოდნობათ დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერის იდენტრობა, არეოპაგიტულ მოძღვრებაზე წარმოდ-

გენა მაინც უნდა ჰქონდათ, ვინაიდან შეიქმნა მათი სამოღვაწეო ადგილების სიახლოვეს და აქედან აიტაცეს მონოფიზიტებმა, როგორც იდეოლოგიური იარაღი.

ღვენილი ასურელებმა შემოდიან ქართლში და შემოაქვეთ თავიანთი ერთ-ერთი წინამძღოლის იდეები, რასაც მეტნაკლებად ამკლავებენ. ქართლში მათ ზომიერი პირობები დახვდათ. მაგრამ იგი ნელ-ნელა მაინც ქალკედონისაიკენ ხსრებოდა და კონსტანტინეპოლის ეკლესიის უახლოვებოდა. 506 წელს ღვენის საეკლესიო კრებაზე ქართველებმა, სომხებმა და ალბანელებმა არ მიიღეს დიოფიზიტური რჯული, ხოლო 574 წელს ქართველები უარს ამბობენ ქალკედონის კრების (451 წ.) დადგენილებათა დამკლავაზე. ეს პროცესი დაასრულა კირიონ ქართლის კათალიკოსმა. 609 წელს გაითიშნენ ქართული და სომხური ეკლესიები; ქართლმა აღიარა ქალკედონისტური მართლმადიდებლობა. არეოპაგიტის შინაგანი მოთხონილება ქართლში არ არსებულა. ამიტომაც უნდა დღე-კავშირდეს გარედან შემოსულ პირებს მისი შემოტანა. ასეთი პირები არიან ასურელი მოღვაწენი. ხოლო თუ სხვა რომელიმე ჯგუფი იმხანად ამავე მისიას ასრულებდა, იგი საუკუნეთა მანძილზე თავს არ დაიმალოდა: მას საქმე და საგანი გამოაჩენდა.

მაშასადამე, რაც VI საუკუნის საქართველოში არეოპაგიტები მხოლოდ ე. წ. ასურელი მოღვაწეები არიან, აღნიშნულ ხანაში არეოპაგიტულ მოძღვრებას ნაზიარები ნაწარმის მიერ მათ უნდა შეექმნათ. „ეგესტათი მცხეთის მარტვილობა“ შეიცავს ფსევდო-დიონისეს წარმოდგენათა ნაკვალევს, რაც უფლებას გვაძლევს მისი ავტორი ვეძიოთ ასურელ მოღვაწეთა შორის.

### გ. აბიზოს ნეკრესელი და „მესხათი მესხეთელის მარტვილობა“.

#### ა) ლიტერატურული წყაროების საციხითი.

დამატებით არგუმენტად იმისა, რომ „ეგესტათის მარტვილობა“ დაიწერა ასურელ მოღვაწეთა წრეში, გამოგვადგება ლიტერატურული წყაროების ზოგადი მიმოხილვა; სხვადასხვა მეცნიერის მიერ (ა. ჰარნაკი, კ. კეკელიძე, ს. ყუბანეიშვილი) მინიშნებულია ის ფაქტი, რომ ანონიმს გამოუყენებია „დიდაქსი“, „დიატესარონი“, „პოლოგია“, „თარგუმები“.

1. „დიდაქსი ანუ 12 მოციქულის მოძღვრება“ ძირითადად თარიღდება I-II საუკუნეებით (ჰარნაკი, ვოლკმარი, კრავუცი, ბრიენი, ფუნკი, საბატრი, ბარდენჰევერი, ვიბერ...). მეცნიერებაში შენიშნულია მისი ეგვიპტური წარმოშობა (O. Bardenhewer, „Geschichte der altkirchlichen Literaturen“, 1<sup>2</sup>, 1913, გვ. 96). ფსევდოკირიანეს მიხედვით „დიდაქსი“ ყველაზე აღრე ლათინურად უნდა ეთარგმნათ (ბარ-



დენვეერი, ვიერი). „ლიდაქედან“ მარტილობის ავტორს უსარგებლო მოძღვრებით ათ მცენებზე (დეკალოგი). ეს არის ერთი მონაკვეთი თხზულების პირველი ნაწილიდან — „ცხოვრების ორი გზა“ (გზა სიცოცხლისა და გზა სიკვდილისა), რომელიც შეესებულად წარმოუდგენია მის (ს. ყუბანიშვილი). გაურკვეველია, თუ რომელ ენაზე არსებულ ტექსტს დაეხსება ავტორი; ყოველ შემთხვევაში — სომხური გამოირჩევა.

2. „ლიტესარონი“ 170 წლის მახლობლად შეუდგენია ტიტინე ასურელს. იგი არის 4 სახარებიდან გათარგმნილი შედგენილი ერთი სახარება. გავრცელებულია მთელს წინააზიაში (სირია, ეგვიპტე, ანტიოქია, კილიკია...). მისგან სარგებლობდნენ ქრისტიანები, მანიქეელები და სხვ. თხზულება V საუკუნიდან გამქარაა. შემორჩენილია მხოლოდ ციტატები, რომლებიც ვაზნულა სხვადასხვა დროის ავტორთა შრომებში. ტექსტის კომენტარები დატოვა ეფრემ ასურმა (IV ს.), რომელიც აღმოჩნდა სომხურ ენაზე. ო. ბარდენჰეერი, რომელიც მიმოიხილა „ლიტესარონი“ დაკავშირებულ ფილოლოგიურ პრობლემებს, ასკენს, რომ დედანი იყო ასურულად დაწერილი და შემდეგ გადაითარგმნა ბერძნულ ენაზე („Geschichte...“, გვ. 279-280).

როცა „ლიტესარონი“ ანონიმის ნაცნობობაზე ვლამარაკობთ, არ გვაიწყობება, რომ იგი იმემად ასპარეზიდან გამქარალი იყო; და თუ მაინც აირეკლა ჰაგიოგრაფიულ ტექსტში, ეს ვახაზავს იმ გარემოებას, რომ ავტორი უფრო აღმოსავლურ წყაროებს ემყარებოდა, როგორც უფრო ხელმისაწვდომსა და მახლობელს, ხოლო თუ რომელი ენაზე დატული ფრაგმენტებით უნდა ესარგებლა, კონკრეტულად ამისი თქმა უჭირს. ჰიპოთეზურად დასაშვებია, რომ ანონიმი ჰაგიოგრაფი სირიულ მწერლობას უნდა დაყრდნობოდა, ვინაიდან შემორჩენილია „ლიტესარონის“ სირიული ტექსტის ფრაგმენტები გვიანდელი ხანის ხელნაწერებში („Geschichte“..., გვ. 281).

3. „აპოლოგია“, რომელიც მარკიანე არისტიდეს ეკუთვნის, V საუკუნიდან ბერძნულ ორიგინალიში იყარგება. მისი სომხური ფრაგმენტები 1878 წელს გამოაქვეყნეს ვენეციელმა მხითარისტებმა. მალე ეჩმიაძინის ბიბლიოთეკაში მეორე ვერსიაც აღმოჩნდა. 1889 წელს ნ. ჰარისმა სინას მთაზე იპოვა სრული სირიული „აპოლოგია“. ორიოდე წლის შემდეგ როზინონმა ბერძნულ „ბალავარიანიში“ მიაკვლია მთელ „აპოლოგას“. ამრიგად, მეცნიერებაში დაისვა საკითხი სამი რედაქციის — ბერძნულის, სირიულისა და სომხურის — ურთიერთობისა. სირიული თარგმანი განეკუთვნება IV საუკუნეს (ბარდენჰეერი), ხელნაწერი — VI საუკუნეს (ა. პოკროსკი). სომხურ „აპოლოგის“ თარგმნის თარიღად V საუკუნეს მიიჩნევენ (პარნა-

კი, ჰიმელი, აბელიანი). აღსანიშნავია, რომ „ბალავარიანი“ ბერძნულენოვან სამყაროში შეიტანა ექვთიმე ათონელმა (X ს.). ქართული ტექსტი შეიცავს „აპოლოგიას“ („იმპლიციტურად“ — შეუქმნულად — რ. ლ. ვოლფი). მაშასადამე, „ბალავარიანი“ მანამდე იცნობდა ამ წყაროს, ვიდრე ბერძნულ მწერლობაში შევიდოდა. IV-V საუკუნეთა მიჯნაზე დაკარგული ბერძნული ორიგინალი ვერ იქნებოდა ჩვენი ჰაგიოგრაფის წყარო. მას ხელთ უნდა ჰქონოდა „აპოლოგის“ სირიული ან სომხური რედაქცია; შეიძლება გვეფიქრა, რომ სირიული, როგორც უფრო გავრცელებული, მაგრამ აქ უბრალოდ ვარაუდის მიღმა ვერ წავალთ.

4. „თარგუმები“ ცნობილია სირიულ და სპარსულ ენებზე. უცნობი ავტორიც რომელიმე მათგანს უნდა დამყარებოდა, თუმცა კ. კეკელიძე არ გამოირჩევა ქართულ „თარგუმებს“, რომელთა არსებობა ივარაუდა ნ. მარმა. „თარგუმისტი“ ჩვეულებრივ დიდ თავისებურებას იჩენს, ის ბიბლიის ტექსტს ხან უმატებს, ხან აკლებს, ხან ცვლის კიდევაც“ (კ. კეკელიძე). საერთოდ კი ანონიმი ყველაზე ახლოს სირიულ მწერლობასთანაა. ოთხივე ძეგლი, რომელსაც იგი იშველავს, ასე თუ ისე, არსებობდა მისდროინდელ სირიულ ლიტერატურაში. ხოლო დანარჩენ ენებზე (ბერძნული, სომხური, სპარსული) რამდენიმე თარგმანიდა მიიპოვებოდა. ასეთი მერყევი დასკვნა არ იძლევა კატეგორიული სარწმუნოებას, მაგრამ ნათელია, რომ ავტორი უფრო სირიულისაკენ იხრება. მსჯელობაც ამ საკითხის ვარაუდო ტრიალებს, მაგრამ საენის არსში შეუჭრა ერთობ საქნელი და საფრთხილი ჩანს.

### ბ) ტექსტის ავტორი (საკითხის დასმა).

რამდენადაც ავტორებად, მწერლობასთან დაკავშირებულ პირებად გამოვყავით სამი ასურელი მილდაფე, ჩვენ ფორმალური გამოირჩევის პრინციპით ყურადღება უნდა შევამოთ რომელიმე მათგანზე. დავით გარეგნული თითქოს ფიზიკურად შეუძლებელია ყოფილიყო „ეგსტათის მარტიკოლის“ ავტორი: იგი ქართულ ჩამოღობს VI საუკუნის 20-იან წლებში, ხოლო ჩვენთვის საინტერესო ჰაგიოგრაფიული თხზულება დაიწერა ამავე საუკუნის ბოლო მესამედში, თუმცა დავითი თითქოს 582 წელს გარდაცვლილა (მ. საბინინი, ლ. მელიქიანევი). მაგრამ უნდა ვვახსოვდეს, რომ „ეგსტათის წამების“ ავტორი საკარძნობლად იშველიებს მატერიალისტურ ელემენტებს; გადახრილია არისტოტელესაკენ და უახლოვდება აბიზოს ნეკრეტელს, რომელიც იცნობს და იყენებს არისტოტელეს ნატურფილოსოფიას (შ. ნუცუბიძე).

### სოსო სიგუა

„მეხატბთი მცხმთმელს მარტვილოვის“ ავტორობის საკითხისათვის

შოი მღვიმელის ასეტიკურ-მისტიკური შინაარსის ექსცერპტი და ორი „ოხიდა“ არ ამჟღავნებენ არეოპაგიტულ ვავლებას. მეცნიერების თანამედროვე დონის გათვალისწინებით აბიბოს ნეკრესელი არის ერთადერთი პიროვნება, რომელსაც შეუძლია პრეტენზია განაცხადოს „ვესტაიი მცხეთელის მარტილობის“ ავტორობაზე. საიეთხის ვადაწყვეტას ვცდილობთ ევსტათიასა და აბიბოსის წამებათა ტექსტების გარკვეული ადგილების შედარების ხერხით.

**ბ) ტექსტების ცვლილება.**

„ვესტაიი მცხეთელის მარტილობის“ უძველესი ხელნაწერი (H ფონი, № 341, გვ. 831-866) თარიღდება X (კ. კეკელიძე, ს. კავთაძე) თუ XIII საუკუნით (პ. პეტერსი, რ. ბლეიკი). დანარჩენი 8 ხელნაწერი XVIII-XIX საუკუნეებისაა. უძველესი ხელნაწერის ერთი ფურცელი (გვ. 861-862) დაზიანებულია. ამიტომ ეს ადგილი გამოცემლების მიერ გამართულია გვიანდელი ხანის ხელნაწერების მიხედვით. აღნიშნულია, რომ ტექსტს განუცდია შესწორება (ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე).

ცნობილია „აბიბოს ნეკრესელის მარტილობის“ რედაქციები, კომენტარი და სეინაქსარული რედაქციები. მეტაფრასული (გრეკლი) რედაქცია დაცულია XVII-XVIII საუკუნეების ხელნაწერებში. კომენტარი (მომცრო) XIII საუკუნის (ი. აბულაძე) ერთადერთი ნაკლული ხელნაწერითაა მოღწეული.

**ღ) ანტიმავღიანური პოლემიკის ჩართვის საკითხი.**

კ. კეკელიძის კონკეფციით—„აბიბოსის წამების“ კომენტარი რედაქცია უნდა დაეწერა ქართლის კათალიკოს არსენ დიდს, საფარავნის (860-887 წ.წ.), ხოლო XIII საუკუნეში გადაუმეტარება ნეკრესის უცნობ ეპისკოპოსს, რომელსაც არსენის ნაშრომში განუცრცია პროლოგი და ეპილოგი, ჩაურთავს ანტიმავღიანური პოლემიკის შემცველი პასაჟი („ქართული ლიტურატურის ისტორია“, I, გვ. 142, 537-538; ეტიუდები, I, თბ., 1956, გვ. 48; ეტიუდები, III, თბ.: 1955, გვ. 53). კ. კეკელიძე გამოდიოდა ტექსტების შედარებისა და სტილის თავისებურებათა ანალიზის პრინციპებიდან, მაგრამ შედგებოდა სავსებით გაზიარებული არ ყოფილა. ამ ჩანაწერებიდან და დამატებებიდან ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ერთი — ანტიმავღიანური პოლემიკის საკითხი. კ. კეკელიძე რამდენიმეჯერ ლაპარაკობს ამ ჩანართების გამო, მაგრამ სპეციალურად შეგხო ერთ ნაშრომში — „ანტიმავღიანური პოლემიკის ფილოსოფიური და საბუთება უძველეს ქართულ მწერლობაში“ („ეტიუდები“, III, გვ. 42-60).

ანტიმავღიანური პოლემიკის წყაროდ კ. კეკელიძე მიიჩნევს გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფს“, რომელშიც ვრცელი მსჯელობაა კერპთაყვანისმცემლობის შესახებ. „ქრონოგრაფი“ დაიწერა 866-867 წლებში. ქართულად

გადმოთარგმნა XII საუკუნის დამდგმარის იყალითოელმა.

კ. კეკელიძე შემდეგი მოტივებით ასაბუთებს ჩვენთვის საინტერესო ადგილის ჩანართობას: 1. კონტექსტში აშკარად ჩანს პოლემიკის არაბუნებრიობა; 2. ქრონოლოგიური მიზეზების გამო არსებ საფარელი ვერ გამოიყენებდა გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფს“; 3. სანალიზო ტრაქტატი ენისა და სტილის მიხედვით მეტაფრასული პერიოდის ძეგლია. კ. კეკელიძე ასახელებს იმ სიტყვებს, რომლებიც, მისი ვარაუდით, XI-XII საუკუნეებიდან შემოდიან ქართულ მწერლობაში, როგორც იმჟამინდელი ლიტურგიკურ-ფილოსოფიური თხზულებათათვის დამახასიათებელი. მამასადამე, წამოყენებული დებულების მოსახსენილად საჭიროა სამივე საბუთის გაბათილება, როგორც არაბული ტური არგუმენტისა.

1. ვეტერობო, რომ ანტიმავღიანური ტრაქტატი არ ტოვებს ჩანართის შთაბეჭდილებას, ვინაიდან განუყრელი ნაწილია სიუჟეტის განვითარებისა, რომელსაც მოჰყვება კვანძის გახსნა: აბიბოსის დასჯა. ავტორმა ცეცხლის დამრეტელი შეკრა და მისი თეორიული უარყოფითი გახსნა კვანძი. აქ ერთი მოლონი პარალელი მოქმედების განვითარებისა, რომელიც, მართალია, წყვეტილია, მაგრამ ეს არ შეიძლება პრინციპად ავიღოთ, რამდენადაც ნაწარმოების ხარისხის გამოხატულებაა და არა კომპოზიციური წყობისა. ეს პასაჟი მოტივირებულია ტექსტის შინაგანი ლოგიკითაც: „პრეტუა მას სარზაპანმან: მე გვითხაზე, რამასთეის მოჰკალა-ღმერთი ჩუენი და შენ გენბავს, რათამცა შენისა ღმრთისა წარგვიყვანნე? ხოლო ჩან ნეტარმან აბიბოსს პრეტუ“ და მისლევს სანალიზო ტრაქტატს, რომელიც დამთავრდა თუ არა „მამინ განრისსნა ფრიად მარზაპანი იგი მეფისა და შემდგომად მრავლისა გუემისა და საკრეულთა სატანჯველთაჲსა ქეთთა განტვინეს იგი, ნეტარი აბიბოს, და მკულეს და განათრეის ვარეშე ქალაქს“. ვგონებთ, აქ არავითარი შეუსაბამობა, უადგილობა და ტრაქტატის არაბუნებრიობა არა ჩანს. მეტწილად ეს ეტყობა „ევსტათის მარტილობაში“ ბიბლიის პერიფრაზს, მაგრამ არავის უთქვამს, თითქმის იგი გვიანდელი ჩანართი იყოს. ეგ იმიტომ, რომ აშკარად გავიანთრებული თხრობა ჰაგიოგრაფის მხატვრულ ოსტენტაციაზე, ესთეტიკურ გემოვნებასა და სამწერლო შეხედულებებზე მეტყველებს, რაც, როგორც ლირებულა, ეგებ ვერ გავიზიაროთ, მაგრამ, როგორც ფაქტი, უნდა მივიღოთ.

2. ნამდვილად იცნობს თუ არა ანტიმავღიანური ტრაქტატის ავტორი გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფს“? კ. კეკელიძის შეხედულებით, საპოლემიკო ტრაქტატს არისტიდეს „აპოლოგოსთან“ აკავშირებდა „ქრონოგრაფი“. ამ თვალსაზრისის საილუსტრაციოდ მოტანილია პარალელური ადგილები:

„აბაზოსის მარტვილობა“

„ქრონოგრაფი“

1. „ცეცხლი სხუთა ბუნებათაგანი არს, ერთისა ნივთისაგანა მცირელი ნაწილი, რომელთაგან აღმართა ღმერთმან სოფელი ეგე“, ესენია: „ნოტიოა, ცივი, ხმელი და ცეცხლი“.

2. ამ ოთხ ელემენტს ერთი ერთისა მპყრობელობა აქუს სიმრგულესა მას შინა; ესრეთ განსწორებითა ნაწილათაა ღვანან ესენი და უკუეთუთმცა ერთი მეორესამცა აღემატა, განცაქარდა მეორე იგი“.

3. თქვენს ცეცხლს, რომელიც ხმელია და მწველია ერთი მცირე წყალი დავასხე მძლე ექმნა და მოკლა იგი, რამეთუ უფროა მისი იპოვა წყალი იგი“.

4. „აჲ მკვიდრს თქუენი ესევითარი სიცოფე, ვითარ არა სირცხვილელუ გინს მისი სახელდებამ ღმერთად, რომელსა სული არა აქუს, რამეთუ თქუენი ესე ცეცხლი თქუენადე მონა არს, უკეთუ ღმერთ არს ეგე?“

იდუგრი ანალიზით შედარება პარალელური ციტატებისა ზედმეტად მიგვიჩნია, ვინაიდან მათ შორის არ იგრძნობა ლექსიკური, ფრაზეოლოგიური, სინტაქსური თუ სხვა სტილური მსგავსებანი. თვალის ვადვლდებაც საკმარისია, რათა დაერწმუნდეთ, რომ ციტატებს აკავშირებთ შინაარსობლივი პლანი, ისიც არა ისეთი სპეციფიკური ხასიათისა, რომ ერთი მეორეზე დამოკიდებულად ვცნოთ.

საამისოდ კმარა ოთხი ელემენტის სისტემიდან რამდენიმე პარალელის აღნიშვნა. „ქრონოგრაფი“ ოთხი ელემენტი ასეა დალაგებული: „მხურვალისა და ხმელისა, გრილისა და ნოტიისა არსებისა“. გიორგი ამარტოლი, არისტოტელეს მოძღვრების თანახმად, ელემენტებს განალაგებს თვისებათა ორი წყვილის მიხედვით: მხურვალე და ხმელი; გრილი და ნოტიო. ამავთან წარმოიშობანი ელემენტები ანუ სტიქიონები. საანალიზო ტრაქტატში ეს პრინციპი დარღვეულია: „დაბადებულ არიან ნოტია, ცივი, ხმელი და ცეცხლი“. თვისებათა წყვილურლები და სტიქიონები ერთმანეთშია არეული: ცეცხლმა დაიკავა წარმოიშობი საწყისის მხურვალის ადგილი, არც სიტყვები მეორდება („გრილი“ — „ცივი“), რაც უნდა მოწმობდეს, რომ პოლემიკის ავტორი არ ხელმძღვანელობდა გიორგი ამარტოლის თხზულებით. ხოლო ის შინაარსობრივი, იდეურ-თემატური სიახლოვე, რაც მათ შორის არსებობს, სავარაუდოა გამოწვეული იყო (თუ შესაძლოა ასეთი დაშვება) სავერთო და ძირითადი წყაროს — არისტოტელის „აპოლოგიის“ გამოყენებით. თორემ თუ შინაარსობრივი მსგავსების პრინციპი (სპეციფიკური მაჩვენებლის გარეშე) კრიტერიუმად მივიჩნიეთ, მაშინ მას ეგებ რამდენიმე პარალელური წყაროც დაეუქმებოთ.

3. დასათარიღებლად მოშველდებოდა ის სიტყვები, რომლებიც ქართულ მწერლობაში XI-

1. „ბუნებაა ხორციელთა გუამთაა შემტოცებულ არს ოთხთა ვიდრევე ნივთათაგან: მხურვალისა და ხმელისა, გრილისა და ნოტიისა არსებისა“.

2. ეს ელემენტები „ურთიერთ რა შეიარეინ და შეიყვენ, აქუს მღვთმართობა და მყოფობა [სიმრგულესა მას შინა], ხოლო თვისთაგან რა ურთიერთას განეყვენ და თვისით იხილვებოდეს თითოეული, ურთიერთის მბრძოლ და დამხილვად არიან“.

3. „რამეთუ მხურვალე გრილისა მიერ დაიხსნების და გრილი მხურვალისა მიერ უჩინო ექმნების და ნოტია ხმელისა მიერ განხმების... ხოლო ცეცხლსა სიმძაფრე წყლისად დაშრეტს“.

4. „ვითარ ღმერთი იყვენ ესენი ურთიერთ-არსისა შეწვევისა მოქენენი და ურთიერთის დაუგებელად მბრძოლის და სახელსა ღმრთობისასა ღირს იყვენ“.

XII საუკუნეებში უნდა შემოსულიყო. ეს სიტყვებია: „ღმერთა“ (ი. აბულაძის გამოცემით — „აღმართა“, „ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები“, თბ., 1955, გვ. 193) გააკეთა-ს, შექმნას მნიშვნელობით, „განსწორებით“, „მპყრობელობა“, „სიმრგულე“, „ღვანან“, „აღღვომილი“ (მღვთმარე, არსებული), „უკუეთუ“ (ნუთუ), „ბუნებათაგანი ნივთი“ და სხვ. ჩვენ არ ვცდილივართ, რომ ყველა მითითებულ სიტყვა დაგვეტებნა XII საუკუნემდელი ხელნაწერებით გამოცემულ ძეგლებში, რამდენადაც რამდენიმე სიტყვის მიკვლევაც საკმარისია, რათა დამაირიღების ამგვარი ზეჩახი საეჭვო გახდეს: თუ ერთი და ორი მოიძებნა, მოიძებნება მესამეც და მეოთხეც;

„შუშანიის მარტვილობა“ იცნობს სიტყვას „აღმართან“ („მამამან შენმან აღმართან სა-მარტვილენი“, ი. იმნაშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. 1, ნაწ. 1, თბ., 1970, გვ. 135), რომელიც იმავე მნიშვნელობისაა, რა მნიშვნელობაც გააჩნია კ. კეკელიძის მიერ დამოწმებულ სიტყვას. ამავე ტექსტში არის დაცული სიტყვა „აღღვინება“ („შემძმებელ ხარ მუღვარსა აღღვინებად“). „აღღვინება“ არის საწყისი, ხოლო „აღღვომილი“ — მიძლეობა. თუ „შუშანიის წამების“ ავტორმა გამოიყენა სახელზმნის ერთი ფორმა, საუკუნეთა მანძილზე არც მეორე ფორმა უნდა ყოფილიყო უცნობი. იოანე ოქროპოლის ქადაგებანი არაერთგზის შეიცავენ სიტყვას „უკუეთუ“ („უკუეთუ ქმნეს კაცმან ყოველი კეთილი და მას ზედა აღზუაგა და ამპარტავან იქმნა, არა შეიწირავს ღმერთი კეთილსა საქმესა მისსა“, მამათა სწავლანი X და XI საუკუნეთა

სონო სიგჳა  
„მესტატი მცხმთმელის მარტვილოვის“  
ავტორობის საპითხისათმის



ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ, თბ., 1955, გვ. 45).

ამრიგად, ჩვენ ვთვლით, რომ კ. კეკელიძის მიერ მოხმობილი არგუმენტები ვერ დამტკიცებენ, თითქოს ანტიმაზდეანური ტრაქტატი ჩანართი იყოს, რომ იგი ეყრდნობა გიორგი ამარტოლის ქრონოგრაფს; რომ ეს ჩანართი მიეკუთვნება XII საუკუნის მოღვაწეს. საეკვოა, რომ XII საუკუნეში ვინმეს გაელაშქრა მახლანობის წინააღმდეგ, რომელიც VII-VIII საუკუნეებში განაიარაღა ისლამმა და, როგორც იდეოლოგიური ძალა, ამოსწურა და მოსპო. ი. ჭავჭავაძის აზრით, IX საუკუნეშიც კი არავის ჰქონდა რეალური წარმოდგენა ცეცხლთაყვანისმცემლობაზე და მას იგებდნენ როგორც კერძოთაყვანისმცემლობას („ქართველი ერის ისტორია“, I<sup>3</sup>, თბ., 1951, გვ. 363).

ასრენ საფარელს არ შეეძლო თავისი თხზულებისათვის გამოყენებინა გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფი“, რაზეც მითითებებს კ. კეკელიძე, ვინაიდან ისინი თითქმის ერთდროულად მოღვაწეობენ და ქმნიან თავიანთ ნაწარმოებებს. ეს მით უმეტეს გამოსარიცხავია იმ შემთხვევაში, თუ მართებული აღმოჩნდება პ. ინგოროყვას ვარაუდი, რომ ასრენ I დიდი საფარელი კათალიკოსობდა 845/50-872/77 წლებში. ბუნებრივია, რომ 866-867 წლებში ბიზანტიაში დაწერილი თხზულებისათვის მას, მცხეთაში მყოფს, ხელი ძნელად მიეწვდებოდა.

**2. ანტიმაზდეანური პოლემიკა ევხტათისა და აბიბოსის მარტივობათა ტექსტებში.**

მას შემდეგ, რაც გამოირიცხა გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფი“, როგორც შესაძლებელი წყარო „აბიბოს ნეკრესელის წამებაში“ დაცული საპოლემიკო ტრაქტატისა, ისევე ისმება

**„ევხტათის წამება“**

„მერმე კუალად ცეცხლი არა ღმერთ არს ამით, რამეთუ ცეცხლი კაცმან აღაგზნის და კაცმანვე დაშრტის, რამეთუ კაცი უფალ არს ცეცხლისა, ამისათვის არა ღმერთ არს ცეცხლი. თუ ვისმე განერის და წარვიდის, რასაცა მიჰმართის, გინა ტყუის, გინა ევლსა, გინა სახლსა, თუ კაცი დახუდის, და-ვე-წვის. ხოლო ცეცხლსაღა წყალი მიეახლის, ეგოდენი იგი ძალი ცეცხლისაღა დაშრტის და უჩინო იქმნის ცეცხლი იგი, ამით არა ღმერთ არს, ხოლო ჩუენ ღმერთად გურწამს.

ხოლო ჩუენ ღმერთმან ცეცხლი სამსახურებლად მოგუცა, ყინელისა განსატფობელად და ყოვლისა სანოვაგისა საქმარად, და, ოდეს გვიწინებინ, აღვაგზნით, და, ოდეს გვიწინებინ, დავსრბით, ესრეთ არა ღმერთ არს ცეცხლი იგი“.

კითხვა: რა გზით უნდა გასცნობოდნენ ანტიმაზდეანური თხზულებას, რომელიც შესაფერისი იქნებოდა ტექსტისათვის ანტიმაზდეანური სულსკვეთების მისაცემად?

მთავარი და საყურადღებო ის არის, რომ ანტიმაზდეანური პოლემიკა მასში შემავალი ფილოსოფიური ფრაგმენტებითურთ წარმოთქმულია აბიბოსის მიერ და მსგავს საკითხებს ავტორისეული თხრობა არ იცნობს. ეს ტრაქტატი შინაარსობრივი არგუმენტირებით განსხვავდება წამების დანარჩენი ადგილებისაგან, თუმცა, როგორც ითქვა, კომპოზიციის აუცილებელი ელემენტია და გააჩნია ფუნქციონალური ღირებულება დრამატიზმის განსავითარებლად. შ. ნუცუბიძისა და შ. ხიდაშელის მოსაზრებათა კვალობაზე მიგვაჩნია, რომ ეს ტრაქტატი უნდა იყოს ექსტრაპოლი აბიბოსის „რომელიღაც სავარაუდებელი თხზულებიდან, ხოლო თუ რომელია ეს ნაწარმოები, ამ გარემოებაზე მათ ყურადღება არ გაუმახვილებიათ. კ. კეკელიძემ ინტუიტურად იგარბო მისი განსხვავებული სტილური ქსოვილი, რის გამოც შემდეგდროინდელ ჩანართად გამოაცხადა, მაგრამ ერთი ამოსავალი მომენტი უდავო ხდება: რომელ რადიკალურ აზრსაც უნდა მიეგმზროთ, ტრაქტატი არ ეკუთვნის ასრენ საფარელის კალამს. ჩვენ აქ უნდა დავსვათ საკითხი, რომ საპოლემიკო პასაჟი არის თავისუფალი ექსტრაპოლი (დღევანდელი მონაცემებით) „ევხტათი მცხეთელის მარტივობის“ ტექსტიდან; რატომ და რისთვის, ან რა მიმართებაში არიან ერთმანეთთან ევხტათი და აბიბოსი, ამას შემდეგ დაუებრუნდით.

აქვე მოვიტანთ ორივე ტექსტიდან შესაბამის პარალელურ ადგილებს, რათა თვალნათლივი გახდეს, თუ რა არის საერთო ამ ორ — ერთ თემაზე გაშლილ პასაჟებს შორის:

**„აბიბოსის წამება“**

„უწყებულ იყავნ შენდა, ვითარმედ ღმერთი არა მომიკლავს, ხოლო ცეცხლი დაეშრბტე. არა არს ღმერთი იგი, არამედ სხუათა ბუნებათაგანი არს, ერთისა ნივთისაგან მცირედ ნაწილი, რომელითაგან აღჰმართა ღმერთმან სოფელი ესე. განსწორებით დაბადებულ არიან ნოტიად ცივი, ხმელი და ცეცხლი, რომელ ურთიერთსა მპყრობელობადა აქუს სიმრგულესსა მას შინა. ესრეთ განსწორებითა ნაწილთაგანა დგანან ესენი, და უკუეთუმცა ერთმანეთსა აღეშტა, განმ-ცა-ქარადა მეორე იგი. ხოლო თქუენი ცეცხლი იგი მისევე ცეცხლისა ბუნებისა ნაწილ[არს] ხმელითა და ცივითა, აღ[მ]დგომი შეშისა ჰამითა მყოვარ თამიერ. ერთი მცირე წყალი დავასხ, მძლე ექმნა და მოკლა იგი, რამეთუ უფროას მისა იპოვა წყალი იგი. აწ მივიკრის თქუენი ესევითარი სიცოფე, ვითარ არა სირცხვილეულ გინნს მისი სახელის დებად ღმერთად, რომელსა ესოდენ სული აქუს (რამეთუ თქუენი ესე ცეცხლი თქუენადვე მონა არს და კერბთა შეურაცხის მყო-



ფელთა ვერვის ხედავს), უკუეთუ ღმერთ არს ეგე? თქუნე იტყვი, რამეთუ ოდესმე თქვენსა. ვე სოფელსა განმზადეთ მსახურება მის კერ-

საპოლემიკო პასაჟებს გააჩნით როგორც მსგავსი, ისე განმასხვავებელი ნიშნები. პოლემიკა „ევესტათის მარტილობის“ ტექსტში მოიცავს შემდეგ საკითხებს: 1. ცეცხლი, ვითარცა ღმერთის ძალის დასრუტა; 2. წყლის უპირატესობა ცეცხლზე; 3. ცეცხლის დანიშნულება. „აბიბოსის მარტილობის“ შესაბამისი ადგილი ასეთია: 1. ცეცხლის, ვითარცა ღმერთის ძალის დასრუტა 2. ცეცხლის ღმერთობის უარყოფა ოთხი ელემენტის მოძღვრებით; 3. წყლის უპირატესობა ცეცხლზე; 4. ცეცხლის აღამიანებისადმი დაქვემდებარებული მდგომარეობა.

საპოლემიკო პასაჟებს შორის განსხვავებას ქმნის ოთხი ელემენტის ემპედოკლესული მოძღვრების გადმოცემა და გამოყენება, თუმცა შ. ნუტუბიძე შენიშნავს, რომ აქ „მსგავსება უდავოა“ („ქართული ფილოსოფიის ისტორია“, I, გვ. 277). ხოლო პ. ინგოროყვა წერს, რომ ორივე ძეგლის ავტორები იშველიებენ ამ მოძღვრებას („ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“, „მნათობი“, 1939, № 2, გვ. 152). კ. ქეკელიძე კი გადაჭრით უარყოფს ოთხი ელემენტის სიტემის ყოველგვარ გამოვლენას „ევესტათის წამებაში“ („ეტიუდები“, III, გვ. 55)... „ევესტათის მცხეთელის მარტილობის“ ტექსტ-

**„ევესტათის წამება“**

1. „არა ღმერთ არს ამით“.
2. „ძალი ცეცხლისა დასრუტის“.
3. „რამეთუ კაცი უფალ არს ცეცხლისა“.
4. „ჩუენ ღმერთად გურწმის“.
5. „არა ღმერთ არს ცეცხლი იგი“.
6. „ხოლო ცეცხლსადა წყალი მიეახლის, ეგოდენი იგი ძალი ცეცხლისა დასრუტის“.

შ. ნუტუბიძის დაკვირვებით, „ევესტათის წამების“ ავტორი და აბიბოს ნეკრესელი უფრო არისტოტელეციკები არიან. მაგრამ მომეტებულად საყურადღებოა ამ ძეგლში გამოვლენილი არეოპაგიტული იდეის ნაკვალევების განმეორება „აბიბოსის მარტილობის“ ტექსტში.

„აბიბოსის მარტილობის“ საპოლემიკო ტრაქტატში შეიმჩნევა წარმოდგენა „მოსოფლიოს წყობის და ამ მოსოფლიოში ერთგვარი მიზანშეწონილობის განხორციელების შესახებ, რაც მის საფუძვლებრივ წყობაში ზორციელდება“ (შ. ნუტუბიძე). ანალოგიური არეოპაგიტული შეხედულების გავლენის მატარებელი „ევესტათის მარტილობის“ ის პასაჟი, რომელშიც ივრატულილობის პრინციპი შეიგარძნობა. შეხედულებათა სპეციფიკურმა ერთგვარობამ კიდევ ერთხელ გაამყარა საანალიზო ტრაქტატი, რა-

პისაჟი, რომელ — იგი ჰქმნით ოქროსა ტანჯველად განმზადებულსა მას თქუნე მიერ მაშინდელისა აწ ღმერთ ეწოდების“.

ში არისტოტელეს ნატურფილოსოფია შესულია არისტოტელეს „აბოლოგიდან“. აქ უნდა მოჩანდეს ემპედოკლეს მოძღვრების როგორც ანარქულიც (წყალი და ცეცხლი, როგორც ამ სისტემის მიხედვით მოპირისპირე ელემენტები). სათანადო ადგილას მას ემატება სტიქიონთა სამი საწყისი — ცივი, ხმელი და ნოტიო. მაგრამ თვისებათა ამ საწყისებს დაერთვის ცეცხლი, როგორც სამყაროს შემადგენელი ელემენტი. არისტოტელესთან ცეცხლი ელემენტი, და არა თვისებათა საწყისი, ჰაერთან, წყალთან და მიწასთან ერთად. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ექსცერპტის მეტაფრასტს თუ შემდეგდროინდელ გადაშვრებს არა აქვს ზუსტი წარმოდგენა ამ მოძღვრებაზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ორი ძეგლის საპოლემიკო მონაკვეთების ტექსტუალური დამთხვევანი, რაც ზოგჯერ იქამდე მიდის, რომ „აბიბოსის წამების“ ანტიმზადანური ტრაქტატი თითქმის უცვლელად იღებს ფრაზებს „ევესტათის მარტილობის“ შესაბამისი პასაჟიდან.

საილუსტრაციოდ მოგვაქვს რამდენიმე მაგალითი:

**„აბიბოსის წამება“**

1. „ამით არა ღმერთ არს“.
2. „ცეცხლი დასრუტა“.
3. „რამეთუ ესე ცეცხლი თქუნადაღე მონა არს“.
4. „აწ ღმერთ ეწოდების“.
5. „არა ღმერთ არს იგი“.
6. „მყოვარ ეამიერ ერთი მცირე წყალი დავსხ, მძლე ექმნა და მოკლა იგი, რამეთუ უფროდს მისა იპოვა ცეცხლი იგი“.

გორც ექსცერპტი „ევესტათის წამების“ ტექსტიდან.

არ უნდა დაგვივიწყდეს ისიც, რომ ორივე შემთხვევაში პოლემიკა გადმოიცემა პირველი პირით, რომელიც ნაწარმოების მთავარი პერსონაჟია. შესაბამისი სიტუაციებიც თითქმის ერთნაირადაა მოხაზული.

საპოლემიკო ადგილებს შორის არსებული განსხვავებანი ახსნება შემდეგი მოტყუებით: 1. საექვოა, რომ არსენ საფარელს თხზულებიდან ამოუკვეთა სიტყვა-სიტყვითი, ზუსტი ტექსტი; 2. ის ხელნაწერები, რომლებიც პოლემიკას შეიცავენ XVII-XVIII საუკუნეებისა. ასევე მოგ-

**სოსო სიპუა**  
 „ევესტათი მცხეთელის მარტილობის“ ანტიმზადანის საპირისპირების



ვიანო ხანის ხელნაწერით შემოგვრჩა „ევსტათის წამების“ ტექსტი, ამის გამო დაეიარაულია შესაძლებლობა უფრო ადრეული ხანის ხელნაწერთა შედარებისა; 3. „აბიბოსის წამება“ XII საუკუნეში გადაამეტადირასეს (ჯ. კეკელიძე). ამ დროს, ისევე როგორც პროლოგ-ეპილოგი, შეიკვებოდა და განაგრძებოდა ცეცხლთაყენის-მცემლობის საწინააღმდეგო ტრავმატიკი. მისი მიდრეკილება რთული, ტრანზიროლოგიური მეტყველებისადმი (ნაცვლად „ევსტათის წამების“ სადა, სასაუბრო სტილისა) მაშინდელი შენაძენი უნდა იყოს, ისევე როგორც იმეამად ჩვენში ფართოდ ცნობილი ოთხი ელემენტის მოძღვრების გაშლა და პოლემიკური პათოსის მაღალფარდევანი ფრაზებით გამოხატვა.

ამდენი შესწორებისა და გადაკეთების შემდეგ ის კი არ არის გასაკვირი, თუ რატომაა განსხვავებანი, არამედ საოცარია, როგორ დარჩა ტრავმატიკი რამდენიმე საერთო ფრაზა, როგორც სტერეოტიპული გამოთქმა.

აქ ჩვენ იმ ვითარებასთან გვაქვს საქმე, რომელიც არ არის იშვიათი ქართულ აგიოგრაფიაში: გიორგი ათონელი „ითანე და ექვთიმე ათონელის ცხოვრებაში“ ამბობს, რომ ექვთიმეს უმეტესი დამით უწერიაო, ასეთი აღამიანი ჩვენში არ გამოჩენილა და არც მომავალში გამოჩნდებაო. რიცხოდ წლის შემდეგ გიორგი მცირე-წერს „გიორგი ათონელის ცხოვრებას“ და თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ამ ფრაზებს: გიორგი მცირის მიზანი იყო, რომ გიორგი ათონელი მისივე სიტყვებით დაეხატა, ვინაიდან ისინი ზუსტად ახასიათებდნენ ამ დიდ მოღვაწესაც.

არსენ მეორემ „შოთ მღვიმელის ცხოვრებაში“ ჩაუთოთ თავისუფალი ექსცერპტი შიოს უცნობი ასკეტო-მონასტეურო „შინაარსის ნაშრომიდან“ (ჯ. კეკელიძე). აქვე გვინდა გვახსენოთ უცნობი ჰიმნოგრაფის საგალობელი დიონისესადმი, რომელშიც იგი დახასიათებულა იმ პრაქტიკებითა და სახეებით, რომლებიც არე-ოპატიკაში მოიპოვება.

ანალოგიური შემთხვევაა ჩვენთვის საინტერესო ტექსტში. არსენ საფარელმა აბიბოსის თხზულებიდან აიღო ის, რაც ზუსტად დახასიათებდა მთავარ პერსონაჟს, როგორც თავდადებულ ქრისტიანს, როგორც ქრისტეს მცნებისათვის დადებული, რითაც უფრო გამოიკვეთებოდა ამ ასურელი მოღვაწის სარწმუნოებრივი პროფილი.

**8) ფაბულური პარალელები.**

ამ ორ პაგიოგრაფიულ ტექსტს შორის არსებობს გარკვეული კავშირი, რაზეც არაერთხელ ყოფილა მითითებულ საშეცნიერო ლიტერატურაში. ამ ნათესაობას ამჩნევდა ი. ჭავჭავაძე. ს. ყუბანეიშვილი აღნიშნავდა „ევსტათის მარტილობის“ გავლენას „აბიბოსის წამებაზე“. მაგრამ, რატომღაც, საპოლემიკო ადგილებს არ შეხებია. ლ. მენაბდე, ისევე როგორც ს. ყუბა-

ნეიშვილი, უჩვენებდა ამ ორი ძეგლის შიგნით ვედრ წერტილებს, რაც ვლინდება დასწის პოზიციისა და გვაგებების მოპარვის ერთნაირი აღწერით.

ევსტათისა და აბიბოსის ბიოგრაფიებში არის რამდენიმე საერთო ხაზი, რაც მათ ერთი იდეის ორ პიპოსტასად წარმოაჩენს. მოგვაქვს რამდენიმე ძირითადი პარალელი, რითაც ყალიბდება მათი ბიოგრაფიული სახეები:

1. ევსტათი და აბიბოსი ქართლში თითქმის ერთდროულად მოდიან — ევსტათი — 541 წელს (ჯ. კეკელიძე), აბიბოსი — 543 წელს (ლ. მენაბდე);
2. ორივენი გამოეკენენ სარწმუნოებრივ დევნას;
3. ორივენი უცხოეთიდან შემოდან ქართლში, მცხეთაში;
4. ორივე მათგანი ხასიათდება სარწმუნოებრივი იმეხარებლობის ნეიტრალიზებით;
5. უარყოფენ ცეცხლს, როგორც ღმერთს. განსხვავება თავს იჩენს მაშინ, როცა აბიბოსმა საუთარი ნებით დაშრიტა ცეცხლი და შეებრძოლა მაზდეანურ რჯულს. თუ რომ ეს მოქმედება არა, მას ხელს არ ახლებდნენ. ისიც საგულისხმოა, რომ ასურელ მოღვაწეთა შორის აბიბოსი ერთადერთია, ვისზეც დაიწერა არა ცხოვრება, არამედ მარტივობა (ი. ჭავჭავაძე).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ აბიბოსმა შეგნებულად შეარჩია აღეწერა ისეთი აღამიანის მოწამეობრივი სიკვდილი, ვისი ბიოგრაფიის მონაკვეთები ეხმიანებოდნენ მისი ცხოვრების გარკვეულ ეპიზოდებს, ხოლო ბოლოს, თავისი გმირის კვლადკვალ, გაიმეორა სარწმუნოებრივი სიმამაცის აქტი. სხვა არავითარი გამართლება არ მოეძებნება აბიბოსის მიერ ნებაყოფლობით გადადგმულ წინდაუხედავ ნაბაჟს: მას არავინ არ აიძულებდა. უბრალოდ, მან, მისი გმირის თავგანწირვით შთაგონებულმა, პრაქტიკულად გააკეთა და დაანახა სპარსელებს ის, რაზეც თეორიულად ილაპარაკა ევსტათმა. ამ მოქმედების შოლიანობით უნდა შეიკრას ის რკალი, რომელიც არსებობს დასახელებულ ორ მოწამეს შორის. ვფიქრობთ, აბიბოსა დაინტერესდა მისი თავდადასავლის მოზიარე პიროვნების ბედით, არ დაემაყოფილა ბიოგრაფიის დაწერისა და ბოლოს ისურვა, რომ მისებრ ღირსეულად დაღუპულიყო (თუ სურათის ამგვარი მოტივირება არ ეკუთვნის არსენ საფარელს).

**9) მარტივობის დაწერის დრო და ადგილი**

ჯ. კეკელიძე „ევსტათის მარტივობის“ თარიღის გამო წერს: „თხზულება დაწერილი უნდა იყოს მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში, არაუგვიანეს ამ საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისისა“ („ქართული ლიტერატურის ისტორია“, I, გვ. 511). მკვლევარი ეყრდნობა

ტექსტის ერთ ფრაზას: „რომელმანმე მათგანმან  
ნებთა ღმერთისაათა შეისუენა ჟამად — ჟამად,  
და რომელნიმე ცოცხალ არიან“. ს. ყუბანეიშ-  
ვილის აზრით, თარიღი ვერ გადაცილდება VI  
საუკუნის 80-იან წლებს. ა. პარნაყი თხზულე-  
ბას VI საუკუნით ათარიღებდა. ი. ჯავახიშვილი  
ანონიმ ავტორის ევსტათის თანამედროვედ მი-  
იჩნევდა.

კ. კეკელიძის მტკიცებით, თხზულება უნდა  
დაწერილიყო მცხეთაში. ზმნის ფორმები „მოვი-  
და კაცი ერთი სპარსეთით“, „მოვიდა ქალაქ  
მცხეთად“, „შემოვიდა ქართლსა მარზპანად“  
და სხვ. მკვლევარს აფიქრებინებდა, რომ ტექ-  
სტის შექმნის ადგილი იყო მცხეთა. ეს ერთი  
შეხედვით დასაბუთებული თვალსაზრისია, მაგ-  
რამ გვაეკუბებს სამოელ არქედიაკონის თხრობა-  
ში გამოყენებული ანალოგიური ზმნური ფორ-  
მები: „მერმე მოვიდა დაბასა მას, რომელსა  
სახელი პრქუა ბეთანია“, „მოვიდა ქრისტე კარ-  
სა მის სამარისასა“, „შეიპყრეს ქრისტე და  
მოიყვანეს წინაშე მღვდელთ მოძღუართა“. გა-  
მოდის, რომ თითქოს ნაწარმოების წერის დროს  
ავტორი იმყოფებოდა როგორც ბეთანიაში, ისე  
იერუსალიმში.

ტექსტის დასასრულს გვხვდება აგრეთვე სა-  
პარისპირო შინაარსის ზმნური ფორმები: „წა-  
რიღეს იგი მცხეთას, რამეთუ სტეფანეს ემცნო  
მუნ მყოფთა ქრისტიანეთადა“, „გითარცა მი-

იწინეს მცხეთას“. მოტანილი მაგალითები გვიჩ-  
ვენებენ, რომ, თუ კ. კეკელიძის კვლევის ხერხი  
მოვიმარჯვეთ, ავტორი არ უნდა იმყოფებოდეს  
მცხეთაში.

ამრიგად, მოტანილი ციტატები იძლევა ორი  
ურთიერთსაპირისპირო აზრის განვითარების სა-  
შუალებას, რაც სერიოზულ ეჭვქვეშ აყენებს  
„ევსტათის წამების“ მცხეთაში დაწერის შე-  
საძლებლობას. თანაც, თუ წერის დროს ავტო-  
რი საქართველოში იყო, უცხოეთიდან შემო-  
სულ პირზე თავისუფლად შეეძლო ეთქვა „მო-  
ვიდა“ და ა. შ. ვფიქრობთ, რომ, რადგანაც აბი-  
ბოსი ნეკრესის ეპისკოპოსი იყო, თავისი თხზუ-  
ლებაც ნეკრესშივე უნდა დაეწერა: იქ, სადაც  
მოღვაწეობდა, რაც უფრო ბუნებრივი და გა-  
მართლებული ჩანს.

დასასრულ, ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ ეს  
ძირითადი დასკვნა, რის მისაღებადაც დაიწერა  
წინამდებარე ნაშრომი: ევსტათისა და აბიბოსის  
პარტიკულობათა ტექსტებში დაცული ანტიმაზ-  
დენური პოლემიკის იდეურ-თემატური და  
ფრაზეოლოგიური მსგავსება საფიქრებელს  
ხდის, რომ ამ ბოლო თხზულებაში არის რამ-  
დენადმე თავისუფალი ექსცერპტი ამოღებული  
„ევსტათის წამებიდან“, რაც იძლევა საშუა-  
ლებას (ივარაუდება სხვა არგუმენტებიც), რომ  
„ევსტათი მცხეთელის მარტილობის“ ავტორად  
მივიჩინოთ აბიბოს ნეკრესელი.



## მიხეილ ბოგვინიძე

### მატჩი, როგორც არ უნდა

კრილენკომ გუნება-განწყობილება შეიცვალა. თუ აღრე ამბობდა: „არავითარი მატჩი“, 1937 წლის ზაფხულში დაეინა, რომ სსრ კავშირის პირველობაზე მატჩი უნდა მოეწყოსო. ჩემპიონატში გამარჯვება ლევენტიუს ჰქონდა მოპოვებული. მაშინ იგი ორმოცდაათს უახლოვდებოდა. რომანოვსკისთან ერთად ლევენტიუსი გახლდათ რევოლუციამდელი თაობის ოსტატთა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი. უზალო ტექნიკის ფლობდა, ჩინებული სპორტული ხასიათითაც გამოირჩეოდა და ამიტომაც მისი საქადრაკო კარიერა უფრო ხანგრძლივი გამოდგა, ვიდრე რომანოვსკისა.

მატჩს ვთამაშობდით ექვს მოგებულ პარტიაში. თუ ანგარიში გახდებოდა 5:5 და მომდევნო შეხვედრა ყაიმით დამთავრდებოდა, ჩემპიონი ინარჩუნებდა თავის წოდებას. მატჩი სუსტად ჩავატარე: სულის სიღრმეში მეტოქეს ჭეროვნად არ ვაფასებდი, მაგრამ მთავარი მიზეზი, რა თქმა უნდა, მაინც ის გახლდათ, რომ ერთობ ძნელია რვა თვეში საკანდიდატო დისერტაციის მომზადება...

ლენინგრადში გადასვლის წინ (მატჩის პირველი ნახევარი მოსკოვში მიმდინარეობდა) მე ვლიდებოდი, მაგრამ შემდეგ კაისა (საქადრაკო თამაშის ქალღმერთი) შემომწყრა — ეტყობა, ილინ-ჟენევისკის მსგავსად მასაც მიაჩნდა, რომ გაუმართლებელია ქადრაკისაგან მოწყვეტა... ამის მიუხედავად, მეცამეტე პარტიის წინ ანგარიში 5:4 ჩემპიონის სასარგებლოდ როდი იყო. მაგრამ მომდევნო შეხვედრა გადაიდო ჩემთვის წასაგებ პოზიციასო. მატჩში სუსტი თამაშით იმდენად უმაყოფილო ვიყავი, რომ ანალიზსაც თავი მივანებე. დილით არბიტრ ნ. დ. გრიგორიევს დაეურეკე და ვაცნობე, რომ ვენებდებოდი და ამით მატჩიც თითქმის მთავრდებოდა.

„რას ჩქარობთ, — მიპასუხა ნიკოლოზ დიმიტრის ძემ, — პარტია აუცილებლად უნდა განაგრძოთ მთელი დამე დაფას ჩაკვირებები და უნიკალურ ენდშპილს მივაკენი: პაიკები ლაზიერის წინააღმდეგ. მართალია, ლევენტიუსის განკარგულებაშია მოგების ერთადერთი გზა, მაგრამ უშუალოდ დაფაზე ამის მიგნება შეუძლებელია. ახლავე გიკარნახებთ ანალიზს...“

„დაიცათ, თქვენ ზომ მთავარი მსაჯი ხართ, შეჯიბრების პირობების მიხედვით კი მატჩის მონაწილეებს არა აქვთ ვინმეს რჩევით სარგებლობის უფლება“.

„სწორედ ამიტომ საკუთარ მოვალეობად მივინევ დაგეხმარობთ, — მითხრა გრიგორიევმა, — ჩემთვის ცნობილია, რომ თქვენი პარტნიორი მატჩის დაწყებიდანვე სარგებლობს ოსტატთა ჭკულის დასმარებით, თქვენ კი ეშვად გამოიყურებით...“ (ნიკოლოზ დიმიტრის ძე მართლს ამბობდა: იმ დღეებში სლავა რაგოზინთანაც კი არ შექონდა ურთიერთობა. მატჩის დაწყებამდე გრიგორიევს ავი ვფართხილებდი, რომ აღნიშნული პირობებით შეიძლება კისარგებლა ნაკლებად პუნქტუალურ მონაწილეს).

„გმადლობთ. მაგრამ სუსტად ვთამაშობდი, რატომ დავწვრილმანდე? კიდევ ბევრი შეჯიბრება გაიმართება. პარტიას ვთმობ“.

„სხვაგვარ პასუხს არც მოველოდი“, — მიმესმა ყურმილიდან გულანუყებელი ხმა.

ნიკოლოზ დიმიტრის ძე პაიკებისა და ეტლების დაბოლოების უდიდესი სპეციალისტი გახლდათ. 1936 წელს პარიზში გამართულ პაიკების ეტიუდების შემდგენელთა კონკურსში მან ექვსი შესაძლებელიდან ხუთი პრიზი დაისაკუთრა. ბევრს მუშაობდა, როგორც წესი, დამით, როცა მეუდროება დაისადგურებდა. გარეგნულად ზოშინკის ჩამოგავდა. ლაპარაკობდა წყნარად და მალაფარდოვნად, მაგრამ, როცა, თავისეულ ანალიზს უჩვენებდა, ყოველთვის სამარისებური სიტყვები გამოვარდებოდა ხოლმე — მსმენელს

დასასრული. დასაწ. იხ. „ცისკარი, № 7.



ატყვევებდა მისი ნატიფი ჩანაფიქრის სიღრმე! იგი პოზიციის ანალიზს ზოგჯერ თავს არ ანებებდა გასეირნების დროსაც — ერთხელ სიცოცხლე შეინარჩუნა მხოლოდ იმის წყალობით, რომ ვაგონის მძღოლი მოხერხებულად გამოდგა: მან მოასწრო გრიგორიევისათვის ხელის ჩაგდება. გრიგორიევი დიდ როლს თამაშობდა საკლდე-რაკო ცხოვრებაში. ჯერ კიდევ 1925 წელს მოსკოვის საერთაშორისო ტურნირის ხელმძღვანელობდა. 1927 წელს ნემთან ერთად მოიპოვა ოსტატის წოდება, მაგრამ კარგახანს ათავალწუნებული ვყავდი, შესაძლოა, შეჯიბრებაში ილინ-ეჩენესკის მონაწილეობასთან დაკავშირებით ოლესაში მომხდარი კონფლიქტის გამო. გრიგორიევი კრილენკოს მარჯვენა ხელი გახლდათ: ნიკოლოზ ვასილის ძემ ერთად გაგვზავა სხვადასხვა კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან ანტიპოვთან (1935 წლის საერთაშორისო ტურნირთან დაკავშირებით) და კოსარევიან (1936 წლის ტურნირთან დაკავშირებით).

გრიგორიევი მატჩის შედეგის გამო უკმაყოფილებას ამკლავებდა არა მარტო იმიტომ, რომ ჩემს პარტნიორს მთელი ბრიგადა ეხმარებოდა. საბჭოთა მოჭადრაკეებს იმ დროისათვის უნდა ჰყოლოდათ თავიანთი ლიდერი, რომელთანაც დაკავშირებული იქნებოდა მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვების იმედი. მაგრამ გამოჩნდა ახალი ჩემპიონი — ლევენფიში და მდგომარეობა აირ-ღარიანი. ამ აზრით, მატჩის შედეგი მხოლოდ აუარესებდა ვითარებას.

ხოლო საკითხი იმის შესახებ, უნდა წარმოადგენდეს თუ არა ბოტვინიკი საბჭოთა ჰადრაკს საერთაშორისო სარბიულზე, არ იყო სასხვათაშორისო. საჰადრაკო ოლიმპიულ ბუნდოვანებას სუფევდა. კაბალანკა და ალიოზინი უკვე გასცდნენ თავიანთ ზენიტს, მსოფლიოს ჩემპიონის იგივეს ერთგვარი სექსპტიციზმით უყურებდნენ. ხოლო ახალგაზრდა თაობის (ფლორი, რეშესკი, ფაინი, კერესი) აქციები ამაღლდა. ამასობაში ალიოზინმა დაიბრუნა ჩემპიონის სახელი და ხელი მოაწერა შეთანხმებას ფლორთან მატჩის თაობაზე (მატჩს აფინანსებდა ფესსაცმელების წარმოების ცნობილი ჩეხოსლოვაკელი ფაბრიკანტი ბატა). მალე ნაცისტებმა დაიპყრეს ჩეხოსლოვაკია და კონტრაქტმა ძალა დაკარგა, გაურკვეველობა კი გრძელდებოდა.

1938 წლის შემოდგომაზე პოლანდიაში უნდა მოწოდებულიყო ორწრიანი შეჯიბრება მსოფლიოს რვა უძლიერეს მოჭადრაკეს შორის. მონაწილეებს მკაცრად არჩევდნენ — მიწვევა ვერ მიიღო ლასკერმაც კი, რომელიც წარუმატებლად გამოვიდა მოსკოვის 1936 წლის ტურნირსა და ნოტიანგეშში. ლევენფიში პრეტენზიას აცხადებდა, რომ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობა მისთვის დაეთმოთ. მაინც არ დაეთანხმნენ და საფუძვლიანადაც, რადგან ბოლო დროს იგი აღარ მონაწილეობდა შეჯიბრებებში...

ამრიგად, აერო-ტურნირში (აერო — პოპულარული პოლანდიური რადიო-კომპანია) სსრკავშირის წარმომადგენლობა მე მხვდა წილად. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე მსოფლიოს ჩემპიონი ალიოზინი, კაბალანკა, ეივე, კერესი, რეშესკი, ფაინი და ფლორა.

საზღვარგარეთ მეუღლესთან ერთად გავემგზავრე. წინ გვედო სახიფათო გზა ფაშისტური გერმანიის გავლით. გერმანელთა საზღვარზე გადასვლისას სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ვილაც ტიპი პასპორტებს ამოწმებდა და შტემშელს უსჯამდა. როცა ჩვენი ლიწითელი ფერის წიგნაკი დალანდა, აწრიალდა. თითქმის ყველაფერი მიაკავისკისებურად მოხდა. სამოქალაქო ტანსაცმლიანი ტიპი გაქრა. სერიოზული მომენტი გახლდათ: ექსპრესი დიდხანს ვერ მოიცილდა. მაგრამ ტიპი სწრაფად შემოიჭრა ვაგონში, პასპორტები მომაჩნა და უკანვე გავარდა. დანარჩენი მგზავრების პასპორტების გასინჯვა ვეღარც მოასწრო. მატარებელი დაიძრა. საღამოს 8 საათზე ბერლინში ჩავედით, სადგურის ბაქანზე დაგვხვდა სრულფლებიანი წარმომადგენელი მერკალაფი. საავტოო საქმეთა სახალხო კომისარიატს მისთვის უთხოვია შეეცყო, ხომ არაფერი გვიქირდა. დღის 7 საათზე ჩავედით ბრიუსელში, სადაც დაგვხვდა სრულფლებიანი წარმომადგენელი რუბინინი. მეორე დღეს კი ამსტერდამს ვეწვიეთ.

ამსტერდამი ახლაც კარგად გამოიყურება, მაგრამ მაშინ იგი გახლდა ერთად ტურფა ძველებური ქალაქი ველსიბედისტა უთვალავი რაოდენობით — ფეხით მოსიარულეებს თითქმის ვერ შეხვდებოდი (ახლა პოლანდიაში ველსიბედი პრაქტიკულად გაქრა, პოლანდიელები ავტომანქანებში გადასახდნენ!).

მაგრამ პოლანდა მარტოოდენ ველსიბედისტებით როდი შეგვეგება. იქ მაშინ (ახლაც ასევე) მოჭადრაკეებიც იყვნენ. 1935 წელს სკოლის მასწავლებელმა ეივემ მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა და ამან გადაწყვეტი როლი ითამაშა პოლანდიელთა შორის ჰადრაკის პოპულარიზაციაში.

ტურნირის დაწყების წინ ყველა მონაწილეს ხელწერილი ჩამოგვართვეს, რომ საესეებით ვენდობოდით აერო-კომპანიას შეჯიბრების ორგანიზაციის საქმეში — დაუფიქრებლად კი მოვიტყვიეთ. მთელი ქვეყანა შემოგვკარგეს. თამაშის წინ საღიოს მავიერ ორ საათს მატარებელში ეატარებდით. მშვიდები ვთამაშობდით და ხან-შიშესულმა მოჭადრაკეებმა კაბალანკამ და ალიოზინმა ვედარ გაუძლეს დაძაბულობას. ამსტერდამში დაბრუნებისას მატარებელში ვკვირებდნენ ბუტერბრადებს. ერთხელ ალიოზინს ისე მოშვიდა, რომ ყველა მუქლუგუნით მიგვი-

მიხიდილ გომბინიკი  
მატჩი, დროშილიც არ შეიშა

მოვეწიას და პირველმა დასტაცა ხელი თავის ულულუას...

მე ზოგჯერ მიმართლებდა, შემოამოვიღოდა ხოლმე ნიკოლოზ ივანეს ძე ელიზაროვი, „პურ-ექსპორტის“ მძღოლი. მაშინ ჰოლანდიასთან არ გვექონდა დიპლომატიური ურთიერთობა და „პურექსპორტის“ რამდენიმე თანამშრომელი ერთადერთი საბჭოთა კონტულად გამოიყურებოდა ჰოლანდიის ოკეანეში. რა თქმა უნდა, ისინი გულშემატკივრობდნენ. ნიკოლოზ ივანეს ძეს თავისი სტუდენტური ამსტერ-დამში საათით-საათნახევრით ადრე მივყავდი, ვიდრე იქ დაინახეხი მონაწილეები მოვილოდნენ.

7 ნოემბერს, პირველ ტურში, წავავე ფაინ-თან, რომელმაც ძლიერად ჩაატარა პარტია. შემდეგ მესამე, მეშვიდე და მეთერთმეტე ტურებში მოვეუბრე რეშევსკის, ალიოხინსა და კაპაბლანკას და წამოვეწიე ლიდერებს — ფაინსა და კერესს. მეთორმეტე ტურში თანაბარი პოზიცია მქონდა ეივესთან, მაგრამ მეტოქეს ხარისხი დავესვი და საბოლოოდ მესამე ადგილზე გამოვედი.

ერთი წლით ადრე ალიოხინმა ბრწყინვალედ მოუგო მატჩ-რევანში ეივეს. ნოტინგემის შემდეგ ალიოხინს სახე შეუშუბდა (ქვედა ხელაღმსხვილდა), ხანი დაეტყო, თოქოსა ჯელ-ჩაქნეულად გამოიყურებოდა (ღვინის სმას თავი მიანება, ავრო-ტურნირში მას თამაში გაუწენულდა).

ალიოხინთან ჩემი პარტია დებიუტის გათამაშებისას მეტოქის მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად მიღებული უპირატესობის ენდშპილში გეგმარომიერი გამოყენების მაგალითი იყო. პარტია მატერიალურად თანაბარ მდგომარეობაში გადაიღო, მაგრამ შავების პოზიცია უშიშოდ ჩანდა. ფლორს ნომერში მივაკითხე: მაგიდასთან ისხდნენ და ჩვეულებრივ ბანქოს თამაშობდნენ.

„მან ჯერ კიდევ არ დათმო პარტია?“ — თამაშის შეუწყვეტლივ მკითხა ფლორმა.

„ვისზე ლაპარაკობთ?“ — ასევე სასხვათა-შორისად დანტერესდა ტარტაკოვერი.

„რისა, ალიოხინს ერთად ცუდი მდგომარეობა აქვს“.

„თქვენ ხუმრობთ“, — თქვა ტარტაკოვერმა.

როგორც გაირკვა, სველ გრივოლის ძეს ვაზზე „ტელეგრაფში“ გაუფხავნია ბოტინიკ-ალიოხინის პარტიის დაწვრილებითი ანგარიში, რითაც მკითხველს ატყობინებდა, რომ ყაიშია მოსალოდნელი (მეტოქეებს ხომ პაიკების თანაბარი რაოდენობა ჰყავდათ!) საუბრის შემდეგ კი ტარტაკოვერმა დაუყოვნებლივ დარევა რედაქციამო და მას წაუკითხეს ანგარიში: „ყველა-ფერი კარგადაა, — თქვა მან, — არაფრის შეცვლა არაა საჭირო, მხოლოდ მიაწერეთ, რომ ღრთა შავები დანებდნენ“. ტარტაკოვერს საერთოდ არ უნახავს ეს პარტია, ასე რომ, ანგარი-

ში „მოქნილად“ იყო შედგენილი. ყველაფერს დასკვნა წყვეტდა!

დიღოსტატი ტარტაკოვერი დაიბადა დონის როსტოვში, მაგრამ რუსეთის ქვეშევრდომი არასოდეს ყოფილა. იმის მიუხედავად, რომ მთელი თავისი ცხოვრება ვაატარა ავსტრია-უნგრეთში, საფრანგეთსა და ინგლისში (იმის დროს დე გოლის არმიის იბრძოდა, როგორც ლეიტენანტი კარტიე), რუსულ ენას ფლობდა მთელი სიღრმით. მას პარიზში ბევრი მეგობარი ჰყავდა ემიგრანტთა შორის. თავდავიწყებით უყვარდა ჰადარაკო და ბანქოც: ყველაფერს, რასაც მოიხვეჭდა ჰადარაკის შემწეობით, ბანქოში აგებდა... ნიქიერი საჭადრაკო მწერალი გახლდათ. მისი წიგნის მიხედვით — „ულტრა-თანამედროვე საჭადრაკო პარტია“ ოციანი წლების საბჭოთა მოსწავლეები თამაშს ეუფლებოდნენ. მოსიყვარულე და კეთილი ჩასიათა ჰქონდა: 1946 წელს, როცა მეუღლესა და ოთხი წლის ოლიასთან ერთად აჩქარებით დავტოვეთ გრონინგენი (იქ მოეწყო პირველი ომის შემდეგ მომდროინდელი საერთაშორისო ტურნირი), სასტუმროში დავეჩინა გოგონას ბალიში. ჰავიდან ფრიპ-ოტელში ტარტაკოვერს დავურევე და მან ბალიში საზეიმოდ გადმოგვცა საბჭოთა საელჩოში მიღების დროს.

ალიოხინთან ჩემი გადადებული პარტიის დამთავრება მეორე რიგში იყო განსახდებული და, ამიტომაც, სასტუმროში დავჩინა. დამირეკა ფლორმა: „ალიოხინ თმობს პარტიას, თუ ჩაწერილია სვლა ეგნ...“. „გთხოვთ, ვადასტოვებ ალექსანდრე ალექსანდრეს ძეს: თუ იგი ვარაუდობს, რომ სუსტი სვლა ჩაიწერა, მაშინ ასეთი წინადადება არ უნდა მიმოცეს“...

1933 წელს ამგვარივე წინადადება ლევინ-ფიშისაგან მივიღე. ხუთი წლის მანძილზე უფრო გამოცდილი ვავხედი. საკითხის ასეთი დამა არაა ეთიკური, რადგანაც მეტოქეს შესაძლებელია ჩაწერილი ჰქონდეს სხვა სვლა და მაშინ ეს წინადადება აღმოჩნდება დაზვერვა და მართოდენ დაზვერვა (ასეთ არასახარბიელო მდგომარეობაში მე თვითონ აღმოჩნდები ნოტინგემში, ლასკერთან გადადებული პარტიის დამთავრების წინ!)

გადადებული პარტიის დამთავრება შედგა. თუმცა სხვა სვლა მქონდა ჩაწერილი, ბრძოლა დიდხანს არ ვაგრძელებულა.

კაპაბლანკასთან პარტია სულ სხვაგვარად წარიმართა. ჩემმა მეტოქემ ნიმიოვიზის დაცვაში გამაწვავა ვითარება და დაისვა კითხვა: ვის აქტივობას მოჰყვება რეალური სარგებლობა, — შავებისას — ლაზიერის ფლანგზე, თუ თეთრებისას — ენტრასა და მეფის ფლანგზე? ინიციაციის შენარჩუნების მიზნით პაიკი შევწერი. შემდეგ მივაგენი ვფექტურ კომპინაციას ორი ფიგურის შეწირვით. მოსაგები პოზიცია მივიღე. ვზივარ და ვცდილობ მოგვეფერო

სკლების ყველაზე ზუსტი თანმიმდევრობა. კაპაბლანკა გარეგნულად ინარჩუნებს წონასწორობას, სტენაზე დასერილობს. მასთან ეივე მივიდა: „როგორაა საქმე?“ კაპა ზელების გამოკეთილი მოქრობით უჩვენებს: ან ყველაფერი, ან არაფერი. იგი ამყარად იმედოვნებდა, რომ მე თვალყურის გადავხედი ამ საუბარს. გენიალურმა პრაქტიკოსმა უკანასკნელი ფსიქოლოგიური შანსით ისარგებლა: ცდილობდა ჩავიხსენებინა დაღლილი მეტოქისათვის, რომ პოზიცია ნათელი არაა, იქნებ აღვლევდის გამო მან შემთხვევითი შეცდომა დაუშვას? მართლაც ვერძნობ დაძაბულობას, ძალები მელევა. აი, დასვენითი სკლებიც (კაპა დაუყოვნებლივ მპასუხობს — მე ხომ უნდა მჭეროდეს, რომ პარტნიორი დაწმუნებულია პარტიის კეთილად დასრულებას), მაგრამ მეტი ქიშის გამოცხადება აღარ ძალუძს და შევები სათის აჩერებენ. მაყურებელი ტაშს უკრავს — ერთობ გამონაკლისი შემთხვევაა, დარბაზში მსხდომნი ჩვეულებრივ მხოლოდ ეივეს უკრავდნენ ტაშს. თერაპიტი წლის შემდეგ, ოლიმპიადის დროს, ამსტერდამის ერთ-ერთ საკონცერტოს მეპატრონემ (მოჰადრაქემ) ვიტრინაში გამოაფინა ტორტი, რომელზეც ზუსტად იყო გამოსახული პოზიცია ამ პარტიიდან.

ბარბაცით წამოვდექი სკამიდან. ყველაფერი უკვე დაკეტილია, მაგრამ მეუღლე ახერხებს მეზღვეტსავე იყოღოს ლორიანი ბუტერბროდი. ხარბად შევექეცი და სული მოვიტევი.

მეორე დღეს ჩემმა მეუღლემ ქალბატონ კაპალანკასთან ერთად იმგზავრა ავტომობილით. „კაპა, — თქვა ოღლამ რუსულად, — ძალზე დაღონდა, როცა კერესთან წააგო. გუშინდელ პარტიას კი სხვაგვარად აფხებეს. მან თქვა, რომ ეს იყო „გონებთა კილი“, კაპას მოვება სურდა...“

ტურნირი დამთავრდა. ყველას გაგვასწრეს ფაინმა და კერესმა. ორგანიზატორებმა (კოედიციენტების ცხრილის მიხედვით) გამარჯვებულად კერესი გამოაცხადეს. ვადაწყვეტილების ფორმულა ასეთია: პრიზები თანაბარი იღენობით, მაგრამ გაიმარჯვა კერესმა!

აერო-ტურნირის უნდა დაესახელებინა გამარჯვებული. ჩერ კიდევ შეჯიბრების დაწყებამდე გამოცხადდა, რომ გამარჯვებული მოიპოვებდა ოლიმპიდან მატჩის უფლებას უპირატესობას. თუმცა ამას არაფერი მოჰყვა: ტურნირის გახსნის დროს გერმანულ ენაზე გამოვიდა მსოფლიოს ჩემპიონი (ილიოხინი გერმანულად მშვენივრად ლაპარაკობდა, ბევრმობიდანვე სწავლობდა ამ ენას. ფრანგულზე კარგად ფლობდა. მოგვიანებით ინგლისურიც ისწავლა და თავის ბოლოდროინდელ წიგნებს პირდაპირ ინგლისურ ენაზე წერდა) და მკვეთრი, ფელდებელური უქმეზობით წაიკითხა განცხადება, რომლითაც აბათილებდა ტურნი-

რის ორგანიზატორთა მიძიებლობას მძიებლობას შედენტის შერჩევაზე ზეგავლენის მოპოვების შესახებ. მან განაცხადა, რომ ვითამაშებ ნებისმიერ ცნობილ დიდოსტატთან, ვინც საპროზო ფონდს უზრუნველყოფს.

ეს საგანგებოდ დაემიხსოვრე: სწორედ ახლა უნდა ვადაწყვიტა — გამომეწვია თუ არა ჩემპიონი მატჩში. ვინ იცის, კიდევ როდის შევხვდებოდი ალიოხინს. მატჩის შესახებ მთავრობის წინაშე საკითხის დასმას კი აუცილებლად სჭირდებოდა: 1. ალიოხინის პრინციპული თანხმობა 2. ჩემპიონის პირობები. რა მექნა?

ჩრევა ვკითხე ამხ. მიტრევეს, „პურქსპორტის“ მმართველის მოადგილეს (მმართველი ამხ. ნესტეროვი იმხანად მოსკოვში, შებუტლებამი იმყოფებოდა), სრული მხარდაკერა ვკოე. გამიმართლა — ბოლო ტურის წინ ამსტერდამში ჩამოვიდნენ ბელგიაში ჩვენი სრულფლებიანი წარმომადგენელი ვევენი ვლადიმერის ძე რუბინინი და მისი მეუღლე ოღლა ბავლეს ასული. ერთად ვისადილეო ამსტელ-ოტელში. კვირადლე იყო — კვირაობით (იმავე ფასად) გაძლიერებული კვება ვქვონდა. საერთოდ, სასტუმროში არსად და არასდროს არ მისადილეო ისე გემრიელად, როგორც ამსტელ-ოტელში. ერთელ (კვირას), როცა სადილს ვამთავრებდით, მეზობელ მაგიდასთან მქდომი მოხუცი ინგლისელი ქალის „ხითხითი“ შემოკვესმა. ჩემს მეუღლეს საცილი აუვარდა, მაგრამ თავი შეიკავა, შემდეგ მე ამიტყადა სიცილი (რა თქმა უნდა, ერთობ დანაყრების გამო). როგორც უნდა, სიცილი შეიკავე, მაგრამ ახლა კვლავ მეუღლე ახითხითდა. საქმე ცუდდადა — მეუღლეს ვანაშენე, რომ ვასულოყო. ჩვენი განწყობილება ახალგაზრდა ოფიციანტსაც გადალეო. დასაყოლებელი მოაქვს და სიცილისავე იფულება. როგორც კი მეუღლე დარბაზიდან გავიდა, მეც დაემშვიდდი. „გმაღლობთ, მეტისმეტად ბევრია“, — ვეუბნები ოფიციანტს და დარბაისლურად ვტოვებ რესტორანს...

სწორედ ამგვარ სადილს შევექეოდიოთ რუბინინთან ერთად. ვევენი ვლადიმერის ძე მაშინ 44 წლისა იყო, დინჯად ექირა თავი. ახლა ოთხმოცს მიაბლოებულია, მაგრამ ნირი ძველებური აქვს (საწყალი ოღლა ბავლეს ასული დაიღუპა 1942 წელს, სოფელში ვაჩენილა ხანძრის დროს). ვევენი ვლადიმერის ძე — მრავალმხრივ ვანათლებული პიროვნება, ამსტერდამში ინტერესით ეცნობოდა მისთვის ახალ საქადრაყო სამყაროს!

რუბინინს ვითარება ავუსხენი, ვადამწყვეტა სიტყვა მას ეუთონოდა. მაშინ ამსტერდამში ჩემთვის იგი წარმოდგენდა საბჭოთა ხელისუფლებას. სრულფლებიანი წარმომადგე-

მიხილ გოტმინიკი  
მატჩი, რეჟიმლიც არ შედბა



ნელმა ლოცვა-კურთხევა არ მომიკლო (იგი თვალს აღევნებდა ბოლო ტურში ალიოხინთან ჩემს შეხვედრას და მოეწონა საკუთარი ძალუბისადმი ჩემი რწმენა).

ტურნირის დასრულის დროს ალექსანდრე ალექსანდრეს ძესთან მივედი და აღუდენია ვთხოვე. ალიოხინი ყველაფერს სწრაფად მიხვდა, თვალში მისხარულის სხივი ჩაუდგა. მას ესმოდა, რომ საბჭოთა მოჭადრაკესთან მსოფლიოს პირველობაზე მატჩის გამართვა სამშობლოსთან შერიგების ყველაზე მარტივი და, შეისაძლოა, ერთადერთი გზაც იყო. „ხეალ კარლ-ტონ-ოტელში (ალიოხინი განცალკევებით ცხოვრობდა, რათა კაპაბლანკას არ შეხვედროდა, ისინი ერთმანეთს მტრობდნენ), 16 საათზე“...

ფლორის ვთხოვე წამომყოლოდა, მპირდებოდა ავტორიტეტული მოწმე — ალიოხინი ხომ დაეკავშირებულა იყო თეთრ ემიგრანტებთან? სიფრთხილედ მპირდებდა.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ნოტინგემის ტურნირიდან მოყოლებული გულითადად მეპყრობოდა. მოჭადრაკე ალიოხინი გრძნობდა ჩემს აღფრთოვანებას — ეს მას ანიარაღებდა: ამსტერდამის ტურნირის დაწყების წინ, როგორც კი ვნახე, მაშინვე დამიწყო საუბარი ახალ ვარსკვლავზე — სმისლოვზე (ალიოხინმა ამაოვა შედღობა სმისლოვის მიერ გამოქვეყნებულ ერთ ანალიზში). ახლაც ირრევს გულდასრულად შეგვხვდა (აღრე ხომ ფლორთან აპირებდა მატჩის თამაშს. ფლორს, რა თქმა უნდა, გული სწყდებოდა, რომ ახლა მატჩის შესახებ ის კი არა, არამედ სხვა აწარმოებდა მოლაპარაკებას, მაგრამ ვარგულად არათერს იმწინედ).

ფინჯან ჩაიზე (ფლორის გასაკვირად, საფასური ჩემპიონმა გადაიხადა. ფლორი მაფრთხილებდა, ალიოხინი ძუნწიაო...) პირობები სწრაფად შევთანხმეთ: თუ მატჩი მოსკოვში გამართება, მაშინ მის დაწყებამდე სამი თვით აღრე ჩემპიონს მიწვეული უნდა იქნეს რომელიმე ტურნირზე (მოსკოვის პირობების შესაგუებლად). ალიოხინი თანახმა იყო მატჩი გვეთამაშა სხვა ქვეყანაშიც (ოდონდ ჰოლანდიაში არა!) — შეკიბრების ადგილის ამორჩევა მე მომანდა. საპირზო ფონდი განისაზღვრა 10 000 დოლარით (არც ისე ბევრით — შემოდლო გამეწვია პრიზის ჩემი ნაწილის ეკონომია, მე ხომ ფული არ მინდოდა).

„თქვენ რამდენი უნდა მიიღოთ?“ — ვკითხე ალიოხინს.

„მოკაბის შემთხვევაში — ორი მესამედი“.  
ეს რამდენადმე აძნელებდა ამოცანას. უკეთესი იქნებოდა დაესახელებინა მტკიცედ თანხა, მატჩის შედეგის მიუხედავად.

„ესე იგი, 6 700 დოლარი?“  
„ჰო, რასაკვირველია“.

„ეს თანხა საკამარისი იქნება მატჩის სხვა შედეგით დამთავრების შემთხვევაშიც?“

ალიოხინმა გაიცინა და თავი დამიქნა.

შევთანხმდით: თუ საკითხი დადებითად გადაწყდებოდა, ფორმალურ გამოწვევას ვაუგზავნიდი მის მიერ მოცემული მისამართით სამხრეთ ამერიკაში (ალიოხინი სადღაც ტრინიდადში აპირებდა მიწის ნაკვეთის ყიდვას). როცა ყველა საკითხზე შევთანხმდებოდით, მატჩის შესახებ ცნობა გამოქვეყნდებოდა მოსკოვში. მანამდე ყველაფერი მკაცრი საიდუმლოებით უნდა დავცვიკვა. მაგრამ ჩამოვართვით ხელი ერთმანეთს და დავცილდით, რომ შემდგომში... აღარასოდეს შევხვედროდით.

ტურნირის შემდეგ მოეწყო ჰადრაკის ისტორიაში უნიკალური მონაწილეთა თათბირი. დარბაზში ერთდროულად შევიდი მონაწილე იმყოფებოდა (ალიოხინი და კაპაბლანკა მორიგებით შემოდოდნენ). განვიხილეთ საკითხი „რევა უძლიერესის კლუბის“ დაარსების შესახებ. კლუბს უნდა დემტკიცებია მსოფლიოს პირველობაზე მატჩების ჩატარების წესები. ალიოხინი დათანხმდა საპირზო ფონდის 10.000 დოლარით განსაზღვრას ერთი გამოწვევით: კაპაბლანკას უნდა შეეგროვებინა 18.000 დოლარი (ესე იგი, ოქროთი 10.000 დოლარი — ასეთივე პირობით მოეწყო მათი მატჩი 1927 წელს)... კლუბის ყველა წევრი იღებდა მსოფლიოს ჩემპიონის გამოწვევის ფორმალურ უფლებას. თანხა და ეივს დაევალით მოემზადებინათ და დაეგზავნათ წესების პროექტი (არავის არ წამოუყენებია წინადადება ამ საკითხის გადაწყვეტაში ფიდეს ჩარევის შესახებ).

უკან ვრძელი ვზით დავბრუნდით — ბელჯის გავლით, სკანდინავიაში გემით ჩავედით, იქილან სტოკჰოლმში — მატარებლით, შემდეგ გავიარეთ ბოტნიის ყურე, ფინეთი და ლენინგრადში ჩამოვედით.

მოსკოვში გავემგზავრე და მივლინების შესახებ წერილობით მოვახსენე აგრეთვე ვ. მ. მოლოტოვს.

ლენინგრადში დავბრუნდი და, ახალი წლის შემდეგ, მძიმედ ვავხდი ავად. სტომატოტი მქონდა, ტემპერატურამ ორმოცს გადააჭარბა. ზარის ხმა გაისმა და ოთახში შეიკრიკე შემოვიდა: „მიიღეთ მთავრობის დეპეშა“.

„თუ გადაწყვეტთ მოჭადრაკე ალიოხინის მატჩში გამოწვევას, სრულ წარმატებას გისურვებთ. დანარჩენის უზრუნველყოფა იოლია. მოლოტოვი“.

მხოლოდ ორი-სამი წლის შემდეგ, როცა ეს ეპიზოდი გამახსენდა, დეპეშის ტექსტი შემთხვევით კავკასიური აქცენტით წავეყიეთ და მივხვდი, რომ იგი უეჭველად სტალინის მიერ იქნებოდა ნაკარნახევი. მისი სტილი შევიცანი: განსაკუთრებით დამახასიათებელია „გისურვებთ“ (და არა გისურვებ) და „უზრუნველყოფა იოლია!“

თითქოსდა საკითხი გადაწყდა. სინამდვილეში კი, ყველაფერი ასე იოლი როლი გამოვიდა... ადამიანთა შორის შემდეგ, მრავალი მიზეზის გამო, მოსკოვის მივამურე: უნდა წარმდგარიყავი ფიზკულტურის კომიტეტის ახალი თავმჯდომარის სნეგოვის წინაშე, შემეთანხმებინა მატჩში ფორმალური გამოწვევის ტექსტი, დამერწმუნებინა კომიტეტი, სსრ კავშირის ჩემპიონატი კიევის ნაცვლად ლენინგრადში ჩატარებინათ (კვლავ ექიმების შეთავაზურობის ქვეშ გახლდით) და ა. შ.

სკატერტინზე ჰადრაციის განყოფილების გამგესთან ვ. სნევიროვთან სასაუბროდ გამოვეცხადე:

„რას იტყვი იმაზე, რომ წამოვაცენოთ ლოზუნგი — დავეწიოთ ბოტინიეს?“ ეს რაღაც ახლებურად ჟღერდა. აქამდე მიმანდა, რომ საბჭოთა კავშირისათვის უნდა მომპოვებინა მსოფლიოს ჩემპიონობა. ახლა კი ჩანდა, რომ 27 წლის დიდოსტატს სხვა მიზნისაკენ მისწრდება უნდა ჰქონოდა — არ ეთამაშა თავის ამხანაგებზე უფრო ძლიერად! სნევიროვმა ყურადღებით მომისმინა... შემდეგ სნეგოვს ვესაუბრე — პირველად ვიგრძენი, რომ არ ძალმიძს საერთო ენა გამოენახო პირველებსთან, რომელზეც დამოკიდებულია ჩემი საქადრაციო საქმიანობა. სინამდვილეში არაკეთილმოსურნე შენიშვნები ცუდი. მაინც რომ თვის შემდეგ ჩემს მიერ მიწერილი წერილი კომიტეტმა ალიოხინს გაუგზავნა. ამავე დროს გამოცხადდა, რომ ჩემპიონატი ლენინგრადში გაიმართებოდა.

ეს იყო პირველი მერცხალი, რომელმაც გვამცნო, რომ ალიოხინთან ჩემი მატჩის მოწყობა წინააღმდეგობას ხვდებოდა. იგი ხან სუსტდებოდა და ხან ძლიერდებოდა, მაგრამ შეიღწეულს გაგრძელებდა, თვით მსოფლიოს ჩემპიონის სიკვდილმდე. მაშინ ვერ გავერკვიე, რით იყო გამოწვეული ეს, თუმცა მტკიცედ მივუყვებოდი დინების საპირისპიროდ. ახლა ვთქვარ, რომ საქმის არსებას განსაზღვრავდა ჩვეულებრივი ადამიანური გრძობა — შური. რას იზამ, ამას ვერსად გაუქცევი. ერთის მხრივ, წამყვანი საბჭოთა ოსტატები ოცნებობდნენ, რომ მსოფლიოს ჩემპიონობა საბჭოთა კავშირს მოეპოვებინა. მეორეს მხრივ, ბევრი მათგანი თვითონ იმედოვნებდა სახელი გაეთქვა საბჭოთა კავშირისათვის. ზოგი კი ასეც თვლიდა: თუ მე არ ვიქნები, მაშინ ჯობს, არავინ არ იყოსო...

რა თქმა უნდა, შესაძლოა ბევრი ილაპარაკო იმის შესახებ, რომ ეს ცუდია, მაგრამ ასე იყო, საუბრებელია — ახლაც ასეა და რამდენიმე ხანს კვლავ გასტანს! ბუნებრივია, არც ერთი მათგანი თავის მოსაზრებას პირდაპირ არ გამოთქვამდა. არა, ისინი მსჯელობდნენ იმის თაობაზე, რომ ბოტინიევი სუსტია, წააგებს მატჩს ალიოხინთან (ე. ი. ვერ ასახელებს საბჭოთა საქადრაციო სკოლასო). ანდა იმაზე,

რომ საბჭოთა მოჭადრაციის უფლება არა აქვს საჭადრაციო დაუსთან შეხედეს ალიოხინსო. უფრო მეტიც, საბჭოთა მოჭადრაციები (პირველ ყოვლისა ბოტინიევი) უნდა გამოვიდნენ ალიოხინის წინააღმდეგ და მოითხოვონ მისთვის ჩემპიონის წოდების ჩამორთმევა და ა. შ. რა თქმა უნდა, ეს ოსტატები ასე იქცეოდნენ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ისე კი ამჯობინებდნენ ზურგს უკან ამოფარებოდნენ თავიანთ მეგობრებს, რომელთაც სავსებით განსხვავებული საზოგადოებრივი მდგომარეობა ექირათ.

თვით კრილენკოც ამდენად ამავე მერყობას. 1931 წელი, სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინიში. პოლიტექნიკური მუზეუმის ფოიე პირთამდე სასვს; ყველას სურს უშუალოდ იხილოს ბოტინიევი-ბოტინის შეხედრა (აქამდე უკვე მოვასწარი ორი პარტიის წაგება და ოდღერს ნახევარი ქულით ჩამოვრჩებოდი. რიუმინი კი დაუმარცხებლად მიდიოდა). დებიუტში უპირატესობა მოვიპოვე. რიუმინმა ინიციატივის დასაუფლებლად პაიკი შემწირა. ცაიტნოტში უზუსტობდ ვითამაშე, მაგრამ შაგებმა კვლავ შეცდომა დაუშვეს და პარტნიორმა საათი გააჩერა. „როგორი ცაიტნოტი იყო“, — მომესმა ნაცნობი ხმა. ჩვენი თვლები ერთმანეთს შეხვდნენ — ნიკოლოზ ვასილის ძემ ზურგი შემაქცია და წავიდა.

1936 წელი, სვეტებთან დარბაზის სცენის უკან მდებარე ოთახი, საერთაშორისო ტურნირის ფინიში. ათი წუთის შემდეგ დაიწყება ჩემი პარტია რაგოზინთან: კვლავ მაქვს ლიდერის — კაბალანკას დაწვევის ერთგვარი იმედი. მარიგებენ ყაიშს დავეჩერდე, რათა რაგოზინმა უფრო მაღალი ადგილი დაიკავოს სატურნირის ცხრილში (სლავამ ამის შესახებ, რა თქმა უნდა, არაფერი იცოდა). კრილენკო ჩემს შეტეგებულ კითხვაზე მხოლოდ მხრებს იჩენს (მაშინვე მივმართე კოსარეკს. აღექსანდრე ვასილის ძემ მომისმინა და მიბრძანა: „მოიგე, მიხეილ“ — იგი უყოველთვის ჩემს მხარეზე იყო).

თუ კრილენკო ზოგჯერ ექვობდა ვისთვის დავჭირა მხარი, მაშინ რაღა მეტქმის სხვებზე? იმზე ეს გაელენას არ ახდენდა, მხოლოდ ეს იყო, ზოგჯერ ყურადღების გადატანა მიხდებოდა წვრილმანზე. დასახული მიზნისაკენ კი ჭიქურ მივიწვივდი.

1939 წელს ლენინგრადში ჩატარდა სსრ კავშირის ჩემპიონატი. ფავორიტები, მათ შორის ლევენფიშიცი, სუსტ ფორმაში აღმოჩნდნენ. მაგრამ თავი გამოიჩინა ახალბედა საშა კოტოვმა. მხოლოდ ბოლო ტურში, კოტოვთან მოგების წყალობით, ექვსი წლის შესვენების შემდეგ

**მიხეილ ბოტინიევი**  
მატჩი, რომელიც არ შედბა

მოვიპოვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება. ალიოხინთან მოლაპარაკების წარმოებისას ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო!

მაგრამ ტურნირის მთავარი შედეგი ეს როდი გახლდათ.

1933 წლიდან ვამუშავებდი შეჯიბრებისათვის მზადების მეთოდს, ვეძებდი ტურნირის დროს მოქალაქის ოპტიმალურ რეჟიმს. მგონი, სწორედ 1939 წლის ჩემპიონატის დროს შეჯამდა ამ მუშაობის პირველი შედეგები. სატურნირო კრებულში გამოქვეყნდა სტატია „შეჯიბრებისათვის მზადების ჩემი მეთოდის შესახებ. სატურნირო რეჟიმი“, სადაც საუბარი ეხებოდა სადებიუტო სისტემებს, ენდშპილს, მეტრის შემოქმედლებით და სპორტული სახის შესწავლას, პარტიის მიმდინარეობისას დროის განაწილებას, დაუმთავრებელი პარტიის ანალიზს და ა. შ. ეს საკითხები ყოველმხრივ შესწავლილი და განხილული მქონდა. ამ მეთოდის არსება, ის, რაც განასხვავებს მას ადრე ცნობილი საგან, მდგომარეობს სადებიუტო სისტემების მომზადების ხასიათში. სადებიუტო სიხლეების მნიშვნელობა ადრევე იყო ცნობილი. ჩვეულებრივ, იგი ესმოდათ როგორც რამე ტრიაკი ან პოზიციური პოლოდნელობა... ამგვარი სიხლე ერთი პარტიისათვის გამოდგება, როგორც კი იგი ცნობილი გახდება, ფასსაც კარგავს: „ყველაზე გენიალური სელაქ კი არ შეიძლება განმეორდეს შემდეგ ნათამაშევი პარტიის მოცემულ სიტუაციაში“, — წერდა მაიაკოვსკი, როცა იგი ხელს ადარებდა რითმას.

მე შევიძლია შემეშუშებინა მეთოდი, რომლის მიხედვითაც შენიღბული „სადებიუტო სიხლე“ მოგვიანებით თავს იჩენდა მიტელ-შპილში. მას არ ჰქონდა „გაბათილება“ — ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. მხოლოდ დიდი სამუშაოს შესრულების, შებლონური პოზიციური წარმოდგენების დაძლევის, პრაქტიკულ ბრძოლაში კონტრიდეების შემოწმების შემდეგ შეიძლებოდა ჰეშმარტების დაღვენა და, ამასთან ერთად, ნამდვილი გაბათილება. ამიტომაც ჩემი სისტემები ტურნირიდან ტურნირამდე, წლების განმავლობაში ცოცხლობდნენ და თავიანთი გამომგონებლისათვის წარმატება მოჰქონდათ. ზოგჯერ ისინი მრავალი წლის განმავლობაში რეზერვად რჩებოდნენ, იმ მომენტის მოლოდინში, რომ მათთან, ბოლოს და ბოლოს, სხვები მივიდოდნენ და შესაძლებელი გახდებოდა მათი პრაქტიკული გამოყენება — მაშინ ამ სისტემების მოშველიებით შეიძლებოდა, იმ პარტნიორების შემუსვრა, რომელთაც არ ჰქონდათ საკმაო მომზადება. შემთხვევითი არაა, რომ, როცა მომზადების ეს სისტემა მომწვიფდა (მისი გამოქვეყნება პირდაპირ ზარალს ვერ მიაყენებდა მის ავტორს, რადგანაც ამ სისტემით სარგებლობა ძალუქს მხოლოდ მას, ვისაც აქვს მკვლევარის ტილანტი და არ გაუბრბის შრომას),

1941-1948 წლების პერიოდში, ზედღებულ ვიდეო-მარჯვე რვა შეჯიბრებაში, რომლებშიც ეთამაშე 137 პარტია და მოვაგროვე 104,5 ქულა (76,3 პროცენტი)! რა თქმა უნდა, ჩემთვის ეს იყო საქალაქო შემოქმედების ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი (30-37 წლისა გხვლით). მაგრამ არ შეიძლება ყველაფერი ასაკით აფხინათ... ასაკმა შექმნა აუცილებელი, ხოლო მომზადების სისტემამ — საკმარისი პირობები.

მეივგენი შემოქმედებით მეთოდს, რომელმაც საშუალება მომცა მეტოცედი იმიეღლა დასახულო მიზნისათვის — მომეზოიებინა მოსოფლის ჩემპიონობა. მართო მე როდი დავიწყე უკოფო-სად თამაში. ზოგმა დიდოსტატმა (ბოლესლაესკო, გელერი და სხვები) დაიწყო ამ სისტემით სარგებლობა, ხოლო ძირითადი ჭვეფი იღებდა აუცილებელ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სადებიუტო თეორიის რომელი მიმართულებით იყო საჭირო მუშაობა... 1940-1960 წლების პერიოდში საბჭოთა ქალაქმა თვისებრივი ნახტომი გააყეთა და, გარკვეული აზრით (როგორც მე მგონია), ეს დაკვეშირებული იყო მომზადების სისტემასთან. 1939 წლის ჩემპიონატში მე გამოვიყენე გრიუნფელდის, ფრანგული, ნიმცო-ვიჩის დაძევების მომზადებული ვარიანტები და მოვიგე მნიშვნელოვანი შეხვედრები, რამაც განაპირობა საერთო შედეგი.

1939 წლის ივლისში აგარაკ ლუგაში ვისევენებდი, სიმამრთან ვცხოვრობდი. უეცრად გამოჩნდა ვლადიმერ ნიკოლზის ძე სნეგირიოვის აწოწილი ფიგურა.

სნევირიოვი შეუხედავი გახლდათ სახითაც და მთელი გარეგნობითაც. იცვამდა არა იმდენად დარბიულად, რამდენადც უკოხტობდ. ჰქონდა შემუშუბული სახე, წერილი ფვალები, მოზარდლი ცხერი, თხელი და უფერული, გადაღუსილი თმა. მაგრამ იგი იყო ქალაქის ყველაზე დიდი ენთუზიასტი-ორგანიზატორი, რომელთანაც მე მქონია საქმე, პირადი ცხოვრება ამ კაცს, მგონი, არც გააჩნდა.

მოუხდენელი გარეგნობის უკან იმალებოდა ენერგიული, ჰკვიანი და მიზანმსწრაფი ადამიანი. იგი კარგად ერკვეოდა ადამიანებში, თვადან იშორებდა მოლაყებებსა და უსაქმურებს. მთელი თავისი საქმიანობით, თავმდაბლობით, ჰეშმარტა ენთუზიასმით უფროსების ნდობა და მოქალაქეთა პატივისცემა დაიმსახურა, მან დაამყარა სწორი დამოკიდებულება ფიქსტულტრის კომიტეტის ხელმძღვანელობასთან, სპორტში ქალაქის სრულუფლებიანი წარმომადგენელი გახლდათ — ენდობოდნენ, მხარს უჭერდნენ, ხელს არ უშლიდნენ... ილიაში ამოჩრილი სქელი პორტფელით, იგი დილიდან ვკინი საღამომდე კომიტეტში დაქროდა, თავის საქალაქო საქმეებს „აკვირახტინებდა“. ხანტერესოა, რომ მოსკოვის ერთ-ერთ სკოლაში სნევირიოვი მსოფლიოს ჩემპიონთან ვერა მენ-



ჩიკთან ერთად სწავლობდა (ეროვნებით ჩეხი მენჩიკი, თუმცა გარეგნობით ტაბორ რუს ქალს განსახიერებდა, საბჭოთა მოქალაქე არასოდეს ყოფილა. 1926 წელს დედასთან და დასთან — ასევე ცნობილი მოქალაქე ოლღასთან ერთად პრღლაში მამასთან გაემგზავრა, შემდეგ კი ინგლისში — ბეზისთან. ლონდონში ვერას უნგრელი დიდოსტატი მაროცი ამეცადინებდა, რამაც ვადამწვეტი ვავლენა იქონია მის საქალაქო განვითარებაზე. 1935 წლის იანვარში პასტივანში სტუმრად ვეწვიე ვერას ბებიას, ხოლო 1936 წლის სექტემბერში მეუღლესთან ერთად მენჩიკების ოჯახი ლონდონში ვინახულვინახინი საბჭოთა საელჩოს ახლოს ცხოვრობდნენ, კუინზ-როდის ქუჩაზე მდებარე სახლში, რომელიც ერთიანად ზანზარებდა მიწის ქვეშ მებტროის მატარებლების გაქროლებისას — ნაკლებ ქირას იხდიდნენ. ვერა და ოლა კერძო გავყვითილებს ატარებდნენ ჭადრაკსა და ბანქოში და თავს ამით ირჩენდნენ. 1944 წელს ყველა მათგანი გერმანელთა მიერ ჩამოვადებული ბომბის აფეთქების შედეგად დაიღუპა).

ალიოზინს პასუხი გამოუგზავნია და ამიტომ მომავალსა სნევიროვმა.

ჩენი მოლაპარაკების თანახმად, მსოფლიოს ჩემპიონმა მიიღო გამოწვევა და ყველა პირობა, გარდა ერთისა — ახლა იგი აღარ ვთანხმებოდა მთელი მატჩის მოსკოვში ჩატარებას. ალიოზინი მოითხოვდა, რომ მატჩის მეორე ნახევარი ლონდონში გამართულიყო.

ჩემპიონის საქციელი არ მომეწონა. ეს ვახლდათ ვენტლმენური შეთანხმების დარღვევა და, ამასთან ერთად, აძნელებდა მატჩის ორგანიზებას — მოლაპარაკება უნდა გვეწარმოებინა ბრიტანეთის საქალაქო ორგანიზაციასთან. თუმცა ეს უწყასკენელი ვარემბა ნაკლებ მიღელვებდა, რადგანაც ინგლისელები უარს არ იტყობდნენ, თუ საპრიზო ფონდი უზრუნველყოფილი იქნებოდა. ეს კია, ისევე მთავრობისათვის უნდა მიემართა... ალიოზინს ბარათი მიეწერე და თუმცა მოწინებით, მაგრამ მტკიცედ მოვითხოვე, რომ არ დავგვრდვია ამსტერდამში მიღებული შეთანხმება და მთელი მატჩი მოსკოვში ჩავგეტარებინა. სნევიროვი მაშინვე ლენინგრადში გაემგზავრა, რათა დილით ჩემი წინადადებების შესახებ მოსკოვში კომიტეტის ხელმძღვანელობისათვის მოეხსენებინა.

მაღე ვეროპაში ომი დაიწყო და მატჩის შესახებ მოლაპარაკების პირველი ეტაპი ამით დამთავრდა. ფორმალურად მას მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ დაუბრუნდით. მაგრამ არსებითად შესვენება არ მომხდარა — საკითხი მომავალი მატჩის შესახებ წითელ ზოლად ვასდევდა იმ წლების საბჭოთა საქალაქო ცხოვრებას.

1939 წლის ზაფხულში სახალხო კომისართა საბჭომ დამინიშნა სტიპენდია თვეში 1000 მანეთის ოდენობით — ვანსაკუთრებული აქტი

ყო. საფიქრებელია, რომ ეს სნევიროვი ოსონობით მოხდა. როგორც შემდგომ შევითქვეთ, თავმჯდომარის მოადგილეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ამ წინადადებას.

ვაღაწვევით ვაგაფუღიყავი მატჩების თამაშში — ფლორისა და ლევენციშის წინააღმდეგ ხომ არც თუ ისე დამაჯერებლად ვითამაშე. სლავა რაგოზინს შევეთანხმე და 1940 წლის ვანახულზე საწვრთნელი მატჩი ვაგმართეთ. ვასპარუზობლით იდეალურ პირობებში: კარგი რეჟიმი, სუფთა ჰაერი, სიწყნარე. შეჯიბრება იოლად ჩავატარე, თუმცა ორ პარტიაში ბეწვის ხილვე უკვიდე. შემდგომად მოსკოვში უნდა ვაპართუღიყო სსრ კავშირის ჩემპიონატი.

იგი ძნელი ტურნირი გამოდგა: მრავალი მონაწილე და მეორე დასასვენებელი დღეები. კონსერვატორიის დიდ დარბაზს ფრიად კარგი აუუსტია ჰქონდა, ხოლო თავგასული მაყურებელი ხმალურობდა, ტაშს უტარებდა. აუუსტრეა მხოლოდ აფუქებდა საქმეს. კერვის ვითრეთა გამარჯვებას ს. ს. პროკოფიევი მხურვალე ტაშისცემით შეეგება. მეზობელ ლოქაში მსხლმამა მაყურებლებმა მას შენიშვნა მისცეს. „უფლებმა მიქეს ვამოკბათო ჩემი გრძნობები“, — უპასუხა დიდმა კამპოზიტორმა. შეიძლებოდა გვეკითხა: პროკოფიევი ტრიოს მონაწილე რომ ყოფილიყო და ვიოლინოს პარტიის შესრულების შემდეგ მაყურებელს ტაშის ცემით ჩაეხშო მისი დაეკრა ფორტეპიანოზე, იგი კმაყოფილი დარჩებოდა? მოქალაქეები უარეს დღეში არიან — პიანისტ პროკოფიევის ტაშის ვარიალში შეეძლო სწორად ვერ დაეკრა, მოქალაქე კი მოკლებულია ამ უფლებას. ტურნირში ვამონდა ახალი სახელები: კერესი (ესტონეთი იმ დროს უკვე საბჭოთა რესპუბლიკა იყო), სმისლოვი, ბოლესლავსკი... რა თქმა უნდა, მთავარ ინტერესს იწვევდა კერესის მონაწილეობა. შეცვლილ ვითარებაში ვინ უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ალექსანდრე ალიოზინის წინააღმდეგ მსოფლიოს პირველობაზე მატჩში? ტურნირმა ვერ უპასუხა ამ კითხვას.

ათი ტურის შემდეგ მე ვლიდერობდი, მაგრამ შემდეგ ნერვებმა მიმტყუნეს, ვითარება ნაკლებ უწყობდა ხელს შემოქმედებითი ძალების მოკრებას — ასეთ პირობებში თავს უმწყოდ ვგრძნობდი. პირველი ორი ადგილი ბონდარევისკემ და ლილენტალმა ვაიყვეს, სმისლოვი მესამე იყო, კერესი — მეოთხე, მე და ბოლესლავსკიმ მეხუთე და მეექვსე ადგილები ვავიყავით. ვამოცხადდა, რომ ვამარჯვებულებს შორის ვამიართებოდა მატჩი სსრ კავშირის ჩემპიონის სახელისათვის. დეკემბრამდე ახლოსაც ვერ ვაგვიკარე საჭაოდყო ფიგურებს — იმდენად არა-

**მიხეილ ზოტკინიკი**  
**მატჩი, რომელიც არ შედგა**

სასიაშოვნო განცდებმა დამარჩა ტურნირისაგან, არაჯანსაღი ავითტაყისაგან (თითქოსდა სტადიონზე ვიშუფებოდით), ჰადრაციის შემოქმედებითი მხარისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებისაგან. დეკემბერში შევუღდეი ნიმცოვის დაღვის ერთი ვარიანტის გამოკვლევას და ვიგარქენი, რომ საქმე კარგად წავიდა. ამავ დროს სნეგირიოვს ვავუგზავნე წერილი, რომელშიც ერთგვარი ირონიულობით ვიხსენიებდი ჩემპიონატის შედეგებს, როცა ჩემპიონი ბონდარევისკი-ლილიენტალის მატჩს უნდა გამოევილინებინა.

სნეგირიოვი გამჭირაბი კაცი იყო (თვითონაც კარგად ესმოდა, რომ ამ მატჩს არავითარი შანსი არ ჰქონდა ალიოხინთან ბრძოლისათვის), ჩახვდა ჩემს ვადეარულ სიტყვას და, როგორც ყოველთვის, საქმეს ჩუმად და ენერგიულად მოჰკიდა ხელი. არ ვიცი როგორ მოახერხა ხელშეწყობის დარწმუნება, ამაზე არაფერი უთქვამს. მაგრამ ორი თვის შემდეგ გამოცხადდა „აბსოლუტური“ ჩემპიონის წოდების დაწესებისა და ჩემპიონატის ექვს გამარჯვებულს შორის ოთხ წრედ მატჩ-ტურნირის გამართვის შესახებ. ახრი, რომელიც სნეგირიოვმა ჩააქსოვა ცნება „აბსოლუტურში“, მისთვის ნათელი იყო: სწორედ სსრ კავშირის აბსოლუტურ ჩემპიონს უნდა ეთამაშა მატჩი ალიოხინთან.

ვეზადებოდი უკვე გამოქვეყნებული სისტემის მიხედვით, აგრეთვე ზოგიერთი სიახლის გათვალისწინებით. რამდენადაც ჩემპიონატის მიმდინარეობისას თამაშის ბოლისა და ხმაურისაგან ავი დღე დამაგრა, რადიოხინთან საჭერითელი პარტიების თამაშის დროს რადიომიმღები ჩართული გვექონდა. პარტიის დამთავრების შემდეგ ფანჯარას არ ვაღებდი და ბოლიან ოთახში მეძინა. ვცხოვრობდით პუშკინოში, საქალაქო კომიტეტის დასასვენებელ სახლში, ლიუცემის პარლამბი (აღრე იქ დაბინავებული იყო ცარსკოე სელოს კომენდანტი). დღისით თხილამურებით დავსეირნობდით, პარტიებს ვაანალიზებდით, ხოლო საღამოს ვეთამაშობდით. ზედმიწევნით კარგად მოვეზადე ფიზიკურად, ტენიკურად და მორალურად — თამაშიც მომწყურდა.

გადამწყვეტი ამბავი მოხდა პირველი წრის მესამე ტურში. კერესმა ნიმცოვის დაღვის საარისკო ვარიანტი გამოიყენა. ეს ვარიანტი უკვე გამოჩნდა ერთ-ერთ გამოქვეყნებულ პარტიაში, თანაც არასწორი შეფასებით. კერესი კი ამ შეფასებას დაეყრდნო. როგორც უკვე აღვნიშნე, მომზადება ამ დებიუტის გარჩევით დავიწყე და ვარიანტიც საკმაოდ ღრმად გვაანალიზე. პარტია ელვისებური საშამათო იერიშით დავამთავრე.

თამაშის დამთავრების შემდეგ სულის მოსათქმელად სტენის უკან გავიდი (ასპარეზობის

პირველი ნახევარი გაიმართა ლენინგრადში, თავრიდის სასახლეში). შემოვარდა სნეგირიოვი, ხელბეს იფშენტს, ირვლივ წრეს არტყამს და მეუბნება: „ემ, ემ (ასე მომმართავდა ყოველთვის, როცა რაიმეს გამო აღვლებუდი იყო), თვითონ არ იცის, თვითონ არ იცით, რა გააკეთეთ...“ ეტყობა, როცა ვლადიმერ ნიკოლოზის ძე დაქვინებით მოითხოვდა მატჩ-ტურნირის მოწყობას, ჩემი წარმატების იმედი ჰქონდა და ახლა ზეიმობდა.

შემდეგ მოსკოვში გადავიდი და შეჩიბრება სვეტებიან დარბაზში ვაგრძელე. ლენინგრადშიც და მოსკოვშიც სნეგირიოვმა ბრწყინვალედ მოაწყო ტურნირი. მოსკოვში სიწყნარე მარტივად დაამყარა: შუა გასასვლელში დასეირნობდა წესრიგის დამცველი. ერთხელ უდისციპლინო მაყურებელი დარბაზიდან გაიყვანეს და დააჯარიმეს. ლენინგრადში, სადაც ყველა ადგილზე ინდივიდუალური ყურსაცემი იყო მოწყობილი, მაყურებელს განუწყვეტილვ ერთობდა ლევენფიში, რომელიც კომენტარს უკეთებდა ორთაბრძოლების მსვლელობას. ამიტომაც დარბაზში ჩამიჩიმი არ ისმოდა!

მე მოვივე ყველა მატჩი, მათ შორის ჩემთვის ძნელ მეტოქეებთანაც — ბონდარევისკისთან და ლილიენტალთან. მეორე ადგილზე გამოვიდა კერესი, რომელიც 2,5 ქულით ჩამოშრჩა. მესამე ადგილი სმისლოვმა დაისაკუთრა. ყველაფერი ნათელი ვახდა, რადგანაც ალიოხინთან მატჩს საბჭოთა კავშირიდან მხოლოდ აბსოლუტური ჩემპიონი ითამაშებდა.

ორი თვის შემდეგ ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს და საქადრაციო საქმეები შორი დროით გადაიდო...

ობი, სამედიცინო კომისიაზე მიწვევენ და თვით ბილეთს მაძლევენ — მხედველობა გამოიურსდა. მაგრამ რა ვქნა? ინსტიტუტში არადავებებია. ამას გარდა, უხერხულიცაა სამოქალაქო საქმეებით დაკავება. ჩემს ამხანაგს ვეხმარები ბომბსახიზნისათვის საპაერო ელექტროფილტრის შექმნაში.

მეუღლეს შინ ახალი ამბავი მოაქვს: კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი მოლოტოვში (პერმში) გადააქეთ. „წავიდიეთ, — ამბობს იგი, — შენ ხომ არმიაში არ გაგვიწვევენ... იმუშავებ ინიერნალ, თავდაცვას მოემსახურებე“.

ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი უქმყოფილოა. „მიშა, — მეუბნება იამა რუზინი, — შენი ვაგზავნა გვიწოდდა გამანადგურებელ ბატალიონში. მაგრამ რაიკოში წავიდიეთ“.

ვიბორგის რაიკომის მდივანმა ამხ. კედროვმა მოგვისმინა: „ამხანაგო ბოტეინიკო, თქვენ ისევ გამოადგებით საბჭოთა ხალხს, როგორც მოქალაქე. გაემგზავრეთ“.



ავტომანქანა არმიას ჩავაბარე. იგი სრულ წეს-  
რივში გახლათ, თუმცა გვარიანად წაიმუშავა:  
მასზე ახა ერთი ავტომოყვარული გაიწაფა.  
ოთხი თვის წინათ ახალდაბადებულ ვიჩიკე  
რავოზინი ამ მანქანით სამშობიარო სახლიდან  
ბინაში გადაბარგდა.

ვეთთბბრები ღედას, რა ვუყოთ ოქროს? მა-  
მამ რევოლუციის წინ, ყველა კბილის ტექნი-  
კოსის მსგავსად, ოქრო შეისყიდა. როცა ჩვენ-  
გან წავიდა, ოქრო ღედას დაუტოვა (ერთ კი-  
ლოგრამზე მეტი რაოდენობით). ასევე იღო იგი  
21 წლის მანძილზე ოთახის ძველებურ პირსა-  
ბანში. „ხ.მ არ დადგა მომენტი, რომ ოქრო  
თავდაცივის ფონდში ჩავრიცხოთ?“ — ვეკითხე-  
ბი ღედას. მან მამინევი დაწერა განცხადება,  
მავრამ ოქროს ჩაბარების დრო აღარ გვერნდა.  
განცხადება ძმას დაუტოვე. იგი ლენინგრადში  
დარჩა, გამანადგურებელ ბატალიონში ჩარიც-  
ხეს. მოლოტოვში მივიღე ძმის წერილი (ამ  
ბოლო წერილს ვინახავ) — ღედის დავალება  
შესრულდა.

სადგურზე ძმამ და ს. ვაინშტაინმა გავაკეცი-  
ლეს. ჩამოდგა სატვირთო მატარებლის ვაკონე-  
ბი. „შიშა, — მეუბნება ვაინშტაინი, — ნუთუ  
ასეთ ვითარებაში ვაემგზავრებით?“

„ერთად წავიდეთ, — ვეუბნები მას, — ჯარ-  
ში მობილიზაციით ხომ აღარ გავეწვევენ?“

„აი, მინდა ვნახო, რა იქნება შემდეგ...“  
ს. ვაინშტაინმა მხოლოდ 1942 წლის იანვრამ-  
დე იცოცხლა.

ბოლოს დავიძარი. ეს იყო 1941 წლის 19  
აგვისტოს. ორი ღდის შემდეგ რკინიგზა გერ-  
მანელებმა გადაჭრეს. მოსკოვის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის წინ შორეული აფეთქების ხმა  
ისმო. ღიდხანს ვდგავართ, სახელმწიფო უნი-  
ვერსიტეტი პირველად დაბოშებს. რამდენიმე  
ღდის შემდეგ პერმში ჩავედით.

მსახიობები პედაგოგიური ინსტიტუტის სა-  
ერთო საცხოვრებელში მოათავსეს. მეუღლეს  
ცალკე ოთახი მისცეს — ოჯახი ხუთი სული-  
საგან შედგებოდა.

ვეძებ სამუშაოს. მივაშურე მოტოვილიხინის  
მეტალურგიულ ქარხანას. მიმიღო დირექტორ-  
მა, სოციალისტური შრომის გმირმა ა. ბიხოვს-  
კიმ (მისი შვილი ა. ბიხოვსკი ახლა ცნობილი  
მოჭადრაკეა). დირექტორი თანახმაა მიმიღოს  
სამუშაოზე, მავრამ თვითონ ვამბობ უარს. შორ-  
საა, მხოლოდ ცალხაზიანი პატარა ტრამვაი და-  
ღდის ქარხნამდე. ზამთრობით როგორ ვიმგზავ-  
რებ?

ახლოს მივაგენა „ურალენერგოს“ ელექტრო-  
ქსელის ჩრდილო-დასავლეთ რაიონს. მეცნიერე-  
ბის კანდიდატის ხარისხი ამიწებთ. „თუ მეც-  
ნიერება არ ვაგიტაცებთ, — მეუბნება რაიონის  
დირექტორი სოლნცევი, — აგიყვანთ ინჟინ-  
რად, ყველაზე დაბალი განაკვეთით“. ვთანხმ-

დები, რადგან ახლოსაა! მაღალვოლტაჟის  
ბორატორიის თანამშრომელი ვავხდი.

თანდათან დავემეგობრდი პერმელებს. გავხ-  
დი ლაბორატორიის უფროსი, შემდეგ იზოლა-  
ციის სამსახურის უფროსი (მაღალვოლტაჟიანი  
იზოლაციის...), ახლოს ვემეგობრბოდი ოსტატ  
მიხეილ თევდორეს ძე ღემენვეთან. იგი გახლ-  
დათ ჩამომხმარი აუღაყედა (ცალი თვალი წარ-  
მოებოდა და უზიანდა), საოცარ ფიზიკურ ძალას  
ფლობდა („დავსუსტდი, — ჩიოდა მიხეილ თევ-  
დორეს ძე, — აღრე ორი მაღალვოლტაჟიანი მი-  
ლი იოლად გადაიქონდა, ახლა მხოლოდ ერთს  
ვეზიღები...“ მე ამ მილს ადგილიდანაც ვერ  
ვძარდი!), მოხერხებული და სამართლიანი  
ადამიანი იყო, განათლება არ ჰქონდა, მაგრამ  
მაღალვოლტაჟიანი იზოლაციის საქმეში (გამოც-  
და შეკეთება) ზედმიწევნით კარგად ესმოდა.  
ამას გარდა, იგი გახლდათ ელექტრონული მან-  
ქანების უნიკალური შემომხვევეი, ამას უხმაურ-  
ოდ აკეთებდა — მთელი ოქტიდან აკითხავდე-  
ნი მუხლდაჩოქილი. ყველაფერი იცოდა. 1944  
წლის ზამთარში, მოსკოვში რომ გადავედი,  
ჩემს გოგონასთან ერთად პირველ მეშინასკაის  
ქუჩაზე მივსერიანობდი. ტროტუართან გაუნძ-  
რებლად იდგა ვაფუქებული ტროლეიბუსი. „რა  
მოუვიდა?“ — მეკითხება ბატარა ოლია. „ხომ  
ხედავ, ვაფუქებულია“. „აი, უშუას, — მეუბ-  
ნება ოლია, — ძია ღემენვეი შეაკეთებს!“

ჩვენთან მუშაობდა სულ ახალგაზრდა მონ-  
ტიორი სოკრატ გუდოვშიკოვი. დაბალი, მხრებ-  
ში ჩამჯდარი, ძლიერი აღნაგობისა, დაწვმალაი  
პირისახე და ნებისყოფიანი გამომეტყველება  
ჰქონდა, ოდნავ ცალკეად იღიმებოდა, წინწა-  
მოწული ნიკაბით ინვლისელს ჩამოგავდა —  
თიულ ვერნის გმირებს. ყველას გვაოცებდა: მა-  
გალითად, შერინგის ხიდურთან იზოლაციის გა-  
მოსაცდელად მივდივართ — სოკრატი გაქრა.  
ვგმობთ მის უღისციბლინო საქციელს. მივედით  
ხიდურთან და ვხედავთ, რომ სოკრატი არხე-  
ნად ზის და ჩვენ გველოდება. ვაუგებბარია, რო-  
გორ მოვასწრო. აღბათ, რომელიმე სატვირ-  
თო მანქანას შეახტა.

მაღე სოკრატი არმიაში გაიწვიეს, ციმბირის  
ერთ-ერთ ელექტროტექნიკურ სკოლაში მოხვ-  
და. სულ მოითხოვდა — ფრონტზე გამიშვითო.  
არ უშვებდნენ, რადგან ზედმიწევნით კარგი  
სპეციალისტი იყო. ამით დაბოღმდნენ სოკრატ-  
მა ხულიგანური საქციელი ჩაიდინა, საჭარბით  
ბატალიონში ამოჰყო თავი და დაიღუპა კიდევ  
საწყალი ბაქო...

შერინგის ხიდური ცუდად მუშაობდა. ათვ-  
ლის წარმოება მხოლოდ მამინ შვიძლებოდა,  
როცა ხიდურის კუთხეებში ღენი არ გადიოდა  
და, ისიც მაღალი გრძნობადობის გაღვანომეტ-

**მიხეილ ზოტვინიძე**  
მასტრი, რომელიც არ შედგა

რის მეშვეობით. სქემა შედგებოდა ცალკეული ელემენტებისაგან, ყველაფერი გავსინჯეთ — ქვესადგურებში ძლიერი დაბრკოლება, მუშაობა შეუძლებელია. დაეინებით მოვითხოვდი, რომ გაეკეთებინათ ფოლადის გარსაკვი (პიანინოს ფორმისა) და შეესრულებინათ სტაციონარული მონტაჟი. ფოლადი თუ გვიხსნიდა დაბრკოლებისაგან. იზოლაცია ყველა ქვესადგურში შეამოწმეს. დემენვეი თავიდან უკმაყოფილებას ამტკიცებდა — ხილურა დამძიმდა, მაგრამ სოკრატთან ერთად იოლად ართმევდნენ თავს.

კიზელში ქვესადგურის უფროსმა ნეუსტროფმა რამდენჯერმე გაწმინდა ზეთიანი ტანსაცმელის ცობოლა და მოითხოვა გამოცდის განმეორება, არ სჯეროდა, რომ ავარიული მდგომარეობა იყო. თვითონ ჩვენც გვაკვირდა — იზოლაციის დანაჯარგები წარმოუდგენლად დიდი გახლდათ. ბოლოს გავხსენით ცობოლა — მასში თითქმის მთლიანად წყალი აღმოჩნდა, შემკვრივება ცუდი იყო!

აკრძალვის მიუხედავად, ერთხელ სამეცნიერო მუშაობამაც მომიწია. მთავარმა ინჟინერმა ლევკევიჩმა გამომიძახა და მითხრა: „თოვლია — იზოლაცორმა გვიმტყუნა თუ გამტარმა?“

„გფიქრობ იზოლაცორმა, მაგრამ საჭიროა შემოწმება“.

თოვლის ფენა ჩამოვაცალე და ძაბვა გავუშვი. თავიდან დენი ნულს უდრიდა. შემდეგ პერწყვლის გვირგვინიდან დაიწყო ადგილობრივი გახურება, თოვლი გადნა, გადამცემი არხი დაგრძელდა და ხვერივლია გაჩნდა.

სამმართველოში მივედი: „ალექსე მათეს ძე, გარკვეული ხნის შემდეგ ყველაზე უფრო მოსალოდნელია ზერეტილას გაჩენა“. მთავარმა ინჟინერმა გაიცინა: თურმე ოქქის ჩრდილოეთში ქარიშხალმა წააქცია ელექტროგადამცემის საყრდენები და საღენები ძირს ჩამოყარა. რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში ეს შეუშრენველი დარჩა. ავარიული მდგომარეობა დაადგინეს მაშინ, როცა ქარიშხალი ჩადგა!

1942 წლის ზამთარში სამსახურებრივი მიეღობებით სვერდლოვსკში ჩივედი. სისწაული დამხვდა — იქ ოსტატთა სპეციალური ტურნირი მიმდინარეობდა (როსოლის ხელმძღვანელობით). მაყურებელი ცოტაა, ხოლო ყველა ბილეთი გაყიდულია — ტურნირზე ვერ მოხვდები. თურმე ბილეთის მეშვეობით ბუფეტში ფუნთუშის ყიდვა შეიძლებოდა და ამიტომაც ბილეთს შემთხვევითი აღამიანები იძენდნენ და არა მოქალაქეები! გვესაუბრე როსოლის. ხელი ჩამოვართვი რაკოზინს. მაშინ შეჩბრებაში გაიმარჯვა ლეიტენანტმა სლავა რაკოზინმა — იგი სულ ახალი ვადმოყვანილი იყო ზლოკირებული ლენინგრადიდან ურალში.

როსოლინმა რაღაც გაიხუმრა და მე გამეცინა. „მამ, ყველაფერი რაზეა, — თქვა იაყობ“

გერსიმეს ძემ, — ძველებურად იფიქრომა ვერ შეძლო ამის შეცვლა...“

1942 წლის აპრილი. მალე მეუღლემ უნდა იმშობიაროს. სამუშაოზე ლევკევიჩი მიჩრეკეს: „დაუყოვნებლივ წადით წისქვილში, იქ გერთავენ ახალ ელექტროძრავას. ქალაქს ფქვილი აკლია“. დემენვეთან ერთად გავემგზავრე. წისქვილში ყველა იღვავს. ვთათბირობთ. გადაწყვიტეთ, შევამოწმოთ იზოლაციის და როტორის წინაღობა. ვბრძანებ, გამოვთონ როტორის გრაგნილი — იგი სრულ წესრიგშია. ვბრძანებ, ჩართონ გრაგნილი — როტორი იოლად იწყებს მუშაობას. ეტყობა, ყველაფრის მიზეზი გახლდათ ცუდი კონტაქტი.

საერთო ზეიმიად  
შინ გვიან დავბრუნდი. „ჩქარა ქაემ“, — მეუბნება მეუღლე და მაწყვეტილებს საუბარს წისქვილში მომხდარი „ავარიის“ კომიკური დასასრულის შესახებ. თურმე მოვიდა სამშობიარო სახლისავე წასვლის დრო!

გამთენიისას სამყაროს მოვევლინა ოლია. „უპ, როგორი შავტუხაა“, — თქვა გ. ულანოვამ, როცა მძინარე გოგონას დავასერიერებდი. (გაღონა სერგეის ასულიც თეატრის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა).

გოგონას შეძენასთან დაკავშირებით რა სამსახურით სანუქარი უნდა მიმერთომა პროფესორისათვის? ისეთი დრო იყო, რომ ვერაფერს გასაჩუქებდები. ერთი ოქროსკალმინი კალმისტარი მქონდა — იგი გრონისგენის ტურნირის შემდეგ მომართვეს რუსეთის ნეთობის კომპანიის თანამშრომლებმა. კალმისტარი პროფესორ გუზიკოვის კუთვნილება გახდა.

ცხოვრება გვიჭირდა — როგორც ყველას. კარტოფილს ვხარბავდით. ძირითადად პური გემველოდა: ოჯახში სამი მომუშავე იყო, ზედმეტ პურს ბზნარში კარტოფილზე ვცვლიდით. როცა გოგონა წამოიზარდა, მდგომარეობა გაუარესდა. იძულებული ვახვდით გავვეყიდა სხეულები მანქანა „უნდერველი“, რომელიც ლონდონში პრიზად მივიღე ნოტიენგენის ტურნირის ულამაზესი პარტიებისათვის. სწორედ მისზე გადავებქვედი სკანდილადო დისერტაცია. ახლა მანქანა პატარა ოლიაა „გადასასნა“.

მუშაობა — მუშაობაა, მაგრამ ალიოხინთან ნატჩისათვის ხომ უნდა ვემზადო? გადაწყვეტი, კომენტარები გავუყეთო სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის სახელის მოსაპოვებლად გამართული მატჩ-ტურნირის ყველა პარტიას, რომ არ დამიზღუნდეს ანალიზის ოსტატობის უნარი. ვმუშაობ საღამოობით, ვიყენებ თითოეულ თავისუფალ წუთს, მაგრამ ასეთი წუთებიც ცოტაა. აი, კრებაზე მოწყენილი ვხივარ, შინ კი სამუშაო მელოდება. თავმჯდომარეს ბარათს ვჭერ: „ალექსე მათეს ძე, ოვს ცუდად ვგრძნობ“. ლევკევიჩი მპასუხობს: „მეც მინდა შინ წასვლა...“

წიგნს წელსწინაწერი განმავლობაში ვეწრო-  
დი. დღისას გუშინთ ვგრძნობდი, რომ ესაა  
საუკეთესო, რის გაკეთებაც საქადრაკო ანალი-  
ზის სფეროში შეეძლებოდა. და აი, ამ ორიოდე  
წლის წინათ, მატინიანიმა მითხრა, რომ იგი  
სწავლობს ჩემს ამ ნაშრომს და პირდაპირ გაო-  
ცემულია (დღისსტატა მატინიანი ბელგრად-  
ში სცემს „საქადრაკო ინფორმატორს“, რომე-  
ლიც ჩვენი დღეების ყოველი კვალიფიციური  
მოქადრაკის სამავადო წიგნია).

დამებდა ალიოზინთან მატრის მოსამზადებე-  
ლი არაოფიციალური „კომიტეტის“ შექმნის  
იდეა — მიწოდდა მომეგრეობენა მეგობართა  
ჩვეულები, რომელიც თავის საქმიანობით ხელს  
შეუწყობდა მატრის მოწყობასა და დამეზარე-  
ბოლა მომზადებაში. კარზე დააკაუნეს და  
ოთახში შემოვიდა გრიშა გოლდბერგი — სამ-  
ხედრო-სსრკოვი ფლორის კაპიტანი (მისი მე-  
უღლე მოლოტოვის ერთ-ერთი პოსიტალში  
სამხედრო ექიმად მუშაობდა და გრიშა მის სა-  
ნახავად ჩამოვიდა).

ჯერ კიდევ 1932 წელს ჩვენ ერთად ვთამა-  
შობოდით ლენინგრადის ჩემპიონატში. 190 სან-  
ტიმეტრი სიმაღლის გოლდბერგს მტკიცე ხა-  
სიათი ჰქონდა, ოსტრის ძალა მასში კარგად  
ერწყმოდა ორგანიზატორის ნიჭს. ამიტომაც  
მთელი ოცდაათიანი წლების მანძილზე შესამჩ-  
ნევ როლს თამაშობდა ლენინგრადის საქადრა-  
კო ცხოვრებაში. ფლორთან ჩემი მატრის მეო-  
რე ნახევარი მან მოაწყო და დაწყინვალედაც.

„თანახმა ვარ, — მითხრა გოლდბერგმა, —  
მაგრამ ახლა რა შეიძლება ვიღონოთ მატრისა-  
თვის? ობია“. ვერაფერს იტყოდი, იგი მართა-  
ლი ვახლდით...

1943 წელს ხე-ტყის დასამზადებლად განმა-  
წესეს. ამან სულ ამივისო მოთმინების ფილა.  
სასწრაფოდ მივეწერე წერილი ვ. მოლოტოვს,  
დახმარების ვთხოვდი, ხომ შეიძლებოდა, რომ  
კვლავ გამოვდგომოდი საბჭოთა ხალხს, რო-  
გორც მოქადრაკე.

ორი კვირის შემდეგ „მოლოტოვენიერგოს“  
მმართველის კაბინეტში გამომიძახეს, ვიდაცის  
მოსკოვიდან მთავრობის ტელეფონით სურდა  
ჩემთან ლაპარაკი.

„თქვენ მისწერეთ წერილი ვიჩესლავ მიხეი-  
ლის ძეს?“

მელაპარაკებოდა სმირნოვი, სამდიენოს უფ-  
როსის მოადგილე. მან გამაცნო ამხ. მოლოტო-  
ვის რეზოლუცია: „ამხ. ემიერის. აუცილებე-  
ლია ამხ. ბოტინიკს შეეუწარჩუნოთ საქადრა-  
კო ბრძოლისუნარიანობა და მივეთვ საჭირო  
დრო შემდგომი სრულყოფისათვის“. (დ. ემიე-  
რინი მაშინ ელექტროსადგურების სახალხო კო-  
მისარო იყო. ვ. დ. სმირნოვს შემდგომში არა  
ერთხელ მიემართე საქადრაკო საქმეებთან და-  
კავშირებით).

და დაიწყო ჩემთვის სხვაგვარი დღეები!

მართალია, როცა მივიდა სახალხო კომისიის  
განკარგულება კვირაში ჩემთვის ჰადრაკში სა-  
ვარჯიშოდ სამი დღის გამოყოფის შესახებ, დი-  
რექტორმა კოსტოვრიშმა ჩათვალა, რომ კვი-  
რაც შედის ამ სამ დღეში, მაგრამ ეს საკამა-  
თო არ გამოხდია, ისეც კარგად აეწყო საქმე...  
სერგეი ანდრეის ძისთან ვემეგობრობდი, ძალზე  
თავისებური და სიმპათური ამხანაგი იყო. გე-  
ნათლება, არსებობდა. არც მიუღია, მაგრამ აღ-  
მინისტრატორის ხალასი ნიჭი თან დაჰყვა ამ  
ეთილსინდისიერ კაცს გამჭირაბი გონება ჰქონ-  
და, მოხერხებულად წყვეტდა საკითხებს. „ჩემი  
არ შეგეზინდეთ, — ამბობდა იგი, — კოსტო-  
ვრიშმა პატარა ჩიტია, რომელიც ალუბლის  
კურკის კორტის“. იგი უყვარდათ.

ფიზკულტურის კომიტეტიდან მაცნობეს,  
რომ გაზაფხულზე სვერდლოვსკში უნდა ჩავ-  
სულოყავი. იქ გამართებოდა რვა ოსტატის შე-  
ჯიბრება ორ წრედ. ტურნირისათვის მოსამზა-  
დებლად საოლქო საბჭოს აღმასკომმა თავის  
საბჭოთა მეურნეობაში გამგზავნა. ჩემს წასაყ-  
ვანად მივიდა შეეტლე და მარხილი მომყენა...  
დღემ ორჯერ შემეწვარი ღორის ხორცი კარ-  
ტოფილითურთ, ლიტრი რძე და პური. ვკამდი,  
გსვირობოდი, მეძინა და ვმუშაობდი გამშაგე-  
ბული ენერგიით!

კარგი ტურნირი გამოდგა — სუსტი არავინ  
იყო (სმისლოცი, ბოლესლაესკი, რაგოზინი და  
სხვები თამაშობდნენ). თითოეული მონაწილის  
წინააღმდეგ 1,5 ქულა მოვაგროვე და იოლად  
დავეუფლვე პირველ პირს. აქამდე ჰადრაკი  
ორი წელი არ მითამაშია, მაგრამ გამორაკე,  
რომ არც მომზადების მეთოდი მტყუნობდა და  
არც პრაქტიკულად დავუსტებულვარ.

ზაფხულში საოლქო საბჭოს აღმასკომმა ნე-  
ბა დამართო ჩემი პატარა გოგონა წამეყვანა  
ბანაკში, სადაც მოსკოვიდან ევაკუირებული  
ნორჩები ცხოვრობდნენ, ბანაკი მდებარეობდა  
კამის სანაპიროზე ბელიაევკასა და ოსას შო-  
რის. ოლია იქ დარჩა გამდელ პრასკოვია ვასი-  
ლის ასულთან ერთად. მათ ტყის ნაბირას აგე-  
ბული ცალკე ქოხი დაუთმეს.

თვენახევრის შემდეგ ბანაკში წასვლა დავა-  
ბიერ და კავერინის ვთხოვე მწამყოლოდა. მა-  
შინ იგი „ორ კაპიტანს“ წერდა, განმარტობდა  
სურდა და ამიტომაც სიამოვნებით დამეთანხმა.  
მეზავრობა ძნელი გამოდგა, რადგან ბანაკს  
ნავმისადგომი არ ჰქონდა და თბომავლიდან უნ-  
და მოგვეხმო მეტრეისათვის თავისი პატარა ნა-  
ვითურთ. უკვე დაღამდა, მაგრამ შევიცანი სა-  
ნაპირის მიდამოები და კაპიტანს ვთხოვე, მე-  
ტივე გავაფრთხილოთ-მეთქა. შევჩერდი და  
საყვირი მთელი რაიონის ვასაგონად ავანშია-  
ნეთ — არავითარი პასუხი. დაბოლთს, საღდაც

მისილი ზოტმინიკი  
მბაჩი, რომელიც არ უძლავა

შორიდან (კამა-ფართო მდინარეა) მოისმა ნიბების ჩქაფუნა. დავიცადეთ, ტრეტივა მოგვიახლოვდა.

„ძია ეგორ, თქვენა ხართ?“ — არავითარი პასუხა.

„ძია ეგ-ო-რ...“  
„მე ვარ, აბა სხვა ვინ იქნება?“ — მოგვესმა ბუსულუნა ხმა.

გადასარეგ, სუფთა მიდამოებში სამი დღე ჩვენს ვემოზე გავატარეთ. ბენიაშიმ აღექსანდრეს ძე ტყეში ზურგზე იყო წამოწოლილი და თავის კაბიტნებზე ფეჭობდა. „მითხაროთ, ეს იდგილი ასე ხომ არ აჯობებს“, — რჩევას მკითხავდა იგი. მე ვერაფერს ვასახულობდი. გაცილებით იოლია მოგონებების წერა: მხოლოდ იმაზე უნდა დაფიქრდეთ, რის გამოქვეყნება შეიძლება და რისი არა!

ოლიასთან ერთად ძია ეგორს მივაკითხე უკან გამგზავრების თაობაზე — ტრეტივათი უნდა მივდგომოდით გზად მიმავალ თბომავლს. პატარა ოლია ფეხზე კარგად დგებოდა, თუმცა მარტო სიარულისა ჯერ კიდევ ემინოდა და თითო მუქირა. იგი მდებლოზე დაეტოვებდა და მეტრის საღარაჯო ჯინსებში შევედღა. ძია ეგორმა გადაჭრით უარი მითხრა — ნაპირზე დგომა და თბომავლის ლოდინი არ შემიძლია, საქმე მაქვს! ძია ეგორი პატარა ტანის კაცო იყო, გამზღარი, პირველი, მუდამ სამუშაოს ჩაპყრობებდა, ყველაფრის გაცეთებას ასწრებდა... მე წუხებულნი ვაგონასკენ გამოვბრუნდი და ვხედავ თავისით დადის. მდებლოზე ყვავილები იზრდებოდა და ოლიას პატარა თაიგული შეეკრებოდა.

კავერინთან ერთად სხვა მეტრებს — ძია ილიას მივაკითხე: ზორბა, დონდლო მამაკაცი გახლდათ. მის შესახებ მრავალი საბრალდებო საქმე იყო აღძრული (ტრეტივა არ ჰქონდა სრულ წესრიგში და თბომავლები გასაპირში ვარდებოდნენ). კავერინმა უტყვირა, თუ როგორ იქმნა ძია ილია ღიბს და აღფრთოვანებულმა ხმადაბლა თქვა: „მართლაცდა, ივანე მრისხანეს დროინდელი პირწავარდინიო გლეხია...“

„საქმელი იქნება?“  
„იქნება“.

ძია ილიასთან ერთად სანაპიროზე ორი დღე დავყავით, თბომავლის მოლოდინში ათასნაირ ამბებს გვიყვებოდა. ტრეტივა რა დღეში ჰქონდა, ეს ღმერთმა უწყის. მაგრამ ძია ილიამ თბომავალთან ყოჩაღად მიაკურა.

1943 წლის ზაღბულა. სახალხო კომისარმა მოსკოვში გამოგზავნა და დედქალკაში გადასვლის წინადადება მომცა — აქედან დიწყო დიმიტრი გიორგის ძე ეიმერინთან ჩემი შეგობრობა. იგი იყო პირდაპირი, მუდამ შემართული, მომთხოვნი, საესკებით ჩამოყალიბებული პიროვნება, რომლისგანაც ბევრი რამ ვისწავლე. მისი მთავარი სიძლიერე, რა თქმა უნდა, საქმის

გადაწყვეტილებებში მდგომარეობდა — დიდად ნიჭიერი აღმინისტრატორი გახლდათ. ყოველმხრივ გულისხმიერად მეპყრობოდა. მართლაც რომ „ბედი“ გამოდგა ხე-ტყის დასამზადებლად ჩემი გაგზავნა, სხვა შემთხვევაში ერთმანეთს ვერც შევხვდებოდით. ყამერინი დამეხმარა ძნელი მიზნის მიღწევაში.

მაშინ უკვე ვფიქრობდი ამერიკის შეერთებულ შტატების ჩემპიონთან ს. რეშეცკისთან მატჩის გამართვაზე. ომში უკვე მოხდა ვარდატეხა (როცა სახალხო კომისარს კაბინეტში პირველად ვეწვიე, მას დაურეკეს და აცნობეს კურსკის რკალზე წარმატებით ბრძოლების შესახებ) და საქირო იყო მსოფლიოს ჩემპიონთან მატჩის უცილობელი უფლების უზრუნველყოფა. თანაც ალიოხინი მაშინ მონაწილეობდა გერმანელების მიერ ოკუპირებულ ევროპაში გამართულ ტურნირებში — რა იქნებოდა, რომ მას შეეცვალა გადაწყვეტილება და თავი აერიდებინა ჩემთან მატჩისათვის?

ეკრეს 1941 წლის მატჩ-ტურნირის შემდეგ არ ჰქონდა რაიმე განსაკუთრებული უფლება, საწყალი კაპა უკვე აღარ იყო ცოცხალთა შორის (1942 წლის ზამთრის დილას, როცა სამეშაოზე მივდიოდი, ერთმა მუშამ შემაჩერა და დამწუხრებულმა მითხრა: „რაღიოს მოუსმინეთ? კაპაბლანკა ვარდაიცვალა...“). ფაინი არ იყო ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი, მაშასადამე, მხოლოდ ისღა დამარჩნოდა, რომ მატჩი მომეგო რეშეცკისათვის.

გადაწყვეტიე, მესარგებლა მოსკოვში ყოფნით და ნიადაგი მომესინჯა. დაეურეკე ბ. პოდცეროვს — მე და ბორის თევდორეს ძე ორი თვე ერთად ვსწავლობდით ლენინგრადის უნივერსიტეტში. იგი ამხანაგობდა სლავა რაგოზინთან. ბევრს თამაშობდა მიმოფრინო და შემდეგში სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილეც გახდა.

სიმპათიურმა გარეგნობამ, ფრანგულის კარგად ცოდნამ, ფართო პირიზონტმა, ზედმიწევნით კარგმა ზოგადმა მომზადებამ და ნიჭმა ხელონურად შეუწყვეს მის წინსვლას დიპლომატიურ სამსახურში. პოდცეროვმა საგარეო საქმეთა სამინისტროში მოლოტოვის სამდივნოს უფროსის თანამდებობას ასრულებდა.

„რთული საქმეა! — თქვა ბორის თევდორეს ძემ, — სცადეთ დაუყოვრადღეთ ლიტვინოვს, ბევეს თამაშობდა მიმოფრინო“ (ლიტვინოვი მაშინ ჩვენი ელჩი იყო ვაშინგტონში).

მაქსიმე მაქსიმეს ძემ დაუყოვრებლივ მიმიღო საშახატრის კაბინეტში (საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობა ვოროსკის მოედანზე მდებარეობდა). უბრალოდ შემხედა, თითქოსდა ძველ ნათესა: „თქვენც ევაკუირებული ყავით?“

ერთობ განვცდებოდით: ვანაგონი მქონდა რევოლუციამდე, იატაკქვეშეთში მისი საშვიში მუშაობის შესახებ, მისი გამჭირაობისა და ენერჯიის, ენციკლოპედიური ცოდნის, მკაცრი (შმა-

გი თუ არა) ხასიათის შესახებ. ჩემს წინ კი იმ-ყოფებოდა საშუალო ტანის, რამდენადმე არა-მკაფიო გამომეტყველების კაცი, სახის ლმობიერი ნაკვთებით. ლაპარაკობდა წამლერებით, კუთხური აქცენტით, ფორმისა და შინაარსის კუმპარტ განცალკევებას განასახიერებდა.

„მე, როგორც ელჩი, რა თქმა უნდა, თანაზ-მა ვარ, — თქვა ლიტერნოვმა და გაიღიმა, — ყოველთვის დაუპყრ მხარს რეშეესისთან თქვენს შეჯიბრებას, მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტა არ შემოიღია!“ შემდეგ ხელები გაშალა. ცხადი გახდა მთელი საქმის უიმედობა.

მოსკოვში უნდა ვაღმოვსოყავი საცხოვრებ-ლად. გადავწყვიტე, ამის მოგვარება ვარჯიშ-თან შემეთავსებინა და მოსკოვის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოეთხოვო. კოშმანის შემდეგ დამრთეს ნება კონკურსს გარეშე მონა-წილეობისა. ტურნირი მთელი დღეებში გაგრძელდა. სმისლოთან წავიდე, მაგარ საბო-ლოდ პირველ ადგილზე გამოვყდი. სამწუხა-როდ, პარტიის ტექსტები აღარ გადამიწერია, ხოლო ორგანიზატორებმა დაკარგეს ჩაწერილი ბლანკები. ასე გაქრა უგზოუძველოდ რამდენიმე ერთობ საინტერესო პარტია.

ტურნირის დროს სადილზე მიმიწვიეს ბ. ს. ვაინშტაინთან (მკითხველს ვიხივ იგი არ აუ-რიოს ს. ო. ვაინშტაინთან), საკავშირო საქად-რაკო სექციის თავმჯდომარესთან. უარის თქმა ვეღარ მოვახერხე — იქ შეეხვდი ნ. ნ. ზუბა-რიოვს, რომელმაც სწევარიოვი შეცვალა ფიზ-კულტურის კომიტეტის ჭადრაკის განყოფილე-ბის თანამდებობაზე (სწევარიოვი და მისი თა-ნამშრომლები, ოსტატობის კანდიდატები ელ-ცოვი და კურიშკინი სახალხო ლაშქრის შემად-გენლობაში იყვნენ და დაიღუპნენ). ყურებდა-ტკვეტილი ვიყავი, ვხვდებოდი, რომ სიტყვა ჩა-მოვარდებოდა ალიონხთან მატჩზე — ყოველ-თვის მახვილი ყნოსვა მქონდა!

მაშინდელ დროს თუ გავითვალისწინებთ, ძალზე კარგი სადილი მოგვართევს: კატლეტი, ღვინო. კატლეტს შევეძეკე, ღვინო არ დამილე-ვია, შემდეგ დაიწყო...

ალიონხინი პოლიტიკური მტერია, მასთან თა-მამი არ შეიძლება, მას უნდა ჩამოერთვას მსო-ფლიოს ჩემპიონის წოდება, საჭიროა საბჭოთა ჩემპიონმა შეასრულოს თავისი მოქალაქეობრი-ვი მოვალეობა და პირველმა მოითხოვოს სა-ჭადრაკო სამყაროდან ალიონხინის გაძევება — არცაა საჭირო ჩამოეთვალო ყველა მგვარი დე-მაგოგიური მონაგონი! ლაპარაკობდა ვაინშტაი-ნი, ზუბარიოვი თავს უქნევდა. მე მშვიდად, გა-დაჭრით და მტკიცედ გამოთქევი საკუთარი შე-ხედულება და უარი განვაცხადე.

ნათელი გახდა, რომ ასეთი თავმჯდომარის შემსუტრე ალიონხინთან მატჩს ვერ ვითამაშებდი. თავმჯდომარის შეცვლას მოითხოვდა საბჭოთა ჭადრაკის ინტერესები. იგი მე არ მომცემდა

ჩემპიონად გახდომის საშუალებას, ხოლო ვაინშტაინსა და სმისლოვს კანდიდატი იმხანად არ ჩანდა...

ერთი წლის შემდეგ ჩემს პოზიციას მხარი დაუჭირეს საკავშირო სექციის სხვა წევრებ-მაც — ვაინშტაინს არ მქონდა ავტორიტეტი. ყოველი შემთხვევისათვის, პარტიის ცენტრ-ალურ კომიტეტში მივედი, ჯანმრთელობის დაე-ვის კადრების განყოფილებაში (ეს განყოფი-ლება განაგებდა ფიზკულტურის კომიტეტის საქმეებს), განყოფილების გამგესთან ბ. პ. პეტ-როვთან: დაბალი, გამელოტებული ექიმი პეტ-როვი სათვალეს ატარებდა. იგი მტკიცე ხასია-თის ინტელექტუალი გამოვლდა.

„არ დაივიწყეთ, — მითხრა ბორის დიმიტ-რის ძემ, — რომ სწევოვი მხოლოდ „სახლ-მმართველია“, იმოქმედეთ მიაკოვსისებუ-რად...“

ერთხელ თურმე სახელმწიფო გამომცემლო-ბის ბუხხალტერიამ მიაკოვსის უარი უთხრა კუთვნილ პონორარზე. რამდენიმე დღის შემ-დეგ იგი ბუხხალტერიაში ჯოხით შეიარაღებუ-ლი გამოცხადდა: „ვალს მიხლით?“ — „არაჲ. მაშინ პოეტმა ფანჯრის შინა ჯოხით ჩაამტვრია. (ეს ამბავი ზამთარში ხდება) და ვასელისს თქვა: „პონორარისგან გამომიქვითეთ“. ცო-ტა ხანცე ვაიდა და ბუხხალტერისა კვლავ მიადგა ჯოხით შეიარაღებული მიაკოვსი: „გთხოვთ, ვლადიმერ ვლადიმერის ძე, მიი-ღოთ...“ ორივემ გავიცინეთ, პეტროვს რჩევა ჭკუაში დამიჯდა.

დაბოლოს, შედგა საკავშირო სექციის სხდო-მა და დასვა ვაინშტაინის ვადდგომის საკი-თხი — იგი გააფთრებით იცავდა თავს. სიტყვა აიღო ვასია სმისლოვმა: „სექციის ყოფილი თავმჯდომარე ამხანაგი ვაინშტაინი“, — დაიწყო მან: ვაინშტაინმა ბოლომდე აღარ დააცალა, ტა-ში შემოჰკრა და უშალ ფარ-ხმალი დაჰყარა!

მოსკოვში ვადდგოვდი, სახალხო კომისარმა ცალკე ბინა გამოვვიყო. ჩემმა გოგონამ ჯერ ერთ ოთახში შეირბინა და გაუკვირდა როგორი სიფართოვეაო (ავეჯი არ იდგა), შემდეგ მეორე ოთახს მამაურა: „იკიდეთ ერთი ოთახი ყოფი-ლა“, — სიხარულით წამოიძახა მან (პოლოტკე-ში ექვსი სული ერთ ოთახში ეცხოვრობდით).

ზაფხულში ლენინგრადიდან გადმოვიტანე ავეჯი, რომელიც სასწაულით გადარჩა (ბლოკა-დის დროს ავეჯს სათბობად ხმარობდნენ).

1944 წლის გაზაფხულზე — ომის დაწყები-დან პირველად ჩატარდა სსრ კავშირის ჩემპიო-ნატი. ლიდერობდა სმისლოვი, მაგრამ მე წი-ლად მხვდა ბედნიერება მისთვის გადამწყვეტი პარტია მომეგო, რის შედეგადაც ბრძოლა დამ-თავრდა. პირველ პრიზად დაწესებული იყო 10.000 მანეთი. როცა შეჯიბრების დახურვაზე

**მიხეილ გომბინიძე**  
მატჩი, რომელიც არ შედგა

მივდი, ენახე, რომ პრეზიდენტის მავდიანზე დგის მინისხუფიანი ძველებური მავდის საათი.

„ეს რა არის?“

„პირველი პრიზი“.

გამახსენდა პეტროვის მონაყოლი მიაკოვსკის შესახებ: „თუ ჩემთვის ამის გადმოცემას დააბრუნებ, ყველას შესახებ დავა უარს ვიტყვი“. ასე ვერ გაიგო ვერავინ, თუ რატომ იღო საათი მავდიანზე. ნახევარი წლის შემდეგ ნაოპერაციები სავადმყოფოდან გამოვიდა და ფულადი პრიზი მიანიც მივიღე.

ერთი წლის შემდეგ გზავიხუფზე, გაიპარა სსრ კავშირის შორეული ჩემპიონატი. მაშინ ჩაღზე კარგად ვითამაშე (16 ქულა 18 შესაძლებლიდან). შეჯიბრებისათვის მე და რავიზინი საფუძვლიანად მოვემზადეთ. ბრწყინვალე განწყობილებაც გვქონდა — ომი გამარჯვებით დამთავრდა. მეორე ადგილზე გამოვიდა ბოლესლავსკი, რომელიც დიდი სტატიც ვახდა.

სწავივი ახალი შეცვლილი იყო. კომიტეტი სამუშაოდ გადავიდა ნ. ნ. რომანოვი — სპორტს კარგი დრო დაუდგა. მომთხვანა, დავიკრეხულმა, მიხანმსწრაფმა თავმჯდომარემ ავტორიტეტიც მოიბოვა და სიყვარულიც დამისახურა.

ზაფხულის მიწურულს რადიოთი გამართა მატრი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეთა შორის. შეჯიბრებამ უჩვეულო ინტერესი გამოიწვია. საბჭოთა საჭადრაკო სკოლის ამ გამოცდას თითქოსდა უწილავდ კრილენკოც ესწრებოდა. ომისწინა წლებში სწორედ იგი ამხადებდა ამ გამარჯვებას, ამხადებდა მთელ საჭადრაკო ოსტატებთან და ორგანიზატორებთან ერთად. ყველა გააოცა მატრის შედეგმა — 15,5:4,5. სმისლოვმა ორივე პარტია მოუგო რეშევსკის. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. არაოფიციალურად გადმოგვცეს სტალინის სიტყვები: „ყოჩაღ, ბიჭებო“.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის სამმართველოს უფროსთან გ. ფ. ალექსანდროვთან მიდებამზე მიგვიწვიეს. იგი გულთბილად, მაგრამ როგორღაც გაურკვევლად გვესაუბრებოდა. იგრძნობოდა, რომ დაევალებ ჩვენი მიღება და ისიც ამ მითითებას ყოველგვარი ენთუზიაზმის ვარეშე, ფორმალურად ასრულებდა.

„როდისღა ითამაშებს ბოტკინიკი მატრს ალიოხინთან?“

ალექსანდროვმა ვერ გაიგო შეკითხვა. მაშინ ვიტია ჩეხოვერმა კითხვა ხაზგასმული უხეშობით გაიმეორა. პასუხად მოქნილი, არაფრისმთქმელი ფრაზები მოგვესმა.

მაგრამ მოსახლენი უნდა მომხდარიყო. მაღალ საჭადრაკო წრეებში შემობრუნება მოხდა, ჩემს მიერ ზედონებ ზეთყერი პირველი ადგილის აღება ამ ოსტატებზე იმოქმედა. ორიოდვე კვირის შემდეგ რავიზინი დიმილით შემეგება და მანვენა ალიოხინთან მატრის თათბარზე სტალინი-

სადმი გავზავნილი წერილის ასლი. ხელს აწერდა თითქმის ყველა გამოჩენილი საბჭოთა ოსტატე, მხოლოდ ორმა ოსტატმა შეიკავა თავი. მოტივად მოჰყავდათ, რომ თითქმის ბოტკინიკი სუსტია ალიოხინთან მატრის თამაშისთვისო. გარემოებათა „საკვირველი“ დამთხვევით, ორივე ოსტატე ბ. ვინშტაინთან ახლო მეგობრობა აკავშირებდა. მაშ ასე, ოპონიციაც კვლავ რჩებოდა. ამ სტადიანზე იგი ჩაფლავდა, მაგრამ წინააღმდეგობას არ წყვეტდა.

თანამშრომლობდა თუ არა ალიოხინი ნაცისტებთან? ეს გამორკვეული არ ყოფილა. რამდენიმე ხნის შემდეგ მოჭადრაკეთა ერთმა ჯგუფმა (ვიგეს მეთაურობით) მსოფლიოს ჩემპიონს ბრალდება წაუყენა და ამის საფუძველზე გაუქმდა ჰასტინგის ტურნირში ალიოხინის მიწვევა. საქმე ის იყო, რომ ომის დროს ნაცისტურ ფურცელში „პარიზერ ციტიუნგში“ გამოქვეყნდა ალიოხინის სტატიები (ქაღალაის შესახებ), რომლებსაც ანტისემიტური ხასიათი ჰქონდათ. ომის შემდეგ ალიოხინმა განაცხადა, რომ სტატიებს ანტისემიტური ფრაზები ჩემს დაუყოთხავად ჩაუმატესო.

ამის მიუხედავად, ჰასტინგსამდეც ალიოხინი მიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა — იგი ხელდებოდა, რომ აღმდებდათ თავიდან ვერ აიცილებდა. მსოფლიოს ჩემპიონი მივიდა საკითხის ცხად გადაწყვეტამდე: მატრი შეეთავაზებინა საბჭოთა ჩემპიონისათვის. ეს მას დაიცავდა ყოველგვარი თავდასხმისაგან ისევე, როგორც 1938 წელს. ამასთან ერთად, ეს მატრი ექნებოდა დედა-რუსეთთან მისი შერიგების ყველაზე მარტივი გზა.

1945 წლის შემოდგომაზე ბრიტანეთის ჟურნალ „ჩენსში“ გამოქვეყნდა ალიოხინის გახმაურებულ ინტერვიუ — „ორმა ომმა გამაპარტახა“ (ალიოხინი ვაჭირებულ მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფებოდა). ინტერვიუს მართი გახლდათ ის, რომ ალიოხინმა მკითხველს მოუთხრო 1938-39 წლებში ჩვენი მოლაპარაკების შესახებ და განაცხადა, რომ ახლაც თანახმა ვარ ვითამაშო მატრი ბოტკინიკთან, აღრე შეთანხმებული პირობებითო.

ეს აიოლებდა ამოცანას. ახლა არსებობდა არა მარტო საბჭოთა ოსტატების უმრავლესობის განცხადება მატრის მოწყობის აუცილებლობის თაობაზე, არამედ ჩემპიონის თანხმობაც.

თუმცა მე რამდენადმე საჩოთაროდ მიმჩინდა ის, რომ ალიოხინმა არ შესარტულა დანაპირები და გაამხილა ჩვენი მოლაპარაკების საიდუმლოებანი, მაგრამ სხვა გამოსავალი მას არც ჰქონდა...

მაღე დადებითად გადაწყდა აღძრული საკითხი და შეიძლება მოქმედების დაწყება. დეოკატური მოსარებებით მე შევთავაზე მთელი მატრი ინგლისში გამართულიყო, ხოლო

მოლაპარაკება წარმოებდა ქურნალ „ბრიტიშ ჩეს მაგაზინის“ რედაქტორის, ბატონ დიუმონტის მეშვეობით (ქურნალში გამოქვეყნებული მასალები მივახვედრებდათ, რომ დიუმონტს მიმოწერა ჰქონდა ალიოხინთან). წინადადება მიიღეს და მოლაპარაკება დაიწყო.

თუმცა იგი ორჭოფულად წარმოებდა: „ოპოზიციამ კვლავ გახსნა ეცეხლი. გამომიძახა კომიტეტის თავმჯდომარემ. კაბინეტში უკვე დამხვდა მისი მოადგილე კ. ანდრიანოვი. იგი ახალი დაბრუნებული იყო პარიზიდან, სადაც გაზეთ „იუმანიტეს“ მიერ მოწყობილ კროსს ესწრებოდა.

ანდრიანოვმა თვალთმაქცური მწუხარებით მალწყა, რომ ალიოხინთან არ შეიძლება მატჩის გამართვა, — ასე ფიქრობენ ფრანგი კომუნისტებიო.

„ფრანგ კომუნისტებს საიდან აქვთ ასეთი ცნობები?“

„ზნოსკო-ბოროვსკისაგან (რევოლუციამდელი რუსი ოსტატი, ემიგრანტი), მისი შვილი კომუნისტია“.

ვცდილობდი დამერწმუნებინა ანდრიანოვი, რომ ძირითადი ამოცანაა საბჭოთა მოქალაქის მიერ მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოება. საკითხის ერთადერთი გადაწყვეტაა ალიოხინთან გამარჯვება — საქალაქო საიყარო არ აღიარებს სხვაგვარად მოვლენილ ჩემპიონს. პირიქით, ალიოხინის წინააღმდეგ თუ გავილაშქრებთ, აუცილებლად წამოგვიყენებენ ბრალდებას, რომ საბჭოთა მოქალაქეებს თითქოს უშინაოთ ალიოხინთან თამაშისა...

ანდრიანოვი ჯიუტობდა. რომანოვი დუმდა.

„რა ხდება, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, ნუთუ შეიცივლა მთავრობის გადაწყვეტილება ალიოხინთან მატჩის მოწყობის თაობაზე?“

რომანოვმა ერთბაშად ამოიღვა ენა: „არა, არა, ყველაფერი რიგზეა“. ჩვენ უმყოფილონ

დაგმორდი თერთმანეთს (ყოველ შემთხვევაში მე აღმფოთებული ვიყავი)...

ინგლისიდან ბარათი მივიღეთ, გვეწერდა დერბიშერი (ნოტიანეების ტურნირის მომწყობი). დერბიშერი უკვე ბრიტანეთის საქალაქო ფედერაციის პრეზიდენტი გახლათ. იგი გვატყობინებდა, რომ ინგლისელები პრინციპულად მზად არიან ჩაატარონ მატჩი (ეს გასაგებიცაა — საპრიზო ფონდს საბჭოთა კავშირი უზრუნველყოფდა) და შესაძლებლად მიაჩნიათ იგი დაიწყოს აკვისტომი, ქალაქ ნოტინგემში (აკვისტომი დერბიშერს 80 წელი უსრულდებოდა). საკითხი უნდა განეხილა ბრიტანეთის საქალაქო ფედერაციას. მაგრამ ეს უკვე ფორმალური საქმე იყო.

მე არ ვეთანხმებოდი მატჩის დაწყების თარიღს, რადგან მოსამზადებლად ცოტა დრო მრჩებოდა. აღარ მახსოვს, მოვასწარი თუ არა ინგლისში პასუხის გაგზავნა კვირას, 24 მარტს, შესტუმრენ მეგობრები — დიოვიჩის ოჯახის წევრები. 1936 წელს ლონდონში დიოვიჩი ხელმძღვანელობდა რუსეთის ნავთობის კომპანიას და სწორედ მის მიერ ბოძებული ოქროსკალმიანი საწერკალამი ვაჩუქე პროფესორ გუზიკოვს. ვსაუბრობთ, ჩაის ვესვამთ. აქრიალდა ტელეფონის ზარი.

„მოღვერობი ვახლავართ, — მესმის მკეთერი, ნაცნობი ხმა, — საშინელი ახალი ამბავი. სამი საათის უკან მოულოდნელად გარდაიცვალა ალიოხინი...“

წინა დღით, შაბათს, ლონდონში გაიმართა ბრიტანეთის საქალაქო ფედერაციის აღმასკომის სხდომა და მსოფლიოს ჩემპიონს მასშინვე ტელეგრაფით გაუგზავნეს ოფიციალურა წინააღმდეგობა საბჭოთა ჩემპიონთან მატჩის გამართვის თაობაზე. ბოლომდე უცნობია — მოასწრო კია ალიოხინმა დებეშის მიღება?

საქალაქო ისტორიის გვერდი გადაიფურცლა. დიდი მოქალაქე წავიდა.

ყველაფერი თავიდან უნდა დამეწყო.





## რ ე ნ ი   ი ნ ტ ე რ ე ი უ

ჟურნალ „ცისკრის“ თანამშრომელმა რამდენიმე კითხვით მიმართა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგეს **ლილი ფოფხაძეს**. ვებუქდავთ პასუხებს.

### 1. რით დაიწყო ახალი სეზონი და რა სპექტაკლებზე იმუშავენ თეატრი?

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა სეზონი გახსნა 2 პრემიერით. მაყურებელმა ნახა შექსპირის ტრაგედია „იულიუს კეისარი“ (დადგმა რესპუბლიკის სახალხო არტისტის მიხეილ თუმანიშვილისა) და ფედერიკო გარსია ლორკას პიესა „ბერნარდა ალბას სახლი“ (დადგმა რეჟისორ თემურ ჩხეიძისა).

გაიხსნა ახალი სეზონი და თეატრში დაიწყო დაძაბული შემოქმედებითი ცხოვრება. ჩანაფიქრი, რომელიც აქამდე არ ასვენებდა რეჟისორსა და დრამატურგს, დღეს უკვე მხატვრის, კომპოზიტორის, მსახიობების საერთო სატკივრად იქცა. ზედიზედ გამოიკრა ახალი სპექტაკლების განაწილებანი, დაინიშნა რეპეტიციები...

თეატრმა მიმდინარე სეზონში მაყურებელს 6 ახალი სპექტაკლი უნდა უჩვენოს.

ქართული კომედიოგრაფიის საუკეთესო ნიმუშს — პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერს“ კარგად იცნობს ქართველი მაყურებელი. ღრმა ხალხურობამ, სცენურმა გამომსახველობამ, პერსონაჟთა მკვეთრმა ინდივიდუალობამ, უშუალო, სხარტმა იუმორმა და, რაც მთავარია, თავად ყვარყვარეს — საერთაშორისო ავანტიურისტისა და

მედროვე გაიძვერას სახემ ეს პიესა რეჟისორისა და მსახიობის მუდამ სასურველ მასალად აქცია.

პირველად „ყვარყვარე თუთაბერი“ დადგა სახელოვანმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა ქუთაისის თეატრის სცენაზე. ყვარყვარეს როლს ასრულებდა ქართული სცენის დიდოსტატი უშანგი ჩხეიძე.

ეს მრავლისმეტყველი ფაქტია და კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს რეჟისორ რობერტ სტურუას. მას მეტად ორიგინალური, საინტერესო ჩანაფიქრი აქვს. ჩანაფიქრის საქმედ ქცევამ იდიოტის როლს ითამაშებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი რამაზ ჩხიკვაძე, მომავალი სპექტაკლის მთავარი გმირი — ყვარყვარე.

რევაზ თაბუკაშვილის პიესა „რაიკომის მდივანი „ხანდაზმული“ პიესაა. დაიწერა 1952 წელს, მრავალჯერ დაიდგა ქართულ სცენაზე. მთავარ როლს ასრულებდა ჩვენი სასიქადულო მსახიობის სერგო ზაქარიაძე.

გავიდა წლები, მაგრამ პიესაში წამოჭრილი პრობლემები არ მოძველებულა, პირიქით — კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით დადგა ჩვენი ცხოვრების დღის წესრიგში. პრინციპული, უანგარო კომუნისტის — გიორგი ჯაფარიძის სახემ დააინტერესა რეჟისორი გიორგი ქავთარაძე და კვლავ შეახვედრა იგი დრამა-





ტურგ რევან თაბუკაშვილთან, რომელთან ერთადაც ადრე იმუშავა სპექტაკლზე „ედინბურგის ზარები“.

ახალ შემოქმედებით შეხვედრას ახალი მძაფრი საკითხების წამოჭრა და გააზრება მოჰყვა...

პიესაზე მუშაობა დიდი მონდომებითა და სიყვარულით მიმდინარეობს, რადგან თეატრის შემოქმედებითა კოლექტივიმ გადაწყვიტა სპექტაკლი „რაიკომის მდივანი“ სახელოვანი მსახიობის სერგო ზაქარაიძის მოგონებას დაუკავშიროს...

ალ. ტოლსტოის პიესა „ივანე მრისხანის სიკვდილი“ მწერლის ცნობილი ტრილოგიის ერთ-ერთი ნაწილია, შექმნილი ქვეყნის ცოცხალი აზრის, ერის სულიერი ცხოვრების დამთრგუნველი ტირანიის წინააღმდეგ.

ამ რთულ, მაგრამ უაღრესად საინტერესო მასალაზე მუშაობა გადაწყვიტა რეჟისორმა ლევან მირცხულავამ. იგი რისკს არ შეუშინდა და სპექტაკლის ბედი თეატრის ახალგაზრდა შემოქმედებით ძალებს მიანდო. ივანე მრისხანის როლში მაცურებელი ნახავს მსახიობ გიორგი ხარაბაძეს, ბორის გოდუნოვს განასახიერებს მსახიობი ავთანდილ მახარაძე. ამავე თაობის წარმომადგენლები არიან პიესის უმრავლეს გმირთა როლების შემსრულებელნიც.

ეს უაღრესად საპატიო და ძნელი ამოცანაა. თეატრის ახალგაზრდებმა გასულ სეზონში საინტერესო და მნიშვნელოვანი ნამუშევრები წარუდგინეს მაცურებელს — შ. დადიანის „გუშინდელნი“ და ი. დვორეცკის „უცხო კაცი“, რომელთა დადგმა განახორციელა რეჟისორმა თემურ ჩხეიძემ.

ამჯერად ამოცანა უფრო რთულია და ვიმედოვნებთ, რომ თეატრის ახალგაზრდობა თავის სიტყვას იტყვის.

სეზონის II ნახევარში თეატრი იმუშავებს ო. ჭილაძის პიესაზე „წათეს წითელი წაღები“. პიესა ისტორიულ მასალაზეა შექმნილი და იმგვარადაა გააზრებული, რომ დღევანდლობის ბევრ საჭირობოროტო საკითხს ეხმაურება.

პიესის გმირი წათე (მეფე გუბაზი ქიშვილი) — უნიათო, უღარდელი ხელისუფალია, რომელსაც ნაკლებად აწუხებს თავისი ერის ცხოვრება, მისი მომავალი. სწორედ აქ იკიდებს სათავეს ის საშინელი უბედურება, რასთან გამკლავებაც ხალხის ერთგული, თავდადებული შვილების ხვედრია მუდამ. პიესა პოეტის პირველი ნამუშევარია დრამატურგიაში და სასურველია ამით დასაბამი მიეცეს ო. ჭილაძისა და რუსთაველის თეატრის თანამშრომლობას.

განზრახულია დაიდგას ცნობილი დრამატურგის გ. ნახუცრიშვილის პიესა „კალმასობა“ — შექმნილი იოანე ბატონიშვილის ამავე სახელწოდების თხზულების მოტივებზე.

გ. სანადირაძემ წარმოგვიდგინა გემოვნებით და ფაქიზად შესრულებული ინსცენირება დ. კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირებისა“, რომელსაც დადგამს რეჟისორი თემურ ჩხეიძე.

რეჟისორი რობერტ სტურუა იმუშავებს რევან გაბრიაძის კომედიაზე „სამოთხის ჩიტი“.

მწერალი ნოდარ წულეისკირი მუშაობს პიესაზე, რომელიც სათავეს ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიან მეჯღანუაშვილიდან“ იღებს. ვფიქრობთ, მაცურებლისთვის საინტერესო იქნება თანამედროვე სოლომონ ისაკიან მეჯღანუაშვილების ერთ-ერთ წარმომადგენელთან შეხვედრა.

ჩვენ მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები გვაკავშირებს ქართველ დრამატურგებთან, ჩვენს ქართველ მწერლებთან. ჩვენთვის წერენ პიესებს, რომელთაგან ერთ-ერთი, შესაძლოა, ამ სეზონის რეპერტუარშიც ვიხილოთ, მაგრამ წინასწარ მათზე საუბარი მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

**2. ხომ არ არის გამიზნული თეატრის გასტროლები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ?**

ახალ სეზონში ჩვენი თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი დიდად საპატიო ამოცანის წინაშე დგას. სეზონის დასრულებს — 29 მაისს მსახიობთა ერთი

ნაწილი ეწვევა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, სადაც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს კულტურის დღეებში და გერმანულ მაცურებელს წარუდგენს დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალს“ (რეჟისორები თ. ჩხეიძე, რ. სტურუა).

უფრო ადრე, 6 მარტს, რეჟისორები თემურ ჩხეიძე და რობერტ სტურუა ეწვევიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ საარბრუჟენის თეატრს და იქაური შემოქმედებითი ძალებით დადგამენ „სამანიშვილის დედინაცვალს“.

**2. თეატრის საქმიანობისადმი მაცურებლის ინტერესის გაღვივებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეკლამას. რა კეთდება თქვენთან საამისოდ?**

ახალ სეზონში თეატრმა საინტერესო სუენირი გაუმზადა თავის მაცურებელს. პრემიერებით ვიწყებთ და გვინდა ტრადიციად ვაქციოთ — ყოველ ახალ სპექტაკლზე მაცურებელს შევთავაზოთ მხატვრული ფოტობუკლეტები.

ისინი მაცურებელს მიაწვდიან ძუნწუ, მაგრამ საჭირო ცნობებს პიესის ავტორის ვინაობის შესახებ, ან იმ ისტორიული მოვლენის შესახებ, რაზედაც შეიქმნა პიესა ან, საერთოდ, სპექტაკლის მოკლე ისტორიას: სად, როდის, ვინ დადგა იგი.

ფოტობუკლეტი რეკლამის ერთ პატარა საშუალებადაც გვესახება, რომელიც დაინტერესებს, ერთგვარად შეამზადებს მაცურებელს წარმოდგენის სანახავად.

**4. რას იტყვით თქვენი თეატრის მაცურებელზე?**

დღეს ჩვენს თეატრებს მაცურებელი აკლია და ამ საკითხზე ბევრს წერენ და ლაპარაკობენ. ერთნი თეატრს სდებენ ბრალს, მეორენი. მაცურებელს. ზოგი ამაში საკამათოს ვერაფერს ხედავს და უბრალოდ „აგვარებს“ საკითხს: კარგი სპექტაკლები დადგან და მაცურებელიც ეყვლებათო...

ერთი რამ კი ცხადია: როცა თეატრში მოსულ მაცურებელს ყოველდღიურად ადევნებ თვალყურს, უნებურად გებადება კითხვა — რა უფრო სავალალოა, ის, რომ სპექტაკლები „ანტიგონე“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „გუმინდელი“, „ექიმი სტოკმანი“ და მისთანანი სანახევროდ შევსებულ დარბაზებში თამაშდება თუ „ხანუმასა“ და „საბრალდებო დასკვნაზე“ შექმნილი აფიოტაჟი, გამოწვეული, უმეტეს შემთხვევაში, იმგვარი მაცურებლის მოზღვავეებით, რომელსაც დანახვისა და მოსმენის ელემენტალური ჩვევები არ გააჩნია, სცენიდან წამოსულ ფრანსას შოკოლადის ფილების ტკაცვა-ტკუცით ახშობს და სპექტაკლის დამთავრებისას თავქუდმოგლეჯილი გარბის გასასვლელისაკენ, ორიოდ წუთსაც კი არ უთმობს სცენაზე გამოსულ მსახიობებთან გამომშვიდობების კეთილმობილურ რიტუალს.

თეატრს ჰყავს გულისხმიერი, გონიერი, ქომაგი მაცურებელი, მაგრამ მათ რიგებს გაზრდა სჭირდება და ამაზე ზრუნვა ალბათ იმ პატარა მოქალაქეებიდან უნდა დაიწყოს, რომლებიც დღესდღეობით სასკოლო მერხებს უსხედან და მშობლიური თეატრების იშვიათი, მაგრამ უაღრესად სასურველი სტუმრები არიან.



## გაკითხველთა საუბრაღმდგომად

1974 წელს შურნალ „ცინკარში“ გამოქვეყნდებოდა:

ზაზუა ამირაჯიბი — დათა თუთაშვილი (რომანის მეორე ნაწილი)

ოთარ ჩხეიძე — გორიანი (რომანი)

ანა კალანდაძის ლექსები

იოსებ ნონეშვილი — მირისწყალი — (ლირიკული პოემა)

ელგუჯა მაღრაძის ბიოგრაფიული რომანი „დავით გურამიშვილი“

ნოდარ დუმბაძის, არჩილ სულაბაშვილის, თამაზ ჰილბაძის, გურამ ფანჯიკიძის, ნოდარ წულეისკირის, მერაბ ელიოზიშვილის მოთხრობები და ნარკვევები.

დასაბამად გათვალისწინებულია აგრეთვე ცნობილი ქართველი კომპოზიტორისა და მწერლის ახალი ნაწარმოებები.

კრიტიკისა და პუბლიცისტის განყოფილებაში გამოქვეყნდებოდა სინტაქსი, მხარგრული წერილები, სტატიები და რეცენზიები, როგორც საბოლოო, ისე საზღვარ-გარეთის თანამედროვე ლიტერატურისა და ხელოვნების აქტუალურ და სინტაქსი საკითხებზე.

## ქვირფასო მებოგრებო

გრძელდება ხელმოწერა შურნალ „ცინკარში“ 1974 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი

ერთი წლით — 7 მან. 20 კაპ.

ნახევარი წლით — 8 მან. 60 კაპ.

ტექნიკური ხელმძღვანელი ჯ. ტყარაძე.

კრიტიკისა და პუბლიცისტის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75, პ. მგ. მდივნის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადეცა ასაწყობად 17/IX-73 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/X73 წ., ქალაქის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 14,5 შეკვეთა № 3075 უე 13614 ტირაჟი 27.000.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

3260 60 353.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76236